ელდარ მამისთვალიშვილი

# გორის ისტორია

## II

(1801-1921)

თბილისი
2018

„გორის ისტორიის“ მეორე წიგნში განხილული საკითხები შემოიფარგლება მტკიცე ქრონოლოგიური ჩარჩოთი – 1801-1921 წლები. ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩართვიდან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაპყრობამდე.

ცარიზმის დროს გორი გადაიქცა სამაზრო ცენტრად. იგი სერიოზულ გავლენას ახდენდა და წარმართავდა საქართველოს იმ მნიშვნელოვანი რეგიონის ეკონომიკას, პოლიტიკას და კულტურას, რომელსაც შიდა ქართლი ჰქვია.

საინტერესო პერიოდის ქ. გორის ისტორიაში აირეკლა იმ პერიოდის საქართველოს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი.

In the second book of the “History of Gori” the discussed questions are limited to the strong chronological frame – 1801 – 1921. This is one of the most important periods in our country, which comprises the inclusion of Georgia into the Russian Empire to the conquering of Independent Republic of Georgia by the Soviet Russia.

Gori turned into a centerpiece during tsarism. It seriously influenced the economy, policy and culture of the most substantial region of Georgia, which is called Shida Kartli.

All the essential moments of the Georgian life of this interesting period are reflected in the History of Gori.

## სარჩევი


**ავტორისაგან** ---------- 5
**ქალაქის გარეგანი სახე** ---------- 7
მდინარეები ---------- 14
ხიდები ---------- 17
უბნები ---------- 25
გარეუბნები ---------- 26
ქუჩები ---------- 28
მოედნები ---------- 36
სახლები ---------- 41
ეკლესიები ---------- 56
აბანო ---------- 58
სასტუმროები ---------- 60
ბაზარი ---------- 62
წისქვილები ---------- 67
პარკები ---------- 68
გზები და ტრანსპორტი ---------- 72
ქალაქის განათება ---------- 79
ბაღ-ბოსტნები ---------- 81
სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ---------- 83
მიწისძვრა გორში ---------- 86
**მოსახლეობა** ---------- 91
**მმართებლობა** ---------- 107
**სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები** ---------- 125
1. სამთავრობო ორგანიზაციები ---------- 125
ფოსტა ---------- 127
საავადმყოფო ---------- 131
აფთიაქი ---------- 132
ვაქცინატორი, მაზრის ექიმი ---------- 133
საქალაქო საავადმყოფო ---------- 134
„კომისია თავადებსა და თავადების აზნაურებს
შორის დავების გარჩევისათვის“ ---------- 135
2. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ---------- 136
საზოგადო საკრებულო ---------- 136
გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება ---------- 138
გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოება ---------- 138
საზოგადოება „მანდილოსანი“ ---------- 140
ვაჭარ-ხელოსანთა ორგანიზაციები ---------- 143
3. სასწავლო დაწესებულებები ---------- 155

**კულტურა** ---------- 196
რელიგიურ-საეკლესიო დღესასწაულები ---------- 196
გასართობ-სანახაობანი ---------- 204
ჭიდაობა, ჯოხებით ბრძოლა და კრივი ---------- 208
ყვენობა ---------- 214
სხვადასხვა კულტურული ღონისძიებანი ---------- 219
თეატრი ---------- 232
კინოთეატრი ---------- 239
ქველმოქმედება ---------- 240
ბეჭდვითი საქმე ---------- 243
კინტო ---------- 252
ასასი – ღამის დარაჯი ---------- 255
კონდიტრები ---------- 256
მეარღნეები ---------- 259
**ეკონომიკური განვითარება** ---------- 260
1. ფინანსები ---------- 260
2. წარმოება ---------- 267
3. ვაჭრობა ---------- 286
**სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან** ---------- 313
1. გლეხთა გამოსვლები (XIX ს. დასაწყისიდან 60-იან წლებამდე) ---------- 313
2. ხალხოსნური მოძრაობა ---------- 325
3. პოლიტიკური ვითარება გორსა და გორის მაზრაში XIX ს. დასასრულსა და XX ს. პირველ მეხუთედში ---------- 339
**გორელები რუსეთის ჯარში** ---------- 370
**გამოჩენილი გორელები და გორის მოამაგენი** ---------- 381
**ბიბლიოგრაფია** ---------- 491
**The History of Gori II (1801 – 1921) (Summary)** ---------- 505
**ИСТОРИЯ Г. ГОРИ (1801-1921) (РЕЗЮМЕ)** ---------- 509
**სახელთა საძიებელი** ---------- 513

## ავტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილულია გორის ისტორია 1801 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დასაწყისიდან 1921 წლამდე, ე.ი. რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ანექსიამდე.

აღნიშნული პერიოდის გორის ისტორია ეს არ არის მხოლოდ მისი პოლიტიკური ისტორიის ქრონოლოგიური გადმოცემა. იგი მოიცავს ქ. გორის და, ნაწილობრივ, მისი მაზრის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას.

აღნიშნული პერიოდის გორის ისტორიით მრავალი მკვლევარი დაინტერესებულა და მრავალი მეცნიერული გამოკვლევა, სტატია და წერილი გამოქვეყნებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, უმეტესწილად, ერთი და იგივეს გამეორება ხდებოდა. ვერ ჩამოვთვლი ყველა ნაშრომს XIX-XX საუკუნის პირველი მეოთხედის გორზე რომ დაიწერა. ისინი მონოგრაფიაში სათანადოდაა მითითებული. მაგრამ, როგორც მკითხველი დარწმუნდება, გორის ისტორიის მრავალი მომენტი აქამომდე საერთოდ ან სათანადოდ არ გაშუქებულა, ხოლო ზოგი მომენტი და ფაქტი კი სხვაგვარ ინტერპრეტაციას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში პირველადაა გამოყენებული მთელი რიგი დოკუმენტური და ნარატიული წყაროები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განვიზრახე ნაწილობრივ მაინც შემევსო გორის წარსულის შესწავლაში არსებული ხარვეზები, თუ როგორ მივაღწიე დასახულ მიზანს, მკითხველმა განსაჯოს.

გორის ისტორიის პირველ წიგნში წინა პლანზე წამოწეული იყო ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტი: მსურდა მეჩვენებინა ქ. გორის მნიშვნელობა უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე არა მხოლოდ შიდა ქართლის, არამედ მთელი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. შევეცადე გორის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად მეჩვენებინა ამ ქალაქის ეკონომიკური განვითარებაც. ვფიქრობ, მკითხველს, გარკვეული წარმოდგენა შეექმნება აღნიშნული პერიოდის გორის საქალაქო ცხოვრებაზე, მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასა და მისი საქმიანობის სხვადასხვა მხარეზე, სამოხელეო აპარატზე და სხვ.

დადგა XIX საუკუნე და გორმა საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად, თანდათანდობით დაკარგა თავისი ადრინდელი ძირითადი ფუნქცია – ყოფილიყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანე-

სი ციხე-ქალაქი და მდგარიყო ქვეყნის დაცვის სადარაჯოზე. დრე გორი შედარებით სუსტად იყო დაკავშირებული გარე სამყაროს-თან, თუნდაც შიდა ქართლთან, რაც განპირობებული იყო არსე-ბული პოლიტიკური და სამხედრო ვითარებით. რუსული მმართებ-ლობის შემოღების შედეგად კი გორი სამაზრო ქალაქად გადაიქცა და შიდა ქართლის ეკონომიკის და კულტურის ცენტრი გახდა.

## ქალაქის გარეგანი სახე

საქართველოში რუსული მმართებლობის შემოღების შემდეგ გორმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც განელდა მტრის მოულოდნელი თავდასხმის შიში, გორის მოსახლეობამ თანდათან მოშალა ზღუდე და დაიწყო ქალაქის მახლობლად არსებული ტერიტორიების ათვისება.

1837 წლისათვის, როგორც ერთ-ერთი ანგარიშიდან ჩანს, გორში საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღები არ იყო. კერძო მფლობელთა კუთვნილი ბაღების რაოდენობა იყო 49, ბოსტნებისა კი – 35. ქალაქის მიწა-წყალი 730 კვადრატულ დესეტინას შეადგენდა. აქედან 40 კვ. დესეტინა ეკავა შენობებს, 20 დესეტინა იყო დაუსახლებელი, 40 დესეტინა ბაღ-ვენახებს, ხოლო 630 დესეტინა ეკავა საძოვრებს[1]. 1850 წლისათვის ქალაქის კუთვნილი ტერიტორია გაფართოვდა და მიაღწია 1125 დესეტინას[2].

მტკვრის მარჯვენა ნაპირის (რკინიგზის სადგურის) დასახლება ჯერ კიდევ ქალაქის ფარგლებში არ შედიოდა. იგი სოფ. ხიდისთავის ნაწილი იყო, ერისთავების ოჯახს ეკუთვნოდა და XIX საუკუნის 80-იან წლებშიც კი, საძოვრებად გამოიყენებოდა.

ქალაქის თვითმმართებლობა პერიოდულად აყენებდა საკითხს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიის ქალაქთან შე ერთების შესახებ, მითუმეტეს, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ, იქ მნიშვნელოვანი დასახლება წარმოიშვა. ეს საკითხი, როგორც ჩანს, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშიც არ იყო გადაწყვეტილი. არაა ცნობილი მტკვრის გაღმა მხარე როდის შეუერთდა ქალაქს.

XIX ს. 40-იანი წლების გორის გარეგნული იერი ხატოვნად აღწერა ცნობილმა დეკაბრისტმა, გენერალმა ა. მურავიოვმა: „შორიდანვე გაცვიფრებს თავისი არაჩვეულებრივობით გორის ხედი. მცირე ქალაქი გაკრულია ფრიალო კლდის ძირზე, რომელიც უეცრად ამოიზრდება, როგორც კუნძული ზღვის მორევიდან, სწორი ველის შუაში და დაგვირგვინებულია ძველი ციხით... მცირე, მაგრამ მხიარული ქალაქი, თავისი სახლებით ყოველმხრიდან შემოეკრა თავის დამფარავ კლდეს, ვითარცა ბავშვები ჩაეჭიდებიან დედის კალთას.

ეს პანორამა ღირსია ჩვენი მხატვრების ფუნჯისა. ჩამავალმა მზემ შეცვალა მათი ფუნჯი თავისი სხივებით, განსაკუთრებული

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 152, საქმე 5679. შემდეგში: სეა.*

[2] *Кавказский календарь, 1853 г.*

ხელოვნებით აღნიშნა ამ საოცარი სურათის მკვეთრად გამოყოფილი საგნები...“[1].

ქუჩები ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და ჭუჭყიანი იყო. ხელისუფლება ცდილობდა ძველი ქალაქის კეთილმოწყობას. მოუკირწყლავი ქუჩების და მოედნის ტალახისაგან დასაცავად მტკვრის ნაპირიდან მოტანილ ქვიშას და ხრეშს მოფენდნენ ხოლმე. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გორი ძირითადად გაშენებული იყო ბორცვის კლდოვან ფერდობზე, მაშინ ნათელი იქნება, რომ იგი განსხვავებით სხვა ძველი ქალაქებისაგან, შედარებით ნაკლებტალახიანი იყო.

იმ დროს ქალაქში ღამის განათება ჯერ კიდევ არ არსებობდა, მხოლოდ დუქნებს ანათებდნენ მეპატრონეები[2].

როგორც ცნობილი დრამატურგი მიხეილ ნიკოლოზის ძე ვლადიკინი (1830-1887) წერდა გორში ყოფნის დროს: *„ამ ქალაქის შესახებ, რომელმაც ოდესღაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში, არ არის საჭირო ბევრის თქმა. აქ არის საკმაოდ წესიერი მთავარი ქუჩა, სადაც ზოგიერთი სახლი ლამაზია და შემკულია ორიგინალური ჩუქურთმებიანი აივნებით და გალერეებით... ქალაქში არის ძველი ეკლესია მახვილწვერიანი გუმბათით, რომელიც გადახურულია სხვადასხვა ფერის შორენკეცით. ქალაქი, ველიკორუსული სამაზრო ქალაქებისგან განსხვავებით, შეიძლება დასახელდეს, როგორც სუფთა, რადგან ქვიანი ნიადაგი გზატკეცილისა და ქვაფენილის იოლად მოწყობის საშუალებას იძლევა....*

*გორისციხე დგას ყოველმხრიდან მოწყვეტილ ბორცვზე, რომელსაც აქვს ხუთასი საჟენის გარშემოწერილობა და მეზობელი მთებისგან გამოყოფილია მდინარეებით – მტკვრითა და ლიახვით. სიმაგრის მახლობლად მიედინება პატარა მდინარე, რომელსაც რუსები ფშონკას ეძახიან... ციხიდან, რომელსაც უკავია ბორცვის წვერი, ჩრდილო-დასავლეთიდან დაბლობამდე ჩამოდის ორი მასიური კედელი, რომელთა შორის გასასვლელი თითქოსდა წარმოადგენს გრძელ გალერეას, რომელიც მთავრდება ჭიშკრით. ეს გალერეა გადაკვეთილია კიდევ შვიდი გარდიგარდმო კედლით, რომლებსაც ასევე აქვთ კარიბჭეები და აღჭურვილია (თუმცა არა ყველა) კოშკებით ფლანგებიდან თავდაცვისათვის. არ არის საჭიროება დავამატოთ, რომ ამგვარად დაცულია ბორცვის ყველაზე მისადგომი*

---

[1] *Муравьев А., Грузия и Армения, III, СПб, 1848.*

[2] *Документы по истории Грузии (1860-1917), т. 1, ч. 2. Под редакции Ш. Чхетия, с. 58.*

*ნაწილი. ეს ორიგინალურად გამაგრებული დაღმართი შეადგენს ნაგებობის ყველაზე შესანიშნავ ნაწილს. უნდა ვაღიაროთ მშენებლის ხელობაში დიდი უნარი და ცოდნა. თავდამსხმელს თუ არ ექნებოდა არტილერია, გორისციხე შეიძლებოდა მიგვეჩნია მიუდგომელ სიმაგრედ.*

*ცნობილი არ არის გორისციხის აშენების დრო. მაგრამ ის უკვე იხსენიება VII საუკუნის ქართულ მატიანეში, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე მთელ საქართველოში. ერეკლე II ხშირად პოულობდა აქ თავშესაფარს ლეკების, სპარსელების და თურქების თავდასხმების დროს. ამჟამად ჯერ კიდევ შეიძლება მოხუცებისგან იმის მოსმენა, ხიფათის დროს მიმბაში (კომენდანტი) როგორ უშვებდა ციხეში მის ახლომახლო მცხოვრებ მოსახლეობას საღამოს დადგომისას. მათი შეშვების შემდეგ, მიმბაში თვითონ კეტავდა ჭიშკარს და გასაღებს თავისთან ინახავდა, ხოლო მოსახლეობა იმ ნაგებობებში თავსდებოდა, რომლებიც დღესაც ჩანს კედლებში და აღარაფრის შიში ჰქონდათ...*

*ციხის შიგნით მოედანი წარმოადგენს უთანაბრო სიბრტყეს, რომელიც მოფენილია ნანგრევების გორებით. მის შუაში აქამომდე ჩანს ქვით ამოშენებული ღრმა ორმო, რომელშიც გროვდებოდა წვიმის წყალი*"[1].

XIX საუკუნის 60-იან წლებში თავისი არქიტექტურით უკვე ანსხვავებდნენ ძველსა და ახალ გორს. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, ბორცვის აღმოსავლეთი და სამხრეთი ფერდობების მჭიდროდ დასახლების გამო, ხშირად, ერთი მოსახლის სახურავი მეორისათვის ეზოს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ძველ ქალაქში ბანიანი სახლები იყო.

ბორცვის ძირიდან მტკვრის მარცხენა ნაპირამდე გაშენებული ქალაქის ახალი სახლები და ქუჩები იმ დროისათვის უახლესი არქიტექტურის გეგმით იყო შექმნილი. ზოგიერთი შენობა ისეთი მშვენიერი იყო, რომ თანამედროვის თქმით, ყველა საგუბერნიო ქალაქს გაალამაზებდა.

1858 წელს გორს ეწვია ალექსანდრე დიუმა. როდესაც ის კავკასიის ქალაქების უბადრუკ მდგომარეობაზე აღნიშნავდა, იქვე მიუთითებდა, რომ გორი გამონაკლისს წარმოადგენდა თავისი ისტორიული ღირებულებების მქონე სიძველეებით. იგი შემდეგნაირ

---

[1] *Владыкин М., Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу. В 2 ч. Изд. 2-е, дополненное и исправленное. С приложением карты Кавказа с железными дорогами. Ч. 1–2. М., 1885, с. 297-298.*

*გორს აგვიწერს: „ეს დრო არ დამიკარგავს და გორის ქუჩებში გავისეირნე. სამწუხაროდ უქმე დღე იყო და ბაზარი დაკეტილი დაგვხვდა... მაგრამ მე გორის მიმართ სამართლიანი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, იქ არაფერია-მეთქი. ვიწრო ქუჩაბანდებს რომ თვალი გავაყოლე, დავინახე მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნის ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც საუცხოო მომეჩვენა. ის აღიმართება კლდის წვერზე და იქიდან, საიდანაც მე ვუყურებდი, გაუგებარი იყო, როგორ ააშენეს იმ ადგილზე ეს ტაძარი. უფრო საფიქრებელია, რომ თვითონ ღმერთმა ჩამოუშვა იგი ციდან და შვეულად დადგა კლდეზე სიტყვებით: „აი ღვთაებრივი სამართალი“*[1].

გორიდან დასავლეთის მიმართულებით წასული ა. დიუმა, ერთხელ კიდევ გასცქერის გორს და ვერ მალავს მისი სილამაზით გამოწვეულ აღტაცებას: *„და გავცქეროდი გორს. ქალაქზე გადმომყურე ძველ ციხეს ძლიერი და მრისხანე გარეგნობა აქვს. წარმოიდგინეთ ხუთასი ფუტი სიმაღლე კლდე კედლებისა და მაღალი კოშკების უზარმაზარი კიბით, რომელიც შვიდ თანმიმდევრულ ზღუდეს ქმნის. ზღუდეების ყოველ კუთხეში აღმართულია ერთი კოშკი. ბოლოს, მერვე სარტყელზე, ყველაზე ზემოთ აღმართულია მთავარი კოშკი, კედლებს შუა კი ციხის ნანგრევები. მუანეს*[2] *ძალიან სცოდა, რომ ეს სანახაობა ადგილზევე ჩაეხატა. მაგრამ მან გორისათვის გააკეთა ის, რაც შამხალ ტარკოვსკის ციხისათვის. თავში აღიბეჭდა და საღამოზე იგი ქაღალდზე გადაიტანა“*[3].

გაზეთ „კავკაზის“ (1861 წ.) კორესპონდენტის შეფასებით, ქალაქი გორი ქოხმახების, მაღალი ეკლესიების და უახლესი არქიტექტურის ლამაზი სახლების ნაზავს წარმოადგენდა.

ქალაქი თანდათან კეთილეწყობოდა და მშვენიერდებოდა, რასაც ერთ-ერთი რუსი მოხელე ნ. ფლეროვსკი რუსების, კერძოდ, რუსული პოლკის სისტემატური ყოფნის კეთილისმყოფელ გავლენას მიაწერდა და ბოლოს დაასკვნიდა: ამ ქალაქს შეიძლება მცირე თბილისი ვუწოდოთო[4].

---

[1] *ალექსანდრე დიუმა, კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, თბ., 1964, გვ. 384-385.*

[2] ჟან-პიერ მუანე, 1819-1874, ა. დიუმას მხლებელი მხატვარი. მოღვაწეობდა პარიზში. სახელი მოუხვეჭა დიუმასთან ერთად მოგზაურობის დროს დახატულმა სურათებმა.

[3] *ალექსანდრე დიუმა, კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, გვ. 387.*

[4] *Бухникашвили Г., Гори, Тб. 1952, с. 83.*

1863 წლის 31 ივლის გორს ეწვია ირანის პოლტიკური მოღვაწე მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ-მოლქი. მისი შთაბეჭდილებით *„გორი ძალიან კეთილმოწყობილი დასახლებაა. მასში დაახლოებით 2000 დიდი და ლამაზი სახლი და ძალიან სუფთა ბაზარია. ქალაქის ცენტრში მთის წვერზე ბასტიონია აღმართული. მთის კალთები ყველა მხარეს ციცაბოა გარდა ერთისა, რომელიც შედარებით ნაკლებად არის დაფერდებული. ბასტიონი სწორედ ამ მხარეს დგას და მთის მთელი ზედაპირი უკავია"*[1].

იმავე წელს გორის მოკლე აღწერა დაგვიტოვა მეორე ირანელმა მოგზაურმა სეიფ ად-დოულემ. ის გორს აღწერას სამ ნაწილად ჰყოფს:

***„ქალაქის მდებარობა****. გორი მტკვრის პირას მთის კალთაზეა გაშენებული. პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ქალაქია, ქალაქის შუაში ღმართულ მთაზე უძველესი დროიდან აგაურითა და ქვით ნაშენი ციხე დგას. რუსეთის მთავრობა ქალაქში სარემონტო სამუშაოებს ატარებს.*

***შენობების აღწერა****. ქალაქის ყველა ახალი შენობა განლაგებულია ერთ ძალიან გრძელ და მშვენიერ ქუჩაზე, რომელიც მდინარიდან მთისკენ მიდის. ქუჩის ორსავე მხარეს მშვენიერი ორსამსართულიანი სახლები დგას, რომელთა ქვედა სართულებზე საუცხოო დუქნები, ზემოთ კი საცხოვრებელი ბინებია განთავსებული. გორში კარგი ეკლესიებია. ყველა შენობა ქვისაა. ქალაქში კიდევ რამდენიმე ასეთი ქუჩა შენდება.*

*აქ ქართველების გარდა, ბევრი რუსიც ცხოვრობს. მდინარე რომელიც ქალაქს მოუყვება, ბოლოს მტკვარს უერთდება. მასზე რკინისა და ხის ხიდია აშენებული. მტკვარი ქალაქის ახლო მოედინება. ფოსტის სადგური მდინარის მეორ ნაპირზე, ქალაქის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს, კარგი შენობაა. მდინარეზე ოდითგანვე დიდებული ქვის ხიდია გადებული. ხიდის თაღები დამსხვრეულია, მაგრამ ბურჯები ჯერ კიდევ მთელია.*

*გორის მთები ტყით არის დაფარული და იქ უამრავი ნაძვი ხარობს. აქედან თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ნაძვის ხეები სახლების ასაშენებლად და სხვა საჭიროებისათვის მიაქვთ, მაგრამ ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებაა და მთავრო-*

---

[1] *მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ-მოლქი და მისი მოგზაურობის წიგნი // საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბ., 2016, გვ. 154.*

*ბის მოხელეები ყიდიან. ქალაქის ჩრდილოეთით მთები თოვლით არის დაფარული.*

***ხე-ტყის გადაზიდვის გზები.*** *აქედან ხე-ტყე თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში შემდეგნაირად გააქვთ: დაჭრილ და ერთმანეთზე გადაბმულ შეშას მდინარეში ყრიან და წყალს ის შავ ზღვამდე ჩააქვს. ამ საშუალებით დიდი ხეები ძალიან მარტივად შეიძლება გადაიტანო ნებისმიერ დასახლებულ პუნქტამდე.*

*ქალაქის კლიმატი ცივია, წყალი – გემრიელი, ხოლო მოსახლეობა ძალიან ლამაზი"*[1].

ირანის პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ ჰოსამ ას-სალთანემ 1881 წელს მოინახულა გორი. მისი გადმოცემით: *„გორი ლამაზი ქალაქია. აქ მთის წვერზე ციხესიმაგრეა აღმართული. ზოგი ამბობს, რომ ეს ციხე ქართველი მეფეების აშენებულია, ზოგიერთების მტკიცებით კი, ნადირ შაჰმა თბილისის აღების შემდეგ გორი საქართველოს კარიბჭედ ცნო და ეს ციხე ააგო. ის ხალხის გულის მოსაგებად გორის ერთ-ერთ ეკლესიაში შევიდა, ილოცა და ათასი თუმანის ძვირფასეულობა შესწირა... გორში ექვსმალიანი რკინის ხიდია აგებული..."*[2]

დროს თავისი მიჰქონდა. გორი მართალია ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა, შეძლებისდაგვარად კეთილმოეწყობოდა და ლამაზდებოდა. მოსე ჯანაშვილი 1904 წელს წერდა: *„ქალაქი გორი შეიძლება ითქვას, რომ ჯერ მშენებლობის პროცესშია: მისი ქუჩები სწორდება, იკირწყლება, იტკეცება და ხეები ირგვება, კეთდება ქალაქის ახალი ბაღი, ძველი სახლები იღება და მის ადგილზე ფუძნდება ახალი, ლამაზი შენობები. ქალაქის გარეუბანში გუბე-ჭაობები შრება და იქ, სადაც ბაყაყების ყიყინი ისმოდა, დღეს უკვე ჰყვავის ბაღები, ბიბინებენ ბოსტნები"*[3].

ადრე ითქვა, რომ გორი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა უცხოელებზე. გორის გარეგან სახეზე საუბრის დასასრულს გავიხსენოთ კავკასიის კარგი მცოდნის ევგენი ერმაკოვის საინტერესო მოსაზრება გორზე. მისი თქმით, გორი ამიერკავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი, ორიგინალური და თავისი მნიშვნელობით გუბერნიაში თბილისის შემდეგ პირველი ქალაქი იყო. ე. ერმაკოვი შემდეგში ერთხელ კიდევ გამოთქვამს აღტაცებას: *„ძველი გორი,*

---

[1] *სეიფ ად'დოულე და მისი მოგზაურობის წიგნი // საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში, გვ. 165-166.*

[2] *ჰოსამ ას-სალთანე და მისი მოგზაურობის წიგნი, იქვე, გვ. 372.*

[3] *Джанашвили М., Гори, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК), вып. 34, Тифлис, 1894, с. 164.*

*საქართველოს ქალაქებს შორის ერთ-ერთი უძველესი, თითქმის წინარეისტორიული ამჟამად ცივილიზებული ქალაქია, რომელშიც დედოფალ თამარის ერისთავების მაგიერ დაბანაკებულია ჩვენი მამაცი არტილერია, აქ არიან მეეტლეებიც ფაეტონებით, ტროტუარებიც და ქვაფენილებიც, ფანრებიც და ყოველგვარი მაღაზიებიც. ერთი სიტყვით, ღმერთმა ქნას, ასეთი კეთილმოწყობილობა, რომელიც გინდათ რუსულ ქალაქში. დასანანია, რომ ეს პატარა სამაზრო ქალაქი აზიურ საქართველოშია... გორი გარშემორტყმულია ძველი სასაფლაოებით, სადაც მრავლადაა აკლდამები და პატარა სალოცავები, ებრაელთა სინაგოგების მსგავსი. ეს არის სახურავიანი სახლი, რომელიც მოგვაგონებს ნოეს კიდობანს*"[1].

განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენდა ქ. გორის განუყოფელი ატრიბუტის და სიმბოლოს – ციხის მოვლა-პატრონობა. მისი უკანასკნელი რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში მოხდა. ერთი საუკუნის განმავლობაში იგი თანდათან ინგრეოდა, რაშიც, როგორც მაშინდელი პრესის ფურცლებიდან ვიგებთ, თავისი „წვლილი" მოსახლეობასაც შეჰქონდა, მათ ციხიდან ქვები მიჰქონდათ და თავიანთ სახლებს და სხვადასხვა დანიშნულების კერძო ნაგებობებს აშენებდნენ. მოსახლეობის ასეთი თვითნებობის აღკვეთა და ციხის აღდგენა განიზრახა გორის კეთილმოწყობის დიდმა მოამაგემ, გადამდგარმა გენერალმა ივანე გიორგოს ძე ამილახვარმა. მას სურდა გორის ციხე თავადაზნაურთა გასართობ ადგილად გადაექცია. მისი უშუალო თაოსნობით და სახსრებით დაიწყო ციხის შეკეთება. გორის ამქრებისა და მოქალაქეთა დახმარებით გააკეთა ციხეზე მისასვლელი გზა. ციხის აღმოსავლეთით მდებარე წმ. გიორგის ეკლესიასთან ასასვლელად გააკეთა ცემენტის კიბე, რომელიც დღესაც არსებობს. ციხის აღმოსავლეთ ნაწილში გააშენა ბაღი და მის მოსარწყავად გაიყვანა წყალი.

ალბათ სრულიად სხვაგვარი და განსაკუთრებული სილამაზისა იქნებოდა ქ. გორი, საშინელ მიწისძვრას რომ არ გაენადგურებინა[22].

---

[1] *Ермаков Е., Очерки Кавказа. Картины Кавказской старины, природы и истории, СПБ, Москва, 1887, с. 55; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, №840. შემდეგში – გსიემ.*

[2] ქალაქის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის პირველი გეგმა შექმნეს არქიტექტორებმა – ბ. ლორთქიფანიძემ და ლ. სუმბაძემ, რომელიც

## *მდინარეები*

გორს სამხრეთით ჩაუდის ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე მტკვარი. იმ მრავალ სიკეთესთან ერთად, რაც ამ მდინარეს ჩვენი ქალაქის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მოუტანია, ადიდების დროს მნიშვნელოვან ზარალსაც აყენებდა. XIX საუკუნიდან მოღწეულია ორიოდე ცნობა (1856 და 1880 წლები). 1856 წელს მტკვარმა წალეკა აბანო და გორელი მოქალაქე ღამბაროვის ბაღი[1]. დაზიანებული აბანო უნდა იყოს ის ისტორიული შენობა, რომელიც დღესაც დგას რუსთაველის ქუჩაზე, ერეკლეს აბანოს რომ ეძახიან. ღამბაროვის ბაღი კი უნდა ყოფილიყო ე.წ. ღამბარეულში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კვერნაქის განშტოების დასავლითით.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მტკვარი გორთან იყოფოდა ორ ტოტად. ერთი მიედინებოდა დღევანდელ კალაპოტში, მეო-

---

დამტკიცდა 1950 წელს, მეორე გენგეგმა, რომლის ავტორები იყვნენ არქიტექტორები – ლ. სუმბაძე და გიგოლაშვილი, 1971 წელს. შეიქმნა მოედნები, ძველი ვიწრო და დაკლაკნილი ქუჩების მაგიერ შეიქმნა ფართო და კეთილმოწყობილი გზები, აიგო საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობები, ხიდები.

1951-1955 წლებში სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნომ ჩაატარა სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის ავტორები იყვნენ რ. გვერდწითელი და ა. გოგელია.

2006-2007 წლებში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ქალაქ გორის ისტორიული ნაწილის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა არაერთი საცხოვრებელი სახლი, რომლებიც დაშენებული იყო XVII-XVIII საუკუნეთა ქართული საერო არქიტექტურის მახასიათებელი ნიშნების მატარებელ სარდაფებზე.

დღეისათვის, ქ. გორი გაყოფილია ორ ზონად – ძეგლთა დაცვისა და განაშენიანების რეგულირების.

ძეგლთა დაცვის ზონის საზღვრებია: ი. ჭავჭავაძის და დ. გურამშვილის ქუჩების გადაკვეთიდან დ. გურამიშვილის ქუჩით მდ. მეჯუდამდე, ამ მდინარის მარცხენა სანაპიროთი ქუთაისის ქუჩის გადაკვეთამდე, აქედან ი. სტალინის გამზირის მარჯვენა განშტოების გადაკვეთამდე, შ. ხერხეულიძის ქუჩა გ. ცაბაძის ქუჩის გადაკვეთამდე, გ. ცაბაძის ქუჩა ი. ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე, ი. ჭავჭავაძის ქუჩა დ. გურამიშვილის ქუჩის გადაკვეთამდე. მაშასადამე, დღევანდელი ძეგლთა დაცვის ზონის საზღვრები თითქმის მთლიანად ემთხვევა ძველი გორის გალავანის ხაზს.

[1] *Джавахов А., Гори и его окрестности // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК), вып. 2, Тифлис, 1881, с. 69.*

რე კი ძველი ხიდის ცოტა ზემოთ გადიოდა მარჯვნივ და მიედინებოდა მთის ძირას, რკინიგზის სადგურის, ნავთობსაქაჩი სადგურის და ყოფილი ტარის ბაზის საწყობების გადაღმა. ტოტები ერთდებოდნენ შპალსაჟღენთი ქარხნის ტერიტორიის აღმოსავლეთით. ამგვარად, ის ტერიტორია, რომელიც რკინიგზის სადგურს და დასახლებას უკავია, კუნძულს წარმოადგენდა.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ, მტკვრის მარჯვენა ტოტი გადაკვეთა სამაგრმა კედელმა, რამაც მისი კალაპოტის დაჭაობება გამოიწვია და დიდი ხნის განმავლობაში მალარიის გავრცელების კერას წარმოადგენდა, ვიდრე გორისიდან დაქანებული წვიმის წყლის მიერ წამოღებულმა ნაშალმა ქანებმა არ ამოავსო.

მეორე დიდი მდინარე, რომელიც გორში მიედინება, არის ლიახვი. იგი წინათ გორის ციხის „ცხრა კარის“ პირველ, ნახევარი წრის ფორმის კედელთან ჩაივლიდა (აქვე უერთდებოდა მეჯუდა ლიახვს) და სათავადაზნაურო ქუჩაზე (შემდეგში კიროვის, ამჟამად რობაქიძის ქუჩა) გაივლიდა[1].

საშინელი ადიდება იცოდა მდ. ლიახვმა. იგი რბილნიადაგიან დაბლობზე მიედინებოდა, ძლიერი წვიმების და თოვლის დნობის პერიოდში ადვილად იცვლიდა კალაპოტს და გამანადგურებელ ზიანს აყენებდა მახლობელ ტერიტორიას, სამეფო ქუჩას, ახალშენს და მიმდებარე სხვა დასახლებული ადგილებს. კალაპოტის ხშირი ცვლილების გამო იყო, რომ ლიახვზე ხიდის აშენება ვერ ხერხდებოდა[2]. უფრო მეტიც, XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ლიახვი ამჟამინდელ ერთობის ქუჩაზეც მიედინებოდა. შემდეგში მან შეიცვალა კალაპოტი და დასავლეთით 200 საჟენით გადაიწია.

1877 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: *„ქალაქის გამგეობა, თვით ქალაქის მცხოვრებნი და ყველა ისინი, ვისიც ვალია, რომ ქალაქს ყური უგდონ, არაფერს არ ზრუნავენ ქალაქის მოვლაზე, გამაგრებაზე და სხვ. და სხვანი. დღეს გორი დასავლეთისა და სამხრეთის მხრივ წყალში დგას, დასავლეთის მხრიდან ლიახვი ჩაუდის, თუმცა წარსულს წლებში გაამაგრეს კიდე ამ მდინარისა, მაგრამ წელს ისევ მოგლიჯა და ძველი ადგილი მოსძებნა. მანამ წყალი მოვარდებოდა და ასეთს ზარალს მისცემდა ქალაქს, არავინ შეიტკივა თავი, როცა საზნაურო ქუჩაზე ლიახვმა დაგლიჯა სახლები, მიეცა ქალაქისა ბაღსა და გვერდი ჩამოაცალა, წაიღო ქალაქის გამგეობისაგან აშენებული საყასბოები, მოჰგლიჯა ქვის ბურჯი*

---

[1] *გსიემ, №8074/1*

[2] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 74.*

*ძველის ხიდისა და წყალმა სამხრეთის მხირდამ შემოურბინა რკინის ხიდსა, – მხოლოდ მაშინ დაფაცურდნენ და დაიწყეს თავში ცემა, მაგრამ გვიანღა იყო: აღელვებულს წყალს ვიღა შეაჩერებდა. ხალხი თამაშად გამოდის და თითქოს სტკბება, რომ წყალი აოხრებს ქალაქის საუკეთესო ადგილებსა*"[1].

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის რკინიგზის გამგეობამ გორის გასწვრივ ლიახვის მტკვართან შესართავთან მტკვრის მარჯვენა ნაპირი გაამაგრა და წყალი მარცხენა, ქალაქის მიმდებარე ნაპირს მიაწყდა.

ქალაქის თვითმმართებლობას სახსრები არ გააჩნდა მტკიცე ჯებირის ასაგებად და მხოლოდ სახელდახელო სამუშაოების წარმოება შეეძლო. ამიტომ იგი სესხებისათვის მთავრობას მიმართავდა. 1880 წელს, მთავარმართებლის მთავარი სამმართველოს განკარგულებით, ინჟინერმა ფსარიოვმა შეადგინა ლიახვის ნაპირების 3 კმ სიგრძის ჯებირის აგების პროექტი, რაც 52 ათასი მანეთი დაჯდებოდა. ფინანსების უქონლობის გამო პროექტი ვერ განხორციელდა[2].

შედარებით იოლად განსახორციელებელი იყო კავკასიის სამოქალაქო ნაგებობათა მთავარი ინსპექტორის მ. გარსევანიშვილის პროექტი, რომელიც მშენებლობის დაფინანსებას მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე ქალაქის მიწების გაყიდვით მიღებული თანხებით ვარაუდობდა. მაგრამ ვერც ეს პროექტი განხროციელდა.

სხვა პროექტიც არსებობდა, მაგრამ ისიც ქაღალდზე დარჩა[3].

ცამეტი წლის შემდეგ (1909 წ.), გორის მმართველობამ განიზრახა მ. გარსევანიშვილის პროექტის გამოცოცხლება და ლიახვის ნაპირზე არსებული ქალაქის კუთვნილი 22075 კვ. მეტრი ფართის მიწა კერძო პირებისათვის მიეყიდა, მიღებული თანხით კი ლიახვის ნაპირები კაპიტალურად გაემაგრებინა. თბილისის გუბერნატორმა გორის საკრებულოს ეს დადგენილება მხოლოდ 1914 წელს დაამტკიცა. გორის თვითმმართებლობამ თავისი არსებობა ისე და-

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ. 1954, გვ. 28-29.*

[2] *«Новое обозрение», 1896, №4339.*

[3] გაზ. „კავკაზი" იუწყებოდა, რომ 1897 წ. ლიახვის სანაპიროზე აშენდებოდა 425 საჟენის სიგრძის ჯებირი, რომელიც მირიანაანთ ბაღიდან (ამჟამინდელი ბაზარი – XXI საუკუნე) დაიწყებოდა და ლიახვის ძველ კალაპოტს ჩაუყვებოდა. როგორც შემდგომი პერიოდის სხვა მასალებიდან ჩანს, ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

ასრულა, რომ მტკიცე კალაპოტში ლიახვის ჩაყენება ვერ მოახერხა.

მდინარეები მდიდარი იყო სხვადასხვა სახეობის თევზით: ლოქო, ორაგული, ჭანარი, გოჭა, ფიჩხული, მურწა და სხვ. თევზის რეწვა ხდებოდა ჩვეულებრივ, მარტივი საშუალებებით: ფაცერით და ოჩხით[1].

## *ხიდები*

გორის ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ან უცხოეთის მნიშვნელოვან ქალაქებთან დაკავშირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მტკვარსა და ლიახვზე ხიდების აგებას ენიჭებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გზა თბილისიდან დასავლეთისაკენ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადიოდა, მაშინ გასაგები გახდება, როგორი უხერხულობა ექმნებოდა გორელებს, როცა ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა წლის გარკვეულ პერიოდებში თითქმის შეუძლებელი იყო.

მოღწეული ცნობებიდან ჩანს, რომ არცთუ იშვიათად ხდებოდა ფონზე გამავალი ურმების გადაბრუნება და ადამიანების დაღუპვა. სახელდახელოდ აგებული ხიდები სოფლელების და გორელი ღარიბებისათვის იმდენად ძვირი ფუფუნება იყო, რომ ამით სარგებლობისათვის იმდენად დიდი გადასახადი არსებობდა, რომ ხშირად მას გვერდს აუქცევდნენ და მდინარის გატოპვას ცდილობდნენ, რაც ზოგჯერ უბედურებით მთავრდებოდა[2].

როგორი რთული იყო გორთან დაკავშირება ღრმა და ჩქარი მდინარეების, მტკვრისა და ლიახვის მიერ შექმნილი დაბრკოლებების გამო, საინტერესოდაა აღწერილი ა. დიუმას მიერ. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიუმას მიერ აღწერილი ამბავი შუა ზამთარში ხდება, მაშინ გასაგები იქნება, მდინარეზე გადასვლა გაზაფხულობით და წვიმიან ამინდებში როგორ გაძნელდებოდა.

XVII საუკუნეში რომ გორელები მტკვრის მარჯვენა ნაპირს ხიდით უკავშირდებოდნენ, ცნობილია. ისიც ჩანს, რომ მაშინ გადებული იყო ხის მსუბუქი ხიდი. სხვანაირად ტერტერა მტრის დანახვისთანავე ხიდის დაშლას ვერ შეძლებდა. შემდგომ პერიოდში რაიმე ცნობა ხიდის არსებობაზე არა გვაქვს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მე-18-19-ე საუკუნეთა მიჯნაზე მტკვარზე ხიდი არ

---

[1] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 83-88.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 175, საქმე 817, ფურც. 88.*

არსებობდა, რის დასტურად გორის 1802 წლის გეგმაც გამოგვადგება.

არ შევხვედრივარ რაიმე ცნობას, გარდა იმისა 1877 წლის „ივერიაში“ რომ იყო მოთავსებული და ზემოთ უკვე გავეცანით, მტკვარზე, გორთან როდისმე რომ ქვის ხიდი ყოფილიყო. არადა 1864 წლის მოხსენებით ბარათში გორელები წერდნენ: *„მდ. მტკვარი, რომელიც მიედინება ზედ ქალაქთან და ქართლს ორ ნაწილად ყოფს, ხელს არ უშლიდა ამ პროვინციის ორივე ნაწილის მოსახლეობას ერთმანეთთან ურთიერთობაში. თვით ქალაქიდან ამ მდინარეზე გადებული იყო ორი ქვის ხიდი ერთმანეთისაგან ერთი თუ ერთნახევარი ვერსის დაშორებით“*[1].

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც, მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მტკიცე ხიდის აგება, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ რამდენჯერმე წამოიწყო ამ პრობლემის გადაწყვეტა.

გორში რკინის ხიდების აშენების პირველი ინიციატორი მთავარსარდალი გენერალი პ. ციციანოვი იყო. მან გორის კომენდანტს მაიორ რეიხს მტკვარზე და ლიახვზე ხიდების ასაშენებლად 500 მანეთი მისცა. კომენდანტმა 490 მანეთის მასალა იყიდა, მაგრამ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ხიდი ვერ აშენდა. შეძენილი მასალა განიავდა.

გენერალი ტორმასოვიც ხედავდა გორში ხიდების მშენებლობის აუცილებლობას და 1810 წელს გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა მის განსახორციელებლად, მაგრამ კვლავ შედეგი არ მოჰყვა[2].

თბილისის სამხედრო გუბერნატორი სიპიაგინი 1827 წლის 21 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს სწერდა, რომ გორში ყოფნისას მასთან გორელები მივიდნენ და ხიდის მშენებლობაში დახმარება სთხოვეს. მათ ადგილიც კი შეურჩევიათ – სოფ. ხიდისთავის პირდაპირ. ისინი მზად იყვნენ ფულის გამოსაღებად და ფიზიკური შრომისთვისაც[3]. თითქმის იგივეა გამეორებული გორის მაზრის უფროსის ილიაშენკოვის მიმართვაში (1828 წ. 8 იანვარი) საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი. იქიდან ვიგებთ, რომ გორელები გაიღებდნენ 2 ათას მანეთს ვერცხლით და მშენებლობაზე მთელი მაზრის მოსახლეობა მივიდოდა. გორელების ასეთმა ენთუზიაზმმა შედეგი გამოიღო, გადაიდგა პირველი

---

[1] *Документы, т. 1, ч. 2, с. 449.*

[2] *სეა, ფ. 154, საქ. 904.*

[3] *იქვე, საქ. 3513.*

ნაბიჯები: ხიდის აგებისათვის აუცილებელი რკინა ასტრახანიდან მოიტანეს 1829 წელს, მაგრამ მშენებლობა მაინც ვერ დაიწყეს. საფიქრებელია, აუცილებელი ფულადი სახსრების და სურსათის მომარაგება ვერ მოხერხდა. მდინარის პირას დაგროვილი მასალის დიდი ნაწილი წყალმა წაიღო. მიუხედავად იმისა, რომ გორელები ხელისუფლებას ეხვეწებოდნენ ხიდის მშენებლობის დაჩქარებას, მაინც არაფერი გამოვიდა, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბოლოს ილიაშენკოვი ზემდგომ ორგანოებს იმასდა სთხოვდა გადარჩენილი მასალის გაყიდვის ნებართვა დაერთოთ[1].

1837 წლის ერთი საბუთის მიხედვით, გორში შვიდი ხის ხიდი იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი შედარებით პატარა მდინარეებზე მეჯუდაზე და ლიახვზე იქნებოდა გადებული და, ალბათ, საცალფეხო იყო, მხოლოდ ადამიანებს შეეძლოთ ესარგებლათ და ისიც საკმაოდ დიდი გადასახადის ფასად.

მ. ს. ვორონცოვის ყოვლადუქვეშევრდომილეს ანგარიშში (1845. 25. 03 – 1846. 01. 01) აღნიშნულია გორში ორი ხიდის აგების შესახებაც. ვიგებთ, რომ ოდესიდან ჩამოყვანილმა არქიტექტორმა შექმნა ქვის ხიდის პროექტი, რომლებიც უნდა აეგოთ გორში. თუ პროექტი განხორციელდებოდა, მაშინ დამზადებული ხის მასალის გამოყენება შეიძლებოდა ორი ხიდის ასაგებად გორში[2]. მაგრამ ხიდების მშენებლობა რუსეთის იმპერიაში იმდენად რთულ საქმედ ითვლებოდა, რომ ვორონცოვმა, ამ ყოვლისშემძლე მთავარმართებელმაც კი, ვერ მოაბა თავი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის პერიოდულად უბრუნდებოდა ამ მნიშვნელოვან საკითხს და ცდილობდა გამოენახა ფინანსების მოპოვების გზები.

საინტერესოა მისი მიმართვა კავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროს, გენერალ-ლეიტენანტ, თავად ვასილ იოსების ძე ბებუთოვისადმი (ბებუთაშვილი). მ. ვორონცოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კავკასიის მხარეში ჩამოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება ხიდების მდგომარეობას. შეგროვებული მასალით გაარკვია, რომ ამ მხარეში რუსების მოსვლამდე აგებული ქვის ხიდები უმეტესწილად დანგრეულია. რუსმა მოხელეებმა დროულად ვერ მიაქციეს ყურადღება, რათა ისინი შეეკეთებინათ ან აღედგინათ. რუსების მიერ აგებული ხიდებიც უხარისხო გამოდგა.

---

[1] *იქვე.*

[2] *Акты, X, с. 846.*

მ. ვორონცოვი ი. ბებუთოვს ავალებდა - გამოენახა ფულადი სახსრები ხიდების წესრიგში მოსაყვანად[3].

დაახლოებით ათი წლის შემდეგ, მ. ვორონცოვი თავის მორიგ ყოვლადუქვეშევრდომილეს ანგარიშში კვლავ ოპტიმისტურად განწყობილი ლაპარაკობდა გორთან ხიდების მშენებლობაზე: *„მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს ორი ხიდი გორის მახლობლად, ერთი – ზემოთ, მეორე ქვემოთ ლიახვის (მტკვართან – ე.მ.) შესართავთან“.* მაგრამ მ. ვორონცოვმა ისე დაამთავრა მოღვაწეობა საქართველოში, რომ მან ვერ შეძლო დანაპირების შესრულება: გორი კვლავ დროებითი ხიდების იმედად დარჩა.

თუ გავითვალისწინებთ ამის შემდეგ გორის მოსახლეობისა და მასთან კავშირის განხორციელების მოსურნე შიდა ქართლელების გაჭირვებულ მდგომარეობას წყალუხვ მდინარეებზე – მტკვარსა და ლიახვზე მუდმივი, მკვიდრი ხიდის არ არსებობის გამო, გასაგები გახდება, რომ ამ პრობლემის გადაუწყვეტლობა სერიოზულად შემაფერხებელი იყო ქალაქის განვითარებისათვის.

საინტერესოა, რომ 1850-იანი წლების დასაწყისში აღრიცხულია მხოლოდ 2 ხიდი[1]. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ დროებითი ხის ხიდები იგულისხმება.

მოღწეული ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, გორის თავკაცები და მოქალაქენი მტკვარზე ხიდის აგებას ქალაქის შემდგომი არსებობის საწინდრად მიიჩნევდნენ და ამის თაობაზე დიდი მწუხარებით სწერდნენ მეფისნაცვალს 1864 წლის 2 მაისს. მიუხედავად მრავალგზის ცდისა, ხიდის აგება მაინც ვერ მოხერხდა. *„ამის გამო ჩვენი ქალაქი განიცდის ისეთ არახელსაყრელ მდგომარეობას, რაც უტოლდება ყველა დანარჩენ უარყოფით მიზეზებს, წერდნენ გორელები, – მტკვარზე ხიდის არარსებობის გამო ჩვენი ქალაქი მოწყვეტილია თავისი მაზრის მოსახლეობის ნახევარს და საფოსტოს გზას. იგი მიღმაა დარჩენილი თითქმის მთლიანად მიტოვებულია, უკან აღარავინ იხედება იქით, მაზრა მოკლებულია თავისი ნაწარმის გასაღების გზას... ჩვენი ვაჭრობა მთლიანად დაეცა. საერთოდ, ჩვენს მიერ და მთელი მაზრის მიერ განცდილი უხერხულობა და გაჭირვება ხიდის უქონლობის გამო იმდენად ცხადი და უდაოა, რომ ზედმეტად მიგვაჩნია საუბარი იმ სარგებელზე, რასაც მოგვიტანდა ხიდი გორში, როგორც ჩვენ ისე ხაზინას. გავბედეთ და უმდაბლესად მოვახსენეთ თქვენს უმაღლესობას, რომ საქარ-*

---

[3] *Акты, X, с. 17, №23.*

[1] *სეა, ფ. 152, საქმე 5679.*

*თველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, განუწყვეტლივ მივმართავთ თხოვნით ყველა უმაღლეს ხელისუფალს აგვიშენოს ხიდი მტკვარზე... ამიტომ ჩვენ, ისევე, როგორც მთელი მაზრის მოსახლეობა, საყოველთაო სურვილის აღსასრულებლად არასოდეს ვინანებდით არც ფულს და არც საამშენებლო მასალას. ხიდის მოვლა-პატრონობისა და მასალების მიწოდებას, როგორც ადრე, ისე ბრწყინვალე თავად ვორონცოვის დროს. ჩვენს მიერ ფულადი შენატანების შესახებ შეიძლება ამოვიღოთ გორის სამაზრო დაწესებულების საქმეებიდან და საგზაო მიმოსვლის VIII ოლქის სამმართველოდან. ვწუხვართ, რომ მთელი მაზრის ყველა მსხვერპლმა, სურვილმა და მუდარამ უკვალოდ გაიარა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღესაც მზად ვართ გავიღოთ მსხვერპლი ასე აუცილებელი ხიდის ასაგებად, თუკი თქვენი უმაღლესობა ჩვენდა საკეთილდღეოდ ინებებს ბრძანოს ხელახლა შევუდგეთ საყოველთაოდ სასარგებლო საქმეს და ყველასათვის სასურველად დააბოლოვებს"*[1].

ირკვევა, რომ თბილისის გუბერნიაში მტკვარზე ხიდების მშენებლობა უაღრესად მტკივნეული საკითხი იყო. მისი ადგილიდან დაძვრაში, შეიძლება ვიფიქროთ, გორელებსაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ. სხვა ადგილებში ხიდების მშენებლობაზე თუ სხვა გადასასვლელებზე მსჯელობისას მტკვარზე გადასასვლელის საკითხიც წამოიწევდა ხოლმე. 1864 წლის 30 ივნისს სამხედრო ინჟინერმა შავროვმა მთავარი სამმართველოს უფროსს ბარონ ა. ნიკოლაის თბილისში მტკვარზე გადასასვლელის მოწყობის თაობაზე მოხსენებითი ბარათი წარუდგინა. ირკვევა, რომ მტკვარზე არსებობდა ორი ბორანი – ერთი გორიდან 20 ვერსის დაშორებით საფოსტო გზაზე, ხოლო მეორე – თვით გორში. თბილისში არსებული ოთხი ხიდი მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ ბაგირზე მოძრავი კატარღაც მიმოდიოდა.

გორის ბორანს, როგორც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის 1862 წლის ანგარიშიდან ჩანს, ქალაქის ერობა თავის ხარჯზე ინახავდა[2].

შავროვის აზრით, მთავრობას ბორანის შენახვა ძალიან ძვირი უჯდებოდა და ამასთან ერთად, არც სწრაფი და მოხერხებული იყო. თბილისის კატარღას კი მხოლოდ ადამიანები გადაჰყავდა, ამიტომ იგი ხელისუფლებას სთავაზობდა თავისი პროექტით და ხარჯით მოეწყო გადასასვლელი და თავისივე ხარჯით საჭიროები-

---

[1] *Кавказский календарь, 1853, с. 280.*

[2] *Документы,т. 1, ч. 2, с. 450.*

სდა მიხედვით გაერემონტებინა კიდეც. შემოსავალი მისი უნდა ყოფილიყო.

ბარონმა ა. ნიკოლაიმ უარყო თბილისში გადასასვლელის მოწყობის იდეა, მაგრამ მიზანშეწონილად ჩათვალა გორის მახლობლად და, საკუთრივ გორშიც, მოეწყოთ განსაკუთრებული კონსტრუქციის ბორანი[1].

ამგვარად, ხელისუფლება გორში ხიდის აგებას ჯერჯერობით არ ფიქრობდა. ცნობილი არაა რა ბედი ეწია შავროვის პროექტს. გორში ხიდის აგების საკითხი მჭერმეტყველი მაგალითია იმისა თუ როგორ „ზრუნავდა“ რუსული ადმინისტრაცია გორის და, საერთოდ, საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

როდესაც გორელები დარწმუნდნენ, რომ მტკვარზე კაპიტალური ხიდის აგება ჯერჯერობით ვერ ხერხდებოდა, სხვა გზა არ ჰქონდათ, ხის ხიდით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. მაგრამ ასეთი კონსტრუქციის ხიდი, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ ძლებდა, ადიდებული მდინარე წალეკავდა და საკმაოდ დიდი თანხები მართლაც წყალს მიჰქონდა.

XIX ს. 70-იან წლებში გორში რკინის ხიდი აუგიათ, რაზეც 1877 წლის „ივერიიდან“ ვიგებთ. ეს ხიდიც წყალმა დაანგრია 1879 წელს. სახელდახელოდ აგებული ხიდი უნდა ყოფილიყო შემდეგ წელს (1880) კვლავ მტკვარმა რომ წალეკა[2]. მდინარემ არაერთხელ წაიღო ბორანიც[3].

გორელები ზოგჯერ საკმაო ხნით მოწყვეტილი აღმოჩნდებოდნენ მთავარი საგზაო არტერიიდან. გორელების ასეთი გაჭირვება გაგრძელდა 1880 წლამდე, როდესაც მთავრობამ შესთავაზა ქალაქს რკინის ხიდის აგება და ხარჯების ნაწილს თავის თავზე აღება.

---

[1] *Там же, с. 824.*

[2] 1880წ. გორს ეწვია თბილისის თეატრალური დასი, რომელსაც აკლდა მხოლოდ ვასო აბაშიძე. საღამოს ისიც ჩამოვიდა. გამოვიდა თუ არა ხიდზე, აზვირთებულმა მტკვარმა ხიდი წაიღო. მსახიობები იძულებულნი გახდნენ ერთი კვირა გორში დარჩენილიყვნენ, რადგან ვერ შეძლეს რკინიგზის სადგურამდე მისვლა. ს.*მგალობლიშვილის., მოგონებები, თბ., 1938, გვ.* Документы,*т. 1, ч. 2, с.53-46.*

[3] Джавахов А., Гори и его окрестности, *с. 72. მგალობლიშვილის., მოგონებები, თბ., 1938, გვ. 57.*

1874 წელს რკინის ხიდის აგების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინეს. საჭირო იყო 63.006 მან და 70 კაპ. აღნიშნული თანხა მაზრის გლეხებს შეაწერეს – 1 მან. და 20 კაპიკიდან 3 მან. და 50 კაპიკამდე. მაგრამ პროექტს მხარი არ დაუჭირა არც გუბერნატორმა და არც ქალაქის სათათბირომ[1].

ბოლოსდაბოლოს, თითქმის 80 წლის შემდეგ, 1884 წელს, გორში რკინის ხიდის მშენებლობა დაიწყეს. მგზავრს ხიდზე გადასვლისას ბაჟი უნდა გადაეხადა. საკმაოდ ძვირი ღირდა ეკიპაჟის (15 კაპ.) და ცხენიანი კაცის (5 კაპ.) გავლა. ამიტომაც იყო, რომ მეეტლეები რკინიგზის სადგურამდე არ მიდიოდნენ და ხიდის ყურზე დგებოდნენ[2]. ფეხით მოსიარულენი 4 კაპ. იხდიდნენ[3].

როგორც ჩანს, ქალაქის ხაზინას ხიდის შენახვა უჭირდა და 1891 წელს იგი საიჯაროდ გადასცეს ალექსანდრე ბუნიაშვილს, რომელსაც თვიურად ხაზინაში უნდა შეეტანა 502 მან. და 27 კაპ. გადასახადისაგან გაანთავისუფლეს სახელმწიფო ტრანსპორტი და ქალაქის მენახირეები[4]. ხიდის ფულის აკრეფის დროს ისეთი კურიოზიც კი ხდებოდა, რომ ხშირად ქალაქის კეთილმოწყობისათვის სოფლებიდან მოსულ უფასოდ მომუშავე გლეხებს ხიდზე არ ატარებდნენ და ისინი, უფულობის გამო, იძულებული იყვნენ მტკვარი გადაეცურათ, რითაც ხიფათში იგდებდნენ თავს. იყო მდინარეში გლეხების დახრჩობის შემთხვევები[5].

საფიქრებელია, რკინის ხიდი კვლავ მდინარემ დაანგრია, ან იმდენად დააზიანა, რომ მისი ექსპლოატაცია შეუძლებელი გახდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა 1897 წელს „კავკაზში“ დაბეჭდილი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, აღნიშნულ წელს, მტკვარზე ახალი ხიდის კურთხევა მოხდა. ცერემონიალს დაესწრნენ კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი, კავალერიის გენერალი ამილახვარი და გენერალ-მაიორი შუტლეტოვი.

ახალი ხიდის სიგრძე 72 საჟენს (153 მ. 36 სმ) უდრიდა და მისი მშენებლობა 15 იანვრიდან 1 მაისამდე გაგრძელდა. მშენებლობას

---

[1] *იქვე.*

[2] *„Кавказ“, 1882, №126; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 26.*

[3] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 27.*

[4] *„Тифлискийлисток“, 1893, №150.*

[5] გადასახადს კი იღებდნენ, მაგრამ ხიდს ჯეროვნად არ უვლიდნენ. ხიდზე დაგებული ფიცრები 1893 წლისათვის იმდენად დალპა, რომ მასზე გავლა დიდად სახიფათო იყო. *„Тифлиский листок“, 1893, №150.* ამავე თემაზე იყო საუბარი იმავე გაზეთის №153-ში.

ხელმძღვანელობდნენ ინჟინერი ნოვომაისკი და ოფიცერი გ. მატივა.

რა ბედი ეწია ზემოაღნიშნულ ხიდს, არ ვიცით, მაგრამ ცნობილია, რომ 1908 წელს მტკვარზე აიგო რკინა-ბეტონის ხიდი, რომლის გახსნას, როგორც მასზე მიმაგრებული მემორიალური დაფები გვაუწყებდნენ[1], მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დასწრებია. დიდი დაფის ტექსტიდან ვიგებთ: მშენებლობა მიმდინარეობდა საქალაქო თემის ხარჯით და 125 ათასი მანეთი დაჯდა. მშენებლობას მეთვალყურეობდა საგუბერნიო ინჟინერი ანტონოვი და ზედამხედველობდა ინჟინერი მიხაილოვი.

მცირე დაფა კი გვაუწყებს: ხიდის მალებს შორის დაშორება 41-50-41 მეტრია, აშენებულია რკინა-ბეტონით „გენებიკის“ სისტემის მიხედვით. ხიდს აშენებდა ალექსანდრე გიორგის ძე როტინოვი.

ეს ხიდი, გორელები „ძველ ხიდს“ რომ ეძახიან, დღესაც ქალაქის ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობაა.



ძვ. გორი სადგურის მხრიდან

[1] XX საუკუნის 90-იან წლებში დაფები მოიპარეს. არ ვიცი რა გზით, მაგრამ შემდეგში დაზიანებულები იპოვეს. მათი გაცნობის საშუალება მომცა ყოფილმა გორის არქიტექტორმა, გორელმა თეიმურაზ კაპანაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლებთან დამაკავშირებელ გზაზე მტკიცე ხიდის არ არსებობა. როგორც ჩანს, ლიახვზეც ხის დროებით ხიდს გასდებდნენ ხოლმე, რომელიც წყალდიდობას ვერ უძლებდა. სწორედ ასეთი ორი ხიდია აღნიშნული გორის 1802 წლის გეგმაზე. ლიახვზე ხიდი არ იყო ა. დიუმას გორში ყოფნის დროსაც (გავიხსენოთ, როგორი გაჭირვებით გადავიდნენ მდ. ლიახვზე ა. დიუმა და მისი თანამგზავრები). გაზეთმა „თემმა“ 1913 წ. გამოაქვეყნა ერთი საინტერესო წერილი, რომელშიც სოფ. ოთარშენელების გულისტკივილია გადმოცემული: *„...ჩვენ... მონადელე და მესაკუთრე გლეხები, როგორც გადმოცემით ვიცით, სოფელ ოთარშენში ვცხოვრობთ იმ დღიდან, რაც იგი დაარსებულა... ჩვენ ქალაქ გორის ახლოს ვცხოვრობთ და აქ ვასაღებთ ბოსტნეულობას. საფქვავში მინდს არ ვიხდით, რადგან საერთო წისქვილი გვქონდა მთელ სოფელს. და გარდა ამისა, რადგანაც წისქვილი ზედ კარზე გვქონდა, ჩადიოდა დედაკაცი, ბავშვი და ფქვავდა, ხოლო ახლა კი ამ აუტანელ ზამთარში უნდა ვიშოვოთ ჯერ ტომრები, ურემი, კამეჩები და ხარები, უნდა შევაბათ ყევარი ხარ-კამეჩი და გათოშილ-გაყინულ ლიახვში უნდა გავიტანოთ და ვზიდოთ გორში, საქონელიც უნდა დაგვეხოცოს და ჩვენც უნდა ვეყარნეთ წისქვილში...“*[1].

## *უბნები*

XIX საუკუნემდე გორში იყო ვარდის უბანი, ხარების საყდრის უბანი, სუფრაჯიანთ უბანი, სულუხი და დამპალა[2].

1801 წელს და შემდეგ პერიოდში გორის უბნები იყო: ციხისუბანი – ქალაქის ძველი ნაწილი, ვარდისუბანი – ქალაქის შუა ნაწილი, სადაც თავმოყრილი იყო ეკლესიები და ახალი შენობები, სულუხი, ახალშენი – სამეფო ქუჩის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასახლება, რუსული მოსახლეობის კომპაქტურად დასახლების ადგილას წარმოიშვა რუსულუბანი, ე.ი. რუსების უბანი – პოსელენიე. დ. კასრაძის მიხედვით ვარდისუბანს ძველად „პოსელენიე“ ანუ „დასახლება“ ეწოდებოდა, რადგანაც პირველად აქ ის რუსი ჯარისკაცები დასახლდნენ, რომლებმაც 25 წლიანი სამხე-

---

[1] *„თემი“, 1913, №112.*

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 528.* ძველი გორის უბნების შესახებ საკმაოდ ვრცლად მოთხრობილია ამ წიგნის I ტომში.

დრო სამსახურის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება აღარ მოისურვეს. ესენი ძირითადად ხელოსნები, თერძები, მეწაღეები, დურგლები, კალატოზები და მზარეულები იყვნენ. მათ ხის სახლები ააშენეს და „პოსელენიე“ დაარქვეს[2]. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ იყო ვარდისუბანი და შემდეგ გაჩნდა „პოსელენიე“, ვარდისუბანი ქართულ ისტორიულ წყაროებში ჯერ კიდევ 1660 წ. 1 მაისის წყალობის წიგნშია მოხსენებული[3].

შემდეგში „პოსელენიეს“ მსგავსად გაჩნდა „ნოვოე პოსელენიე“, ძველი თბილისის ქუჩის მიდამოებში, ახლა რომ წერეთლის სახელს ატარებს.

1837 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, ქალაქის მცხოვრებნი სასმელ წყალზე მოთხოვნილებას ფშანიდან და ლიახვიდან ამოღებული წყლით იკმაყოფილებდნენ. ქალაქში იყო აგრეთვე 4 ჭა[4]. ქალაქის ბოლოს, სამხრეთით არსებობდა სამი წყარო, მოგვიანებით, როდესაც ამ წყაროების მახლობლად დასახლება შეიქმნა, გორელებმა „წყაროს უბანი“ დაარქვეს.

## *გარეუბნები*

გორს XIX საუკუნეში სამი გარეუბანი ჰქონდა: გარეთუბანი, ღამბარეული და ჯიგრაშენი. ისინი ადრინდელ არც ისტორიულ საბუთებში და არც იმავე საუკუნის პირველი მეოთხედის გორის გეგმებზეა მინიშნებული, რაც საგულისხმოს ხდის ამ ორი უბნის შემდგომ წარმოშობას.

გარეთუბანი მდებარეობდა მდ. მეჯუდის მარცხენა სანაპიროზე. მისი სახელი დღესაც შემორჩენილია გორის იმავე უბნის აღსანიშნავად.

სულ სხვა ბედი ეწია გორის მახლობლად, სამხრეთით მდებარე პატარა დაბას – ღამბარეულს. იგი გორთან შეერთების გამო გაქრა და მისი სახელიც მივიწყებულ იქნა.

დაბას ღამბარეული დაერქვა მისი მფლობელი ღამბაროვების გვარის მიხედვით. ისინი ქ. გორის მკვიდრნი იყვნენ. მათ ეკუთვნო-

---

[2] *კასრაძე დ., გორის ციხე, თბ., 1962, გვ. 52.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 528.*

[4] *სეა, ფ. 152, საქ. 5679.*

დათ ღამბარეულის მთელი მიწა და ბაღები. ღამბარეული სახელგანთქმული იყო თავისი შესანიშნავი ბაღებითა და ვენახებით. ნიადაგი განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა.

წყლის სიუხვე და მოხერხებული მდებარეობა ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და მოქალაქეთა ყურადღებას იპყრობდა. ღამბარეული იმდენად პოპულარული იყო, რომ როდესაც იქაური მოსავალი და ღვინო ბაზარში გაჰქონდათ, მუშტარს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა მის ხარისხში, რაც ღამბარეულის მდიდარ პატრონებს სიამაყით ავსებდა.

ღამბარეულში არსებობდა მთელი გორის მაზრის ერთდაერთი აბანო, სადაც გორელები, განსაკუთრებით ქალები ჯგუფ-ჯგუფად და ოჯახებით დადიოდნენ.

აბანო, ისევე, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, აქაც განსაკუთრებულად გამორჩეულ ადგილად ითვლებოდა. მიდიოდნენ დედაწულიანად, პირთამდე გავსებული ხურჯინებით და ბოხჩებით. აბანოში გარკვეულ დღეებში, კვირის ბოლოს, სახელდობრ, პარასკევობით დადიოდნენ. აბანოში ხდებოდა ქალების მიერ საპატარძლოების შერჩევა.

ზაფხულსა და შემოდგომაზე მამაკაცებიც დაიარებოდნენ ღამბარეულში სადილისა და ქეიფისათვის. ესენი იყვნენ გორელი შეძლებული ვაჭრები, მემამულეები და მსხვილი ხელოსნები.

ღამბარეული განთქმული იყო განსაკუთრებული გემოს სასმელი წყლით, რომელიც წყაროდან მოედინებოდა. ღამბარეულის წყარო იყო სინონიმი მაცოცხლებელი, სამკურნალო სითხისა. გორელები, როდესაც რაიმე გამაგრილებელს სვამდნენ, იტყოდნენ: *„გული გააგრილა, როგორც ღამბარეულის წყარომ“.* მოქალაქეთა აღფრთოვანება, ღამბარეულის წყაროთი მით უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ისინი ძირითადად ლიახვისა და ფშნის მღვრიე წყალს სვამდნენ. დასახელებული მდინარეების წყალი თულუხებით მოჰქონდათ ქალაქში, კარდაკარ დაატარებდნენ და გარკვეული საფასურით ჰყიდდნენ. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მოსახლეობა ნაგავსა და სიბინძურეს მდინარეებში ჰყრიდა, მაშინ გასაგები გახდება, რომ ის წყალი, რომელსაც სისტემატურად სვამდნენ, სხვადასხვა დაავადების წყაროც იყო. სხვათა შორის, 1893 წელს გორში სასმელი წყლით გავრცელდა ქოლერა და ასეულობით ადამიანი დაიღუპა.

ღამბარეულის ჩრდილიან ბაღებში ცხელ ამინდებში თავის შეფარება შეიძლებოდა. ამიტომ ითვლებოდა იგი გორის ამქრებისათვის განსაკუთრებით საყვარელ ადგილად. აქ იხდიდნენ ისინი

„საღმრთოს“. ღამბაროვებს სახლები  გორში და სხვა ადგილებში ჰქონდათ. ისინი მკაცრ ექსპლოატაციას უწევდნენ სოფლის მოსახლეობას.

80-90-იან წლებში, როდესაც ბატონყმობა კარგა ხნის გაუქმებული იყო, ღამბარეულს ფლობდა სულხან ღამბაროვი, შვილი დიდი მებატონე ზაქარია ღამბაროვისა. სულხანი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა და თავის გლეხებს არ ინდობდა. უცოლშვილო სულხანი ცნობილი იყო აგრეთვე განსაკუთრებული სიძუნწით. იგი პირველი რევოლუციის დროს დღისით-მზისით გორში ქუჩაზე მოკლეს[1].

მოგვიანებით ღამბარეული გორს შეუერთდა და იგი ცნობილი იყო და დღესაც არის წყაროს უბნის სახელით.

***ჯიგრაშენი*** იყო გორის ტერიტორიის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ამ სახელწოდებაში იგულისხმებოდა მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის და კვერნაქის მთის დასაწყისის განშტოების კლდოვან ქიმს შორის ტერიტორია. იგი სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ღამბარეულს. ჯიგრაშენის სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ოდესღაც აქ იყო გადებული ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა მტკვრის ორივე ნაპირის მოსახლეობას მცხეთიდან ტაშისკარამდე.

## *ქუჩები*

გორში, როგორც ერთერთ ძველ ქართულ ქალაქში, ბუნებრივია, ქუჩები არსებობდა[2], მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მათგანის სახელწოდება არ ვიცით.

XVIII საუკუნის დასასრულის ნასყიდობის ნუსხაში დასახელებულია ***„ფრანგის ქუჩა“,*** XIX ს. დასაწყისში მას თბილისის ქუჩა დაარქვეს. იგი ემთხვეოდა დღევანდელი წერეთლის ქუჩის ერთ მონაკვეთს ქალაქის ზრდის კვალობაზე ჩნდებოდა ახალი ქუჩები. 1837 წლის წლიური ანგარიშის შემდგენელს თუ დავუჯერებთ, გორში ქუჩები კი არა, მხოლოდ 15 „შესახვევი“ იყო. 1850 წლისათვის, კავკასიის კალენდრის მიხედვით, გორში უკვე 20, 80-იან წლებში კი 36 ქუჩა იყო. მხოლოდ მათი ერთი ნაწილის სახელები ვიცით და ლოკალიზაციაც ყოველთვის ვერ ხერხდება. იმ 36 ქუ-

---

[1] *გ სიემ, №807413.*

[2] ძველი გორის ქუჩების შესახებ იხ. გორის ისტორიის I ტომში..

ჩიდან შეიძლება დავასახელოთ: ***თბილისის, ჰოსპიტლის, ოქონის, სობორნაიას, ქუდების რიგის, რუისურბნისის, მჭედლების რიგის, სამეფო, სათავადაზნაურო, სემინარიის ქუჩა...***

თბილისის ქუჩაზე უკვე ითქვა. ***ოქონის ქუჩა,*** ალბათ, იქ იყო, სადაც ოქონის ეკლესია იდგა, სადაც შენდება ახალი ოქონის ტაძარი. სავარაუდოა, ოქონის ამჟამინდელი ქუჩა წერეთლის ქუჩის ერთ მონაკვეთს წარმოადგენდა. შეიძლება იგი ნაწილობრივ, ამჟამინდელ ჭავჭავაძის ქუჩას ემთხვეოდა.

***სობორნაიას ან სობოროს*** ქუჩა ემთხვეოდა ამჟამინდელ წერეთლის ქუჩას. მას სახელი შეუცვალეს და წერეთლისა დაარქვეს 1915 წელს აკაკის სახელის უკვდავსაყოფად.

ამჟამინდელ რობაქიძის (საბჭოთა პერიოდის კიროვის) ქუჩას ***სათავადაზნაურო*** ერქვა.

***სამეფო ქუჩას*** **(ფ. №1)** რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. თავდაპირველად მას დიდ ქუჩას ეძახდნენ. გადმოცემის მიხედვით მას მეფის ანუ სამეფო ქუჩა ეწოდა 1871 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის (ზოგი გადმოცემთ ალექსანდრე III. ამ საკითხზე ვრცლად ქვემოთ) გორში სტუმრობის გამო. მანამდე მას ***დიდ ქუჩას*** ეძახდნენ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს უწოდეს ***ერთობის,*** საბჭოთა პერიოდში – ***ლენინის,*** ამჟამად ისევ სამეფო ქუჩის სახელს ატარებს.

რუსთაველის ქუჩას ***რომანოვების*** სახელი ერქვა რუსეთის საიპერატორო გვარის საპატივსაცემოდ.

რუსთაველის ქუჩის პარალელურ პატარა ქუჩას ***ხიდისთავის*** ქუჩა ეწოდებოდა[1].

***სემინარიის*** ქუჩა მოიცავდა ამჟამინდელი სტალინის პროსპექტის ერთ მონაკვეთს ნინოშვილის ქუჩიდან ყოფილ სასტუმრო „ინტურისტამდე“. სახელწოდება მიიღო ამ ქუჩაზე არსებული საოსტატო ანუ სამასწავლებლო სემინარიისაგან რომლის ადგილას ამჟამად IX საჯარო სკოლაა.

70-იანი წლებიდან მრავალმა საინტერესო ცნობამ მოადწია ძველი გორის ქუჩების მდგომარეობაზე. მათ პრესაც ჯეროვან ყურადღებას უთმობდა.

***მიხეილის***, რუსეთის დიდი მთავრის სახელი ერქვა ამჟამინდელი თამარ მეფის ქუჩას.

---

[1] *ხუციშვილი მ., გორის ქუჩებისა და მოედნების ისტორიიდან // გაზ. „გამარჯვება“, 28. 11. 1978.*

***წისქვილის*** ქუჩა ერქვა ამჟამინდელ ელსადგურის ქუჩას, იმის გამო, რომ აქ ამილახვარს ელექტრო წისქვილი და პირველი ელსადგური ჰქონდა.

ახლანდელ გოგებაშვილის ქუჩას ***გარეთუბნის ქუჩა*** ერქვა იმის მიხედვით, რომ ის გარეთუბანში მეჯუდის პირას მდებარეობდა.

დღევანდელ სამების ქუჩა (საბჭოთა პერიოდის შაუმიანის ქუჩა) ***ანტონოვის*** სახელობისა იყო, რადგან იქ ცხოვრობდა მოქალაქე ანტონოვი.

მარჯანიშვილის (ყოფილი ჩელუსკინელების) ქუჩას ***ძველი ხაზინის*** სახელწოდებისა იყო, რადგან ოდესღაც აქ იყო სამეფო ხაზინა.

***საარტილერიო*** ერქვა ამჟამინდელ მ. შაფთოშვილის (ყოფილი წითელარმიელების) ქუჩას და მის გაგრძელებაზე ამჟამინდელი სტალინის პროსპექტზე შადრევნის ადგილზე არსებულ მოედანს.

70-იან წლებში გორის კეთილმოწყობის მიზნით უპირველეს ყოვლისა ყურადღება მიუქცევიათ ქუჩების მოწესრიგებისათვის. როგორც მ. ნ. ვლადიკინი წერდა, გორი „ველიკორუსული სამაზრო ქალაქებისგან განსხვავებით, შეიძლება დასახელდეს, როგორც სუფთა, რადგან ქვიანი ნიადაგი გზატკეცილისა და ქვაფენილის იოლად მოწყობის საშუალებას იძლევა“[1].

1871 წელს ქვაფენილი დააგეს სამეფო ქუჩაზე. საერობო სახსრებით მოიკირწყლა არტილერიის კაზარმებიდან მეჯვრისხევის გზამდე არსებული ქუჩა, რომლის სახელწოდება არ ვიცით. კერძო პირების ინიციატივით მოიკირწყლა ჰოსპიტლის, ოქონის, სობორნაიას, ქუდების რიგის, რუისურბნისის, მჭედლების რიგის და სხვა ქუჩები[2].

გორში წარმოებული სამუშაოები და მის შედეგად ქალაქის იერის გარკვეულად შეცვლა შეუმჩნეველი არ დარჩენია მაშინდელ პრესას და ჯეროვანი შეფასებაც მისცა. 1873 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა: *„ვისაც გორი ორი-სამი წლის წინათ უნახავს, მას ალბათ ახსოვს ის უსიამოვნო შთაბეჭდილებანი, რომელიც მან მიიღო ქალაქის ქუჩებში სიარულის დროს. ახლა სულ სხვა არის - ძველი, ჭუჭყიანი, უსუფთაო, ნაგვიანი ქუჩები, რომელზე გავლაც კი ჭირდა და გამვლელი თავიდან ფეხებამდე ისვრებოდა, ახლა დაგებულია ქვაფენილები.*

---

[1] *Владыкин М., Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказ, с. 298.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 175, საქმე 2073, ფურც. 13.*

სამეფო ქუჩა

*მაგალითისათვის დავასახელებ მრავალთაგან ერთ შემთხვევას, რომელიც ორი თუ სამი წლის წინათ მოხდა გორში. ახლანდელი რუისურბნისის ქუჩაზე ზაფხულში გენერალი ტარანტასით მიდიოდა. ეს ტარანტასი ჩაიფლო ლაფში და ექვსი უღელი ხარით ძლივს ამოათრიეს. ახლა აქ შოსეა, რომელიც ქუჩასაც კი სჯობია.*

*დიდი ქუჩების გაყოლებით დარგულია აკაციები და სხვა მცენარეები. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ტროტუარები არ არის კარგად გაკეთებული, მასზე სიარული ცოტა არ იყოს ჭირს.*

*შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ 10 წლის შემდეგ ამიერკავკასიის სამაზრო ქალაქთა შორის გორი პირველი ქალაქი იქნება, თუმცა ახლაც არა ჰყავს მას მეტოქე"[1].*

გორის ბევრი ქუჩა რომ მართლაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამის შესახებ იმავე „კავკაზში" ერთ-ერთი მოგზაური წერდა: *„პირველი ქუჩა, რომელზეც მე მივდიოდი, საკმაოდ კარგია და ეწოდება „მეფის ქუჩა". იგი პროსპექტს წააგავს. ამ ქუჩას საკმაოდ მოხდენილი სახე აქვს: განიერი და სწორია, ტროტუარები, ფარნები, ქუჩის ორივე მხარეს არხებია გაყვანილი, სადაც წყალი მიედინება. ამ ქუჩაზე ერთი აივნიანი სახლია, რომელსაც ერეკლეს სასახლეს უწოდებენ"[2].*

---

[1] *ციტირებულია დ. გვრიტიშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 27-28.*
[2] *იქვე, გვ. 28.*

როგორც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, გორის კეთილმოწყობისათვის წარმოებული სამუშაოები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და ქალაქის ხელისუფლება ხაზინის უსახსრობის გამო მნიშვნელოვანს ვერაფერს აკეთებდა. ხაზინის სიღარიბის გამო იყო, რომ ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად და ლიახვის ნაპირების გასამაგრებლად სოფლებიდან გლეხებს მოერეკებოდნენ თავიანთი პირუტყვითა და ურმებით. გლეხებს ზოგჯერ სრულიად მუქთად ამუშავებდნენ ან სამ დღეში ერთხელ კაპიკს უხდიდნენ, რაც თავის გამოსაკვებადაც კი არ ჰყოფნიდათ. ეს ხდებოდა სასოფლო სამუშაოების დროს, რაც გლეხებს კიდევ უფრო აზარალებდა[1].

გორის მაზრის უფროსის დახასიათებით ქალაქში სანიტარული მდგომარეობა საგანგაშო იყო. თითქმის ყველა ქუჩა თოვლ-ჭყაპისა და წვიმის დროს გაუვალი ხდებოდა. მოედნებზე არსებული თხრილები წყლით ივსებოდა და ბინძურ წუმპეებად გადაიქცეოდა, რომელიც ყოველგვარი ავადმყოფობის გავრცელების წყაროს წარმოადგენდა. ქუჩების დასუფთავება მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ქალაქში რომელიმე საპატიო სტუმარს მოელოდნენ. მოედნებს კი მაშინაც არ ასუფთავებდნენ[2]. ქალაქის ცუდი სანიტარული მდგომარეობა უკეთ გასაგები გახდება, როცა წარმოვიდგენთ, რომ თითქმის ყველა მოქალაქეს საკუთარი წვრილფეხა თუ მსხვილფეხა პირუტყვი ყავდა, არ არსებობდა საკანალიზაციო სისტემა და ყოველივე სიბინძურე ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე იღვრებოდა.

როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავდა, გორის კლასიკური დახასიათება მოცემულია 1893 წლის 4 ნოემბრის „ივერიაში“. კორესპონდენცია ანონიმურია და ეწოდება „ხმა პროვინციიდან (აღწერილობა გორისა შემოდგომაზე)“. კორესპონდენციიდან ჩანს, რომ 70-იან წლებში ნაწილობრივი კეთილმოწყობილი ქუჩები კვლავ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. არც შენობები იყო სახარბიელო მდგომარეობაში. კორესპონდნეტი წერს: *„... ჩვენი სახელგანთქმული „ჭორქარიანი“, ჩვენი კურთხეული გორი რაღანაირ ყოფაში უნდა იყოს ამჟამად? ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, წუნწუხში ამოვლებული ქათამი, რომელიც მზის გულზე აბუზულა*

---

[1] *„Тифлисский вестник“, 1875, №61.*

[2] *სეა, ფ. 34, საქმე 2279, ფურც. 2-3.*

*და საცოდავად ცახცახებს! სწორედ ესეთ სასაცილო ქათამს მოგაგონებს დღეს ჩვენი „ქართლის მეთაური“. ავდრისაგან ჩამორეცხილი სახლის კედლები ისეთი დაძმარებული გამოიყურებიან, თითქოს ყოველ წამს ცისა და ქვეყნის დაქცევას მოელიანო. აქლემის ყელივით დახლაკნილი ვიწრო ქუჩები სავსეა მუხლამდის სარევის ტალახითა და ზოგგან ისეთი ლაფის მორევი ტრიალებენ, რომ მათ გვერდზე გავლა-გამოვლა დიდ გულადობად უნდა ჩაეთვალოს ადამიანს. რაღა თქმა უნდა, რომ ყოველი აქაური სახლის პატრონი ცდილობს, რათა მათ ქუჩაში შეტბორებული წუნწუხი თავის სახლსა და ეზოში არ შეუშვას, ამიტომ ის ამ სახლისა ეზოს აქეთ-იქით ნაპირებს ამაღლებს. ვაი იმ მოსიარულის ყოფას, რომელიც ამ ამაღლებულს ადგილზედ გასვლას მოისურვებს! წვიმისაგან ისე არიან დამბალ-დასიპულები, რომ მათზე ორ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს კაცი ისე, რომ მესამეზე მის წინ გაჭიმულ მორევში არ ამოჰყოს თავი... ამის გამო ზოგიერთნი, გამოცდილნი და აქაურ გარემოებათა მცოდნენი, ისევ დაკარწახებასა და შუალ ლაფში ბაყაყლაპიასავით ტოპვას არჩევდნენ, ვიდრე ხაფანგში კისრის მოტეხვასა. და ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა სასეირო სანახავი იქნება ამისთანა ქუჩაში მომავალი რომელიმე დარბაისელი ქართველი, ანუ ლაზათიანად ჩაცმული-დახურული მანდილოსანი“[1].*

*გორში შექმნილ სანიტარულ მდგომარეობას იმავე წელს რუსულენოვანი გაზეთი შემდეგნაირად აღწერდა: „ო, უბედურო გორელებო“ როგორ უნდა სწყევლიდეს ბედს ის, ვინც ცხოვრების ზღვამ გადმოისროლა ამ ბედშავ ქალაქში. ქალაქი გორი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ღამით ფანრის გარეშე სახლიდან გამოსვლით რისკავთ ჩაეფლოთ სადმე საფლობში... გორის თავს ვურჩევდი... ოხ! ბოდიში! დამავიწყდა, რომ გორელები უთავონი არიან. ალბათ ამან გაგაკვირვა, ძვირფასო მკითხველო. მაგრამ „სასწაული გაფანტულია ყველგან ქვეყანაზე“, და გორის თავი – გორში იმყოფება მხოლოდ უქმე დღეებში, ამგვარად, გორის გამგეობას ვურჩევდი „მეფის ქუჩაზე“ მოაწყოს სამაშველო სადგურები, თორემ გაზეთებში, მტკვრის მსხვერპლთა მაგიერ, დაიბეჭდება მტვერში დამხრჩვალი გორელების შესახებ“. ფელეტონის დასასრულს დაბეჭდილია ვინმე გრაფ გორიისკის სატირული ლექსი[2].*

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 29-30; სეა , ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 664, ფურც. 16*

[2] *„Новое обозрение“, 1893, №3357.*

ქუჩების მოწესრიგება, მაშინდელი კანონმდებლობით, თვით მოქალაქეებს ევალდებოდათ. თითოეულ მათგანს, თავისი სახლის წინ უნდა მოეკირწყლა ან მოეასფალტებინა ქუჩა. მაგრამ ყველას არ შეეძლო ამ ძვირადღირებული სამუშაოს გაძღოლა. ამიტომ, ქალაქის მმართებლობა ცდილობდა თავის თავზე აეღო ქუჩების კეთილმოწყობა და, როგორც ვნახეთ, ზოგჯერ გარკვეულ შედეგსაც აღწევდა. მაგრამ თუ ღონისძიებები სისტემატურად არ ტარდებოდა, ქუჩა მალე ინგრეოდა.

1909 წელს ქალაქის საკრებულომ დაადგინა, ერთი თვის ვადაში მოქალაქეთა ხარჯზე ასფალტის ან ცემენტის ტროტუარების და ქუჩაზე გადასავლელების მოწყობა[1]. ამ დადგენილებამ მოქალაქეთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია და 44-მა გორელმა საჩივარი გაგზავნა მთავარმმართებლის სახელზე. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ამ საჩივარს ყურადღება არ მიაქცია, საქალაქო თვითმმართებლობამ მაინც გამონაკლისი დაუშვა პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელთა მიმართ და ქუჩის გარკვეულ ნაწილს თავისი ხარჯით გააკეთებდა[2].

პროგრესული, პატრიოტი თანამედროვეების გაკვირვებას იწვევდა როგორც გორის ხელისუფლთა, ისე გორელების გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი ქალაქისადმი. მოვიყვან ნაწყვეტს ერთი ანონიმური წერილიდან, რომლის ავტორი, საგულისხმოა გორელი იყო: *„ცხოვრება ჩვენთან მიედინება საზიზღრად მონოტონურად. იცხოვრებ გორში თუნდაც ერთი წელი, ახლოს გაეცნობი ცხოვრების ადგილობრივ პირობებს, შეხედულებებს და განსჯას მოსახლეობის დიდი ნაწილისა და შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ გორს ემუქრება პომპეის და ჰერკულანუმის ხვედრი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პომპეი დაანგრია ლავამ, ხოლო გორს გაანადგურებს მცხოვრებთა აპათია ყველა გარემომცველის მიმართ. აზრის სრული შეჩერება, აბსოლუტური ინდიფერენტიზმი ქალაქის ბედისადმი, უკანასკნელის ეკონომიკური კეთილდღეობის დაცემა, აი, რა შეიმჩნევა ჩვენთან წლიდან წლამდე. ჩვენ ვიწერთ გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარს, ჟურნალის კი ხსენებაც არ არის... გორის ახალგაზრდობა, რომელიც უნივერსიტეტში იღებს განათლებას, მიისწრაფვის სადმე საგუბერნიო ქალაქში მოძებნოს*

---

[1] *სეა, ფ. 29, ანაწ. 1, საქ. 664, ფურ. 16.*

[2] *იქვე.ფ. 1648, საქ. 89, ფურ. 11.*

*თბილი ადგილი და ცხოვრობს არხეინად. ამის შემდეგ რაა გასაკვირი, რომ გორი კიბორჩხალის მსგავსად სულ უკან-უკან მიდის“*[1].

გორის ქუჩებში სიარული ძნელდებოდა თოვლიან ზამთარშიც, რადგან მოსახლენი თავიანთი სახლების სახურავებიდან თოვლს გადმოხვეტავდნენ და, როგორც ერთ-ერთი კორესპონდენტი აღნიშნავდა, 1896 წლის თებერვალში, ზოგიერთ ქუჩაზე თოვლის სიმაღლემ 2 არშინს მიაღწია. მდგომარეობის სირთულე გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქის მამასახლისი სალაროს სიცარიელის მიზეზით ქუჩების გაწმენდაზე უარს ამბობდა და მოსახლეობას ისდა დარჩენოდა, ბუნების იმედზე ყოფილიყო[2].

XX ს. დასაწყისის გორის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა ერთ დროს გორში მცხოვრებმა და გორზე და გორელებზე შეყვარებულმა, ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა ილია პაპისმედოვმა, რომლის წიგნი, – „ნანახი, მოსმენილი, განცდილი“ გამოიცა თელავივში 1986 წელს. ქვემოთ მოვიყვნა მისი მოგონებებიდან ამოკრებილ ცნობებს გორის მთავარი ქუჩის შესახებ.

*„მეფის ქუჩაზე, სხვა შესანიშნავ ნაგებობებთან ერთად მდებარეობდა ი. თავზარაშვილის ორსართულიანი გრძელი შენობა, რომლის ზედა სართულზე კინოთეატრი იყო, ქვემოთ მაღაზიები. ამ შენობის მოპირდაპირე მხარეს, მოთავსებული იყო კვალიაშვილის აფთიაქი. მას მარჯვნივ მიჰყვებოდა კ. დიასამიძის ერთსართულიანი გრძელი ნაგებობა, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულიყვნენ: ევროპელი ებრაელი თერძის შიოს სახელოსნო, საკონდიტრო მაღაზია, მესაათე ბროცკის სახელოსნო, ი. შტეიმანის სამღებრო-სახელოსნო, აისორების პურის საცხობ-მაღაზია, ოქრუაშვილის ფეხსაცმელების შესაკერი სახელოსნო, ჩემი ძმის საფართლეულო მაღაზია, ს. მაისურაძის წიგნების მაღაზია... და დასასრულ, წიკლაურის სადურგლო-სახელოსნო. მაღაზია-სახელოსნოების პატრონები, წიკლაურის გარდა, თავიანთ ოჯახებითურთ ცხოვრობდნენ ამათვე მაღაზია-სახელოსნოების უკან გადატიხრულ ბინებში.*

*ამ ქუჩაზე განლაგებული იყო ქალაქის ძირითადი ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი დაწესებულებები. მაზრის უფროსის სამართველო*[3] *და პოლიციის უბანი, კინოთეატრი, ქალ-ვაჟთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია, კლუბი, კაფე „მანდილოსანი“ და*

---

[1] *Тифлиский листок“, 1893, №10.*

[2] *„Новое обозрение“, 1896, №4163.*

[3] აზრის უფროსის კანცელარია XIX ს. 80-იან წლებსი მდებარეობდა სამეფო ქუჩისა და ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთის კუთხეში მდებარე შენობასი, ამილახვრების სასახლის პირდაპირ.

*სხვ. ქუჩა მუდმივ სუფთა და გაკრიალებული იყო. ორივე მხარეს გაყვანილ მოცემენტებულ რუებში მოჩხრიალებდა მდინარე ფშანის ტოტიდან გადმოშვებული წყალი.*

*ეს ქუჩა გახლდათ გორის საზოგადოების საქმიანიდა გასართობი ადგილი, სადაც საღამოობით ბევრი ხალხი სეირნობდა ხოლმე...“*[1]. როგორც ჩანს, გორის მთავარმა ქუჩამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში იგი საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო.

## *მოედნები*

XIX ს. 80-იან წლებში, გორში ხუთი მოედანი იყო: არტილერიის, სასწვრის, მტკვართან[2], სათოფურებთან და ნახშირის[3].

***არტილერიის*** მოედანი მდებარეობდა ამჟამინდელ დიდების მუზეუმთან, ***სასწვრის*** მოედანი – ამჟამინდელი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინ. ***მტკვართან*** მოედანი, ალბათ, ერთობის ქუჩის დასასრულსა და ძველ ხიდს შორის იყო. ***სათოფურებთან*** მოედანი იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ამჟამად ლომკაცის ქანდაკება დგას.

ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინ სკვერში, სადაც ეხლახანს მთავარანგელოზების ეკლესია აშენდა, ადრე XVII საუკუნეში ამ ადგილას მარიამ დედოფლის მიერ აგებული მთავარანგელოზის ეკლესია იყო. მისი დანგრევის შემდეგ, XIX საუკუნეში მოედანი მოაწყვეს, რომელსაც ***ნახშირისას*** ეძახდნენ. მოგვიანებით აქ ყოველდღიური ბაზრობა იმართებოდა. ამ ბაზარს „სასწორს“ უწოდებდნენ, რადგან ბაზრის გახსნისთანავე დიდი სასწორი დაუდგამთ. ეს ბაზარი ფუნქციონირებდა 1939 წლამდე ვიდრე მეჯუდის და ლიახვის შესართავთან, ე.წ. მირიანაანთ ბაღების ადგილას ახალი ბაზარი გაიხსნებოდა.

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ ემატებოდა ჩვენ ქალაქს ახალი ქუჩები, მოედნები და უბნები და როგორ იცვლებოდა არსებული მათი სახელწოდებები საბჭოთა პერიოდში.

გორში 1924 წლამდე იყო შემდეგი ქუჩები, უბნები და მოედნები[4]. აღნიშნულ წელს ზოგიერთს შეეცვალა სახელი[5]:

---

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, თელ-ავივი, 1986, გვ. 139-140.*

[2] *ДжаваховА., Гори и его окрестности, с. 71.*

[3] *Сумбадзе Л., Гори, архитектурный очерк, М., 1950, с. 33.*

აკაკის ქ.
ამილახვრის ქ. (კარალეთის ქ.)
ანტონოვის ქ.
ახალი ქ.
ახალშენის
ბებიაანთ ქ.
გიორგის ქ.
გორიჯვრის ქ.
დავრეშოვის ქ.
ეკატერინეს ქ.
ენგელმანის ქ. (სტალინის ქ.)
ელენეს ქ.
ელისაბედის (ელიზავეტის) ქ. (კლარა ცეტკინის ქ.)
ერთობის ქ.
ერისთავის ქ. (კომსომოლისტებისქ.)
ვაგზლის ქ. (ორჯონიკიძის ქ.)
ვაჟა-ფშაველას ქ.
თბილისის ქ.
თუმანოვის ქ.
ისაკის ქ.
კათოლიკების ქ. (შაუმიანის ქ.)
კვერნაქის
კვირაცხოვლის ქ.
კონსერების ქარხნის ქ.
მოკლე ქ.
ნინოშვილის ქ.
მათეს ქ.
მარქსის ქუჩა
მაჩაბლის ქ.
მეორე თუმანოვის ქ.
(არსენ ჯორჯიაშვილის ქ.)
მეორე სასაფლაოს ქ.

---

[4] *გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, არქივი №51, აღწერა №1, „სია ქ. გორის საკათედრო ღვთაებისა და ოქონის ღვთისმშობლის მიძინები სახელობის ტაძართა რელიგიურ საზოგადოების წევრთა დაბადებიდგან 18 წლისა და მეტის ხნისა“.*

[5] *იქვე, ფონდი №3, აღწ. №1,საარქივო საქმე №23, გვ. 58; სოსიაშვილი გ., საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), თბ., 2013; გვ. 261-284.*

მეჯვრისხევის ქ.
მოკლე
ნინოშვილის ქ.
ჟორდანიას
რიყის
სააზნაურო
სადგურის
სათავადაზნაურო
სამთო ქ.
სამების მოკლე ქ., იგივე სამების შესახვევი
სასწავლებლის
საკონსერვო ქარხანა
სულხანოვის
ტინისხიდის ქ.
შოთა რუსთაველის
ძველი კვირაცხოვლობის ქ.
ძვ. წისქვილის ქ.
ძველი ხაზინის ქ.
წითელარმიელების
წისქვილის
ჭავჭავაძის
ზარაფხანას ქ.
ხიდისთავის
ხოვლის
ჯორჯაძის
ჯუღაშვილის

***უბნები***

ახალშენის უბანი
გარეთუბანი
რუსის უბანი
ფრანგების უბანი
ყაზარმების უბანი
ციხის უბანი
ძველი კვირაცხოვლობის უბანი
წმინდა წყალი
წყაროს უბანი

***მოედნები***

ახალი სასწვრის მოედანი

ვორონცოვ-დაშკოვის მოედანი (გლეხთა მოედანი)
კვირაცხოვლის მოედანი
მარქსის მოედანი
1 მაისის მოედანი
სამების შესახვევი
სასწვრის მოედანი
შეშის მოედანი

**1931 წელს ზოგიერთ ქუჩას შეეცვალა სახელი:**

კვერნაკის ქუჩას დაერქვა – ინტერნაციონალის ქ.
ახალშენში უსახელო ქუჩას –კამოს სახელობის ქუჩა
ნარიმანოვის ქუჩის გაგრძელებას – იგივე სახელი
მეორე სასაფლაოს ქუჩას – 1905 წლის ქ.

კამოს სახელობის ქუჩის პარალელურ ქუჩას, რომელიც მიდ-ის ბანკისკენ – ბანკის ქ.

1905 წლის სახელობის ქუჩის პარალელურ ქუჩას – ახალშე-ნის ქ.[1]

1952 წლის 22 ივნისს  გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის დადგენილების შესაბამისად ახლად დასახლებულ ქუჩას საბჭოს და გორკის ქუჩების შუა, ჩრდილოეთით ეწოდოს  გამოჩენილი ქართველი მწერლის, ანასტასია გიორგის ასული ერისთავ-ხოსტარიას ხსოვ-ნის უკვდავსაყოფად ეწოდოს მისი სახელი.

იმავე დადგენილებით შმიტტის ქუჩას ეწოდოს მეჯვრისხევის ქ., სტურუას ქუჩას – ვანო სტურუას ქ., ლიტვინოვის ქუჩას – ბორჯომის ქ., საბჭოს ქუჩის პარალელურ ქუჩას – ბათუმის ქ.[2]

1953 წელს ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მშენებლო-ბის ტერიტორიაზე გაშენებულ ქუჩებსა და მოედანს მიენიჭა შემ-დეგი სახელწოდებები:

მოედანს – ფეიქართა მოედანი, №№1, 2, 3 ქუჩებს შესბამისად ლომონოსოვის, მაიაკოვსკის და ფეიქართა.  დაარსდა, აგრეთვე ლენინგრადის და მოსკოვის სახელწოდების ქუჩები[3].

შიდაპოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით სერიოზული ცვლილება განუცდია გორის ქუჩების სახელწოდებებს  30 წლის განმავლობაში 1921-1954 წლებში. ისიც საინტერესოა, რომ რო-გორც გორის აღმასკომის გადაწყვეტილებიდან ჩანს, ქალაქი და-

---

[1] *გორის რაიონული არქივი, საქმე 42, გვ. 43, ოქმი №7.*
[2] *იქვე, ფონდი 6, ანაწ, 1, საქმე 369, გვ. 21.*
[3] *იქვე, ფონდი 6, ანაწერი 1, საქმე 440, გვ. 32.*

ყოფილი იყო ხუთ უბნად. ბუნებრივია, მათში შედიოდა ქუჩათა გარკვეული რაოდენობა, რომელიც დაგვეხმარება მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ თითოეული უბნის საზღვრები.

***I უბანი***

1. კლარაცეტკინის ქ.
2. გაბაშვილის ქ.
3. კომკავშირის ქ.
4. მარაბდელის ქ.
5. ქარხნის ქ.
6. ტელმანის ქ.
7. სტახანოვის ქ.
8. ცეკავშირის ქ.
9. ორჯონიკიძის ქ.
10. შრომის ქ.
11. ჯავახიშვილის ქ.
12. კეცხოველის ქ.
13. ელექტროფიკაციის ქ.
14. გორიჯვრის უბანი
15. აბანოს ქ.
16. ბადის შესახვევი
17. ჩკალოვის ქ.
18. ლიახვის ქ.
19. ქართლის ქ.
20. ვოდოპიანოვის ქ.
21. ლუნაჩარსკის ქ.
22. ბამბ. ქსოვილების კომბინატი
23. გურამიშვილის ქ.
24. კიროვის ქ.
25. რუსთაველის ქ.

***II უბანი***

1. სკვერის ქ.
2. ბუდიონის ქ.
3. ჯაფარიძის ქ.
4. ბარნოვის ქ.
5. ჩაპაევის ქ.
6. კიკვიძის ქ.
7. ჩოდრიშვილის ქ.
8. მახარაძის ქ.
9. ხაშურის ქ.
10. ლენინის ქ.
11. სამკურნალოს ქ.
12. ჭონქაძის ქ.
13. კავშირის ქ.
14. ელსადგურის ქ.

***III უბანი***

1. ბელიაკოვის ქ.
2. მაქსიმ გორკის ქ.
3. ევდოშვილის ქ.
4. ჭავჭავაძის ქ.
5. ვოროშილოვის ქ.
6. 1905 წ. რევოლუციის ქ.
7. ჩიტაძის ქ.
8. მარქსის ქ.
9. ვაჟა ფშაველას ქ.
10. თბილისის ქ.
11. წერეთლის ქ.
12. ლუქსემბურგის ქ.
13. ალიმბარაშვილის ქ.
14. წ/არმიელების ქ.
15. ცხაკაიას ქ.
16. ენგელსის ქ.
17. ლომოურის ქ.
18. გრომოვის ქ.
19. კალინინის ქ.

***IV უბანი***

1. ჩელიუსკინელების ქ.
2. ოქტომბრის ქ.
3. კომუნის ქ.
4. ლიტვინოვის ქ.
5. 26 კომუნარების ქ.
6. საბჭოს ქ.
7. სტალინის ქ.
8. შაუმიანის ქ.
9. ნარიმანოვის ქ.
10. მარჯანიშვილის ქ.
11. 25 თებერვლის ქ.
12. ბესარიონ ჯუღაშვილის ქ.
13. კოლექტივის ქ.
14. ფრუნზეს ქ.
15. კომინტერნის ქ.
16. წულუკიძის ქ.

***V უბანი***

1. ძნელაძის ქ.
2. ნინოშვილის ქ.
3. ოსტროვსკის ქ.
4. ეკ. ჯუღაშვილის ქ.
5. სტურუას ქ.
6. მელიქიშვილის ქ.
7. დავითაშვილის ქ.
8. ყაზბეგის ქ.
9. პუშკინის ქ.
10. ჯორჯიაშვილის ქ.
11. დიმიტროვის ქ.
12. ბარათაშვილის ქ.
13. ბანკის ქ.
14. კლდიაშვილის ქ.
15. შმიტის ქ.
16. ტინისხიდის ქ.
17. გოგებაშვილის ქ.
18. წმინდა წყალი

მთლიად[1].

## *სახლები*

### *ცხრილი №1*

1837 წლის ანგარიშის მიხედვით გორში არსებობდა:

| სახლები კუთვნილების მიხედვით | ქვიტკირის | ხის | სულ |
|---|---|---|---|
| 1. სახაზინო | 2 | – | 2 |
| 2. ეკლესიის | 5 | 1 | 6 |
| 3. თავადაზნაურთა და მომსახურეთა | 28 | 1 | 29 |
| 4. სასულიერო პირების | 25 | – | 25 |
| 5. სალდათების | 4 | 2 | 6 |
| 6. გლეხების: | | | |
| სახელმწიფო | 367 | – | 367 |
| საეკლესიო | 109 | – | 109 |
| საბატონო | 106 | – | 106 |
| სულ | 646 | 4 | 650 |

ამ 650 სახლიდან 595 იყო ისეთი, რომ თითოეულ მათგანში 5-10 ადამიანი ცხოვრობდა, 38-ში 10-15-მდე, 17-ში 15-20-მდე[2].

მართალი არ უნდა იყოს ი. კლაპროტის ცნობა, თითქოს 300-მდე სახლი იდგა მისი გორში ყოფნის დროს (XIX ს. დასაწყისი). 30 წლის განმავლობაში სახლების რაოდენობა ვერ გაორმაგდებოდა. ზემოაღნიშნულ ანგარიშში რომ 650 სახლია დასახელებუ-

---

[1] *იქვე, ფონდი 6, ანაწ. 1, საქმე 483, გვ. 21-22.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 152, საქმე 5679, ფურც. 42-52; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 23-24.*

ლი, მისი სისწორე დასტურდება იმავე პერიოდის რუსი მოხელის ფლეროვსკის მიერ, როცა ამბობს, რომ გორში 600-მდე სახლიაო.

ქალაქის ტერიტორია იზრდებოდა. 1850-იანი წლების დასაწყისში მისი ფართობი 730 დესეტინიდან 1125 დესეტინამდე გაიზარდა. აქედან ქალაქის დასახლებას ეკავა 69 დესეტინა. იმავე პერიოდში გორში იყო 924 სახლი. მათ შორის: ქვიტკირის – 128, აგურის – 544, ხის – 150, მიწური – 102[1].

1864 წელს შედგენილ „ქალაქ გორის აღწერიდან“ ვიგებთ:

*„4. შენობებისა, და უძრავი ქონების მფლობელთა რაოდენობა ქალაქ გორში. შენობების შემდეგი რაოდენობაა:*

| | |
|---|---|
| *მართლმადიდებლური ქვის ეკლესიები* | *6* |
| *სომხურ-გრიგორიანული* | *6* |
| *რომაულ-კათოლიკური* | *1* |
| *სამლოცველო* | *7*[2] |
| *სახაზინო ქვის სახლი* | *16* |
| *კერძო ქვის სახლი* | *828* |
| *ხის* | *140* |
| *დუქანი* | *261*[3] |
| *ქ. გორში უძრავი ქონების მფლობელი* | *989“*[4] |

ამგვარად, 1864 წლისათვის გორში იყო 1265 ნაგებობა, რაც საეჭვოდ მეჩვენება. გორში დუქნები, ჩვეულებრივ, მოთავსებული იყო საცხოვრებელი შენობების პირველ სართულში ან ერთსართულიანი სახლის ერთი ნაწილი ჰქონდა დათმობილი. აიტომ ვფიქრობ, რომ ნაგებობათა საერთო რაოდენობა ნაკლები იქნებოდა.

ბატონყმობის გაუქმებამდე გორის მოსახლეობა და, შესაბამისად მათი საცხოვრებელი სახლების რაოდენობაც, ნელი ტემპით იზრდებოდა. ნათქვამი უფრო ნათელი გახდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ბოლო ორ მონაცემს. 1850-1864 წლებში გორში საცხოვრებელი სახლების რაოდენობა მხოლოდ 50-ით გაიზარდა. ბო-

---

[1] *Кавказский календарь, 1853 г., с. 277-280.*

[2] 1865 წლის ანონიმურ *„გორის მაზრის მოკლე ისტორულ მიმოხილვაში“* ნათქვამია, რომ გორში იყო 10 ეკლესია: მართლმადიდებლური-4, სომხურ-გრიგორიანული-5, რომაულ-კათოლიკური-1, სამლოცველო-7. *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 16, საქმე 2420, ფურც. 55.* შემდეგში – სეა

[3] 1802 წ. 90 დუქანი იყო. *სეა, ფ. 16, საქ. 2420, ფურც. 55.* 1864 წლისათვის კი დუქნების რაოდენობა თითქმის გასამმაგებულია.

[4] *Документы, т. I, ч. II, с. 867.*

ლო ორ მონაცემს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ უკანასკნელში ქვიტკირის და აგურით ნაშენები სახლები გაერთიანებულია ქვის სახლებში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ 50-იანი წლებიდან ახალ აშენებულ ქვის სახლებთან ერთად მრავალი ხის და მიწური სახლი შეცვლილა ქვის შენობებით. 1864 წლისათვის არც ერთი მიწური აღარ იყო.

აივნიანი სახლი ციხის უბანში

გორის ციხის ხედი ჩრდილოეთიდან



აივნიანი სახლი და ეზო გორის გარეუბანში

ალ. გარსევანიშვილის სახლი

აივნიანი სახლი ციხის უბანში

საცხოვრებელი სახლები ციხის ჩრდილო აღმოსავლეთით

ბინების საერთო რაოდენობას (974) უნდა გამოვაკლოთ 16 სახაზინო სახლი. დანარჩენი (958) კერძო საკუთრებაში იყო. სულ უძრავი ქონების პატრონი მაშინდელ გორში იყო 989 კაცი.

საინტერესოა, ზედმეტ 29 კაცს სახლი თუ არ ჰქონდა, მაშ რა სახის უძრავ ქონებას ფლობდა? თუ დუქანს ან მიწის ნაკვეთს ფლობდნენ, ძნელი დასაჯერებელია, რომ საკუთარი სახლები არ ჰქონდათ. დავუშვათ 29 კაცში ის 16 არ ითვლება, სახაზინო სახლებში რომ ცხოვრობდნენ, მაინც ვერ მივიღებთ 989 უძრავი ქონების პატრონს.

XIX ს. 80-იან წლებში გორში 1360 სახლი იდგა. მათი დიდი უმრავლესობა ერთსართულიანი იყო. სამოთახიანი ბინა ქირავდებოდა წელიწადში 200 მანეთად. სასახლკარე მიწა ძვირად ფასობდა: მთავარ ქუჩაზე 1 კვ. საჟენი 10 მანეთი ღირდა[1].

80-იან წლებში გორის სახლების და სასახლკარე მიწის გაძვირებას ქალაქში ვლადიკავკაზის პოლკის ჩაყენებას მიაწერდნენ. გაძვირება განსაკუთრებით შეიმჩნეოდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ. ბორჯომიდან და ციციშვილების ტყეებიდან დაცურებული ხის მასალა გორში ფასობდა: ფიჭვის მორი 7 ვერშოკის (ვერშოკი უდრიდა 44,45 მმ) სისქის და 11 არშინის (უდრიდა 71,12 სმ) სიგრძის, წინათ რომ 2 მანეთს ფასობდა, ახლა უკვე 5 მანეთად იყიდებოდა. იატაკის ფიცარი 1,25 ვერშოკის სისქისა, რომელიც წინათ 80 კაპიკიდან 1 მანეთამდე ღირდა, ეხლა 2-დან 2 მან. 40 კაპიკამდე გაძვირდა; 1000 ცალი ყავარი 6 მანეთი გახდა; 1000 ც. კრამიტი – 12 მან; 1000 ც. აგური – 8 მან; 1 კუბ. საჟ. გაჯი – 50 მან. ამგვარად, წინანდელთან შედარებით სახლის აშენება ეხლა ორჯერ ძვირი ღირდა[2].

როგორ მდგომარეობაში იყო XIX ს. ბოლოს გორის საცხოვრებელი შენობები და, საერთოდ, როგორ მიმდინარეობდა გორის განაშენიანება, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილი. მასში ვკითხულობთ: *„გორში შენობები მეტად ცუდ მდგომარეობაშია. აქ თითოეული სახლის პატრონი ინჟინერიც არის და მიწის მზომავიც. თუ მოიფიქრა რისიმე აშენება, ვისა ჰკითხავს, რაც უნდა მცირე და მოუხერხებელი ადგილი ჰქონდეს, მაინც დაიწყებს შენებას და ცდილობს, რომ ჩამოსჭრას ადგილი ქუჩის მხრით და თუ მეზობელს: ბევრს შენობასა*

---

[1] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 69; „ივერია“, 1899, №142.*

[2] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 70.*

*ჰნახავთ გორში, რომ ეზო არა აქვს ერთი საჟენი, თვით შენობა კი დიდი და უშველებელია, რაიცა შენობის წესების წინააღმდეგია“*[1].

ყოველივე ზემოაღნიშნული ხდებოდა საქალაქო რეფორმამდე და მის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის საკითხი საქალაქო თვითმმართველობის კონტროლს დაექვემდებარა. მაგრამ გორის ხელისუფლებამ მხოლოდ 1913 წელს მიიღო *„მოვალეობითი დადგენილებანი შესახებ ქ. გორის სამშენებლო ნაწილისა“*, რომლის ძალით ყოველგვარი სამუშაოს ჩატარება, თუ იგი ნაგებობის გარე იერსახეს ცვლიდა, აგრეთვე ყველა მშენებლობა, კაპიტალური გადაკეთება, სამშენებლო მასალების საწყობის აგება, ნიაღვარმიმღები ორმოების მოწყობა, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა და სხვა უნდა განხორციელებულიყო თვითმმართველობის ნებართვით და მისი ტექნიკოსის კონტრლით.

გორელთა საცხოვრებელი სახლების აღწერა დაგვიტოვა ე. ერმაკოვმა. მისი გადმოცემით, გორში უაღრესად ორიგინალურ სახლებს აშენებდნენ. მათი უდიდესი ნაწილი ბანიანი ან კრამიტით დახურული იყო. ამ დაბალი სახლების ბანზე აღმართავდნენ ძალიან მაღალ მილებს, რათა ბუხრიდან ამოსული ბოლი ფანჯრებში არ შესულიყო. სახურავს ყოველთვის სახლზე განიერს აკეთებდნენ, რათა მის წინ დარჩენილ ადგილში ჩრდილიანი გალერეა მოეთავსებინათ. თუ სახლი ორსართულიანი იყო, მაშინ კეთდებოდა აივანი ან შუშებიანი გალერეა. ახალ მდიდრულ მრავალსართულიან სახლებს გარედან ლესავდნენ, ხოლო გალერეებს არაბული ჩუქურთმითა და არაბული სტილის სვეტებით ამკობდნენ. ეზოს მხრიდანაც კი დიდი სახლების ყველა სართულს გალერეებში სვამდნენ. ასევე შესანიშნავი იყო ქართული სახლების კედლის წყობა.

ერთი ზომის მრგვალ ქვას ერთმანეთის გვერდით აწყობდნენ, დახრილ მდგომარეობაში, ერთ რიგს ერთი მიმართულებით, მეორეს მეორე მიმართულებით. რამდენიმე რიგის შემდეგ, სიმაგრისა და სისწორისათვის აგურით გადააშენებდნენ, რაც გაულესავ კედელს ლამაზ, ამობურცულ სახეს აძლევდა.

შეძლებულ მოქალაქეებს თავიანთი ბინები, მეტ-ნაკლებად მოწყობილი ჰქონდათ ევროპულ ყაიდაზე, როგორც ოთახების განლაგების, ისე მათი დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის მხრივ.

საშუალო შეძლების ჩვეულებრივ სახლებში წინაგადახურულიდან მოხვდებოდით ნახევრადბნელ წინა ოთახში, რომელიც ერ-

---

[1] *„ივერია“, 1899, №142.*

თსა და იმავე დროს სამუშაო, სასადილო და სასტუმრო ოთახის ფუნქციას ასრულებდა. აქვე ბუხრის ფართე პირთან იდგა ხალიჩითა და ბალიშებით გაწყობილი ხის ტახტი, რომელსაც ოთახის დიდი ნაწილი ეკავა. ამ ტახტს მრავალი დანიშნულება ჰქონდა. ოჯახის წევრები მასზე ფეხმოკეცილნი კიდეც მუშაობდნენ, კიდეც სადილობდნენ, სტუმრებთან საუბრობდნენ და კიდეც ისვენებდნენ. საერთოდ სახლში სისუფთავე სუფევდა, მაგრამ მოწყობილობა ღარიბული და უბრალო იყო. ავეჯის ეკონომიის მიზნით კედლებში რამდენიმე კარადის ფორმის ნიშს აკეთებდნენ, რომელსაც ზოგჯერ თაროებიც ჰქონდა. იქ ეწყო ხატები, ჭურჭელი, სხვადასხვა საგნები. სახლის სიღრმეში აუცილებელი იყო კიდევ ერთი უკანა ოთახი, თითქმის ყოველთვისბნელი, რომელიც მასპინძლის საძილე ოთახს და საკუჭნაოს წარმოადგენდა, იატაკზე ყოველთვის ეფინა ხალიჩები ან ნაბდები[1].

რათა გასაგები გახდეს თუ როგორ შეიცვალა გორელების საცხოვრებელი პირობები ერთი საუკუნის მანძილზე, ამისათვის გავიხსენოთ გორის ისტორიის I ტომში დამოწმებული ი. კლაპროტის ნაშრომში აღწერილი გორის სახლები.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, გორში ყველაზე კეთილმოწყობილი და ფართე საცხოვრებელი იყო ამილახვრების სასახლე. ეს ნაგებობა დღესაც არსებობს, მაგრამ ძლიერ სახეშეცვლილი. მასში საბჭოთა პერიოდში განთავსებული იყო სხვადასხვა დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება, რამაც გამოიწვია მისი სახეცვლილება. საჭიროების მიხედვით ხდებოდა ოთახებს შორის ტიხრების გადაადგილება, „ზედმეტი“ არქიტექტურული დეტალების მოშორება და ა.შ. XX ს. 80-იანი წლების დასასრულისათვის იგი, ქალბატონ თამარ დვალის აღწერილობით ასე გამოიყურებოდა: *„აივანი შემინულია, დაქუცმაცებულია ტიხრებით; აღარ არსებობს სადარბაზოს შესასვლელზე მიდგმული ლითონის პორტიკი, აგრეთვე, ფასადის მარცხენა მხარეს ადრე არსებული ფართო შეისრული თაღი, რომელშიც ლითონის ორნამენტირებული ალაყაფის კარი ეკიდა. ა. ს. (ამილახვრების სახლი – ე. მ) ერთსართულიანია, დგას ცოკოლზე. გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია (36x18 მ.), ნაშენია აგურით. შესასვლელი ორი აქვს – ქუჩიდან (სადარბაზო) და ეზოდან (ხისსვეტიან აივნიდან). გეგმა კორიდორული სისტემისაა, ერთმანეთისგან იზოლირებული საცხოვრებელი ოთახები გრძელი დერეფნის ორივე მხარესაა განლაგებული. დერეფნის*

[1] *გსიემ, №840, ფურც. 57-58; ჯავახიშვილი თ., გორი ჩემს მეხსიერებაში, „გამარჯვება“, 1970, №13.*

*ბოლოს დამხმარე სათავსოებია. ეზოს მხარეს, შუაში – წაგრძელებული სადარბაზო ოთახია (დაახლ. 90 კვ მ), რომელიც აივანზე გადის. აივნის ორივე მხარეს, ერთმანეთის სიმეტრიულად თითო მეოთხედწრიული კიბეა. ინტერიერში საყურადღებოა შორენკეცებითა და თაბაშირის ორნამენტული დეტალებით მორთული ბუხარი (სადარბაზოში) და 3 ღუმელი. სარდაფში ჩასასვლელი ეზოდანაა. სარდაფის კიბის ორფერდა სახურავი ლითონის სხმულ, ორნამენტიან სვეტებს ეყრდნობა. შენობის მთავარი ფასადი არქიტექტული დეკორით (რთული პროფილები, ლავგარდანი, მაღალი პარაპეტი, შვერილი პილასტრები და ა. შ.) მდიდრულადაა მორთული. პილასტრები ფასადს არათანაბარ მონაკვეთებად ყოფს. შენობის ცენტრი მკვეთრად არის გამოყოფილი. მისი არე განიერია. პარაპეტზე დადგმულია ქონგურისებრი დეტალი, რომელშიც ადრე ჩასმული იყო საგვარეულო გერბის რელიეფური გამოსახულება. შენობის კედელი რესტავრირებულია ნალესობაში გამოყვანილი ღარებით. პილასტრები დანაწევრებულია სხვადასხვა სირთულის ჰორიზონტალური პროფილებით, რომლებიც განლაგებულია ცოკოლის, სარკმელების, ლავგარდნისა და პარაპეტის დონეზე. სარკმლებს მსგავსი მოჩარჩოება აქვს. მთელ ფასადს გასდევს ძლიერ შვერილი ლავგარდენი“[1].*

ივანე ამილახვარის სასახლე

[1] *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ 35-36.*

ამილახვრების სასახლე გორში გამოირჩეოდა თავისი შესანიშ-ნავი ბაღითა და ელექტროგანათებით. მას ავტონომიური ელექ-ტროსადგური ჰქონდა.

ივანე ამილახვარის სასახლის ბაღი

გასაბჭოების წინა პერიოდში გენერალ ივანე ამილახვრის ქვრივ ანასთან სასახლეში ცხოვრობდა მისი სიძე, გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ნიკოლოზ თუმანიშვილი ოჯახი-თურთ. ულამაზესი დიდი კნეინა ანა, როგორც მას გორელები ეძახდნენ, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლის მარია თეოდო-რეს ასულის სეფე ქალი იყო.

ამილახვრების სასახლის მისაღებში კედელზე ეკიდა ანას უზარმაზარი სურათი, დიდი რუსი მხატვრის ვასნეცოვის მიერ დახატული[1]. იისფერშლეიფიანი კაბით წარმოდგენილი ანა წარუშ-ლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. იქვე ეკიდა, თურმე, უცნობი მხატ-ვრის სურათი – *„თამარ მეფე კუბოში“.*

სასახლის სადარბაზო კარზე მიკრული იყო ორი მარმარილოს დაფა. ერთზე ეწერა: *«Сей дом осчастливлен посещением Государя Императора Александра III 1895 год».* მეორეზე კი, *«Сей дом осчастливлен посещением наследника престола Николая»*[2].

---

[1] ვიქტორ მიხეილისძე ვასნეცოვი ცნობილი რუსი მხატვარი. საქართველოში იმყოფებოდა ორჯერ, 1900 და 1903 წლებში. ვერ ვიტყვი რომელ წელს ან სად დახატა მან ანა ერისთავი. არავითარ ცნობას არ შევხვედრივარ მხატვრის გორში ყოფნის შესახებ.

[2] *ჯავახიშვილი თ., გორი ჩემს მეხსიერებაში, „გამარჯვება“, 1970, №13.*

იმპერატორის გორში ყოფნის შესახებ გვაქვს სხვა ცნობებიც, რომლებიც გამოაქვეყნა გაზეთმა დროებამ 1871 წელს.

25 აგვისტოს „დროების“ კორესპონდენტი ქ. ზ. (ზარაფიშვილი) იტყობინებოდა გორიდან ქალაქში არსებულ ანტისანიტარიაზე და ბოლოს წერდა: *„საკვირველი ის არის კიდევ, რომ ხელმწიფის მობრძანების ხმამაც არავის ყური არ შეაბერტყინა არც ამ ქუჩების სისუფთავეზედ და არც სხვა რაზედმე: მაგ. არც არავინ სახლებს ათეთრებს, აშნოიანებს გარედგან, როგორც იციან ამისთანა შემთხვევაებში; არამც თუ კერძო პირნი თავიანთ სახლებს არ აშნოიანებენ, არამედ იმ შენობაებსაც ყურს არავინ უგდებს, რომლებიც შეადგენენ ხაზინის კუთვნილებას, როდესაც რომა ყოველს წელიწადს გადადებული არის ხაზინიდგან რამდენიმე ფული ამ სახელმწიფო შენობების რემონტისათვის. ჯერ ყოველფერი ასრეა ჩვენს გორში, და არ ვიცი, ამას იქით რა იქნება“*[1]

1871 წლის 25 სექტემბერს გორს სწვევია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II. იმპერატორის მოლოდინში დიდ ფაცა-ფუცი ყოფილა. მთელი კვირის განმავლობაში. *„სად გორის მაზრის უფროსი ცხენოსან ოსებს შინჯავდა, ამწკრივება ერთად და არიგებდა, თქვენ ამა და ამ სტანციაში უნდა დახვდეთ იმპერატორსაო, თქვენ ამ და ამაშიო; სად გორის ჯარის უფროსი სალდათებს სწვრთნიდა; სად ეშურებოდნენ საჩინო კედელი შენობისა მაინც გავლესოთო; სად თავადაზნაურობა ცალკე და გლეხობა ცალკე შეყრილიყვნენ ქუჩებში და ერთი დავიდარაბა და აყალმაყალი ჰქონდათ. უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა სოფლებიდგან 23-ს ჩამოვიდა აქ, რადგან ხელმწიფეს მეორე დღეს მოელოდნენ. ამ ჩამოსულებმა გააღვიძეს გორი, შნო დასდვეს მას და ვაჭრობასაც ბევრი სარგებელი მისცეს. ხელმწიფე იმპერატორი 25 ჩამობრძანდა აქ, მეორე საათზე და სწორედ საათნახევარი დაჰყო“.*

*„გორის უეზდის მარშალთან ზაკუსკის შემდეგ, რომელზედაც რამდენიმე თავადაზნაური იყვნენ, ხელმწიფე იმპერატორი მესამე საათზე წაბრძანდა აქედან“*[2] – იუწყებოდა გორიდან გაზეთ დროების კორესპონდენტი ზარაფიშვილი.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე პირველად არ იმყოფებოდა საქართველოში. 1852 წელს ის, ტახტის მემკვიდრე, ეწვია გორს. მას ახლდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობის უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე, ცნობილი ვასილ იოსების ძე ბებუთოვი. სტუმრები პირდა-

---

[1] *„დროება“. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1871. 03. 09. №35.*
[2] *იქვე, 09. 10, №40.*

პირ გორის ციხეზე ავიდნენ სანახავად, სადაც დახვდა საქართველოს და გორის ისტორიის კარგი მცოდნე  დავით ივანეს ძე ზუბალაშვილი, რომელმაც სტუმრებს მოუთხრო გორის თავგადასავალი. ტახტის მემკვიდრეს მასპინძლობდა თავადი ალექსანდრე ერისთავი თავის სახლში. ვიდრე ალექსანდრე რომანოვი ერისთავს სტუმრობდა, დავით ზუბალაშვილიც მის სახლში იმყოფებოდა[2].

იმპერატორ ალექსანდრე მეორის სტუმრობის შემდეგ, მისი გორში ყოფნის აღსანიშნავად დიდი ქუჩისათვის დაურქმევიათ „სამეფო ქუჩა“. მის შესახებ წერს თავის შესანიშნავ ნარკვევში „ქალაქი გორი“ ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც 1880 წელს დაინიშნა გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად. „გორში 36 ქუჩაა, მათ შორის 3 საკმარისად სწორი.  ყველაზე სწორი მაინც სამეფო ქუჩაა, რომელსაც ეს სახელი შეერქვა აწ გარდაცვლილი მეფის ალექსანდრე მეორის გორში სტუმრობის გამო 1871 წელს“[3].

*

მარმარილოს დაფებზე წარწერებში ასახული ფაქტებისადმი, რომელთა შესახებ გვამცნობენ თ. ჯავახიშვილი და მ. ხუციშვილი ეჭვს აჩენს მათში მოცემული თარიღები. მხოლოდ არსებობს გადმოცემა, რომ გორის მთავარ ქუჩას იმპერატორ ალექსანდრე III-ის, თუ ალექსანდრე II-ის ჩვენ ქალაქში სტუმრობის გამო ეწოდა სამეფო ქუჩა, რაც უნდა დაზუსტდეს

დაფებზე აღნიშნული ორი იმპერატორის – ალექსანდრე III-ის და ნიკოლოზ II-ის საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იმპერატორი – ალექსანდრე III საქართველოს ეწვია 1888 წლის სექტემბერში. ის 25 სექტემბერს ახალი ათონიდან გაემგზავრა ბათუმში, იქიდან კი თბილისში. ეწვია ბორჯომს, სადაც მოინახულა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, თბილისში ჩავიდა 28 სექტემბერს. ის იმყოფებოდა კახეთში – კარდანახში, საიდანაც დაბრუნდა თბილისში და გაემგზავრა ბათუმისაკენ. მან გზად მოინახულა ქუთაისი, გელათი, ჩავიდა ბათუმში და გემით გაემგზავრა რუსეთისკენ. ამგვარად, ალექსანდრე III-ის ყოფნა გორში არ დასტურდება

---

[2] *თუთაევი აღ., წერული რედაქციას (დავით ზუბალაშვილის ბიოგრაფია) // ივერია, №126,  01. 06. 1904, გვ. 3.*

[3] *ხუციშვილი მ., გორის ქუჩები // „ლიახვი“, გორი, 1976, გვ. 86.*

რაც შეეხება ნიკოლოზ II-ს, მისი მოგზაურობა საქართველოში განპირობებული იყო რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისადმი თვალის მიდევნების ინტერესით. რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომის პარალელურად 1914 წელს. მსოფლიო ომის დროს რუსეთი და ოსმალეთი სხვადასხვა დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ: რუსეთი – ანტანტაში, გერმანია – ოთხთა კავშირში. იმპერატორი ეწვია მხოლოდ თბილისს და გაემგზავრა ყარსში[1].

ამილახვრების სასახლის სადარბაზოს კარზე წარწერებს ხაზი უნდა გაესვა ამილახვრების სასახლის გამორჩეულობისა და თავადების ოჯახის ავტორიტეტისათვის, რომელსაც სიახლოვე ჰქონდა საიმპერატორო კართან. მაგრამ წარწერათა აუთენტურობის დადგენა შეუძლებელია ვიდრე ახალი ცნობები არ აღმოჩნდება.

შეიძლება ვარაუდი, რომ რადგან ორივე იმპერატორმა საქართველოში იმოგზაურეს სხვადასხვა დროს მატარებლით ბათუმიდან თბილისისკენ და თბილისიდან ბათუმისკენ მგზავრობის დროს უცილობელად გავლა მოუხდებოდათ გორთან. როგორც სხვა ქალაქების ისე გორის მოსახლეობაც ინფორმირებული იქნებოდა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე და ადგილობრივი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ ქალაქის მოსახლეობას „გულწრფელი“ სიყვარული გამოემჟღავნებინა ალექსანდრე III-ის და სხვა მაღალი სტუმრების მიმართ. გორისა და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობა მობილიზებული იქნებოდა რკინიგზის სადგურზე, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ქალაქიდან საკმაოდ იყო დაშორებული და მისი ტერიტორია გორს არ ეკუთვნოდა. ალბათ, მატარებელი მცირე ხნით შეჩერდა გორის სადგურზე და შემდეგ გააგრძელა გზა თბილისისკენ.

რაც შეეხება ნიკოლოზ მეორის საქართველოში ჩამოსვლას, ის დაძაბულ საშინაო და საერთაშორისო პერიოდს დაემთხვა და, შეიძლება იმპერატორის მატარებელმა ბათუმიდან თბილისამდე საზეიმო შეხვედრების გარეშე გაიარა.

---

[1] *Пипиа Б., Великие в Грузии: от аргонавтов до Марадоны.*
*https://sputnik-georgia.ru/columnists/20160601/231936377.html*
*https://sputnik-georgia.ru/columnists/20160824/233068256.html*

ამგვარად აღნიშნული წარწერები არასწორია: ალექსანდრე III-მ გორთან გაიარა არა 1895 წელს (ამ დროს ის უკვე გარდაცვლილი იყო), არამედ 1888 წელს. რაც შეეხება ნიკოლოზ II-ს, ის, ვფიქრობ, გორელებს არც უნახავთ და შესაბამისად ვერც ამილახვრებს ესტუმრებოდა. თანაც, როდესაც მან გორთან გაიარა 1914 წელს, ის იმპერატორი იყო და არა ტახტის მემკვიდრე. არ შეიძლებოდა ასეთი უზუსტობები დაეშვა სახელოვან ივანე ამილახვარს, რომელიც პირადად იყო მომსწრე და მონაწილე ორივე იმპერატორის ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდების. ივანე 1873 წლიდან იყო გენერალ-მაიორი, 1883 წლიდან გენერალ ლეიტენანტი, 1901 წელ მიანიჭეს გენერალ-ადიურანტის საპატიო წოდება. 1893 წლიდან ეკავა კავკასიის საარმიო კორპუსის მეთაურის თანამდებობა. ვერც ის და ვერც მისი ოჯახის წევრები ვერ იკადრებდნენ სასახლის სადარბაზოს კარზე მიეკრათ ისეთი შინაარსის წარწერა, რომელიც არ ასახავდა სინამდვილეს. მას ასეთ თვითნებობას არ აპატიებდნენ არც მის თანამედროვე გორელები და არც ხელისუფლება. გამომრჩა მეთქვა, რომ ანა ერისთავი-ამილახვარი იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლის მარია თევდორეს ასულის სეფე ქალი იყო.

ანა ერისთავი-ამილახვარი

ერთი რამეც არის გასათვალისწინებელი. როცა ალექსანდრე მეორე გორს ეწვია იმ დროს ამილახვრების სასახლე ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაშასადამე იმპერატორი თავისი სტუმრობით ვერ გააბედნიერებდა ივანე ამილახვრის ოჯახს. იგი აგებულია XIX ს. მიწურულში.

ამგვარად, კავკასიაში მოგზაური რუსეთის არც ერთი იმპერატორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სტუმრად ამილახვრების სასახლეში.

ჩემთვის და მრავალი გორელისთვისაც გასაკვირი და სამწუხარო იყო ეროვნული ხელისუფლების მოპყრობა ამილახვრების სასახლისადმი, გორის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული და არქიტეტურული ძეგლის მიმართ. მოსალოდნელი იყო,

რომ სასახლის მიმართ შეიცვლებოდა დამოკიდებულება და მას არ მოეპყრობოდნენ, როგორც ძეგლს. მაგრამ იმედი არ გამართლდა. იგი სხვადსხვა მუშტარს მიჰყიდეს. დღეისათვის იქ განთავსებულია ბანკი, აფთიაქი და სხვ.

*

გორის საცხოვრებელ სახლებზე საუბრის დასასრულს აუცილებლად უნდა აღინიშნოს მათი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – პირველი სართულის ქვემოთ, მიწის დონეზე დაბლა მდებარე ***სარდაფების*** შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო და არის კიდეც სხვადასხვა დანიშნულებით.

საინტერესო სარდაფებია შემორჩენილი გორის ისტორიულ ზონაში არსებულ დღევანდელ ქუჩებზე. ესენია: ე.წ. ციხის უბანსა და ციხის ძირის უბანში – დღევანდელი ბახტრიონის, ახალი იერუსალიმის, ა. წერეთლის, შ. ხერხეულიძის და შ. ჩიტაძისა ქუჩები; ისტორიულ ვარდისუბანში – დღევანდელი შოთა რუსთაველის, თამარ მეფისა და სამეფო ქუჩები; ისტორიულ რუსთუბანში – დღევანდელი ჟ. შარტავასა და ვ. კახნიაშვილის ქუჩები.

დასახელებულ ქუჩებზე არსებული სახლები XIX-XX ს. პირველი ნახევრით თარიღდება, მათი სარდაფები კი, სავარაუდოა, იყოს უფრო ხანდაზმული.

*„აშკარაა, რომ აღწერილ საცხოვრებელ სახლთა უმეტესობა მე-20 საუკუნის დასწყისშია*[1] *ნაგები, – წერს ვ. შანიძე, – მაშინ როდესაც მიწისქვეშ არსებული მათი სარდაფები და ნახევარსარდაფები, როგორც საშენი მასალით, ასევე მხატვრული გადაწყვეტით „თავისი“ სახლისაგან სრულად განსხვავებულია“*[2]. იგივე მკვლევარი არ გამორიცხავს, რომ დღეს არსებულ სახლთა საძირკველში შემორჩენილი იყოს ადრინდელი საცხოვრებელ სახლთა ან საზოგადოებრივ ნაგებობათა ძველი ფენა, რომელიც XVIII-XIX საუკუნეების და ეგება უფრო ადრეული ქალაქის განაშენიანებაზე შეგვიქმნიდა წარმოდგენას[3]. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 1633 წელს როსტომ მეფის დროინდელი გორისციხის

---

[1] ქალაქში ინტენსიური აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა 1920 წლის გამანადგურებელი მიწისძვრის შემდეგ და არა საუკუნის დასაწყისში.

[2] *შანიძე ვ., გორის განაშენიანების ისტორიისათვის // საქართველოს სიძველენი, 12, თბ., 2008, გვ. 284.*

[3] *იქვე.*

მთავარი შესასვლელის, ახალი იერუსალიმის ქ. №7 და ბახტრიონის ქ. №13/17 შორის აგურისა და ქვის წყობის მსგავსება, რაც მშენებლობის თანადროულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. XVIII საუკუნეზე მიგვანიშნებს შ. ჩიტაძისა და ჟ. შარტავას ქუჩების სარდაფებში ნიშების ფორმები და პროპორციები და სხვ. XIX საუკუნისად შეიძლება მივიჩნიოთ ა. წერეთლის ქ. №24 და ჟ. შარტავას ქ. №7 და №7ა სარდაფის ინტერიერები[1].

გორის საცხოვრებელი სახლების სარდაფების, მათი სივრცის, განათების წყაროებისა და მიზნობრივი ჩაშენებების (ნიშები, თახჩები, ბუხრები) მიხედვით, შეიძლებოდა ერთდროულად სხვადასხვა ან ერთი რომელიმე გარკვეული მიზნით, მაგალითად: საცხოვრებლად, დუქან-სახელოსნოდ, ქარვასლად ან სამეურნეო ნაგებობად გამოყენება.

## *ეკლესიები*

გორის ეკლესიების შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ითქვა ამ ნაშრომის პირველ წიგნში. ამჯერად მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ 1920 წლის თებერვლამდე გორში 14 ეკლესია იყო. მათ შორის ქართული-მართლმადიდებლური – 6; სომხურ-გრიგორიანული – 7 და რომაულ-კათოლიკური–1. საკუთრივ ქალაქში იყო 7 (3 ქართულ-მართლმადიდებლური, 3 სომხურ-გრიგორიანული და 1 კათოლიკური) დანარჩენი ქართულ და სომხურ სასაფლაოებზე იყო განლაგებული.

გორის ეკლესიებს შორის სიძველით, არქიტექტურული სტილითა და მნიშვნელობით, ა. ჯავახიშვილის მიხედვით, გამოირჩეოდა სამი: ***ქართული – მიძინებისა, სომხური – წმ. სტეფანესი და კათოლიკური ეკლესია.*** იმავე პერიოდის (XIX ს. 80-იანი წლები) გორის ეკლესიებიდან ე. ერმაკოვი განსაკუთრებით გამოჰყოფს და უპირატესობას ანიჭებს ქართულ ***ოქონის*** ეკლესიას. იგი წერს: *„გორის ძველ ეკლესიებს სიძველისა და ხასიათის მიხედვით ძნელად ეყოლება მეტოქე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია. მისი პატარა, მიწაში ჩაზრდილი, ხავსმოკიდებული სამრეკლო, პირამიდული ქვის სახურავით, ბზარებში ამოსული ბალახით, ქვედა სართულის ბრტყელ შვერილზე ყვავილების მწვანე გვირგვინებით და ბალახით, წარწერებით აჭრელებული უძველესი თუჯის დაფით, რომელიც კედელშია ჩაყოლებული, ქვევით, თითქმის მიწისქვეშ მიმავალი საფეხურებით, შეიძ-*

[1] *იქვე, გვ. 285.*

*ლება შევადაროთ მოსკოვის ყველაზე უძველეს სალოცავს, ასევე მიწაში ჩასულ სპას-ნაბორუს ეკლესიას“*[1].

წმ. სტეფანეს სომხური ეკლესიის შეფასებისას ა. ჯავახიშვილის და ე. ერმაკოვის აზრი ემთხვევა.

***წმ. სტეფანეს*** ეკლესია გორში უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა დანგრეულიყო. ამ ეკლესიის აღდგენისათვის დიდი თანხა ჩასდეს გორელმა ვაჭრებმა ძმებმა თუთუნოვებმა. მათ მნიშვნელოვანი თანხა შეუწირავთ ოქონის ქართული ეკლესიისათვისაც[2]. ა. ჯავახიშვილის მიხედვით, 80-იან წლებში წმ. სტეფანეს ეკლესია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მისი პირამიდული ფორმის გოთური სახურავი დაფარული იყო ფერადი შორენკეცით. შესასვლელის თავზე აგებულ პატარა კოშკში ეკიდა სხვადასხვა სიდიდის ზარები. ეს ეკლესია სამსართულიანი იყო: ზედა ორი სართული შეიძლებოდა ორ დამოუკიდებელ ეკლესიად ჩათვლილიყო, ხოლო დაბლა სართული წარმოადგენდა აკლდამას, სადაც ინახებოდა სამი უცნობი თავმოკვეთილი წმინდანის ნაწილები[3]. დაახლოებით ასეთივე გარეგნობისას აგვიწერს ე. ერმაკოვი წმ. სტეფანეს ეკლესიას.

გორის კათოლიკეთა ეკლესიაზე ა. ჯავახიშვილი ამბობს: *„კათოლიკური (ეკლესია – ე.მ.), აშენებული კაპუცინელთა ორდენის მისიონერების მიერ XVII საუკუნეში“.* დაუჯერებელია, რომ მან, გორის წარსულის კარგმა მცოდნემ არ იცოდა აშენების დრო კათოლიკეთა იმ ეკლესიის, რომელიც დღეს მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარია და ამშვენებს ჩვენს ქალაქს.

1920 წლის მიწისძვრას გადაურჩა მეტ-ნაკლებად დაზიანებული ოთხი ეკლესია, რომელთაგან სამი მოქმედი იყო: ოქონის (ამჟამინდელი წერეთლის ქუჩის დასაწყისში, სკვერის ადგილას), ოდნავ აღმოსავლეთით იმავე ქუჩაზე (ამჟამად საცხოვრებელი სახლებია, წერეთლის ქ. №3, 5-7) წმ. სტეფანესი და კათოლიკების ეკლესია. მეოთხე ეკლესია – სამებისა მოქმედი აღარ იყო. იგი მდებარეობდა ქალაქის განაპირას უძველეს სასაფლაოზე (ამჟამინდელ სტალინის მოედანზე, უფრო ზუსტად ყოფილი უნივერმაღის ადგილას). სამება უნდა მდგარიყო ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის ადგილას, რომელიც, ალბათა, XIX საუკუნეში დაინგრა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიის და სამღვდელოების განადგურება თავის პირველი რიგის ამოცანად დაისახა და გეგმაზო-

---

[1] *გსიემ, №840, ფურც. 58.*

[2] *იქვე, №8074/II, გვ. 67.*

[3] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 70.*

მიერად ახორციელებდა კიდეც. ჯერ კიდევ 1923 წელს საქართველოში 1500-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი დახურეს და სამეურნეო დანიშნულების ობიექტებად გადააქციეს. მოუვლელობის გამო მრავალი ეკლესია დაზიანდა და დაინგრა.

სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის 1924 წლის 24 იანვრის დადგენილებით, გორის კათოლიკური ეკლესია დახურეს, ხოლო 1927 წლის 12 აპრილის დადგენილებით კი ოქონის და სამების ეკლესიები დაანგრიეს.

გორის მრავალრიცხოვან მართლმადიდებელ მრევლს უჭირდა უეკლესიოდ ცხოვრება და მღვდლების – ალექსანდრე ტლაშაძის და გიორგი ბიბილურის თაოსნობით, თავიანთი სახსრებითა და შრომით, ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ააშენეს ახალი. ეს ის ღვთისმშობლის პატარა ეკლესიაა წერეთლის ქუჩაზე, დღესაც რომ მოქმედებს.

## *აბანო*

რუსთაველის ქუჩაზე დღესაც არის რესტავრირებული ძველი აბანო, რომელსაც, რატომღაც ***„ერეკლეს აბანოს“*** ეძახიან. ეს აბანო 1802 წლის გეგმაზე აღნიშნული არ არის და რომ იყოს, მაშინ ქალაქის გალავანიდან საკმაოდ დაშორებული იქნებოდა. ამიტომ საეჭვოა, ის ერეკლეს დროინდელი იყოს. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ გეგმაზე გორისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აბანო საერთოდ არ არის აღნიშნული. მაშინ, როცა 1803 წ. შედგენილ დოკუმენტში, გორში ჩამოთვლილ მეფის კუთვნილ ნაგებობათა შორის დასახელებულია აბანო. ეს უნდა იყოს წერეთლის ქუჩაზე ე.წ. ***„ერეკლეს აბანო“,*** რომელიც, ალბათ, 1802-1803 წლებში აშენდა. ამ აბანოს XIX საუკუნეში ფლობდა ვინმე სულხანიშვილი და აბანოც *„სულხანაანთ“* სახელს ატარებდა. იგი ნაგებია ქართული აგურით, შედგება ორი გუმბათ-თაღიანი ოთახისგან, კედლებში დატანებულია თიხის მილები, ნაგებობისათვის წყლის მისაწოდებლად. წყალს ჭიდან ქაჩავდნენ და დიდ აბაზანაში აგროვებდნენ, გაცხელების შემდეგ წყალი წვრილი მილებით ნაწილდებოდა მთელ აბანოში.



„ერეკლეს აბანო“, ნაგებობის ჭრილი.
არქიტ. ვ. წილოსანი, 1947 წ.[1]

ეს ნაგებობა, რესტავრირებული, დღესაც დგას რუსთაველის ქუჩაზე. ვეჭვობ, „ერეკლეს აბანო“ გორის მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ის, ალბათ, ქალაქის არისტოკრატიას ემსახურებოდა.

აბანო ამჟამინდელ მდგომარეობაში

[1] გორის ძველი აბანო, განაკვეთი AB-ზე – გსიემ 5268.

საყოველთაო სარგებლობის ერთი აბანოა დასახელებული გორის მაზრის უფროსის ნესტოროვსკის მიერ 1842 წელს შედგენილ „გორის მაზრის სტატისტიკურ მიმოხილვაში“. აბანო ქალაქის ხაზინას ყოველწლიური გადასახადის სახით 5 მანეთს აძლევდა.

ერთი აბანოს არსებობაზე მიუთითებდა ა. ჯავახიშვილი 1880-იანი წლების გორში და, ალბათ, ისიც „ერეკლეს აბანოს“ გულისხმობდა. ეს უნდა იყოს ღამბარეულის დიდად პოპულარული აბანო (იხ. აქვე „გარეუბნები“).

1934 წელს გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აბანო მიჰყიდა გორელ მოქალაქე ბარამაშვილს 1600 მანეთად. შემდეგში კომუნალური მეურნეობის განყოფილების ტექაღრიცხვის ბიუროს გადაუფასებია აბანო 14657 მანეთად, ამორტიზირების პროცენტი დაუდგენია 50%. ამიტომ აბანოს საბოლოო ღირებულება განუსაზღვრავს 7329 მანეთით. გორის რაიონული არქივში დაცული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქალაქის მთავრობას შემდეგში აზრი შეუცვლია იმის გამო, *„რომ „ერეკლესეული აბანო“, როგორც ქართული საერო არქიტექტურის საინტერესო ძეგლი, შენარჩუნებულ იქნას ქალაქისათვის, რისთვისაც მოქ. ბარამაშვილს მიეცეს აღნიშნული შენობის საფასური-თანხით 7329 მანეთი“.* იქვე აღნიშნული იყო, რომ მოქ. ბარამაშვილს ქალაქისათვის უკლებლივ უნდა დაებრუნებინა აბანოზე მოხსნილი მასალები – აგური და ქვები.

1957-1958 წლებში აბანოს ჩაუტარდა სამეცნიერო-სარემონტო სამუშაო ო. გოგელიას, ხოლო 1983 წელს საკონსერვაციო სამუშაოები დ. ჭიკაიძის ხელმძღვანელობით. 2015 წლის 9 დეკემბერს აბანოს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი[1].

## *სასტუმროები*

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, კერძოდ, ა. ჯავახიშვილის გადმოცემით, გასული საუკუნის 80-იანი წლებში გორში ოთხი სასტუმრო იყო, სხვა ცნობით კი სამი[2], მაგრამ ძნელია თქმა იმისა, ის სასტუმროები იგულისხმება თუ არა, რომლებსაც ქვემოთ დავასახელებ. მათ, ალბათ, თავისი სახელებიც ჰქონდა. მოღ-

---

[1] *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 38; ილარიშვილი ე., ძველი აბანო // მუზეუმის მოამბე. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გაზეთი, №1(7), 2016 წლის იანვარი.*

[2] *გსიემ, №535, ფურც. 52 ფ. 1448, №903.*

წეულია მხოლოდ ერთის სახელი – „ვარშავა“[1], მაგრამ არ ვიცი, სად მდებარეობდა იგი. საგულისხმოა, რომ ეს სასტუმრო, ისევე, როგორც თითქმის ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულება, მეფის ქუჩაზე მდებარეობდა[2].

1882 წელს, გორში ყოფნისას, აკაკი წერეთელი სასტუმროში გაჩერდა[3]. საფიქრებელია, ეს სასტუმროც იმავე ქუჩაზე, რკინიგზის სადგურთან ახლოს იყო, რადგან აკაკი და მისი გამცილებლები სასტუმროდან სადგურისაკენ ფეხით წავიდნენ.



გორის სადგური საპატიო სტუმრის მოლოდინში

*„ქალაქში მთის თავზე, ძველი ციხის გვერდით მდებარე“* სახლში მოთავსებული იყო *„ისრაელების პატარა სასტუმროც“*, სადაც რამდენიმე დღე (1869 წლის 14-16 მაისი) გაატარა ცნობილმა ებრაელმა მოგზაურმა იეჰუდა ჰალევი ჩორნიმ[4]. ამ სასტუმროს შესახებ შემდეგ პერიოდში აღარაფერია ცნობილი.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1970, გვ. 634. „დროება“, 1882, №61.*

[2] *ცაგარელი ა., კომედიები, თბ., 1936.*

[3] *დროება, 1882, №61.*

[4] *იეჰუდა ჩორნი, მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია) / ებრაულიდან თარგმნა და*

XX ს. 10-იან წლებში არსებობდა ერთი არაოფიციალური „სასტუმრო“, რომელიც მოთავსებული იყო ამილახვრების სასახლესა და მ. სააკოვის სახლის პირდაპირ, ამჟამინდელი სტადიონისა და ლიახვის ხიდისაკენ მიმავალი ქუჩის (ჭავჭავაძის ქუჩა) მეორე მხარეს, ერთსართულიან სახლში. იგი ეკუთვნოდა ებრაელს, რომელსაც ქვასი მიხას ეძახდნენ. „სასტუმრო“ ემსახურებოდა ცხინვალელ ებრაელ ვაჭრებს, რომლებიც თბილისში დაიარებოდნენ[1].

## ბაზარი

XIX ს. დასაწყისში ი. კლაპროტის მიხედვით, გორის ბაზარი ასამდე საწვრილმანო დუქნისაგან შედგებოდა[2]. ეს გერმანელი მეცნიერ-მოგზაური არაფერს ამბობს, როგორ იყო განლაგებული დუქნები, როგორი იყო მისი გარეგანი და შინაგანი ხედები. ალბათ, ამის აღნიშვნა მან ზედმეტად მიიჩნია, რადგან გორის ბაზარი მისთვის ჩვეულებრივი აღმოსავლური სტილის ბაზარი იყო, რა თქმა უნდა, არა ისეთი, როგორი ფრანგმა შარდენმა XVII საუკუნეში აგვიწერა[3], მაგრამ მაინც გადახურული და ემთხვეოდა ახლანდელი კასტელის და მარჯანიშვილის ქუჩებს, როგორც 1802 წლის გეგმაზეა ასახული.

გორელები თავიანთ გადახურულ ბაზარს „ბნელ რიგებს“ უწოდებდნენ, რადგან იგი ყავრით გადახურული ქვაფენილიანი ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული მაღაზიების და დახლების გალერეას წარმოადგენდა. დახლებს შორის სივრცე მართლაც ჩაბნელებული იყო და სახელიც აქედან მიიღო გორის ყველაზე გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრმა, დახურულმა ბაზარმა – „ბნელი რიგები“.

ერთ-ერთი თანამედროვის აღწერილობით, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, „ბნელი რიგები“ მოგვაგონებდა ძველ სპარსულ ბაზარს, სადაც მქსოველებს და ხალიჩების ოსტატებს თავიანთი მრავალფეროვანი ნახელავი, მუშტრის მისაზიდად მიწაზე დაფე-

---

*შენიშვნები დაურთო ი. დავიდმა იხ. მისი „ნაწერები“, I, თელ-ავივი-იერუშალაიმი, 1976, გვ. 136.*

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, თელ-ავივი, 1986, გვ. 142.*

[2] *Klaproth I., Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den lahren 1807 und 1808, II, Halle und Berlin, 1814, S. 327.*

[3] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 190-192.*

ნილი ჰქონდათ. გორის ბაზარშიც ხალიჩებს დუქნის გარეთ ძირს აფენდნენ, სხვა საქონელიც გარეთ გამოჰქონდათ, მაგრამ მათი არც წვიმისაგან დასველების და არც მცხუნვარე მზისაგან გახუნების არ ეშინოდათ. ამგვარად, ევროპული სავაჭროებისაგან განსხვავებით, „ბნელ რიგებში“ საქონელი შემინულ ვიტრინებში კი არ იყო გამოფენილი, არამედ გარეთ, დარაბების წინ. მყიდველს შეეძლო „ბნელ რიგებში“ ჩაევლო და დუქნებში შეუსვლელად თავისთვის საჭირო საქონელი შეერჩია, ასანთიდან დაწყებული ხალიჩებითა და სხვადასხვა ძვირფასი ნაწარმით დამთავრებული. ქორწილის, ქელეხის ან სხვა ხალხმრავალი თავყრილობისათვის მოქალაქეებს აქ შეეძლოთ დაექირავებინათ ავეჯი, ჭურჭელი, ხალიჩები და სხვ. აქვე ყოველთვის შეიძლებოდა მეთევზისათვის ახალი თევზის შეკვეთა, შეძენა ხიზილალის, გამოყვანილი თევზეულის, ადგილობრივი და საზღვარგარეთული მაგარი სასმელების და სხვ.

„ბნელ რიგებში“ მრავალ ხელოსანს თავისი სახელოსნო ჰქონდა და ნაწარმსაც იქვე ასაღებდა.

***ხარაზები*** ტყავს ქალაქის განაპირას, ღამბარეულის მახლობლად მდებარე დაბახანიდან ნისიად ან ნაღდი ფულით იღებდნენ. ტყავის ერთი ნაწილი თბილისიდან მოჰქონდათ. გორული ჩუსტები განთქმული იყო თავისი სიმტკიცითა და კარგი ხარისხით. ჩუსტები დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ცხინვალში, ხაშურში, ბორჯომში, ახალქალაქში, მცხეთასა და სხვა ადგილებში. საეკლესიო დღესასწაულების დროს გორელ ხარაზებს თავიანთი პროდუქცია ხალხის თავშეყრის ადგილებში გაჰქონდათ და ეკლესიების და მონასტრების ეზოებშივე ყიდდნენ ან სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ცვლიდნენ.

იგივე შეიძლება ითქვას ***მექალამნეებზეც***.

***დერციკები*** (აზიური ტანსაცმლის მკერავები) კერავდნენ ჩოხას, ახალუხს, შარვალს, თუშურ ქუდს.

***ჭონები*** (მექუდეები) კერავდნენ მხოლოდ ცხვრის ტყავის შავ ფაფახებს.

***ოქრომჭედელი*** ამზადებდა ოქროს და ვერცხლის ნაკეთობებს: ბეჭდებს, საყურეებს, ქამრებს, აზარფეშებს, ფიალებს და სხვა ძვირფას ნივთებს. რადგან იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ პროფესიონალი მესაათეები, საათებს ოქრომჭედლები არემონტებდნენ.

***მეიარაღენი*** უმეტესად დაღესტნელები იყვნენ. ისინი ამზადებდნენ ცივ და ცეცხლსასროლ იარაღებს – კაჟიან თოფებს, დამბაჩებს. ამ იარაღებს მდიდრები ყიდულობდნენ.

***მექვაბეები*** სხვადასხვა ზომის სპილენძის ქვაბებს, თუნგებს, ლანგრებს და ქვაბების თავსახურავებს ამზადებდნენ. ისინი აკეთებდნენ აგრეთვე საარაყე ქვაბებს მთელი თავისი მოწყობილობით და სხვ.

***მკალავები*** მხოლოდ ჩამოსული ლეკები იყვნენ. ისინი კალავდნენ ქვაბებს და სხვადასხვა საოჯახო სპილენძის ჭურჭელს.

***მკუპრავები*** კამეჩის, ხარის, ხბოს და თხის ტყავებისაგან ამზადებდნენ ღვინის ტიკებს, რომლებსაც შიგნიდან კუპრს უსვამდნენ, გარედან კი, როგორც წესი, ძროხისა და თხის ქონს.

***სარაჯი*** (მეუნაგირე) ტყავისაგან ცხენის მოსართავებს და უნაგირებს ამზადებდა და სხვადასხვა საიუველირო ნაწარმს რთავდა.

***მჭედლები*** ჭედდნენ რკინის ნაწარმს სახლების მშენებლობისათვის, საყოფაცხოვრებო საგნებს: ანჯამებს, ჩანგლებს, კაუჭებს, ჩაქუჩებს, ურდულებს, ურმის თვლის სალტეებს და სხვ.

***ზეინკალი*** იყო 1-2. ისინი, ძირითადად, არემონტებდნენ კლიტეებს, სხვადასხვა მანქანებს და ა.შ.

***დალაქები*** მრავალფეროვან საქმიანობას ეწეოდნენ. მათ სადალაქოები უმთავრესად „ბნელ რიგებში“ ჰქონდათ. ისინი კლიენტებს პარსავდნენ, კრეჭდნენ და თავს ბანდნენ, განსაკუთრებით შაბათობით და რელიგიური დღესასწაულების დროს. მათ პროფესიულ საქმიანობაში შედიოდა საოჯახო საშუალებებით მკურნალობა: სისხლის გამოშვება, დაავადებული კბილების ამოძრობა და წურბელების დასხმა. თავისუფალ დროს დალაქები სათევზაო ბადეებს ქსოვდნენ.

დალაქებს ხშირად სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ ოჯახებში იწვევდნენ. ისინი თავისივე დამზადებული წამლებით მკურნალობდნენ.

დალაქებს სამედიცინო განათლება არ ჰქონდათ, არ იცავდნენ აუცილებელ სისუფთავეს (ხშირად დაჟანგებულ ინსტრუმენტებს ხმარობდნენ), რაც ზოგჯერ ავადმყოფის მოწამვლით მთავრდებოდა. კბილის ამოსაძრობად იყენებდნენ ჩვეულებრივ გაზს, სისხლის გამოსაშვებად კი ლანცეტის მსგავს ე.წ. ნესტარს. ისინი მკურნალობდნენ ეგზემას, ქეცს, სხვადასხვა სახის ძირმაგარებს და სხვ. თითოეულ დალაქს მკურნალობის თავისი მეთოდი, წამალი და მისი დამზადების რეცეპტი ჰქონდა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

თავიანთი მუდმივი საქმიანობის გარდა, მათ გააჩნდათ ცნობები საპატარძლოთა ქონებრივი შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც საქმროთა ნათესავებს და ახლობლებს აწვდიდნენ.

დალაქები ამზადებდნენ სხვადასხვა სახის კომიკურ ნიღბებს, პარიკებს, მისაწებებელ ულვაშებს და წვერებს და სხვ.

„ბნელი რიგები“ ყველაზე მიმზიდველი ადგილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით უსაქმურებისათვის. ეს იყო თავისებური კლუბი, ბირჟა.

ქალაქის თანდათანობით ზრდის კვალობაზე, ახალდასახლებებში მრავალი მაღაზია და დუქანი დაარსდა და „დახურულ ბაზარს“ კონკურენტები გაუჩნდა. მუშტრის შემცირება რკინიგზის გაყვანამაც გამოიწვია. მოსახლეობას აღარ უჭირდა მოგზაურობა თბილისში, სადაც სასურველ საქონელს შედარებით იაფად ყიდულობდა და თავის ნაწარმსაც ასაღებდა.

განსაკუთრებით გაუჭირდათ „ბნელი რიგების“ ხელოსნებს, რომლებიც ამზადებდნენ პირველადი მოხმარების საგნებს: ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, თავსაბურავებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მოსართავებს, საიუველირო ნივთებს. ყველაფერი ამის შეძენა თბილისში შედარებით იაფად და უკეთესი ხარისხისა შეიძლებოდა. გორელი ვაჭრები და ხელოსნები ითვალისწინებდნენ, რომ თბილისთან კონკურენციას ვერ გაუძლებდნენ და წარმოება და ვაჭრობა თანდათან შეკვეცეს. ზოგი ვაჭარი გაკოტრდა კიდეც. მოიგეს იმ მსხვილმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა, რომლებმაც თავიანთი ვაჭრობა და წარმოება იმიერკავკასიაში და რუსეთში დროულად გადაიტანეს[1].

გორელებს, რომელთა წარმომადგენლები იმ დროისათვის ცნობილ იარმარკებზე რუსეთში, ევროპასა და თურქეთში დაიარებოდნენ, კარგად ესმოდათ ამგვარი პერიოდული ვაჭრობის მნიშვნელობა გორში საქონლისა და მუშტრის მოზიდვისათვის. 50-იან წლებში 27 ადგილობრივი მსხვილი ვაჭარი იყო. მათი საბრუნავი თანხა 250 ათას მანეთს აღწევდა. მათგან 10 სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდა ლაიპციგში, ლონდონსა და კონსტანტინოპოლში, 12 ვაჭარი მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში დადიოდა, 5 კაცი ადგილობრივი საქონლით ვაჭრობდა[2]. 70-80-იან წლებში ცნობილი გორელი ვაჭრები იყვნენ: თუთუნოვები, ხითაროვი, ისაია ტერ-სტეპანოვი, ამირაღოვი და სხვები, რომლებიც ლაიპციგში, მარსელში, ლიონში, სტამბულში, ბაღდადში დაიარებოდნენ და კავშირი ჰქონდათ ევროპისა და აზიის დიდი ქალაქების გამოჩენილ ფირმებთან[3].

იმისათვის რათა გორის, როგორც სავაჭრო ქალაქის ავტორიტეტი აემაღლებინათ, გორელმა ვაჭრებმა ჯერ კიდევ 1844 წელს

---

[1] *გსიემ, 8074/II.*

[2] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 104.*

[3] *გსიემ, №8064/II, გვ. 1.*

დასვეს საკითხი გორში ***იარმარკის*** მოწყობის შესახებ. განზრახული ჰქონდათ იარამარკობა თვეში ორჯერ, კვირაობით მოეწყოთ.

ხელისუფლებამ გორელების მოთხოვნა უარყო იმ მოტივით, რომ რუსეთში არსებული წესების მიხედვით, იარმარკობა შეიძლებოდა გამართულიყო ერთ რომელიმე ქალაქში წელიწადში მხოლოდ სამჯერ, ამიტომ გორელებს თუ სურვილი ჰქონდათ შეექმნათ რეგულარული სავაჭრო ცენტრი, მაშინ ბაზრობა უნდა მოეწყოთ. მართალია, გორში ბაზარი უხსოვარი დროიდან არსებობდა, მაგრამ მისი თავისებურება და ტერიტორიული შეზღუდულობა, რასაც ზემოთ უკვე გავეცანით, ბაზრის გასამართავად სპეციალური მოედნის გამოყოფას მოითხოვდნენ.

გორის ბაზარი ყველაწმინდის ეკლესიის წინ მდებარე მოედანზე

1852 წელს კვლავ დაისვა საკითხი გორში ***ყოველკვირეული ბაზრობის*** დაწესებისა და წელიწადში ერთხელ იარმარკის გამართვის შესახებ[1]. მაგრამ ეს პრობლემა ამჯერადაც ვერ გადაწყდა. ბოლოს, როგორც იქნა, გორში ბაზრობის მოწყობის საკითხი მოგვარდა. მისთვის მოედანი შეირჩა მაზრის წინამძღოლის ერისთავის სახლის მახლობლად. ბაზრობა გაიხსნა 1853 წლის 24 იანვარს. ეს სიახლე დიდი ზეიმით აღინიშნა. დანიშნულ დროს, გო-

[1] *Акты, X, Тиф., 1886, с. 169.*

რელები დიდიან პატარიანად და სოფლებიდან მოსული გლეხები მოედანზე შეიყარნენ[1]. ასე გაიხსნა გორში ბაზრობა.

საკვირაო ბაზრობა მდ. მეჯუდის სანაპიროზე, ციხის ძირში, „ფრანგების“ ეკლესიის სიახლოვეს ეწყობოდა. მოგვიანებით, არ ვიცი ზუსტად როდის, მოეწყო ყოველდღიური ბაზრობა, ე.წ. ***სასწორი***, ისევ ციხის ძირში, აღმოსავლეთით, „ფრანგების“ ეკლესიის და ყველაწმინდის ეკლესიის სიახლოვეს. ამ ბაზარს „სასწორი“ ან ***„სასწვრის მოედანი“*** ეწოდა, რადგან იქ თავიდანვე დიდი სასწორი დაუდგამთ, სადაც გარკვეული გადასახადით სოფლის პროდუქტები იწონებოდა. ამ ბაზარმა გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენს „ბნელ რიგებს“ და იგი თანდათანობით მოისპო, როგორც სავაჭრო ცენტრი. მაგრამ სახელოსნოების დიდი ნაწილი კი კარგა ხანს დარჩა. 1939 წელს „სასწორი“ და საკვირაო ბაზარი დახურეს და ახალი გახსნეს მდ. მჯუდის ლიახვთან შესართავთან, ე.წ. მირიანაანთ ბაღების ადგილას.

## *წისქვილები*



წისქვილი

წისქვილებს დიდი სამეურნეო და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ემსახურებოდა არა მხოლოდ გორის, არამედ მიმდებარე სოფლების მოსახლეობასაც. თუ XIX საუკუნის დასაწყისში

[1] *„Кавказ “, 1853, №13; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 115.*

გორში 7 წისქვილი იყო[1], მისი რაოდენობა მოსახლეობის განუხრელი ზრდის მიუხედავად არ გაიზარდა და საუკუნის დასასრულს მხოლოდ 8 წისქვილი არსებობდა 29 ბორბლით. სავარაუდოა, რომ წისქვილების სიმძლავრე გადიდდა, რაც ბორბალთა რაოდენობის გაზრდაში გამოიხატა. წისქვილები, ძველებურად, მხოლოდ ქალაქის ჩრდილოეთით იყო განლაგებული.

### *პარკები*

გორში ორი საზოგადოებრივი დანიშნულების პარკი არსებობდა. ერთი გაშენებულ იქნა გადამდგარი გენერლის ივანე გიორგის ძე ამილახვარის მზრუნველობით და სახსრებით გორის ციხის ზედა ნაწილში. აქვე მოეწყო აუზიც[2]. ივანე ამილახვრის ჩანაფიქრით, ეს ბაღი თავადაზნაურობის თავშეყრისა და გართობის ადგილად უნდა გადაქცეულიყო.

მოსახლეობის ძირითადი მასის თავშესაყარ და დასვენების ადგილს გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე წარმოადგენდა ლიახვისა და მტკვრის შესართავთან გაშენებული პარკი, რომელიც მოიცავდა 22 დესეტინას. პარკის გაშენება დაიწყეს XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. იგი რამდენჯერმე დაზარალდა მტკვრისა და ლიახვის ადიდების შედეგად.

1898 წლის წყალდიდობისას, პარკი თითქმის მთლიანად წაილეკა. სასეირნო ადგილის უქონლობის გამო, გორელები რკინიგზის სადგურზე და რკინიგზაზე სეირნობდნენ. ქალაქის თვითმმართველობა არავითარ ზომებს არ იღებდა ახალი საზოგადოებრივი პარკის მოსაწყობად. მხოლოდ ადგილობრივმა ახალგაზრდობამ, არტილერიის ოფიცრის ვ. ენგელმანის ხელმძღვანელობით, ლიახვის ნაპირზე კვლავ გააშენა პარკი, რომელიც დღესაც არსებობს[3].

1904 წლის 8 აგვისტოს ახალი ბაღი აკურთხეს, რადგან ბაღის მოწყობა-გამშვენიერებაში განსაკუთრებული წვლილი ივანე ამილახვარს ჰქონდა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა მისთვის ***„ამილახვრის ბაღი“*** ეწოდებინათ[4].

ბაღში გაშენებული იყო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები. ბაღის მთელ სიგრძეზე ჩაუყვებოდა ფართე და ლამაზი ხეივანი, სადაც ორმხრივ სკამები იყო განლაგებული.

---

[1] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 147.*

[2] *Джанашвили М., Гори, с. 169.*

[3] *გსიემ, №535, ფურც. 68.*

[4] *ДжанашвилиМ., Гори, с. 169.*

XX ს. 10-იან წლებში ***„ახალბადი“,*** როგორც დღესაც გორელები ეძახიან, შემდეგნაირად გამოიყურებოდა. ხეივნის დასაწყისში, ხელმარჯვნივ იდგა ***საკრებულოს შენობა***, რომელიც *„არქიტექტურულად არცთუ დასაწუნ ნაგებობას წარმოადგენდა. დროისა თუ მაყურებლის შესაბამისად, მას საკმაოდ ვრცელი დარბაზი, სცენა და ქანდარა გააჩნდა. საკრებულოს აივნის ხელმარჯვნივ მიშენებული ჰქონდა ვერანდა, სადაც კაფე-ბუფეტი მოქმედებდა და დროდადრო ბანკეტები იმართებოდა“*[1].

გორის საზაფხულო კლუბის შენობის ფასადი ახალ ბაღში (ქალაქის ბაღში), გადაღებულია ფოტოგრაფ ს. ლუარსაბოვის მიერ

საკრებულოს დარბაზში, კვირაში ერთხელ მაინც, იმართებოდა ცეკვის საღამო. ასეთ დროს სკამების ნაწილი დარბაზიდან გაჰქონდათ, ნაწილს კედლებთან მიადგამდნენ და დარბაზში საკმაო ადგილი იქმნებოდა. სადაც ქართულ და ევროპულ ცეკვებს ასრულებდნენ. სცენაზე სასულე ორკესტრი უკრავდა. როგორც თანამედროვე ი. პაპისმედოვი იგონებდა, *„დასასვენებელი ბაღის საკრებულო დარბაზში სასულე ორკესტრი გუგუნებს. საამოდ ყღერს ვალსი, ფაქიზად ჩაცმული თავადაზნაურებისა და გოგო-ბიჭების წყვილები თავდავიწყებით ტრიალებენ წრეში“*[2]. *„თითქმის ყოველდღე და საღამო-წარმოდგენების დროსაც მენშევიკური მთავრობისა და არისტოკრატიის წარმომადგენლები, მათ შორის თითოოროლა დიდვაჭარიც, სუფთა ჰაერზე ვახშმობდნენ საკრებულოს ვერანდა-*

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, თელ-ავივი, 1986, გვ. 216.*

[2] *იქვე, გვ. 199.*

*ზე, დროს ატარებდნენ და ხანდახან ბანქოს აზარტული თამაშიც იმართებოდა, მეტწილად სამაზრო „თეატრ საკრებულოში“*[1].

საკრებულოს შენობის მახლობლად აგებული იყო მომრგვალებული ***ღია ესტრადა***, რომლის სცენაზე, დროგამოშვებით, სასულე ორკესტრი უკრავდა.

თეატრალური წარმოდგენებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების მოსაწყობად, 1873 წელს, გორის მაზრის უფროსის რევაზ ერისთავის თაოსნობით, ქალაქის ხარჯზე, ქალაქის ბაღში, მდინარეების მტკვრისა და ლიახვის შესართავთან აგებულ იქნა ე.წ. ***როტონდა*** – მრგვალი საპარკო პავილიონი.

ივანე მაჩაბელი

როგორც ს. მგალობლიშვილი იგონებდა, როტონდას *„სამ კუთხივ განიერი ბალკონები ჰქონდა და სამი მხრივ ამოსავალი. როტონდა იდგა მტკვრის პირად, ბალკონებიც მტკვრისკენ ჰქონდა“*[2].

როტონდა ცარიელ დარბაზს წარმოადგენდა. იგი იმ მიზნით ააგეს, რომ ზაფხულობით ქალაქის საზოგადო საკრებულო მოთავსებულიყო. აქ არც სცენა იყო და არც სკამები. მასში ზამთრობით ვერც საცეკვაო საღამოები გაიმართებოდა, რადგან არ თბებოდა. ეს არც თუ მკვიდრი შენობა მალე შესაკეთებელი გახდა. მისი შეკეთება თავიანთი ხარჯით ითავეს ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ, მაგრამ სხვებიც უნდა დახმარებოდნენ. მაგალითად, ივანე მაჩაბელმა 15 თუმანი გაიღო. როტონდის გადაკეთება, სცენის მოწყობა, მსახიობთა ორი საპირფარეშოს მოწყობა და ხის სკამების დადგმა 50 თუმნამდე დაჯდა[3].

ბაღი და როტონდა მოუწყვიათ გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ი. ს. ჟერომსკის ინიციატივით. მართალია, ბაღში შესვლა უფასო იყო, მაგრამ ჟერომსკი ქალაქის ხაზინიდან 100 მანეთს იღებდა[4].

ქალაქისათვის ამ მნიშვნელოვანი ნაგებობის კეთილმოწყობაში თავი გამოიჩინა ქართველ ინტელიგენციასთან დაახლოებულმა არტილერიის კაპიტანმა ნელიუბინმა, რომელიც გამოირჩეოდა გა-

---

[1] *იქვე, გვ. 216.*

[2] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 53.*

[3] *იქვე, გვ. 54.*

[4] *„Кавказ “, 1873, №85.*

ნათლებით, პატიოსნებითა და თეატრისადმი დიდი სიყვარულით. მან თავისი ფულით დახატა ფარდა და კულისები მოაწყო. ასე რომ გორელებს 1879 წელს კარგი პატარა თეატრი ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ 1877 წელს ბადი ადიდებულმა ლიახვმა საგრძნობლად დააზიანა, იგი, როგორც ავქსენტი ცაგარელი იგონებდა, მაინც მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა[1].

1879 წლიდან წარმოდგენები ყოველ კვირას იმართებოდა, პირველი წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავალი ისევ სცენას და ნაგებობას ხმარდებოდა[2].

როტონდა სიმცირისა და სიცივის გამო ყოველთვის ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ იყო, გორელები იოლად მაინც გადიოდნენ. მაგრამ როტონდა ქალაქის მასშტაბით სერიოზულ პრობლემად გადაიქცა, როდესაც 1876 წლიდან გორმა თვითმმართებლობა მიიღო.

როგორც ითქვა, მაზრის უფროსმა რევაზ ერისთავმა როტონდა ქალაქის ხარჯით ააშენა. თვითმმართებლობის წევრებმა, რა მოტივით ცნობილი არ არის, ოთხი წლის განმავლობაში ვერ გადაწყვიტეს როტონდის ბედი. ისინი უარს ამბობდნენ თვითმმართველობის მიერ მის ჩაბარებაზე. *„ბოლოს ერთი ხმოსნის თაოსნობით სხდომა დაინიშნა და მიიღეს როტონდა და ბადი. ბადს დაუწყეს შეკეთება და როტონდაში პატარა სცენა კი მგლის თვალით დაინახეს, მაშინვე მოინდომეს სცენის მინგრევ-მონგრევა. ეს რომ ქართული თეატრის კომიტეტმა შეიტყო, რამდენჯერმე სთხოვა ქალაქს და მაზრის უფროსსაც, არ დაენგრიათ როტონდის მორთულობა, სადაც მოწყობილი იყო სცენა, 16 გრძელი, ზურგის მისაყუდებელი სკამები და ორი მხრით 100 სულის ადგილი გალერეა. ერთმა კომისიის წევრმა საზოგადოდ სთქვა: „რა გვეთეატრება გორელებსო!“ დაანგრიეს სცენა, ფარდა ჩამოგლიჯეს, კედლების ქაღალდი (აბოი) დახიეს, სუფლიორის დასაფარებელი ბუდკა გადააგდეს და სკამები იატაკზე დაკრული აყარეს და გარეთ გადაყარეს, გალერეა მოშალეს, ფიცრები კი ვიღაცებს დაუპარავთ და მარტო სკამები ყრია გარეთ“[3].*

ასე დაასრულა არსებობა არქიტექტურულად ამ საინტერესო გორის ნაგებობამ.

---

[1] *ცაგარელი ა., კომედიები, გვ. 367.*

[2] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 54.*

[3] *„დროება“, 1881, №136.*

## *გზები და ტრანსპორტი*

ქალაქის განვითარების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას თუ რა მდგომარეობაში იყო ის გზები, რომლებითაც გორი უკავშირდებოდა მაზრის სხვადასხვა ადგილებს ან გუბერნიის სხვა ქალაქებს. საქართველოს შიდა რაიონებთან და მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები ძირითადად ის იყო, რომელთა შესახებაც საკმაოდ დაწვრილებით ითქვა გორის ისტორიის პირველ წიგნში. ამჯერად მხოლოდ იმაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორ მდგომარეობაში იყო აღნიშნული გზები და შეესაბამებოდა თუ არა შეცვლილ ვითარებას.

რა თქმა უნდა, გორისათვის მნიშვნელოვანი იყო თბილისთან დამაკავშირებელი გზა. იგი გადიოდა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და მისი სიგრძე 79 ვერსს შეადგენდა.

გარკვეული ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი გახდა გორი-ატენის გზის მოწესრიგება. სამუშაოზე ყოველდღიურად სოფლებიდან გამოჰყავდათ 200-300 კაცი, რომლებსაც ისე ექცეოდნენ, როგორც მონებს. ჩვეულებრივი იყო მათი ფიზიკური დასჯა[1].

70-იანი წლებიდან დაიწყეს გორი-ცხინვალის გზის მოხრეშვა[2]. გზის მოწესრიგებამ გაადვილა მგზავრთა მიმოსვლა. იყო დღეები, როდესაც მიმოსვლა უფრო ინტენსიური ხდებოდა. ჩვეულებრივ, ***დილიჟანსით*** მოგზაურობა გორიდან ცხინვალამდე 1 მან. 20 კაპ. ღირდა და იგი ამ მანძილს (30 კმ) 6 საათში ფარავდა, ავდარში კი უფრო მეტი დრო სჭირდებოდა. კლიენტის სურვილით მიმოდიოდნენ ***ფაეტონები***[3].

ვინმე დავით სოსლანის, „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტის მიხედვით, 80-იან წლებში გორსა და ცხინვალს შორის კავშირი ხორციელდებოდა ორი კერძო პირის – სუხანოვის და ფავლენოვის[4] დილიჟანსებით. თითოეული მგზავრი იხდიდა 1 მანეთს. მაგრამ მოგზაურობა უაღრესად ცუდ პირობებში ხდებოდა. *„ამ კარეტების პატრონები, – წერდა დ. სოსლანი, – მგზავრებს უცქერიან, როგორც მასალას, რომლისაგანაც შეიძლება შჩი მოიხარშოს და კარაქი შეიდღვიბოს. თითოეულ დილიჟანსში მხოლოდ ექვსი*

---

[1] *„Тифлисский вестник“, 1875, №70.*

[2] *თუთაევი ა., დროების კორესპონდენცია, „დროება“, 1879, №251.*

[3] *Г. Гори и его окрестные достопримечательности (из путевых впечатлении), «Кавказ», 1887, №117-118.*

[4] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები,გვ. 178.*

*ადგილია, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათ ტვირთავენ, როგორც ქართულ ურემს ფქვილის ტომრებით, მგზავრებს სვამენ სახურავზეც, კოფოზეც და კინაღამ კარეტის უკან თოკებით მიაბან. მარტო ამ კარეტების გარეგნობაც კი გაგაოცებთ. ეს ზონზროხები დაგლეჯილი გადასაკრავებითა და ბალიშებით, ჩამტვრეული შუშებით, ტალახში მოსვრილები, უფრო ბორბლებზე შეყენებულ უხეშად შეკოწიწებულ კიდობანს მოგვაგონებენ, ვიდრე სამოგზაურო ეკიპაჟს. სინამდვილეში ეს კარეტები უნდა ამშვენებდეს სატუსაღოებს დამნაშავეთა დასჯის ადგილამდე მისაყვანად. მაგრამ ბედის ბოროტი ირონიით ამით მოგზაურობენ სხვადასხვა ბრწყინვალე და ტიტულიანი პირები. მაგრამ ამისთვისაც მადლობა ამ „ორმოცი წამებულის“ კარეტის გამომგონებლებს“*[1].

რადგან გზებსა და მოგზაურობებზე ვსაუბრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ა. დიუმას მიერ გორის საფოსტო სადგურის და მასთან ერთად გორის მოკლე, მაგრამ საყურადღებო აღწერა.

ა. დიუმა გორში იყო 1859 წლის იანვარში. იგი წერს: *„შუა დღისას გორში ჩავედით, ჩვენმა ახალგაზრდა სომეხმა გულუხვობა გამოიჩინა და მეეტლეებს უბრძანა, პირდაპირ მის ნათესავთან წავეყვანეთ. გზა ისე იყო გაყინული, რომ ოთხთვალაც მალე დაგვეწია... გრიგოლს ვუთხარი, ცხენები ახლავე მოითხოვეთ, რომ ნასადილევს მაშინვე გავუდგეთ გზას-მეთქი. ცხენები ერთი საათით გვიან მოითხოვეს, იმისათვის, რომ ერთი საათით კიდევ დავეტოვებინეთ მასპინძლებს. სადგურის უფროსმა, რასაკვირველია, ცხენები გაიწყვიტა. მე გრიგოლს ავუხსენი, ალბათ ჩვენი ორბეჭდიანი „პოდოროჟნები“ არ აჩვენეს და ამიტომ მივიღეთ ასეთი პასუხი-მეთქი. მან ისევ გაგზავნა მსახური ქადალდით და სადგურის უფროსმა უპასუხა, ოთხ საათზე იქნება ცხენებიო. მაშინ მუანე ერთ ხელში „პოდოროჟნით“ შეიარაღდა, მეორეში მათრახით, წინ გრიგოლი წაიმძღვარა თარჯიმნად და სადგურისაკენ გასწია. როცა დაბრუნდნენ შეგვატყობინეს, თავლაში თხუთმეტი ცხენია და თხუთმეტ წუთში ორ სამცხენას გამოგვიგზავნიანო...*

[1] ალბათ სულხანიშვილი და ფავლენიშვილი. ცნობილია იასე რომანის ძე ფავლენიშვილის დილიჟანსი, რომელიც გორსა და ცხინვალს შორის მოძრაობდა. მას ტყვიავში ჰქონდა სახლი, განთქმული იყო მასპინძლობით, ქეიფითა და „მარილიანი“ ლაპარაკით. *გსიემ, №840, გვ. 123.*

*მართლაც ოც წუთში ცხენები მოგვგვარეს... ცხენები შეაბეს თუ არა, მარხილებში ჩავსხედით... და ჩვენ გზას გავუდექით სახტად დარჩენილი მასპინძლების თვალწინ... გორიდან ერთ ვერსზე რომ ვიყავით, მდინარემ გზა გადაგვიღობა. გამძვინვარებული ლიახვი ხმაურით მოაგორებდა ყინულის ლოდებს და ისეთი შესახედავი იყო, თითქოს უსწორმასწოროდ მოეკირწყლათ ყინულის ფილებით. მდინარე ისე მძლავრდა მოედინებოდა, რომ არ უნდა გაყინულიყო. ქვემოთ ორ ვერსზე ის უერთდებოდა მტკვარს".* სერიოზულ ხიფათს გადარჩენილი ა. დიუმა და მისი ზოგიერთი თანამგზავრი ლიახვის მეორე ნაპირზე გავიდნენ. *„შემდეგ სწრაფად დავიძარით მრავალრიცხოვან მაყურებელთა აღფრთოვანებულ შეძახილზე. მაგრამ მე მაინც არ ვუყურებდი ოთხთვალას"*[1].

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე საფოსტო გზის გადატანამდე სადგური მთელი თავისი მოწყობილობით ქალაქში, საკმაოდ მტკიცედ ნაგებ ქვის შენობაში იყო მოთავსებული. ცნობილი არ არის, როდის გადაიტანეს სადგური ქალაქიდან მტკვრის მეორე ნაპირზე, მაგრამ გორელი ვაჭრების „მოხსენებითი ბარათის" (1864 წ.) მიხედვით, შენობა აღნიშნული დროისათვის იმდენად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, რომ სადგურის კვლავ ქალაქში გადმოტანის შემთხვევაში, რასაც გორელი ვაჭრები მოითხოვდნენ, მისი სრული გამოყენება შეიძლებოდა[2].

პირველ მსოფლიო ომამდე გორის შიდა საქალაქო ტრანსპორტის წამყვან სახეობას ***ეტლი*** წარმოადგენდა.

XIX ს. 70-80-იან წლებში გორში, როგორც მ. ვლადიკინი აღნიშნავდა, გორში *„ძალიან კეთილმოწყობილი ფაეტონები, რომლებიც სხვათა შორის ბირჟაზე არ დგანან, შეიძლება ისინი დაიქირავო პატრონის ეზოში"*[3].

ეტლს ახლომდებარე სოფლებში სამოგზაუროდაც იყენებდნენ. ეტლით მოგზაურობა საკმაოდ ძვირად ფასობდა და ძირითადად მოსახლეობის შეძლებული ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი. 1908 წელს მგზავრობის ფასი მანძილის მიხედვით 20-დან 60 კაპიკამდე მერყეობდა. ქალაქში ერთი საათით ეტლის დაქირავება 70 კაპ. ღირდა. ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე მგზავრობის ღირე-

---

[1] *ალექსანდრე დიუმა, კავკასია, გვ. 383-387.*

[2] *Документы, т. 1, ч. 2, с. 452.*

[3] Владыкин М., Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу, *ч. 1–2, с. 297.*

ბულება ერთნახევარჯერ მატულობდა, ხოლო დღესასწაულების დღეებში 2-ჯერ[1].

ეტლების მოძრაობას და მეეტლეების საქმიანობას ქალაქის თვითმმართებლობა აწესრიგებდა 1892 წელს მიღებული *„ქ. გორში ეტლების მუშაობის სავალდებულო დადგენილებათა“* მიხედვით[2]. მეეტლეობის უფლების მოსაპოვებლად სპეციალური გადასახადი არსებობდა. ნებართვა ყოველ წელიწადს უნდა განახლებულიყო. დადგენილი იყო ეტლების მოძრაობის მარშრუტი და ნიხრი. მეეტლე ვალდებული იყო მგზავრის მიერ მოთხოვნისთანავე წარედგინა ნიხრი. გამგეობის მიერ ქალაქში გამოყოფილი იყო ადგილი, სადაც უნდა მდგარიყო კლიენტის მომლოდინე ეტლი.

მეეტლეებს ამქრის მსგავსი ორგანიზაცია ჰქონდათ. ისინი ყოველი წლის თებერვალში ირჩევნდნენ მამასახლისს და ერთ კანდიდატს, რომელიც საგანგებო სიტუაციაში შეცვლიდა მამასახლისს. მამასახლისს ევალებოდა თვალყური ედევნებინა და ამქრის წევრებისათვის აეხსნა ქალაქის თვითმმართებლობისა და პოლიციის ყოველი ახალი მითითება. მეეტლე, რომელიც განუხრელად არ შეასრულებდა თავის მოვალეობას, მკაცრად აგებდა პასუხს. თვით მეეტლეებიც სარგებლობდნენ გარკვეული უფლებებით. კერძოდ, მათ შეეძლოთ მამასახლისის უსამართლო მოქმედების გამო ეჩივლათ ქალაქის გამგეობაში, ხოლო თუ ამ უკანასკნელის რაიმე გადაწყვეტილებას არასწორად მიიჩნევდნენ, მაშინ ქალაქის სათათბიროში გაასაჩივრებდნენ. ზოგჯერ ქალაქის თვითმმართებლობა ითვალისწინებდა მეეტლეთა ინტერესებს და მათ სამართლიან მოთხოვნებს და ეტლით მგზავრობის ფასს ადიდებდა. მაგალითად, პირველ მსოფლიო ომის წლებში ცხენების, ფურაჟის და აღკაზმულობის 100%-დან 300%-მდე გაზრდის გამო მგზავრობის ფასმა საგრძნობლად მოიმატა.

გორში მასობრივი ტრანსპორტის – ***კონკის*** მოწყობის საკითხი ორჯერ – 1895 და 1908 წლებში დადგა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

გორის, როგორც ქალაქის განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ***რკინიგზის*** გაყვანამ. ფოთი-თბილისის რკინიგზით გორი დაუკავშირდა თბილისს, ქუთაისსა და ფოთს. მოგვიანებით გორი დაუკავშირდა როსტოვსა და ვლადიკავკაზს. რკინი-

---

[1] *სეა, ფონდი 28, ანაწერი 1, საქმე 611, ფურც. 11.*

[2] *იქვე, ფურც. 18.*

გზის აქტიურად გამოყენებით გაადვილდა ადამიანებისა და საქონლის ტრანსპორტირება რუსეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში.

გორში პირველი ***ავტომობილი*** XX საუკუნის 10-იან წლებში გამოჩნდა[1].

ქ. გორის საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებთან დასაკავშირებლად, უძველესი დროიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამდინარო გზები. მდ. ლიახვით გორს უკავშირდებოდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, ხოლო მდ. მტკვრით კი თბილისი და ბორჯომის ხეობა.

სამდინარო ტრანსპორტის ყველაზე გავრცელებული სახეობა ***ტივი*** იყო. ტივებით გადაჰქონდათ საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი. თვით ტივიც ხომ, გარკვეული გაგებით, საქონელს წარმოადგენდა. ტივის მორები დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ იყიდებოდა. ტივს, ჩვეულებრივ 3-4 კაცი მართავდა. თითოეული ტივის დაცურებისათვის ქალაქის მმართებლობას 2 მან. ვერცხლით უხდიდნენ[2]. ეს მაშინ, როდესაც ხე-ტყე ტივის სახით შეკრული მიჰქონდათ. გადასახადი მაშინაც აიკრიფებოდა, როცა იგი სატრანსპორტო საშუალება იყო.

გორი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. სოფლის პროდუქტები ძირითადად თბილისში და ქართლის სამეფოს სხვა ადგილებში გადიოდა.

თბილისში საქონელი ხშირად ტივებით მიჰქონდათ. გიულდენშტედტი 1772 წ. წერდა: *„8 მაისს გორიდან და მეტეხიდან თბილისში მივიდნენ სხვადასხვა ტივები. ისინი შედგებოდნენ 16 ფიჭვის მორისაგან, რომელთა სიგრძე იყო 4 საჟენი, სისქე კი – 1-1/2 ფუტი, რომლებიც შემდეგ თითო მანეთად გაჰყიდეს. ისინი დატვირთულნი იყვნენ ხორბლით და ქერით“*. ის შემდეგშიც აღნიშნავს, რომ *„ხორბალი და ქერი მოდის გორიდან და სურამიდან ტივებით, რომლებიც შეკრულია ფიჭვის მორებისაგან, ქვევით მტკვრით. ეს ტივები იყიდება, როგორც საშენი ხე-ტყის მასალა“*[3]. სავსებით სწორია მოსაზრება, რომ სატივე მასალა მდ. დიდი ლიახვის ხეობის ხე-ტყით უნდა ყოფილიყო შეკრული[4]. ამავე დროს სავარაუდოა, რომ ლიახვის ხეობიდან და ცხინვალიდან გორში მხოლოდ სატივე მასალა კი არ მოდიოდა, არამედ ტივები ცხინვალსა და მის მახლობელ სოფლებში დამზადებული პროდუქტებით გორში იყიდე-

---

[1] *„ახალი ქართლი“, 1914, №2.*

[2] Документы, т. 1, ч. 2, с. 305..

[3] *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 63, 93.*

[4] *ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, გვ. 126.*

ბოდა. გორელი ვაჭრები შემდეგ იმავე ტივებით თავიანთ საქონელს თბილისში ეზიდებოდნენ, სადაც საქონელიც და სატრანსპორტო საშუალებაც იყიდებოდა.

ტივის, როგორც სატრანსპორტო საშუალებად გამოყენების საინტერესო საბუთია 1776 წლის 17 ნოემბრის ერეკლე II-ის ოქმი რევაზ ამილახვრისადმი. მეფე რევაზს უბრძანებს: *„ეს სამოცი კოდი პური გორს უნდა ჩაატანინოთ და გორის მამასახლისის შვილს მიაბაროთ. ოთხი ტივი გორელებს უნდა გაარიგებინო, რაც მაგ ტივებს ტომარა მოუნდება ისიც მაგათ იშოვონ. გორის მამასახლისს რომ ჩვენის მოსავლის პური აბარია მაგისმა შვილმანა ეგ თქვენი მიბარებული პური და სხვა კიდევ ჩვენის პურიდამ რაერთიც მაგ ოთხ ტივს დაედებოდეს, დაფქვან, ამდენს უნდა ეცადნეთ რომ მაგ ტივებთან გამოისტუმროთ და წამოვიდეს... ვინ იცის, მაგ ტივებზედ ეგ პური არ ეყოთ და მეტი დაედებოდეს, მირზაშვილს ჩვენი პური აბარია, იქიდამ ჩამოატანინეთ, რაც დააკლდეს და შეათავეთ, ოქმიც მოგვიწერია მაგისთვის“*[1].

ტივი, როგორც სატრანსპორტო საშუალება, დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა მნიშვნელობას.

რამდენიმე საინტერესო ცნობა ქართველი დიდებულების ტივით მოგზაურობის შესახებ, დაგვიტოვა პლატონ იოსელიანმა: ერეკლე მეორის ძე გიორგიმ (შემდეგში მეფე გიორგი XII) *„თაფარავანით გადმოვლო და საციციანო და მოვიდა ქარელსა; აქედამ მიიწვია მრველმან ეპისკოპოსმან რუისისა; განვლო მტკვარი ტივით, დაჰყო მასთან სამი დღე. ქედამ ამილახვარმან ოთარ ისტუმრა ტივით ოთარშენსა, მისგან დადგინებულსა სოფელსა და სასახლესა; მოსრული გორსა მანვე მიიწვია ამილახვარმან, ვითარცა გორის მოურავმან. აქედამ დამისთევითა განატარა გორისჯვრის ეკლესიაში მწუხრი, ცისკარი და წირვა... შემდეგ ორისა დღისა მთაზედ ყოფნისა, მეფე შექმნა ავად, და წარმოვიდა მუნით რა ცხენით, დასვეს ტივზედ და ესრე მოიყვანეს ქალაქ თფილისს“*[2].

პლატონ იოსელიანს მოსწონდა ტრანსპორტის ეს სახეობა და თვითონაც, როგორც ჩანს ხშირად სარგებლობდა. *„ტკბილია ტივზედ ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა, – წერს პ. იოსე-*

---

[1] *გსიემ, №7782, ფურც. 106. ჯავახიშვილი ი., ფიროსმანი და ქართლი, „გამარჯვება“, 1969, №112.*

[2] *ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატი ძის იოსელიანისაგან, თბ., 1978. გვ. 83.*

*ლიანი. – კნიაზმან გრიგორი გაგარინმან[1] აწ ღოდმეისტერმან, მოინდომა წამოსვლა გორიდამ თბილისს და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წლის სეკდემბრის თთვეში. – დილით წამოსული მოვედით ს. გომსა, და მეორესა დღესა 8 რიცხვსა, ქალაქსა თფილისსა. ტივზედ მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლივ ვიკითხავდით წიგნთა და ვსწერდით. ესე ჰქმნა მან, რათა შეაჩვიოს ქართველნი ტივითა ჩამოსვლასა ქართლით თფილისად...“*[2]

1904 წ. გორელი ყარაჩოხელები ქეიფობენ ნავტიკებზე[4]

ფოტო სურათის ზურგზე წარწერის მიხედვით, დგანან: მერებაშვილი („ჩაბაკა“, ხარაზი); ბათირა ბიჭი (წიწიკაშვილი); ბერიჯანოვი (ბაყალი); ტეტუნაშვილი (მეარღნე, „ფთიანი“); ილიკო ლაფაჩი (დალაქი-მიკიტანი, „რომა“); სანდრო ავლაბრელი (თბილისიდან გადმოსახლებული „პადნაზორნი“); რაზმაძე (ხარაზი, „ლონგინოზა“); კახიძე (ბაყალი, „სესე“); მარღიშვილი (მიკიტანი, „ციკანი“); ტერტეროვი (სტალარი); ილიკო (მიკიტანი, „კუწულა“); მენავტიკე. სხედან: კოლა; მენავტიკე („წვინტაკი“); მენავტიკე (ქაჩალა, თავისი შვილით)

---

[1] რიგოლ გრიგოლის ძე გაგარინი.

[2] *იქვე.*

[4] დასაზუსტებელია ფოტო სურათზე აღნიშული წელი, რადგან ჩანს ე.წ. ძველი ხიდი, რომელიც აშენდა 1908 წელს.

ძველად სატრანსპორტო საშუალებას, გარკვეული გაგებით, წარმოადგენდა ***ნავტიკი***. გორში მენავტიკეობა იმდენად გავრცელებული ყოფილა და იმდენად დახელოვნებული მენავტიკეებიც ყოფილან, რომ XIX ს. 80-იან წლებში რუსეთის არმიის რამდენიმე ნაწილში ეს სატრანსპორტო საშუალება და შესაბამისი ხელობაც დაუნერგიათ. როგორც გაზ. „ივერია“ 1887 წელს იტყობინებოდა *„შარშან გენერალ თ. ივ. ამილახვრის თაოსნობით კავკაზში წაიყვანეს გორიდან მენავტიკეები. თერგზე ჩაუშვეს ნავტიკები და ასწავლიდნენ ჯარისკაცთა ხმარებას ნავტიკებისას. რვარუმბიანის ნავტიკებით თურმე გადაიტანეს ბარგი, ცხენები და ზარბაზნები. დღეს ჩვენებური მენავტიკეები პეტერბურგშიც წაიყვანეს. თიბათვეში აქ მოვიდა ადიუტანტი ბ-ნ ამრისა და ოთხი მენავტიკე გაგზავნა პეტერბურგში, სადაც ჯარისკაცთ უნდა ასწავლონ ნავტიკების ხმარება. გორელი მენავტიკეები დარჩებიან პეტრეს ქალაქში ამ ზაფხულსა“*[1].

## *ქალაქის განათება*

გორის ღამით განათება ყოველთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. დაბნელებისთანავე ქალაქში წყვდიადი ისადგურებდა. მხოლოდ ზოგიერთი მაღაზია თუ იყო განათებული და ისიც მეპატრონის ხარჯზე. 1908 წლისათვის გორში მხოლოდ 13 ნავთის ფანარი ირიცხებოდა, რომლის მომსახურება იჯარით გაიცემოდა. თითოეული ფანრის გამართული მუშაობა თვეში 87 კაპ. ჯდებოდა, ამიტომ ეს საქმე ნაკლებადმომგებიანად ითვლებოდა და მოიჯარადრენი უხალისოდ ჰკიდებდნენ ხელს[2].

1908 წელს გამოიცა გენერალ-გუბერნატორის დადგენილება, რომლითაც ყველა სახლის მეპატრონეს დაევალა საკუთარ სახლზე ქუჩის მხარეს ფანარი გამოეკიდა და დაღამებისთანავე აენთო.

ქალაქის განათების საქმე უნდა გაუმჯობესებულიყო გორში პირველი ელექტროსადგურის აგებით. 1908 წელს ქალაქის რწმუნებულმა ნ. თუმანიშვილმა ფრანგ ინჟინერ დიუნანთან ერთად დაარსა ამხანაგობა „ამპერი“ და ელექტროსადგური ააშენა, რომელმაც 65 ელექტრო ფანარი გაანათა. თვითმმართებლობამ „ამპერთან“ დადო ხელშეკრულება და მას თვეში 10600 მანეთს უხ-

---

[1] *ჯავახიშვილი ი., ფიროსმანი და ქართლი, „გამარჯვება“, 1969, №112. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 314, ფურც. 15.*

[2] *სეა, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 314, ფურც. 15.*

დიდა. ამ თანხიდან 7600 მანეთს მოქალაქენი იხდიდნენ. მოხმარებული ენერგიის მიხედვით მოქალაქენი 6 კატეგორიად დაყვეს. გადასახადი თვეში 8 კაპიკიდან 1,5 მანეთამდე მერყეობდა[1].

არსებული ელექტროსადგური მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. 1912 წელს თავ. ნინა ივანეს ასულმა ამილახვრისამ თვითმმართველობას შესთავაზა საკუთარი ხარჯით, უფასოდ გაენათებინა ქალაქი 600 სანთლიანი 70 რკალური ნათურით, სამაგიეროდ განათების მონოპოლიური უფლების მინიჭებას ითხოვდა. თვითმმართებლობამ უარი განაცხადა ამ კეთილშობილურ წინადადებაზე იმ მოტივით, რომ თვითონ ჰქონდა განზრახული ელექტროსადგურის აგება[2].

იგი რამდენიმე ფირმასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. საბოლოოდ არჩევანი ოდესის ფირმა „ზოლოტოი დვიგატელზე“ შეაჩერა და საკონცესიო საწყისზე კონტრაქტის პროექტიც დაამტკიცა. შემდეგში ფირმამ რატომღაც თავი შეიკავა აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე. გორის თვითმმართებლობამ კვლავ „ამპერს“ მიმართა და 1914 წელს ხელშეკრულებაც გააფორმა, რომლის მიხედვით ქალაქში დამონტაჟდებოდა 55 ასსანთლიანი რკალური ფანარი და 150 ორმოცდაათსანთლიანი ნათურა იქ სადაც თვითმმართებლობა საჭიროდ მიიჩნევდა. ქალაქი „ამპერს“ გადაუხდიდა 3 ათას მანეთს. მოქალაქენი 1 კილოვატსაათი ენერგიისათვის გადაიხდიდნენ 25 კაპიკს. კონცესია გაიცა 25 წლით, რომლის გასვლის შემდეგ „ამპერი“ ქალაქს გადასცემდა 150 ცხენისძალის სიმძლავრის ელექტროსადგურს.

[1] *იქვე, საქმე 1524, ფურც. 38, საქმე 1413, ფურც. 8.*

[2] *იქვე, საქმე 1920, ფურც. 52-53; „ახალი ქართლი“, 1915, №21.*

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები „ამპერმა“ ვერ დაიცვა. ელექტროსადგურის სიმძლავრე მხოლოდ 75 (ნაცვლად 150-სა) ცხენისძალა იყო და, როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავდა, *„არსად ქალაქის არც ერთ ნაწილში არ არის სრული განათება. ბევრგან სულ არ ანთია, თუმცა ფანრები კი დაუდგამთ. ქალაქის მმართებლობამ პირველად ყოვლისა უნდა დაიცვას ქალაქისა და მოქალაქეთა ინტერესები და, თუ ამხ. „ამპერეს“ სხვა და სხვა მიზეზები ხელს უშლის პირნათლად შეასრულოს ნაკისრი მოვალეობა, მოქალაქეთა რა ბრალია. ამაზე მეტი თუ არ შეეძლო, რადას კისრულობდა ასეთს პასუხსაგებ საქმეს? ცოტაოდენი სინათლე, ბატონებო, გვეყო სიბნელე, გაგვინათეთ ქალაქი“*[1].

ცნობილია, რომ მდ. ფშანზე გადმოყვანილ არხზე ამილახვრების ბაღთან იყო მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელიც სასახლის განათებას ემსახურებოდა[2].

მსოფლიო ომმა და მთელმა რიგმა პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა, რომ თვითმმართებლობამ ვერ შეძლო ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების საქმის გაუმჯობესება.

### *ბაღ-ბოსტნები*

გორელების ცხოვრებაში განსაკუთრებული თუ არა მნიშვნელოვანი ადგილი მაინც მებაღეობას და მებოსტნეობას ეკავა. თითქმის ყველა მოქალაქეს ბაღი და ბოსტანი ჰქონდა ქალაქის ირგვლივმდებარე ადგილებში და მახლობელ სოფლებში. გორელებს ეკუთვნოდათ, მაგალითად, ხიდისთავის ბაღების სამი მეოთხედი. მოქალაქის შეძლება მის განკარგულებაში არსებული ბაღებისა და ბოსტნების რაოდენობით და ხარისხით განისაზღვრებოდა. როგორც ა. ჯავახიშვილი აღნიშნავდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი ბაღი, ცუდ სასიძოდ ითვლებოდა. ბაღები უმთავრესად ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ბაღში მოჰყავდათ ბოსტნეულიც, ასევე ითქმის ვენახებზეც. მხოლოდ ვენახი, სხვა ნაყოფისმომცემი ხეების გარეშე გორში არავის არ ჰქონდა.

გორსა და მის მიდამოებში არსებული ხეხილი მრავალფეროვანი იყო. აქ იზრდებოდა ***ბალი***, განსაკუთრებული არომატის მქონე ***კომში***, სხვადასხვა ხარისხის ***კაკალი*** და ***თხილი***, სხვადასხვა

---

[1] *„ახალი ქართლი“, 1915, №21.*

[2] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 156.*

სახის ***მსხალი*** (მილახური, გულაბი, ხეჭეჭური, კალოს მსხალი), ***ვაშლი,ატამი*** და ***გარგარი***. ყველა ეს ხილი უხვად მოდიოდა მოვლა-პატრონობის გარეშე. ხშირად იმდენად უხვი მოსავალი იყო, რომ ხილის გარკვეულ ნაწილს ჰყიდდნენ. ამზადებდნენ ვაშლის, მსხლის და ქლიავის ჩირს და თათარას.

გორელები განსაკუთრებულ მზრუნველობას ვაზის მიმართ იჩენდნენ, რომლის მრავალი ჯიში არსებობდა: 1. ***საფერავი*** საუკეთესო ხარისხისა, რომელსაც, როგორც ჩანს, სუფთა სახით სასმელად არ იყენებდნენ. მას ურევდნენ თეთრ ღვინოში, რომელსაც აძლევდა შავ ფერს, კარგ არომატს, ასქელებდა, სიმაგრეს და სასიამოვნო გემოს მატებდა; 2. ***მწვანე***, რომელსაც გორულსაც ეძახდნენ, იგი გამოირჩეოდა გრძელი მტევნით, წვრილი მომწვანო ფერის ნაყოფით, მაგრამ სქელი კანი ჰქონდა. მისგან კარგ სუფრის ღვინოს ამზადებდნენ; 3. ***ღრუბელი***, 4. ***თავკვერი***, 5. ***ანდრეული***, დიდი შეკრული მტევნით; 6. ***რქაწითელი***, 7. ***ბუდეშური,*** გრძელი მარცვლებით, რომელსაც ძალიან თხელი კანი ჰქონდა და დაავადება იოლად აზიანებდა; 8. ***ხარისთვალა,*** მსხვილი მარცვლით; 9. ***ქიშური,*** გამოირჩეოდა ქარვის ფერით; 10. ***ჩინური***, გამოირჩეოდა თხელი კანით, სიტკბოთი და დაავადების მიმართ მდგრადობით; 11. ***თითა***, წაგრძელებული მარცვლებით და თხელი კანით.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ვაზის დაავადების საწინააღმდეგო არავითარ საშუალებებს არ იყენებდნენ.

ჩამოთვლილი ვაზის ჯიშებიდან ღვინოს უმთავრესად საფერავის, მწვანის, რქაწითელისა და ბუდეშურისაგან აყენებდნენ. ყურძნის წვენისაგან, ღვინის გარდა, ამზადებდნენ აგრეთვე ბადაგს, ჩურჩხელას, თათარას და სხვ.

ღვინოს უმთავრესად ქვევრებში ინახავდნენ. ყველაზე მცირე ზომის ქვევრში ჩადიოდა 5-10 ვედრო, მაგრამ დიდი ტევადობის ქვევრებიც იყო, რომელშიც 360 ვედრო[1] ღვინო ეტეოდა. გორელებს – ზუბალოვს და ხითაროვს ეზოში სწორედ ასეთი ქვევრები ჰქონებიათ.

გორის მოსახლეობის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მებოსტნეობას, რომლის განვითარებისათვის გორში ყოველგვარი ბუნებრივი პირობები არსებობდა. განსაკუთრებით უხვად მოჰყავდათ კარგი ხარისხის ***კომბოსტო***, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საღდებოდა თბილისისა და ქუთაისის ბაზრებზე. გორში

---

[1] ვედრო – სითხის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით 12,3 ლიტრს. მაშასადამე, ზემოაღნიშნულ დიდ ქვევრში ჩადიოდა 4428 ლიტრი ღვინო.

***კარტოფილის*** მოყვანა 1830 წლიდან დაიწყეს. ეს კულტურა გერმანელმა კოლონისტებმა შემოიტანეს.

მოჰყავდათ აგრეთვე ***ხახვი, პრასი, ნიორი, ნიახური, ოხრახუში, ტარხუნა, ჭარხალი, გოგრა, ქინძი, წიწაკა, კიტრი, ნესვი, სტაფილო, მზესუმზირა, მიწის ვაშლა, ბოლოკის სხვადასხვა სახეობა, ქონდარი, ბადრიჯანი.***

ის გორელები, რომლებსაც სახნავი მიწა ჰქონდათ, მისდევდნენ მარცვლეულის მოყვანას.

მოსახლეობას პირუტყვიც ჰყავდა. 80-იან წლებში, მაგალითად იყო 500-მდე ***ძროხა,*** 1000-მდე ***ცხვარი.*** ჰყავდათ შინაური ფრინველები: ***ქათამი, ინდაური, ბატი და იხვი.***

### *სანიტარულ – ჰიგიენური მდგომარეობა*

ისევე, როგორც ყველა ძველ ქალაქში, გორში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა თითქმის ყოველთვის სავალალო იყო.

გორში, არც თუ იშვიათად, თავს იჩენდა სხვადასხვა გადამდები სნეულებანი, ცნობილია, რომ 1815 წელს გორსა და მის მაზრაში შავი ჭირი მძინვარებდა[1].

1825 წელს გორის მაზრაში კვლავ შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა, რომელიც თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ხერსონის გრენადერთა პოლკის მებრძოლებმა შემოიტანეს. რუსმა ჯარისკაცებმა 1830 წელს კვლავ იმავე ფრონტიდან გორში ქოლერის ეპიდემია შემოიტანეს.

ეპიდემიური დაავადებები – ყვავილი და ტიფი გორელების მუდმივი თანამგზავრი იყო.

დაავადებებს შორის მაინც პირველ ადგილზე ციებ-ცხელება იდგა, რომლის წარმოშობის და გავრცელების ყველა პირობა არსებობდა როგორც ქალაქში ისე მის მიდამოებში. დაგუბებული წყლების ლპობა და მისი აორთქლება ციებ-ცხელების წარმოშობის მთავარი მიზეზი იყო. ადიდებული ლიახვი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ტბორავდა, სადაც შემდეგში ჭაობი წარმოიშობოდა და ისიც ციებ-ცხელების კერად გადაიქცეოდა.

მცირე ჭაობების წარმოშობას იწვევდა გორის რუებიდან ბაღების მორწყვისათვის გადმოშვებული წყალი, წისქვილებისათვის გაკეთებული გუბურები. გორისათვის დამახასიათებელი ტემპერა-

---

[1] Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. V, Тиф., 1873, *с. 351.*

ტურის მკვეთრი ცვლილებაც აღნიშნული დაავადების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა იყო.

ციებ-ცხელების დაავადების მკვეთრ გაძლიერებას ხელი შეუწყო რკინიგზის გაყვანამ. მშენებლებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ იზრუნეს მთიდან ჩამონადენი წვიმის წყლისათვის საწური არხი გაეკეთებინათ, ამიტომ მთასა და რკინიგზას შორის წარმოიშვა ჭაობი, რომელიც აავადებდა გორელებს და ხიდისთავალებს[1].

თუ როგორ იყო გავრცელებული ციებ-ცხელება, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1880 წელს გორის კერძო აფთიაქში 1,25 ფუთი ქინაქინი გაიყიდა. ეს დაავადება, გარკვეული გაგებით, მკურნალობას ექვემდებარებოდა. ამიტომ იყო, რომ ათწლეულის განმავლობაში (1871-1881) მისი მიზეზით მხოლოდ 78 კაცი დაიღუპა[2].

ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ქალაქის ჰიგიენური მდგომარეობა, როცა ქალაქის სამხედრო ჰოსპიტალი თვითონ იყო ანტისანიტარიის კერა. ა. ჯავახიშვილის თქმით, XX ს. დასაწყისში *„ქალაქის ცენტრში არსებული ჰოსპიტალი არის ციებ-ცხელების მიაზმების გამავრცელებლი: ჰოსპიტლის ეზოს ნიადაგი, სამლოცველოს წინ, გაჟღენთილია საჭირო ოთახების ექსკრემენტებით; ყოფილა შემთხვევა, რომ წვიმის წყალი და არხის წყალი, რომლითაც ირწყვება ჰოსპიტლის გარშემო განლაგებული ბაღები, ჩარეცხავდა ექსკრემენტებს აღნიშნული ადგილიდან და ჰაერს ჟღენთავდა მყრალი ანაორთქლით, რაც შორს მანძილზე იგრძნობოდა“*[3].

ვერც საქალაქო თვითმმართველობამ შეძლო რაიმე მნიშვნელოვანი გაეკეთებინა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მართალია, წინამდებარე ნაშრომში მრავალჯერ მოვიყვანე იმდროინდელი პრესის გამოხმაურება გორში არსებულ მძიმე სანიტარულ მდგომარეობაზე, მაგრამ გავეცნოთ კიდევ ზოგიერთ მათგანს.

მძიმე სურათს გვიხატავს „ივერია“ გორის სავაჭრო ადგილების, კერძოდ, ბაზრების სანიტარულ მდგომარეობაზე და იქვე დაასკვნის: *„ქალაქი იმიტომ ირჩევს წევრებს, იმიტომ უნიშნავს საცხოვრებელს ჯამაგირს, რომ ქალაქზე ყურადღება იქონიონ, გაასუფთაონ“* [4]. „ცნობის ფურცელი“ წერდა: *„რაც კი მოჰხვდებათ ამ დალოცვილებს, ნაგავი, საპნიანი წყალი თუ ერთის სიტყვით რაც კი სიბინძურეს შეადგენს, სულ ყველაფერს ქუჩაზედ აქცევენ. თუ ერთს რომელსამე ადგილს ამოიჩემებენ, რომელიც უპატრონოთა და მოუვლელად გდია,*

---

[1] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 80.*

[2] *Там же, с. 80-81.*

[3] *Там же, с. 80-81.*

[4] *„ივერია“, 1879, №6. „ცნობისფურცელი“, 1897, №165.*

*ის არის იმათი სანაგვე, მთელი უბანი აქ ჰყრის ყველა უწმაწურებას ისე, რომ გამვლელს სუნთქვა უძნელდება“*[1].

ყასბები

გორის საქალაქო თვითმმართებლობამ 1890 წელს მიიღო *„მოვალეობითი წესდებულებანი შესახებ სანიტარიის ნაწილისა“*. რომლითაც მოქალაქეები და უძრავი ქონების მფლობელი დაწესებულებები ვალდებული ხდებოდნენ თავიანთი შენობა-ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავე დაეცვათ, კერძოდ, ყოველდღე ნაგვისაგან გაეწმინდათ. ნაგვის გატანა და მოედნების დასუფთავება ქალაქის თვითმმართებლობის მოვალეობა იყო. ვაჭრები, ყასბები, სასტუმროებისა და დუქნების მფლობელნი პასუხს აგებდნენ სისუფთავის დაცვაზე[2].

ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად 1894, 1898 და 1909 წლის დადგენილებანი. რეალური შედეგი ვერც უკანასკნელ დადგენილებას მოჰყვა. მოქალაქეებს დაევალათ ჰქონებოდათ სპეციალური ყუთები და კვი-

[1] *„ცნობის ფურცელი“, 1897, №165.*
[2] *სეა, ფ. 29, ნაწ. 1, საქმე 61, ფურც. 19.*

რაში ერთხელ საკუთარი ხარჯით გაეტანათ ნაგავი. ნაგვის გატანის ორგანიზაციას თვითმმართველობა თავის თავზე იღებდა[3].

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი იყო სპეციალური სანიტარული კომისია, მდგომარეობა მაინც სასიკეთოდ არ იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1915 წელს ქალაქის ბიუჯეტიდან მოსახლეობის სამედიცინო და სანიტარულ მომსახურებაზე ხარჯი უკვე 1533 მანეთს შეადგენდა, ქალაქს არ ჰქონდა წყალსადენი და კანალიზაცია, რაც სხვა ღონისძიებების ეფექტურობას გამორიცხავდა.

## *მიწისძვრა გორში*

პირველი ცნობა, რომელიც მე მინახავს გორში მიწისძვრის შესახებ, განეკუთვნება 1856 წელს. მასში აღნიშნულია: „1 თებერვალს, განთიადისას გორში მოხდა მიწისძვრა“[4]... ეს მოკლე, მშრალი ინფორმაცია სხვას არაფერს შეიცავს, რაც საგულისხმოს ხდის, რომ მიწისძვრა სუსტი იყო, ქალაქის ნაგებობები არ დაზიანდა და არც ადამიანთა მსხვერპლი იყო.

გორის ხედი მიწისძვრამდე გორის ციხიდან სამხრეთისაკენ

[3] *იქვე, საქმე 664, ფურც. 15.*

[4] *Акты, XI, с. 970.*

მიწისძვრა მოხდა 1890 წლის 28 ოქტომბერსაც. მის შესახებაც გვაქვს ერთი მღვდელ პ. კ. საფარაშვილის ძალიან მოკლე ჩანაწერი: „1890 წლის ოქტომბერს 28 საღამოს საათის 9$^{\underline{სა}}$ და 53 წუთზედ იყო საშინელი მიწის ძვრა. თანვე ისმოდა საშინელი გრიალი. ძვრა იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ორი ნიმუტი გასტანა მიწისძვრამ“[1].

თავისი დამანგრეველი ძალით და მსხვერპლთა რაოდენობით სრულიად განსხვავებული იყო 1920 წლის თებერვალში მომხდარი მიწისძვრა, რომლის შედეგად დაინგრა გორის ყველა ღირსშესანიშნავი ნაგებობა: ეკლესიები, საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. განსაკუთრებული ნგრევა განიცადა გორის უძველესმა ნაწილმა – ციხის უბანმა და თვით ციხემ.

გორის ციხე მიწისძვრამდე

[1] *ეკლესიის მრევლთა გარდაცვალების წიგნი (გოროს კათოლიკეთა ეკლესიის). გსიემ, 4623, გვ. 1.*

მიწისძვრის შედეგად დანგრეული ეკლესია

დანგრეული საცხოვრებელი სახლი

მოღწეულია სტატისტიკური კომიტეტის მოხსენება გორსა და მის ახლომდებარე სოფლებში 1920 წლის 20-21 თებერვალს მიწისძვრის შედეგად განცდილი ნგრევის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ბორბაში“. გორში არსებული 1336 შენობიდან სრულიად დაინგრა 756, კაპიტალურ რემონტს მოითხოვდა 425, შედარებით მცირე შეკეთებას მოითხოვდა 156, ნაკლებად დაზიანდა 16,

ხოლო არავითარი დაზიანება არ განიცადა სამმა შენობამ, საერთოდ, გორსა და მის მაზრაში დაზიანდა 7118 შენობა[2]. მნახველთა გაოცებას იწვევდა გორის სასაფლაო, სადაც საფლავის ქვებმა და სვეტებმა ადგილი ან მიმართულება შეიცვალა[3].

ოფიციალური მონაცემებით, მიწისძვრის მაგნიტუდა 6.2, ხოლო ინტენსივობა ეპიცენტრში 8-9 ბალი. ბიძგები თითქმის მთელ წელიწადს გაგრძელდა. მსხვერპლი 114 ადამიანი.

სტატისტიკური კომიტეტის ზემომოყვანილ დანგრეულ ნაგებობათა რაოდენობას არ ემთხვევა კატასტროფის ერთ-ერთი მოწმის მიერ დატოვილი ცნობები დანგრეული სახლების შესახებ. მის მიხედვით, მიწისძვრა 1920 წლის 20 თებერვალს პირველად ღამის 3 საათზე მოხდა და გამეორდა დღის 3 საათზე. ეს იყო ხუთშაბათი დღე. ღამის ბიძგები გაგრძელდა 17 წამი, დღისა კი – 8 წამი. პირველმა ბიძგმა საფუძვლამდე შეარყია ქალაქის ყველა ნაგებობა. დღისით 8 წამის განმავლობაში განადგურდა თითქმის მთელი ქალაქი. მისი გადმოცემით, მაშინდელი გორის 1496 სახლიდან მთლიანად დაინგრა 537, აქედან 223 აგურის შენობა, 293 ქვის და 21 ხის. 200 შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა, უვნებელი გადარჩა მხოლოდ 17[1].

აი როგორ აგვიწერს გორში დატრიალებულ უბედურებას თვითმხილველი: *„ჩაწვა გორის ციხის ეკლესია, სათოფურ-სამიზნეებს მოვარდა ჩუქურთმა-ქონგურები. ციხის მარცხენა კალთის ფერდობიდან პლატოზე ასავალი ხვრელი დაიწნეხა. პურის მცხობელთა შორის შეგირდებიც დაზიანდნენ და თონეში ჩაიწვნენ.*

*ამ მეორე მიწისძვრის დროს... ჩემი თვალით ვხედავდი ეკლესიის გუმბათები როგორ მიდი-მოდიოდა, ორი სამრეკლო ინგრეოდა, დუქნების ბანი იქცეოდა და გვერდით ზაზუნოვის სახლის აქეთა კედელი ირღვეოდა. დადგა საშინელი მტვრის კორიანტელი. სახლი გარბი-გამორბოდა...*

*მონასტრის (? – ე.მ.) ზემო სართული მთლიანად დაინგრა[2]. ეკლესიების სამრეკლოები გადავარდნაზე იყვნენ მიმდგარნი. გუმბათი ეკლესიის გარშემო მოირღვა და შესავლის მარჯვენა კედელმა 1 ვერშოკით გადაიწია, მხატვრობა დაზიანდა.*

---

[2] *გსიემ, №535, ფ. 39.*

[3] *იქვე, ფ. 40-41.*

[1] *ალიმბარაშვილი ს., 1920 წლის მიწისძვრა გორში // ჩვენი უნივერსიტეტი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემა, №1 (27), 2015. გვ. 48.*

[2] არ მინახავს სხვა რაიმე ცნობა გორში მონასტრის არსებობის შესახებ.

*მთლიანად დაინგრა მთის წვერზე მდგარი გორიჯვრის ეკლესია თავისი შესანიშნავი მისასვლელით. გაიბზარა „ოქონა“. ქალაქის ნაგებობებს შორის უვნებელი გადარჩა „გენებიკის“ სისტემის რკინა-ბეტონით აგებული ხიდი მდ. მტკვარზე.*

*მოსახლეობა მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში გახიზნული გლოვობდა სამშობლო ქალაქის ტრაგედიას“*[3].

მიწისძვრით დანგრეული გორის დასახმარებლად 20 თებერვალს ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, სარკინიგზო მიმოსვლის უფროსი, ინჟინრები და მუშები. დაუყოვნებლივ აღმოუჩინა დახმარება დაზარალებულ მოსახლეობას წითელი ჯვრის საზოგადოებამ. გორისა და გორის მაზრის მოსახლეობას ფულს უგზავნიდნენ ეკლესიები, არმიისა და გვარდიის ჯარისკაცები, სტუდენტები და სხვ. სამტრედიის საურთიერთო ნდობის ბანკმა დაზარალებულთ სასარგებლოდ გაიღო 20 ათასი მანეთი. დაზარალებულებს ეხმარებოდნენ ცალკეული მოქალაქენი; ვაჭარ-მრეწველთ საზოგადოება „კავკაზი“ შეეწია 1000 მანეთით, ლისინოვები – 1000 მანეთით, ნოტარიუსი მაჭავარიანი – 4000 მანეთით, აქციონერთა საზოგადოება „ალიხანოვი და ტოლი“ – 75 ათასი მანეთით და ა.შ. განსაკუთრებული იყო ამერიკაში მცხოვრები დავით აბაშიძის ქველმოქმედება, რომელმაც რამდენიმე მილიონი შეწირა გორის ფონდს[1].

---

[3] *იქვე, გვ. 84-85*

[1] *ილარიშვილი ე., 1920 წლის მიწისძვრა გორში // „მუზეუმის მატიანე“. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გაზეთი, №1, 2017. 03.*

# მოსახლეობა

გორის მოსახლეობის რაოდენობაზე, მის ეთნიკურ და წოდებრივ შემადგენლობაზე მეტ-ნაკლებად ზუსტი ცნობები მოღწეულია XIX ს. დამდეგიდან. ხელისუფლება, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხებით ყოველთვის იყო დაინტერესებული და რეგულარულად აგროვებდა საჭირო ინფორმაციას. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, აღწერების მასალების ციფრობრივი მონაცემები ყოველთვის არ ასახავდა სინამდვილეს, რადგან აღწერისას არ სარგებლობდნენ ერთნაირი კრიტერიუმებით. აღწერის მასალებში ხშირად მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობა აისახებოდა, ზოგჯერ ასეთი კლასიფიკაცია არ ხდებოდა და მკვიდრ და დროებით მოსახლეებს ერთნაირად აღწერდნენ. ამდენად, ძნელია გორის მოსახლეობის დინამიკის ზუსტად დადგენა, რაშიც ქვემოთ მოცემული ცხრილიც ნათელს გახდის (იხ. ცხრილი №2), 1864 წელს გორელები ხელისუფლებისათვის წარდგენილ მოთხოვნებში წერდნენ, რომ ამიერკავკასიის სახაზინო პალატის განკარგულებით, ქალაქი სისტემატურად სოფლის უღარიბესი მოსახლეობით ივსებაო[1].

გორის მოსახლეობის აღწერის ჩვენამდე მოღწეული უძველესი დავთარი XVIII ს. დასაწყისს განეკუთვნება. დავთარი გარკვეული მიზნით შეადგინეს: უნდა აღერიცხათ სამეფოს შემოსავალი და ჯარის რაოდენობა. დავთარში არ შეიყვანეს ის კომლები, რომლებიც ქვრივი ქალისა და ბავშვებისაგან შედგებოდა. არ შეიყვანეს მოსახლეობის ის პრივილეგირებული ნაწილიც, რომელიც გადასახადით არ იბეგრებოდა.

დავთრის მიხედვით XVIII ს. დასაწყისში გორში დაახლოებით 380 კომლი ცხოვრობდა. 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით კი, რომელსაც იგივე პრინციპი და მიზანი ედო საფუძვლად, გორში 500 კომლი ცხოვრობდა. გორის მოსახლეობა უნდა გაზრდილიყო 1780 წელსაც, როდესაც ერეკლე II-ემ ერევნიდან მრავალი სომეხი გადმოასახლა სიღნაღში, თბილისსა და გორში.

საქართველოში რუსული მმართებლობის დამყარებამდე ქალაქის მოსახლეობის გამორჩევითი აღწერა ხდებოდა. აღწერის სიებში, როგორც ითქვა, ყველა მცხოვრები არ ხვდებოდა. რუსი მოხელეები კი აღწერდნენ არა მხოლოდ მკვიდრ მოსახლეობას, არამედ დროებით ჩასახლებულებსაც, განურჩევლად მათი ეკო-

---

[1] *Документы, т. I, ч. II, с. 453.*

ნომიკური, სოციალური ან სამხედრო ვალდებულებებისა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული აღწერების დროს, გორში სინამდვილეში მეტი მცხოვრები იყო, ვიდრე სიებში აღირიცხებოდა. აღწერების მასალების შესწავლისას ამ განსხვავებულ მიდგომებს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ XIX ს. დასაწყისში, გორის მოსახლეობა უფრო მეტად იყო შემცირებული ვიდრე ჩანს, ამაზე მეტყველებს 1804 წლის აღწერის მონაცემები. 1770 წლიდან 1804 წლამდე გორის მოსახლეობა 100 კომლით შემცირდა[1] და 1135 სული შეადგინა.

1806 წლის მონაცემებით, გორში ირიცხებოდა 1144 მცხოვრები: მამრ. 630, მდედრ 514. სოციალური მდგომარეობის მიხედვით: ვაჭარი – 194, მედაბური ანუ ხელოსანი – 368, სახაზინო გლეხი – 33, საბატონო გლეხი და შინაყმა – 302, საეკლესიო და სამონასტრო გლეხი – 274[2]. მიახლოებითი და თანაც გაზვიადებული უნდა იყოს ი. კლაპორტის ცნობა, თითქოს 1807 წელს გორში 300 კომლი ცხოვრობდა, რაც დაახლოებით 1500 სულს გულისხმობდა. გამოთქმული ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდება თუ გავითვალისწინებთ 1811 წლის მონაცემებს. ჩანს, რომ გორში მოსახლეობის იგივე რაოდენობა იყო[3], რამდენიც 1806 წელს.

გვაქვს 1815 წლის ერთი მოხსენება გორის კომენდანტის, პოლკოვნიკ ტოკარევის, რომ გორში ცხოვრობდა ოსმალეთიდან გამოსული 13 ოჯახი, რომლებმაც გამოსთქვეს საქართველოში სამუდამოდ დარჩენის სურვილი. ისინი ქალაქში ცხოვრობდნენ სახელმწიფო მეკომურებს შორის, მაგრამ არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ[4].

თუ ზემოთმოყვანილ ოფიციალურ ცნობებს გავიზიარებთ (რის საწინააღმდეგო სხვა რაიმე მონაცემები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გორის მოსახლეობის რაოდენობას ძლიერ აზვიადებდა აგრეთვე პეტერბურგში მოღვაწე ავთანდილ თუმანიშვილიც, მას XIX ს. პირველ ათეულში გორელების რაოდენობა 5 ათასი სული მიაჩნდა.

XIX ს. 20-30-იანი წლების მიჯნაზე გორის მოსახლეობა საკმაოდ გაზრდილა. ფინანსთა სამინისტროს მიერ ამიერკავკასიაში ჩა-

---

[1] *Ведомост Горийского коменданта маиора Реиха состоящих вверенном мне города разного звания люди с показанием порозн какого он звания (за 1804 год) // გსიემ №7486.*

[2] *Акты, III, с. 714.*

[3] *Там же, V, с. 199.*

[4] *Там же, с. 817.*

ტარებული აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ გორში არსებულ 600 სახლში 1700 მამრობითი სქესის ადამიანი ცხოვრობდა. იმავე დროს გორის მაზრაში 7776 ოჯახი იყო[1]. 1840 წლის მონაცემებით გორში ორივე სქესის 3468 სული ცხოვრობდა[2].

XIX ს. 40-იან წლებში გორის 3468 მცხოვრებიდან თავადაზნაური იყო 146, სასულიერო პირი – 106, სახელმწიფო დლეხი – 2360, საეკლესიო – 411, საბატონო – 194, თავისუფალი – 141, სალდათობიდან დარჩენილი – 7[3].

**ცხრილი №2**

| წელი | მოსახლ. ჯამ. | ოჯახ. | ეკლესიებ. | ქოხ. | დაიბადა | | გარდაიცვ. | | | ბუნებ. მატება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ვაჟი | ქალი | ვაჟი | ქალი | ვაჟი | ქალი |
| 1804 | 1135 | | | | | | | | | |
| 1806 | 1144 | 630 | 514 | | | | | | | |
| 1807 | 1500 | | | | | | | | | |
| 1811 | 1144 | | | | | | | | | |
| 1821 | 2322 | | | | | | | | | |
| 1835 | 3000 | დაახლ. 1700 | | | | | | | | |
| 1840 | 3468 | | | | | | | | | |
| 1848 | 3763 | | | | | | | | | |
| 1850 | 3800 | | | | | | | | | |
| 1856 | 3378 | | | | | | | | | |
| 1859 | 3570 | | | | | | | | | |
| 1861 | 3784 | | | | | | | | | |
| 1862 | 4492 | 2394 | 2098 | 114 | 114 | 97 | 102 | 102 | 12 | 51 |
| 1864 | 4134-3915 | 2201 | 1714[4] | | | | | | | |

*1Обозрение российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом и финансовом высочаишему соизволению, ч. 2, СПБ, 1836, с. 57.*

*2 Евецкий О., Статистическоеописание Закавказскогокрая, СПБ, 1835.*

*3 Кавказский календарь, 1849 г., с. 103.*

*4 იქვე, ფ. 414, საქმე 9, ფურც. 54.*

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1865 | 5054 | | | | | | | | | |
| 1868 | 4960 | | | | | | | | | |
| 1873 | 5015-6000 | | | | | | | | | |
| 1880 | 5668 | 3200 | 2800[1] | | | | | | | |
| 1886 | 7247-7243 | | | | | | | | | |
| 1893 | 7247 | | | | | | | | | |
| 1997 | 10257 | 6453 | 4004 | 38 | | 380 | | 190 | | 190[2] |
| 1912 | 25655 | | | | | | | | | |
| 1914 | 25655 | | | | | | | | | |
| 11915 | 18210 | | | | | | | | | |
| 1920 | 18000-დან შემცი-რდა 5000-მდე | | | | | | | | | |

„კავკასიის კალენდრის“ მიხედვით, 1856 წელს გორში ცხოვრობდა 3378 სული, 1859 წელს კი – 3570.

1861 წლის კამერალური აღწერით, გორში ცხოვრობდა ორივე სქესის 3784 სული, ხოლო 1864 წელს – 4134[3].

აღნიშნული პერიოდის სხვა მასალებიდან ჩანს, რომ 1864 წლის აღწერისას გორის მოსახლეობას მიაკუთვნეს დროებით მოსახლენიც, რომელთა შემადგენლობას და რაოდენობას ქვემოთ გავეცნობით. 1864 წლის 22 აგვისტოს მონაცემებით, გორის მკვიდრი მოსახლეობა შეადგენდა 3915 სულს. აქედან, მამრ. სქესის იყო 2201, მდედრ-1714[4]. მაშასადამე 1861-1864 წლებში გორის მოსახლეობა გაზრდილა 131 სულით. 1869 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ქ. გორში ცხოვრობდა 3915 სული. აქედან – მამრობითი 2201, მდედრობითი – 1714[5].

---

[1] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 95.*

[2] *გსიემ, №535, ფ. 167.* ასეთი მატება ფრიად საეჭვოა.

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 5, საქმე 194.*

[4] *იქვე, ფ. 414, საქმე 9, ფურც. 54.*

[5] *Воронов Н. И., Сборник статистшческих сведений о Кавказе (издаваемый Кавказским Отделением императорского Русского Географического Общества), т. I, Тифлис, 1869, с. 79.*

ქ. გორის მთელი მოსახლეობა გამოსაღების გადამხდელთა ფენას განეკუთვნებოდა, გარდა 14 პიროვნებისა, რომლებსაც სახელმწიფო სამსახურში მოპოვებული ჰქონდათ აზნაურობა[1].

მოსახლეობა ძირითადად შედგებოდა ქართველების, სომეხ-გრიგორიანელებისა და რამდენიმე კომლი სომეხ-კათოლიკესაგან[2].

მოღწეულია ძალიან საინტერსო უწყისი 1862 წლისა თბილისის გუბერნიის ქალაქებსა და მაზრებში მოსახლეობის მდგომარეობაზე. უწყისში ჩართულია სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის გუბერნიის მდგომარეობის 1862 წლის ანგარიშში. ირკვევა, რომ ამ წელს გორში ცხოვრობდა 2394 მამაკაცი და 2098 ქალი (სულ 4492 სული), დაიბადა 114 ვაჟი და 97 გოგონა. გარდაცვლილ მამაკაცთა და ქალთა რიცხვი ერთნაირი იყო – 102 და 102, დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხობრივი განსხვავება იყო: დარდაიცვალა 12 და ქორწილი კი იყო 5,51[3].

გორის მთელი მოსახლეობა გადამხდელთა წოდებას შეადგენდა. 1864 წლისათვის გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ 14 პირი, რომლებმაც სახელმწიფო სამსახურში მოიპოვეს აზნაურობა და მოქალაქეობა – პირადად.

გარედან მოსული არამკვიდრი მოსახლეობის დიდ ნაწილს (815 კაცი), სამხედრო მოსამსახურენი შეადგენდნენ. იყო ჰოსპიტალსა და სურსათის საწყობში მოსამსახურე 22 დაბალი მოხელე, სატელეფონო სადგურის 6 მესიგნალე, 12 გადამდგარი ჯარისკაცი თავიანთი ოჯახებით და სხვადასხვა ადგილებიდან მოსული 8 ხელოსანი და ოსტატი[4].

---

[1] *Там же.*

[2] იმავე პერიოდის (1865 წ.) მასალების მიხედვით, გორის მაზრაში ორივე სქესის 116624 სული ითვლებოდა. მათ შორის იყვნენ: შთამომავლობით აზნაური 1522, პირადად აზნაური – 37, რაზნოჩინელი–48, მართლმადიდებელი აღმსარებლობის სამღვდელოება და მათი ოჯახისწევრები – 908, ეკლესიის მსახური – 159, მართლმადიდებელი ბერმონაზონი ორივე სქესისა – 11, სომეხ-გრიგორიანელი – 120, რომაულ-კათოლიკური – 1, ებრაელი – 6, სამსახურიდან გადამდგარი დაბალიჩინის – 26, სახაზინო გლეხი – 41816, მებატონისადმი დროებითვალდებული – 47437 და საეკლესიო – 24150. აღმსარებლობის მიხედვით: სომეხ-გრიგორიანელი – 8911, სომეხ-კათოლიკე – 155, ებრაელი – 1667, დანარჩენი მართლმადიდებელნი. სულ გორის მაზრაში ცხოვრობდა: მამრ. სქესის 64404 და მდედრ. 52220. *იქვე, ფ. 5, საქმე 194.*

[3] *იქვე, ფ. 17, საქმე 8962,* Документы, т.I, ч.II, с. *811*

[4] Документы, т. I, ч. II, с. *57*

გვაქვს შემდგომი პერიოდის მოკლე ცნობებიც. 1868 წელს გორში ცხოვრობდა 4960 ადამიანი[1], 1873-5015[2] და 1886 წ. – 7247[3], (იხ. ცხრილი №2).

გორის მოსახლეობა, მსგავსად სხვა ქალაქები მოსახლეობისა, იზრდებოდა ბუნებრივად და მექანიკურად. ამ უკანასკნელში უმთავრესად გორის მახლობელი სოფლებიდან გადმოსახლებულნი იგულისხმებიან. გვაქვს ცნობები 1850-1860 წლებში გორში გადმოსახლებულთა რაოდენობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნულ ათწლეულში გორში გადმოსახლდა 176 კომლი. აქედან: სახაზინო გლეხი – 166, ყმობიდან განთავისუფლებული – 9, საბატონო გლეხი – 3, საეკლესიო გლეხი – 8. კომლთა საერთო რაოდენობა – 943, მოსულთა შეფარდება მთელ მოსახლეობასთან 19,7%[4].

სოფლებიდან მოსულთა საქმიანობაზე წარმოდგენას ისევ კამერალური აღწერა გვიქმნის. ზემოაღნიშნული წლების განმავლობაში, ქალაქში მოსულთა დანაწილება საქმიანობის მიხედვით შემდეგნაირია: ვაჭარი – 27, ხელოსანი – 11, შავი მუშა – 107, სხვანი – 41, სულ – 186.

ჩანს, რომ მოსულთა დიდი უმრავლესობა შავი მუშა იყო, რაც გორში სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის აღმავლობაზე მიგვითითებს.

იმავე კამერალური აღწერით, ქალაქის დაბეგრილი წოდებების კომლობრივი შემადგენლობა შემდეგ სურათს ჰქმნის: სახაზინო მოსახლენი ანუ ქალაქელნი – 768, საეკლესიო ყმები – 110, საბატონო ყმები – 65, სულ კომლი – 943.

ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქების, გორის მოსახლეობაც სწრაფად იზრდებოდა. ამ პროცესს ნათლად დავინახავთ, თუ ერთმანეთს შევადარებთ 1865, 1886 და 1897 წლების მონაცემებს.

1886 წელს გორში ცხოვრობდა 7243 სული. 1865 წელთან შედარებით ნამატი იყო 43,8%. 1897 წელს იყო 10269 სული, ზრდამ 1886 წელთან შედარებით შეადგინა 42%[5].

---

[1] *Кавказский календарь, 1870 г.*

[2] *Там же, 1876 г.*

[3] *Тамже, 1891 г.*

[4] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 30.*

[5] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 427.*

ერთ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემსაც გავეცნოთ: გორში მცხოვრები 10269 სულიდან საკუთრივ ქ. გორში დაბადებული იყო 7143, თბილისის გუბერნიის სოფლებში დაბადებული – 726, ქუთაისის გუბერნიაში დაბადებული – 1026, კავკასიის სხვა გუბერნიებში დაბადებული – 607, რუსეთის გუბერნიებში დაბადებული – 713, ირანში და რუსეთში დაბადებული – 45, სხვა სახელმწიფოში დაბადებული – 9[1]. 1902 წელს გორში ცხოვრობდა ორივე სქესის 10810 სული[2].

ძნელია იმის თქმა, წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში ითვლებოდნენ თუ არა კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან გორში სასწავლებლად მოსული ახალგაზრდები. მაგალითად, ცნობილია, რომ 1881 წელს გორში ცხოვრობდა 830 მოსწავლე და 40-მდე მასწავლებელი.

უაღრესად მცირეა ის მასალები, რომლებიც წარმოდგენას შეგვიქმნიდნენ გორის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. ცნობილია, რომ XIX ს. 80-90-იან წლებში 654 ხელოსნიდან ქართველი იყო 460, ხოლო სომეხი – 194[3].

გორის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე საინტერესო მასალა დაგვიტოვა ა. ჯავახიშვილმა, რომელიც მხოლოდ 1873 წლის მდგომარეობას ასახავს. აღნიშნულ წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, როგორც ა. ჯავახიშვილი წერს, ქ. გორში ყოფილა 6 ათასი მცხოვრები. ეს რიცხვი გაზვიადებულია, რადგან არც მაშინ და არც შემდგომ წლებში, თუნდაც 1880 წელსაც კი, ზოგიერთი მონაცემებით, გორში 5668 სული ცხოვრობდა (იხ. ცხრ. №2). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ა. ჯავახიშვილიც ეჭვობდა 1873 წელს გორში მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობას, რომელთაგან მამრ. სქ. 3200 იყო, ხოლო მდედრ. სქ. 2800.

ქალაქის მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური და წოდებრივი შემადგენლობა იყო შემდეგი: რუსი – 254 (მამრ. სქ. – 158, მდედრ. სქ. – 96), ქართველი – 2250 (მამრ. სქ. – 1328, დედრ. სქ. – 922), სომეხი – 3495 (შესაბამისად 2386 და 1109).

---

[1] *იქვე, გვ. 432.*

[2] *Джанашвили М., Гори, с. 163.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 175, საქმე 2138, გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 121.*

1880 წ. დეკემბრის მონაცემებით გორში ცხოვრობდა:

| | კაცი | ქალი | სულ | % |
|---|---|---|---|---|
| ქართველი | 2375 | 2098 | 4473 | 56.97 |
| სომეხი | 1620 | 1174 | 2794 | 35.59 |
| რუსი | 295 | 178 | 473 | 6.00 |
| პოლონელი | 12 | 6 | 18 | 0.23 |
| გერმანელი | 8 | 0 | 8 | 0.10 |
| ბერძენი | 6 | 1 | 7 | 0.09 |
| ოსი | 28 | 19 | 47 | 0.60 |
| ებრაელი | 8 | 10 | 18 | 0.23 |
| თურქი | 12 | 1 | 13 | 0.17 |
| სულ | 4364 | 3487 | 7851 | 100.1 |

ცხრილს დართული აქვს სამი შენიშვნა დასახელებული ეთნიკური ჯგუფების აღმსარებლობის გასარკვევად.

1. 2794 სომეხიდან 417 ქალი და 283 კაცი იყო ქართველი, რომლებიც გრიგორიანული აღმსარებლობის გამო მიაკუთვნეს სომხებს.

2. 473 რუსიდან 23 იყო მალაკანი[1], 2 – დუხაბორი[2] და 2 – ხლისტი[3].

3. 13 თურქიდან 11 იყო სუნიტი და 2 – შიიტი[4].

XX ს. დასაწყისში გორში ცხოვრობდა ებრაელთა 40-მდე ოჯახი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, 16-17 ოჯახი, ერთ დიდ ორსართულიან შენობაში ბინადრობდა. შენობის გრძელი ეზოს წინ მდ. ფშნის ერთ-ერთი ტოტი მიედინებოდა, რომელიც ამილახვრების სასახლის დეკორატიულ ბაღში გადიოდა. შენობის მეორე სართულის ბოლოს ერთი დიდი ოთახი სალოცავს ჰქონდა დათმობილი. სალოცავის ქვეშ, პირველი სართულის დაბლა სარდაფში, მოწყობილი იყო ერთაუზიანი აბანო (მიკვე), რომელიც ებრაელთა მთელ თემს ეკუთვნოდა. აბანოში ფშნის წყალი მილებით შედიოდა[5].

---

[1] მალაკნების ქრისტიანული სექტა რუსეთში.

[2] დუხაბორების პროტესტანტული სექტა რუსეთში.

[3] ხლისტების („ხრისტი“ – “ღვთის შვილები“) რელიგიური სექტა რუსეთში.

[4] *Арустамян М., В семье Россиской Империи. Второе изд., Санкт-Петербург, 1891, табл. 47.* *Численность жителей уездного города Гори. Перепись населения Декабрь 1880 года.* დასახელებული წიგნიდან ამონაწერი გადმომცა ბატონმა რეზო თოროზაშვილმა რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[5] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 141, 156.*

1873 წელს გორში ცხოვრობდა 12 სასულიერო პირი: 5 მართლმადიდებელი, 6 სომეხ-გრიგორიანელი და 1 კათოლიკე. მათმა დიდმა უმრავლესობამ განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო.

გადასახადის გადამხდელი იყო 5783, არგადამხდელი – 217. ამ უკანასკნელთა შორის იყო 10 თავადი, 50 აზნაური და მოხელე[1].

გორის მოსახლეობის რაოდენობასა და მის ჯანმრთელობაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა კლიმატი, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, რაც განაპირობებდა ჩვენი ქალაქის ზოგიერთ დამახასიათებელ დაავადებას. ა. ჯავახიშვილმა სპეციალურად შეაჯერა ერთი ათწლედის (1871-1881) მონაცემები და საინტერესო დასკვნებამდე მივიდა:

გორში ყოველ წელიწადს საშუალოდ კვდებოდა ორივე სქესის 222 ადამიანი. ყველაზე ბევრი გარდაიცვალა 1878 წელს – 301. ყველაზე ნაკლები 1876 და 1880 წელს – 205 და 158. სიკვდილიანობის ყველაზე მეტი შემთხვევა აღინიშნებოდა დეკემბერში, თებერვალსა და მარტში, ყველაზე ნაკლები-ოქტომბერში, ივლისსა და აგვისტოში. ყველაზე მეტი გარდაიცვალა ქართველი და სომეხი (ესენი შეადგენდნენ გორის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას). განსაკუთრებით დიდი იყო 1-10 წლის ბავშვების სიკვდილიანობა.

ყველაზე მეტი გორელი იღუპებოდა ფაღარათით (ათწლედში დაიღუპა 330 ადამიანი), ცხელებით (326), ჭლექით (291) და ა.შ.[2]

ფრიად მნიშვნელოვნად მეჩვენება ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ათწლედში გორში მკვლელობის მხოლოდ 2 შემთხვევა იყო[3].

1871-1881 წლებში შესდგა 585 ქორწინება. ქორწინების თვეები იყო იანვარი, თებერვალი და ნოემბერი. ქორწინების მაღალი პროცენტი აღინიშნებოდა ქართველებში სომხებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ 70-იან წლებში გორში სომხები თითქმის 1200 კაცით მეტნი იყვნენ ქართველებზე, სომეხთა ქორწინება მხოლოდ 1871 და 1873 წლებში ჭარბობდა (შესაბამისად 24 და 21 – 1871 წელს, 27 და 23 – 1873 წელს), 1872 წელს თანაბარი იყო (27 და 27), შემდეგ ყოველთვის ქართველთა ქორწინება ჭარბობდა (1874 წ. 27 და 22, 1875 წ. 26 და 23, 1876 წ. 26 და 20, 1877 წ. 25 და

---

[1] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 95.*

[2] *Там же, с. 81.*

[3] *Там же, таблица №3.*

20, 1878 წ. 31 და 21, 1879 წ. 49 და 29, 1880 წ. 26 და 17). სულ ათ-წლეულში მოხდა ქართველთა 281 ქორწინება, სომხებისა კი -230.

იმავე წელიწადში გორში დაიბადა 2485 ადამიანი, ე.ი. თითო-ეული ქორწინებიდან 4-ზე მეტი, აღნიშნულ პერიოდში დაიბადა უკანონო 10 (6 ვაჟი, 4 ქალი) ტყუპი – 8.

დაიბადა 1174 ქართველი, 974 სომეხი, 232 რუსი და სხვა ერო-ვნების – 105.

იმავე ათწლეულში გარდაიცვალა 2213. აქედან: ქართველი – 1211, სომეხი – 773, რუსი – 123, სხვა ეროვნების – 106.

სამწუხაროდ, ზემოთმოყვანილი სტატისტიკური მონაცემების მსგავსი სხვა წლებისათვის არ გაგვაჩნია.

გორის ისტორიის პირველ წიგნში საკმაოდ ვრცლად აღინიშ-ნა, რომ საქართველოში რუსული მართებლობის შემოღებამდე გორელები მტკიცედ იცავდნენ თავს შიდა ქართლის ფეოდალთა თვითნებობისაგან და წინააღმდეგნი იყვნენ მათი ქალაქში დასახ-ლებისა. მაგრამ XIX ს. დასაწყისიდან ვითარება შეიცვალა. ცა-რიზმმა საქართველოში მონარქიის გაუქმების შემდეგ ფეოდალთა პრივილეგიები ნაწილობრივ შეზღუდა, რის გამოც, ისინი სერიო-ზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მთავრობამ, თავადაზნაუ-რობის გულის მოსაგებად, მათ ზოგიერთი თანამდებობა დაურიგა საგუბერნიო და სამაზრო მმართებლობებში. ამ დროიდან იწყება თავადაზნაურთა დასახლება გორში და ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ საქალაქო ცხოვრებაში.

1865 წლის მონაცემებით ქ. გორში ცხოვრობდა 168 სული თა-ვადაზნაურობის წარმომადგენელი. აქედან შთამომავლობითი თა-ვადაზნაური იყო 96 (მამაკაცი – 37, ქალი – 59), პირადად თა-ვადაზნაური – 72 (მამაკაცი – 52, ქალი – 20). ქ. გორში ცხოვ-რობდა აგრეთვე სასულიერო წოდების 90 სული. აქედან მართლმა-დიდებელი – 52 (მამაკაცი – 28, ქალი – 24), სომეხ-გრიგორიანი – 38 (მამაკაცი – 20, ქალი – 18).

ამგვარად, ქ. გორში ცხოვრობდა თავადაზნაურობის და სასუ-ლიერო წოდების ორივე სქესის 258 სული, მაზრაში კი – 4065.

1886 წელს თავადაზნაურობა გორის მოსახლეობის 4,7% შეად-გენდა. 1897 წლისთვის მისი რაოდენობა გაიზარდა 11,6%-მდე და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, თავადაზნაურობის პროცენ-ტული შემადგენლობის მიხედვით, გორმა საქართველოს ქალაქებს შორის მეშვიდე ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლა. როგორც ს.

მგალობლიშვილი შენიშნავდა, „ქართლის თავადაზნაურობა ხომ თითქმის სულ გორში ცხოვრობდა“[1].

გვაქვს ერთი სანტერესო

შესაძლებლობა გვაქვს 1886, 1897 და 1922 წლების აღწერათა მასალების შეჯერებით დავასკვნათ, რომ 1886 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებთან შედარებით, გორში, რაოდენობის მხრივ, უპირატესობა ქართველებს ჰქონდათ. თუ თბილისში, ახალ-ციხეში, ახალქალაქში, დუშეთში, თელავში და სიღნაღში რიც-ხოვნებით პირველ ადგილზე სომხები იყვნენ, გორში იმავე წელს მოსახლეობის 53,5% ქართველები შეადგენდნენ (სომხები 40%, ო-სები 0,7%, რუსები 5,1%, ებრაელები 0,2% (დანარჩენი ეროვნებები – 0,5%). ქართველების შემდეგ, როგორც ჩანს, გორის მოსახლეო-ბის მრავალრიცხოვან ჯგუფს სომხები შეადგენდნენ, მაგრამ, მი-უხედავად ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის, სომხები გორში ყველაზე მცირენი იყვნენ. ისიც საინტერესოა, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, სომხების რაოდენობა გორის საერთო მოსახლეობაში სულ უფრო მცირდებოდა.

1897 წელს გორის მოსახლეობის 60% იყვნენ ქართველები, სომხები – 20,3%, ოსები – 1,8%, ებრაელები – 4%, დანარჩენი ეროვნებები – 4,1%. რაოდენობის მხრივ მესამე ადგილზე რუსები იდგნენ. განვლილ ათწლეულში მათი რიცხვი ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა და პროცენტული შეფარდებით ამ მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან გორს მხოლოდ თბილისი უსწრებდა. იმავე დროს, განუხრელად იზრდებოდა ოსების და ებრაელების რაოდენობა. სამაგიეროდ 1%-ით შემცირდა დანარჩენი ეროვნებების რიცხვი.

გორში მრავლად იყვნენ თბილისელები, თელაველები, სიღნა-ღელები, ახალციხელები, ქუთაისელები და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი და ამიერკავკასიის სხვა ოლქებიდან მოსულნიც[2].

1922 წლისათვის გორის მოსახლეობა, ეთნიკურობის მხრივ, წარმოგვიდგება შემდეგნაირად: ქართველები – 65,8, სომხები – 27,1%, ოსები – 2,2%, რუსები – 1,8, ებრაელები – 2,1%. დანარჩენი ეროვნებები – 0,1%. როგორც ჩანს, 1922 წელს 1897 წელთან შედა-რებით, მსგავსად საქართველოს სხვა ქალაქებისა, განსაკუთრებით

---

[1] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 53.*

[2] *ხოშტარია ე., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყა-ლიბება XIXს საქართველოში, ნაწ. I, თბ., 1966, გვ. 103*

შემცირდა რუსული მოსახლეობა. საქართველოს ქალაქებში რუსების შემცირების მთავარი მიზეზი XX ს. მეორე ათწლეულში მომხდარ ამბებში (1 მსოფლიო ომი, რუსეთის პირველი და მეორე რევოლუციები, საქართველოს გამოსვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან) უნდა ვეძიოთ. გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე საშინელმა მიწისძვრამ, რის შედეგად გორის მოსახლეობა უაღრესად შემცირდა.

სქესის მიხედვით, 1886 წელს, გორში ცხოვრობდა: კაცი – 60.8%, ქალი – 39,2%, 1897 წელს: კაცი – 49,1%, ქალი – 50,9%. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მამაკაცთა რიცხვის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ომებში მასობრივი გაწვევა, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებში კომერციული თუ სხვა მიზნებით გადასახლება იყო, მაგრამ მამაკაცთა სიჭარბე კი არ იყო სინამდვილეში, არამედ არასწორი აღრიცხვით ასე გამოდიოდა. გორის მკვიდრი მამაკაცების თანაბრად, აღწერდნენ ახლომდებარე თუ შორეული სოფლებიდან დროებითი სამუშაოს მაძებარ მამაკაცებსაც, რომლებსაც ოჯახები სოფლებში ჰყავდათ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მთავრობამ მკაცრი კონტროლი დააწესა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობაზე. ვინც მოქალაქე არ იყო, იძულებული გახდა, თავის სახლკარს დაბრუნებოდა. ამანაც გამოიწვია მამაკაცების და ქალების რაოდენობრივი გათანაბრება, რასაც 1922 წელს ვხედავთ.

რელიგიის მიხედვით გორის მოსახლეობაში 1886 წელს იყო მართლმადიდებელი – 4166, გრიგორიანელი – 2876, სომეხი კათოლიკე – 18, კათოლიკები – 100, მაჰმადიანები – 4, იუდეველები – 18, სხვა სარწმუნოების მიმდევრები – 61. 1897 წლისათვის იყო: მართლმადიდებელი – 7062, გრიგორიანელი – 2805, სომეხი კათოლიკე – 8, კათოლიკე – 164, მაჰმადიანი – 105, იუდეველი – 64, სხვა სარწმუნოების მიმდევარი – 61[1]. დგომარეობა შეიცვალა მართლმადიდებელთა (ქართველები, რუსები, ოსები) სასარგებლოდ. იმატეს კათოლიკებმა და იუდეველებმაც.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე, მთავრობამ დაიწყო ზრუნვა მის კოლონიზაციაზე. ამ პოლიტიკის გამტარებელი იყო საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვიც. მან აღძრა საკითხი რუსეთიდან საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში მდ. ენგურის გასწვრივ კაზაკების ჩასახლების შესახებ. პ. ციციანოვი ამ საკითხზე სამეგრელოს მთავარსაც კი შეუთანხმდა.

---

[1] *Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г, СПБ, 1905, с. 82-102.*

ამავე მიზანს ემსახურებოდა პ. ციციანოვის დროს ერევნის სახანოდან მრავალი სომხური ოჯახის საქართველოში გადმოსახლება. საქართველოს მაშინდელ მმართებლს ის იდეაც კი გაუჩნდა, იმერეთში, ვითომდაც მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით, ჩეხი სექტანტები ჩამოესახლებინა.

პ. ციციანოვის დროს დაიწყო რუსების დასახლება საქართველოში სამხედრო ახალშენების მოწყობის გზით. პოლკის ცალკეულ ნაწილებს, სტრატეგიული მოსაზრებით, ასახლებდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. მათი ერთი ნაწილის სამუდამოდ დამკვიდრების მიზნით, ყოველ პოლკთან იქმნებოდა ცოლიან ჯარისკაცთა ასეული. როგორც ცნობილია, ჯარისკაცს დაოჯახების ნება ეძლეოდა მხოლოდ თხუთმეტი წლის სამსახურის შემდეგ. ასეთი ასეულების დასაკომპლექტებლად და, ალბათ, იმის გამო, რომ ადგილობრივ ქალებში ნაკლებად აღმოჩნდებოდნენ ისინი, ვინც რუსი ჯარისკაცის ცოლობას მოისურვებდა, როგორც ვ. პოტო წერდა, *„უფროსებმა რუსეთში შეაგროვეს რამდენიმე ათასი შვილიანი ქვრივი ქალი და ახალგაზრდა ქალიშვილები (ამ უკანასკნელთა შორის ყველანაირი ქალიშვილი იყო!) და შავი ზღვით გაგზავნეს ასტრახანში-კავკასიაში, ხოლო მათი ერთი ნაწილი, სახმელეთო გზით სტავროპოლშიც“*[1].

ამგვარად, ახალშენები შეიქმნა გორში, მანგლისში, თეთრწყაროში (აღბულაღი), გომბორში, მუხრანში, დედოფლის წყაროში და სხვ.

შემდეგ გორის მაგალითზეც დავრწმუნდებით, მაგრამ ზოგადად აქვე უნდა ითქვას, რომ მცირე არ იყო პოლკის და მისი მეურნეობისათვის გამოყოფილი სავარგულები - სათიბები, საძოვრები, სამხედრო წვრთნისათვის საჭირო ადგილები და სხვ. დაოჯახებულ ჯარისკაცებს კიდევ სხვა ნაკვეთები სჭირდებოდათ თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რა თქმა უნდა, ამ მიწებს ართმევდნენ მკვიდრ მოსახლეებს - განურჩევლად მათი სოციალური და წოდებრივი მდგომარეობისა.

მიწის მნიშვნელოვან ნაკვეთებს იღებდნენ აგრეთვე რუსეთიდან თავიანთი ნებით გადმოსახლებულები, რომლებიც სამხედრო დაბების სიახლოვეს სახლდებოდნენ[2].

---

[1] *Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах, СПБ, 1897, т. 2, с. 683.*

[2] *Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г,с. 154, 158-159*

რუსული მმართებლობის დამყარების დღიდან 1856 წლამდე გორში თანმიმდევრობით ბინადრობდა ჯერ ე.წ. კავკასიის პოლკი, შემდეგ მე-9 ეგერთა პოლკი, ბოლოს კი – ხერსონის პოლკი, რომელსაც მოგვიანებით სახელი შეუცვალეს და ქართული პოლკი დაარქვეს. ამ პოლკისათვის 20-იან წლებში სპეციალურად აუგიათააგეს ის ორსართულიანი შენობა, რომელიც ამჟამადაც დგას სამეფო ქუჩაზე (№76). 1834 წელს ეს შენობა შეუსყიდია სინოდის კანტორას და გადმოუტანიათ სასულიერო სასწავლებელი და აქ ფუნქციონირებდა 1888 წლამდე[1]. საბჭოთა პერიოდში მასში განთავსებული იყო მილიცია, შემდეგ V საშუალო სკოლა, ამჟამად მეორე სართულზეა შპს გერმატო-ვენეროლოგიის პოლიკლინიკა, პირველზე კი მაღაზიები.

1887 წლის 6 მარტს მკვიდრი კავკასიელებისაგან ჩამოაყალიბეს 259-ე სარეზერვო ქვეითი პოლკი და ეწოდა პირველი კავკასიის მკვიდრთა სარეზერვო რაზმი. 1890 წელს იგი გარდაიქმნა გორის სარეზერვო საკადრო პოლკის ორ ბატალიონად, ხოლო საუკუნის ბოლოს, 1899 წლის 26 მარტიდან ერქვა გორის 259-ე სარეზერვო ქვეითი პოლკი[2].

გორის შეძლებულმა მოქალაქეებმა სწორად შეაფასეს რუსული პოლკის და მისი ჯარისკაცების აქ დამკვიდრების ეკონომიკური მნიშვნელობა და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს. მოქალაქეთა ფულით, ქალაქის მიწაზე, ჯარს აუშენეს რამდენიმე კეთილმოწყობილი კაზარმა, ცოლშვილიანი ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სახლების ასაშენებლად ასევე უფასოდ გამოუყვეს მიწები[3]. ხერსონის პოლკის ერთ-ერთი ოფიცრის მონათხრობის თანახმად პოლკის კაზარმები უმშვენიერესი და საუკეთესო იყო მთელ საქართველოში[4]. ხერსონის პოლკის ცხოვრებიდან ისიც ვიცით, რომ 1822 წ. მას ეწვივნენ მთავარსარდალი ერმოლოვი და ა. გრიბოედოვი, რომელიც მაშინ ერმოლოვის დიპლომატიურ კანცელარიაში მსახურობდა[5].

1846-1864 წლებში გორში ჯარი არ იდგა. არ ვიცით რატომ წაიყვანეს გორიდან ქართული პოლკი 1846 წელს და ბინა დაუდეს ბელიე კლუჩში. არც ის ვიცით, როდის დააბრუნეს გორში ჯარი.

---

[1] *ხუციშვილი მ., გორის ქუჩები // ლიახვი, გორი, 1976, გვ. 83-87.*

[2] *გ სიემ, №535, ფ. 168*

[3] *Документы, II, с. 51.*

[4] *Гори древняя столица Карталинии, «Московский телеграф // 1833, №16, август, с. 493.*

[5] *Андреев В., Воспоминания из кавказской старины // Кавказский сборник, г. Тифлис, 1876, с. 18*

ყირიმის ომის დაწყების წინ გორში დროებით ჩააყენეს გრენადერთა საარტილერიო ბრიგადა. ცნობილია, რომ 1856 წელს გორიდან გურიის ფრონტზე წაიღეს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 4 ზარბაზანი[1]. ჯარის მუდმივად ჩაყენება უნდა მომხდარიყო 1865 წლიდან, რადგან ამ დროს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ნახსენებია გორის სამხედრო ჰოსპიტალი[2].

60-იანი წლების მეორე ნახევარში გორში იყო: 15 მოხელე თავისი ოჯახებით, საარტილერიო ბატარეა 303 დაბალი ჩინის მოსამსახურით, 6 ოფიცრითა და 45 კაზაკით, №2 საგზაო-სამხედრო მუშათა ასეული 143 დაბალი ჩინის მოსამსახურით და 2 ოფიცრის შემადგენლობით, ინვალიდთა მოძრავი ნახევარასეული 151 კაცით და 2 ოფიცრით, შინაგანი დაცვის 198 კაცი 2 ოფიცრით[3].

70-80-იანი წლების მიჯნაზე გორში ცხოვრობდა 38-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური (მე-5 კლასის სამხედრო ჩინი პოლკოვნიკსა და გენერალს შორის). გორში იყო განლაგებული აგრეთვე ვლადიკავკაზის პოლკის ორი ბატალიონი, ბრიგადის შტაბი და 41-ე საარტილერიო ბრიგადის ორი ბატარეა. ამას გარდა სოფ. ხიდისთავში, გორიდან ორი კილომეტრის დაშორებით, იდგა ყუბანის კაზაკთა ჯარის პირველი ცხენოსანი ბატარეა[4].

1893 წლის 9 მაისს გორის სარეზერვო პოლკს ზეიმი ჰქონდა-ფიცს სდებდნენ ახალწვეულები. პოლკის მეთაურმა თავ. კ. ერისთავმა, მიულოცა მრავალრიცხოვან სტუმრებს და სამხედროებს. საზეიმო სადილზე პოდპორუჩიკმა თავ. ვ. ერისთავმა წაიკითხა საინტერესო საკუთარი ლექსი, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად გამოქვეყნდა გაზ. „კავკაზში“[5].

გორში რომ ჯარის მნიშვნელოვანი კონტიგენტი იყო ხოლმე, ჩანს 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მასალებიდანაც. სამხედროთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით გორში ორჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქებში (შესაბამისად 22,3 და 10,6%)[6].

მოხელეები გორში მოსახლეობის 2,9% შეადგენდნენ, მაშინ, როდესაც, საქართველოს ქალაქებში ეს მაჩვენებელი 4,5% უდრიდა.

---

[1] *ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 238*

[2] *Документы, т. I, ч. II, с. 867.*

[3] *Там же, с. 57.*

[4] *გ სიემ, №535, ფ. 77.*

[5] *„Кавказ“, 1893, №126.*

[6] *Первая всеобщая перепись, с.154, 158-159.*

საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, გორში უფრო მეტი იყვნენ რანტიეები – ფულის გამსესხებლები (8,7-8,4%), პენსიონერები (2,0-1,9%), თავისუფლებას მოკლებული, დეკლასირებული ელემენტები და გაურკვეველნი (2,6-2,5%).

ნახევრადმწარმოებელი მოსახლეობის ხვედრითი წილი გორში უფრო ნაკლები იყო (26,1%), ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქებში (34,8%). გორი საქართველოს სხვა ქალაქებს ჩამორჩებოდა სამივე კომპონენტში – ვაჭრების (14,5-19,2%), მიმოსვლასა და ურთიერთობაში ჩაბმულთა (3,9-6,4%) და კერძო სამსახურით დაკავებულთა, შინამოსამსახურეთა და დღიური მუშების (7,7-9,2%) ხვედრითი წილით მოსახლეობის საერთო რაოდენობაში[1].

საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მონაცემებით, მრეწველობაში ჩაბმული ადამიანების რაოდენობით (27,6%) გორს მეოთხე ადგილი ეკავა საქართველოს ქალაქთა შორის. საკომერციო საქმიანობაში ჩაბმული იყო 16,6%, რითაც იგი თბილისს უტოლდებოდა, მაგრამ ჩამორჩებოდა ქუთაისს, ბათუმს, ახალციხეს, სიღნაღს და სოხუმს.

გორს მეხუთე ადგილი ეკავა ტრანსპორტზე დასაქმებულთა რაოდენობით (7,8%). ყველაზე მეტი დასაქმებული იყო ტანსაცმლის კერვაზე (738 კაცი), სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებიდან პირველ ადგილზე იყვნენ მიწათმოქმედნი (401 კაცი). მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა დაქირავებული იყო კერძო პირებთან ან დღიური მუშები იყვნენ[2].

გორის მწარმოებელი და ნახევრადმწარმოებელი მოსახლეობის ხვედრითი წონა ნაკლები იყო საქართველოს ქალაქების იმავე კატეგორიის მოსახლეობის საშუალო მაჩვენებელზე. მწარმოებელმა მოსახლეობამ გორში შეადგინა 30,0%, ნახევრადმწარმოებელმა-26,1%, მაშინ, როდესაც საქართველოს ქალაქებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 32,8 და 34,8%-ს.

არამწარმოებელი მოსახლეობა გორში გაცილებით აღემატებოდა საქართველოს ქალაქების ამ კატეგორიის მოსახლეობას (შესაბამისად 43,9 და 32,4%). ეს განსხვავება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გორის მოსახლეობის პროცენტულ შემადგენლობაში ჯარის ხვედრითი წილი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქებში (შესაბამისად 22,3 და 10,6%)[3].

---

[1] *Там же.*

[2] *სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწ. II, გვ. 103.*

[3] *Первая всеобщая перепись, с. 154, 158-159*

# მართებლობა

რუსეთის ცარიზმმა თავისი მმართებლობის სისტემა ისე დაამყარა საქართველოში, რომ არ გაუთვალისწინებია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მმართებლობის თავისებურებანი, არ გაითვალისწინა მისი ყოფისა და ჩვევების თავისებურებანიც.

1801 წ. 16 თებერვალს თბილისში გამოქვეყნდა ქართლ-კახეთის რუსეთის გუბერნიად გადაქცევის მანიფესტი. მის სამართავად თბილისში შეიქმნა დროებითი მთავრობა გენერალ ლაზარევის მეთაურობით. უმაღლესი ხელისუფლება შედგებოდა რვა მდივან-ბეგის ანუ მრჩევლისაგან. ცალ-ცალკე არსებობდა ქართლისა და კახეთის მთავრობები, რომლებიც უზენაეს ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. ქართლის მთავრობა გორში იმყოფებოდა.

ჯერ კიდევ 1801 წლის ზაფხულში, გორში გაიხსნა ე. წ. ***პროვინციული კანცელარია*** შესაბამისი შტატებით, რომლის სათავეში იდგა ვიცე გუბერნატორი. მმართებლობის ამ ფორმამ მცირე ხანს იარსებება და მის მაგიერ დაინიშნა ***სამხედრო კომენდანტი***, რომელსაც სამოქალაქო სასამართლო უფლებაც მიენიჭა.

გენერალი ლაზარევი უმაღლეს მთავარსარდალს საქართველოში გენერალ კნორინგს მოახსენებდა, რომ მან ქართლი შემოიარა და მიზანშეწონილად მიიჩნია გორში დაწესებულიყო პოლიციური წესრიგი და ქალაქი გაჰყო ორ ნაწილად, თითოეული ნაწილი კი სამ კვარტალად. ერთი კვარტალი შეიქმნა ქალაქის გარეთ. პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის წარდგინებით, პოლიცმეისტერის თანამდებობის აღსრულება ლაზარევმა დაავალა გორის მამასახლისს ისაია ამირაღოვს. იმავე სიმონოვიჩის წარდგინებით დამტკიცდა ნაწილების და კვარტალების პრისტავები, რომლებსაც მიეცათ საჭირო დავალებები. მათი ხელფასით უზრუნველყოფა, თბილისის მოხელეთა მსგავსად, ქალაქის მოსახლეობის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ***პოლიცმეისტერის*** საქმიანობაზე, ისევე, როგორც მთელ ქალაქზე და ციხე-სიმაგრეზე, ზედამხედველობა სიმონოვიჩს დაევალა[1]. განხორციელებული ღონისძიება ფაქტობრივად გამიზნული იყო გორის მოსამზადებლად სამაზრო ქალაქად გადაქცევისათვის. მართლაც, 1802 წ. 25 მაისს შესდგა სამაზრო დაწესებულებების, კერძოდ, ***სამაზრო სასამართლოს და საპოლიციო სამმართველოს*** გახსნის ცერემონიალი, თბილისიდან გორში ამ ზეიმზე გაგზავნილი კოლეჟსკი სოვეტნიკი სტავროვსკი გენე-

[1] *Акты, т.1, с. 441.*

რალ კნორინგს დაწვრილებით მოახსენებდა: 24 მაისს გორის კომენდანტმა სამხედრო რაზმთან ერთად ნაშუადღევის 4 საათზე ქალაქის სხვადასხვა ადგილას რუსულ და ქართულ ენებზე გამოაცხადებინა, რომ შემდეგ დღეს, ე. ი. 25 მაისს, იმპერატორის სურვილის შესაბამისად, საზეიმოდ გაიხსნებოდა სამაზრო სასამართლო და საპოლიციო მმართებლობა.

მეორე დღეს (25 მაისი), შუადამიდან, ეკლესიებში დაიწყო მწუხრის ლოცვა, ხოლო 7 საათიდან კი ნახევარ-ნახევარი საათის ინტერვალით სიგნალის მიცემა ქვემეხების სამი გასროლით. 8 საათზე სამოქალაქო ექსპედიციის უფროსის ბინაზე მოხელეები, თავადები და აზნაურები მივიდნენ. მათ მეთაურმა უთხრა, რომ საქართველოს მთავარსარდლისა და მმართებლისაგან დავალებული ჰქონდა მისი იმპერატორობით უმაღლესობის მანიფესტით გორში გაეხსნა ***სამაზრო საკრებულო***. მან იქვე ბრძანა წაეკითხათ თანამდებობებზე დანიშნულ მოხელეთა სია. ამის შემდეგ დაიწყო წირვის ზარების რეკვა და ეკლესიაში მსველელობა შემდეგი რიგით: წინ მიდიოდნენ პოლიციის მოსამსახურენი, რომელთაც ევალდებოდათ დაეცვათ მსვლელობის დროს სიწყნარე და წესრიგი. შემდეგ მიდიოდნენ სამოქალაქო ექსპედიციის მეთაური და გორის კომენდანტი, რომლებსაც აქეთ-იქით მისდევდნენ სასამართლოს ორი მსაჯული, მდივანი და თარჯიმანი. ბოლოს მიდიოდნენ თავადები და აზნაურები. ქალაქის მეთაურის სახლიდან ეკლესიამდე და ეკლესიიდან საკრებულომდე საზეიმო მსვლელობას ჯარის ერთი ნაწილი წინ მიუძღოდა. მეორე კი მოხელეებს მისდევდა დაფდაფების დაკვრით. ეკლესიაში მისვლისთანავე დაიწყო წირვა, რომელსაც უძღვებოდა უსამღვდელოესი იუსტინე. იმავე დროს, სომხურ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიებშიც ღვთისმსახურება მიმდინარეობდა. ლოცვის დასრულების შემდეგ, ყველა ეკლესიაში, ქართულ ენაზე წაკითხულ იქნა მთავარსარდლის მიმართვა ქართველი ხალხისადმი და დადგენილება საქართველოს შესახებ. ქართულ ეკლესიაში ლიტურგიის დასრულების შემდეგ ორმა მოხელემ, ერთმა რუსულად, მეორემ კი ქართულად წაიკითხეს მიმართვა და დადგენილება, შემდეგ ჩვეულებისდა მიხედვით, ახლად დანიშნულ მოხელეებს ერთგულების ფიცი დაადებინეს, რასაც მოჰყვა ქვემეხებიდან 11 გასროლა. აკურთხეს საკრებულო, სადაც მაშინვე გაიმართა სამაზრო სასამართლოს პირველი სხდომა. გაიხსნა აგრეთვე საპოლიციო მართებლობა. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ, მეთაურის სახლში მოეწყო სუფრა, რომელიც გათვალისწინებული იყო 40 კაცისათვის – სასულიერო პირთა, მო-

ხელეთა და თავადაზნაურთათვის. წვეულება საღამოთიც გაგრძელდა. მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ვაჭართა გაჩირაღდნებულ დუქნებში სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავდნენ. მოსახლეობა მთელი ღამე ქეიფობდა და მხიარულობდა[1].

ადგილობრივი მცხოვრებლებიდან სამაზრო მმართებლობაში დაინიშნენ: სამაზრო სასამართლოში – თავადები ნ. ციციშვილი და ბ. თუმანიშვილი, საპოლიციო მმართებლობაში – თავადები – ვ. ჯავახიშვილი და ი. ბეგთაბეგიშვილი. სამაზრო ხაზინადრად – თავადი ი. შალიკაშვილი, პოლიცმეისტერად – აზნაური მ. არუთინაშვილი. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება მაშინვე შეეცადა თავის სამსახურში ჩაეყენებინა გორელი თავადაზნაურები. გიორგი ამილახვარმა ჯერ სტატსკი სოვეტნიკის (სახელმწიფო მრჩეველი) ჩინი მიიღო, ხოლო შემდეგ არჩეულ იქნა ადგილობრივი თავადაზნაურობის წინამძღოლად[2].

რუსული მმართებლობის დამყარებამ, ადგილობრივი ადათწესების და ზნე-ჩვეულებათა გაუთვალისწინებლობამ, სრული ქაოსი გამოიწვია, რაც მოხელეებს თვითნებობის შესაძლებლობას აძლევდა. თითქოს მანამდე გარკვეული მთელი რიგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხებისა, ახლა უკვე გაუგებარი შეიქმნა. ველარ არკვევდნენ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის მიწის ნაკვეთი: ხაზინას, ეკლესიას, კერძო პირს? ვის ეკუთვნოდნენ აღნიშნულ მიწებზე მცხოვრები ადამიანები – სახელმწიფოს, ეკლესიას, მემამულეს? ვინ იყვნენ იურიდიულად ეს ადამიანები – თავადები, აზნაურები, მოქალაქენი, თავისუფალნი, ყმები? ამის გარკვევა თითქმის შეუძლებელი გახდა. ისტორიულმა გადატრიალებამ, რაც გამოიხატა თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის გაბატონობით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან აყარა. დაიწყო ემიგრაცია, რაც შემდეგში შეცვალა მიგრაციამ. პოლიტიკური გადატრიალებით უკმაყოფილო მრავალი პირის მამულის კონფისკაცია მოხდა, რომელიც სხვა მემამულეებს დაურიგეს მთავრობისადმი გაწეული რაღაც სამსახურისათვის. გლეხები ერთი მებატონისაგან მეორესთან გარბოდნენ, რაც ასევე დაპირისპირებას იწვევდა ერთის მხრივ მებატონეებს შორის და მეორე მხრივ, მებატონესა და ხელისუფლებას შორის. მებატონეები იტაცებდნენ სახაზინო მიწებს, იტაცებდნენ ქალაქების სამეურნეო სავარგულებს, რის შედეგებს გორის მაგალითზე დავინახავთ. ზემოთ უკვე ითქვა, რომ შექმნილი სიტუაცია

---

[1] *Там же, с. 477.*

[2] *Бухникашвили Г., Гори, с. 52-53.*

ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მოხელეთა თვითნებობის, გამომძალველობის და მექრთამეობისათვის. საქართველოს მართებლმა კოვალენსკიმ უზარმაზარი ქონება იშოვა ფულით სპეკულაციის გზით[1].

ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსებიც კი იძულებულნი იყვნენ ედიარებინათ XIX ს. დასაწყისში საქართველოში შექმნილი უკიდურესი მდგომარეობა: *„გამუდმებული საგარეო ომები, განუწყვეტელი თავდასხმები ლეკებისა, რომლებიც თბილისამდეც კი აღწევენ; ჯერ შავმა ჭირმა, შემდეგ ჟამმა ამოწყვიტა ათეულათასობით ადამიანი; კავშირების გაწყვეტა, მოუსავლიანობა და ვაჭრობის დაცემა; კაზარმებისა და ჯარისკაცთა სადგომების უქონლობა – უხეში და გამანადგურებელია, როგორც მტრის შემოსევა; საურმე და საგზაო ბეგარის არათანაბარმა განაწილებამ მრავალი სოფელი სრულ განადგურებამდე მიიყვანა; (ქართლ-კახეთის – ე.მ.) სამეფო სახლის ინტრიგებმა და სიძულვილმა (თავს მოხვეული ახალი ხელისუფლებისადმი – ე.მ.) იქამდე მიაღწია, რომ დედოფალმა მარიამმა, რომელიც იძულებული გახადეს რუსეთში გადასახლებულიყო, საკუთარი ხელით განგმირა გენერალი ლაზარევი[2]. უკმაყოფილება თავადებისა და აზნაურებისა, რომლებიც კვლავ უფლისწულებს უჭერენ მხარს, რადგან ადრინდელი შემოსავალი და შეღავათები დაჰკარგეს; ბოროტება უმაღლესი მოხელეებისა, რომლებმაც ქონება შეიძინეს საქართველოში; დაბალი მოხელეების საყოველთაო ლოთობა, რომლებსაც გუდოვიჩმა[3] ღამით მცველები*

---

[1] *Там же, с. 57.*

[2] ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს მტკიცედ შემოერთების და მისი დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნების აღმოფხვრის მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ სამეფო ოჯახის წევრების რუსეთში გადასახლება გადაწყვიტა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა პ. ციციანოვს დაავალა ეცადა გადასახლება ნებაყოფილობით განეხორციელებინა და ძალა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოეყენებინა. როცა პ. ციციანოვი დარწმუნდა, რომ დედოფლებს (დარეჯანი – ერეკლე II-ის მეუღლე და მარიამი – გიორგი XII-ის მეუღლე) და ბატონიშვილებს სამშობლოს დატოვება არ სურდათ, ძალის გამოყენება სცადა. სხვათა შორის, პ. ციციანოვი მარიამ დედოფლის ნათესავი იყო.

1803 წლის აპრილში გენერალი ი. ლაზარევი კაზაკთა რაზმით შეიჭრა მარიამ დედოფლის სასახლეში და მისი გასახლება ძალით მოინდომა შეურაცხყოფილმა დედოფალმა ი. ლაზარევი ხანჯლით მოკლა. მარიამი ვორონეჟში გადაასახლეს. რუსეთში გადაასახლეს სამეფო სახლის ყველა წარმომადგენელი.

[3] რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. 1806 წელს დაინიშნა კავკასიის ჯარების სარდლად.

*დაუყენა, დღისით კი განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეში ჰყავს; ყოველივე ამის გამო საჩივრები, დრტვინვა და მღელვარებაა ერთგან და აჯანყება მეორეგან"*[1].

XIX საუკუნის 30-იან წლებში გორის მაზრის მმართებლობის სათავეში იდგა ***ოლქის მეთაური***, რომელიც იმავე დროს ***მაზრის მოსამართლეც*** იყო, მემამულეთა ინტერესების დამცველად ***თავადაზნაურთა კრება*** და ***მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი*** გამოდიოდა. არსებობდა ***საერობო პოლიცია***. ქალაქში წესრიგს იცავდა ***პოლიცმეისტერი***. ქალაქში თანამდებობის პირებად ითვლებოდნენ აგრეთვე: ***სასამართლოს მოხელე, ხაზინადარი, მიწისმზომელი და ექიმი***[2].

იმის გამო, რომ მმართებლობის არსებული სისტემა ვეღარ პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნებს, დღის წესრიგში დადგა რეფორმის გატარება. 1841 წლის მმართებლობის რეფორმით ამიერკავკასია გაიყო ორ მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად – ***საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად***. ყველაზე დაბალ ინსტანციად ითვლებოდა სამაზრო მმართებლობა, რომლის სტრუქტურა და მუშაობის ფორმები ამჯერად გვაინტერესებს. ***სამაზრო სამმართველო*** წარმოდგენილი იყო ***მაზრის უფროსის***, მისი ***თანაშემწეების***, ***უბნის მსაჯულების***, ***საქალაქო პოლიციის***, სამაზრო ხაზინადრის, სამაზრო სასამართლოს და ***მაზრის პროკურორის*** სახით.

***მაზრის უფროსი*** მაზრაში კანონის უშუალო გამტარებელი, წესრიგის დამცველი იყო. ამიტომ, მას ემორჩილებოდა ყველა ჩინოვნიკი. სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, მას ევალებოდა: 1. ყოველგვარი ანგარიშის შედგენა სახელმწიფო ქონების მდგომარეობის შესახებ; 2. მოხსენების შედგენა საგადასახადო დავალიანების ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ; 3. საჯარო ვაჭრობის ორგანიზაცია და „პოდრიადების" გაფორმება; 4. საქალაქო და საერობო გადასახადების განაწილება და სათანადო მასალის შესაბამისი უმაღლესი ინსტანციისათვის მიწოდება; 5. პურისა და სხვა კულტურათა ნათესებისა და მოსავლის შესახებ უწყისების შედგენა; 6. გაქცეულთა დაჭერა, დამნაშავეთა სამართალში მიცემა და სხვ.[3]

---

[1] *Утверждение русского владичества на Кавказе, Под. ред. Потто, т. II, 1901 г. с. 51.*

[2] *Евецкий О., Статистическое описание закавказского края, СПБ, 1835.*

[3] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 129-130.*

შეიქმნა აგრეთვე საგუბერნიო და სამაზრო საერობო საბეგრო კომიტეტები და სხვ. მმართებლობის სისტემის დახვეწა შემდგომშიც გრძელდებოდა.

როგორც ჩანს, ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი მთლად გარკვეული არ იყო. იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ ფუნქციების აღრევა, 1840 წლის 10 თებერვლის დადგენილებით, სასამართლო და დამსჯელი ორგანოები განაწილდა მაზრის უფროსსა, საუბნო მსაჯულსა და საქალაქო პოლიციას შორის შემდეგნაირად: მაზრის უფროსი მაზრაში, საუბნო მსაჯული უბანში, ქალაქის უფროსი იცავდა წესრიგს და ყველაფერს, რაც საპოლიციო ხელისუფლების უფლებებში შედიოდა. მათ ევალებოდათ აღეკვეთათ ყოველგვარი ძალადობა და თვითნებობა და დაზარალებული დაეკმაყოფილებინათ. საუბნო მსაჯულს სასამართლოში გაგზავნის გარეშე საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა 5 მანეთამდე თანხის ჯარიმის და დავის საკითხი, ხოლო მაზრის უფროსს 10-25 მანეთამდე ვერცხლით. მაზრის უფროსს ადგილზევე უნდა გაერჩია ნაკლებმნიშვნელოვანი სადავო საკითხები. მაგ. ქურდობისა და ყალთაბანდობის პირველი და მეორე შემთხვევები, როცა თანხა შეადგენდა 10-25 მანეთამდე, ხოლო საუბნო მსაჯულს კი 5-10 მან. ვერცხლით. ამას გარდა, მაზრის უფროსს მიენიჭა უფლება ამოეღო ყოველგვარი „უდავო“ ვალდებულებებით გადასახადი და სასამართლოში გაეგზავნა ისინი, ვინც 100 მანეთზე მეტი თანხის გადასახადზე დავას დაიწყებდა. აღნიშნულ შემთხვევებში საქალაქო პოლიცია მოქმედებდა ისევე, როგორც საუბნო მსაჯულები. მოსახლეობა ვალდებული იყო მიემართა სამაზრო სასამართლოსათვის მხოლოდ მაშინ, როცა სადავო თანხა აღემატებოდა 15 მან. ვერცხლით და, როცა ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვერ შეძლებდა მოდავეთა დათანხმებას საქმე გაერჩია სამედიატორო სასამართლოს[1].

1865 წლისათვის გორში იყო: საქალაქო პოლიცია ***გოროდნიჩის*** თავმჯდომარეობით. მას ემორჩილებოდნენ: კვარტალის ზედამხედველი, საქმის მწარმოებელი, ბუღალტერი, მოქალაქეთაგან არჩეული 2 დეპუტატი და მწერალთა დადგენილი შტატი. ყველანი ერთობლივად ემორჩილებოდნენ მაზრის უფროსს.

გორში, სამაზრო ცენტრში, იყო: ***მაზრის სასამართლო,*** დადგენილი შტატებით, ***მაზრის ხაზინა, მაზრის პროკურორი და მაზრის ექიმი***. აღნიშნული მოხელეები ანგარიშვალდებულნი იყვნენ

[1] *Бухникашвили Г., Гори, с. 86.*

ზემდგომ საგუბერნიო მოხელეთა წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ გორში ჰქონდა ***შტაბ-ბინა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადას***. აქვე იყო განლაგებული ამ ***ბრიგადის №1 ბატარეა,*** ახლადჩამოყალიბებული ***მუშათა ბრიგადა***, ***სამხედრო მუშათა №38 ასეული.***

ჰოსპიტალთან არსებობდა ***ინვალიდთა მოძრავი ნახევარასეული***, ***შინაგანი დაცვა*** საგუშაგო სამსახურის შესასრულებლად და ეტაპების გასაცილებლად[1].

როგორც ზემოთმოყვანილი მასალებიდან ჩანს, გორს, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებს, განაგებდა პოლიცია. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებამ, გაძლიერებული ბურჟუაზიის მოთხოვნებმა, დღის წესრიგში დააყენა საქალაქო მმართებლობის გარდაქმნის აუცილებლობა.

1870 წ. 16 ივნისს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა უმაღლეს ბრძანებას. ძალაში შევიდა ახალი საქალაქო დებულება, რომელიც ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. 1874 წ. 30 ოქტომბერს მეფის ნაცვალს წინადადება მიეცა ამიერკავკასიაში 1870 წლის საქალაქო დებულება გაეტარებინა იმ თანმიმდევრობით, როგორც იგი უფრო მოხერხებულად მიიჩნევდა.

იმავე წლის ნოემბრიდან საქალაქო რეფორმა გატარდა თბილისში, 1875 წელს – ქუთაისში, ხოლო 1876 წელს გორმაც მიიღო თვით მმართებლობა. სულ მიიღო საქართველოს ექვსმა ქალაქმა – თბილისმა, გორმა, ფოთმა, ბათუმმა და ახალციხემ. გორის თვითმმართებლობის ადგილსამყოფელი იყო სამეფო ქუჩაზე, კერძო შენობაში.

მარტის თვეში გორელ მოქალაქეებს გამოუცხადეს, რომ თვითმმართებლობის შემოღებისათვის აუცილებელი იყო ქალაქის შემოსავლის გაზრდა 2500 მანეთით. გორის საქალაქო ბიუჯეტი ქრონიკულ დეფიციტს განიცდიდა. ამიტომ საპოლიციო მმართებლობასთან არსებულ წოდებათა წარმომადგენლებს, დეპუტატებს, განუზრახავთ აღნიშნული თანხა ქალაქის ყოველ მცხოვრებზე გაენაწილებინათ. მაგრამ დეპუტატთა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ თავადაზნაურები გამოვიდნენ. გადასახადის გადახდა მათ თავიანთი უფლებების შელახვად მიიჩნიეს[2]. თანხის აკრეფა დიდხანს გაჭიანურდა, მაგრამ გორის **საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა** არჩევნები მაინც ჩატარდა. 1876 წლის მარტიდან დაწყებული

---

[1] *Документы, т. I, ч. II, с. 875-876.*

[2] *„დროება“, 1876, №66*

საქმე, როგორც იქნა, ნოემბერში დასრულდა ***42 ხმოსნის*** არჩევით. საერთოდ, ხმოსანთა რაოდენობა ქალაქის სიდიდეზე იყო დამოკიდებული და მერყეობდა 42-დან 150 კაცამდე.

გორის საქალაქო სათათბიროს შემადგენლობაში პირველი თანრიგის მოქალაქეთაგან აირჩიეს: მ. სეგმანოვი, მ. მირიანაშვილი, გრ. თუთანოვი, ს. ღამბაროვი, ი. ამირაღოვი, ი. ტერსტეფანოვი, ს. ბენაშვილი, კ. შეპფი, ივ. ამირაღოვი, ნ. გულშამბაროვი, ა. ზუბალაშვილი. მეორე თანრიგის მოქალაქეთაგან: ლ. მღებრიშვილი, ნ. დონდაროვი, გ. რამინოვი, მ. მურადაშვილი, მ. ტერაკოფოვი, დ. ტერსტეფანოვი, დ. დავრიშოვი, კ. ზუბალაშვილი, მ. დონდაროვი, პ. პიმონტი, ნ. ხითაროვი და ზ. ხითაროვი. მესამე თანრიგის მოქალაქეთაგან: გრ. ზუბალაშვილი, მ. რამანოვი, მ. ჯაფარიძე, გრ. ამიროვი, გრ. ბეგთაბეგაშვილი, ი. დონდაროვი, ა. თუთაევი, მ. გაბუნია, გრ. დავიდოვი, გ. ოთარიძე, დიმ. ქიტიაშვილი, ზ. ყუზანოვი.

როგორც გაზ. „დროება“ აღნიშნავდა, *„მომეტებული ნაწილი არჩეული პირებისა... პატიოსანი და გამოცდილი კაცები არიან, მაგრამ ზოგი ისეთებიც ურევიან ამ ახალ ხმოვნებში, რომელთაც არაფრით გამოუჩენიათ თავი, არაფრით არ დაუმსახურებიათ საზოგადო საქმის ერთგულება და სამსახურის სურვილი“*[1].

სათათბიროს უნდა აერჩია ქალაქის სამოხელეო აპარატის ყველა თანამდებობის პირი, განესაზღვრა მათი ჯამაგირი, დაემტკიცებინა ქალაქის შემოსავალ-გასავალი, სესხი აეღო ქალაქის სახელით და შემოწირულობები მიეღო, განეხილა კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები, აღეძრა შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობაში და სხვ.

სათათბირო ირჩევდა გამგეობას, რომელიც აღმასრულებელი ორგანო იყო. გამგეობა შედგებოდა სამი წევრისაგან და მას თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი. ქალაქის თავი ი. ელიმირზოვი მთავრობის მიერ იყო დანიშნული. გამგეობის მდივნად არჩეულ იქნა შ. დავიდოვი[2].

ქალაქის მეურნეობის გარკვეული სფეროს ხელმძღვანელობისათვის სათათბირო გამოჰყოფდა მუდმივ ან დროებით კომისიებს.

სათათბიროს ხმოსნები, ქალაქის თავი და სხვა თანამდებობის პირები აირჩეოდნენ ოთხი წლით.

სათათბიროს მთავარ ფუნქციას კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა შეადგენდა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე

---

[1] *იქვე, №92.*

[2] *იქვე, 1881, №182.*

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებანი და სხვ.[1]

დამატებით გადასახადს მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მის წინააღმდეგ გამოვიდა, როგორც თავადაზნაურობა, ისე მოხელეები და დემოკრატიული წრეების წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთა განწყობილებას ნ. ლომოური შემდეგნაირად გამოხატავდა: *„ჩვენი გორის საქმე სწორედ საკითხავია და ვიდრე გავიგებდეთ რასმე და ჩვენს თავს მოვუვლით, მანამ გევედრებით, ეს ჩვენი გაჭირვება თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ, იქნება ვისიც ჯერია ყურადღება მიაქციონ და ახალი გადასახადი არ დაგვედოს, რომელიც ისევე გორელებისაგან ეკიდება, და თქვენს გაზეთში გამოცხადებამ იქნებ ხალხი გააღვიძოს და ეს საქმე რიგზე წიყვანონ, ასიოდ კაცმა განჩინება შეადგინეს ყოველ წელიწადს გორში 2,500 მანეთი მოიკრიფოს და ქალაქის გამგეობას მიეცესო... გორში ათას სულზე მეტი მოიპოვება ხარჯის მძლეველი და ნუ თუ შედგენილ განჩინებაზედ ახლავე კაცმა ხმა არ ამოიღო, შენი მტერი განჩინება ძალაში თუ შევიდა, სამუდამოდ დაედება გორელებს გარდასახადათ ამისათვის, რომ განჩინებაში სწერია: ჩვენ ქვემო ამის ხელის მომწერნი ვეკვრითო, უკეთუ ქალაქის გამგეობას დასჭირდეს ხოლმე ფულიო, ყოველწელიწადს 2,500 მანეთი ვაძლიოთო, და როდის არ დასჭირდება ჩვენს გამგეობას რომ აღარ აკრიფოს?“*[2].

1876 წ. 4 დეკემბერს გაიმართა საქალაქო სათათბიროს სხდომა სადაც განხილულ იქნა ქალაქის შემოსავლის საკითხი, რომელიც ყველაზე მტკივნეული იყო გორისათვის.

ქალაქის თავმა ი. ელიმირზოვმა, რომელიც დებულების მიხედვით კი არ იყო არჩეული, არამედ მთავრობის მიერ დანიშნული, უკმაყოფილება გამოთქვა გადასახადების გამომდებთა მიმართ და აღნიშნა, რომ გორში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების მიუხედავად დამატებითი თანხა ჯერ კიდევ არ აეკრიფათ.

სათათბირომ დაადგინა, აღნიშნული თანხა ყველა ცენზიან მოქალაქეთა[1] შორის გაენაწილებინათ, არსებულ გადასახადთა ნარჩენები კი აეკრიფათ 1877 წლის თებერვლამდე.

რეფორმამდე არსებულ მოქალაქეთა წოდებრივი დაყოფის ნაცვლად საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად ეკონომიური მდგომარე-

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 322.*

[2] *„დროება“, 1876, №138.*

ობა დაედო. მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში იმ შემთხვევაში თუ აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: 1. იყო რუსეთის ქვეშევრდომი; 2. შეუსრულდა 25 წელი; 3. ქალაქში ფლობდა უძრავ ქონებას და იხდიდა შესაფერის გადასახადს ან ფლობდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას და იღებდა ფასიან სანებართვო მოწმობას; 4. მასზე არ ითვლებოდა გადასახადთა ნარჩენები. დებულება ქალაქის თვითმმართველობაში გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა უძრავი ქონების მსხვილ მესაკუთრეებს და ისინი შეადგენდნენ პირველ საარჩევნო თანრიგს. ვაჭარ-მრეწველები შეადგენდნენ მეორე თანრიგს, ხოლო მესამე თანრიგს განეკუთვნებოდნენ წვრილი ვაჭარ-ხელოსნები.

გორის საქალაქო გამგეობის არქივში დაცული იყო იმ მოქალაქეთა სიები, ვინც საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ XIX ს. 70-იან წლებში. ამ სიებს დართული ჰქონდა დაწვრილებითი ინსტრუქცია და მოწოდება ამომრჩეველთა მიმართ.

არჩევნებს ხელმძღვანელობდა სპეციალურად არჩეული კომისია, რომელიც სხვადასხვა მითითებებს აძლევდა ამომრჩევლებს. წამოაყენებდა და აგიტაციას უწევდა ვაჭართა ან აზნაურთა წოდების კანდიდატებს, ითვალისწინებდა წოდების ქონებრივ ცენზს და პრივილეგიებს.

ცნობილია გორში არჩევნების ხელმძღვანელი კომისიის შემადგენლობა. ისინი იყვნენ აზნაურთა და ვაჭართა წოდების წარმომადგენლები: ნ. ელიმირზოვი (კომისიის თავმჯდომარე), მურადოვი, ექიმი ჩ. მოსტოვიჩი, აზნაურები – გ. ბეგთაბეგოვი, დ. ტერ-სტაფანოვი, გ. ზუბალოვი და გ. ტერ-აკოფოვი.

გორის ამომრჩევლები იყოფოდნენ ***3 თანრიგად. პირველ თანრიგს*** განეკუთვნებოდნენ ის ამომრჩევლები, რომლებიც ფლობდნენ უძრავ ქონებას, იხდიდნენ ყველაზე მეტ გადასახადს – 66 მანეთ და 59 კაპიკიდან 19 მან. და 0,5 კაპიკამდე.

***მეორე თანრიგს*** განეკუთვნებოდნენ სახლების მეპატრონეები, რომლებიც იხდიდნენ 18 მან. 60 კაპიკიდან 6 მან. 52,5 კაპიკამდე.

***მესამე თანრიგს*** განეკუთვნებოდნენ ისინი, ვინც იხდიდნენ 6 მან. 52,5 კაპიკიდან 10 კაპიკამდე, ე.ი. ყველაზე ნაკლების გადამხედელები.

პირველი თანრიგის ამომრჩეველი სულ 30 კაცი იყო, მეორისა – 72 და მესამისა, ყველაზე მრავალრიცხოვანი – 472. ამგვარად, სამივე თანრიგის ამომრჩეველი ერთობლივად 574 კაცი იყო[1].

---

[1] *სცია ფ. 5, საქმე 194.*

წლიდან წლამდე თითქმის უცვლელად ირჩევდნენ ერთსა და იმავე ადამიანებს, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ საქალაქო მართვაზე, მის საჭიროებებზე. ამის გამო საქალაქო მეურნეობა სულ უფრო ეცემოდა. „ღირსეულ რჩეულებს“ მხოლოდ თავიანთი ინტერესები ჰქონდათ.

გადასახადების ზრდას საქალაქო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მტკივნეულად განიცდიდნენ მესამე თანრიგის მოქალაქენი. მათ ამიტომ მოითხოვეს ხარჯების შემცირება[1]. არ ვიცით, რას მიაღწიეს მესამე თანრიგის მოქალაქეებმა. ის კი ცნობილია, რომ ქალაქის ბიუჯეტი კვლავ დეფიციტური იყო.

გვაქვს ერთი ცნობა გორის ამომრჩეველთა თანრიგის მიხედვით განაწილებისა და იგი 1889 წლის სურათს გვაძლევს. ამ წელს გორის ამომრჩეველთა სიაში შეტანილ იყო პირველი თანრიგიდან 10 კაცი, მეორიდან – 72, ხოლო მესამიდან – 300-ზე მეტი[2]. მაშასადამე, გორში საარჩევნო ხმის უფლებით დაახლოებით 400 კაცი სარგებლობდა. ეს ძლიერ მცირეა თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს გორში თითქმის 8 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

როგორც იქნა, 1881 წ. გორის სათათბირომ მიიღო ***ქალაქის თავის*** არჩევის უფლება და ამ თანამდებობაზე კვლავ ი. ელიმირზოვი აირჩიეს[3]. ამ არჩევასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ ერთი მომენტი, რომელიც დამახასიათებელი გახდა რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოს ქალაქებისათვის. საქალაქო მმართებლობის მნიშვნელობისა და როლის გაძლიერების კვალობაზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის თანდათან მწვავდება ბრძოლა თვითმმართებლობაში გაბატონებისათვის. ყოველი მათგანი ამ დაწესებულების თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდა. საქალაქო სათათბიროები, გამგეობები და ქალაქის თავები უმეტესწილად მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდნენ. წინააღმდეგობას ამწვავებდა ისიც, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მრავალეთნიკური იყო, რის გამოც კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა ნაციონალურ ელფერსაც იღებდა.

განსაკუთრებით მკვეთრი სახე მიიღო ქართველებს და სომხებს შორის დაპირისპირებამ. ზოგიერთი ქალაქის სომეხმა ვაჭრებმა თვითმმართებლობაში თავიდანვე უპირატესობა მოიპოვეს და

---

[1] *„დროება“, 1876, №138.*

[2] *„ივერია“, 1889, №165.*

[3] *იქვე, 1881, №181.*

ქალაქის ხაზინასაც თვითნებურად განაგებდნენ, მაღალ თანამდებობებზე თავიანთი ადამიანები ჰყავდათ, გადასახადებს ტენდენციურად ანაწილებდნენ და ა.შ. ასეთი ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქალაქებში – თბილისში, ახალციხეში და გორში.

სომეხი ბურჟუაზიის როლსა და მნიშვნელობაზე გორის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში განსაკუთრებული აქცენტით აღნიშნავდა ე. ერმაკოვი იმავე 80-იან წლებში. მისი თქმით: *„გორი თუმცა საქართველოს ისტორიული რელიქვაა, მაგრამ ამჟამად მთლიანად სომხების მიერაა დაპყრობილი, ისევე, როგორც მისი მეტროპოლია-თბილისი, და, საერთოდ, მთელი ქართლი... სომხებმა ხელთ იგდეს მთელი ვაჭრობა და მრეწველობა. სხვათა შორის, აქაური სომხები ქართულად ლაპარაკობენ, სომხური არ იციან. ასე, რომ შეიძლებოდა აქაური სომხებისათვის სომხური აღმსარებლობის ქართველები გვეწოდებინა“*[1].

ქალაქის თავისა და გამგეობის მეორე არჩევნები შედგა 1881 წლის 21 აგვისტოს[2]. გორის სათათბირომ პირველად მიიღო ქალაქის თავის არჩევის უფლება და ამ თანამდებობაზე კვლავ ი. ელიმირზოვი აირჩიეს 25 ხმით ორის წინააღმდეგ. ვერც ახალმა არჩევნებმა მოუტანა გორს რაიმე სიკეთე. როგორც გაზ. „დროება“ 1883 წელს წერდა: *„მოგეცათ ღვთის წყალობა, ჩვენ გვიხაროდა თვითმმართებლობის შემოღება, ვფიქრობდით, რომ მოისპობა უწესობა, ნათლიობა, ქრთამის აღება, მეგობრობის საქმის გარჩევა, ნათესავური ძალა და ქალაქის ყვლეფა... ეს სიხარული და კეთილი მოლოდინი კარგად ვერ აგვიხდა. თუმცა თვითმმართებლობა გვაქვს, მაგრამ ქალაქი კი ოხრად გდია, დაგრიხა ქუჩები აქაურმა არქიტექტორმა... უსწორ-მასწორო შენობები, გდია ქალაქი უსუფთაოდ, ნაგვით სავსე, ბოგირები ჩამტვრეულია, ბორანზე ცარცვაა მგზავრების, ბაზარი სავსეა მყრალი თევზით, ყვითელი დახამშული კიტრით. ვინ უგდებს ყურს ბაყლების უსუფთაო სასწორს, მიკიტნების მოუკალავ ქვაბებს, ხაბაზების ცომ პურსა!... ქალაქის ხმოსნებს მაშინ ნახავთ მოყვირალებს, როცა ან თავიანთი ინტერესია, ან ვისიმე არჩევის დრო არის. მასუკან ქალაქი რომ წყალმა წაიღოს, არას დასდევენ. თუ წინათ ქალაქის თავი მთავრობის მხრივ იყო გამოგზავნილი, ახლა ხომ ჩვენი არჩეულია, მაშინ თუ არ შეგვეძლო ეხლა ხომ შეგვიძლიან მის წინააღმდეგ ხმის ამოღება... თუ ქალაქის მმართებელნი ქალაქის პატრონები არიან,*

---

[1] *გსიემ, №840, ფ. 55-60.*

[2] *„დროება“, 1881, №182.*

*უპატრონონ თუ არა და იმდენი მაინც ისვინდისონ, რომ ხელი აიღონ ამ საქმეზედ რომელსაც ვერ ასრულებენ და რომელიც მათი საქმე არ ყოფილა“*[1].

შემდგომი არჩევნების დროსაც მდგომარეობა თითქმის უცვლელი რჩებოდა თვითმმართებლობის შემადგენლობასთან ერთად[2]. როგორც ზემოთ ითქვა, საქალაქო ხელისუფლებაში მოკალათებისათვის ბრძოლამ ერთმანეთთან დააპირისპირა ქართველი და სომეხი მოსახლეობა[3].

არც მაზრის მმართებლობაში იყო ნორმალური მდგომარეობა.

1891 წლის 19 აგვისტოს თბილისის მაზრის უფროსი თავადი ჯანდიერი თბილისის გუბერნატორისადმი პატაკში გორის მაზრაში ყაჩაღების გამოჩენისა და მათი მოქმედების შესახებ წერდა, რომ გორის მაზრის უფროსი კაპიტანი განსვეიჩი მტრულ ურთიერთობაში იყო მაზრის ყველა მოხელესთან. ამან გამოიწვია მოხელეთა შორის მტრული დამოკიდებულება, ინტრიგები, ჭორები.

მაზრის მოსახლეობის ყველა კლასის წარმომადგენელმა განსვეიჩს მისი უხეში საქციელის გამო ზურგი შეაქცია და მისადმი მტრულად განეწყო. მან თავისი უადგილო სიმკაცრით თითოეული მოხელე იქამდე მიიყვანა, რომ ისინი, ყოველ წუთს განთავისუფლების შიშის გამო, იძულებულნი იყვნენ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ესიამოვნებითან მაზრის უფროსი და თხზავდნენ უაზრო მოხსენებებს და ანგარიშებს[4].

გორის ადმინისტრაციულ აპარატში არსებულ ქაოსს კიდევ უფრო ამძიმებდა ქალაქში ეთნიკური ნიშნით მოქმედი „პარტია“, რომლის ხელში იყო რეალური ხელისუფლება. თავად ჯანდიერის პატაკიდან ვიგებთ, რომ მოსახლეობისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მაზრის მმართებლობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით კი პოლიციის საქმიანობის პარალიზება, დაკავშირებული იყო „პარტიის“ მოღვაწეობასთან. „პარტია“ შედგებოდა სასამართლოს გამომძიებლის – ტერ-სტეფანოვის, მაზრის ექიმის ტერ-მინასოვის, მღვდლების – ტერ-სტეფანოვის და ტერ-მინასოვის და მოქალაქე სულხან ღამბაროვის და სხვებისაგან. უმრავლესობის აზრით, თუ ეს „პარტია“ არ დაიშლებოდა, კერძოდ, გამომძიებელ ტერ-სტეფანოვს და ექიმ ტერ-მინასოვს შორეულ მაზრებში

---

[1] *იქვე, №159.*

[2] *„ივერია“, 1889, №4.*

[3] *იქვე, №165.*

[4] *სეა, ფ. 17, საქმე 3018, ფურც. 12.*

არ გადაიყვანდნენ, გორის მაზრაში ქაოსსა და შეტაკებებს ბოლო არ მოეღებოდა[1].

XIX ს. 80-იან წლებში გორის თვითმმართებლობაშიც სომეხი ბურჟუაზია იყო გაბატონებული და ქართველების არჩევას სათათბიროში ყოველნაირად აფერხებდა. 1889 წლის არჩევნების დროს სომხები აშკარად გამოდიოდნენ ქართველი ამომრჩევლების კანდიდატების წინააღმდეგ. რამაც გორის ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილება და გააქტიურებაც გამოიწვია. ქართველი ამომრჩევლების აქტიურობის შედეგი იყო, რომ მათ სათათბიროში უპირატესობა მოიპოვეს და 1891 წლის 24 მარტს გორის ქალაქის თავად ქართველი დ. ი. მუსხელიშვილი გავიდა, რომელმაც მიიღო 17 ხმა, სომხების კანდიდატმა გულიშამბაროვმა კი-2[2].

ცარიზმი ხედავდა, რომ საქალაქო თვითმმართებლობები მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ინტელიგენციის ამოქმედებას იწვევდა და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში იზრდებოდა თვითმმართებლობის როლიც. ამიტომ 1892 წლის დებულებით შეიკვეცა ქალაქების დემოკრატიული ფენების წარმომადგენლობა და ქალაქის თვითმმართებლობა თითქმის მთლიანად ხელში ჩაუვარდა ვაჭარ-მრეწველებს და სხვა მსხვილ მესაკუთრეებს.

ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე, 1893-1894 წლებში მოხდა თბილისის, ბათუმის, ფოთის, ახალციხის და გორის თვითმმართებლობათა რეორგანიზაცია. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყოველ მოქალაქეს, თუ იგი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და ქალაქის ტერიტორიაზე ფლობდა არა ნაკლებ 1000-1500 მანეთის უძრავ ქონებას. საარჩევნო უფლებას იღებდნენ აგრეთვე პირველი და მეორე გილდიის ვაჭრები. ამგვარად, ამომრჩეველთა რიცხვი 2-3-ჯერ შემცირდა. თვითმმართებლობის ორგანოების ფუნქციებიც შეიკვეცა. მათზე მთავრობის კონტროლი გაძლიერდა. თვითმმართებლობის დადგენილებანი ძალაში შედიოდა მხოლოდ გუბერნატორისაგან დამტკიცების შემდეგ. თანამდებობებზე არჩეულ პირებს შინაგან საქმეთა მინისტრი ამტკიცებდა. ხოლო რაიმე მიზეზით მათი დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, თანამდებობას იკავებდა მთავრობისაგან დანიშნული მოხელე.

---

[1] *იქვე, ფურც. 13-14.*

[2] *„ივერია“, 1891, №65.*

ზოგიერთი სხვა ქალაქის უფლებებთან ერთად განსაკუთრებით შეიკვეცა გორის თვითმმართველობის უფლებები. შემოღებულ იქნა თვითმმართველობის გამარტივებული სტრუქტურა. ხმოსნების ნაცვლად ირჩევდნენ რწმუნებულებს, ქალაქის თავის ნაცვლად კი – მამასახლისს. რწმუნებულთა კრებები და მამასახლისები ადმინისტრაციის კიდევ უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცნენ.

1894 წლის 3 ივლისს მოეწყო ქალაქის 15 რწმუნებულის და მამასახლისის არჩევნები. ახალი დებულების მიხედვით, საარჩევნო ხმის უფლება 10 ათასიან ქალაქში ჰქონდა მხოლოდ 140 კაცს, რომელთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 73 კაცმა. ასეთნაირად არჩეულ საქალაქო სათათბიროს ავტორიტეტი არ ექნებოდა და მოსახლეობაც არ ენდობოდა. ბრძოლა სათათბროში უპირატესობისა და თანამდებობების დაკავებისათვის, საქალაქო ხაზინის და ქონების მითვისების, გადასახადის თვითნებურად განაწილებისა და მათი ხარჯვისათვის, მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. იგი თავის უკმაყოფილებას ზოგჯერ მკაცრ, ხელისუფლებისათვის საშიში ფორმებში გამოხატავდა. ასეთი ერთ-ერთი შემთხვევის აღწერამ ჩვენამდეც მოაღწია. 1890 წ. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ წერდა: არჩევნების დღეს დილით ადრე გორელებმა თავი მოიყარეს იმ კლუბის წინ, სადაც არჩევნები მიმდინარეობდა და ხმამაღლა და მკაცრად აკრიტიკებდნენ სათათბიროს, როგორც ძველ, ისე ახალ შემადგენლობას. მდგომარეობა თანდათან ისე დაიძაბა, რომ ერთი პირობა აღელვებულმა ხალხმა მედაბურთა მამასახლისს კინაღამ თვითგასამართლება მოუწყო. გორის ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაზე მედაბურთა გამგეობის (მედაბურთა გამგეობა გორში არსებობდა 1877 წლიდან) წინ შეიკრიბა უზარმაზარი ბრბო, რომლის ხმაური და ყვირილი მთელ ქალაქში ისმოდა. ყოველწუთს გაისმოდა: „ყაჩაღი“, „ქურდი“, „გაიძვერა“ და ა.შ. პოლიცია იქვე იდგა და ძლივს აკავებდა გააფთრებულ ბრბოს, რომელიც იმიტომ შეკრებილიყო, რომ მოეთხოვა ანგარიში მედაბურთა მამასახლისისათვის... მამასახლისის მიმართ ხალხის უკმაყოფილება საშინელი იყო და თუ არა პოლიცია, ალბათ, ცუდად დამთავრებოდა მისი საქმე. იმავე საგაზეთო წერილის ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ცალკეულმა პირებმა არაერთხელ მოაწყეს თვითგასამართლება. რაც შეეხება მედაბურთა მამასახლისს, მან სახლში გაპარვით უშველა თავს. მედაბურთა ეს მამასახლისი არჩეულ იქნა 1893 წლის 18 ნოემბერს. კრებას, რომელსაც უნდა დასწრებოდა 52 დეპუტატი, დაესწრო მხოლოდ 23. მიუხედავად არსებული წესისა, რომ კრება უფლებამოსილი იყო თუ მას ესწრებოდა დეპუტატთა ორი მესამედი,

არჩევნები მაინც ჩატარდა და ხელახლა აირჩიეს ძველი მამასახლისი. ოპოზიციურად განწყობილი გორელები ვარაუდობდნენ, რომ არჩევნები გაუქმდებოდა[1], მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი უცვლელად დარჩა და გორის მოსახლეობა უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ქალაქში შექმნილი ვითარება, ათეული წლების განმავლობაში გაბატონებული განუკითხაობა, ხელისუფლების თვითნებობა და მომხვეჭველობა, მოსახლეობის დიდი ნაწილის საქალაქო ცხოვრებისადმი აპათიას იწვევდა.

იგივე გაზეთი ხშირად ბეჭდავდა გორის მართებლის აპარატის მამხილებელ წერილებსა და ფელეტონებს[2].

1894 წლის 21 აგვისტოს გორის საქალაქო საბჭოს შენობაში გაიმართა არჩევნები. ქალაქის თავის თანამდებობაზე კენჭი იყარეს. ი. გულიშამბაროვმა და ა. ანდრონიკაშვილმა. თოთხმეტი ხმოსნიდან ცხრამ გულიშამბაროვს დაუჭირა მხარი და ქალაქის მამასახლისად ანუ „მოურავად“ ის აირჩიეს. მისი პირველი თანაშემწე ხოჯაშვილი გახდა, ხოლო მეორე თანაშემწის არჩევნები მოგვიანებით გაიმართა[3].

ი. გულიშამბაროვმა თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. იგი არა თუ ქალაქის საჭირბოროტო საქმეების მოგვარებაზე ზრუნავდა, არამედ რიგითი მოქალაქის ვალდებულებებსაც კი ვერ ასრულებდა. ქალაქის პოლიციამ მას სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ საკუთარი სახლის წინ ქუჩა არ შეაკეთა. კერძო პირებმა მის წინააღმდეგ აღძრეს საჩივარი მიწების იჯარით გაცემის გამო[4]. მართალია, გამოცდილი ადვოკატების შეწევნით ორივე შემთხვევაში შეძლო თავის გამართლება, მაგრამ 1899 წლის არჩევნებისათვის ის იძულებული შეიქმნა თავისი კანდიდატურა მოეხსნა[5]. ქალაქის თავად აირჩიეს ი. სააკოვი[6], რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, 1902 წლის ივლისში გადადგა და ქალაქის რწმუნებულებმა მამასახლისის თანამდებობაზე მისი მოადგილე ა. ანდრონიკაშვილი აირჩიეს[7].

---

[1] *„Тифлисский листок“, 1893 №655.*

[2] *„Новое обозрение“, 1893, №3103, №3333, 13357; „Тифлисский листок“, 1893 №74, №150, №204.*

[3] *„ივერია“, 1894, №180.*

[4] *იქვე, 1898, №71.*

[5] *„ცნობის ფურცელი“, 1898, №655.*

[6] *„ივერია“, 1899, №196.*

[7] *იქვე, 1902, №167.*

ქალაქის რწმუნებულთა მორიგი მოწვევა 1904 წელს უნდა შემდგარიყო. არჩევნები ორჯერ დაინიშნა, მაგრამ მაინც ვერ შედგა. მთავარმართებელმა გამოიყენა 1899 წელს შემოღებული წესები და 1904 წლის 5 აპრილის №36 ბრძანებით, 1904-1908 წლების ქალაქის რწმუნებულად 15 კაცი დაამტკიცა. ქალაქის მამასახლისად აირჩიეს ლ. გრიგოლაშვილი[1]. მაგრამ რწმუნებულთა ეს შემადგენლობაც უდღეური აღმოჩნდა. მისმა დიდმა ნაწილმა რევოლუციის დამდეგსავე უარი განაცხადა თავის რწმუნებულობაზე და 1906 წლის ნოემბრისათვის ქალაქის თვითმმართველობამ, ფაქტიურად, არსებობა შეწყვიტა[2]. ლ. გრიგოლაშვილი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, გენერალ-გუბერნატორმა ბაუერმა გადააყენა და ქალაქის თავად დანიშნა მისი თანაშემწე ვ. საბო[3]. იმავე დროს დაინიშნა ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები. ქალაქის მამასახლისად აირჩიეს ჩინოვნიკი ო. ცერცვაძე, მის თანაშემწედ - სასამართლოს მოხელე გრ. ლოლაძე[4]. 1908 წლის აგვისტოში აირჩიეს მეცხრე მოწვევის თვითმმართველობა, გადამდგარი მერვე მოწვევის თვითმმართველობის მაგიერ. მამასახლისი გახდა გადამდგარი პოლკოვნიკი ს. პაპალექსი, რომელმაც იმით დაამთავრა თავისი მოღვაწეობა, რომ ძლივს გადაურჩა კანონის წინაშე პასუხისმგებლობას[5].

გორის გაზეთი „ქართლი“ ამხელდა თვითმმართველობის უმოქმედობას და 1912 წლის არჩევნების წინ ამომრჩევლებს მოუწოდებდა ქალაქის ბედი ისეთი ადამიანებისათვის ჩაებარებინათ, რომლებსაც მასზე გული შესტკიოდათ[6]. ფრიად საგულისხმო იყო „სახალხო გაზეთის“ მოწოდებაც: *„თუმცა საქალაქო არჩევნები ადგილობრივი საქმეა და უპირველესად ყოვლისა თვით გორელები არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მას ცოტაოდენი საზოგადო მნიშვნელობა აქვს. გორის მოურავად არჩეულ უნდა იქნას ისეთი ადამიანი, რომელიც ადგილობრივ ვიწრო ინტერესების ფარგლებში კი არ ამოიხშობს სულს, არამედ რომლის მოქმედებაც შეხმატკბილებული იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა საერთო სულის ზრახვასთან“*[7].

მომავალი არჩევნები წარიმართა გორის საზოგადოების არნახული აქტივობით, იმართებოდა შეხვედრები და კრებები. კენჭის-

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 433, ფურც. 3.*
[2] *იქვე, საქმე 455.*
[3] *„მეგობარი“, 1906, №18.*
[4] *იქვე, 1907, №37.*
[5] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1648, საქმე 1588.*
[6] *„ქართლი“, 1912, №66.*
[7] *„სახალხო გაზეთი“, 1912, №704.*

საყრელად წამოაყენეს სამი კანდიდატი: დ. ონიაშვილი, კ. დონდაროვი და ზ. ქიტიაშვილი. ყველაზე მეტი მომხრე დ. ონიაშვილს ჰყავდა, მაგრამ მან უარი განაცხადა კენჭისყრაზე და არჩეულ იქნა ზ. ქიტიაშვილი.

ზ. ქიტიაშვილს გორის საკრებულოს საქმიანობის გააქტიურების, ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლების ყოვლისმომცველი საინტერესო გეგმა ჰქონდა. იგი აუცილებლად მიიჩნევდა წყალსადენის და კანალიზაციის გაყვანას, ელექტროსადგურის მოწყობას, ლომბარდის გახსნას. ყოველივე ამის მიღწევას დიდი თანხები სჭირდებოდა. ზ. ქიტიაშვილს იმედი ჰქონდა, რომ მთავრობა სესხს მისცემდა.

მაგრამ მალე დაიწყო განხეთქილება ახალ მამასახლისსა და იმ რწმუნებულებს შორის, რომლებიც გულგრილად ეკიდებოდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ზ. ქიტიაშვილმა მკაცრი ღონისძიებები განახორციელა იმ რწმუნებულთა მიმართ, რომლებიც უმიზეზოდ აცდენდნენ სხდომებს და ფულადი ჯარმა დააკისრა[1].

ზოგიერთმა რწმუნებულმა თავი შეურაცხყოფილად სცნო და მოუცლელობის მიზეზით რწმუნებულობისგან გათავისუფლება ითხოვა. სხვები აშკარა ბოიკოტის გზას დაადგნენ. საკრებულოს სხდომები ხშირად იშლებოდა. ზ. ქიტიაშვილმა 1915 წლის არჩევნებისათვის ქალაქის მამასახლისობის კანდიდატობაზე უარი თქვა2.

1915 წელს ქალაქის თავად არჩეულ იქნა ბანკირი ლ. გრიგოლაშვილი, ხოლო რწმუნებულთა შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1. ბანკირი, 1 ვაჭარი, 1 რანტიე, 1 ექიმი, 8 მოხელე, 2 პედაგოგი, 1 მუშა[3].

ასეთი იყო გორის ხელისუფლება, რომელსაც ბედმა არგუნა ყოფილიყო უკანასკნელი არჩევითი მთავრობა. კარგად ცნობილი მიზეზების გამო შემდგომი არჩევნები აღარც შემდგარა.

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 1524, ფურც. 54.*

[2] *იქვე, ფურც. 117, 125, 136, 215; „ახალი ქართლი“, 1915, №46.*

[3] „ახალი ქართლი“, 1916, №46.

# სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

## 1. სამთავრობო ორგანიზაციები

სამთავრობო ორგანიზაციებიდან გორში არსებობდა:
***სამაზრო მმართებლობა***

სამაზრო მმართებლობა შედგებოდა მაზრის უფროსის, მისი ორი თანაშემწის, მდივნის, ორი საქმისმწარმოებლისა და არქივარიუსისაგან. მაზრის სამმართველოში სულ 11 კაცი იყო დასაქმებული.

პოლიციის ზედამხედველობისათვის გორი გაიყო ორ ნაწილად, რომელსაც მაზრის უფროსის ხელმძღვანელობით ზედამხედველობდა პრისტავი და მისი ორი თანაშემწე.

***მომრიგებელი სასამართლო*** შედგებოდა ერთი მომრიგებელი მოსამართლისა და ერთი თანაშემწის ან გამომძიებლისაგან. მოსამართლე და მისი თანაშემწე არ აირჩეოდნენ. ისინი მთავრობის მიერ ინიშნებოდნენ. მომრიგებელი მოსამართლის იურისდიქცია ამიერკავკასიაში ფართო იყო, ვიდრე რუსეთში.

***სამაზრო ხაზინა*** შედგებოდა ერთი ხაზინადრის, ერთი ბუღალტრისა და მისი მოადგილისაგან.

***სატელეგრაფო სადგური.*** თბილისსა და გორს შორის ტელეგრაფის ხაზის მშენებლობის საკითხი სერიოზულად დადგა 1858 წელს. გორი იმ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო გზაზე მდებარეობდა, რომელიც თბილისს ფოთთან აკავშირებდა. სავაჭრო გზის გასწვრივ გამავალი ტელეგრაფის ხაზი სხვა ქალაქებსაც მოემსახურებოდა. მას განშტოება ექნებოდა ბორჯომისაკენ.

თბილისსა და გორს შორის ტელეგრაფის ხაზის მშენებლობის ხარჯთარიცხვა კავკასიის გზათა მიმოსვლის VIII ოლქის უფროსის გენერალ-მაიორ კ. ალბრანდსის დავალებით შეადგინა ინჟინერ-პოლკოვნიკმა ვ. ივანიცკიმ 1858 წლის ივლისში, მშენებლობა კი დაიწყო 1859 წლის დასასრულს. აუცილებელი სპეციალისტების ჩამოსაყვანად პეტერბურგს გაიგზავნა ინჟინერ-პორუჩიკი ნ. პოსტელნიკოვი. მასვე დაევალა კონტრაქტების გაფორმება უცხოეთის ფირმებთან სათანადო მასალების და აპარატურის შესაძენად.

პეტერბურგს მიმავალ პოსტელნიკოვს პირადად ესაუბრა და ინჟინერთა კორპუსში წერილი გაატანა გენერალ-ადიუტანტმა გრიგოლ ორბელიანმა. მისი ხელშეწყობით, პოსტელნიკოვი ოთხი თვით მიავლინეს და გზის ხარჯების გარდა დღეში სამი მანეთი დაუნიშნეს.

1860 წლის დასაწყისში გორში მიიღეს აპარატურა, რომელიც შეძენილი იყო „ლასანის და კომპანიის“ ქარხნიდან და „სიმენს და პალსკეს“ ფირმიდან. ისიც საინტერესოა, რომ გერმანიიდან თვით ფირმის დამაარსებელი ელექტროტექნიკოსი ერნსტ ვერნერ სიმენსი ჩამოვიდა. დამონტაჟებას თბილისსა და გორში უშუალოდ ნ. პოსტელნიკოვი ხელმძღვანელობდა.

პირველი დეპეშების გაცვლა თბილისსა და გორს შორის მოხდა 1860 წლის 10 აგვისტოს. როგორც გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ტარიფიდან ჩანს, თბილისიდან გორში 25 სიტყვიანი დეპეშის გაგზავნა 50 კაპ. ღირდა. ყოველ 10 ზედმეტ სიტყვაზე 25 კაპ. იხდიდნენ[1].

გორი-თბილისის ხაზის გაყვანით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიეკავკასიაში დასაბამი მიეცა სატელეფონო კავშირის განვითარებას.. ექსპლოატაციაში შევიდა თბილისი-ქუთაისის, თბილისი-ფოთის, თბილისი-ბორჯომ-ახალციხის და სხვ. სატელეგრაფო ხაზები. გორის სატელეფონო კვანძის საშუალებით ცხინვალი დანარჩენ საქართველოს დაუკავშირდა

გორის სატელეფონო სადგური მუშაობდა დილის რვა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე. ტელეგრაფის ხაზი ერთ სადენიანი იყო, რაც ნიშნავდა, რომ გორიდან ორი მავთული გადიოდა თბილისისა და ქუთაისისაკენ.

ტელეგრაფის სადგურში ორი აპარატი იდგა[2].

შემდეგში გორი დაუკავშირდა რუსეთისა და ევროპის სხვა ხაზებს, აგრეთვე ირანსა და აღმოსავლეთ ინდოეთს. ამით გორი მაღლა იდგა, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე აღნიშნავდა, თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებზე[3].

სადგურში უროსის გარდა 3 მესიგნალე იყო.

გორსა და თბილისს შორის გაყვანილ ტელეგრაფის ხაზს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატელეგრაფო ტექნიკის განვითარებაში. 1893 წელს ამ ხაზზე ჩატარდა იმ დროისათვის ბრწყინვალე ტექნიკური ექსპერიმენტი. კერძოდ, მსოფლიო სპეციალისტები ცდილობდნენ ტელეგრაფის ხაზში დეპეშების გადაცემის ერთდროულად სატელეფონო ლაპარაკიც განეხორციელებინათ, რაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს გამოიღებდა.

პირველად საქართველოში, გორი-თბილისის სატელეგრაფო ხაზის გამოყენებით, 1893 წლის 3 ივნისს განხორციელდა პირველი

---

[1] *„Кавказ“, 1860, №63.*

[2] *კარბელაშვილი ა., გორის უნიკალური რუქა, „გამარჯვება“, 1972, №24.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 414, საქმე 9, ფურც. 57.*

საქალაქთშორისო სატელეფონო კავშირი. ამ შესანიშნავი მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერიმენტის შესახებ ძალიან მოკლედ იუწყებოდა „ტიფლისკი ლისტოკი“ 1893 წლის 6 ივნისს[1].

## *ფოსტა*

საინტერესო ისტორია აქვს გორში ფოსტის დაარსებას. საქართველოს გზების მდგომარეობა, მათი მოუწესრიგებლობის მხრივ, როგორც ცარიზმის მოხელეები აღნიშნავდნენ, დიდად აფერხებდა მათ რიტმულ მუშაობას. მთავარმართებელი პ. ციციანოვი 1803 წლის 15 აპრილს საქართველოს უმაღლესი მთავრობის ექსპედიციას სწერდა, რომ მას შემდეგ რაც ის შეუდგა საქართველოს მართვას, მის ყველა ნაწილში იმდენი მოუწესრიგებლობა და აბდაუბდა აღმოაჩინა, რომ არ გაჰკვირვებია იმავე ექსპედიციის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება მთავრობის სახაზინო წერილების საქართველოს ქალაქებამდე მიტანის მოუხერხებლობის გამო. ამიტომ, ციციანოვმა მოითხოვა თბილისიდან დუშეთამდე, თელავამდე, სიღნაღამდე და გორამდე დაეარსებინათ სადგურები. საფოსტო კარეტები დასახელებულ ქალაქებში კვირაში ორჯერ გადაიტანდნენ დოკუმენტებს, წერილებს და ფულად გზავნილებს[2].

მაგრამ, როდესაც პროექტის დამუშავება დაიწყეს აღმოჩნდა, რომ ჯერ აუცილებელი იყო რუსეთის ცენტრების თბილისთან დამაკავშირებელი გზების მოწესრიგება.

გრაფი გუდოვიჩი 1806-1808 წლებში აწარმოებდა მიმოწერას იმ სიძნელეების შესახებ, რომელიც აფერხებდა სამხრეთ რუსეთის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგებას და საფოსტო კავშირის განხორციელებას[3].

გზის მეტ-ნაკლებად მოწესრიგების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის ქალაქებს შორის საფოსტო კავშირის დამყარება და 1811 წლის დადგენილებით, საფოსტო გადატანებისათვის შესაბამისი ნიხრი დაწესდა. შედარებისათვის მოვიყვან ფასებს მხოლოდ იმ ქალაქებამდე რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთ მარშრუტში.

---

[1] *ჩიტაია გ., ამიერკავკასიის პირველი ტელეგრაფი // გაზ. „გამარჯვება“, 1970, №147; კარბელაშვილი ა., პირველი ტელეგრაფი გორში // გაზ. „გამარჯვება“, 1971, №84.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссиею, I, с. 233, №438.*

[3] *Тамже, III, с. 35-37, №55-61.*

ბაქოდან ელისავეტპოლზე (კიროვობადი) და თბილისზე გავლით ღირდა: სიღნაღამდე 44 კ, თელავამდე 44 კ, გორამდე 40 კ, ანანურამდე 40 კ.

ყუბიდან იმავე ქალაქებზე გავლით: სიღნაღამდე 48 კ, თელავამდე 48 კ, გორამდე 44 კ, ანანურამდე 44 კ.

დერბენდიდან: სიღნაღამდე 60 კ, თელავამდე 60 კ, გორამდე 56 კ, ანანურამდე 56 კ.[1]

თბილისის კანტორა ვერ აუდიოდა საფოსტო გზავნილების გაზრდილ ნაკადს და მან დააყენა წინადადება სამაზრო ქალაქებში დაეარსებინათ საფოსტო ექსპედიციები, რომელთა ექსპედიტორები მიიღებდნენ გასამრჯელოს წლიურად 200 რუბლს, ხოლო ხარჯებისათვის 50 რუბლს, ყარაული კი 35 რუბლს, რაც მთლიანობაში შეადგენდა 2280 რუბლს. თბილისის ფოსტის ხელმძღვანელის აზრით, თუ ხაზინას აღნიშნული თანხის გადახდა გაუძნელდებოდა, მაშინ იგივე საქმე უნდა შეესრულებინათ სამაზრო ხაზინადრებს, რომლებსაც შედარებით მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ. მათ ერთობლივად მხოლოდ ხარჯებისათვის მიეცემოდათ 265 მანეთი[2].

გენერალმა ერმოლოვმა მხარი დაუჭირა თბილისის ფოსტის კანტორის ინიციატივას და თვითონაც შუამდგომლობით მიმართა საიდუმლო მრჩეველ კოზოდავლოვს სამაზრო ქალაქებში საფოსტო ექსპედიციების დაარსების შესახებ. ერმოლოვი წუხდა, რომ მაზრების მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება პირდაპირი საფოსტო კავშირი დაემყარებინათ რუსეთთან. მისი აზრით, საფოსტო ექსპედიციებისათვის უნდა ეხელმძღვანელათ სამაზრო ქალაქების კომენდანტებს, რაშიც დამატებითი გასამრჯელოს მიიღებდნენ[3].

როგორც ჩანს, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა არსებული ბიუროკრატიული აპარატის პირობებში დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა. ერმოლოვმა 1822 წლის 16 ნოემბერს კვლავ მიმართა თავად გოლიცინს და თავის შუამდგომლობას დაურთო თბილისის საფოსტო კანტორის მიერ შემუშავებული უწყისი ქუთაისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ელისავეტპოლის, ყუბანისა და ვლადიკავკაზის საფოსტო ექსპედიციების შტატების შესახებ.

ქუთაისისათვის ზოგიერთი საშტატო ერთეული და მათი ხელფასი განსხვავდებოდა დასახელებული ქალაქების ანალოგიური შტატებისა და მათი ხელფასისაგან.

---

[1] *Тамже, V, с. 24, №43*

[2] *Тамже, VI, ч. I, с. 191, №233.*

[3] *Тамже, VI, ч. I, с. 192-193, №236*

გორის, თელავის, სიღნაღის, ელისავეტპოლის, ყუბანისა და ვლადიკავკაზისათვის სასურველი იყო:

| | | |
|---|---|---|
| ექსპედიტორი | 1, წლიური ხელფასი | 250 რუბლი |
| კანცელარიის მოსამს. | 1, ---------- | 150 ---------- |
| ყარაული | 1 ---------- | 50 ---------- |
| კანცელარიის ხარჯები შეშა წელიწადში | | 75 ----------[1] |

გორში შემდეგში არსებობდა ფოსტის კანტორა, რომელიც შედგებოდა უფროსის (პოჩტმაისტერი), ერთი მიმღებისა და ორი ფოსტალიონისგან.

***სამხედრო საწყობს*** ემსახურებოდა ერთი ზედამხედველი.

***სააკციზო სამმართველო*** შედგებოდა სააკციზო მოხელეებისგან: ზედამხედველის, თანაშემწისა და ორი მეთვალყურისგან.

***მეტყევე.***

***სამაზრო ექიმი*** და მასთან ერთად ორი მაღალი კლასის ფერშალი.

***სახელმწიფო ქონების მმართებელი***

***ჯარი.*** გორში თითქმის ყოველთვის იდგა ჯარის გარკვეული ნაწილი. მისი რაოდენობა იცვლებოდა პოლიტიკური ვითარების შესაბამისად (ვრცლად იხ. ქვე, „მოსახლეობა“).

***მაზრის სატუსაღო.*** ვრცლად უნდა ითქვას მაზრის სატუსაღოზე, რადგან ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საინტერესო პერიოდის გორისა და მისი მაზრის მოსახლეობის არა მხოლოდ მორალურ მდგომარეობაზე, არამედ პოლიტიკურ განწყობაზეც.

სატუსაღო გორისათვის, როგორც მაზრის ცენტრისათვის, აუცილებელი ატრიბუტი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად, საქართველოში რუსული მმართებლობის შემოღებიდან, სატუსაღოს ფუნქციას, ისევე, როგორც ადრე, გორის ციხე ასრულებდა. შეიძლება გავიხსენოთ დატყვევებული ოსების ჩამწყვდევა გორის ციხეში 1804 წელს2.

გორის საპყრობილეში არსებული აუტანელი მდგომარეობის შესახებ ერთი საინტერესო ცნობა გვაქვს. ჩანს ოსების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ (იგი განეკუთვნება 1841 წელს) იქ მოთავსებული ტუსაღების ხვედრი.

გენერალ სკალონის თანახმად, *„სამხედრო ექსპედიციის დამთავრების შემდეგ, სხვებისათვის მაგალითის მისაცემად და მათ დასაშინებლად ჯავაში ჩამოახრჩვეს 2 ოსი. 70 პატიმარი იმყოფებოდა ქ. გორის საპყრობილეში. ამათგან დასაჯეს 7 კაცი (გადა-*

---

[1] *Тамже, VI, ч. I, с. №237*

2 *Акты, т. III, с. 5.*

*ასახლეს ციმბირში, წინასწარ კი მწყობრში გაატარეს რვა-რვა-ჯერ), 25 კაცი მოკვდა, 8 თავდებით გაათავისუფლეს, ხოლო 30 კაცი ისე დაუძლურებული იყო, რომ ძალა არ შესწევდათ სასტიკი სასჯელი აეტანათ: 11 მათგანი სიკვდილის პირას მისული, ლაზარეთში იწვა. ღატაკურად კვებამ, სივიწროვემ, აუტანლად მძიმე ჰაერმა ისინი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა*“1.

მოყვანილი ციტატიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ 40-იან წლებში საპყრობილე გორის ციხეში აღარ უნდა ყოფილიყო. ის სადღაც სხვაგან, შეიძლება, კერძო შენობაში განათავსეს.

70-იან წლებში გორის მაზრის სატუსაღო გორელი მოქალაქის ტერ-სტეფანოვის საკუთარ ერთსართულიან შენობაში, ქალაქის განაპირას მდებარობდა.

გვაქვს ცნობები 1880 წელს გორის სატუსაღოში მოთავსებული ტუსაღების და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

ცხრილი №3

| დანაშაულის სახე | დამნაშავეთა საერთო რაოდენობა | მათ შორის გორელები |
|---|---|---|
| მკვლელობისათვის | 8 | 1 |
| თავდასხმა მკვლელობის განზრახვით | 2 | 1 |
| ძარცვა-გლეჯისათვის | 8 | 1 |
| ქურდობისათვის | 60 | 1 |
| ჩხუბისა და დაჭრისათვის | 9 | – |
| სასამართლო გადაწყვეტილება არ შესრულებისათვის | 30 | – |
| თვითნებობისათვის | 23 | 1 |
| შეურაცხყოფისათვის | 16 | 3 |
| გაუპატიურებისათვის | 4 | – |
| ცხენის ქურდობისათვის | 11 | – |
| ცეცხლის წაკიდებისათვის | 3 | – |
| თაღლითობისათვის | 1 | 1 |
| სულ | 175 | 13[2] |

*1 ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II, თბ., 1958, გვ. 269.*

*2 გსიემ, №535, ფ. 78*

ერთი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად იმატა ყველა სახის დანაშაულმა. 1890 წელს გორის მაზრაში მოხდა მკვლელობა – 30, დაჭრა – 16, ძარცვა-გლეჯა – 26, ქურდობა – 141, ცეცხლის წაკიდება – 14[1]. მარტო ამ არასრული ჩამონათვალიდან ჩანს, რომ  დანაშაულთა რაოდენობა 227-მდე გაზრდილა. ალბათ სხვა სახის დანაშაულებთან ერთად დამნაშავეთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა. არ ჩანს ჩამოთვლილ დანაშულებიდან ქ. გორში რამდენი მოხდა.

საინტერესოა, რომ  1890 წლისათვის არ აღრიცხულა არც ერთი ორგანიზებული ბანდა.

შეიძლება ვიფიქროთ, გორის სატუსაღო ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რადგან 1893 წელს ჯერ *„ივერიამ“* (№74), ხოლო შემდეგ *„კავკაზმა“* (№110) გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ გორელმა მემამულე ე. მ. ამიროვმა თბილისის გუბერნიის საპატიმროთა მზრუნველს შესთავაზა აეშენებინათ სატუსაღო მის მამულში – წმინდაწყალზე. ამ ორი ცნობის კომენტატორი შენიშნავდა, რომ აღნიშნული ადგილი გამოირჩევა საშინელი სინესტით, მაშინ როცა გორში არის უკეთესი ადგილები, სადაც სატუსაღოს აშენება შეიძლება[2].

70-იანი წლების გორის სატუსაღოზე, რომელიც მდინარეების მეჯუდისა და წმინდაწყლის შესართავთან მდებარეობდა, ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ს. მგალობლიშვილი თავისი მოგონებებით. მაშინ გორის სატუსაღოს უფროსი ზაზა ყიფიანი იყო. სატუსაღო შედგებოდა რამდენიმე დიდი და მცირე საკნისაგან. ტუსაღები მუდმივად მყრალი სუნისა და სინესტისაგან იტანჯებოდნენ. ისინი დაავადებულნი იყვნენ ციებ-ცხელებით. სატუსაღოს ვრცელ ეზოსა და ნაგებობას გარშემო მდინარეები ჩაუდიოდა. ეზო სავსე იყო ციხის უფროსის ქათმებით, ინდაურებით, ბატებითა და გოჭებით[3].

### *საავადმყოფო*

XIX ს. 60-იანი წლებშიც კი გორში არ არსებობდა საავადყოფო. ისინი ვისაც საშუალება არ ჰქონდათ, სამკურნალოდ თბილისში წასულიყვნენ, გორის სამხედრო ჰოსპიტალს მიაკითხავდნენ ხოლმე. ჰოსპიტალში მკურნალობა ფასიანი იყო. მოსახლეობა, როგორც თანამედროვე შენიშნავდა, უნდობლად ეკიდებოდა ჰოსპი-

---

[1] *იქვე, ფ. 183.*

[2] *„Кавказ “, 1893, №110.*

[3] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 86-90.*

ტალში მკურნალბას, იქ არსებულ კაზარმულ რეჟიმს და ეს დაწესებულება გათანაბრებული ჰქონდათ სიკვდილთან[1].

ასეთი მდგომარეობა იყო სამედიცინო სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ, როდესაც გორში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, არც თუ იშვიათად, სხვადასხვა გადამდები სნეულება მძვინვარებდა. 1815 წელს გორსა და მის მაზრაში მოდებული იყო შავი ჭირი[2].

1828 წელს გორის მაზრაში კვლავ შავმა ჭირმა იფეთქა, რომელიც თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ხერსონის გრენადერთა პოლკის მებრძოლებმა შემოიტანეს. 1830 წელს იმავე ფრონტიდან რუსმა ჯარისკაცებმა ქოლერის ეპიდემია შემოიტანეს. ალბათ იოლად წარმოვიდგენთ მოსახლეობის გაჭირვებას და დაავადებით გამოწვეულ მსხვერპლს, თუ გავიხსენებთ, რომ მთელ ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთი აფთიაქი იყო.

## *აფთიაქი*

თბილისის ***აფთიაქი*** 1830 წლამდე დაღესტანსაც კი ემსახურებოდა. ამის შემდეგ აფთიაქები გაიხსნა რამდენიმე ადგილას, მათ შორის გორშიც. მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამ დაწესებულებების მიერ გაწეული დახმარება თუ ვიტყვით, რომ მისი მედიკამენტების წლიური ნორმა მხოლოდ 50 კაცზე იყო გათვალისწინებული. აფთიაქი გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტალთან და იგი ძირითადად დაბალ ჩინოსნებს ემსახურებოდა. რუსი მოხელეებიც კი შეწუხებულნი იყვნენ ასეთი მდგომარეობით. XIX ს. 60-იან წლებში ერთ-ერთი მათგანი თავის სპეციალურ მოხსენებაში კატეგორიულად მოითხოვდა მოქალაქეთა და მაზრის მოსახლეობის მომსახურებისათვის გორში აფთიაქი გახსნილიყო, რათა აკრძალულიყო ცრუ სავაჭროები, რომელთა რაოდენობა 20-მდე აღწევდა და რომლებიც თვითნებურად ვაჭრობდნენ ყოველგვარი წამლებით[3].

1880-იან წლებში გორში გაიხსნა კერძო აფთიაქი[4], რომლის შესახებ სამწუხაროდ სხვა არაფერი ვიცით, მხოლოდ ცნობილია, რომ იგი ეკუთვნოდა კარლ შეპფს[5], გორის პირველი თანრიგის მოქალაქეს.

---

[1] *Документы, т.2, с. 890.*

[2] Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. V, Тиф., 1873, *с. 351.*

[3] *Документы, т. 2, с. 890.*

[4] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 81*

[5] *გსიემ, №535, ფ. 52.*

1908 წელს ნიკო დიასამაძის სახლში, მეფის ქუჩაზე, ქალაქის თვითმმართებლობამ გახსნა აფთიაქი, რომელსაც გორელი პროვიზორი ივანე კვალიაშვილი ხელმძღვანელობდა. აფთიაქი გორსა და მის მაზრას ემსახურებოდა.

საქალაქო თვითმმართველობა აფთიაქს იჯარით გასცემდა 900 მანეთად. მოიჯარადრე ვალდებული იყო ღარიბ მოსახლეობაზე უფასოდ გაეცა 200 მანეთის წამლები. საიჯარო თანხა და სხვა მოვალეობები იმდენად მძიმე იყო, რომ აფთიაქი ძლივს არსებობდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1912 წელს აფთიაქის ვალმა 508 მან. შეადგინა და გორის ხელისუფლებამ იმისათვის, რათა ამ აუცილებელ დაწესებულებას არსებობა გაეგრძელებინა, საიჯარო გადასახადი 400 მანეთით შეუმცირა, მაგრამ უფასოდ გასაცემი წამლების ღირებულება 300 მანეთამდე გაუდიდა[1]. 1914 წელს უფასოდ გასაცემი წამლების ღირებულებამ 500 მანეთს მიაღწია[2]. იმდროინდელ საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ  აფთიაქი ძლივს არსებობდა.

### *ვაქცინატორი*

ინფექციური დაავადებებიდან მუდმივ ყურადღებას ყვავილის დაავადება მოთხოვდა.  ამიტომ, გორის მაზრის ხუთ მნიშვნელოვან პუნქტში – ხიდისთავში, სურამში, ოსეთის უბანში, ქსანსა და გორში იმყოფებოდა ხუთი ***ვაქცინატორი.*** გორში მუშაობდა ექიმის უფროსი მოწაფე. ყველანი ერთობლივად თავიანთ უბნებში მთელი მონდომებით აწარმოებდნენ ყვავილის აცრებს[3].

### *მაზრის ექიმი*

გორში იყო ***მაზრის ექიმის*** სამყოფელი[4], რომელსაც, როგორც ითქვა ორი მაღალ კლასის ფერშალი ექვემდებარებოდა.

გორის, ისევე, როგორც სხვა ქალაქების, სანიტარული მდგომარეობა ცუდი იყო შემდგომ პერიოდშიც. მიუხედავად ქალაქის მოსახლეობის განუხრელი ზრდისა, სამედიცინო პერსონალი კვლავ მცირე რჩებოდა. XIX ს. 80-იან წლებში გორს კვლავ ერთი ექიმი ჰყავდა. მთელ მაზრასაც მხოლოდ ერთი ექიმი ემსახურებოდა. ეპიდემიური დაავადებები – ყვავილი და ტიფი გორელების მუდმივი თანამგზავრი იყო.

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 1720, ფურც. 78.*

[2] *იქვე, საქმე 1727, ფურც. 74.*

[3] *Документы, т. 2, с. 890-891.*

[4] *Там же, с. 876.*

პირველი მსოფლიო ომის დროს, ჰოსპიტლად გადააკეთეს თავ-ზარაშვილების შენობის მეორე სართული, სადაც წინათ კინოთეატრი იყო[1]. სხვა ცნობის მიხედვით 1914 წელს სამხედრო ჰოსპიტალი გაიხსნა სამეფო ქუჩაზე *„ეხლანდელი აგროსამრეწველო ბანკის ადგილას, გოთური სტილით ნაშენ ოფიცერთა სახლში“*[2].

## *საქალაქო საავადმყოფო*

პირველი საქალაქო საავადმყოფო გორში გაიხსნა 1901 წელს ექიმ ი. სააკოვის მამასახლისობის დროს[3]. საავადმყოფოში სამი საწოლი იყო: მამაკაცებისათვის – 2, ქალებისათვის – 1. რას წარმოადგენდა გორის საავადმყოფო 1902 წელს, ამის შესახებ „მოგზაური“ წერდა: *„ავადმყოფთა ლოგინი ერთობ ჭუჭყიანია, საცვლების შესახებ ნულარ მკითხავთ... ავადმყოფები გდიან თივით გატენილ ჭუჭყიან ტომრებზე და რაღაც ბალიშის მსგავსი უდევთ თავქვეშ“*[4].

გათვალისწინებული იყო უფასო მკურნალობა სამი დღე-ღამის განმავლობაში, თუ ავადმყოფი „სიღარიბის მოწმობას“ წარადგენდა. ჩვეულებრივ მკურნალობა დღე-ღამის განმავლობაში 30 კაპ. ღირდა[5]. ქალაქს საავადმყოფოს შენახვა წელიწადში 1400 მან. უჯდებოდა, მაშინ, როდესაც ამ დაწესებულებიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ 720 მან. იყო. ამიტომ იგი ***საფერშლო პუნქტად*** გადაკეთდა და 1911 წელს საქალაქო ბიუჯეტიდან სამედიცინო და სანიტარული საჭიროებისათვის მხოლოდ 155 მან. დაიხარჯა.

1912 წელს გადაწყდა კერძო საავადმყოფოს გახსნა, რომელსაც ნაწილობრივ ქალაქი დააფინანსებდა საფერშლო პუნქტის გაუქმებისა და გადასახადების ნარჩენების გეგმის ზევით ამოღების ხარჯზე. ფიქრობდნენ, საავადმყოფოსათვის მოეხმარებინათ აგრეთვე იჯარით გაცემული საქალაქო აფთიაქიდან მიღებული თანხაც. ასე რომ, ქალაქის ხელისუფლების მიერ საავადმყოფოში ჩადებული თანხა დაახლოებით 1000 მან. შეადგენდა. შეთანხმების შესაბამისად, ქალაქის განკარგულებაში იქნებოდა საავადმყოფოს ორი საწოლი და უფასო ამბულატორიულ მომსახურებას გაუწევდა იმ პირებს, ვისაც „სიღარიბის მოწმობა“ ექნებოდა[6].

---

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 141.*

[2] *გოცირიძე ბ., დიდი სიკეთე, „გამარჯვება“, 1989, №80.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 314, ფურც. 12.*

[4] *„მოგზაური“, 1902, №57.*

[5] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 314, ფურც. 13, 27.*

[6] *იქვე, საქმე 1920, ფურც. 27.*

საავადმყოფოს, სადაც მხოლოდ 10 საწოლი იდგა, ხელმძღვანელობდა ექიმი კობერიძე, ეს სამკურნალო დაწესებულება, როგორც გორის გაზეთი აღნიშნავდა, სრულიად აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნილებას[1].

### *„კომისია თავადებსა და თავადების აზნაურებს შორის დავების გარჩევისათვის“*

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთ საინტერესო სამთავრობო დროებით დაწესებულების შესახებ, რომელიც შეიქმნა მ. ვორონცოვის ინიციატივით გორში. ეს იყო „კომისია თავადებსა და თავადების აზნაურებს შორის დავების გარჩევისათვის“. ამ კომისიის შექმნის აუცილებლობისა და მისი მუშაობის პრინციპების შესახებ მოსაზრება ჩამოაყალიბა მთავარმართებელმა თავის 1846-1848 წლებისათვის ანგარიშში, რომელიც წარუდგინა იმპერატორს. *„არანაკლები მნიშვნელობისა იყო ჩემს მიერ მოძიებულო დაუმთავრებელი დავების საქმეები ქართველ თავადებსა და ეგრეთ წოდებული თავადების აზნაურებს შორის, რომლებიც განთავისუფლდნენ მათზე დამოკიდებულებისგან. მათ შორის დავების დასრულების მიზნით ჩემმა წინამორბედებმა დაარსეს სამედიატორო სასამართლოები, მაგრამ გორის მაზრაში გახსნილი 13 სასამართლოდან დაიხურა მხოლოდ ორი მოდავეთა შერიგების გამო, დანარჩენები, მიუხედავად ხელმძღვანელობის მხრიდან წახალისებისა დარჩა 10 წლის განმავლობაში უმოქმედოდ. ასე, რომ არ იყო რაიმე იმედი დამთავრებულიყო ეს სადაო საქმეები. მე ამისათვის ვითხოვე განსაკუთრებული დროებითი კომისიის შექმნა და ჩემს მიერ შერჩეული პიროვნების თავმჯდომარეობით და თქვენმა იმპერარობითმა უდიდებულესობამ დაამტკიცა 1846 წლის 2 სექტემბერს... წარმატებით მოქმედებს და უკვე დაასრულა თავადებსა და თავადების აზნაურებს შორის არსებული სადაო საქმეები. ამ მრავალმხრივ რთული საქმეების დასრულება მყარ სამართლებლივ საფუძველზე განამტკიცებს მრავალი აქაური ღირსეული თავადების და აზნაურების გვარების კერძო საკუთრების და მამულების ფლობის უფლებას. ამ დროებითი კომისიის შენახვა ხდება ჩემ განკარგულებაში არსებული თანხებით, სახელმწიფო ხაზინის ახალი ხარჯებით დამძიმების გარეშე“*[1].

---

[1] *„ქართლი“, 1912, №29.*

[1] *Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. VIII, Тиф.,* VIII, 1878
*с. 852-853.*

## 2. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

### *საზოგადო საკრებულო*

ქვეყანაში მომხდარმა სოციალურმა ცვლილებებმა, ქალაქის მოსახლეობის ზრდამ, გადაადგილების საშუალებათა განვითარებამ, XIX ს. დასაწყისიდან საგრძნობლად გამოაცოცხლა საქალაქო ცხოვრება. გორის მდიდარი და საშუალო შეძლების მოსახლეობას ერთმანეთთან ურთიერთობის, მეცნიერების და კულტურის სიახლეთა გაცნობის ბუნებრივი სურვილი უჩნდებოდა, თუნდაც თავისუფალი დროის მოსაკლავად ჰქმნიდნენ ე.წ. კრუჟოკს ანუ „საზოგადო საკრებულოს“. ა. ჯავახიშვილის თანახმად, *„საზოგადოებრივი გართობისათვის არსებობს „კრუჟოკი“, რომელშიც 150-მდე წევრია. მათ თავიანთი გემოვნების და სურვილის მიხედვით შეუძლიათ აირჩიონ საქმიანობა და გართობა. თუმცა უმეტესობას დრო გაჰყავდა კარტის თამაშში, ხოლო ცეკვის სალამოების დროს კი-ცეკვაში. მანდილოსნებიც ცეკვით ან ლოტოთი იქცევდნენ თავს. თავისი წევრებისათვის, სხვათაშორის, წრე იწერს 300 მანეთის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემას, ჟურნალებს და გაზეთებს“.* „კრუჟოკს“ ჰქონდა თავისი მცირე ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მისი წევრებისათვის[1].

არ ვიცით, როგორი იყო „კრუჟოკის“ სტრუქტურა, გარდა ზემონათქვამისა, რა მიზნებს ისახავდა იგი. ალბათ, მისი არსებობა წევრთა მიერ საწევროს გადასახადით შესულ თანხაზე იყო დამოკიდებული.

„კრუჟოკი“, როგორც ჩანს, თავიდანვე „საზოგადო საკრებულოს“ სახელითაც იყო ცნობილი. დ. გვრიტიშვილს ამ ორგანიზაციის დაარსების დროდ 1887 წელი მიაჩნდა, ე.ი. ის დრო, როდესაც საკრებულომ წესდება მიიღო[2]. საზოგადო საკრებულოს მიერ გამართულ თეატრალურ წარმოდგენაზე პირველ ინფორმაციას „დროების“ 1874 წლის 8 თებერვლის ნომერში ვხვდებით[3].

რაც დრო გადიოდა, საზოგადო საკრებულოს ძველი სტრუქტურა და საქმიანობა ვეღარ აკმაყოფილებდა მოქალაქეთა გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებას და 80-იანი წლების ბოლოს მისი მუშაობა საფუძვლიანად გარდაიქმნა. ამ საზოგადოების სტრუქტუ-

---

[1] *გსიემ, №535, ფ. 92.*

[2] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ.190.*

[3] *„დროება“, 1874, №412*

რისა და მიზანდასახულობის შესახებ საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის საკრებულოს ახალი წესდება, რომელიც 1887 წლის 24 ივლისს არის შედგენილი. წესდების დასაწყისში გაცხადებულია, რომ *„ბორის საზოგადო საკრებულოს მიზანია თავის წევრებსა და მათ ოჯახებს შეუქმნას შესაძლებლობა თავისუფალი დრო გამოიყენოს სარგებლიანად, მხიარულად, სასიამოვნოდ“.*

თავისუფალი დროს სარგებლიანად, მხიარულად და სასიამოვნოდ გამოყენებაში ბალ-მასკარადების, მუსიკალური და ლიტერატურული საღამოების, საღამო-წარმოდგენების გამართვა, თავისი წევრებისათვის ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, ლექციების წასაკითხად ცნობილი მეცნიერების მოწვევა და სხვ. იგულისხმება.

საკრებულო შედგებოდა ნამდვილი და საპატიო წევრებისაგან. წევრად არ იღებდნენ ქალებს, მოზარდებს, მოწაფეებს, დაბალი ჩინის სამხედრო ოფიცრებს, იუნკრებს და სასამართლოს მიერ უფლებააყრილებს.

ნამდვილ წევრად გახდომისათვის საჭირო იყო საკრებულოს ორი წევრის რეკომენდაცია. მიღება ხდებოდა კენჭისყრით, კანდიდატის დასწრება კრებაზე არ შეიძლებოდა. საპატიო წევრად არჩევისათვის საკმარისი იყო წევრთა ორი მესამედის დასწრება, საპატიო წევრები განთავისუფლებულები იყვნენ 12 მანეთის საწევრო გადასახადისაგან. საკრებულოს წევრთა ოჯახები წარმოდგენებს თუ სხვა ღონისძიებებს უფასოდ ესწრებოდნენ. საზოგადო საკრებულოს განაგებდა 7 კაციანი უხუცესთა საბჭო, რომელსაც საერთო კრება ირჩევდა ორი წლით. საბჭო თავისი წევრებიდან ირჩევდა თავმჯდომარეს და ხაზინადარს. სხვა წევრებსაც ჰქონდათ ფუნქციები. საბჭოს სხდომები, როგორც წესი, იმართებოდა კვირაში ერთხელ, მაგრამ თავმჯდომარეს შეეძლო რიგგარეშე სხდომაც დაენიშნა. უხუცესთა საბჭო განსაზღვრავდა ბალ-მასკარადების, ლიტერატურული დისპუტების, საღამო წარმოდგენების და სხვა ხასიათის ღონისძიებებს. საზოგადო საკრებულოს საქმიანობაზე მთავრობის უმკაცრესი ცენზურა არსებობდა.

საზოგადო საკრებულოს ჰქონდა თავისი დარბაზი, რომელიც მდებარეობდა მეფის ქუჩაზე, ნიკო დიასამიძის სახლში. აქ ხშირად იმართებოდა წარმოდგენები. ზოგჯერ საკრებულო საქველმოქმედო ღონისძიებებს ატარებდა, ზოგჯერ კი დარბაზით სარგებლობიასთვის საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვდა დამქირავებლებისაგან, მაგალითად, 1913 წელს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა წუხდა, რომ წარმოდგენის გამართვისათვის 25 მანეთს საკრებულო

სთხოვდა, ხოლო თითო რეპეტიციაში კი-5 მანეთს[1]. საკრებულოს ეს შენობა, რომელიც თეატრის მაგივრობასაც სწევდა, დაინგრა 1920 წლის მიწისძვრის დროს.

### *გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება*

1882 წ. თებერვალში ხალხოსანთა გორის ჯგუფის ინიციატივით დაარსდა გორის მაზრის მომხამრებელთა საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის, მდგომარეობის გაუმჯობესებას. მათი განმარტებით, *„დანიშნულება ამისთანა საზოგადოების ის არის, რომ გაუადვილოს ხალხს ცხოვრება, გაუადვილოს ყოველგვარი ხორაგეულის, საჭირო ნივთების მოპოვება. გამოიხსნას იმ ტვინისა და სისხლის წოვისაგან, რომლებსაც ასე დაუნდობლად შეუბრალებლად და სიამოვნებით სწუწნიან ათასნაირი დამდის ვაჭრები“*[5].

1882 წლის 21 თებერვალს მოწვეულ იქნა აღნიშნული საზოგადოების ყრილობა, რომელზეც აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები: 1. მმართებლობის წევრები, 2. რჩევის წევრები.

მმართებლობის წევრები გახდნენ: ა. თუთაშვილი, გ. ჯაფარიძე და ს. მგალობლიშვილი. კანდიდატები: პ. ბურჯანაძე და ვ. პიასეცკი.

რჩევის წევრები: პ. ბუტენკო, ნ. დიასამიძე, რ. ერისთავი, დ. სემიონოვი, გალუსტ სტეფანოვი და ალ. ჯავახიშვილი.

საზოგადოების წესდების შედგენისათვის აირჩიეს კომისია, რომელშიც შევიდნენ: მ. ყიფიანი, შ. შიუკაშვილი, ს. მგალობლიშვილი, შ. კერესელიძე და ლ. გრიგალაშვილი.

ძნელია რაიმეს თქმა „გორის მაზრის მომხამრებელთა საზოგადოების“ საქმიანობაზე. საეჭვოა, რომ მაშინ რაიმე შედეგი გამოეღო მის მცდელობას შეემსუბუქებინა მოქალაქეთა ან გლეხობის ხვედრი, ლაგამი ამოედო მევახშეთა მოქმედებისათვის, რისი მაგალითებიც თავის ადგილას არის მოცემული წინამდებარე წიგნში.

### *გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოება*

თავისი მიზნებით ფრიად საინტერესო იყო 1907 წელს დაარსებული გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოება. იგი ნამდვილი ბურჟუაზიული ხასიათისა იყო და, გარკვეული გაგებით, თავისი წევრებისათვის ბანკის მსგავსი მომსახურება უნდა გაეწია. ეს

*1 „დროება“, 1882, №45.*

მიზანი გამოსჭვიოდა საზოგადოების წესდების პრეამბულაში. მასში ნათქვამი იყო, რომ საზოგადოების ყველა წევრს *„რა წოდებისა და სქესისაც უნდა იყოს, ამ წესდების თანახმად, ჰქონდეს ღონისძიება თავისი შეძენილი ფული სარგებლით შეინახოს ამ საზოგადოებაში და აგრეთვე ისესხოს ხოლმე თავისი საჭირო, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საჭირო თანხა“.*

საზოგადოების წევრად გახდომა შეეძლო, როგორც ინდივიდს, ისე ორგანიზაციას. საზოგადოების წევრს ეკრძალებოდა სხვა მსგავსი საზოგადოების წევრად ყოფნა.

წესდების მიხედვით, *„საზოგადოების წევრად მიღება შესაძლოა: 1. თუ წევრობის მსურველი მისცემს საზოგადოებას გირაოდ უძრავ ქონებას, რომელიც ქალაქ გორშია და იმის მაზრაში; 2. თუ წარუდგენს საზოგადოებას გირაოდ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებს, პაებს, აქციებს, ობლიგაციებს და გირავნობის ფურცლებს; 3. თუ წარუდგენს თავდებად ერთსა ანუ რამდენსამე იმისთანა კაცს, რომელიც მიმღებ კომიტეტს ყოვლად კეთილ საიმედო კაცად მიაჩნია და 4. თუ მიმღებმა კომიტეტმა იცის, რომ თვით მთხოვნელიც კეთილსაიმედო კაცია“.*

ამგვარად, საზოგადოების ხელში თავი უნდა მოეყარა საკმაოდ დიდ უძრავ ქონებას და ფულად სახსრებს, რომელსაც ისევ თავის წევრებზე გასცემდა სესხის სახით, მაგრამ გირაოდ იღებდა კვლავ უძრავ ქონებას ან ფასიან ქაღალდებს.

საზოგადოების მმართებელი ორგანოები იყო: საერთო კრება, საბჭო, გამგეობა და მიმღები კომიტეტი. კრებას წელიწადში ერთხელ იწვევდნენ. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა საგანგებო კრების მოწვევა. კრება უფლებამოსილი იყო, თუ მას ესწრებოდა წევრთა ერთი მესამედი მაინც. თითოეულ წევრს ერთი ხმა ჰქონდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თუ სხვა წევრების ნებაც იქნებოდა, შეეძლო მისი ხმაც გამოეყენებინა, მაგრამ არაუმეტეს სამი ხმის გამოყენება შეიძლებოდა.

საერთო კრება ირჩევდა 6 წევრისაგან შემდგარ საბჭოს სამი წლით, საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატები ნიშნავდნენ. საბჭოს წევრები ჯამაგირს არ იღებდნენ. ჯამაგირს იღებდა სამი წლით არჩეული გამგეობის სამი წევრი.

საბჭოს მიერ აირჩეოდა მიმღები კომიტეტის 10 წევრი. საზოგადოებას ჰყავდა სამი კაცისგან შემდგარი სარევიზიო კომისია.

ზემოაღნიშნული ფულადი ოპერაციების შედეგად მიღებული მოგება, ფულის სახით, ნაწილდებოდა საზოგადოების წევრებზე. თუ როგორ პოპულარული გახდა „გორის საურთიერთო ნდობის

საზოგადოება“, ჩანს იქიდან, რომ 1914 წლის ნოემბრისათვის მისი ბალანსის აქტივი უკვე 209 266 მანეთსა და 24 კაპიკს შეადგენდა[1].

### *საზოგადოება „მანდილოსანი“*

1913 წელს გორში დაარსდა ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომელიც მიზნად ისახავდა გაჭირვებულ ქალთა ზნეობრივ და ნივთიერ მხარდაჭერას, ღარიბ მოსწავლეთა დახმარებას, კულტურული კერების ჩამოყალიბება-გავრცელებას და სხვ.

„მანდილოსნის“ მოქმედების არე ქ. გორით არ შემოიფარგლებოდა. იგი ახლომდებარე სოფლებსაც თავისი მოქმედების ასპარეზად მიიჩნევდა და იქ თავის წევრებს პერიოდულად აგზავნიდა საზოგადოების წევრთა რაოდენობის გაზრდისა და სხვა საქმეების მოსაგვარებლად.

„მანდილოსნის“ დამაარსებლები იყვნენ: ანა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა, ანასტასია გიორგის ასული ერისთავი-ხოშტარია, ოლღა გიორგის ასული გოგლიჩიძისა, თინათინ რევაზის ასული ჯავროვისა, ანა ბესარიონის ასული მაისურაძისა, მარიამ კონსტანტინეს ასული ელიოზიშვილისა, ქეთევან გიორგის ასული ჯავახიშვილი, ანასტასია ვასილის ასული კაპანაძისა, იულია რაჟდენის ასული კვალიაშვილისა, ანა ალექსანდრეს ასული ქარუმიძე, მარიამ გიორგის ასული კეზელი, ბარბარე ივანეს ასული ამილახვარი და სხვანი.

საზოგადოების თავმჯდომარე იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანასტასია ერისთავი-ხოშტარია.

„მანდილოსნის“ ამოცანები მისსავე წესდებაში ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგნაირად:

1. „მანდილოსნის“ მიზანია დაეხმაროს გაჭირვებულ ქალთა, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ნივთიერად.

2. „მანდილოსნის“ მოქმედება: მოაწყოს სათანადო ნებართვისამებრ განმანათლებელი ხასიათის დაწესებულებანი: სკოლები, საბავშვო ბაღები, კურსები, წიგნთ-საცავები, სამკითხველოები, წიგნების გამოცემა და სხვ... ა) გამართოს მოქმედ კანონების დადგენილ წესისამებრ ლექციები, რეფერატები და საზოგადო კითხვები; ბ) შეძლებისდაგვარად აძლიოს ფულით შემწეობა; გ) გახსნას სხვადასხვა სახელოსნოები და დ) დააფუძნოს განსაკუ-

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 186-188*

თრებულ ნებართვის აღებით არტელები, საურთიერთო დამხმარე კასები, თავშესაფარები, საავადმყოფოები და სხვა.

3. დასახულ მიზნის მისაღწევად, სათანადო ნებართვის აღებით, „მანდილოსანი“ ხსნის: ა) მაღაზიებს, ფერმებს, საკანდიტროებს, ყავახანებს, სასტუმროებს, სხვადასხვა სანოვაგის საწყობებს და სხვა. ბ) მართავს: წარმოდგენებს, კონცერტებს, საღამოებს, ბაზრობას და სეირნობას; გ) მისდევს მეფუტკრეობას, მეაბრაშუმეობას, ფრინველთა მოშენებას, მებოსტნეობასა და საზოგადოდ ყოველგვარ მეურნეობას და დ) იძენს უძრავსა და მოძრავ ქონებას, ჰყიდის და იჯარით აძლევს მათ.

„მანდილოსანი“ მოქმედებას იწყებს ჯერ ქალაქ გორში და შემდეგ სათანადო ნებართვის აღებით შეუძლიან განყოფილებანი გახსნას გორის მაზრაში, სადაც საჭირო აღმოჩნდება“[1].

როგორც წესდებიდან ჩანს, „მანდილოსანი“ საქველმოქმედო საზოგადოება იყო და იგი უნდა დამყარებოდა თავისსავე შექმნილ მატერიალურ ბაზას. მაგრამ არ ვიცი რამდენად შეძლეს მისმა მესვეურებმა ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელება. მხოლოდ ცნობილია, რომ მეფის ქუჩაზე, ხარატოვების ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე (ამჟამად სამეფო ქუჩაზე ლუდის დარბაზი რომ არის) მოთავსებული იყო კაფე-საჩაიე, რომელიც „მანდილოსნის“ თაოსნობით დაარსდა. როგორც ერთ-ერთი თანამედროვე იხსენებდა, *„ეს იყო საუკეთესო და ცნობილი კაფე, სადაც უალკოჰოლო სასმელები და მრავალფეროვანი საკონდიტრო ნაწარმი უხვად მოიპოვებოდა. კაფეს განაგებდა ფრიად დარბაისელი და შესანიშნავი ტანადობის მქონე სიმპათიური ქალი-ნადია, რომელსაც კლიენტთა მომსახურებისათვის ლამაზი გოგონები ჰყავდა შერჩეული“*[2]. როგორც თინათინ ჯავახიშვილი იგონებდა, აღნიშნულ კაფეს „ფინჯანი ჩაი“ ერქვა და ალექსი ხარატიშვილის სახლში იყო მოთავსებული. თეატრალური წარმოდგენების შემდეგ, საღამოთი, კაფეს ესტუმრებოდნენ ხოლმე თბილისიდან ჩამოსული თეატრალური დასის ცნობილი მსახიობები: ლიზა ჩერქეზიშვილი, ვასო და ტასო აბაშიძეები, ვალერიან გუნია, ნინო ჩხეიძე, იოსებ ჭიჭინაძე[3].

---

[1] *იქვე, გვ. 188-189.*

[2] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 148.*

[3] *ჯავახიშვილი თ., გორი ჩემს მეხსიერებაში // გაზ. „გამარჯვება“, 1970, №13.*

„მანდილოსანი“ აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, წარმოდგენებს, კონცერტებს, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ.

„მანდილოსნის“ მოწვევით გორს არაერთხელ ესტუმრა აკაკი წერეთელი. 1913 წელს საზოგადოების მიერ მოწყობილ შალიტერატურო საღამოზე აკაკის წაუკითხავს ლექსი – „ის მიხარებს მოხუცს გრძნობას“, რომელსაც დამსწრეთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოუწვევია.

1915 წლის 7 მარტს გორის საზოგადო საკრებულოს დარბაზში „მანდილოსნის“ მოწვეულმა, თბილისის დრამატულმა დასმა, ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით გამართა საქველმოქმედო სპექტაკლი. წარმოადგინეს კარეევის პიესა „უბედური ნაბიჯი“ (შ. დადიანის თარგმანი). სპექტაკლის მთელი შემოსავალი ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად გამოიყენეს.

„მანდილოსნის“ მიერ მოწყობილი ერთ-ერთი ღონისძიების შესახებ 1916 წლის 17 იანვრის „საქართველო“ იუწყებოდა. 14 იანვარს გორში გახსნილა ღარიბ ბავშვთა უფასო სკოლა, სადაც საზოგადოების თავმჯდომარეს, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, სიტყვა წარმოუთქვამს. ზეიმზე გამოსულა და სიტყვა უთქვამს, აგრეთვე, ქალაქის თავს ზაქარია ქიტიაშვილს. საღამოს კი „მანდილოსანმა“ თბილისიდან მოწვეული სახელგანთქმული მსახიობების (ტასო და ვასო აბაშიძეები, ლიზა ჩერქეზიშვილი, დავით მგალობლიშვილი) მონაწილეობით გამართა წარმოდგენა[1].

„მანდილოსანმა“ არსებობა შეწყვიტა 1917 წელს.

*

XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედი იყო გორის კულტურის გამოცოცხლების პერიოდი. კულტურულ აღმავლობას თან ახლდა სხვადასხვა საზოგადოებების წარმოშობა, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ ხელში აეღოთ კულტურის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობა და გეზის მიცემა. 1870-იან წლებში ჩამოყალიბდა ***„სცენისმოყვარეთა წრე“,*** 80-იან წლებში დაარსდა ***„ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“,*** 1890-იან წლებში – ***„სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე“,*** თბილისი სახალხო უნივერსიტეტის გავლენით გორშიც დაარსდა ***„სახალხო უნივერსიტეტი“.*** ასე რომ, ზემოთგანხილული საზოგადოებების

[1] *გოცირიძე ბ., „მანდილოსანი“, გორში // გაზ. „გამარჯვება“, 1990, №60*

ჩათვლით, საკმაოდ მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო წრე და ორგანიზაცია არსებობდა. მაგრამ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია

### *ვაჭარ-ხელოსანთა ორგანიზაციები*

გორში, ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ხელოსნური ორგანიზაციები, ამქრები, საქართველოს ზოგიერთ ქალაქთან შედარებით გვიან, XVII-XVIII საუკუნეებში ჩანს, ამქრის მთავარი ეკონომიკური მიზანი ყოველგვარი შესაძლებელი კონკურენციის თავიდან აცილება იყო. გორელ ხელოსნებს კონკურენტებად, პირველ რიგში, სოფლებიდან მოსული გლეხები და საქართველოს სხვა ქალაქების ვაჭრები ევლინებოდნენ. ამიტომ ამქარი თავის რიგებში აერთიანებდა თავისი დარგის ყველა ხელოსანს, განურჩევლად მისი ეთნიურ-რელიგიური კუთვნილებისა. სოფლის მოსახლეობისათვის პროდუქციის შემქმნელ გორის ამქრებში სოფლებიდან გადმოსახლებული ხელოსნებიც ერთიანდებოდნენ.

ქალაქ გორის თავი იაკობ პავლიაშვ ილი ამქრების უსტაბაშებთან და გორის ხელოსან მოქალაქეებთან, გადაღებულია 1882 წელს

XIX ს. გორის 8 ამქრის (***მჭედელთა, მექვაბეთა, ჭონების, თერძების, ხარაზების, მექალამნეთა, ხუროების და დალაქების***) საქმიანობაზე, როგორც თავის ადგილას აღინიშნა, საინტერესო ცნობები ნ. დერჟავინმა გამოაქვეყნა[1].

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა[2], რომ XIX ს. დასასრულს გორში ამქართა რაოდენობა საკმაოდ გაზრდილა. ესენი იყო: ხარაზების, სარაჯების, დაბაღების, მექალაქმნეების, მღებარების, მეთუნუქეების, ქვისმთლელების, კალატოზების, დურგლების (მეაკვნეები, ხუროები), მეჭურჭლეების, ზეინკლების, დერციკების, ვაჭრული ამქრებიდან ცნობილი იყო: მიკიტნების, ბაყლების და მეწვრილმანეების ამქარი.

იმავე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გორში შეიმჩნეოდა დიდი ნაკლებობა მეღუმელეებისა, ზეინკლებისა და სახურავის ოსტატებისა. ამიტომ ისინი თბილისიდან მოჰყავდათ. მთელ ქალაქში მხოლოდ ერთი ზეინკალი იყო[3].

გვაქვს საინტერესო ცნობა გორის ამქრების რიცხობრივ შემადგენლობაზე. ხუროების ამქარში იყო 95 წევრი, კალატოზებისაში – 75, ევროპული ფეხსაცმელების მკერავებისაში – 56, მღებავებისაში – 20, თერძებისაში – 25, თოქმაჩებისაში (სპილენძის ჭურჭლის მკეთებლები) – 35, მჭედლებისაში – 46, მეთუნეებისაში – 26, მექუდეებისაში – 20, მეეტლებისაში – 54, მეურმეებისაში – 50, დალაქებისაში – 30, მეაგურეებისაში – 16, მებაღეებისაში – 48, მეკარეტეებისაში – 22, ვერცხლის ოსტატებისაში – 18, აზიური ფეხსაცმელების მკერავებისაში – 92, მხერხავებისაში – 66, მეტიკეებისაში – 5, მეზურნეებისაში – 9 და ა.შ.[4]

ამგვარად, 90-იან წლებში გორის სხვადასხვა ამქარში გაერთიანებული იყო 800-ზე მეტი ოსტატი-ხელოსანი.

ჩამოთვლილ ამქრებს შორის სიდიდით გამოირჩეოდა **ხარაზების** ამქარი. იგი ქალაქური ხელოსნობის ძირითადი, წამყვანი დარგი იყო. ხარაზთა ამქრის უმთავრეს საქმიანობას ჩუსტების კერვა შეადგენდა. ისინი აწარმოებდნენ მამაკაცის „გამოყვანილ“, ე. წ. ადელხანოვის ჩუსტებს. კერავდნენ აგრეთვე გულამოღებულ ჩუსტებს ქალებისათვის. აღნიშნული პერიოდისათვის გორში ხარაზთა 145 დუქანი იყო. ხარაზი კვირაში 160 წყვილ ჩუსტს ჰკერავდა. თითო-

---

[1] *ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I.*

[2] *იხ. აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVIII სს., თბ., 1972, გვ. 150-167*

[3] *გსიემ, №535, ფ. 11.*

[4] *იქვე, ფ. 58.*

ეულ სახელოსნოში, ჩვეულებრივ, 5 კაცი მუშაობდა: ამათგან ორი ამხანაგი თავთავისი ქარგლით და ერთი შეგირდით. სამზე ნაკლები ერთ სახელოსნოში არ იქნებოდა, ან სამი შეგირდი და ოთხი მუშა (ქარგალი). იყო ისეთი სახელოსნოებიც, სადაც ერთ ოსტატთან 14-20 ქარგალი მუშაობდა[1]. ზოგიერთი ცნობით, ერთ ოსტატს ერთი ქარგალი და ორი შეგირდი ჰყავდა[2].

გორში ცალკე ამქარი ჰქონდათ ***მექალამნეებს***. მაგრამ შეგირდის დალოცვას ისინი ხარაზებთან ახდენდნენ საღვთოზე, რადგან მათ საკუთარი ბაირაღი არ გააჩნდათ. მექალაქმნეებს 30 დუქანი ჰქონდათ.

უპირატესად იკერებოდა ე. წ. ქართული ქალამანი. იკერებოდა მაგრამ იშვიათად, ე. წ. კახური ქალამანიც, რომელსაც სამჯერ მეტი მასალა სჭირდებოდა, ვიდრე ქართულს.

მექალამნე ოსტატებს ორი-სამი შეგირდი და ამდენივე ქარგალი ჰყავდათ. მათი სახელოსნოები კათოლიკების („ფრანგთა“) ეკლესიასთან იყო[3].

**მჭედელთა** ამქარში საკუთრივ მჭედლების გარდა გაერთიანებულნი იყვნენ **ნალბანდები**, **ოქრომჭედლები, მეთუნუქეები, მექვაბეები** და სხვ. ზოგიერთი ცნობით, მჭედელთა ამქარში შედიოდნენ აგრეთვე **მეფაიტონეები** ანუ ***„კარეტნიკები“*** და ხის ბორბლების მკეთებლები – ***„კალესნიკები“***[4].

მანუფაქტურული წარმოება განსაკუთრებით იჩენდა თავს ეტლის – ფაეტონის დამზადების პროცესში, რომელშივ ექვსი სხვადასხვა სპეციალობის ოსტატი მონაწილეობდა. *„ჯერ დურგალი შეამზადებდა ეტლის ხის ნაწილებს, შემდეგ მჭედელი დააჭედებდა მას. მღებავი შეღებავდა, გადამკვრელი ტყავს გადააკრავდა, დამვერცხლავი ლითონის ნაწილებს დაამუშავებდა, ამათ გარდა აღნიშნულ ამქარში ფაიტონის ფარნის გამკეთებელიც შემოდიოდა“*[5].

მჭედელი ძირითადად ამზადებდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს: ნამგალს, ცულს, ბარს, თოხს, სახნის-საკვეთელს, ურმის თვლებს და მისთვის რკინის სალტეებსაც, ნალებს (ქართულს და რუსულს), ლურსმანს და სხვ. სამჭედლოში სამი ხელოსანი მაინც უნდა ყოფილიყო. შეგირდი ქურას უბერავდა, ოსტატი რკინის დუღილს თვალს ადევნებდა, ხოლო ქარგალი ან ამხანაგი ქური-

---

[1] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 151.*

[2] *იქვე, გვ.153.*

[3] *იქვე, გვ.153-154.*

[4] *იქვე, გვ. 154.*

[5] *იქვე.*

დან გამოღებულ გავარვარებულ ლითონს სჭედდა. ერთ სამჭედ-ლოში შეიძლებოდა 8 შეგირდიც ყოფილიყო[1].

**ნალბანდები** როგორც ზემოთ ითქვა, მჭედელთა ამქარში შე-დიოდნენ. გორში 20 ნალბანდი იყო და მათი საქმიანობა პირუტყ-ვის დაჭედვაში გამოიხატებოდა. ნალს და ლურსმანს ძირითადად მჭედელი სჭრიდა, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში თვით ნალბანდიც ამზადებდა. ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ ქართულ და რუსულ ნალს (ქართული ნალი-საჯდომი ცხენისათვის, რუსული – მუშა ცხენისათვის). გორში უფრო ქართულ ნალზე იყო მოთხოვნა. რუსულს უმთავრესად ფაიტონისა და სამხედრო ცხენისათვის იყენებდნენ. სხვადასხვა პირუტყვისათვის სხვადასხვა ნალს ხმა-რობდნენ: კამეჩისათვის 1-2 ლურსმნიანს, ხარისათვის 3-4 ლურსმ-ნიანს, ცხენისათვის 6 ლურსმნიანს. ნალბანდი ნედლეულს ძირი-თადად თბილისში ყიდულობდა. უღელი ხარის დაჭედვა ფუთი ხორბალი ან ორი გირვანქა ერბო ღირდა, უღელი კამეჩისა – ფუთნახევარი ხორბალი. ცხენის დაჭედვა იგივე ღირდა, რაც ხარისა. საქონელს წელიწადში 4-5 ჯერ ჭედავდნენ[2].

**მეთუნუქე** ამუშავებდა, როგორც შავი, ისე თეთრი ფერის თუ-ნუქის ფურცელს. შავი თუნუქისაგან კეთდებოდა ღუმელი და სა-ხურავი, თეთრისაგან-სხვადასხვა სახის სანათები, ჩაიდნები, ჭრა-ქები, ვედროები და სხვ. ერთი ფურცელი თუნუქისაგან კეთდებოდა ვედრო და ორი ჩაიდანი. მეთუნუქეს შეეძლო დღეში 5 ვედროს ან 4 ჩაიდნის დამზადება. თეთრი თუნუქის ერთი ფურცლისაგან 10 ცალი ჭრაქი მზადდებოდა. ყველაზე დიდი მოთხოვნა თურმე ჩაიდ-ნებზე და „სამოვარებზე“ იყო. მეთუნუქეები ბაზარში მუშაობდნენ და ნაწარმსაც იქვე ჰყიდდნენ[3].

ერთ ამქარს ქმნიდნენ **კალატოზები** და **მხატვრები (მღებავე-ბი)**. კალატოზი ქვის, აგურის ან ალიზის კედლების და სახლების მშენებლი იყო. იგი სეზონურად მუშაობდა, აპრილიდან გიორგო-ბის თვემდე. კალატოზები, ჩვეულებრივ, ძველი ბაზრის ბოლოს „ედემის ბაღთან“ იკრიბებოდნენ და მსურველს იქ შეეძლო მათი დაქირავება. მორიგება ხდებოდა ნარდად ან დღიურად. დღიურად კალატოზი 1 მანეთი ღირდა. კალატოზს მუშა ეხმარებოდა, რომე-ლიც კირს აურევდა, წყალს და სამშენებლო მასალას ეზიდებოდა. კარგი მუშა დღიურად 6 შაური და 2 აბაზი ღირდა. კალატოზი ორსართულიან სახლს 2 ოთახითა და მარნით 15 დღეში აშენებდა.

---

*1 იქვე.*

*2 იქვე, გვ.154-155.*

*3 იქვე.*

გორელი კალატოზები სოფლებშიც აშენებდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად ქალაქში საქმიანობდნენ[1].

**დურგლებს** ცალკე ამქარი ჰქონდათ და 100-მდე იყვნენ. დურგლები ორ ნაწილად იყოფოდნენ. სახლის მშენებელნი (აკეთებდნენ კარს, ფანჯარას, ლამფას, იატაკს და სხვ.) და მეავეჯენი (აკეთებდნენ მაგიდას, კარადას, აკვანს და სხვ.). დღიურად დურგალი თავისი შეგირდით 2 მან ღირდა. ნარდად მუშაობა ნაჭრობით იყო (კარის გაკეთება – 6 მან. ფანჯრის – 4 მან. საჟენი იატაკის – 1-2 მან. ღირდა). დურგალი შემკვეთელს წაიყვანდა სამხერხაოში და მასალას აყიდვინებდა. გორში ხის მასალის ცნობილი დამმუშავებლები იყვნენ: ხახუტაშვილები, არჩვაძეები, ჩიხლაძეები. მათ ბორჯომიდან, ცხინვალიდან და ატენიდან მასალა ტივებით მოჰქონდათ. 20 ხე ერთი ტივი იყო. ერთი სახლის დამთავრებას სამი ოსტატი თავისი შეგირდით სამ თვეს მოუნდებოდა[2].

**ქვისმოლელებსაც** ცალკე ამქარი ჰქონდათ, მაგრამ კალატოზებთან ერთად იხდიდნენ საღვთოს. ქვისმოლელი ამზადებდა გელაზის (ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა) ქვებს, რომლებსაც ყარაბაღიდან ეზიდებოდნენ, საქაჯავისას კი-ატენიდან. ამზადებდნენ აგრეთვე პატარა ხელსაფქვავებს, წყლის წისქვილების ქვებსაც, მაგრამ მათ ძირითადად სამუშაოს მაინც საფლავის ქვების გამოთლა შეადგენდა. საფლავის ქვა გორიჯვრიდან და წითელქალაქიდან მოჰქონდათ. ადგილზე მას სოლებით ჰკვეთავდნენ და ურმით ჩამოჰქონდათ. ჩამოტანა 2 მან. ღირდა. ქვაზე იხატებოდა თავდახურული ქალი (1 მან. ღირდა მისი გამოკვეთა). მამაკაცს ხატავდნენ ჩოხიანს, ულვაშიანს. მასრებს მხოლოდ ოსებს უკეთებდნენ. გარდაცვლილ ხელოსანს თავისი ხელობის აღმნიშვნელ რაიმე ნიშანს გამოუსახავდნენ: დერციკს (თერძი, მკერავი) – მაკრატელს, მჭედელს – ჩაქუჩს, კალატოზს – ქაფჩასა და ჩაქუჩს, დურგალს – ქუსტარას (შალაშინს). დიდი ადამიანის საფლავის ქვის გათლა 6 მან. ღირდა, ბავშვისა-3 მან. ძეგლის გაკეთება 8-10 თუმანი ფასობდა. მარიამობას ხდებოდა საფლავის ქვების კურთხევა[3].

იმავე პერიოდში გორში 93 ***კერამიკოსი-მეჭურჭლე***, მეაგურე და მეკრამიტე იყო. მეჭურჭლე აკეთებდა ჯამებს, საღვინეს, ქილას, ტოლჩას, საწველელს, ბადიას, ქვაბ-ქოთანს, სხვადსხვა დანიშნულების ქოთნებს, საპურეს, ცომის ქილებს. ხელოსანმა თუ სრული

---

*1 იქვე, გვ. 156-157.*

*2 იქვე.*

*3 იქვე, გვ.157-158.*

ხელობა იცოდა, მაშინ აკეთებდა კრამიტსა და თონესაც. თიხა გორშივე მოიპოვებოდა. ჭურჭელი კეთდებოდა წითელი და ჩინური. ჭურჭელი სოფლებშიც გაჰქონდათ გასაყიდად. ჭინჭილა ორ კვერცხზე იცვლებოდა, ჩარექა შაური ღირდა, კოკურა 2 შაური, კოკა – აბაზი, თონე –2 მან. 50 კაპ. ჭურჭელი პურზეც იცვლებოდა[1].

ცალკე ამქარი ჰქონდათ **დერციკებს,** მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვანი (სულ 20) იყვნენ. დერციკი კერავდა ახალუხს-მოკლესა და ნაოჭიანს, გრძელს – ჩაქებიანს (ჩაქი ამოუკერავად დატოვებული ადგილი ზედა სამოსლის გვერდით კალთაზე), ახალუხი იკერებოდა ფაბრიკული ნაჭრისაგან – „ლასტიკისაგან“, რომელსაც თბილისში ყიდულობდნენ. მისი შეკერვა 2 მან. ღირდა, შეკერილი კი – 3 მან. კერავდნენ გლეხის განიერსა და ყარაჩოღელის შარვალს.

დერციკების ამქარი გორში

იკერებოდა ქართული ჩოხა, ჩერქეზული ორჩაქიანი ანუ თავადური, რომელზეც ქუთაისიდან მოტანილ შალს ხმარობდნენ. იმერული და ლეკური შალისაგან იკერებოდა ყაბალახიც. საქუდე შალიც ლეკებს მოჰქონდათ. სწორგულიანი ახალუხი რვა-თორ-

[1] *გსიემ, №7486.*

მეტჩაქიანი იყო. ხელოსნები იცვამდნენ გამოყვანილს, ვაჭრები – სწორგულიანს.

გორში არსებულ ხელობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ***ოქრომჭედლობას*** ეკავა. ეს ის ხელობა იყო, რომლის ნაწარმზე დიდი მოთხოვნა არ ვრცელდებოდა. იგი უფრო საზოგადოების მაღალი ფენისათვის ფუფუნების საგნებს ამზადებდა და, მაშასადამე, ამ რთული ხელობის მიმდევარნიც მცირერიცხოვანნი იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ ოქრომჭედლები ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წერილობით ძეგლებში იშვიათად მოიხსენიებიან.

გორელი ოქრომჭედლების შესახებ ცნობები XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. 1802 წლის აღწერის მასალებში აღრიცხული 50 სახელოსნოდან ოქრომჭედლებს 2 ეკუთვნოდათ. ამ ცნობიდან იმის დადგენა, თუ მაშინ რამდენი ოქრომჭედელი და მათი შეგირდი მუშაობდა, შეუძლებელია. მით უფრო ძნელდება იმის ახსნა, როცა ვეცნობით 1804 წლის მონაცემებს, სადაც დასახელებულია მხოლოდ ერთი ვერცხლისმჭრელი[1].

1837 წელს გორში 4 ოქრომჭედელი იყო.

1842 წელს ჩატარებული კამერალური აღწერით გორში ოქრომჭედლები იყვნენ: დიმიტრი გოგებაშვილი, ეგნატე ნადირაძე, ნინია მაისურაძე, სიმონ ღამბარაშვილი, ანდრია ქუმელაშვილი და სტეფანე მამასახლისოვი. იყო აგრეთვე 1 იარაღის მკეთებელი გიორგი აბულაძე და 1 დანების მკეთებელი იაკობ ცერცვაძე.

1881 წელს გორში იყო 12 ვერცხლის სევადის ოსტატი და 6 შეგირდი. 1885 წელს ვერცხლისმსევადებლები იყვნენ: ივანე სარქისოვი, ალექსანდრე წვენიაშვილი, ბეჟან და ივანე ავაზნელები. 1894 წელს შედგენილ ხელოსანთა უწყისის მიხედვით გორში 5 ოქრომჭედელი იყო[2].

ოქრომჭედლები, სიმცირის გამო, სხვა ამქართან ყოფილან მიკედლებულნი. გადმოცემით, ოსტატი ოქრომჭედლად დასალოცს სარტყელს კი არ შემოარტყამდა, არამედ მხოლოდ დალოცავდა. შეგირდი, თავის მხრივ, რაიმე ძვირფას ნახელავს მიართმევდა თავის ოსტატს.

გორელი ოქრომჭედლები ამზადებდნენ სხვადასხვა ნივთებს თუ სამკაულებს, საეკლესიო დანიშნულების ნივთებს, ცხენის მოს-

---

[1] *ხუციშვილი მ., გორელი ოქრომჭედლები და გრიგოლ ორბელიანის საპატიო წოდებანი // ჟურნ. „ლიახვი“, 1968, გვ. 139.*

[2] *იქვე, გვ. 140.*

ართავებს და სხვ. მათ ნახელავში მნიშვნელოვანი ადგილი მამაკაცის და ქალის ვერცხლის ქამრებს ეკავა[1].

გორში ამქრის გარეშე იყვნენ ***შეშისმჭრელები, კურტნიანი მუშები, მექუდეები, მედროგეები, მეკონდიტრეები, მეთევზეები, მეთრიმლეები, მენახშირეები*** და სხვ[2].

გორში არსებობდა ვაჭრული ამქრებიც, კერძოდ: ***სირაჯების, მიკიტნების, ალაფების, ბაზაზების, ბაყლების, მეწვრილმანეების*** და სხვ.

ამქრის ორგანიზაციული სტრუქტურა იყო: **უსტაბაში, აღსაყალო, იგითბაში, შეგირდი, ქარგალი, ოსტატი**.

ამქრის წევრი ოსტატები თავიანთი რიგებიდან ირჩევნდნენ **უსტაბაშს**. რამდენი ხანი იქნებოდა ამ თანამდებობაზე არჩეული ოსტატი, დამოკიდებული იყო თვით პიროვნებაზე. შეიძლებოდა იგი ერთი წლის შემდეგ გადაერჩიათ, შეიძლებოდა სიკვდილამდე უსტაბაში ყოფილიყო.

უსტაბაში თვლაყურს ადევნებდა ამქრის ხელოსან-შეგირდების ურთიერთობას, ამქრის უფლებების დაცვას და ამქრის თითოეული წევრის საქმიანობის რეგლამენტირებას ახდენდა. უსტაბაში ფუნქციონირებდა აღსაყალოს და იგთიბაშის შემწეობით.

აღსაყალო უსტაბაშის უშუალო მოადგილე იყო, იგთიბაში კი შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა, ამქრის გადაწყვეტილებას წევრებს აცნობდა.

თუ ამქრის წევრი ხელოსანი რაიმეს დააშავებდა, მაშინ უსტაბაში „ამქარს შეკრავდა“ 2-3 კვირით ან ერთი თვით, რაც დამნაშავისადმი ბოიკოტის გამოცხადებას უდრიდა.

„შეკრულ“ ამქარში **აღსაყალო** მიხაკ-დარიჩინს შემოატარებდა. ყველა ხელოსანი თითო მარცვალს აიღებდა, რაც ბოიკოტისადმი მხარდაჭერას ნიშნავდა.

ბოიკოტის ვადის გასვლის შემდეგ აღსაყალო კვლავ ჩამოუვლიდა ამქრის წევრებს და აცნობებდა, რომ დამნაშავეს სასჯელი უკვე ახსნილი ჰქონდა. სასჯელის სხვა ფორმებიც არსებობდა. მათ შორის ფულით ან ღვინით დაჯარიმება.

უსტაბაშის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე შეგირდის ოსტატად კურთხევა და საღვთოს ანუ ამქრობის ორგანიზაცია.

ორი დღით ადრე უსტაბაში ამქარს შეკრებდა „ფსონის“ რაოდენობის განსაზღვრისათვის და ხელოსნებზე გადაანაწილებდა.

---

[1] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 158.*

[2] *იქვე, გვ. 159-162.*

ოსტატობის კანდიდატთა სიას ის ცალკე ადგენდა. ისინი უფრო მეტს იხდიდნენ, დაახლოებით 3-5 თუმანს.

ამქარი, უსტაბაშის მეთაურობით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიცვალებულის „გაპატიოსნებას“[1].

ა. გარსევანიშვილის თქმით, XIX ს. 90-იან წლებში ხუროების უსტაბაში იყო გიგო მაისურაძე, მჭედელთა – გაბო კოკაშვილი, მეწაღეთა – შიო მჭედლიძე, ხაბაზთა – ზურაბ წვენიაშვილი, რომელმაც დიდი პრაქტიკული ჭკუა გამოიჩინა და შესძლო ამქრის ფინანსური მდგომარეობის რეგულირება და წესრიგის დამყარება[2].

ყოველ ამქარს თავისი მფარველი კულტი, ემბლემა და ბაირაღი ჰქონდა.

გორელი მჭედლების მფარველი ***„ოფელთ-ფოფელი“*** იყო[3], რაც შ. მესხიას აზრით დამახინჯებული „ობელ-თობელია“ და უნდა ნიშნავდეს ბიბლიაში დასახელებულ თუბალთა, თაბალთა ტომებს, რომლებიც ისტორიულად ცნობილია, რომ დახელოვნებულნი იყვნენ სპილენძის დამუშავებაში[4].

მჭედლებს ემბლემად **ზინდანი** (გრდემლი) და ***მარწუხი*** ჰქონდათ. ხარაზების ბაირაღს ამშვენებდა ელიას გამოსახულება, ***ნემსი*** და ***სადგისი***[5]; მეთუნუქეებისას – ***ჩაქუჩი*** და ***თუნუქის საჭრელი მაკრატელი;***

დურგლებს თავიანთ მფარველად **ნოე** მიაჩნდათ, კალატოზებს – ***დავით ალმაშენებლი***, მეჭურჭლეებს – ***ადამი და ევა***[6].

თერძების დროშაზე გამოსახული იყო ***მაკრატელი*** და ***ნახევარადლიანი***[7].

ჭონების (მექუდეთა) მფარველი **ენუქ მარქარი** იყო. მექალამნეებს ერთი რომელიმე მფარველი არ ჰყავდათ. მათი ემბლემა დაზგა იყო. დალაქებს მამა აბრამი მფარველობდა[8].

---

[1] *გსიემ, №535, ფ. 12; იქვე, №8074/II, გვ. 22-24.*

[2] *Державин Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии // Язык и литература, ч. 2, вып. 1-2, 1926, с. 296.*

[3] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983, გვ. 530-561.*

[4] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 162.*

[5] *Державин Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии, с. 289.*

[6] ნ. დერჟავინის გადმოცემით, ადამი და ევა თერძებს მფარველობდნენ. *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 162.*

[7] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 162*

[8] *Державин Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии, с. 289*

ამქრის წევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ***ბაირაღს*** ანიჭებდნენ. ბაირაღის შეძენას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა. გადმოცემის მიხედვით, გორში ხარაზებს ჰქონდათ ყველაზე კარგი ბაირაღი, რომელიც თბილისში გაუკეთებინებიათ. ამქრის ბაირაღი უსტაბაშის დუქანში ინახებოდა. ქალაქში ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის და ცერემონიალის დროს ამქარი თავისი ბაირაღით გამოდიოდა. ამქარს წინ უსტაბაში მიუძღვოდა, უკან კი ზურნით მთელი ამქარი მისდევდა.

ამქრის წევრთა უმრავლესობას ქარგლები-ხელოსნები შეადგენდნენ. მათ, მართალია შეგირდობა დამთავრებული ჰქონდათ, მაგრამ ჯერ ოსტატად არ იყვნენ დალოცვილნი და დაქირავებულ შრომას ეწეოდნენ.

ნ. აბესაძეს გორში ერთ-ერთი ხელოსნისაგან ჩაუწერია, თითქოს შეგირდებიც (მოწაფეები) ამქრის წევრები იყვნენ, რაც სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. ჯერ კიდევ XX ს. 20-იან წლებში გორის ამქრის შესახებ ცნობები ნ. დერჟავინმა შეკრიბა და იგი პირდაპირ წერს, რომ შეგირდი ამქრის წევრად არ ითვლებოდა. მას აღწერილი აქვს როგორ ხდებოდა შეგირდის გაოსტატება და მისი ამქარში მიღება[1], რაც სრულიად სწორად მიმაჩნია.

ამა თუ იმ სპეციალობის დაუფლებისათვის სწავლის ვადა სხვადასხვა იყო. სწავლის ხანგრძლივობას ამქარი ადგენდა. გორის ხარაზების, დალაქების და ჭონების სწავლა გრძელდებოდა 3-4 წელიწადს, მექვაბეებისა – 4, მჭედლებისა – 5[2]. საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ხელობის დაუფლებას სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა დრო სჭირდებოდა.

შეგირდად 8-10 წლის ბიჭებს იღებდნენ. შეგირდად აყვანა სათანადოდ ფორმდებოდა ოსტატსა და შეგირდის მშობლებს შორის. სოფლიდან მოსული შეგირდი, ჩვეულებრივ, ოსტატთან ცხოვრობდა, ადგილობრივი კი თავისი სახლიდან დადიოდა.

ხშირად, ხელობის შესწავლის შემდეგ, შეგირდი ერთი წელი ოსტატს უფასოდ ემსახურებოდა, ვითომდა დახარჯული თანხის ასანაზღაურებლად. ვიდრე შეგირდი სწავლების მთელ კურსს არ გაივლიდა და ოსტატად არ დაილოცებოდა, მასწავლებელს ვერ

---

[1] *Державин Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии,с. 285-286; მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 220-221.*

[2] *Державин Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии,* с. 285, 289, 290, 294, 300.

მიატოვებდა. თუ ასე არ მოიქცეოდა, მაშინ მას სამუდამოდ „ფინა-ჩი“ ერქმეოდა და სამუშაოდაც არავინ მიიღებდა.

ხელობის შესწავლის შემდეგ შეგირდი ქარგალი ხდებოდა და გარკვეული დრო ამ რანგში უნდა ემუშავა.

შეგირდის ოსტატად კურთხევა არა მხოლოდ კანდიდატი-სათვის, არამედ ამქრისთვისაც მნიშვნელოვან მოვლენად ითვლე-ბოდა. ამ ცერემონიალის ორგანიზაციას უსტაბაში აღსაყალო-ებთან ერთად ახდენდა. იგი ადგენდა დასალოც ქარგალთა სიას და მათ მიერ შესატან „საოსტატო“ გადასახადსაც განსაზღ-ვრავდა. დალოცვა ხდებოდა სპეციალურად მოწყობილ წვეულე-ბაზე, რომელიც იმართებოდა აღდგომის კვირის ორშაბათიდან ამაღლებამდე, რომელიმე ორშაბათს, რადგან ეს დღე წვიმის ღმერთის – ელიას დღედ ითვლებოდა და ამქრები არ მუშაობდნენ. ამ დღეებში სისტემატურად ეწყობოდა ამქრის საზეიმო „სამხთო“ სადილები. ასეთი სადილის დროს ხდებოდა შეგირდის ოსტატად კურთხევა.

**ამქრობა** ანუ **„სამხთო“,** ჩვეულებრივ, ქალაქგარეთ იმართე-ბოდა სპეციალურად დაქირავებულ ბაღებში, რომლებიც ეკუთვნო-და სულხანას, ტერეღიშას, ჯირკველაანთ, შეგაანთ და ბაბილოანთ და 10 მანეთს ქირას უხდიდნენ[1].

უსტაბაში ოსტატობის თითოეულ კანდიდატს (ხშირად 18-20 შეგირდს ერთად ლოცავდნენ) აბრეშუმის სარტყელს შემოაკრავდა და მასში ჩაუწყობდა იმ ხელობის ინსტრუმენტებს, რომელი ხე-ლობისაც ამქარი იყო. უსტაბაში შეგირდს მიმართავდა: *„იყავ ყვე-ლაფერში პატიოსანი!“* და ამ სიტყვებთან ერთად სამჯერ შემო-ჰკრავდა ლოყაში. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ძველი თბი-ლისის ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე იოსებ გრიშაშვილის ერ-თი ლექსის - *„უსტაბაშის დალოცვის“* ბოლო სტროფი:

*„დამილოცნიხარ! დამილოცნიხარ!*
*მიიღე „სილა“ ხელანათროლი.*
*დღეს ოსტატი ხარ ჩვენი ამქრისა,*
*ძმები ვართ ყველა და თანატოლი“.*[2]

ოსტატობის კანდიდატების კურთხევის შემდეგ, ყველა ოსტატი სუფრას მიუჯდებოდა. სადილის დამთავრების შემდეგ ამქარი თა-ვისი ბაირაღით და მუსიკით ჯერ ბაზარში ისეირნებდა, შემდეგ მთელ ქალაქს შემოივლიდა. ამქარი ამგვარად აცნობებდა მოქა-ლაქეებს შეგირდების გაოსტატებას და ამქარში მათ მიღებას.

---

[1] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ.163.*

[2] *გრიშაშვილი ი., ტ. II, ლექსები, 1922-1961, თარგმანები, თბ., 1962, გვ. 80.*

ამქარი საგანგებოდ აცხობინებდა ხაბაზებს პატარა (გირვანქიან) პურებს, რომელზეც შილაფლავს დასდებდნენ და გლახებს დაურიგებდნენ, ტუსაღებს ციხეში შეუგზავნიდნენ[1].

დალოცვის შემდეგ ხელოსანი სრულუფლებიანი ხდებოდა და თუ შესაძლებლობა ჰქონდა საკუთარ სახელოსნოს გახსნიდა.

ამქარს თავისი სალარო ჰქონდა, რომელიც შემდეგი წყაროებისაგან ყალიბდებოდა: 1. ამქარში შემსვლელი თითოეული ოსტატი სალაროში შეიტანდა გარკვეულ თანხას. (სხვადასხვა ამქარს სხვადასხვა თანხა ჰქონდა დაწესებული, 5-10 ან 20-30 მანეთი ვერცხლით). 2. სავაჭრო ან სახელოსნო დუქნის გახსნისათვის ამქრის წევრი იხდიდა 1-3 მანეთს ვერცხლით. 3. როცა მოწაფე იმდენ ცოდნას შეიძენდა, რომ დამოუკიდებლად, მასწავლებლის მეთვალყურეობის გარეშე შეასრულებდა სამუშაოს მისი ოსტატად კურთხევამდე, მასწავლებლისაგან იღებდა 1-6 მანეთამდე. 4. ზოგიერთი ამქრის წევრები ამქრის სალაროში შეიტანდნენ გადასახადს ახლად შეძენილი ბავშვისათვის (ბიჭისათვის 1 მანეთს, გოგონასათვის 50 კაპიკს). ამის შემდეგ ბავშვი თუ დაობლდებოდა, მას ამქარი დაეხმარებოდა. 5. ყოველწლიურად, ზეიმის დროს, ახლადდაქორწინებული ამქრის წევრი თავის სიმამრს დაპატიჟებდა, თუ სიმამრი არ ჰყავდა, ცოლის ახლო ნათესავს (მამაკაცს) და საზეიმო სუფრისათვის მიიყვანდა ბატკანს და მიიტანდა ღვინოს გარკვეული რაოდენობით. თუ ახლადდაქორწინებულის ცოლს ასეთი მოზრდილი ახლო ნათესავი არ ჰყავდა, მაშინ ამქრის წევრი იხდიდა 1 მანეთს.

ამქრის სალაროს შევსება ხდებოდა სხვადასხვა ჯარიმებითაც: ამხანაგებთან ან უცხო ადამიანებთან ჩხუბის, გინების, მოტყუების და სხვათა გამო; ცოლისადმი ან თავისი მშობლებისადმი ცუდი მოპყრობის გამო; აღსარებაზე ან ზიარებაზე უარის თქმისათვის; არასაპატიო მიზეზით ამხანაგის ან უცხო პირის დასაფლავებაზე (თუ ამქრის წევრი დაპატიჟებული იქნებოდა) გამოუცხადებლობის გამო; დღესასწაულის დროს მუშაობისათვის; უსტაბაშის გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის; ამქრის საერთო კრების გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის.

ამქრის სალაროში არსებული ფული ხელშეუხებელი იყო უსტაბაშის და აღსაყალოსთვისაც კი და იგი ამქრის საერთო ინტერესებს ხმარდებოდა.

ამქრის წესდებით რეგლამენტირებული იყო უსტაბაშის, აღსაყალოს და იგიდბაშის გასამრჯელო, რაც ამქრის წევრების მიერ

---

[1] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ. 164.*

მიღებული შემოსავლიდან საჩუქრისა და ძღვნის სახით მიეცემოდათ[1].

მნიშვნელოვანი მოვლენა გორის ხელოსნებისა და, საერთოდ, გორის საზოგადოებისათვის იყო **„გორის ხელოსანთა გამგეობის“** დაარსება 1880 წელს, რომელიც ხელოსანთა ინტერესებს იცავდა. გამგეობის აპარატს და უფროსს თვით ხელოსნები ირჩევდნენ და ინახავდნენ კიდეც, რისთვისაც 1200 მანეთს აგროვებდნენ. გამგეობა დიდი უფლებებით სარგებლობდა. იგი ერეოდა და შეძლებისდაგვარად აგვარებდა ხელოსნების და მოქალაქეთა ან ხელოსანთა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობას[2].

## 3. სასწავლო დაწესებულებები

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე მეფის მთავრობამ ქართულო ეროვნული სასწავლებლები გააუქმა და განათლების საქმის რუსულ ენაზე განხორციელებას შეუდგა.

1802 წელს თბილისში დაარსდა ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, მაგრამ, რადგანაც მოსწავლეებმა რუსულად სწავლა ვერ შეძლეს, იგი მალე დაიხურა. 1804 წელს გაიხსნა თბილისის ორწლიანი კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც სწრაფად მოამზადებდა მასწავლებლებს „ქართლის დედაქალაქის“ – გორის და თელავის სასწავლო დაწესებულებებისათვის[2]. კეთილშობილთა სასწავლებელი 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა.

1865 წელს უცნობი ავტორის მიერ რუსულ ენაზე შედგენილ „გორის მაზრის მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში“ მოცემულია მაზრაში განათლების მდგომარეობის მოკლე აღწერა. „მიმოხილვის“ ავტორი, ალბათ, სახელმწიფო მოხელე, უკმაყოფილო იყო მაზრაში არსებული განათლების დონით, მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ საზოგადოების ყველა კლასის წარმომადგენლები განათლებისაკენ მიილტვოდნენ. მას განათლების საქმეში ჩამორჩენის მთავარ მიზეზად ბატონყმობა მიაჩნდა.

გორის მაზრაში ერთი სამაზრო-საერო და ორი სასულიერო სასწავლებელი არსებობდა. ერთი სასულიერო სასწავლებელი სომეხ-გრიგორიანებს ეკუთვნოდათ. სამრევლო და კერძო სასწავლებლები, რომლებსაც უმეტეს წილად სასულიერო პირები ფლობ-

---

[1] *გსიემ, №535, ფ.148-154.*

[2] *„დროება“, 1880, №77; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 124.*

[2] *Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. II, Тифлис, 1868, 199, №374.*

დნენ, მაზრაში 25-მდე იყო. ერთი საერო და ორი სასულიერო სასწავლებელი გორში ფუნქციონირებდა, სხვები კი გაფანტული იყო მთელ მაზრაში. **სასულიერო სასწავლებელი – მართლმადიდებლებისათვის** 1818 წლიდან არსებობდა, პირველი **სამაზრო სასწავლებელი** დაარსდა 1830 წელს, ხოლო **სომხურ-გრიგორიანული სასწავლებელი** კი 1861 წელს.

XIX ს. 60-იანი წლებისათვის გორის სასწავლებლებში ყოველწლიურად 250 ვაჟი სწავლობდა. ამ დროისათვის გამოშვებული იყო 1 ათასი გარკვეული განათლების მქონე ახალგაზრდა. სამრევლო სასწავლებლებმა მოამზადეს 500 კაცი. ამგვარად, 100 ათას მოსახლეზე 1500 განათლებული ადამიანი მოდიოდა, რაც შეადგენდა 1,5 განათლებულ ადამიანს 100 უსწავლელზე. როგორც „მიმომხილველი“ ვარაუდობდა, გორის მაზრის მოსახლეობისათვის მდგომარეობა გაადვილებული იყო მისი თბილისთან სიახლოვის გამო. მდიდარი თავადაზნაურები და ვაჭრები თავიანთ შვილებს თბილისის სასწავლებლებში აგზავნიდნენ. ხელმოკლე თავადაზნაურები შვილების პოლკებთან არსებულ სამხედრო სკოლებში შეყვანით კმაყოფილდებოდნენ. ამას გარდა, მრავალი ქალ-ვაჟი კერძო სახლებში სწავლობდა, ასე რომ, სავარაუდო იყო 100 ათას ადამიანში 5 ათასი განათლებული.

80-იან წლებამდე მაზრაში არ იყო ქალთა სასწავლო დაწესებულება, მაგრამ გოგონებს, განსაკუთრებით თავადაზნაურთა ქალიშვილებს, კერძო სახლებში ასწავლიდნენ. საოჯახო საქმიანობის სწავლებასთან ერთად, მათ აკითხებდნენ რუსთაველის თხზულებას და „ქართლის ცხოვრებას“[1].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ქალაქების თვითმმართებლობები და, მათ შორის გორისაც, შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სახალხო განათლებას. მაგალითად, 1900 წელს, საბიუჯეტო გეგმით, განათლების სფეროსათვის გორს მხოლოდ 1300 მანეთი უნდა დაეხარჯა, ე. ი. ბიუჯეტის 7,5 %. მართალია, ეს თანხა განუზომლად მეტი იყო ოზურგეთის (260 მან.), ახალქალაქის (500 მან.), ახალციხის (999 მან.), თელავის (160 მან.) შესაბამის ხარჯებზე, მაგრამ დიდად ჩამორჩებოდა თბილისის (21776 მან), ბათუმის (30800 მან.), ფოთის (8091 მან.), სოხუმის (3140 მან.) მიერ გამოღებულ თანხებს[2].

---

[1] *Документы, т. 2, с. 876-877.*

[2] *სეა, ფ. 12, ანაწ. 6, საქმე 133, ფურც. 33-107.*

50 ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, ამჟამად მის ადგილზე არის IX საჯარო სკოლა

36 ამიერკავკასიის გორის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილების ყოფილი შენობის ხედი. კირიონი II-ის ქუჩა. გადაღებულია 1985 წელს

გორის სასწავლებელთა მოკლე ისტორიის გადმოცემამდე, რათა იმ დროის მოსწავლეთა ცხოვრების პირობებზე გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს, უნდა ითქვას შემდეგი: მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა არა მხოლოდ მაზრის, არამედ საქართველოს და, ზოგჯერ, კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან მოსული ახალგაზრდები იყვნენ. მათი ცუდი ყოფა-ცხოვრების პირობების და კვების შესახებ არაერთხელ აღნიშნულა მაშინდელ პერიოდულ პრესაში და ყოფილი მოსწავლეების მოგონებებში. განსაკუთრებით ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ გორის სამასწავლებლო სემინარიის ე.წ. პანსიონერები, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე იყვნენ[1].

1893 წელს გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა წერილი გორის მოსწავლე-ახალგაზრდობის მდგომარეობაზე. აღწერილი ვითარება, ალბათ, იმაზე უარესი არ იქნებოდა, რაც ადრეულ პერიოდში იყო. წერილი ანონიმურია. იგი იმდენად საინტერესოდ მიმაჩნია, რომ მოვიყვან მხოლოდ მცირეოდენი შემოკლებით. *„მომეტებული ნაწილი აქაურის სკოლის შეგირდებისა სოფლებიდან ჩამოსული ყმაწვილები არიან, რაღა თქმა უნდა, რომ შეძლებული დედ-მამა თავიანთ შვილებს გორის დაბალ სასწავლებლებში არ მიაბარებენ. აქ ოთხი სასწავლებელია და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მათში მოსწავლე შეგირდების უმრავლესობას შეადგენენ ღარიბ მშობელთა შვილები. ესენი აქა დგანან „სახლის პატრონებთან“, რომელთა ბინასა და გამოკვებაში აძლევენ თვეში ხშირად არა უმეტეს ოთხის, ხუთის მანეთისა. ყველა ჩვენგანი შორიდამაც მიხვდება ამ ფულით ან როგორი ბინა უნდა ჰქონდეთ ხსენებულ ყმაწვილებსა და ან რანაირი და რაოდენი სანოვაგე მიეცემა მათ ახალგაზრდა, ყოჩაღად მოქმედ კუჭსა. პატარა, დაბალი, ნახევრად განათებული ოთახი, რომელშიაც ზამთარზაფხულს განუყრელად ტრიალებს შმორის სუნი, – შედეგი სინოტიესი და უსუფთაო, გაფუჭებული ჰაერი, – აი სადგომი, სადაც 3-4 პატარა შეგირდი სცხოვრობს ერთად. ჩვენი კურთხეული ლობიო, ამაზედ არანაკლებ სახელგანთქმული მახოხი, ხშირად უხეიროდ გამომცხვარი შავი პური არის წლითი წლამდე ერთდაერთი ამათი საზრდო, რომელსაც შეიძლება დიდ უქმე დღეებში ან ხაში, ან ორიოდე გირვანქა ხორციც მიემატოს. რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამგვარ ცხოვრებას, ცხადია!... მათი ფერმკრთალი სახე, ხშირი ავადმყოფობა, საშინელი უსუფთაობა ტანისა და ტანსაცმლისა*

[1] იხ. *„ივერია“, 1877, №41;* იმავე წლის *„თბილისის მოამბე“, №265,* იმავე წლის *„დროება“, №10*

*სამწუხარო მჭერმეტყველებით ჰღაღადებს მათს უნუგეშო მდგომარეობას. მაგრამ თბილსა და კარგ დღეებში ბავშვის ცხოველი ბუნება, მარად მოძრავი, შთაბეჭდილებით მოსულდგმულე, ყველა ამას თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს, არ ემორჩილება... მაგრამ სურათი სრულიად იცვლება, როდესაც შემოდგომის სიცივე და ტალახები, ზამთრის ყინვა და თოვლჭყაპი ერთად და ცალ-ცალკე ეწევა ხოლმე ჩვენ საქაროზე გაშენებულ ქალაქსა. ამისთანა დროისათვის ხსენებულ ყმაწვილებს არც ტანისამოსი აქვთ შესაფერი და არც ფეხსაცმელი. დალურჯებულ ხელებში უჭირავთ წიგნები და გაცრეცილი სახით მიეჩქარებიან ყოველ დილა ადრიან თავთავიანთ სკოლებში. სადღაა წინანდელი მხიარულება!.. ეხლა ესენი ავდარში გარეთდარჩენილ, დაღონებულ და ფრთებჩამოყრილ პაწია ბეღურა ჩიორებს ჰგვანან!... უცქერი ამ მწარედ მოძაგძაგე პატარა კაცუნებს და გიკვრის: როგორ და რანაირად იტანს მათი ნორჩი ბუნება, მათი სუსტი, უღონო აგებულება ამ საშინელ ავდრის გავლენასა?! მაგრამ ვაი ამ ატანასა! ვინ იცის რამდენი ამათგანი უდროოდ გამოესალმება წუთისოფელსა, ვიდრე ბოლომდისინ გაივლიდეს აწინდელ სწავლის დახლაკნილ და ეკლიან გზასა“*[1].

რუსული მმართებლობის შემოღებამდე გორში სახელმწიფო სკოლა არ არსებობდა. მართალია, ქართული მონარქიის არსებობის ბოლო პერიოდში იოანე ბატონიშვილის სახელმწიფოს გარდაქმნის პროექტით, გორში, სხვა ღონისძიებებთან ერთად სკოლის გახსნაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. 1801 წელს გაუქმებულად გამოცხადდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მიერ დამტკიცებული ეს პროექტი.

1817 წელს თბილისის გუბერნიის რამდენიმე ქალაქში-თბილისში, თელავსა და გორში გაიხსნა დაწყებითი სასულიერო სასწავლებლები. 1818 წლის 16 მაისს გორში საზეიმოდ აღინიშნა **სასულიერო სასწავლებლის** გახსნა, რომელსაც დაესწრო მთელი მაზრის სამღვდელოება, თავადები და აზნაურები. ზეიმისათვის განსაკუთრებული ელფერი რომ მიეცათ, სკოლის ეზოში მოსწავლეები ორ რიგად მოაწყეს, რათა მოსული საპატიო სტუმრებისათვის ფეხებში ყვავილები მიეყარათ. პარაკლისის გადახდის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სასწავლებლის ზედამხედველმა ნეშუმოვმა, რომელმაც აღნიშნა სკოლის მნიშვნელობაზე და დიდებით მო-

[1] *„ივერია“, 1893, №4.*

იხსენია „საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის მზრუნველი“ იმპერატორი ალექსანდრე I. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ, ოლქის მეთაურმა პოლკოვნიკმა ბერნიკოვმა სტუმრებისათვის სადილი გამართა, სადაც წარმოთქვა იმპერატორის, მიტროპოლიტ ფეოფილაქტის, საქართველოში მთავარსარდლის, გენერალ ერმოლოვის და სხვათა სადღეგრძელოები.

თავდაპირველად სასწავლებელი მოთავსებული იყო მტკვრის ნაპირას, მეფის ქუჩაზე. შემდეგში, საქართველოს ეგზარქატის შუამდგომლობით, გამოიყო თანხები ახალი ორსართულიანი შენობის ასაგებად, ქალაქის ბაღის მახლობლად, იმავე ქუჩაზე. მშენებლობის დამთავრებისთანავე, 1818 წელს სასწავლებელი ახალ შენობაში გადავიდა[1].

პირველ სასწავლო წელს სასწავლებელში მივიდა 27 მოსწავლე. ისინი უხალისოდ სწავლობდნენ, გაკვეთილებს ხშირად აცდენდნენ, რადგან მკაცრ რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ.

გ. საძაგელოვ-ივერიელის გადმოცემით, მოსწავლეთა *„ნახევარზე მეტს თვალი სახლებისკენ ეჭირა. 1818-1825 წლებში ხშირი იყო მაგალითი მოსწავლეთა შინ გაქცევისა... ამის მიზეზს ჩვენ პირველად იმაში ვხედავდით, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი აღმოცენდა არა ადგილობრივ ნიადაგზე, არამედ უცხოეთიდან იყო გადმოტანილი, გადმონერგილი; მეორეს მხრივ, თვით სასწავლებლის გამგეთა ვერ შეითვისეს მოწაფენი, ვერ დაამკვიდრეს კავშირი თავისსა და მოწაფეთა შორის“*[2].

1819 წელს სასწავლებელში გაიხსნა მეორე კლასიც, მოსწავლეთა პირველი ნაკადი განისაზღვრა 48 მოსწავლით, რომელთა შორის სასულიერო პირთა შვილი იყო 27. მოსწავლეების ასაკი 6-17 წლამდე მერყეობდა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენდა სასწავლო პროცესზე.

მიტროპოლიტ ფეოფილაქტის განკარგულებით, გორის სასულიერო სასწავლებლის შესანახად რუისის არქიმანდრიტ ნიკიფორეს უნდა დაეფარა სასწავლებლის არსებობისათვის აუცილებელი ხარჯები. პირველ წელს საჭირო 420 მანეთიდან სასწავლებლის ზედამხედველი მიიღებდა 225 მანეთს, ერთი მასწავლებელი – 120 მანეთს და დანარჩენი ხარჯებისათვის, კერძოდ, საკანცელარიო ნივთებისა და სახლის ქირისათვის – 75 მან[3].

---

[1] *გსიემ, №535, ფ. 90*

[2] *„ივერია“, 1893, №102.*

[3] *იქვე.*

რადგან სასწავლებლის შენობა არასაკმარისი და მოუხერ-ხებელი იყო, სინოდის კანტორამ 1834 წელს სასულიერო სემინარ-იისათვის შეიძინა ხერესონის გრენადერთა პოლკის შენობა (ამჟა-მინდელი სამეფო ქუჩის №76) და სასწავლებელი იქ გადაიტანა. რის მაზრის სამღვდელოების სახსრებით 1888 წელს საფუძველი ჩაეყარა სასულიერო სასწავლებლის ახალ შენობას, რომელიც 1889-1890 სასწავლო წელს გაიხსნა სამეფო ქუჩაზე მტკვრი ახლოს. ეს იყო ორსართულიანი შენობა, რომლის მეორე სართულზე იყო პატარა ეკლესია, ისევე როგორც ამჟამად[1].

იმის გამო, რომ გორის სასულიერო სემინარიას 1836 წლიდან სამისიონერო სკოლის ხასიათი მიეცა, რაც კურსდამთავრებულთა მიერ კავკასიაში და სხვა მუსულმანურ რაონებში ქრისტიანული პროპაგანდის გაწევაში უნდა გამოხატულიყო, ცვლილება მოხდა სასწავლო გეგმაში. მანამდე თუ ძირითადად რუსულ და ქართულ ენებს ასწავლიდნენ, ახლა დაემატა – ოსური და თათრული ენე-ბიც. ევროპული ენებიდან თავდაპირველად ისწავლებოდა ბერძნუ-ლი, რომელიც 1826 წლიდან ლათინურით შეიცვალა. საერთოდ, სასწავლებელში ისწავლებოდა რუსული და ძველი სლავური გრა-მატიკა, არითმეტიკა, საეკლესიო გალობა, კატეხიზისი, საღვთო სჯული და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქართუ-ლიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად თარგმნას.

სასწავლებელი თანდათან იზრდებოდა. 1838 წლისათვის მასში 65 მოსწავლე სწავლობდა. შტატიც შვიდ ერთეულამდე გადიდდა. 1841 წელს სწავლობდა 67 მოსწავლე, ასწავლიდა 5 მასწავლებელი და 1 ინსპექტორი. 1853 წლისათვის მოსწავლეთა რიცხვი 55-მდე შემცირდა.

გორის სასულიერო სასწავლებელი ერთ-ერთ საუკეთესოდ ით-ვლებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. იგი საუკეთესო სასწავლებელთა შორისაა დასახელე-ბული 1863 წელს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, ოლოვ-სკის ანგარიშში, რომელშიც აღნიშნულია გასული, 1862 წლის შედეგები[2].

---

[1] სასულიერო სასწავლებლის მეორე სართული დაინგრა 1920 წლის მიწისძვრის დროს. იდი ხნის განმავლობაში იგი ერთსართულიანი იყო და 1972 წლამდე მასში განთავსებული იყო სასოფლო-სამეურნეო ტე-ქნიკუმი, შემდეგ პიონერთა სასახლე და სპორტული სკოლა. დღეისათვის ის კვლავ ორსართულიანია და განთავსებულია ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზია.

*2 Документы, т. 2, с. 831.*

*გორის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგებსა და მოსწავლეებზე, მათს საქმიანობასა და სასწავლო პროცესზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა სასწავლო დაწესებულებების ინსპექტორმა ნევეროვმა, რომელმაც 1865 წელს შეისწავლა ქუთაისის, გორის და ახალციხის სასწავლებლები და ამის თაობაზე სპეციალური მოხსენება წარუდგინა მეფისნაცვალს: „ჩემს მიერ დათვალიერებული გორის და ახალციხის სამაზრო სასწავლებლებიდან განსაკუთრებული უპირატესობა უნდა მივანიჭო პირველს, რომელიც სამართლიანად შეიძლება დავასახელოთ, როგორც ყოველმხრივ საუკეთესო. სასწავლებლების დირექტორი, რომელმაც ჩემამდე ორი თვით ადრე დაათვალიერა. იგი ამ დაწესებულების სამაგალითო მდგომარეობას უკავშირებს ყოფილი ზედამხედველის, ამჟამად თბილისის გიმნაზიის უფროსი მასწავლებლის ხანჯიევის მცდელობას და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იშვიათი ყურადღებით ადევნებდა თვალს მასწავლებლების მუშაობას, ხელმძღვანელობდა უახლესი მეთოდებით და მოასწრო მათი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიეცა ის მიმართულება, რომლის შედეგები აისახა მოსწავლეთა გონებრივ და მორალურ განვითარებაში და რომელსაც ხანჯიევის შემდეგ ამ სასწავლებელში მოსული ახალი მასწავლებლებიც ითვისებენ.*

*ამჟამინდელი ზედამხედველი პოლიაკოვი გულმოდგინედ აგრძელებს მისი წინამორბედის საქმეს. მან თავის თავზე აიღო უფასოდ ასწავლოს მათემატიკა, რითაც სასწავლებელს საშუალება მისცა, რომელსაც შტატით ორი მასწავლებელი ეკუთვნის, შემოიღოს სრული წლიური კურსი სამ კლასად გაყოფით. გორის სასწავლებლის მასწავლებელთა შემადგენლობა საუკეთესოა. მოსწავლეთა წარმატებებიც საუკეთესოა თითქმის ყველა საგანში, განსაკუთრებით რუსულ ენაში. სასწავლებელთა დირექტორი შენიშნავს, რომ ვერც ერთ სასწავლებელში შევხვდებით, რომ ყველა კლასის მოსწავლენი ისე კარგად ლაპარაკობდნენ და წერდნენ რუსულად, როგორც გორის სასწავლებელში და, მართლაც, მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემ თავს ამ მხარის სხვა სასწავლებლებიც რომ მსგავს შედეგებს აღწევდნენ. ამ საგნის მასწავლებელმა ხითაროვმა, სომეხმა, თბილისის გიმნაზიის აღზრდილმა, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა შესულიყო უნივერსიტეტში, შეგნებულად მიუძღვნა თავი პედაგოგიურ სარბიელს და თავის მოვალეობას სამაგალითო კეთილსინდისიერებით და შესანიშნავი წარმატებით ასრულებს. ის ბევრს კითხულობს, თვალს ადევნებს*

*მეცნიერების მიღწევებს და გამოიმუშავებს საკუთარ მეთოდს, რომლითაც მიზანს აღწევს. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ სასარგებლო სიახლეს, რომელიც ზედამხედველმა პოლიაკოვმა შემოიღო ხითაროვის წინადადებით, რუსული ენის სწავლისადმი სურვილის გაღვიძების მიზნით, ეს არის საბავშვო ლიტერატურული კითხვა.*

*კვირაში ერთხელ, ყველა კლასის მოსწავლე სადილობის შემდეგ იკრიბება სასწავლებელში. ერთ-ერთი მათგანი წასაკითხავად ამზადებს რომელიმე პიესას, სხვები კი თავიანთ თხზულებებს. საუბრებს ესწრებიან ზედამხედველი და ყველა მასწავლებელი. ზოგჯერ მოდიან უცხო სტუმრები, ასე რომ კითხვა საჯაროდ ხდება. მასწავლებლის მიერ შერჩეული საუკეთესო თხზულების მიმართ მოსწავლეები, ხითაროვის დახმარებით, შენიშვნებს გამოთქვამენ... სამწუხაროდ, გორის სასწავლებლის ბიბლიოთეკა ღარიბია არა მხოლოდ მოსწავლეთათვის, არამედ მასწავლებელთათვისაც, მაშინ, როცა კარგი ბიბლიოთეკის არსებობა სწორედ აქ იყო სასურველი. სასწავლებელში რაც თავისუფალი ფული იყო – ას მანეთამდე – ნება მივეცი გამოიყენონ წიგნების გამოსაწერად, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი ყველაზე აუცილებელი წიგნების შესაძენად. ჩემს განკარგულებაში არავითარი თანხა არ არის, ამიტომ ვბედავ უმოკრძალესად ვიშუამდგომლო თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობისადმი, ხომ არ ინებებდით გორის მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასიხარულო წარმატებებისადმი ყურადღების გამოჩენისათვის, თქვენი უავგუსტოესი სახელით დაენიშნათ მცირე თანხა – 300 მანეთამდე – დეპარტამენტში ბიბლიოთეკისათვის და ნება მომეცით ამის შესახებ გამოვაცხადო „კავკასიის უწყებებში...“*[1]

*ამ შესანიშნავი სასწავლებლის შესახებ მაქვს ბედნიერება ჩემს დასკვნაში მოგახსენოთ, რომ ზედამხედველობის გულმოდგინებისა და საქმიანობის წყალობით, ყველა მასწავლებელი შეადგენს ერთ მეგობრულ ოჯახს, აღფრთოვანებულნი სურვილით, შესაძლებლობისდა გვარად, ხელი შეუწყონ სასწავლებლის წარმატებებს და რომ მართლმადიდებლური აღმსარებლობის ღვთის სჯულის სწავლებაც კი, რომელიც ამიერკავკასიის ყველა უმაღლესი თუ დაბალი სასწავლო დაწესებულებების სუსტი მხარეა, აქ*

---

[1] სასულიერო სასწავლებლის ბიბლიოთეკა დაარსდა 1862 წელს. ამგვარად, სამაზრო ქალაქებიდან ბიბლიოთეკა მხოლოდ გორში იყო. *Тамже, с. 834*

*წარმატებით მიმდინარეობს. მასწავლებელი მღვდელი ხახანოვი, გარდა დადგენილი გაკვეთილებისა, კვირაში ერთხელ ჰკრებავს მოსწავლეებს და მათთან ერთად კითხულობს სახარებას. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი კუზანოვი... რომელიც ყოფილი ზედამხედველის ხანჯიევის მეთოდის მიხედვით ბავშვების რუსული ლაპარაკის ასათვისებლად კვირაში რამდენიმე გაკვეთილს მოსწავლეებთან საუბარს უძღვნის... ასეთი საუბრების გამოცოცხლების მიზნით ზედამხედველმა გამოიწერა რამდენიმე სურათი ბუნებრივი ისტორიისა, რომლებიც არის საუბრის მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლებლის სახსრებმა საშუალება არ მისცა უკეთესი სურათები გამოეწერათ, ამიტომ, ეს დამხმარე სახელმძღვანელო საკმარისი არ არის. იმავე დროს, მასწავლებელ კუზანოვის სასახელოდ უნდა შევნიშნო, რომ დამწყებებისათვის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ზოლოტოვის ცხრილის გარდა, იყენებს მოძრავ ანბანს, რომელიც თავის ხარჯზე გამოიწერა და ცდილობს დაწყებითი სწავლებისათვის გამოიყენოს ბგერითი მეთოდი. კავკასიის სასწავლებლებში მოძრავი ანბანის გამოყენებას ამ დროისათვის მხოლოდ წმ. ნინოს დაწესებულებაში შევხვდი, ამიტომ თუნდაც მხოლოდ ეს გარემოება მოწმობს კუზანოვის თავისი საქმისადმი სიყვარულს და მცდელობას უკეთესად წარმართოს იგი.*

*სასწავლებლის მატერიალური მხარე სრულიად დამაკმაყოფილებელია. გამონაკლისს წარმოადგენს, როგორც უკვე მოვიხსენიე, ბიბლიოთეკა, რომელიც თითქმის არ არსებობს.*

*სასწავლებლის შენობა დაქირავებულია, მაგრამ განგებ მისთვისაა აშენებული. ამიტომ შენობა მოხერხებულია და ზედამხედველი უზადო წესრიგში ინახავს. ავეჯის ნაკლებლობა ცოტა ხნის უკან შეივსო საპატიო ზედამხედველის თავად ერისთოვის შემწეობით. იგი იმავე დროს მაზრის მეთაურიცაა, რომელმაც სასწავლებელს შესწირა საჭირო მაგიდები, სკამები და მერხები. თავადი ერისთოვი გულისხმიერებას იჩენს და მფარველობს მასწავლებლებს და ამ მხრივ სრულიად იმსახურებს მადლიერებას სასწავლებელთა ხელმძღვანელობისაგან. გორის სასწავლებელში 110 მოსწავლეა, რომელთაგან რუსია მხოლოდ 16"[1].*

მოყვანილი ვრცელი ამონაწერი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ გორის სასულიერო სასწავლებლის ფინანსურ მდგომარეობასა და სწავლა-აღზრდის მსვლელობაზე, არა-

---

[1] *სეა, ფ. 416, ანაწ. 3, საქმე 442, ფურც. 3-6.*

მედ, საერთოდ საქართველოს დიდი და მცირე სასწავლებლების შესახებ. ჩანს, რომ სასწავლო დაწესებულებებში არც ისე დალხინებული მდგომარეობა იყო, როგორც ინსპექტორი ცდილობს ხელისუფლებას დაუხატოს. ნათლად გამოსჭვივის ფინანსური გაჭირვება, სასწავლო საშუალებების ნაკლებობა, სწავლების უაღრესად პრიმიტიული მეთოდები და სხვა. ნათლად ჩანს, აგრეთვე, ცარიზმის მოხელეთა უმთავრესი ინტერესი: სასწავლო დაწესებულებებმა აღზარდონ მეფის ხელისუფლებისადმი ერთგული ადამიანები. მათ ერთგულების უმთავრეს გამოხატულებად ქართველი და, საერთოდ, არარუსი ახალგაზრდობის მიერ, რუსული ენის ათვისება მიაჩნდათ.

1867 წელს რუსეთის იმპერიაში შეიცვალა სასულიერო სასწავლებლების სტრუქტურა. ახალი დებულების საფუძველზე გორის სასულიერო სასწავლებელში დაარსდა გამგეობა, რომელშიც შედიოდნენ: ზედამხედველი, ინსპექტორი, სამღვდელოების ორი და მასწავლებელთა ერთი წარმომადგენელი, ე. ი. გამგეობა შედგებოდა ხუთი წევრისაგან, ხელმძღვანელი იყო ზედამხედველი.

გორის სასულიერო სასწავლებელი კიდევ უფრო გაფართოვდა 1872 წელს. გაიხსნა ორი მოსამზადებელი კლასი[1]. მაგრამ გაუგებარი რჩება ორ მოსამზადებელ კლასში ადრე არსებული მოსამზადებელი კლასიც იგულისხმებოდა თუ არა. თუ იგულისხმებოდა, მაშინ გამოდის, რომ სასწავლებელთან სამი მოსამზადებელი კლასი არსებულა.

არ ვიცით, რა შედეგი გამოიღო ინსპექტორ ნევეროვის შუამდგომლობამ გორის სასულიერო სასწავლებლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გასამდიდრებლად ფინანსური დახმარების შესახებ, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, ბიბლიოთეკა შეივსო საინტერესო სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, რადგანაც XIX ს. 80-იან წლებში მისი დაწვა საგანგებოდ აღინიშნა.

1879 წელს გორის სასულიერო სასწავლებელში სიმონ ნიკოლოზის ძე კასრაძემ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომელშიც მონაწილეობდნენ კოტე კარგარეთელი, ია კარგარეთელი, ხარიტონ კასრაძე, ილია და ნიკოლოზ ხახუტაშვილები, ბაგრატ ზედგინიძე, ისაია მთიულიშვილი, ვანო მძინარაშვილი, გიორგი ბიბილური და სხვები. გუნდმა იმდენად კარგად იმუშავა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ უკვე შეეძლო კონცერტების გამართვა გორსა და გორის მაზრაში, როდესაც ს. კასრაძემ ერევანში სამუშაოდ

სიმონ გოგლიჩაძე

გადავიდა, სასწავლებლის სიმღერაგალობის გუნდს სათავეში ჩაუდგა ს. გოგლიჩიძე. ამ გუნდში მღეროდა იოსებ ჯუღაშვილი[1].

1889 წელს სასულიერო სასწავლებელმა ბინა დაიდო მეფის ქუჩაზე ახლად აგებულ ორსართულიან შენობაშირომლის რესტავრაციის შემდეგ მასში ფუნქციონირებს ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზია. იმ დროისათვის სასწავლებლის გამგეობაში იყვნენ: საღვთო სჯულის მასწავლებელი დავით ივანეს ძე დათოშვილი (თავმჯდომარე), გიორგი საძაგლიშვილი – წმინდანთა ისტორიის მასწავლებელი, პავლე გიორგის ძე ბურჯანაძე – მათემატიკის მასწავლებელი, ალექსანდრე დანიელის ძე იტალინსკი – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და სხვ.

1889 წელს გორის სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოს პალადის, რათა მასწავლებლობიდან გაეთავისუფლებინა უზნეო პედაგოგი ზაქარია დავიდოვი. მაგრამ ეგზარქოსმა კი არ გაათავისუფლა, არამედ დააწინაურა, სამაგიეროდ მოხსნა ზედამხედველი დათოშვილი და ინსპექტორი გიორგი საძაგლიშვილი. დათოშვილი ქუთაისში გადაიყვანა, საძაგლიშვილი კი-თბილისში. გორის სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა ვინმე ბელიაევი, ლოთი და ქართველთა მოძულე. 1890 წელს ბელიაევსა და ს. მგალობლიშვილს შორის მოხდა შეჯახება ეროვნულ საკითხზე. სოფრომმა ვერ აიტანა ქვეყნის, ერის შეურაცხყოფა და ბელიაევი საჯაროდ შეარცხვინა. ამის შემდეგ დაიწყო მათ შორის წინააღმდეგობა და სოფრომი იძულებული გახდა გორი დაეტოვებინა. იგი დაინიშნა ფოთში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის კანცელარიის მდივნად.

გორის სასულიერო სასწავლებელში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ი. გოგებაშვილი, ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, კ. მამაცაშვილი, ნ. ხიზანიშვილი და სხვ.

---

[1] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 139.*

ს. მგალობლიშვილის ინიციატივით დაარსდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელთან თანამშრომლობითაც გაიწაფნენ შემდეგში ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: კობა ცინცაძე (ია ეკალაძე), შიო ჩიტაძე, ნილა კასრაძე, დათიკო დავითაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), გოლა ჩიტაძე, სანდრო, ნიკო და ლადო კეცხოველები, სოსო ჯუღაშვილი, იოსებ ლაღიაშვილი (სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელი), მიშა დავითაშვილი, კორნილი კასრაძე[1].

1905 წლის რევოლუციის პერიოდში გორის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ საქმიანობაში. მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებმა სასწავლებლის ადმინისტრაციას წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნები: 1. ინსპექტორი, მდვდელი პიროსი უხეშობისათვის გაგდებულ იქნეს სასწავლებლიდან; 2. აიკრძალოს მოსწავლეთა დევნა მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვის; 3. საღამოს ხუთი საათის შემდეგაც მოსწავლეებს უფლება მიეცეს თავისუფლად ისეირნონ; 4. გადიდდეს ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა ბერძნული ენის გაკვეთილების ხარჯზე; 5. ნება დაერთოთ მოსწავლეებს ისარგებლონ იმ წიგნებით, რომელიც ადმინისტრაციის მიერ აკრძალულია და სხვ.[2]

გორის სასწავლებლების მაშინდელი „ზედამხედველ-მზრუნველი“ მიროპიევი ქალაქში უწესრიგობის მთავარ დამნაშავედ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს მიიჩნევდა.

გორის მაზრის მოსახლეობამ, რევოლუციის ზეგავლენით, სასულიერო სასწავლებლის გაუქმება მოითხოვა. მოთხოვნას მხარი დაუჭირა სასულიერო წოდების დაბალმა ფენამაც. ზემდგომი ინსტანციების აზრი სრულიად საწინააღმდეგო იყო და სასწავლებელმა იარსება 1917 წლამდე. ვიდრე დროებითმა მთავრობამ დადგენილება არ მიიღო ყველა სასწავლებლის განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ.

1829 წელს ამიერკავკასიის სასწავლებლებისათვის გამოცემული დებულებით ქ. გორში დაარსდა **სამაზრო ანუ სახალხო სასწავლებელი**, რომელიც გაიხსნა 1830 წლის 14 სექტემბერს. 1835 წლამდე იგი ორკლასიანი იყო, შემდეგ კი სამკლასიანი გახდა. გაიხსნა აგრეთვე ერთწლიანი მოსამზადებელი კლასი.

სასწავლებელი მოთავსებული იყო ერთსართულიან ქვის შენობაში, რომელიც შედგებოდა მთავარი კორპუსის და ორი ფლიგელისაგან. მთავარ კორპუსში ფუნქციონირებდა პირველი ორი

---

*[1] ხიზანიშვილი ს., მცირე მოგონება // „გამარჯვება“, 1973, №63.*

*[2] მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 58, 226-227.*

კლასი თავისი განყოფილებებით და მასწავლებელთა სამორიგეოთი, ერთ-ერთ ფლიგელში კი – მესამე კლასი, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო-დამხმარე დაწესებულებანი. შენობა მოხერხებული იყო იმით, რომ ჰქონდა დიდი ეზო და კარგი სადგომი პირველი კლასისათვის. შენობის ნაკლად მიაჩნდათ მისი სიძველე, იატაკისა და ჭერის უვარგისობა, რომლებიც რემონტს მოითხოვდა. ნაკლად მიიჩნევდნენ აგრეთვე დიდი კორიდორის უქონლობასაც[1].

სამაზრო სასწავლებელი სახელმწიფოს ხარჯზე არსებობდა. მას ხაზინა წლიურად 3340 მანეთს აძლევდა. ამ სასწავლებელში ძირითადად თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ. 1830 წელს ჩარიცხულ მოსწავლეთაგან (სულ 98) 15 იყო თავადური წარმოშობისა, 37-აზნაური, 11-ოფიცერთა შვილები, 7 სასულიერო პირთა, 24 მოქალაქეთა, 3 სახაზინო გლეხთა და 1 საეკლესიო ყმისა[2]. 1834 წელს 71 მოსწავლიდან 66 თავადაზნაურთა შვილი იყო, ხოლო 5 ვაჭრისა[3].

ნესტეროვსკის თქმით, სახალხო სასწავლებელში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსული ენის გარამატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას და სტერეომეტრიას, გეოგრაფიას, მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსს. ქართულ და სომხურ ენებს, სუფთა წერას, ხაზვას და ხატვას. რუსული ენის სამი მასწავლებელი იყო, მათ შორის ერთი შტატიანი ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა. საღვთო სჯულის ორი მასწავლებელი მართლმადიდებლურ და სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობას ასწავლიდა.

სასწავლებელში სხვადასხვა წოდების 103 აღსაზრდელი სწავლობდა.

1880 წლის 1 ივლისიდან სამაზრო სასწავლებელი **საქალაქო სასწავლებლად** გადაკეთდა. 1895 წლისათვის შედგა მე-13-ე გამოშვება. ამ დროისათვის საქალაქო სასწავლებელი დამთავრებული ჰქონდა 173 კაცს. კურსდამთავრებულთაგან ზოგი ალექსანდროვკის სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა, ზოგი გორის სამასწავლებლო სემინარიაში, ზოგი სამხედრო, ზოგი კი-სამოქალაქო სამსახურში.

სასწავლებელს ჰქონდა ბიბლიოთეკა 3535 მან. საერთო ღირებულების 1013 დასახელების ტომით და ფიზიკის კაბინეტი 552 მან. შეფასებული 119 ხელსაწყოთი.

---

[1] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 141.*

[2] *გსიემ, №533, ფ. 85.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. VIII, Тиф., 1885, с. 97; ხუნდაძე ტ., საერო განათლება საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში // განათლების ისტორია საქართველოში, თბ., 1937, გვ. 98.*

საქალაქო სასწავლებლის შესანახად სახელმწიფო ხაზინა გაიღებდა 5040 მან. და 40 კაპ. მოსწავლეები იხდიდნენ წელიწადში 5 მან.[1] შემდეგში გადასახადი 12 მანეთამდე გაიზარდა[2].

1894-95 წლებში შეიქმნა სასულე ორკესტრი 800 მანეთის ღირებულების 30 ინსტრუმენტით. სასწავლებლის ინსპექტორს ამ თაოსნობაში მხარში ედგა გორის პოლკის მეთაური თავადი ერისთავი, მე-3 მსროლელთა რაზმის ყოფილი მეთაური ა.ვ. შკაბიჩი და გორის მთელი საზოგადოება.



დიმიტრი ბაქრაძე

სასწავლებელს ჰყავდა მოსწავლეთა საეკლესიო გუნდი, რომელიც შემდეგ სიმღერის გუნდად გადაკეთდა[3].

საქალაქო სასწავლებელი პირველდაწყებით განათლებას იძლეოდა. კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა რეალურ სასწავლებელსა და გიმნაზიაში.

გადასახადი არ იყო იმდენად დიდი, რომ საშუალო შეძლების ოჯახებს მისი გადახდა გასჭირვებოდა. ამიტომ საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა რაოდენობა იზრდებოდა. ეს სასწავლებელი სახელის გამოცვლამდე და მის შემდეგაც, ე. ი. 1830-1901 წლებში 6468 მოსწავლემ დაამთავრა.

ამ სასწავლებლის უფროს კლასებში 7 წლის განმავლობაში (1851-1857 წ.წ.) ასწავლიდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე. იმავ დროს დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის წყაროებს სწავლობდა და გაზ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის რამდენიმე გამოკვლევა, რომლებმაც მ. ბროსეს ყურადღება მიიპყრეს[4].

საფიქრებელია, რომ საქალაქო სასწავლებელს სხვა სასწავლებლებთან შედარებით მატერიალურად უჭირდა. მაგრამ მაშინდელი საზოგადოების ქველმოქმედება არსებობას უადვილებდა. სწორედ ასეთი ქველმოქმედების შესახებ გვაცნობებდა გაზეთი „ივე-

---

[1] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 141-142.*

[2] *Бухникашвили Г., Гори, с. 82, 87.*

[3] *გსიემ, №535, ფ. 85.*

[4] *„Кавказ“, 1895, №155; დუმბაძე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 16.*

*რია“: „ამ ორ-სამ თვეში სამჯერ იქნა გამართული კულა გლდანელის მონაწილეობით ჭიდაობა გორის სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ. პირველი და მეორე ჭიდაობა იყო 21 და 22 აპრილს, ხოლო მესამე 3 ივნისს. შემოვიდა სულ 88 მან. და 20 კაპ. პირველი ორი ჭიდაობისაგან და 265 მან. და 15 კაპ. მესამისაგან“*[1].

გორის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. 21 თებერვალს სერიოზული მღელვარება მოხდარა.

14 მარტს მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს დემონტრაციასა და მიტინგებში. გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი მიროპიევი, რომელიც გორის ყველა სასწავლებლის ხელმძღვანელიც იყო, წერდა: *„მივიღე რა სხვადასხვა მხრიდან ცნობები, რომ 14 მარტს მოხდება დიდი არეულობა გორის საქალაქო სასწავლებელში, მე გუშინ სადამოს გამოვუძახე არეულობის ორ მეთაურთაგანს და ვცდილობდი მათზე მომეხდინა ზეგავლენა. იმათ მე მომცეს სიტყვა, რომ არავითარ უწესობას არ მოახდენდნენ. დღეს მე, სემინარიის კლასის დამრიგებლის გარაყანიძის თანხლებით, მეცადინეობის დაწყებამდე მივედი საქალაქო სასწავლებელში, თავი მოვუყარე ყველა მოსწავლეს, რომლებიც ზოგიერთ კლასში სანახევროდაც არ მოსულიყვნენ და ვცდილობდი, სხვებთან ერთად მათ დამშვიდებას... საქალაქო სასწავლებლის ის მოსწავლეები, რომლებიც მეცადინეობაზე არ გამოცხადდნენ, შეუერთდნენ ბრბოს“*[2].

ოქტომბერში მოსწავლეებმა სასწავლებლის ადმინისტრაციას წარუდგინეს მოთხოვნები: 1. ხატვის გაკვეთილების შემცირება; 2. მშობლიური ენის სწავლების გათანაბრება სხვა სავალდებულო საგნებთან; 3. სიმღერის, მუსიკისა და ფიზკულტურის სწავლება მოსწავლეთა სურვილის მიხედვით; 4. საღვთო სჯულის გაკვეთილების შემცირება; 5. პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა თავისუფლება, მოსწავლეთა კრებების, წრეებისა და მეცადინეობის თავისუფლება; 7. მოსწავლეთა კერძო ცხოვრებაში მასწავლე-

---

[1] სწავლამოწყურებული ახალგაზრდებისადმი დახმარება, როგორც მოღწეული ცნობებით შეიძლება ვიმსჯელოთ, გორში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1871 წელს გაზ. „დროება“ წერდა, რომ გორელ სცენისმოყვარეებს განზრახული აქვთ წარმოდგენებით მიღებული შემოსავლით ერთ-ერთი ყმაწვილი რუსეთში სასწავლებლად გააგზავნონო. *„დროება“, 1871, №22.*

[2] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ. 1955, გვ. 144*

ბელთა ჩაურევლობა; 8. მოსწავლის ან მასწავლებლის დათხოვნის შემთხვევაში მოსწავლეთა თანხმობა; 9. ღარიბ მოსწავლეთა უ-ფასო სწავლება; 10. თავაზიანი მოპყრობა მოსწავლეებისადმი; 11. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯის აკრძალვა[1].

მიროპიევის მითითებით, გორის საქალაქო სასწავლებლიდან გაირიცხნენ ბაგრატ ელიოზიშვილი (მეორე კლასის პირველი განყოფილება), ლეონტი ქურდოვანიძე, გიორგი მაჭავარიანი, თედო გაფრინდაშვილი, ლავრენტი ინაფქოშვილი (მეორე კლასის მეორე განყოფილება), ნესტორ მინდელი, ნიკოლოზ ჯავრიშვილი და მიხეილ ტატიშვილი (მესამე კლასი).

ზემოთ ითქვა, რომ გორის მაზრაში, ისევე, როგორც სხვა მა-ზრებში, ქალთა სასწავლო დაწესებულება არ არსებობდა, მაგრამ მისი ნაკლებობა ყოველთვის იგრძნობოდა. ამიტომ, ჯერ კიდევ 1857 წელს, მთავრობამ განიზრახა ზოგიერთ ქალაქში ქალთა სკო-ლები გაეხსნა და საჭირო აგიტაციაც დაიწყო, რადგან მხოლოდ ქალაქის სახსრებით ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ მოხერხდებოდა თუ ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას თვით მოქალაქეებიც არ აღმოუჩენდნენ.

მთავრობის მოწოდებას გორის საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა და ყოველგვარი დახმარებისათვის მზადყოფნა გამოაცხა-და, სურვილიც გამოითქვა, რომ გორის ქალთა სასწავლებელი თბილისის წმ. ნინოს სასწავლებლის ტიპისა ყოფილიყო. გამოი-თქვა აგრეთვე სურვილი სასწავლებელთან პანსიონიც დაეა-რსებინათ.

სასწავლებელი სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებდა: თითოეული მოსწავლე სწავლისათვის წლიურად 5 მანეთს გადაიხდიდა, ხოლო პანსიონატისათვის კი 60 მანეთს. სასწავლებლის წლიური შემო-სავალი 5 ათას მანეთამდე იქნებოდა, რაც თავდაპირველად მინი-მალურად დაფარავდა აუცილებელ ხარჯებს[2].

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობაც და გორელებიც თითქოს მზად იყვნენ ქალთა სასწავლებლის გახსნისათვის, იმჯერად ეს ვერ მოხერხდა და მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1877 წელს გორში გაიხსნა **ქალთა სასწავლებელი**, რომელიც ორკლასიანი იყო და მოთავსებულ იქნა თავად ერისთავის სახლში, როცა ეს შენობა უზარმაზარმა ხანძარმა შთანთქა, უბინაოდ დარჩენილმა სკოლამ არსებობა შეწყვიტა.

---

*[1] გვირიტიშვილი დ.,გორის ისტორია, გვ. 143.*

*[2] საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 107, საქმე 82; გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 144.*

ქალთა სასწავლებლით დაინტერესებულ გორელთა შორის გაჩნდა აზრი, რომ გორში დაარსებულიყო **ქალთა პროგიმნაზია**. წამოწყების ინიციატორი იყო გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი დ. სემიონოვი. ქალაქის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია მონაწილეობდა სასწავლებლის დაფუძნებაში. ქალაქის სათათბირომ ყოველწლიურად გამოყო ათასი მანეთი, „კრუჟოკს“ განუზრახავს ყოველწლიურად 3 ათასი მანეთი გაეღო, საქველმოქმედო საზოგადოებას – 300 მანეთი, სწავლების გადასახადიც შეადგენდა 2 ათას მანეთს[1].

პროგიმნაზიის საზეიმო გახსნა მოხდა 1882 წლის 30 აგვისტოს, ნაშუადღევს, დაქირავებულ შენობაში. მოსწავლეებისა და მათი მშობლების გარდა, ზეიმზე მოვიდნენ სხვადასხვა სოციალური ფენების და ორგანიზაციების წარმომადგენლები. დ. სემიონოვმა დამსწრეთ გააცნო პროგიმნაზიის დანიშნულება. სასწავლებლის უფროსად დაინიშნა მ. მაკაევა[2]. სასწავლებლის მფარველი იყო დიდი კნეინა ანასტასია მიხეილის ასული ამილახვარი. სასწავლებელმა მისი სახელი (ანასტასია) მიიღო.

53 ანასტას სახელობის გიმნაზია, შემდეგ მესამე საჯარო სკოლა, შემდეგში მმაჩის ბიურო, ახლა პრონაციის სამსახური

[1] *გსიემ, №535, ფ. 87.*

[2] *„Кавказ “, 1881, №198.*

პროგიმნაზიის პირველ კლასში შევიდა 136 მოსწავლე. მათ შორის იყვნენ: 86 ქართველი, 34 სომეხი, 1 გერმანელი, 11 რუსი, 2 ფრანგი, 1 აფხაზი, 1 ოსი. წოდებათა მიხედვით მოსწავლეები განაწილდნენ შემდეგნაირად: თავადაზნაური – 46, სასულიერო – 20, მოქალაქე – 70[1]. პროგიმნაზიაში 14 მასწავლებელი იყო, აქედან 5 ქალი და 9 მამაკაცი[2].

მიაჩნდათ რა მუსიკა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად, პროგიმნაზიამ შეიძინა ფორტეპიანო. თუ აღსაზრდელები მუსიკის სწავლას მოისურვებდნენ, მაშინ კერძო მასწავლებლები გარკვეული გადასახადით ამეცადინებდნენ[3].

ქართველი ინტელიგენტი-პატრიოტები გორში ქალთა სასწავლებლის გახსნას გაორმაგებული გრძნობით შეხვდნენ. მათ ასეთი სასწავლებლის არსებობის აუცილებლობაში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ იგი ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული უნდა ყოფილიყო და მომავალი თაობების აღმზრდელები მხოლოდ ქართული სულისკვეთებით უნდა აღზრდილიყვნენ. რომ შეიძლებოდა ასე არ მომხდარიყო, ამაში დაეჭვების სერიოზული საფუძველი არსებობდა. მათ ძალიან კარგად იცოდნენ რუსეთის იმპერიის ეროვნულ პროვინციებში როგორი მეთოდებით, პრინციპებით და მიზანდასახულებით ზრდიდნენ ახალგაზრდობას. ასეთი ეჭვი აწუხებდა ილია ჭავჭავაძეს, როდესაც გორის საქალებო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით წერდა: *„გაიმართა გორში ქალების სასწავლებელი... ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენი უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრობის და უსწავლელობის წამალი სხვათაშორის სკოლაა...*

*სკოლა, სასწავლებელი ორპირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლია და დიდი სიკეთისაც. ეგ იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. ჩვენ არ ვიცით საქალებო სასწავლებელი გორისა რაზედ არის დაფუძნებული. თუ ნეტარხსენებულ თეორიაზეა დამყარებული, რომელიც ეგეთის გაბედვით ბატონმა ზახაროვმა ავარჯიშა ჩვენში ერთ დროს, ესე იგი, მასზედ, რომ ქართველს ქართული არ უნდაო და ყოველი ფერი იმ უმსგავსო აზრს შეუფერა, მაშინ გორის საქალებო სასწავლებელი, როგორც სხვა მისი მსგავსი სასწავლებელიც, სულ რომ არ ყოფილიყო, ის გვერჩივნა“*[4].

---

[1] *გსიემ, №535, ფ. 89.*

[2] *იქვე.*

[3] *იქვე, ფ. 90.*

[4] *„ივერია“, 1881, №9, გვ. 143-144.*

ილია ჭავჭავაძის მიხედვით, *„საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა მოუმზადოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი და, ქართველი დედაკაცი“*.

როგორც ჩანს, პროგიმნაზიაში სწავლის ქირა თანდათან იზრდებოდა. 1909 წლისათვის მოსამზადებელ კლასში წლიურად იხდიდნენ 30 მანეთს, პირველ კლასში – 40 მანეთს, ხოლო ზედა კლასებში – 50 მანეთს. ვისაც ფრანგული ენის შესწავლა უნდოდა, დამატებით 10 მანეთი უნდა გადაეხადა. ეს გარემოება უკარნახებდა ქართველ შეძლებულ ადამიანებს სასწავლებელს ფინანსურად დახმარებოდნენ. 1901 წელს დიდი მეცანატის კონსტანტინე ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილებმა მშობლების სულის მოსახსენებლად გასცეს უხვი შეწირულობანი. მათ არ დავიწყნიათ ზუბალაშვილების წინაპრების მშობლიური ქალაქი გორი და ანასტიას სახელობის სასწავლებელს და საქალაქო სკოლას ათას-ათასი მანეთი გადასცეს, იმ პირობით, რომ შეწირული ფულის სარგებლით უნდა შედავათი გაეწიათ ამ სასწავლებლების ღარიბი მოსწავლეებისათვის[1].

როგორც აღინიშნა, იმ მოსწავლეს, ვისაც ფრანგული ენის შესწავლა უნდოდა, დამატებით 10 მანეთი უნდა გადაეხადა.

1910 წელს გორის ქალთა პროგიმნაზია გიმნაზიად გადაკეთდა. მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა 1912 წლისათვის იყო შემდეგი: 368 მოსწავლიდან თავადაზნაურთა შვილი იყო 192, მოხელეთა – 32, სასულიერო წოდების – 73, ვაჭრების – 86, ხელოსანთა – 24, ყაზახების (თავისუფალი გლეხები) – 3, გლეხების – 48[2].

ქალთა გიმნაზიის სასწავლო პროგრამა ძირითადად ვაჟთა გიმნაზიის სასწავლო პროგრამას შეესაბამებოდა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალებს მათემატიკას შედარებით სუსტად, დამატებით ხელსაქმეს და ჭრა-კერვასაც ასწავლიდნენ.

როგორც ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ცნობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, გორის ქალთა სასწავლებელმა თავისი დანიშნულება გაამართლა. აქ თავმოყრილი პედაგოგები ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ გოგონათა ესთეტიკურ აღზრდას. ხშირად იმართებოდა ლიტერატურული დილა, სადაც მოსწავლე გოგონები

---

[1] *ფეიქრიშვილი ჯ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2012, გვ. 100.*

[2] *Кавказский календарь, 1913 г., с. 412.*

კითხულობდნენ ცნობილი პოეტების ლექსებს, როგორც გაზეთ „ივერიას“ თავისი კორესპონდენტი 1887 წლის 2 აპრილს გორიდან სწერდა: *„მარტის 25-ს გორის ქალების პროგიმნაზიაში იყო „სალიტერატურო დილა“. წაიკითხეს ქართულად, სომხურად და რუსულად ლექსები, იყო აგრეთვე სიმღერები ამავე ენებზედ. ქართულად ექვსი ლექსი წაიკითხეს. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოსწავლე ქალმა ნინო ბურჯანაძისამ., რომელმაც საუცხოოდ წაიკითხა გრ. ორბელიანის ლექსი „განთიადი“. საგანგებოდ იგალობეს ქართულად ბარათაშვილის „არაგვი“.ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა ვსთქვათ, რომ ხსენებულს „სალიტერატურო დილაზე“ ქართველმა ქალებმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს, როგორც ქართულს ენაზე კითხვა-გალობითა, აგრეთვე რუსულ ზედაცა“.*

1905 წლის 14 მარტს გორში დემონსტარანტების და სამხედრო პატრულის შეტაკების შედეგად მოქალაქეთა დახოცვის და დაჭრის გამო პროგიმნაზიაში მღელვარება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით მიროპიევი წერდა: *„პროგიმნაზიაში მივედი დიდ დასვენების დროს. მე ისინი დავამშვიდე და მეცადინეობა შევწყვიტე სამი დღით, რადგანაც სამი დღის შემდეგ გორში კაზაკები მოვლენ და შემოღებულ იქნება გაძლიერებული დაცვა“.* სინამდვილეში, თვით პროგიმნაზიაში არსებული მოსწავლე გოგონათა სულისკვეთება და განწყობილება არ იძლეოდა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ქალთა სასწავლებელში იყვნენ რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული მოსწავლე გოგონები, რომლებიც მეცადინეობის შეწყვეტას და დემონსტრანტებთან შეერთებას მოითხოვდნენ. ამიტომ იყო, რომ მიროპიევმა მოითხოვა პროგიმნაზიიდან გაერიცხათ მოსწავლე ქალები – კაპანაძე, ჯულაბოვა და აბუევა, როგორც არეულობის ინიციატორნი.

14 მარტს დახოცილთა დასაფლავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროგიმნაზიელებმა. მიროპიევი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს სწერდა: *„რაც შეეხება პოლიტიკურად არასაიმედო მოსწავლეებს, მათი რიცხვი არის 5. მათ ნება მისცეს თავს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ იმ პირთა დემონსტრაციულ დასაფლავებაში, რომლებიც მოკლულ იქნენ შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების დროს ქ. გორში, 14 მარტს. ეს დასაფლავება მოაწყო საიდუმლო რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც მიერეკებოდა ხალხს. განსვენებულთა კუბოები დაფარული იყო წითელი ქსოვილით. ბევრი რევოლუციური სიტყვა ითქვა. მოსწავლე ქალთაგან ზოგს მიჰქონდა გვირგვინები, ზოგსაც მოკლული ბიჭის კუბო. ყველაზე აქტიურ როლს, როგორც ამ დასაფლავებაში, ისე მოს-*

*წავლე მეგობრების წაქეზებაში გასაფიცად, თამაშობენ, რამდენადაც მე ვიცი, მეექვსე კლასის მოსწავლე ქალები ჯულაბოვა და აბუევა“.* შემდეგ მიროპიევი, იმისათვის რათა მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამწვავდეს და *„რათა შენარჩუნებულ იქნეს მთლიანად პროგიმნაზია“,* მოითხოვს ჯულაბოვა და აბუევა სასწავლო წლის ბოლოს გაირიცხონ სასწავლებლიდან, თუ მანამდე სხვა დანაშაულს არ ჩაიდენენ[1].

1919 წელს გორის ქალთა გიმნაზია ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა, ხოლო 1922 წლიდან იგი ვაჟთა პროგიმნაზიას შეუერთდა.

XIX ს. მეორე ნახევარში მთელ კავკასიაში მწვავედ იგრძნობოდა კვალიფიცირებული პედაგოგიური კადრების ნაკლებობა. საზოგადოების და პროგრესული პრესის ზეგავლენით კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭომ 1875 წელს დააყენა საკითხი ამიერკავკასიაში **სამასწავლებლო სემინარიის** გახსნის შესახებ, რაც იმავე წლის 8 იანვარს დადებითად გადაწყდა. დამტკიცდა სემინარიის დებულება და შტატები, დაინიშნა დირექტორიც – ს. დივარი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო სად გაიხსნებოდა სემინარია.

დებულების მიხედვით, სემინარია განათლებას მისცემდა ამიერკავკასიის მკვიდრ ახალგაზრდებს, რომელთაც ადგილობრივ დაწყებით სასწავლებლებში მასწავლებლობის სურვილი ექნებოდათ. სემინარიაში სახელმწიფოს ხარჯზე აღიზრდებოდა 25 მოსწავლე, რომელთა შორის 20 ადგილობრივი იქნებოდა, ხოლო 5 რუსი. აღსაზრდელების სწავლებაში პრაქტიკული ვარჯიშის ჩასატარებლად სემინარიასთან დაარსდებოდა სამი დაწყებითი სასწავლებელი: რუსული, ქართული და სომხური. გარდა სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მოსწავლეებისა სემინარიაში, შესაძლებლობის მიხედვით, დაიშვებოდნენ ერობების, ქალაქის და სოფლის საზოგადოებების, კერძო პირების სტიპენდიანტები, აგრეთვე საკუთარ ხარჯზე მყოფი აღსაზრდელები, სახელმწიფო ხარჯზე სწავლამიღებულნი კურსის დამთავრების შემდეგ ვალდებულნი იყვნენ 6 წელი მასწავლებლად ემსახურათ. სწავლების კურსი განისაზღვრა 3 წლით. სემინარიაში მკვიდრი ახალგაზრდობის შესვლის გაადვილების მიზნით მასთან უნდა დაარსებულიყო მოსამზადებელი კურსი. სასწავლო ოლქის მზრუნველი სემინარიის დირექტორს აირჩევდა უმაღლესი განათლების მქონე პირთაგან, ხოლო დაამტკიცე-

---

[1] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემონარიისა, გვ. 142-145.*

ბდა კავკასიის მეფისნაცვალი. სემინარიის მასწავლებლებს თანამდებობებზე ამტკიცებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი და ა. შ.[1]

დებულებაში ნათქვამი არ იყო, მაგრამ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კატეგორიულად მოითხოვდა სემინარიაში მასწავლებლად დაეშვათ მხოლოდ რუსები, *„რათა მათ აღზარდონ სემინარიის მოსწავლეები რუსეთისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით“*[2]. მაგრამ როგორ შეძლეს ამ იდეის განხორციელება ცარიზმის მოხელეებმა, ამას ქვემოთ ვნახავთ.

სემინარიის პირველ დამტკიცებულ შტატში ითვლებოდა დირექტორი – 1, მეცნიერებათა მასწავლებლები – 3, მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი – 1, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი – 3, სიმღერის მასწავლებელი – 1, საღვთო სჯულის მასწავლებელი – 2, ექიმი – 1. გარდა ამისა გათვალისწინებული იყო ხარჯები 25 მოსწავლის შესანახად, მებაღეობის, გიმნასტიკისა და ხელობათა შესასწავლად, კურსდამთავრებულთა დასასაჩუქრებლად და სხვ. სულ გასავალი შეადგენდა 21 500 მანეთს წელიწადში და იგი უნდა გაეღოთ ამიერკავკასიის ადგილობრივი შემოსავლიდან[3]. სემინარიის გახსნამდე კარგა ხნით ადრე დირექტორად, როგორც ითქვა, დაინიშნა ს. დივარი და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაც მასვე დაევალა.

დიდი დავა გაიმართა სემინარიის ადგილის შერჩევის გამო. განსაკუთრებით აქტიურობდა ორი ქალაქი – გორი და ქუთაისი. საბოლოოდ უპირატესობა მიენიჭა გორს. ასეთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ნევეროვი შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ამავე დროს გორის ქალაქის საზოგადოებამ, აგრეთვე დეპუტაციის მეშვეობით, განმიცხადა თავისი სურვილი ქ. გორში სემინარიის გახსნისა, რისთვისაც მხედველობაში აქვთ ბინა ერთ კერძო სახლში, რომელიც ჩემ მიერ მივლინებულმა დირექტორებმა შესაფერისად ცნეს სემინარიისთვის. გარდა ამისა, თბილისის გუბერნატორმა გადმომიგზავნა გორის ქალაქის საზოგადოების თებერვლით დათარიღებული განაჩენი, რომლითაც საზოგადოება კისრულობს დაგვიქირაოს ბინა 1500 მან. წელიწადში, ხოლო თუ ქირა იმ თანხაზე მეტი იქნება, მას თვით საზოგადოება გადაიხდის.

---

[1] *იქვე, გვ. 6-7.*

[2] *იქვე, გვ. 8.*

[3] *იქვე.*

... ორივე წინადადება ქუთაისისა და გორისა განიხილა ჩემდამი დაქვემდებარებულმა საზრუნველო საბჭომ და ხმების უმრავლესობით მოიწონა სემინარიის გახსნა ქ. გორში იმ პირობების თანახმად, რომლებიც წამოაყენა ქალაქის საზოგადოებამ“[1].

1876 წლის 10 აპრილს ნეველროვი მეფისნაცვლის სამმართველოს აცნობებდა, რომ გორში სემინარიის ბინისათვის დაქირავებულია სახლი შტაბს-კაპიტან ზუბალაშვილისა 10 წლის ვადით და თხოულობდა ნებართვას მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ.

80-იანი წლების დასაწყისში სემინარია მოთავსდა ორ ქვით ნაგებ შენობაში, რომლებსაც საერთო ეზო ჰქონდა, ხოლო თათრული განყოფილების პანსიონი კი ცალკე ქვის შენობაში მოთავსდა. ორივე შენობა ზუბალოვებს ეკუთვნოდათ, რომლებსაც ქირას უხდიდნენ წელიწადში 4 ათას მანეთამდე[2].

სემინარიის განკარგულებაში იყო: ქვის ორსართულიანი სახლი 11 ოთახით, ქვის ორსართულიანი ფლიგელი 4 ოთახით და მშენებარე ერთსართულიანი სახლი 8 ოთახით. აღნიშნულ შენობებში უნდა მოთავსებულიყო სემინარია და მასთან არსებული სამი დაწყებითი სასწავლებლის კლასები.

მეცადინეობა მოსამზადებელი და პირველი კლასით დაიწყო 1876 წლის 12 სექტემბერს.

სემინარიაში სწავლის მოსურნე ახალგაზრდებს გარკვეული ცოდნა მოეთხოვებოდათ და შესასვლელ გამოცდებს აბარებდნენ. ამიტომ იყო, რომ 95 მსურველიდან მხოლოდ 50-მა მიაღწია საწადელს. 27 მოსწავლე მოსამზადებელ კლასში ჩაირიცხა, ხოლო 23 – პირველ კლასში.

ჩარიცხულ მოსწავლეთა ეთნიკური შემადგენლობა იყო: ქართველი – 29, რუსი – 6, პოლონელი – 2, ინგილო – 2, უდი – 1, ჩერქეზი – 1, აფხაზი – 1.

ახლადგახსნილ სემინარიაში ასწავლიდნენ: მათემატიკა-სემინარიის პირველი დირექტორი სპირიდონ დიმიტრის ძე დივარი, ბუნებისმეტყველებას, სუფთა წერას და ხაზვას – ს. კ. სოკოლოვი. მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად დაინიშნა ა. ვ. ილიჩენკო. დროებით იგი პირველ კლასში რუსულ ენას და გეოგრაფიას ასწავლიდა. სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებას ასწავლიდა სტ. ტერ-სტეფანოვი. სემინარიის ექიმად მუშაობდა პ. ბ. კლიმანტი. სურვილისდა მიუხედავად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სემინარიას

---

[1] *იქვე, გვ. 9-10.*

[2] *გ სიემ, №535, გვ. 84.*

ქართველი მასწავლებლების გარეშე ემუშავა. იძულებულნი გახდნენ საღვთო სჯულის მასწავლებლად მიეწვიათ ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილი, რომელიც იმავე დროს ისტორიასაც ასწავლიდა პირველ კლასში და ფარნაოზ სიმონის ძე ნათიშვილი, ქართული დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. იგი ამავე დროს სემინარიაში სიმღერას და გიმნასტიკას ასწავლიდა[1].

მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა გორის სამასწავლებლო სემინარიის გახსნას. სერგეი მესხი წერდა: *„იმედი გვაქვს, რომ ეს სემინარია გაამრავლებს ჩვენში რიგიანი მასწავლებლების რიცხვის და ამით უანგარიშო სარგებლობას მოუტონს ჩვენი ხალხის განათლებას“*[2]. ილია ალხაზიშვილმა კი შემდეგნაირი შეფასება მისცა: *„კეთილს მოვლენათაგანს გორისათვის სხვათა შორის შეადგენს სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც წელს გაუღიმა ჩვენს საქართველოს და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის იმედი, რომ იქითგან ოთხიოდე წლის შემდეგ უეჭველად გამოვლენ ახალი თაობის განმანათლებელი მასწავლებელნი“*[3].

ის პირველი სიხარული და იმედი, რომლითაც ქართველი საზოგადოება სემნარიის გახსნას შეხვდა, ს. დივარის დირექტორობის დროს მალე განელდა და უკმაყოფილებად გადაიქცა.

მასწავლებელთა არაკომპეტენტურობის, ცუდი კვების და სხვა უარყოფითი მომენტების გარდა, განსაკუთრებით აღშფოთებას ის იწვევდა, რომ სემნარიაში ქართული ენა არ ისწავლებოდა. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი – „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“, რომელშიც აღნიშნავდა: *„გორში არსებობს შარშანდელს აქეთ საოსტატო სემინარია, ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენი სახალხო სასწავლებლებისათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულ ენას პირველი ადგილები ეჭირება სხვათა შორის. მაგრამ ეგ აგრე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუმსუყებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან. ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოგწონთ? შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისთვის, რომ ქართუ-*

---

[1] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემონარიისა, გვ. 11.*

[2] *„დროება“, 1875, №65.*

[3] *იქვე, 1877, №4.*

*ლის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტიროთ?*

*სემინარიასთან არსებობს მოსამზადებელი კლასი, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით, სემინარიასთან უნდა დაარსებულიყო სამი პროსემინარია: ერთში უნდა ისწავლონ ქართველებმა, მეორეში – რუსებმა და მესამეში – სომხებმა. შარშან სექტემბერში დაარსდა მხოლოდ ქართული პროსემინარია. ყოველის ეჭვის გარეთ იყო ყველასთვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველთათვის არის დანიშნული, ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე... ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ – ეს მაინცდამაინც დაუჯერებელია*"[1].

ამავე წერილში ილია ჭავჭავაძემ მკაცრი სტირით დაგმო პროსემინარიის ქართული დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის ფ. ნათიშვილის (ნათიევი) ქართულის სწავლების მეთოდი, რომელსაც „ნათიაური" უწოდა[2].

ილიას მიერ გამოთქმულ კრიტიკას უღიმდამოდ უპასუხა ფ. ნათიშვილმა, რასაც მოჰყვა ილიას და იაკობ გოგებაშვილის საპასუხო წერილები.

ამ პოლემიკის შედეგი ის იყო, რომ ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ მკვეთრად დააყენა გორის სამასწავლებლო სემინარიის მუშაობის გარდაქმნის და ქართული ენის სწავლების შემოღება საკითხი. ყოველივე ამის განხორციელება მოხდა დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვის დირექტორობის დროს.

1878 წლის ზაფხულში სამსახურიდან გათავისუფლებული ს. დივარის ნაცვლად გორის სემინარიის დირექტორად დაინიშნა ყუბანის სემინარიდან გადმოყვანილი დ. სემიონოვი, თავისი დროის პროგრესული მოღვაწე, უდიდესი ადამიანური და პედაგოგიური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება.

დ. სემიონოვმა თავისი მოსაზრებები გორის სამასწავლებლო სემინარიის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ ჩამოაყალიბა. 1878 წელს კავკასიის ოლქში მზრუნველისადმი გაგზავნილ ანგარიშში. სემინარიის მუშაობის დიდ ნაკლად მას პედაგოგების ხშირი ცვლა და მოსწავლეთა შესანახად გამოყოფილი თანხების ნაკლებობა მიაჩნდა. ამავე დროს დ. სემიონოვმა თავისი საინტერესო შეხედულებები ამიერკავკასიაში განათების საკითხის მოწესრიგებასა და

---

[1] *„ივერია", 1877, №10.*

[2] ნათიშვილის შესახებ იხ. კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, *გვ. 17.*

შემდგომ გაუმჯობესებაზე ჩამოაყალიბა საკმაოდ ვრცელ მოხსენებით ბარათში რომელსაც წითელ ზოლად გასდევს განსაკუთრებული ყურადღება მკვიდრი მოსახლეობის სწორი განათლების აუცილებლობას. მისი აზრით, ჯეროვანი ყურადღება უნდა დათმობოდა მოსწავლეთა მიერ მშობლიური ენების შესწავლას. მან მოითხოვა აგრეთვე „გადიდდეს რიცხვი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ქართველ, სომეხ და რუს სახელმწიფო სტიპენდიანტებისა, ხოლო მუსულმანი მასწავლებლების მოსამზადებლად გაიხსნას სემინარიასთან განსაკუთრებული მუსულმანური განყოფილება“[1].

დ. სემიონოვის ზემოაღნიშნული და სხვა წინადადებებიც მიღებულ და მოწონებულ იქნა ზემდგომი ორგანოების მიერ. მისი დამსახურებაცაა, რომ 1881 წელს დაარსდა ორი სემინარია: ქუთაისისა (დაბა ხონში) და ერევნის – ქ. ერევანში. გორის სემინარიაში გაიხსნა ე. წ. თათრული განყოფილება, 1879 წლის სექტემბრიდან სემინარიაში შემოღებულ იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლება. გადიდდა სახელმწიფო სტიპენდიანტების რიცხვი. თითოეული აღსაზრდელის შესანახად ნაცვლად 100 მანეთისა, დაწესდა 130 მანეთი. სემინარიის ბიუჯეტი 21 000 მანეთიდან 52 000 მანეთამდე გადიდდა[2].

დ. სემიონოვის ინიციატივით გატარებულმა ღონისძიებებმა მალე მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, რაზეც მეტყვლებს ქვემოთ მოცემული ცხრილი შედგენილი 1880 წლის ზაფხულისათვის.

ცხრილიდან ჩანს, რომ სემინარიაში მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია იყო დაწყებით სასწავლებლებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსულ დაწყებით სასწავლებელს, სადაც ადგილი ჰქონა მატებას. სიახლე ის იყო, რომ სემინარიაში მოვიდნენ თათარი (აზერბაიჯანელი) მოსწავლეები და გაიხსნა მაჰმადიანთა პანსიონი. ამიერიდან სემინარიას ორი პანსიონი ჰქონდა – ქრისტიანული და მაჰმადიანური. სერიოზული ცვლილება მოხდა მოსწავლეთა ეროვნულ შემადგენლობაში: საგრძნობლად გაიზარდა ქართველთა და აზერბაიჯანელთა რაოდენობა, შედარებით მცირედ – სომხების და კავკასიელი მთიელებისა, მაშინ, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება რუსი მოსწავლეების რიცხვი.

---

[1] *იქვე, გვ. 19.*

2 *იქვე, გვ. 21.*

ამ უკანასკნელთა შემცირება, ალბათ, იმით უნდა ავხსნათ, რომ მათ სასწავლებლად რუსეთში აგზავნიდნენ.

**ცხრილი №4**

| **1878-1879 სასწავლო წლის ბოლოს** | | **1879-1891 სასწ. წ. ბოლოს** | **განსხვა-ვება** |
|---|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა სემინა-რაიასა და დაწყებით სკოლებში | 164 | 211 | 47 |
| სემინარიის ხუთ კლასში | 57 | 110 | 52 |
| **აქედან** | | | |
| გამოსაშვებ კლასში | 7 | 14 | 7 |
| მეორე კლასში | 16 | 21 | 5 |
| პირველ კლასში | 16 | 33 | 17 |
| უფროს მოსამზადებელ კლასში | 19 | 27 | 8 |
| უმცროს მოსამზადებელ კლასში | – | 15 | 15 |
| რუსულ დაწყებით სასწავლებელში | 33 | 35 | 2 |
| ქართულდაწყებით სასწავლებელში | 53 | 49 | -4 |
| სომხურ დაწყებით სასწავლებელში | 20 | 17 | -3 |
| თათრულ დაწყებით სასწავლებელში<br>**აქედან:** | – | – | – |
| რუსი | 35 | 16 | -19 |
| ქართველი | 94 | 123 | 29 |
| სომეხი | 27 | 34 | 7 |
| თათარი | 2 | 28 | 26 |
| მთიელები | 4 | 8 | 4 |
| ბერძენი | 2 | 2 | – |
| **სემინარიასთან არსებულ ორ ორ პანსიონატში ცხოვრობდა:** | | | |
| ქრისტიანულში | 40 | 56 | 16 |
| მაჰმადიანურში | – | 35 | 35[1] |

დ. სემიონოვის დირექტორობის დროს (1878-1884 წ.წ.) სულ ასმა ახალგაზრდამ მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება. პირველი გამოშვება შედგა 1879 წელს, როდესაც კურსი დაასრულა 6 მოსწავლემ. მათ შორის იყო 3 ქართველი (ნესტორ მინდელი, ნიკოლოზ ტატიშვილი, ბართლომე ხუციშვილი), ერთი რუსი (ეგნატე

[1] *იქვე, გვ. 21.*

სუდაკოვი), ერთი სომეხი (ალექსანდრე ტერ-აბრამოვი), და ერთი ჩერქეზი (ალექსანდრე შარალუკოვი)[1].

1879 წლიდან 1901 წლამდე სემინარიამ 373 მასწავლებელი გამოუშვა. აქედან ქართველი – 120, რუსი – 44, სომეხი – 54, აზერბაიჯანელი – 108. ამავე ხნის განმავლობაში სულ უსწავლია 658 მოსწავლეს, რომელთა თითქმის ნახევარმა სწავლა მიატოვა.

სამასწავლებლო სემინარია რომ მართლაც მთელი ამიერკავკასიის ხალხებისათვის ამზადებდა პედაგოგიურ კადრებს, ნათლად ჩანს თუნდაც 1895 წლის კურსდამთავრებულთა სიიდანაც: ქართველი – 2, ბერძენი – 3, რუსი – 2, სომეხი – 4, თათარი – 5[2].

დ. სემიონოვმა სერიოზული მუშაობა გასწია სემინარიის მასწავლებელთა სწორად შერჩევისა და მათი მოსწავლეებთან დაახლოებისათვის, რაშიც პირად მაგალითს აძლევდა. მისი ღრმა განათლების, ორგანიზატორული ნიჭისა და პროგრესულ-ლიბერალური შეხედულებების გამო, გორის სამასწავლებლო სემინარიამ სახელი გაითქვა და საპატიო ადგილი დაიკავა კავკასიის მსგავს სასწავლებლებს შორის.

1884 წელს დ. სემიონოვი სამასწავლებლო სემინარიიდან წავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკისთან დაძაბული ურთიერთობის გამო, რაც წარმოიშვა სემინარიის ქართული ენის მასწავლებლის, ხალხოსან მ. ყიფიანის დაპატიმრების შემდეგ. მაგრამ დ. სემიონოვის მიერ გორის სამასწავლებლო სემინარიაში დანერგილი ტრადიციები შემდგომშიც გრძელდებოდა.

მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სასწავლებლის ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა იმპერიაში და, კერძოდ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. მხედველობაში მაქვს ის, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ ობიექტურად გამოიწვია ქართველი ხალხის კონსოლიდაციის და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება. ამან შეაშფოთა ცარიზმი და მისი აქაური ერთგული წარმომადგენლები.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. 60-იანი წლებიდან ხელს უწყობდა ქართველი ხალხის შემადგენელ ტომთა და კუთხეთა ერთამანეთთან მჭიდროდ დაკავშირებას, მათი კულტურული ერთობის განმტკიცებას, კონსოლიდაციას. ცარიზმი კი უპირისპირდებოდა ამ ბუნებრივ ისტორიულ პროცესს და ხელოვნური საშუალებებით ცდილობდა მის შეჩერებას. თვითმპყ-

---

[1] *„დროება“, 1879, №119.*

[2] *„Кавказ“, 1895, №154.*

რობელობა ამის მიღწევას ვარაუდობდა ქართველი ერის შემადგენელი ტომების ერთმანეთთან დაპირისპირებით, რაც გამოიწვევდა ერის დაშლას, ერის ცალკეული ნაწილების ქართველთა რუსებთან ასიმილაციას. რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების მთავარ პოლიგონად საქართველოში სასწავლო დაწესებულებები გადააქციეს.

ზემოაღნიშნულის რეალიზაციის ერთ-ერთ საინტერესო მცდელობას ადგილი ჰქონდა გორის საოსტატო სემინარიაში, მისი გახსნისთანავე, რამაც დიდი ილიას აღშფოთება გამოიწვია. იგი 1877 წელს წერდა, რომ გორის სემინარიის რუსოფილურ გამგეობას *„დაუმტკიცებია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო“.* რაკი სკოლაში მიღებულ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა (29) ქართველები იყვნენ, დირექციამ, რათა ქართული ენის შემოღება თავიდან აეცილებინა და სასწავლო ენა რუსული ყოფილიყო, დაადგინა: *„სემინარიაში თორმეტი სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები სწავლობენ, მათი ცალ-ცალკე მშობლიურ ენაზე სწავლება შეუძლებელია, ამიტომ ყველას ერთი საერთო სასწავლო და საურთიერთობო ენა – რუსული ჰქონდესო“.* საინტერესოა, როგორ მოითვალეს თორმეტი ეროვნების მოსწავლე. ილია ჭავჭავაძე სემინარიაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო აღშფოთებით და ირონიით აღნიშნავდა: *„ამათ შორის (მოსწავლეებს გულისხმობდა-ე.მ.) რუსები არიან ექვსნი, პოლიაკები (უმეტესწილად კათოლიკე ქართველები, ფშავნი ორნი, აფხაზნი ორნი, უდინი ერთი... და ამგვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი-ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას... რომ ქართველი ქართველი არ არისო, ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ თუ ვიტიროთ?!“*[1].

ქართველი ინტელიგენციის მკაცრი გამოსვლების მიუხედავად, რუსული ოფიციოზი და მისი ქართველი დამქაშები მაინც შეუპოვრად ცდილობდნენ დასახული მიზნის, ქართველი ერის მოსპობის განხორციელებას (შეიძლება გავიხსენოთ 1855 წელს სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვა და მეგრულ-რუსული ნარევით მეგრული დამწერლობის შემოღების ცდა 1889 წელს. ამასვე ცდილობდნენ სვანეთისთვის).

---

[1] *„ივერია“, 1877, №10.*

აი როგორი იყო, ადმინისტრაციის აზრით, გორის სამასწავლებლო სემინარიის მესამე კლასის მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა 1885 წელს:

***ცხრილი №5***

| № | მოსწავლეთა გვარი და სახელი | წლოვანება | ეროვნება |
|---|---|---|---|
| 1 | ავალოვი ივანე | 29 | ქართლელი |
| 2 | ალიბეკოვი ისკანდერი | 20 | თათარი |
| 3 | ასლანოვი ზაქარია | 20 | თათარი |
| 4 | ბაბაევი მოსე | 19 | სომეხი |
| 5 | ბაგიროვი ჰასან | 19 | თათარი |
| 6 | ვექილოვი ისმაილ | 20 | თათარი |
| 7 | გარაყანიძე ზურაბ | 20 | ქართლელი |
| 8 | გორბუნოვი პეტრე | 10 | რუსი |
| 9 | დგებუაძე ფარნაოზ | 20 | მეგრელი |
| 10 | ზავგოროდნი ივანე | 18 | რუსი |
| 11 | ისრაილოვი გრიგოლ | 24 | სომეხი |
| 12 | ყაიფმაზოვი ალექსანდრე | 19 | ოსი |
| 13 | კანდელაკი შამსონ | 21 | იმერელი |
| 14 | ქაჩარლინსკი ფერიდუნ | 23 | თათარი |
| 15 | კერესელიძე დავიტ | 21 | რაჭველი |
| 16 | მაისურაძე ექვთიმე | 21 | რაჭველი |
| 17 | მგელაძე ალექსანდრე | 21 | გურული |
| 18 | მესხი ნიკოლოზ | 22 | იმერელი |
| 19 | მურადოვი ზაქარია | 19 | სომეხი |
| 20 | მუსტაფაევი ახმედ | 20 | თათარი |
| 21 | პოღოსოვი მიხეილ | 23 | თათარი |
| 22 | რაზიკოვი ნიკოლოზ | 19 | ფშაველი |
| 23 | თაბუნიძე დავიტ | 22 | ქართლელი |
| 24 | ციმაკურიძე ალექსანდრე | 20 | ქართლელი |
| 25 | ციციანოვი ივანე | 22 | ქართლელი |
| 26 | შავერდოვი სიმონ | 22 | სომეხი |
| 27 | შონია კონსტანტინე | 22 | აფხაზი[1] |

1902 წ. 26 ივნისს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა *„სახალხო განათლების მმართებელს“* და კატეგორიულად მოითხოვა კავკასიის სემინარიებში მას-

[1] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, გვ. 33.*

წავლებლებად არ დაეშვათ არარუსი წარმოშობის პირნი. „სემინარიის დამრიგებლები უნდა ებრძოლონ თავიანთი მოწაფეების – ქართველების, სომხების, თათრების, სხვადასხვა მთიელების და სხვათა მრავალნაირ უკულტურო ჩვევებს და მიდრეკილებებს, უნდა შეასწავლონ მათ არა მარტო ის საპროგრამო მასალა... არამედ ასწავლონ აგრეთვე სწორი რუსული ლიტერატურული მეტყველება, დააუფლონ რუსულ ენაზე სწავლების ხერხებს ადგილობრივი მოსახლეობის სკოლებში... კავკასიის სემინარიების მასწავლებლები უნდა იყვნენ რუსები დაბადებით, აღზრდით და რწმენით, რათა მათ აღზარდონ სემინარიის მოსწავლეები რუსეთისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით“[1].

გორის სამასწავლებლო სემინარიის არსებობის მანძილზე (1876-1918 წ.წ.) იცვლებოდნენ დირექტორები და მასწავლებლები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ცოდნით, მრწამსით და მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებით. სემინარიის დირექტორები იყვნენ: ს. დ. დავარი (1876-1878), დ. დ. სემიონოვი (1878-1884), ს. ნ. სტრელეცკი (1884-1895), ა. ი. სლოვინსკი (1896-1910), მ. ა. მიროპიევი (1901-1908), ვ. გ. გრიგორიევი (1908-1910) და თ. ა. სმირნოვი (1910-1918).

მოწინავე რუსი მასწავლებლები იყვნენ: ვ. ნ. პავლოვი, ა. ი. ჩერნიავსკი, ნ. ი. ნოვოსპასკი, კ. ნ. მალინინი, მ. ი. რახუბოვსკი, პ. გ. პეტროვი და სხვები.

სამასწავლებლო სემინარიაში და მასთან არსებულ დაწყებით სასწავლებლებში სხვადასხვა დროს მასწავლებლობდნენ: ფარნაოზ სიმონის ძე ნათიშვილი (1876-1883), არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე (1879-1881), მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი (1881-1883), ნიკოლოს იოსების ძე ლომოური (1883-1915), კონსტანტინე ზურაბის ძე გარაყანიძე (1883-1915), მღვდელი ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილი (1876-1896), სიმონ პავლეს ძე გოგლიჩიძე (1891-1910), ლევან ქრისტეფორეს ძე ყაისაშვილი (1893-1918), მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი (1901-1908), ვლადიმერ ვალერიანის ძე ანდრონიკაშვილი (1913-1917), აპოლონ დავითის ძე ცამციაშვილი (1879-1883), კირილე ივანეს ძე არველაძე (1915-1918).

დასახელებულ მასწავლებელთაგან გამოირჩეოდნენ კ. ზ. გარაყანიძე, ლ. ქ. ყიასაშვილი და მ. ყ. ზაალიშვილი.

როდესაც გორის სამასწავლებლო სემინარიის მოწინავე პედაგოგებზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული

---

[1] *იქვე, გვ. 7-8.*

ენის მასწავლებლების, საყოველთაოდ ცნობილი ა. ვ. ქუთათელაძის, მ. ქ. ყიფიანის, ნ. ი. ლომოურის და კ. ი. არველაძის ღვაწლი.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის სემინარიამ შეიძინა მუსიკალური ინსტრუმენტები. 1880 წლისათვის სემინარიაში უკვე იყო 6 მოსწავლე, რომლებიც ვიოლინოზე უკრავდნენ, ხოლო 3 – ფიზგარმონზე. 1881 წლიდან მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა სიმონ კასრაძე. გუნდში მღეროდნენ: ა. ციმაკურიძე, ნ. ჯავახიშვილი, ი. ავალიშვილი, პ. გორბუნოვი, მ. ივანოვი, ი. ტისკაროვი, მ. წივწივაძე და სხვები. გუნდი ხშირად მართავდა კონცერტებს. 1884 წლის სექტემბერში ს. კასრაძე ერევნის ერთ-ერთ სასწავლებელში სიმღერის მასწავლებლად გადაიყვანეს და 1885 წლიდან სემინარიაში სიმღერა-გალობის მასწავლებლად ს. გოგლიჩიძე მიიწვიეს.

34 წლის განშორების შემდეგ, 1918 წელს ს. კასრაძე ისევ დაუბრუნდა სამასწავლებლო სემინარიას და თავისი საყვარელი საქმე გააგრძელა[1].

მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ხელობის და გიმნასტიკის დაუფლებისათვის სემინარია ყოველწლიურად 400 მანეთს იხდიდა. მოსწავლეები დიდი ხალისით ეუფლებოდნენ ამკინძავის ხელობას[2].

გორის სამასწავლებლო სემინარიაში ზოგადი თეორიული ცოდნის გარდა მოსწავლეებს პრაქტიკული საქმიანობისთვისაც ამზადებდნენ. დირექცია ითვალისწინებდა, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სოფლებიდან იყო და მათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლას, მოსავლის მოყვანასა და სახელოსნო საქმეს ასწავლიდნენ. ასეთი საქმიანობისათვის კი აუცილებელი იყო მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოსწავლეები თვითონ იმუშავებდნენ.

სემინარიას გახსნისთანავე გამოეყო მიწის ნაკვეთი, რომელიც სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. ამიტომ, 1887 წელს დირექტორმა სტრელეცკიმ მიმართა სახალხო განათლების სამინისტროს მიწის უფრო დიდი ფართობის გამოყოფის შესახებ. მართლაც 1888 წ. სემინარიას გამოუყვეს 1 დესეტინა 1770 კვადრატული საჟენი მიწის ფართობი მდ. მტკვრის ნაპირას. ერთხანს ამ ნაკვეთზე პრეტენზიას აცხადებდნენ გორში

---

[1] *ხიზანიშვილი ს., მცირე მოგონება // გაზ. „გამარჯვება“, 1973, №63.*

[2] *გსიემ, №535, ფ. 84.*

მდგარი სამხედრო ნაწილები, მაგრამ საბოლოოდ მიწის ნაკვეთი სემინარიას დარჩა.

სამხედრო დღესასწაული გორში, XIX ს. ფოტო (ტუზემცების - ქართველთა სამხედრო ნაწილის ეს ბანაკი მდებარეობდა მტკვრის პირას, სამეფო ქუჩის ბოლოს, რაც აღნიშნულია 1860 წელს შედგენილ გორის გეგმაზეც)

ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო 10 ნაწილად. პირველზე უნდა მოთავსებულიყო 32 სკა მეორეზე – ბოსტანი, მესამეზე – ვენახი, მეოთხეზე – სანერგე, მეხუთეზე – სათბური, მეექვსეზე – საცდელი ნაკვეთი, მეშვიდეზე – სარდაფიანი სახლი, მერვეზე – თუთის პლანტაცია, მეცხრეზე – სხვადასხვა ნაგებობა, მეათეზე – ყვავილნარი. მოსწავლეები ბაღში მუშაობდნენ 1 მარტიდან 1 ივნისამდე, ე. ი. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებიდან საზაფხულო გამოცდებამდე ყოველდღე 4-დან 6 საათამდე.

ბაღის საბოლოო დაყოფა მოხდა 1893 წელს ლ. ქ. ყიასაშვილის მიერ. 1901 წლისათვის ბაღში იყო 104 ჯიშის ხეხილი, 26 ჯიშის ბუჩქი და მრავალწლიანი მცენარე.

ბაღში მოსწავლეები პრაქტიკულად სწავლობდნენ მყნობის სხვადასხვა ხერხებს, ხეხილის მოვლას, მავნებლებთან ბრძოლას, ბოსტნეულის მოყვანას და სხვ.

სემინარიის ხელმძღვანელობა ბაღში დამზადებული მაღალხარისხიანი თესლეულით უფასოდ ამარაგებდა კერძო პირებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს, რომლებიც საზაფხულო არდადეგებზე სახლებში ბრუნდებოდნენ, საკუთარ ნაკვეთზე თესავდნენ ბოსტნეულს და აკვირდებოდნენ თუ რა შედეგს იძლეოდა თითოეული ჯიში სხვადასხვა მხარესა და სოფელში.

1892 წელს საცდელ ნაკვეთზე დათესეს ბამბა და მასზე დაკვირვებას აწარმოებდნენ. 1879-1898 სასწავლო წლიდან შეუდგნენ მეაბრეშუმეობის ინტენსიურ შესწავლას.

სემინარიაში საკმაო ყურადღება ეთმობოდა სახელოსნო საქმიანობას. ასწავლიდნენ წიგნების აკინძვას, ხარატობას და დურგლობას. ამზადებდნენ სხვადასხვა სისტემის სკამებს, სკებს, მაგიდებს, ახდენდნენ ინვენტარის შეკეთებას და ა. შ. სახელოსნო საქმიანობას უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდა კ. ზ. გარაყანიძე ოსტატი-დურგლის დახმარებით[1].

სემინარიას ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა. 1880 წლის 1 იანვრისათვის ბიბლიოთეკაში დაცული იყო 377 თხზულება 659 ტომით. 1906 წელს ბიბლიოთეკაში უკვე ირიცხებოდა სხვადასხვა სახელწოდების 2577 წიგნი. ეგზემპლართა რაოდენობა კი 4788-ს აღწევდა. იმავე სასწავლებლის მოსწავლეთა ბიბლიოთეკაში იყო 2526 დასახელების წიგნი, 3594 ეგზემპლარის რაოდენობით[2].

სემინარიას ჰქონდა თავისი ეკლესია, რომლის საზეიმო კურთხევა შედგა 1893 წლის 21 ნოემბერს. ეკლესია აკურთხა საღვთო სჯულის მასწავლებელმა ო. ლ. ტურიევმა (ტურიაშვილი). ცერემონიალს ესწრებოდნენ ადგილობრივი სამღვდელოება, მთელი პედკოლექტივი, სემინარიის აღსაზრდელები და გორის საზოგადოების წარმომადგენლები. ეკლესიას საქართველოს განმანათლებლის, წმ. ნინოს სახელი ეწოდა[3].

რაც დრო გადიოდა, სემინარია იზრდებოდა და ძველ შენობაში ვეღარ ეტეოდა. სივიწროვე იმდენად შემაწუხებელი შეიქმნა, რომ ერთი პირობა სემინარიის გორიდან თელავში გადატანა გა-

---

[1] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემონარიისა, გვ. 130-132.*

[2] *იქვე, გვ. 114.*

[3] *„Кавказ“, 1893, №315.*

ნუზრახავთ, მაგრამ მისი დატოვება კარგ მდებარეობას და კლიმატს გადაუწყვეტია[1].

სემინარიელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. გორის სხვა სასწავლებლებთან ერთად, სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეებიც მეტ-ნაკლებად მონაწილეობდნენ მაშინდელი გორის პოლიტიკურ ამბებში.

საზაფხულო არდადეგებიდან გორში დაბრუნების შემდეგ, 1905 წლის შემოდგომაზე, სემინარიელების გამოსვლებმა ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ ფაქტიურად ისინი გორის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობის სათავეში მოექცნენ და დემონსტრაციებსა და მიტინგებზე სწავლის შეწყვეტას, გაფიცულ მუშებთან შეერთებას და ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ, რასაც დემონსტრანტები ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგენდნენ.

1905 წლის 24 ოქტომბერს სემინარიელებმა დირექტორს წარუდგინეს პეტიცია, რომელშიც ნათქვამი იყო: *„იმის გამო, რომ პროგრამები და უფლებები ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის შეზღუდულია, ჩვენ აღსაზრდელებმა დავადგინეთ მეცადინეობის შეწყვეტა და მოვითხოვთ შემდეგი მუხლების დაკმაყოფილებას:*

*1. სემინარიის 3 კლასის კურსდამთავრებულთ, რომელთაც სურთ სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლა, ნება დაერთოთ სათანადო კლასში უგამოცდოდ შესვლისა. აგრეთვე უნდა გაფართოვდეს სემინარიაში სწავლების კურსი ორი კლასის დამატებით რის დამთავრების შემდეგაც მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ უგამოცდოდ შევიდნენ უმაღლეს პედაგოგიურ კურსებზე ან სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. სემინარიაში სავალდებულო საგნებად უნდა იქნეს შემოღებული: ფილოსოფია, პოლიტეკონომია, კანონთმცოდნეობა, ფსიქოლოგია და ლოგიკა ფართო მოცულობით, ქიმია, კოსმოგრაფია და ერთ-ერთი უცხო ენა.*

*2. ფართო ნიადაგზე უნდა დადგეს ადგილობრივი ენების სწავლება გაკვეთილების რიცხვის გადიდების გზით და ამ ენების სწავლების კურსში სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის შეტანით.*

*3. შემოღებულ უნდა იქნეს ბერძნული ენის სწავლება.*

---

[1] *„Тифлисский листок“, 1893, №142.*

*4. ამხანაგური სასამართლოს მოწყობა-მხოლოდ ამორჩეულ მოსწავლეთაგან, რომელიც გაარჩევს ამხანაგებს შორის მომხდარ გაუგებრობას.*

*5. შერეული კომისიის ჩამოყალიბება მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან თანაბარი რაოდენობით, რომელიც გაარჩევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის მომხდარ გაუგებრობას.*

*6. ცენზურის მიერ ნებადართული წიგნების თავისუფალი კითხვის უფლება ყველა ენაზე, გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით.*

*7. ნება-სურვილით მუსიკის შესწავლა იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც ამის უნარი არა აქვთ.*

*8. უფლება თავისუფლად წასვლისა სემინარიდან არასამეცადინო დროს.*

*9. სემინარიის კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ სათანადო ტანსაცმელი სახელმწიფო ხარჯზე.*

*10. გაუდიდდეთ ხელფასი სოფლის მასწავლებლებს და მიეცეთ უფლება ისარგებლონ პრივილეგიებით სახელმწიფო სამსახურში, რათა ამაღლდეს მათი ავტორიტეტი საზოგადოებაში*"[1].

პეტიციის მუხლებს თუ გადავხედავთ, აუცილებლად დავინახავთ სემინარიის მოსწავლეთა სურვილს მიეღოთ სრულფასოვანი განათლება, რითაც ვერ უზრუნველყოფდა მაშინდელი სემინარიის პედაგოგთა ძირითადი შემადგენლობა. ისიც გამოსჭვივის, რომ მოსწავლეები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ სემინარიაში დამყარებული საპატიმროს მსგავსი რეჟიმისათვის, ისიც ჩანს, რომ მოსწავლეები ხელმოკლე ოჯახებიდან იყვნენ და მოითხოვდნენ მდგომარეობის მცირედ გაუმჯობესებას.

მოსწავლეთა მოთხოვნები განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ, რომელმაც პედაგოგიური მოსაზრებით უარყო მე-3, მე-4 და მე-8 მუხლები, ხოლო უსახსრობის გამო მე-9 მუხლი. დანარჩენი მუხლები საბჭომ მისაღებად სცნო და დაადგინა სათანადო შუამდგომლობა აღეძრა ზემდგომი ორგანოების წინაშე[2].

იმავე წლის 14 ნოემბერს სემინარიელები, 13 კაცის გამოკლებით, თვითნებურად წავიდნენ გორის მოსწავლეთა მიტინგზე, რომელსაც ესწრებოდნენ მუშები, თბილისელი მოსწავლეები, სტუდენტები და მოქალაქენი. მიტინგს თავმჯდომარეობდა სემინარიის მესამე კლასის მოსწავლე შარიქაძე. მიტინგზე სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად წამოყენებულ იქნა სემინარიის დირექტორის,

---

[1] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარიისა, გვ. 147-148.*

[2] *იქვე.*

მიროპიევის გადაყენების და მისი, როგორც „ცუდი მოქალაქის“ გორიდან გაძევების მოთხოვნა.

მოსწავლეები დირექციას აღარ ემორჩილებოდნენ და თვითნებურად გადიოდნენ პანსიონატიდან, ირღვეოდა გაკვეთილების გრაფიკი, მოსწავლეები აცდენდნენ საღვთო სჯულის გაკვეთილებს და ლოცვას.

20 ნოემბერს სემინარიასთან მოსულ დემონსტრანტებს სემინარიელებიც შეუერთდნენ. მიტინგზე ერთ-ერთმა მოსწავლემ, ღუდუშაურმა, ისეთი მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, რომ მომიტინგეებმა იგი ხელში აიტაცეს.

მოსწავლეთა განწყობილებით და, საერთოდ, გორში შექმნილი ვითარებით შეშფოთებულმა სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა *„შეწყდეს მეცადინეობა როგორც სემინარიაში, ისე დაწყებით სასწავლებლებშიც, დაიხუროს პანსიონი და ბავშვები გაიგზავნონ სახლებში, სადაც მათ მშობლები უფრო დაიცავენ თავიანთ ოჯახებში, ვიდრე ჩვენ, ისეთ რევოლუციურ ქალაქში, როგორიც არის გორი“*[1].

დეკემბერში, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სემინარიის მუშაობა თანდათან მოწესრიგდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ კვლავ დაარღვია სემინარიის მუშაობის რიტმი. 1914 წლის დეკემბერში მთავრობამ განიზრახა ზოგიერთი დაწესებულება ჩრდილო კავკასიაში გადაეტანა. თავდაპირველად გადაწყდა გორის სამასწავლებლო სემინარიის ყუბანის ოლქის ხუტორ სიმანოვსკში გადაეტანათ. 30 დეკემბერს კი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა, სემინარიის დირექტორს თ. სმირნოვს ასეთი მიმართვა გაუგზავნა: *„თქვენდამი დაქვემდებარებული სემინარიის მეცადინეობა უნდა მოაწყოთ ყუბანის პირველი სამასწავლებლო სემინარიის შენობაში, მეორე ცვლაში. არავითარ შემცირებას სწავლების მოცულობის მხრივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მეცადინეობა უნდა დაიწყოს 7 იანვარს ჩვეულებრივი წესით. გამოსაშვები კლასის პრაქტიკულ მეცადინეობას ჩაატარებთ ქალ. ეკატერინოდარის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში... მეცადინეობის ორგანიზაციის ყოველგვარ საკითხსა და პანსიონის ცხოვრების მოგვარების შესახებ, ეკატერინოდარში ჩასვლისთანავე, ჩამოუყალიბეთ კომისიას ადგილობრივი სამასწავლებლო სემინარიის დირექტორისა და ყუბანის ოლქის სახალხო სკოლების*

[1] *იქვე, გვ. 150-151.*

*დირექტორის შემადგენლობით და ყველა საკითხზე ითათბირეთ ერთად*“[1].

გორში დარჩა „თათრული“ დაწყებითი სასწავლებელი და რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ლევან ქრისტეფორეს ძე ყიასაშვილი.

რუსეთის ჯარების წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე სემინარიის გორში დაბრუნების პირობები შექმნა. 1915-1916 სასწავლო წელი გორის სამასწავლებლო სემინარიამ თავის ბინაში დაიწყო. სემინარიაში ძირეული ცვლილება მოხდა 1918 წლის სექტემბრიდან: სმირნოვის ნაცვლად დირექტორად დაინიშნა კ. არველაძე, „თათრული განყოფილება“ თავისი შტატით აზერბაიჯანში გადავიდა, რუსული დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი გაუქმდა, ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე დაიწყო, სასწავლო გეგმებში შევიდა მთელი რიგი ახალი საგნები („კანონის მეცნიერება“, ლოგიკა, ფსიქოლოგია), ხოლო გორის ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიას ეწოდა „გორის სამასწავლებლო სემინარია“.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, გორის სამასწავლებლო სემინარია კიდევ დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობდა არსებობას გორის პედაგოგიური სასწავლებლის სახელწოდებით.

გორის სამასწავლებლო სემინარიამ, თავისი არსებობის 42 წლის მანძილზე, კავკასიის თითქმის ყველა ხალხს გაუზარდა 700-მდე დახელოვნებული მასწავლებელი. მრავალმა მათგანმა სახელი გაითქვა მწერლობის და კულტურის სხვადასხვა დარგის ასპარეზზე. მათ შორის იყვნენ საზოგადო მოღვაწენი. სემინარიაში აღიზარდნენ: ვაჟა-ფშაველა, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ნათაძე, ვანო ავალიშვილი, ნიკო რაზიკაშვილი, თედო რაზიკაშვილი, ვანო გიუნაშვილი, ტარასი მამალაძე, ნიკო ჯანაშია, თეოფილე ხუსკივაძე და სხვანი.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობდნენ აზერბაიჯანული ეროვნული ოპერის დამფუძნებელი კომპოზიტორი უ. ჰაჯიბეკოვი, აზერბაიჯანელი მწერლები ჯალილ მამედყული ზადე და სულეიმან სანი ახუნდოვი და სხვ.

1910 წელს საქალაქო თვითმმართველობისა და მოწინავე ინტელიგენციის შუამდგომლობით, გორში დაარსდა **ვაჟთა პროგიმნაზია**, სადაც 224 მოსწავლე სწავლობდა. მოსწავლეთა რიცხვი

[1] *იქვე, გვ. 153.*

1911 წელს 227-მდე გაიზარდა, ხოლო 1915 წელს იგი უკვე **გიმნაზიად** გადაკეთდა 303 მოსწავლით.

1922 წელს გორის ვაჟთა გიმნაზია ქალთა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს შეუერთდა და **გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი** ჩამოყალიბდა[1].

1861 წელს გორში გაიხსნა **სომხურ-გრიგორიანული სასწავლებელი**, სადაც 47 ახალგაზრდა სწავლობდა[2]. სხვა ცნობით სასწავლებელი გაიხსნა 1858 წელს[3]. სწორი უნდა იყოს დ. გვრიტიშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, ა. ჯავახიშვილს ეყრდნობა, ეს უკანასკნელი კი ამ პერიოდში გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა და იგი ადგენდა ანგარიშებს გორის სასწავლებლებზე. სამწუხაროდ, ამ სკოლის მუშაობის, მის მიერ მომზადებული კადრების პროფილის და სხვათა შესახებ რაიმე ცნობები არ გაგვაჩნია. მხოლოდ ის ვიცით, რომ იქ მუშაობდა 2 მასწავლებელი და არსებობდა გორის სომხური ეკლესიების ხარჯით და შესაწირავით[4].

**სომხური ქალთა დაწყებითი სკოლაც** სომხურ-გრიგორიანული სასწავლებლის მსგავსად სომხური ეკლესიებისა და ქველმოქმედთა შეწევნით არსებობდა. სკოლაში სწავლობდა 29 მოსწავლე – ყველა სომეხი, მუშაობდა ერთი მასწავლებელი[5].

1869 წელს გორში გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც ერთდაერთი იყო მთელ ამიერკავკასიაში. აქ ასწავლიდნენ დურგლობას, ხარატობას, მკაზმავობას და ხარაზობას[6].

1884 წელს გორში კიდევ ერთი სასწავლებლის – სათავადაზნაურო გიმნაზიის დაარსება განიზრახეს. 5-6 თებერვალს საინიციატივო ჯგუფმა მოიწვია კრება, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო აღნიშნული სასწავლებლისათვის აუცილებელი თანხის შეგროვება. მაშინდელი გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა შალიკაშვილმა საგანგებოდა არჩეულ კომისიას შეადგენინა იმ ადამიანთა სია თუ ვინ უნდა შეწეოდნენ ახალ სასწავლებელს. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. თბილისიდან აკაკი, ვანო მაჩაბელი და გიორგი წერეთელი ჩამოვიდნენ. კრებაზე

---

[1] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 150.*

[2] *იქვე.*

[3] *იქვე, გვ. 161.*

[4] *გსიემ, №535, ფ. 81-92.*

[5] *იქვე, ფ. 91;* Джавахов А.,Гориегоокрестности, с. 107.

[6] *გუგუშვილი პ., ამქრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში, 1953, გვ. 379.*

თავი იჩინა დიდმა ვნებათაღელვამ, რადგან თავადაზნაურობა ორ ნაწილად – მომხრეებად და მოწინააღმდეგებად გაიყო. მოწინააღმდეგეები იყვნენ დიდგვარიანი თავადები: ერისთავები, ამილახვრები, თარხნიშვილები. მათ შორის იყო ცნობილი მოჭიდავე, აზნაური ჩიტო კალატოზიშვილი. მოწინააღმდეგეთაგან მაინც განსაკუთრებით აქტიურობდა მაზრის ახალგაზრდა უფროსი ამირინდო ამილახვარი, რომელიც მცირე ხნის წინ თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. მომხრეებს, ქართლის ინტელიგენციას, ღარიბ თავადაზნაურობას სათავეში ედგა ნ. დიასამიძე.

გორში სათავადაზნაურო გიმნაზიის დაარსება ვერ მოხერხდა[1].

XIX ს. 50-იანი წლებიდან საქართველოს ზოგიერთ ქალაქში, მათ შორის გორშიც, კერძო პანსიონები გაიხსნა, რომლებიც სამაზრო სასწავლებლების ან გიმნაზიების პირველი სამი კლასის სასწავლო გეგმით მუშაობდნენ: გორში პანსიონის დაარსების ინიციატორები იყვნენ რუსული ენის და ფრანგული ენის მასწავლებლები ნიკიტინი და დორეი. ცნობილია, რომ ამ პანსიონში 50-იანი წლების მეორე ნახევარში იზრდებოდა მწერალი დავით გიორგის ძე ერისთავი[2].

---

[1] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 179-180.*

[2] *თავზიშვილი მ., სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1801-1871, თბ., 1948, გვ. 123.*

## *1. რელიგიურ-საეკლესიო დღესასწაულები*

გორის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი რელიგიურ დღესასწაულებს ეკავა.

გორელებს რამდენიმე რელიგიური დღესასწაული ჰქონდათ, რომლებიც სათავეს კერპთაყვანისმცემლობიდან, ცეცხლთაყვანისმცემლობიდან და სხვა უძველესი რელიგიებიდან იღებდნენ, მაგრამ ისინი შეხამებული იყო ქრისტიანული ეკლესიის სხვადასხვა დღესასწაულთან.

**ჭონა**. აღდგომის წინა შაბათს გორის მცხოვრებლები, უმთავრესად მოზარდები, ჯგუფურად შეიკრიბებოდნენ და კარდაკარ დადიოდნენ და ამ დღისადმი შეთხზულ ხალხურ სიმღერას მღეროდნენ:

„ალათასა, ბალათასა,
ჩამოვკიდებ კალათასა...
დედი, ერთი კვერცხი მამე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

ისინი ყოველი ოჯახიდან იღებდნენ საჩუქრებს ფულის, კვერცხის ან სხვა რამ სახით.

**ლაზარობა**. ზაფხულობით, ძლიერი გვალვების დროს გორელები შეიკრიბებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ცდილობდნენ გამოეწვიათ დახმარება ლაზარესაგან, რომელიც გვალვისა და მოსავლის დაღუპვისაგან გადამრჩენად ითვლებოდა.

ლაზარე ქართული მითოლოგიის მიხედვით იყო დარისა და ავდრის წარმართული ღვთაება[1].

წვიმისმომყვან ლაზარეს საქართველოს ყოველ კუთხეში გვალვიანობის ჟამს უმღეროდნენ:

*„ლაზარე მოდგა კარსა*
*აბრიალებს თვალსა,*
*მიდგა-მოდგა თაროსა,*
*დაემსგავსა მთვარესა“.*

ლაზარეს სადიდებლად იმართებოდა დღეობა-ლაზარობა, რაც ცის ნამის, ტალახის გასაჩენად გარკვეულ ცერემონიალს გულისხმობდა. ჩვეულებრივ თიხისაგან აკეთებდნენ წმ. ლაზარეს კერპს, დასდებდნენ ხონჩაზე და კარდაკარ დაატარებდნენ. სახ-

[1] უნდა განვასხვაოთ სახარების ლაზარესაგან, რომელიც მარიამის და მართას ძმა იყო. ის გარდაცვალების შემდეგ იესო ქრისტემ გააცოცხლა.

ლებიდან გამოსული ადამიანები კერპს ასველებდნენ. მსვლელობის მონაწილენი ამბობდნენ:

*„ახ ლაზარე, ლაზარე,*
*ცას ღრუბელი აშალე,*
*ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა,*
*შენ მოგვიყვან წვიმასა“.*

თუ ხანგრძლივი წვიმები იქნებოდა და მოსავალს ხიფათი დაემუქრებოდა, მაშინ ისევ ლაზარეს შესთხოვდნენ გამოამინდებას:

*„ახ ლაზარე, ლაზარე,*
*თავი გააზანზარე,*
*ცხავი აცხავებულა,*
*ტარი გაცხარებულა.*
*აღარ გვინდა ტალახი,*
*ახლა მოგვე გორახი“.*

**ჭიაკოკონა.** ცეცხლთაყვანისმცემლობის გადმონაშთი უნდა იყოს ჭიაკოკონობა, რომელიც დღესაც აღინიშნება, მაგრამ ძველად განსაკუთრებული მასშტაბურობა ახასიათებდა.

ჩვეულებრივ, ვნების კვირის ოთხშაბათს, საღამოთი ეზოებში, ქუჩებსა და მოედნებზე ანთებდნენ კოცონებს, რომლებზეც ხტებოდნენ და იძახდნენ *„ალი კუდიანებს“.*

იმდენად მრავალი და დიდი კოცონები ენთო, რომ ადამიანს ეგონებოდა, მთელი ქალაქი იწვისო. იყო შემთხვევები, როცა ქარისგან გადატანილი ალი მოედებოდა ხის ნაგებობას და იწვოდა. ხდებოდა, რომ ტანსაცმელზე ან თმებზე წაეკიდებოდათ ცეცხლი, მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა ქალაქის ადმინისტრაცია არ კრძალავდა რწმენასთან დაკავშირებულ ამ ჩვეულებას.

**უფლის მირქმა.** სეტყვის თავიდან აცილების რწმენა უმეტესად გავცელებული იყო ქ. გორის სომხურ მოსახლეობაში.

უფლის მირქმის დღეს სომხურ ეკლესიებში მიღებული იყო მლოცველთათვის სანთლების დარიგება, რასაც ახდენდნენ კტიტორები ან ვაჭართა და ხელოსანთა რიგებიდან არჩეულნი. ისინი თვითონვე ადგენდნენ სანთლის ფასს. მრევლი ვალდებული იყო ისინი სახლებში სეტყვის მოსვლამდე შეენახათ. როცა ძლიერი სეტყვა იქნებოდა, დაიწყებდნენ ეკლესიებში ზარების რეკვას და ამ სანთლების ანთებას, რომლებსაც სეტყვის შეწყვეტას მიაწერდნენ.

**გორიჯვრობა**[1]. გორიჯვრობა დაკავშირებულია წმ. გიორგი კაპადოკიელის სახელთან. საეკლესიო კალენდრის მიხედვით, გიორ-

[1] *გორიჯვრის ეკლესიის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 235-248*

გობა (წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა) აღინიშნება 23 აპრილს (6 მაისი ახ. სტილით) და 10 ნოემბერს (23 ნოემბერი ახ. სტილით). წმ. გიორგის მნიშვნელობაზე ქართველთა რწმენაში მიგვითითებს თუნდაც ის, რომ გადმოცემის მიხედვით საქართველოში არსებობდა წმინდა გიორგის სახელობის 363 ტაძარი და სამლოცველო. ხალხმა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიების ასეთ სიმრავლეს მოუძებნა ახსნა: სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა, ქვეყანზე მიმოაბნია და ყველგან, სადაც ეს ნაწილი მოხვდა, სალოცავები დააწესა.

საქართველოში წმ. გიორგის კულტის უადრესად პოპულარობის გამო იყო, რომ შუა საუკუნეების ევროპულ მწერლობაში თვით ქართველთა სახელწოდება მის სახელთან დააკავშირეს. მიაჩნდათ, რომ ჯორჯია, ჟორჟიენ, გეორგიენ, გრუზია, გურჯისტანი მოდიოდა *გიორგი*-დან, ე. ი. წმ. გიორგიდან, რომელიც იმავე უცხოელების აზრით ქართველთა მფარველი იყო[1].

80-იან წლებში გორიჯვარში მუდმივად იმყოფებოდა ეკლესიის მნათე და ორი მწირი-მონაზონი[2].

გორიჯვრობა გორელების ერთერთი ყველაზე პოპულარული და ძვირფასი რელიგიური დღესასწაულია. აქედან გამომდინარე გორიჯვრის მონასტერიც უძველესი დროიდან ითვლებოდა გორისა და მისი ახლობელი სოფლების მოსახლეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სალოცავ ადგილად. ცნობილია მთელი რიგი წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც ძველად სრულდებოდა, დღეისათვის კი მივიწყებულია. აქ ინახებოდა მცირე ზომის ვერცხლის კვერცხი, რომელიც თითქოს თვალის დაავადებებს განკურნავდა. ხალხში არსებული რწმენით, თუ თვალზე კვერცხს მოისვებდნენ, მაშინ არასოდეს არ ასტკივდებოდათ იგი და ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნებდნენ მხედველობის სიმახვილეს.

ხალხს სჯეროდა აგრეთვე, რომ გორიჯვრის ეკლესია განკურნავდა სულით ავადმყოფებს, რომლებსაც იქ მისვლისთანავე უბრუნდებოდა საღი აზრი.

ამ ადგილთან დაკავშირებულია სხვადასხვა წეს-ჩვეულება, მაგალითად: მრავალი მლოცველი ეკლესიას შემოახვევდა ძაფს და ცდილობდა, რომ ძაფი არ გაწყვეტილიყო, რადგან ეს ითვლებოდა წარუმატებლობისა და უბედურების მომასწავებლად. თუ მლოც-

---

[1] *გსიემ, №535, ფ. 119-124.*

[2] *იქვე, №840, ფ. 59.*

ველი ძაფს დაუბრკოლებლად შემოახვევდა, მაშინ ყველა სურვილი კეთილად აუსრულებოდა.

განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ოთხფუთიანი ჯაჭვის, რომელსაც „დადიანს“ უწოდებდნენ, კისრით ტარება. ჯაჭვს უმთავრესად ქალები ეტანებოდნენ. რწმენის მიხედვით, გოგონა, რომელიც ამ წესს შეასრულებდა, აუცილებლად გათხოვდებოდა, ხოლო უშვილო ქალს, ასევე აუცილებლად შვილი ეყოლებოდა.

გორიჯვრის ჯაჭვი „დადიანი“, რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში[1], აღწერა მ. ხუბუამ. იგი სიგრძით 3,5 მეტრი იყო, თავსა და ბოლოში კისერზე დასადებ ბრტყელი, ნახევარრკალისებური რკინის ნაწილით და ჯაჭვის მეორე თავში დატანებული რგოლით. იგი, როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო „შეწირულთათვის“. „დაიდებდნენ კისერზე ამ მძიმე ჯაჭვის ერთ თავში მოძრავად მიბმულ ნახევარ რკალისებური ფორმის რკინას, რომლის მოკაუჭებულ ბოლოში ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე ტანზე შემოხვეული ჯაჭვის რგოლს. ამგვარად, მთელი ამ ჯაჭვით ტანზე შემოხვეული და კისერთან შეკრული უვლიდნენ გარშემო სალოცავ ადგილს“[2].

საინტერესოა, რომ „დადიანის“ ტიპის რიტუალური ჯაჭვები იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში. გორის რაიონში ცნობილია ე. წ. „არბო“-სოფ. არბოდან, „ზერტი“-სოფ. ძერტიდან, იყო გერში, ძელიცხოველში.

„შეწირულთა“ მიერ ჯაჭვით ღვთის თავიანთ საწადელზე შეწუხებას ღრმა ფესვები ჰქონდა და ამ ტრადიციას წარმართობამდე მივყავართ, როდესაც ღვთისათვის შეწირულ ადამიანს ჯაჭვით აბამდნენ. ძველად ძალადობასთან დაკავშირებულმა რიტუალმა ქრისტიანობის ეპოქაში ნებაყოფლობით შეწირვის ინსცენირების

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ოთხი ჯაჭვიდან სამი არის  გორის რაიონადან (ზერტი, არბო და გორიჯვარი) და ერთი თელავის რაიონიდან (აწყურის თეთრი გიორგის ეკლესია). ს. მაკალათიას ასეთი ჯაჭვი აღწერილი აქვს მთიულეთის ექსპედიციის დროს ლომისის წმ. გიორგის ეკლესიაში. *მაკალათია, ს., მთიულეთი. თბ. 1987, გვ. 173.; ვ. ბარდაველიძემ ფშავში* ნახა ასევე რიტუალური დანიშნულების ჯაჭვი, ე. წ. ჯალაბაური. *ბარდაველიძე, ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. I. ფშავი. თბ., 1974, გვ. 21-24; იხ. აგრეთვე, გოგიაშვილი ა., რკინის რიტუალური ნივთები ეროვნული მუზეუმის ფონდში. // კრებულში „ეთნოლოგიური ძიებანი“ ტ. IV, თბ., 2010, გვ. 358-364.*

[2] *ხუბუა მ., „ხანჯალური“ და „დადიანური“ // მსკი, ნაკვ. II, თბ., 1938, გვ. 150.*

სახე მიიღო. წარმართობის ხანაში რომ ნამდვილად ხდებოდა შესაწირავი ადამიანის ჯაჭვით დაბმა ამას გადმოგცემს სტრაბონი: „ალბანელები... ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსს და მთვარეს, გამორჩევით – მთავრეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმებს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეში, დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდა ჰკვებავს. შემდეგ მიიყვანენ მას ღმერთქალის სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებლით დაზელილს სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად მსხვერპლად შესწირავენ“[1].

თუ იმ მოსაზრებას მივიღებთ, რომ ჯაჭვით ეკლესიის გარშემოვლა წარმართობის წიაღში იღებს სათავეს, მაშინ დგება კითხვა: რატომ ერქვა გორჯვრის ეკლესიაში დაცულ ჯაჭვს „დადიანი“?

ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრები-დადიანები დამნაშავეებს სპეციალური ჯაჭვით აბამდნენ. XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს: „როცა მთავარი მოინდომებს ვისიმე დაჭერას, ბრძანებს, რომ მას ყელზე წამოაცვან რკინის საყელო დიდს და მძიმე ჯაჭვითო და ამ სახით ჩააბარეთ დარაჯსო“[2]. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს დასასჯელად გამოყენებულ ჯაჭვთან, რომლის ერთ-ერთი ნიმუში სიგრძით 6,6 მეტრი ყოფილა[3].

გორიჯვრის ჯაჭვი, როგორც ითქვა, რიტუალური დანიშნულებით გამოიყენებოდა „დადიანისაგან“ განსხვავებით, მაგრამ რასაც იგივე სახელი ერქვა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გორიჯვრის ჯაჭვი ან სამეგრელოში იყო დამზადებული და იქიდან გორში მოტანილი და სახელიც თან მოჰყვა ან ამ ჯაჭვსაც ოდესღაც დამნაშავეთა დასაბმელად იყენებდნენ და იმ დროიდან შემორჩა სახელი „დადიანი“, როგორც დასჯის იარაღს.

---

[1] *ყაუჩხიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 134.*

[2] *არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 79.*

[3] *ხუბუა მ., „ხანჯალური“ და „დადიანური“, გვ. 148.*

ა. გარსევანიშვილის თანახმად, გორიჯვრის დღესასწაულის დროს ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ წესს, რომელიც უაღრესად ჰგავდა წარმართულ მსხვერპლშეწირვას. იგი სრულდებოდა აღთქმის მიხედვით და უმეტეს წილად წმ. გიორგის დღესასწაულზე, 10 ნოემბერს. ხდებოდა შემდეგი: ცხვარს მოკვეთდნენ ყურებს, ჩააწყობდნენ ჭურჭელში, რომელიც გავსებული იყო ცხვრის თბილი სისხლისა და ღვინის ნაზავით, რომლის ერთ ნაწილს სვამდნენ, ნაწილს კი ირგვლივ აპკურებდნენ.

აქ გამართული იყო ქვის ზედადაგარი, რომელზეც იდგა წყლით სავსე ვერცხლის თასი და ამ თასში მოთავსებული იყო მტრედის კვერცხის ოდენა ვერცხლის თვალის კაკალი.

გორიჯვრობას, ვისაც შეთქმული ჰქონდა მიდიოდა ამ ზედადგართან და მის ქვეშ გაძვრებოდა, შემდეგ იგი თვალის კაკალს დაატრიალებდა, სველ თითებს თვალებზე მოისვამდა, თან წმ. გიორგის შესთხოვდა თვალის საღობას და მხედველობის გაძლიერებას[1]. ხალხის რწმენით, ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნებდნენ მხედველობის სიმახვილეს.

გორიჯვრის ეკლესიაში ინახებოდა დიდი გამოსატანი ჯვარი[2] წმ. გიორგის თავის ქალის და მისი ურმის თვლით დასჯის გამოსახულებით.

მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე, ზედ მთაზე, არის პატარა კორომი „გორისა“. მის წინ იყო მთის წყაროების წყლის აუზი, რომელიც ივსებოდა ბურეთის მთიდან გადმოყვანილი წყალსადენით.

„გორისა“ იყო და არის მოგზაურთა და გორიჯვარზე მიმავალი მლოცველების დასასვენებელი ადგილი. აქ ხეების ჩრდილში, წყაროსთან ხშირად ქეიფი იმართებოდა.

10 ნოემბერი მთელ საქართველოში ითვლებოდა სახელმწიფო დღესასწაულად. ამიტომ წმ. გიორგის სახელობის ყველა ეკლესია, განსაკუთრებით კი გორიჯვარი, ათასობით მლოცველს იზიდავდა და მისი დღესასწაული გამოირჩეოდა ზეიმურობით[3].

გორიჯვრის ეკლესიასა და მის დღესასწაულს ლექსში აღწერს ცნობილი ისტორიკოსი და მწერალი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი. ვფიქრობ, მისი სრულადმოყვანა დღესასწულის გარკვეულ სურათს შეგვიქმნის:

---

[1] *მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 37*

[2] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 238-245*

[3] გორიჯვრის ეკლესიის კომპლექსზე საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა *ვ. აბრამიშვილმა, იხ. მისი გორიჯვარი, გორი, 1994.*

*„გორასა ზედა მაღალსა, სდგა ეკლესია ქებული,*
*წინ უდის მტკუარი მდინარე, შორით კერძოით რებული.*
*სხვა მხარე ტყესა მოუცავს, ზოგან კი გამინდვრებული,*
*შიგ სუფევს ჯვარი ცხოველი, ქრისტიანთაგან ქებული.*
*ნოემბრის ათსა იციან ყოველთვის მისი ჯვარობა,*
*ერი ურიცხვად შეკრბების, თუ იქნა კარგი დარობა,*
*გარს მიერტყმიან მლოცველნი და ისმის მათგან ხარობა,*
*მამწონს ძველთაგან დანაშთი ესრეთი ჩვენი გვარობა.*
*უკეთუ მზისა შუქისგან ღრუბელნი განათდებიან,*
*ჯვარსა მლოცველნი ზედიზედ დასტათა ეახლებიან,*
*ტურფად დართულნი აღმართზედ, იღალებიან, დგებიან*
*ოფლი კოკურად აყრიათ, ღაწვიცა მათი ლბებიან.*
*ცეცხლები ღამით კაშკაშებს, მწვადებიც მასზე ტრიალებს,*
*ზოგნი ღვინითა დამთვრალნი, მღერის, ხმამაღლა ღრიალებს*
*ზოგან ძილითა დამტკბარნი ფშვინავს და ამოხრიალებს*
*ფერხული ბრუნავს მრავალი, ზარებიც რიგზე წკრიალებს“*[1].

***ახალჯვრობა-ჯვარპატიოსნობა-ძელიცხოვლობა.*** ახალჯვრობა გორელების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ტრადიციული სატაძრო დღესასწაული იყო. ხალხის რწმენით ამ დღეს ამაღლდა ჯვარი და ამიტომ ეწოდა ძელიცხოვლობა. დღესასწაული იმართებოდა ხიდისთავის ეკლესიაში ცხოველმყოფელი ჯვრის ხსოვნისათვის („ხსენება პატიოსნისა ჯვრისა, რომელი გამოცხადდა ცასა შინა ქალაქსა ზედა, იერუსალიმს ჟამსა მესამესა, დროსა კონსტანტინის მეფობისა (351)“ 7 მაისს (ახ. სტილით 20 მაისი) ორშაბათობით[2].

ხიდისთავში სალოცავად თავს იყრიდა თითქმის ყველა გორელი და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა. დღესასწაული მხოლოდ მლოცველების და მორწმუნეთათვის არ იყო მნიშვნელოვანი. აქ ახალგაზრდები ათვალიერებდნენ და ირჩევდნენ საცოლეებს. წირვის დამთავრების შემდეგ, მსგავსად სხვა საეკლესიო დღესასწაულებისა, ხიდისთაველთა ოჯახებში იმართებოდა ქეიფი და მსხვერპლთშეწირვა. მხიარულება დილამდე გრძელდებოდა.

---

[1] *იქვე, გვ. 20.*

[2] პატიოსან და ცხოველმყოფელ ჯვარს მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში რამდენჯერმე მოიხსენიებს: დიდმარხვის მეოთხე კვირას, რომელსაც ამის გამო ჯვრის თაყვანისცემის კვირა ეწოდება, 7 მაისს ჯვრის გამოცხადების სასწაულის ხსენების დღეს, 14 სექტემბერს – პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის ამაღლება.

**ოქონობა – ივერიის ღვთისმშობლობა**[1].

**სამებობა**. მართლმადიდებლური საეკლესიო დღესასწაული სამების ეკლესიაში, სასწავლებლის ქუჩაზე, იმართებოდა აღდგომის მესამე დღეს-სამშაბათს. ღვთისმსახურების შემდეგ ეკლესიის დიდ ბაღში მოსახლეობა იკრიბებოდა და ეწყობოდა სახალხო სეირნობა. ეს დღესასწაული იყო აგრეთვე ახალგაზრდობის შეხვედრების, ურთიერთგაცნობის და დროსტარების საშუალება.

**კვირაცხოვლობა** გორის მოსახლეობის რელიგიურ დღესასწაულებს განეკუთვნებოდა. კვირაცხოველი-მცირე, სომხური ეკლესია, მდებარეობდა მდ. მეჯუდის ნაპირად, გარეთუბანში, დღესასწაულზე თავს იყრიდა დიდძალი ხალხი. ისინი იქვე, ეკლესიის ეზოში ჯგუფ-ჯგუფად მოკალათდებოდნენ და თავიანთი საკვებით და სასმელით, ზურნით, სიმღერით და ცეკვით ქეიფობდნენ. საინტერესოა, რომ კვირაცხოვლის პატარა ეკლესიაში ღვთისმსახურება წელიწადში მხოლოდ ერთხელ ეწყობოდა და ემსახურებოდა მხოლოდ ერთი მღვდელი, რომელიც სხვა სომხური ეკლესიის წინამძღვარი იყო. მას ამ დღეს ჰყავდა მრევლი და ჰქონდა გარკვეული შემოსავალი ფულის და პროდუქტები სახით[2].

**ამაღლება**. გორის მოსახლეობა ამაღლების დღეს იკრიბებოდა ძველ სომხურ ეკლესიაში – ამაღლება. ამაღლების ეკლესია მდებარეობდა ღამბარეულის მახლობლად. ეკლესია პატარა იყო. იგი აშენდა ადგილობრივი სომეხი ვაჭრების, განსაკუთრებით, ოსიპ ანდრონიკოვის ფულით. აქ თავს იყრიდა მრავალი მლოცველი, უმეტესად კი სომხები, თუმცა გორში ამ მხრივ არ იყო მკაცრი დაყოფა. სომხების საეკლესიო დღესასწაულებს ხშირად ქართველებიც ესწრებოდნენ ისევე, როგორც ქართულს – სომხები. ამაღლების ეკლესიაშიც ღვთისმსახურებას ერთი მღვდელი აწარმოებდა სომხურ ენაზე და ისიც სხვა რომელიმე სომხური ეკლესიის (წმ. სტეფანეს, ღვთისმშობლის ან ახალსაყდრის) მღვდელი იყო[2].

**მარიამობა**. ა. გარსევანიშვილის გადმოცემით, მარიამობის დღესასწაული ეწყობოდა აგვისტოში, მიძინების დროს, ღვთისმშობლის სომხურ საკათედრო ტაძარში. აქ იყო ორი ეკლესია: ერთი მცირე, ძველად აშენებული, მეორე კი ერეკლე II-ის დროს აშენებული ტაძარი. საეკლესიო სიწმინდეთა თაყვანისცემის შემდეგ ეკლესიის დიდი გალავნის შიგნით მოსახლეობა შეი-

---

[1] იხ. გორის ისტორიის I ტომი – ოქონის ხატი და გარსევანიშვილები.

[2] *გ სიემ, №535, ფ. 124-125.*

[2] *იქვე, ფ. 126.*

კრიბებოდა და ზურნით და სიმღერით დროს ატარებდა. კვირას, მიძინების დღეს, სომხურ ეკლესიებში ყურძენს აკურთხებდნენ ხოლმე. მაგრამ ამ დროს გორში ყურძენი ჯერ კიდევ მწიფე არ იყო და ამიტომ მკვახეს აკურთხებდნენ. ჩვეულებრივ, კვირა-დღისით, წირვის დაწყების წინ, სომხური ეკლესიების მრევლს მოჰქონდა ყურძენი და ღვთის მსახურს გადასცემდა. მაგრამ მიძინების დღეს ყურძნის შეჭმა კურთხევამდე დიდ ცოდვად ითვლებოდა. წირვის დამთავრების შემდეგ მღვდელი ნაკურთხ ყურძენს დაურიგებდა ყველა მლოცველს და ამით დასრულდებოდა მიძინების დღესასწაული. ამის შემდეგ ანთებდნენ კანდელებს, ილუმინაციას, კლავდნენ ცხვრებს და ეწყობოდა ზეიმი ღამისთევით[1].

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მარიამობა („მიძინება ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“) ქართველთათვის დიდი დღესასწაული იყო. იქ, სადაც ღვთისმშობლის ეკლესიები არსებობდა, ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა, მიცვალებულთა მოსახსენებლად სუფრა კეთდებოდა, იმართებოდა ხატობები.

## 2. გასართობ-სანახაობანი

XIX ს. პირველი ნახევრის გორი ბევრად არ განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიის პროვინციული ქალაქებისაგან. ბატონყმობის პირობებში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ერთ ადგილზე მიჯაჭვის, ინფორმაციის საშუალებების სრულიად არარსებობის ან უაღრესად სიმწირის, ფინანსური სიდუხჭირის და სხვათა გამო, ქალაქში კარჩაკეტილობა და მოწყენილობა ისადგურებდა. მოსახლეობა ცდილობდა, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოენახა მეზობლებთან, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობის გაადვილების და გახალისების საშუალებები – თამაშობა-გართობები. ასეთი იყო **ლოტო, ლატარია, „ბიტკი“, „ფინჯრაობა“**, რომელიც იმ დროისათვის, გარკვეული გაგებით, მოქალაქეებს „ევროპიზაციის“ ილუზიას უქმნიდა. როგორც ქვემოთ მოყვანილი თამაშობებიდან ჩანს, ლოტოს და ლატარიას ორივე სქესის გორელები თამაშობდნენ, „ფინჯრობანას“ მხოლოდ ქალები, ხოლო „ბიტკს“ მხოლოდ ყმაწვილკაცები.

---

[1] *იქვე, გვ. 128.*

გავეცნოთ დასახელებული თამაშობების ორგანიზაციას და მსვლელობას, ისე, როგორც თანამედროვე და მონაწილე ი. პაპისმედოვი გადმოგვცემს. რადგან მისი „მოგონებები“ ჩვენი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი არ არის, ამიტომ იქიდან ვრცელ ნაწყვეტებს მოვიყვან.

დავიწყოთ **ლატარიით**. გორის ციხის ფერდობზე განაშენიანებულ ადგილს ციხის უბანს უწოდებდნენ. ამ უბანში თითქმის ყოველთვიურად იმართებოდა ლატარია-გართობა, სადაც ძირითადად დაბალი ფენის ახალგაზრდობა მონაწილეობდა. რომელიმე დიასახლისი, ორიოდე გოგო-ბიჭის, ანუ საორგანიზაციო ჯგუფის დახმარებით, თავის თავზე აიღებდა ლატარიის ჩატარების ინიციატივას და ახალგაზრდობას აუწყებდა ლატარიის მოწყობის ამბავს.

ლატარიაში თამაშდებოდა მცირედირებულებიანი ოქროს ბეჭედი ან რომელიმე სხვა ნივთი. დიასახლისი საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად წინასწარ გაითვალისწინებდა ლატარიაში გასათამაშებელი სუვენირისა და ცეკვა-თამაშში გამარჯვებულთათვის საპრიზო საჩუქრის ღირებულებას, გასართობად მოწვეული დამკვრელ მეზურნეების გასამრჯელოს, ლატარიაში მონაწილეთა რიცხვს და ამის მიხედვით დაადგენდა თვითეული მონაწილის გამოსაღებ ხვედრს.

გათვალისწინებული თანხის შეგროვების შემდეგ, დიასახლისი ნიშნავდა გათამაშების დროს და ადგილს. დათქმულ დროს, საღამოს 8-9 სათზე, ახალგაზრდობა თავს იყრიდა საზეიმოდ მორთულ ოთახში, სადაც უკრავდა ზურნა და დოლი, ან გარმონი და დაირა, ლატარიაში მონაწილეთა უმრავლესობა ერთმანეთს იცნობდა, მცირე ნაწილს კი საშუალება ეძლეოდა აქ გასცნობოდა მისთვის სასურველ პირს. ურთიერთგაცნობა-გაბაასების შემდეგ იწყებოდა ინდივიდუალური და ჯგუფური სიმღერა, ცეკვა-შეჯიბრი. შეჯიბრში გამარჯვებულებს მცირე საჩუქრით აჯილდოებდნენ ხოლმე...

დიასახლისმა, ოთახის ცენტრში, მაგიდაზე დადგა ლატარიის ყუთი, სადაც პატარა, დახვეული ქაღალდები ეწყო. თვითეული ჩვენთაგანი რიგრიგობით მიდიოდა ყუთთან და თითო ქაღალდს იღებდა. ნახევარზე მეტმა ამოიღო ბილეთები, მაგრამ იღბლიანი ბილეთი არავის შეხვდა. მერე ერთმა გოგომ ამოიღო, გაშალა და აღტაცებულმა ამოიკითხა ერთი სიტყვა „ერგოს!“-ს. ატყდა ყიჟინი,

ტაშის დაკვრა და მილოცვები. დასასრულს კვლავ გაიმართა ცეკვა, ამით დამთავრდა ლატარია-გართობა!“[1]

„გორში ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ახალგაზრდა ქალები, მოცალეობის ჟამს, უქმე დღეებში, თავს იყრიდნენ ჩვენს ან სხვის ოჯახში და **„ფინჯრაობას“** თამაშობდნენ, რომელიც თავისებურ გასართობ თამაშს წარმოადგენდა. სათამაშო საგნები იყვნენ ჩაიდნის სახურავები-„ფინჯნები“, ჩაის მისატანი ლანგარი და ოქროს ბეჭედი.

თამაშის დაწყებამდე, ექვსი ან რვა ქალი, ორ საამხანაგო და მოწინააღმდეგე ჯგუფად იყოფოდა. ჯგუფის წევრები წილს ყრიდნენ იმის დასადგენად თუ პირველად რომელ ჯგუფის წევრები გავიდოდნენ მეორე ოთახში, ან აივანზე და ლანგარზე აწყობდნენ 7 ფინჯანს, ერთ მათგანს, რომელიც დანარჩენებისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო, „დედას“ უწოდებდნენ და ლანგრის შუაგულში ჩადგამდნენ, დანარჩენ ექვსს „დედის“ ირგვლივ შემოაწყობდნენ და ერთ მათგანში ოქროს ბეჭედს დამალავდნენ.

პირველი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მიიტანდა ლანგარს მოწინააღმდეგე ჯგუფის წევრებთან, დაუდგამდა მაგიდაზე და იტყოდა:

– აშურა, მაშურა, შვიდი გადმოაშურა!

მოწინააღმდეგე ჯგუფის ერთი ან ორი წევრი დაიწყებდა ფინჯნების ახდას. თუ პირველადახდილ ან ბოლოახდილ ფინჯნის ქვეშ აღმოჩნდებოდა დამალული ბეჭედი, არც ერთ ჯგუფს ქულად არ ჩაეთვლებოდა და თამაშს ახლა მეორე ჯგუფი იწყებდა, თუ არა და, თამაში გრძელდებოდა ბეჭდის აღმოჩენამდე და ამით მთავრდებოდა პირველი ტური.

ბეჭდის აღმოჩენისას, დაითვლიდნენ ახდილ ფინჯნებს, რომელთაგან თვითეული ახდილი ფინჯანი დამწყებ ჯგუფს, თითო ქულად ეთვლებოდა, აუხდელი ფინჯნები კი მოწინააღმდეგე ჯგუფს ეთვლებოდა. ამის შემდეგ, მეორე ჯგუფი მალავდა ბეჭედს და თამაში გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე წინასწარ დათქმულ ქულათა რაოდენობას (101-151) რომელიმე ჯგუფი არ შეაგროვებდა.

წამგები ჯგუფი მართავდა ამხანაგურ სუფრას, რომელიც მეტწილად ნამცხვრის, ჩაისა და ტკბილეულობისაგან შედგებოდა“[2].

**„ბიტკს“** ცხენის ძუით ან მატყლით გატენილ და ტყავგადაკრულ ბურთით თამაშს ეძახდნენ. ბიტკის თამაშში რამდენიმე

---

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 154-155.*

[2] *იქვე, გვ. 155-156.*

ბიჭი მონაწილეობდა. ერთი მათგანი ჰაერში ააგდებდა ბურთს. ვინც ბურთის დაჭერას ან აღებას მოასწრებდა, მას შეეძლო მთელი ძალით ესროლა და მოეხვედრებინა ბურთი რომელიმე მოთამაშისათვის. ამის შემდეგ, ყველა ცდილობდა ძირსდავარდნილი ბურთი მოეხელებინა და სურვილისამებრ ესროლა რომელიმე უფრო ახლომდგომი მოთამაშისათვის.

ზოგჯერ ღონივრად ასროლილი და მრავალჯერ მოხვედრილი ბურთი ზურგს, ფერდს, გულმკერდს ან ლოყას აუწვავდა რომელიმე მოთამაშეს, მაგრამ ეს უკანასკნელი სათამაშო მოედანს მაინც არ ტოვებდა“[1].

რაც შეეხება **ლოტოს**, როგორც უკვე ითქვა, იგი ქალების და მამაკაცების სათამაშო-გასართობი იყო. მაგრამ „ცისკარში“ მოთავსებული ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ, გორში ლოტოს ძირითადად ქალები თამაშობდნენ[2]. გორელ მამაკაცებს „მამაკაცური“ გასართობები ჰქონდათ.

ყეენობა

[1] *„დროება“, 1875, №45.*

[2] *„ცისკარი“, 1865, №10.*

გორში უძველესი დროიდან არსებობდა და მოსახლეობის დიდი სიყვარულით სარგებლობდა სხვადასხვა სანახაობანი. XIX ს. დასაწყისში გორელი ავთანდილ თუმანიშვილი ჩამოთვლის პოპულარულ გასართობ-სანახაობებს. ესენი იყო სირბილი, ჭიდაობა, კრივი და ჯოხებით ბრძოლა. გაუგებარია, მკვიდრი გორელი ავთანდილ თუმანიშვილი სანახაობათა შორის რატომ არ ასახელებს გორელებისათვის განსაკუთრებით საყვარელ ყეენობას და ბერიკაობას, რომლებიც ნამდვილად არსებობდა და მათი მსვლელობა ცნობილია გასული საუკუნის სხვადასხვა ავტორის წყალობით.

გადიოდა დრო და ხალხური სპორტისა და ხელოვნების მთელი რიგი სახეობანი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მივიწყებას ეძლეოდა, რაც ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა სრულიად სამართლიან შეშფოთებას იწვევდა. როგორც XIX საუკუნის პრესიდან და სხვადასხვა მოგონებებიდან ჩანს, მაშნდელი მოღვაწენი სრულიად შეგნებულად იბრძოდნენ ისტორიულ ქარცეცხლში ჩამოყალიბებული კულტურის დაცვისათვის. ეს იყო რუსული და ევროპული კულტურის გადაჭარბებული თაყვანისცემის წინააღმდეგ გამოსვლა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს საკითხი, იქიდანაც ჩანს, რომ ერთხელ ილია ჭავჭავაძეც კი კრივზე დასასწრებად გორს ეწვია.

## ჭიდაობა, ჯოხებით ბრძოლა და კრივი

ჭიდაობაზე ვრცლად არ შევჩერდები, რადგან მკითხველისათვის ცნობილია და, ვფიქრობ, საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ეს სპორტული სანახაობა შეურყვნელი სახით არის მოღწეული და დღესაც გაოცებას იწვევს, როგორც სპორტის ერთ-ერთი ვაჟკაცური, რაინდული სახეობა. ამიტომაც იყო, რომ ა. თუმანიშვილმა ქართულ ჭიდაობას უწოდა „Борьба в пляске“. ამაზე კარგად, ალბათ, ვერც გამოვხატავთ იმ სილამაზეს, რაც ქართულ ჭიდაობას ახლავს. განა ჩვენ ხშირად არ გვითქვამს ქართული ჭიდაობის საყვარელ ფალავანზე, კი არ ჭიდაობს, ცეკვავსო! ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები. 1875 წლის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ, რომ აღდგომის კვირაში „ბაზრის ბიჭებს კრივი და ჭიდაობა ჰქონდათო“[1]. ჭიდაობის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ გორში მოდიოდნენ ცნობილი მოჭიდავეები. იმავე გაზეთის მიხედვით, 1890 წელს, „ამ ორ-სამ თვეში სამჯერ იქნა გამართული კულა გლდა-

[1] *„დროება“, 1875, №45*

ნელის მონაწილეობით ჭიდაობა გორის სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ“[1].

გორში მრავალი სახელგანთქმული ფალავანი იყო. 60-70-იან წლებში მოჭიდავეთა შორის გამოირჩეოდა ამბრიაშვილი[2]. 80-90-იან წლებში გამორჩეულნი იყვნენ ეგნატაშვილების ოჯახიდან: უფროსი ძმა ზაქარია და მისი შვილი ქიტა. მომდევნო ძმები: მიხაკა, იაკობი, იასე, კიკა. როდესაც თბილისის ცირკი საგასტროლოდ იყო გორში, ცნობილ მოჭიდავეს რობინს ქიტა დაეჭიდა და რამდენიმე წუთში დაამარცხა[3].

გორელი მოჭიდავის ლუკა დადიანიძის ინიციატივით ქართველმა ფალავნებმა – კოსტა მაისურაძემ, იოსებ ცერაძემ, კოლა ქვარიანმა, სანდრო კანდელაკმა, გიგო დოთიაშვილმა, შაშო ვერელმა და სხვებმა მოიარეს ირანი, ოსმალეთი, საფრანგეთი და ამერიკა და თავიანთი შესანიშნავი ჭიდაობით მოხიბლეს მაყურებლები[4]. გორელ მოჭიდავეთა შორის გამოირჩეოდა აგრეთვე ვასო გოგლიძე[5].

თედო სახოკია იგონებდა, რომ იგი არაერთხელ დასწრებია ქართულ ჭიდაობას, რომელიც იმართებოდა წმინდაწყალზე და ახალბაღის ლიახვისპირა მოედანზე, რომელსაც მირიანაანთ ბაღს ეძახდნენ. მას უნახავს გარეთუბნელი მამაკულას (დიდი კულას), ბაბუცას (ბაბოს), ბენას და სხვების ჭიდაობა. „მათი შემყურე, ქართველთა მძლეთამძლეობა წარმომიდგა თვალწინ, - იგონებდა თ. სახოკია, - მათმა გულგრილობამ და მკლავთამძლეობამ ამანთო, განმადიდა და ქართველთა სარაინდოში გადამიყვანა“[6].

***ჯოხებით ბრძოლა*** აგვიწერა ა. თუმანიშვილმა. მისი თქმით, ამ თამაშობისას „შეიყრებიან ქალაქგარეთ სააუგოზე, გაიყოფიან ორ ნაწილად, ხმლის ყაიდაზე გაკეთებული ჯოხებით ხელში ერთმანეთს მიეტევიან გამძვინვარებით და დიდი ხმაურობით; მათში მეშურდულენიც ურევიან ხოლმე; დამხდურთა მხარე ცდილობს თავის ადგილზე გამაგრდეს, ფეხი არ მოიცვალოს, ხოლო მიმხდომნი მედგრად ებრძვიან დასაძლევად; ბრძოლა რამდენსამე საათს

---

[1] *„ივერია“, 1890, №126.*

[2] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 29.*

[3] *„ლელო“, 1953, 25, 11.*

[4] *ალაზნელი ი., შესართაველი ფალავნები, 1963, გვ. 23.*

[5] *ჯულაბაშვილი ლ., თედო სახოკია-ქართლისა და გორის მოამბე, „გამარჯვება“, 1968, №33.*

[6] *გ სიემ, №535, ფ. 116-117*

გასტანს ხოლმე; ბევრნი დაჭრილნი ეცემიან მიწაზე; ბოლოს სიმამაცე და ღონე იმარჯვებს“.

პირველი ცნობა გორში გამართული ***კრივის*** შესახებ 1875 წლიდან გვაქვს, თუმცა ვიცით, რომ იგი გორში XIX საუკუნეზე ადრეც არსებობდა. კრივი გორის მოსახლეობის დაბალი ფენების საყვარელი სანახაობა იყო და ძირითადად ისინი მონაწილეობდნენ. იგი შიგ ქალაქში იმართებოდა სობოროს ქუჩაზე, ციხის მახლობლად.

ბრძოლა იმართებოდა შუადღის შემდეგ 3-დან 6 საათამდე. მებრძოლთა გასამხნევებლად გაუთავებლად უკრავდა ზურნა. შეჯიბრის ხელძღვანელები იყვნენ მუშტი-კრივის სპეციალისტები, რომლებსაც ფალავნებს ეძახდნენ. ისინი მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს ბრძოლის მსვლელობას და მთელს ცერემონიალს.

ამ სანახაობის მაყურებლები იყვნენ მხოლოდ მამაკაცები, მხოლოდ ზოგიერთი ქალი გასართობს სახლის ბანიდან თუ უთვალთვალებდა.

ამ პერიოდში გორში, ჩვეულებრივ, ცივი ამინდები, ყინვა და ქარი იყო. ამისდამიუხედავად, თითქმის შიშველი მოკრივენი საათების განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მოსახლეობაც მოთმინებით იტანდა სიცივეს და ინტერესით და გატაცებით ადევნებდა თვალს შეჯიბრს.

რა თქმა უნდა, თითოეული უბანი დაინტერესებული იყო თავისი მოკრივეების წარმატებით. ამიტომ ზოგიერთი შეძლებული მოქალაქე და მემამულე თავისი უბნის მოკრივეებს ღვინოს ასმევდა, რათა კიდევ უფრო აღგზნებულიყვნენ და თავგამოდებით ებრძოლათ. ამის შედეგად, არც თუ იშვიათი იყო სერიოზული დაზიანების შემთხვევები[1].

1881 წლის 6 მარტის „დროება“ წერდა: *„გორი, 28 თებერვალს ღმერთმა დაუმადლოს ბუნებისაგან მდიდარ იმერეთს, თორემ თქვენი მტერი, რომ ჩვენი საქმე იყო. უბრალო ჭყაპს ღვინის თუნგს მანეთად ვერ გაყიდდით, ამისათვის, რომ აქ რთველზედვე მჟავე ტკბილი კოკა თერთმეტ მანეთად იყიდებოდა. ამ წლობით იმერეთმა დიდი შემწეობა მისცა ქართლს, რადგანაც განუწყვეტლივ სვირისა და ყიფიანის ღვინოები იყიდებოდა გორში ათ შაურად ან სამ აბაზამდინ ამ იაფობამ ძალიან გაამხიარულა ხალხი გავლილ ყველიერობაში.*

---

[1] *გსიემ, №535,ფ.116-117*

*... კარგად რომ დაზარხოშდებოდნენ ხოლმე ხალხი, შეიყრებოდნენ ზემო და ქვემოთ უბნელები საჯირითო მოედანზე და პატარა ომები ჰქონდათ. ამ კრივების მოწყობით ბევრი კარგი ბიჭი ჩაწვა ლოგინში, ადგომა ღმერთმა იცის.*

*გავლილ ორშაბათსაც ნაკლები ჟლეტვა არ ჰქონდათ ორ უბანსა, მაგრამ კიდევ ზემოთ უბანმა გაიმარჯვა ისე, რომ საზღვარს გადავიდნენ და ხუდაანთ კარებამდის გალალეს ქვემოთ უბნელები. ქვემოთ უბნელების წინამძღოლი და მშველელი, როგორც იმ მხარის მემამულე, თ.ნ.დ-ძე იყო, ამ ბრძოლის ველზე ორი დღე წინ დახტოდა კაი ბელადივით, ფულითაც ასაჩუქრებდა მოკრივეებს, ბოლოს საკმაოდ შორიდან უთანაგრძნობდა ქვემო უბნელების მწუხარებას".*

მოღწეული მასალებიდან ჩანს, რომ კრივის ორი სახეობა არსებობდა – მუშტის კრივი და ქვის კრივი.

გორული კრივის ორივე სახეობა საკმაოდ დაწვრილებით აღწერა ალექსანდრე შაიშმელოვმა (შაიშმელაშვილი): *„ყველიერის პირველი კვირიდან დაწყობილი, მუდამ შუადღის შემდეგ, სობოროს ქუჩაზედ და შუა ბაზარში გავლა ძრიელ ძნელი იყო მოკრივე ხალხის სიმრავლისაგან. გორელები გაიყვნენ ორ ნაწილად, ქვემო უბანი ცალკე და ზემოუბანი ცალკე გავიდა. ზემო უბანი დაბანაკდა სობოროს ქუჩაზედ და ქვემო უბანი შუა ბაზარში. ქვემო უბანი ვერ ბედავდა სობოროს ქუჩაზედ ზემო უბნელებთან გამოლაშქრებას და აგრეთვე ზემო უბანი ვერ ბედავდა შუა ბაზარში. ერთმანეთთან მისვლის შიში აი რაში მდგომარეობდა: ზემო უბანი ოთხჯერ მეტი იყო რიცხვით ქვემო უბანზედ, ამისათვის ქვემო უბანი რომ მისულიყო ზემო უბანთან სობოროს ქუჩაზედ, როგორც ფართო ადგილზედ, მაშინ ზემო უბანი თავისუფლად მოთავსდებოდა და თითოზედ ოთხი-ხუთი კაცი მივიდოდა, და ზემო უბანი ვერ ბედავდა ქვემო უბნელებთან შუა ბაზარში მისვლას იმიტომ, რადგანაც ძრიელ ვიწროობა იყო და ერთ-ერთზედ ოთხი-ხუთი კაცი ვეღარ მივიდოდა და პირდაპირობისა კი ეშინოდათ.*

*მოკრივე ხალხის გარდა მაყურებელი დიდძალი ხალხი იყო: მთელი ქუჩა თავიდან ბოლომდისინ, ბანები, სახლის ფანჯრები, მოაჯირეები, სადაც კი რომ კედელზე ფეხის მოსაკიდი იყო და სხვა, ისე იყო ფერად-ფერადი ხალხით გამსილი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა, არასდროს არ ყოფილა ამდენი ხალხი. ჟღავ-ჟღუვი, ურას ძახილი და ამგვარი ჩოჩქოლი ძრიელ ბევრი იყო და კრივი კი კანტიკუნტად ხდებოდა. შებინდების ჟამს სიბნელისაგან იშლებოდა კრება და მიდიოდნენ თავთავიანთ სახლებში.*

*ამავე დაწყობილობით, გუშინ, დიდ მარხვის პირველ ორშაბათს, შუადღის სამ საათზედ, შეგროვდნენ თავ-თავის ბინაზედ მოკრივე ხალხი და მოაწყდა უთვალავი მაყურებელიცა.*

*ზემო უბნელებმა გამართეს დაფა-ზურნაზედ თამაშობა სობოროს ქუჩაზედ და ელოდებოდნენ როგორმე ჩამოეტყუილებინათ ქვემოუბნელები. ქვემო უბანმა ფეხი არ მოიცვალა შუა ბაზრიდან. ბოლოს ზემო უბნელები თავიანთ დაფა-ზურნით მიუხტნენ ქვემო უბნელებსა შუა ბაზარში და გაიმართა ათი წამის განმავლობაში საშინელი გაცხარებული მუშტის კრივი და, როცა ქვემო უბნელებმა გაირეკეს ზემოუბნელები, ამ დროს მაყურებლის ხალხის სიმძიმისაგან, უცებ დაეშვა შუა ბაზარში ჩარდახი და პანტაპუნტით ყირამალა წამოვიდა ზემოდან ხალხი, ამათში იყვნენ რამდენიმე მანდილოსნებიც და დაეცნენ მოკრივე ჯგუფ ხალხს. ამათ იღბალი, რომ ძირს არავინ დაეცა თორემ სულს ვეღარ ჩამოაწევდნენ.*

*მოკრივე ხალხზედ არაფრად იმოქმედა ამ ამბავმა და მაინც გაცხარებულნი ერთმანეთს სცემდნენ და ფეხს არ არიდებდნენ ჩამოცვენილ ხალხს და რამდენიმე წამის შემდეგ ორი კაცი გამოიტანეს ცოცხალ-მკვდარი, ერთი სრულიად გონებამიხდილი იყო და ხმას ვეღარ იღებდა და მეორე საშინლად გულსაკლავად კვნესოდა. საეჭვო არის მათი მორჩენა.*

*ამბობენ, ჩამოცვინულნი რომ ქვეშ მდგომ ხალხს არა დასცემოდნენ და ან ისე ჯგუფი ხალხი რომ არ ყოფილიყო, ერთი ვერ მორჩებოდაო. მე კიდევ ამას ვიტყვი, რომ თუ ამ შემთხვევას არ დაეშალა, ეს კრივი ოცამდის და კიდევ მეტს კაცს იმსხვერპლებდა, ისე გულმოსული იყვნენ ერთმანეთზედ. ერთს ვერ ნახავდით, რომ თავპირი დამტვრეული არა ჰქონოდა.*

*ბოლოს გაიმართა ქვის კრივი, მაყურებლები სრულიად გაიფანტნენ და ისეთი ამბავი მოხდა, რომ თითქოს სეტყვა მოვიდაო; ფანჯრები ისე დალეწეს, რომ აღარაფერი აღარ გაუშვეს. სახლის პატრონები ეშურებოდნენ კარების დაკეტვას და ფანჯრების ასაფარებლის მოგულვას, რომ თვითონ მაინც გადარჩენილიყვნენ. პოლიციამ ვერა გააწყო რა და არც უგონებდნენ. ბოლოს მოითხოვეს სალდათები, მაგრამ გვიანდა იყო და სიბნელისაგან ხალხი თვითონ დაიშალა“[1].*

როგორც ჩანს, კრივი, განსაკუთრებით მისი მეორე სახეობა – ქვის კრივი, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ უშუალო მონაწილეებს, არამედ, საერთოდ, მოქალაქეებს. ზემოაღ-

---

[1] *„ივერია“, 25. 02. 1886*

წერილს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები იქნება, რომ კრივი უმსხვერპლოდ არასოდეს დასრულდებოდა, ქალაქიც გარკვეულ მატერიალურ ზარალს განიცდიდა. ბუნებრივია, ქალაქის ხელისუფლება შეეცდებოდა აღეკვეთა მსგავსი სანახაობა და პოლიციასთან ერთად ჯარიც ეფექტურად გამოეყენებინა. მოვიყვან ფრაგმენტს ჩანაწერიდან, რომელიც ზოგიერთ დამატებით დეტალს შეიტანს ზემოაღწერილ კრივში.

ერთ-ერთი, ჩვენთვის უცნობი კორესპონდენტი 1896 წელს წერდა: „დიდმარხვის წინა კვირას, ჩვეულებისამებრ, ჩვენთან იმართება კრივი, რომლის დროსაც მებრძოლები იკრიბებიან მოედანზე, სადაც იმართება შეჯიბრი. დიდმარხვის პირველ კვირას ნიღბებიანი მებრძოლები დაიარებიან ქალაქში სალამურებით, დაირებით და საბრძოლო დროშებით, მცხოვრებთაგან ჰკრეფენ ფულს, რომლითაც იკვებებიან. ამგვარი ფორმით შემორჩა მეხსიერებაში ირანის ხანის მიერ დადებული ხარკი.

იმის გამო, რომ კრივი ყოველთვის მშვიდობიანად არ მთავრდება, ამ წელიწადს გორის მაზრის უფროსმა თავ. ერისთავმა აკრძალა მისი გამართვა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ შესაფერისი ზომები გაატარა, მცირერიცხოვნობის გამო ვერ შეძლო გაფანტვა ხალხის დიდი ბრბოსი, რომელმაც თავი მოიყარა კრივზე. ამიტომ საჭირო გახდა გორის სარეზერვო პოლკიდან ნახევარი როტის მოხმობა პოლიციის დასახმარებლად“[1].

1897 წლიდან გორში მუშტი-კვრივი აიკრძალა.

1888 წ. გამართული კრივის დროს გაიმარჯვეს „ქვემო“ გორელებმა, რომელთა რიგებში იყვნენ საუკეთესო მოჩხუბარი ხელოსნები[2]. 1893 წ. ყველიერში გორში კრივი სამჯერ გამართულა. პირველ დღეს ქვემო გორელებმა გაიმარჯვეს, შემდეგ ორჯერ კი ზემოურებმა იმარჯვეს[3]. კრივი გორში იმდენად საინტერესოდ ტარდებოდა, რომ მის სანახავად არამხოლოდ ახლომდებარე სოფლებიდან, არამედ თბილისიდანაც კი ჩამოდიოდნენ. ერთხელ 1895 წ. ასეთ სტუმართა შორის „ივერიის“ მთელ რედაქციასთან ერთად დიდი ილიაც ყოფილა[4]. კრივში მონაწილეობდნენ გორის სასწავლებლის მოსწავლეები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდ-

---

[1] *„Новое обозрение“, 1896, №4163.*

[2] *„ივერია“, 1888, №61.*

[3] *იქვე, 1893, №39.*

[4] *სულიაშვილი დ., მოგონებანი ძველ გორზე „ლიტერატურული მატიანე“, 1940, №1-2.*

ნენ სასულიერო სასწავლებლის ორი აღსაზრდელი – ნოზაძე და თვალიაშვილი[1].

სახელგანთქმული გორელი მოკრივეები იყვნენ: „გლადკა მედროგე, „გოჭი ბიჭი“ ვანო ზაზუნაშვილი, „ფრთიანი“ სირაჯი ვასო ტეტუნაშვილი, ხილის ვაჭარი სმონა ჯოხაძე, მენახირე „გოგლას ბიჭი“, „გიჟ-ლუკად წოდებული „ბერუხა“, ხიდისთაველი გლეხი „ნოღა“ კაკა აბაზაშვილი, მიკიტანი „მეშოკა“ ვასო, „უჩენიკი“ ვასო ედილაშვილი, ჯურჯალა მედროგე, დურგალი „საცერა“ მურადოვი, „ზაპოჟნიკი“ ვანო, ნიკა წიკლარი, „გოჭი-ბიჭის“ ტყუბი ძმა გიორგი ზაზუნაშვილი, ხარაზი „მიხლაძე“ სოსო ჩიხლაძე, „ნახირა“[2]

მართალია არა ზემოაღწერილი მასშტაბებით, მაგრამ გორის უბნებს შორის ქიშპი, რომელიც მუშტი-კრივში გადაიზრდებოდა ხოლმე, კარგა ხანს შემორჩა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებშიც კი, და მასში მხოლოდ მოზარდები მონაწილეობდნენ.

## *ყეენობა*

გორელების საყვარელი სანახაობა ყეენობა – ქართული ხალხური თეატრის ერთ-ერთი სახეობა იყო. მისი ფესვები წარმართობის დროიდან მოდის და უკავშირდება განაყოფიერების კულტის მისტერიას. შემდეგში ყეენობამ ჩამოიცილა რელიგიური შინაარსი და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შინაარსი შეიძინა. XIX ს. მეორე ნახევრიდან იგი გადაიქცა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ სანახაობად. სანახაობა წარმოადგენდა ყეენის მოკაზმვის, მისი ჯარის შემოსევის, ქალაქისა თუ სოფლის დარბევის, ქართველთა სარდალსა და ყეენს შორის ბრძოლისა და, ბოლოს, დამარცხებული ყეენის მდინარეში გადაგდების სცენებს. ყეენობა გავრცელებული იყო საქართველოს მრავალ კუთხეში და მცირეოდენი ნიუანსებით მიმდინარეობდა[3].

ყეენობის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა ცნობილმა მწერალმა დავით სულიაშვილმა, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებში გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა.

---

*[1] მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 39.*

*[2] ლუკაშვილი ე., ძველი გორის მოკრივეები // ჟურნ. „დროშა“, 1969, №5(390).*

*[3] აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გვ. 74-76.*

„... გაშლილი ხალხი შუაგულ ქუჩაზე ნელი ნაბიჯით მიდის. ისმის ზურნის ჭყლიპინი, ყვირილი, ძახილი...

ჩოხიანები, კაკარდიანები, ხალათიანები ერთმანეთში არეულა. პატარა ბიჭები წინ გარბიან, რაღაცას შესცქერიან.

... ორი ახიდული აქლემი ნელი, გაზომილი ნაბიჯით, თითქოს მიწას ტკეპნიან, ზლაზვნით და ქანაობით მიაბიჯებენ, გრძელი კისრები გველებივით აუყირავებიათ და კვერცხივით პატარა თავებს აქეთ-იქით აქანებენ, თითქოს ვინმეს ეძებენო. გვერდში ქონდრის კაცებივით მომავალ ხალხს კი ვერ ამჩნევენ...

აქლემის კუზიან ზურგზე კაბით გადაჩაჩხული, შეთხუპნული სახის მკერდჩავარდნილი ქალი თუ კაცი (ვერ გაარჩევ) მორცხვად თავჩაღუნული იღიმება, ალმაცერად აქეთ-იქით იცქირება, თავზე თავშალი შემოუკრავს, შუბლზე წამოუწევია და ნიკაპთან მარყუჟად შეუკრავს.

მეორე აქლემზე მჯდარი ყარაჩოღულად ჩაცმული ვაჟი თამამად იცქირება. აქლემის ქანაობასთან ერთად ისიც აქეთ-იქით ექანება, იზნიქება, იგრიხება, იმანჭება, შავ ულვაშებს იგრეხს.

ორთავეს თავზე დამსხვრეული გვირგვინები ადგიათ. ვაჟს სპარსული ჩალმა ახურავს, სპარსული ხმალი და ხანჯალი წელს უმშვენებს. ნეფე-დედოფალივით ერთმანეთს არ სცილდებიან.

ნეფე მხიარულია, ხალხსაც ამხიარულებს. იგი ხშირად დედოფლისკენ გადაიწევს, ხელს მოხვევს და კოცნის. დედოფალი ინაზება, მორცხვობს.

ყვირილი, სტვენა, ძახილი და ზურნის ჭყლიპინი ქუჩას ამხიარულებს. გრძელჯოხიანი მეზურნეები გაბერილი ლოყებით და ბაყაყის გაჭყლეტილი თვალებით ბრბოს უკან მისდევენ... დოლის ბრახუნი ქუჩებს ეფინება. მცხოვრებნი სახლებიდან გარეთ გამორბიან... ფანჯრებიდან ბავშვები და ქალები იცქირებიან...

ორი ჩოხიანი გამვლელებისაგან და მცხოვრებლებიდან კრავის ქუდში ფულს აგროვებს.

ზოგან ბრბო შეჩერდება. მაშინ ზურნა უფრო აჭყიპინდება. ვინმე ახალგაზრდა წრეს მორკალავს, აქლემებს დააჩოქებენ, ნეფე-დედოფალს ჩამოსხავენ. სათამაშო წრეში ნეფე-დედოფალს ხელისკვრით შეაგდებენ. ზურნა ლეკურს აჭყიპინებს და ორი წყვილი წადა, ერთი კაბის ქვეშ და მეორე ჩოხას ქვეშ, – ათამაშდება, ხტუნავს და ჭვინტზე დგება...

მერე ისევ აქლემზე შესვამენ და არეული ხალხი შუა ქუჩით კვლავ დაიძვრის...

დღის განმავლობაში ქუჩებს მოივლიან, საღამოს კი ლიახვის პირას გავლენ, ნეფე-დედოფალს ჩამოსვამენ, გვირგვინებს მოხდიან,

*მათ კი წყალში გადაყრიან, ამოწუმპავენ... ზედმეტ ტანსაცმელს გახდიან და ჩვეულებრივ ტანსაცმლით სუფრაზე დასვამენ... მოგროვილი ფულით ქეიფს შეყვებიან. შებინდებისას კრივს გამართავენ"*[1].

ყეენობა რომ პატრიოტული იდეებით დამუხტული სანახაობა იყო და ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის განაწყობდა, საქართველოში შემოსვლისთანავე იგრძნო რუსულმა ხელისუფლებამ და ეს *„გასართობი"* აკრძალა. მაგრამ ქართველმა ხალხმა აიძულა მთავარმართებელი ციციანოვი აკრძალვა გაეუქმებინა[2].

XIX ს. დასასრულს მთავრობამ ყეენობა მაინც აკრძალა[3].

უძველეს ხალხურ სანახაობათა შორის, რომლებიც გორში იმართებოდა, იყო ბერიკაობა. გორში გამართულმა **ბერიკაობამ** „ივერიის" კორესპონდენტს გამოათქმევინა წუხილი ქართული ხალხური ჩვეულებების მივიწყების გამო, დრო მოვა და მხოლოდ ზღაპარივით უამბობენ ერთი მეორეს ყეენობასა და სხვა ამბებსო.

ბერიკაობა ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი იყო და განაყოფიერებისა და შვილიერების კულტის სადიდებლ სანახაობას აღნიშნავს და ნაწარმოებია საერთო ქართველური ძირიდან „ბერ" (შვილი). წარმოდგენაში მონაწილეთ ბერიკები ერქვათ. სცენარები, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა ბერიკული წარმოდგენები, საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, ახალი შინაარსით მდიდრდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დროთა განმავლობაში ბერიკაობამ დაკარგა რელიგიური დანიშნულება და ფართო მასების ცხოვრებისა და მისწრაფებების გამომსახველად იქცა. იგი შეიცავს მტრებთან ბრძოლის ამსახველ სურათებს, არსებული ხელისუფლების, ეკლესიის მსახურთა, მოსამართლეთა საქმიანობის კრიტიკის სცენებს და ყველაფერი ეს გადმოცემულია კომიკური სახით[4].

საინტერესოა, რომ, როგორც „ივერიის" გორელი კორესპონდენტი წერს, ხალხური სანახაობები გორშიღა შემორჩენილა[5]. სა-

---

[1] *სულიაშვილი დ., მოგონებანი ძველ გორზე, გვ. 32-34.*

[2] *Акты, X, с. 826.*

[3] *„კვალი", 1894, №20, გვ. 8.*

[4] იხ. დ. ჯანელიძის სტატია *„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში"*, *ტ. II, გვ. 318.*

[5] *„ივერია", 1893, №39.*

ვარაუდოა, რომ კორესპონდენტს ქართლის ქალაქები ჰქონდა მხედველობაში, თორემ კახეთში, სამცხეში, სვანეთში და სხვაგან რომ ყეენობა და ბერიკაობა მაშინაც და შემდეგშიც იმართებოდა, ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ გორის მაზრის სოფლებში ეწყობოდა ყეენობა, ბერიკაობა, ლაზარობა, ჭონა და სხვა სანახაობები. იმავე კორესპონდენტის თქმით, *„ჩვენ ქალაქ გორში კვლავ მთელი ყველიერი ბერიკაობასა და სხვადასხვა ლხინში და შექცევა-თამაშობაში გაუტარებიათ“.* მაგრამ კორესპონდენტი არაფერს ამბობს თვით ბერიკაობის მსვლელობაზე.

ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღწერილი ბერიკაობა. ისინი რაღაც ნიუანსებით განსხვავებოდნენ ერთმანეთისაგან. რადგან არ ვიცით, როგორ ტარდებოდა იგი გორში, ამიტომ შეიძლება ვისარგებლოთ გორის მახლობლად მდებარე სოფ. მეტეხში (დღევანდელი კასპის რაიონი) მოწყობილი ბერიკაობის აღწერით. იგი სრულიად მსგავსი თუ არა ახლოს მაინც იქნებოდა გორის სანახაობასთან. ეს ვარაუდი იმაზეც არის დამყარებული, რომ მეტეხელები ხშირი სტუმრები იქნებოდნენ სამაზრო ცენტრისგორისა, რომელიც ტონს აძლევდა მაშინდელი შიდა ქართლის კულტურულ ცხოვრებას. მეტეხელები, შეიძლება თვითონაც მონაწილეობდნენ გორში გამართულ სხვადასხვა სანახაობებში და, მათ შორის, ბერიკაობაშიც.

აი, როგორ აგვიწერს მეტეხში გამართულ ბერიკაობას თვითმხილველი ი. პაპისმედოვი:

*„ყეენობის გასვლის ხუთი თუ ექვსი კვირის შემდეგ, სოფელში ბერიკაობა იმართებოდა, რომელიც საინტერესო სანახაობასა და თავისებურ სოფლურ კარნავალს წარმოადგენდა. 10-12 კაცი ცხვრის ან თხის ტყაპუჭებს გადაიცვამდა, ბეწვიანი ტყავის ქუდებს დაიხურავდა და ისე შეიცვლიდნენ შესახედაობას, რომ ძნელი იყო მათი გამოცნობა.*

*ჩაცმულობის მხრივ, მათ შორის მეტად გამოირჩეოდა მთავარი ბერიკა, რომელიც სხვებზე უცნაურად იყო მორთულ-მოკაზმული. მას ბეწვიან ქუდზე წამოცმული ჰქონდა თხის რქები, რქებზე ზანზალაკები ეკიდა. იგი ხელმძღვანელობდა ბერიკების მთელ ანსამბლს. ამასთან მას, ყველაზე მეტად ეხერხებოდა სიმღერა, ოხუნჯობა, ცეკვა-თამაში.*

*ბერიკებს ჰყავდათ „ნეფე-დედოფალი“. დედოფალი ქალის სამოსში გამოწყობილი მამაკაცი იყო. ანსამბლს ახლდა „ექიმიც“, ავადმყოფთა მკურნალობა ევალებოდა. ზოგი ბერიკა სალამურს უკრავდა, ზოგი - დოლს, ზოგს გუდა ჰქონდა ზურგზე გადაკიდებული, ზოგს დაწნული კალათა ეჭირა ხელში, სხვებს – ხელ-*

*კეტები. ბერიკები ცეკვა-სიმღერით დადიოდნენ სოფელში, დროდა-დრო ჩერდებოდნენ გლეხის კარ-მიდამოსთან და მხიარულ, საო-ხუნჯო ცეკვა-თამაშს მორთავდნენ.*

*ფრიად სახალისო სანახავი იყო ნეფე-დედოფლის ცეკვა. ფე-რუმარილით წათხუპნული დედოფალი გასათხოვარ გოგოსავით იპრანჭება, წელში იგრიხება, ხან იღიმის, ხან უბღვერის, გაურბის და ებუტება ნეფეს. გახელებული ნეფე ძუნძულით აედევნება, მოი-ხელთებს და გულში იხუტებს მას. დედოფალი ებღლაძუნება ნე-ფეს, სილებს უტყლაშუნებს ლოყებზე, მერე ეხვევა, გაშმაგებით კოცნის, მაყურებლები სიცილით იჭაჭებიან.*

*ერთი ბერიკა დედოფალს ეარშიყება, ელოლიავება, დედოფალი თანაუგრძნობს მას. გაანჩხლებული ნეფე საჩხუბრად მიიწევს მო-ქიშპისაკენ. ეს უკანასკნელი კი „ტყვიას“ ესვრის მას ხის თოფი-დან და „სასიკვდილოდ“ დაჭრილი ნეფე მიწაზე გაიშოტება, ფარ-თხალებს, იკლაკნება, დედოფალი დაემხობა „მომაკვდავთან“, ტი-რის, მოთქვამს, შველას თხოულობს.*

*მიმართავენ ექიმს. იგი ცხენს მოითხოვს წამლის მოსატანად. ცხენის ნაცვლად კეტს მიაჩეჩებენ ხელში. ისიც სწრაფად მოაჯ-დება თავის „ბედაურს“ და ერთი ბერიკის გუდიდან ამოათრევს ბოთლით წამალს, მიიტანს მომაკვდავთან, მოაყუდებს პირზე და მადიანად გამოაცლევინებს (ბოთლში, რა თქმა უნდა, ღვინო იყო). წამლის მიღების შემდეგ ნეფე „იკურნება“. გახარებული ბერიკები ატეხენ ყიჟინს, ხტიან, კუნტრუშობენ... ბერიკები აგროვებდნენ ფულს, კვერცხებს, ღვინოს, სურსათ-სანოვაგეს და გაწეული „შრო-მის“ ფასად ქეიფობდნენ და ილხენდნენ“*[1].

---

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 130.* საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბერიკაობის მოწყობის წესის შესახებ იხ. *აბაკე-ლია ნ., ალავერდაშვილი ქ., დამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გვ. 71-74.*

გორში, მართალია ეპიზოდურად, მაგრამ მაინც ტარდებოდა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები: ეწყობოდა ლიტერატურული დილა-საღამოები; კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, შეხვედრები გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებებს ზოგჯერ თბილისიდან ჩამოსული კოლექტივები ატარებდნენ, უმეტესად კი გორელების თაოსნობით და ძალებით ეწყობოდა.

გორის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიის და კულტურის დიდი მოამაგის მარი ბროსეს სტუმრობა გორში. მ. ბროსემ მოინახულა გორისა და მისი მაზრის ზოგიერთი ღირშესანიშნაობანი: უფლისციხე, გორიჯვარი, ატენის სიონი, სამთავრისი, გორის ციხე და სხვა, რამაც სტუმარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს 1848 წლის 30 მარტს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის მამულში სოფ. ხიდისთავში. სუფრაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა მწერალმა, დრამატურგმა გიორგი ერისთავმა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა ფრანგ მეცნიერს ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში გაწეული შრომისათვის.

გიორგი ერისთავს ასე მიუმართავს სტუმრისათვის: „უფალო ბროსსეტ! იმა დროითგან ოდეს ივერთა მოესმათ მაღალნი შრომანი თქუენნი განსასწავლებლად ჩუენის ენისა და ქუეყანისა არხიოლოგიურის და ისტორიულის მხრით, უმწვერვალეს სურვილად ჩუენდა იყო გვეხილეთ თქუენ მამულსა შინა ჩუენსა, რათამცა გამოგვეცხადებინა თქუენთვის მადლობა ჩუენი! გულითადი სურვილი ჩუენი აღსრულდა! თქუენ გხედავთ საშუალ ჩუენსა!

უფალო ბროსსეტ! უტევე ფიალა სავსე, ესე იყოს წინდად ჩუენისა უღრმესის თქუენდამი პატივისცემისა და ესე არს ხმა ერთობრივ ჩუენთა მემამულეთა! ხსოვა შენი გარდავალს ჩუენ შუილთა შუილამდე. და იგინი პატიოსნებით წარმოსთქვამენ შენსა სახელსა.

უფალნო! დავლიოთ სადღეგრძელო უფლის ბროსსეტისა, რომელსა უყვარს ენა რუსთაველისა, პეტრიწისა და ხონელისა, და რომელიცა აცნობებს ამა ენისა განათლებულთა ერსა, მხარესა და ქუეყანასა“.

ფრიად საინტერესოა მარი ბროსეს საპასუხო სიტყვა წარმოთქმული ქართულად: „უფალნო კეთილშობილნო! გულითად ვგრძნობ და დიდათ მადლობელი ვარ მოწყალებისა თქუენისა და

პატივისცემისათვის, რომელი გიჩუენებიათ ჩემდა, მარამ მე ისეთი ამპარტავანი არა ვარ, რომ თავსა ჩემსა მივაჩემო ასეთი პატივით მიღება თქუენ მიერ. მე ასე დარწმუნებული ვარ, რომელ ამ აზრად მოგიყვანესთ მეცნიერების სურვილმა და მამულის სიყვარულმა, იმისთვის ღმერთმან ინება აღმირჩია მე, უღირსი, საქართუელოს ლიტერატურისა განმაღვიძებლად. რა შემეძლო თვინიერ შეწევნისა.

დრო იყო, ოდეს ყვავილობდა საქართუელოში ჰსწავლა და ხელოვნებათა წადილი, უნამეტნავესად ბაგრატ მესამედგან დაწყებული ვიდრე მონგოლების დრომდე, სამი საუკუნე გავიდა ძლიერი და სახელგანთქმული იყო საქართუელოს ხალხი და მეფობა მათი. მას შემდგომად დროთა ვითარებისა გამო ასე შესწუხდა და დამცირდა საქართუელო ოსმალთა და სპარსთა ძალით, ასე დამდაბლდა, რომელ საჭიროდ შეიქმნა მოტლოლვილება რუსეთის მფარველობის ქუეშე. წარმართოს ღმერთმან მეფობა დიდისა ხელმწიფისა. მას უყვარს საქართველო, ბრძანებითა მათითა, ასეთი მოადგილე გამოგზავნილია საქართველოში, რომ იგი განაღვიძებს ქართველთა და განაახლებს მათსა ლიტერატურასა.

მეც მათი ბრძანებითა დაბარებულ ვიყავ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში, გავწესდი ქართული სიტყვიერების და ძუელის ცხოვრებისა მეძიებლად, ნეტაი წარმემართოს გზა ჩემი.

საქართველოს უფროსნი მფარველნი და მოყვარულნი გამოჩნდნენ კნიაზი მიხეილ სიმონიჩი ვორონცოვი და აკადემიის პრეზიდენტი გრაფი სერგეი სემიონოვიჩი უვაროვი. ესენი არა მხოლოდ მფარველ შეიქმნენ საქართველოსა და მისის სიტყვიერებისა, ნამეტნავად მათის ნება-დართვისა და შემწეობის მიცემითა გამოგზავნილი ვარ აქა იმისათვის, რომ გამოვიძიო რაც არის საქართველოში ღირსი ხსენებისა სიძველე თუ ახალი მასალა.

ნუ დაგავიწყდებათ თავად-აზნაურნო, ახლა მეფობენ ქუეყანაზე და დედოფლობენ ჰსწავლა და ხელოვნებანი. თქუენც ეცადენით, რომ განსწავლოთ ყმაწვილნი სხუა და სხუა ხელობითა. შეეწიენით თავსა თვისსა. ღმერთი არ დაგაკლებთ მოწყალებასა თვისსა, შეევერთდები თქუენთანა გულითა და მუშაკობითა.

აქამდისინ ყოვლის ღონისძიებით შეეწივნენ ვინც არიან თავად-აზნაურთა შვილები და საკუთრად გორის მაზრის კეთილშობილურმა საზოგადოებამ ასეთი მონაწილეობა მაჩვენა, რომ არ შემიძლია მადლობა არ მოგახსენოთ.

განგიმეორებთ მადლობასა. თქუენ სადღეგრძელოს დავლევ. გთხოვთ დიდად პატიოსანთა გვამთა, ესე იგი კნიაზ ნამესტნიკისა და გრაფ უვაროვ მინისტრისა, საზოგადო განათლებისა აკადემიის

პრეზიდენტის სადღეგრძელო კვლავად დავლიოთ. ღმერთმან გაუმარჯოს კნიაზ ნამესტნიკსა და გრაფ უვაროვსა“[1].

მ. ბროსეს საქართველოში მოგზაურობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. საქართველოდან წაღებული მასალები მან შემდგომში სამ ტომად გამოაქვეყნა.

1872 წლის 8 და 26 მარტს მოეწყო ქართულ-რუსული ლიტერატურული საღამოები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გორის კულტურულ ცხოვრებაში. 8 მარტს გამართულ საღამოზე წაკითხულ იქნა ქართველი პოეტების, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ნაწარმოებები. რუსული ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ლერმონტოვის, მაიკოვის, ნეკრასოვის და სხვათა პოეზიით[2]. გაზეთმა „დროებამ“ დაწვრილებით აღწერა აღნიშნული ღონისძიება. სხვათაშორის, მასში მონაწილეობა მიიღო მწერალმა, შესანიშნავმა დეკლარატორმა დავით ერისთავმა – გიორგი ერისთავის შვილმა. თუ როგორ წარიმართა 26 მარტს გამართული საღამო და როგორი დიდი ინტერესი გამოიწვია მან გორის საზოგადოებისა, კარგად ჩანს „დროების“ ინფორმაციაში: *„შეიკრიბა საზოგადოება ფრიად ბლომად. ქალი და კაცი და, რასაკვირველია, ყველა მოუთმენლად ელოდა გამოსვლას თავად დ. ერისთავისას, რადგანაც პროგრამაში გამოცხადებული იყო, რომ პირველად იმას უნდა წაეკითხა; მართლაც კარგად წაიკითხა ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, ასე რომ დიდის ტაშის კვრით გამოუძახეს მეორეთ. შემდეგ წაიკითხა სხვადასხვა თხზულება ი. ჭავჭავაძისა, გ. ერისთავისა და რუსულ ენაზედ სხვადასხვა ავტორების თხზულება. მართლაც, ძალიან კმაყოფილი დარჩა გორის საზოგადოება თავად დ. ერისთავის კითხვაზედ, ასე რომ დიდის სიამოვნებით ამეორებინებდნენ კითხვას. შესანიშნავ კარგად წაიკითხეს აგრეთვე ექიმმა ვიშნევსკიმ და თავად ვ. თარხნიშვილმა. პირველმა - სცენები გორბუნოვისა, მეორემ - თავად გ. ერისთავის თხზულებებიდან. თავად ივანე ერისთავის კითხვაზედ ნეკრასოვიდან საზოგადოებაში მეფობდა დიდი სიჩუმე: ეტყობოდა დიდი კმაყოფილება ხალხში; მართლაც გაათავა თუ არა კითხვა - დაჰკრეს ტაში“*[3].

26 მარტს გამართულ საღამოს ყურადღება დაუთმო რუსულმა პრესამაც. განსაკუთრებით გამოყვეს და დიდი შეფასება მისცეს

---

[1] *მელვინეთუხუცესოვი დიმ., სადილი გორის უეზდის კეთილშობილ საზოგადოებათა, „ცისკარი“, 1860, №4, გვ.282-285*

[2] *„Кавказ “, 1872, №33.*

[3] *„დროება“, 1872, №14.*

გორელი ივანე ერისთავის მიერ ნეკრასოვის ნაწარმოებების მხატვრულ წაკითხვას[1].

70-იან წლებში გორის ხშირი სტუმარი იყო თბილისის ქართული დრამატული დასი. თბილისელ სცენის ოსტატებს დიდი სიყვარულით და ხელგაშლილად ხვდებოდნენ გორელი მასპინძლები. თბილისელი სტუმრები თავიანთი შესანიშნავი ხელოვნებით უხდიდნენ მადლობას. როგორი იყო გორელთა რეაქცია 1879 წლის ივნისში თბილისის თეატრალური დასის გასტროლებისადმი, კარგად ჩანს. ა. ცაგარელის მოგონებებში. *„წარმოდგენებს ვმართავდით როტონდაში, – იხსენებდა ა. ცაგარელი, – ხიდის ყურთან, ქალაქის ბაღში... რა თქმა უნდა რომ, როტონდა სულ სავსე იყო ხოლმე. ან სად დავტევდით ამოდენა ხალხს: გორელები ხომ იყვნენ და იყვნენ – დიდი და პატარა, ეხლა სოფლებიდან მოემატა თავად-აზნაურობა... ზალაში ხომ ჭედვა იყო, და ბევრი ერთიორად იძლეოდა ფულს, ოღონდაც კარებიდან და ფანჯრებიდან გვაყურებინეთო. ჩვენც ვაღებდით კარებს და ფანჯრებს; ამგვარად ხალხი, რომლითაც სავსე იყო მთელი ბაღი, სიამოვნებდა წარმოდგენის ნახვით. მეტი იქნება ვთქვა, რომ ამ წარმოდგენების გამო საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა... ერთ კვირამდის დავრჩით გორში, რამდენიმე წარმოდგენა გავმართეთ, რომლითაც დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი დავრჩით ჩვენც და საზოგადოებაც... თითქმის მთელი გორი გამოგვყვა სადგურზე გასაცილებლად. შემდეგ მრავლის გამოსათხოვრებელის სიტყვებისა, ჯანსაღით და გამარჯვებით დაბრუნების სურვილის გამოცხადებისა ჩვენ გამცილებელთაგან, ჩავსხედით მატარებელში და გაუდეგით გზას გულნაღვლიანი ძვირფასის საზოგადოების დატოვების გამო. ჩვენზე არა ნაკლებ გულნაკლულნი დავტოვეთ საზოგადოება, რომელიც ისე შეგვეჩვია და შეგვეთვისა, რომ ჩვენი მოშორება ადარ უნდოდათ“[2].*

1882 წ. მარტში გორელებმა დიდი შეხვედრა მოუწყეს ნიკო დიასამიძის მიერ მოპატიჟებულ აკაკი წერეთელს. 13 და 14 მარტს მისი მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურული საღამოები. აკაკიმ წაიკითხა ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“ და თავისი ლექსები. საღამოზე მიწვეულნი იყო გორის სასწავლებლების ყველა მოსწავლე.

საღამოზე დასწრებისათვის მათ ფული არ გადაახდევინეს. „საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო თავისი საყვარელი პოეტი, არ

---

[1] *„Кавказ “, 1893, №33.*

[2] *ცაგარელი ა., კომედიები, თბ., 1936.*

იცოდნენ როგორ გამოეთქვათ თანაგრძნობა, სიყვარული და პატივისცემა ამ დაუცხრომელი სამშობლოს მგოსნისათვის“. აკაკის მოუწყეს ვახშამი. შეიძლება ითქვას, უდიდესი ზეიმი იყო მისი გაცილება მატარებლის სადგურამდე. ესეთი გულისამაჩუყებელი შეხვედრა-გაცილების შემდეგ იყო, რომ აკაკიმ დაწერა გორისადმი მიძღვნილი „მესტვირული“[1].

საკმაოდ ხანგრძლივი დროით ეწვია აკაკი გორს 1887 წელს. მას თან ახლდა ლადო ალექსი-მესხიშვილი, რადგან დასადგმელად ამზადებდნენ აკაკის პიესას „თამარ ცბიერს“. სპექტაკლში ლ. მესხიშვილს გოჩას როლი უნდა შეესრულებინა. პიესა დაიდგა 22 მაისს. წარმოდგენას უამრავი ხალხი დასწრებია. როგორც სოფრომ მგალობლიშვილი იგონებდა, „მესხიშვილის თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, ასე რომ მთელი წარმოდგენა გაბმული ოვაცია იყო აკაკისა და მესხიშვილისა“.

გაზ. „ივერია“ კი იტყობინებოდა: *„ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი ავტორი „თამარ ცბიერისა“ ხელით გამოიყვანეს ქუჩამდე და ფაეტონში ჩასვეს. საზოგადოებამ ღირსეული პატივი სცა აკაკის და არტისტებსა იმ სადილზე, რომელიც გაიმართა სტუმართათვის. ბევრი მადლიანი სიტყვა ითქვა და განახლდა სული და გული. სადილზე აკაკის სადღეგრძელოსთან ერთად დაილია სადღეგრძელო მეორე ჩვენი მწერლისა: საზოგადოება ფეხზე ადგა და მრავალჟამიერის წარმოთქმით დალიეს სადღეგრძელო ბ-ნ ილია ჭავჭავაძისა. სადილად იყო მოწვეული ჩვენი გამოჩინებული ლიტერატორი ან. ფურცელაძე“*[2].

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ლადო აღნიაშვილის მომღერალთა გუნდის გასტროლები გორში. 1887 წლის იანვარსა (25 კაცის შემადგენლობით) და აპრილში (12 კაცის შემადგენლობით). გორელები ხომ ცეკვისა და სიმღერის დიდი მოყვარულნი იყვნენ, როგორც ამას აღნიშნავდა ა. თუმანიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში. მაღალი რანგის მომღერალთა გუნდმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ივერიის კორესპონდენტი გორიდან წერდა: *„... როდესაც პირველად დავინახეთ მომღერალთა გუნდი სცენაზე ქართულის მამა-პაპეულის ტანისამოსით, გამოუთქმელ აღტაცებას და ნეტარებას მივეცნით. მე, ამ სტრიქონების დამწერი, ისე ავღელდი, ისე ზეაღვიზიდე, რომ ქვეყნად აღარ ვგრძნობდი თავსა. გული ამიდუღდა, ამიჩუხჩუხდა და უნებლიეთ თვალთაგან*

---

[1] *„დროება“, 1882, №61; ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 40-41.* ვრცლად იხ. *გოცირიძე ბ., აკაკი და გორი // გაზ. „გამარჯვება“, 1989, №153.*

[2] *„ივერია“, 1887, №87.*

*ცრემლის ნაკადი წამსკდა. მე მგონია, რომ ყველა ქართველი ამ ყოფაში იქნებოდა, როცა პირველად დაინახავდა ხოროს, რომელიც შეუდგა მამა-პაპეულ სიმღერათა აღდგენას...“*[1]

არანაკლები სიხარულით და აღტაცებით შეხვდნენ გორელები 1888 წელს გორში ჩამოსულ ფილიმონ ქორქიას გუნდს.

1889 წელს გორში გაიმართა მომღერალთა გუნდის კონცერტი ი. რატილის ხელმძღვანელობით. ლოტბარისათვის სცენაზე მიურთმევიათ ვერცხლის ტაბაკი თავისი ჭიქით და საზოგადოების წარმომადგენელს მხურვალე სიტყვაში გამოუთქვამს მადლობა და პატივისცემა.

რატილი, იგივე იოსებ ივანეს ძე ნავრატილი, წარმოშობით ჩეხი მომღერალი, ლოტბარი. მღეროდა პრაღისა და სხვა ოპერის თეატრებში. 1880 წლიდან იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. გაეცნო ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. 1885 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ლ. აღნიაშვილის მიერ შექმნილ ხალხურ სიმღერათა გუნდს. 1890 წელს შეადგინა ცალკე გუნდი. გარდაიცვალა 1912 წელს თბილისში.

ცენტრში: ანსამბლის დამაარსებელი ლადო აგიაშვილი
და ჩეხი იოსებ ნავრატილი

[1] *იქვე*

კონცერტის შემდეგ მოწყობილ ნადიმზე რატილისათვის სიტ-ყვით მიუმართავს სოფრომ მგალობლიშვილს: *„ვამაყობთ და მუხლს ვიდრეკთ ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების იმ ქადაგების წინაშე, რომელსაც თქვენ ასე შეუდარებლად, სიმართლითა და გრძნობით გადმოსცემთ. დაე თქვენს მიერ შესრულებული სიმღერები გადაიქცნენ ეროვნულ დროშად, რომლის გარშემო გაერთიანდებიან ისტორიის მიზეზთა გამო ერთმანეთს დაცილებული ქართველი ძმები, დაე ჩვენი ერთობა და ძმობა ამ დროშის ქვეშ გახდეს ისეთივე მტკიცე და ჰარმონიული, როგორი საუცხოო და დიდებულია ჰარმონია ამ სიმღერებისა“.*

ი. რატილის გუნდის სიმღერებით გორელების მოხიბლვა ცხადი გახდება თუ გავიხსენებთ, რომ მასში მღეროდნენ ზ. ივანიშვილი, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი და სხვები.

1892 წ. გორს კვლავ ეწვივნენ ი. რატილი და მისი გუნდი, ხოლო 1897 წელს ორჯერ ა. კავსაძის გუნდი.

იმდენად ძლიერი იყო ჩამოთვლილი გუნდების გავლენა გორის საზოგადოებაზე, რომ აუცილებელი გახდა გორშიც მომღერალთა გუნდის შექმნა. განსაკუთრებული მოვლენა იყო გორის კულტურულ ცხოვრებაში სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებლის სვიმონ გოგლიჩიძის მიერ ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდის დაარსება, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა[1].

1899 წლის 26 მაისს გაიმართა ა. პუშკინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. გორის საზოგადოებამ ღირსეული პატივი მიაგო გენიალურ პოეტს.

90-იან წლებში გორის კულტურულ ცხოვრებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა გორის სასწავლებლებს. 1893 წლის აგვისტოში ზედიზედ ოთხი დღის განმავლობაში ეწყობოდა სხვადასხვა ჟანრის კონცერტები. 14 აგვისტოს მოეწყო სომხურ-ქართულ-რუსული სპექტაკლი, 15-ში გორს ეწვია რუსული საოპერო დასი, რომლის კონცერტის ორგანიზაცია კვლავ სასწავლებლებს ეკუთვნოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 16-ში გიმნაზისტების დრამატული წარმოდგენა და 17-ში კვლავ სემინარისტების მიერ გამართული კონცერტი, რომელზეც შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები. გორის საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა მოსწავლეთა მიერ მოწყობილ საღამოებს[2].

---

[1] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 42-43.*

[2] *„Новое обозрение“, 1893, №3320.*

1894 წელს აკაკი გორში დაესწრო გორის მარშლის სულხანი-შვილის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს, სადაც წარმოთქვა თავისი ლექსი „ჭადარა“ და სიტყვითაც მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

ამ მხრივ მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი სემიონოვის მიერ გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მომავალ ქართველ მოღვაწეებზე. ცნობილია ასეთ საღამოებში სემინარისტი ლუკა რაზიკაშვილის (ვაჟა-ფაშაველას) ხშირი მონაწილეობა. მას დაუწერია რეფერატი – „ლექსი „მერანი“ როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი“, რომელიც მოხსენების სახით წაუკითხავს სემინარიის დარბაზში. მოხსენება სემინარიის მოსწავლეთა გარდა, გორის საზოგადოების ერთმა ნაწილმაც მოისმინა[1]. 1895 წლის 8 იანვარს სამასწავლებლო სემინარიის ეკლესიაში სემინარიის და ანასტასიას სახელობის გორის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეთა და მათი მშობლების თანდასწრებით მოეწყო ალექსანდრე გრიბოედოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი, რის შემდეგ სემინარიის დარბაზში გაიმართა შეკრება. სემინარიის დირექტორმა ს. ნ. სტრელეცკიმ დამსწრეებს გააცნო გრიბოედოვი, როგორც მოქალაქე და დიპლომატი და ვრცლად განიხილა „ვაი ჭკუისაგან“. შეკრება ნაშუადღევის 3 საათზე დამთავრდა[2].

გორელები გულითადად გამოეხმაურნენ და მონაწილეობაც მიიღეს დიდი ქართველი პოეტის, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 70 და ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეში. იუბილე გაიმართა 1895 წლის 22 ღვინობისთვეს (ოქტომბერი) ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის ინიციატივით და დიდ სახალხო ზეიმად გადაიქცა.

გორელების მიერ გაგზავნილ საკმაოდ ვრცელ ადრესში ნათქვამი იყო:

*„თ. რაფიელ ერისთავს*

*დიდად პატივცემულო ბატონო რაფიელ*

*დღეს შესრულდა მთელი საუკუნე მას აქეთ, რაც თქვენ პირველად გამობრძანდით საქვეყნო ასპარეზზე, იმ დროს მეტისმეტად სავალალო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მთელი სამშობლო მხარე! სამი ათასი წლის განმავლობაში თავგამოდებით მებრძოლი ერი მაშინ ძილსა და მოსვენებას მისცემოდა. ეროვნული გრძნობა,*

---

[1] *კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ., 1955, გვ. 117-118.*

[2] *„Кавказ“, 1895, №16.*

*მისი თავისუფალი ძარღვის ცემა გამქრალიყო! ერის სულსა და გონებას სადამოჟამური ბინ-ბუნდი სუდარასავით გადაჰფენოდა და შავბნელი გარემოებანი შხამით სავსე ხმაზე ნანას უგალობდნენ. პირველსავე ნაბიჯზე თქვენმა გამჭრიახმა თვალმა ცხადად შენიშნა ეს სამწუხარო მდგომარეობა მოძმე ერისა და აღავსო ამ ჟამიდგან თქვენი პატიოსანი გული სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა. ეს დიდებული გრძნობა გადაიქცა მთელი თქვენი მომავალი ცხოვრების ბეთლემის ვარსკვლავად, რომლისკენ განათებულ გზას არ გასცილებია არც ერთი ნაბიჯი თქვენის მსვლელობისა...*

*დღეს უპატივისცემულესო რაფიელ, თქვენ ჰგევხართ იმ გუთნის დედას, რომელმაც ერთგულად მოხნა მინდორი, საგანგებოდ გარჩეული ხორბალი დათესა და, თუმცა ათასნაირი უამინდობა ხელს უშლიდა ამ თესლის თავისუფლად აღმოცენებას, მაგრამ ბოლოს მაინც მოესწრო და თავის გულიდან ამოხეთქილი გრძნობანი ამჟამად მოფენილია მთელ საქართველოში, რომლის სხვადასხვა მხარეთა წარმომადგენელნი დღეს აქ. თქვენს წინაშე, შემოკრებილან, რათა წრფელი გულით მოგიძღვნან მადლობა და პატივისცემა.*

*გორის ქართველთა საზოგადოებისაგან“.*

გარდა ამ ადრესისა, გორიდან, შინდისიდან იუბილეზე დეპეშები გაუგზავნიათ კნეინა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს, გორის თავადაზნაურთა წინამძღოლს სულხანიშვილს და სხვებს.

იუბილეზე ჩასულან გორის წარმომადგენლები, რომლებმაც ადრესებსა და მისალმებებთან ერთად იუბილარს მიართვეს აგრეთვე ვერცხლის სურა და თეფში წარწერით: „თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავს ღვინობისთვის 22, 1895 წლის გორის ქართველთა საზოგადოებისაგან“.

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ, 16 წლის სოსო ჯუღაშვილმა რ. ერისთავს მიუძღვნა ლექსი, რომელიც „ივერიაში“1 გამოაქვეყნა

*„თ. ერისთავს*
*როს მშრომელ გლეხთა ვაებით*
*საბრალოდ აცრემლებული*
*ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,*
*ერისთვის თავდადებული,*
*როს ერის კეთილდღეობით*
*საამოდ აღტაცებული,*
*სიმთ აჟღერებდი ტკბილ ხმაზედ,*
*ვით ზეცით მოვლინებული;*

[1] „ივერია“ *№284, 29 ოქტომბერი, 1895 წ.*

*როს დაჰგალობდი სამშობლოს,*
*ეს იყო შენი ტრფიალი,*
*მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა*
*გულის წარმტაცი წკრიალი...*
*მაშინ მგოსანო, ქართველი*
*თურმე ციურ ძეგლს გიგებდა*
*და წარსულ შრომას, ვაებას*
*აწმყოთი გიგვირგვინებდა.*
*შენმა სიტყვებმა მის გულში*
*უკვე დაიდგა ფესვია.*
*მოიმკე წმინდა მხცოვანო,*
*რაც სიყრმით დაგითესია,*
*ნამგლად იხმარე ერისგან*
*გრძნობით ჰაერში ძახილი.*
*ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს*
*მამულში შენებრი შვილი!!!*
*სოსელო"*[1].

1908 წლის 21 თებერვალს გაიმართა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო, რომელზეც წარმოდგენილი იყო მისივე „დედა და შვილი". ნიკო ლომოურმა წაიკითხა მოხსენება ილიას ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ".

1909 წლის 26 დეკემბერს გორის საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა ყოფილი გორელი მსახიობის, ნატო გაბუნია-ცაგარელის იუბილე-თვით იუბილარის მონაწილეობით[2].

1911 წლის 23 იანვარს გორში გაიმართა კოტე მესხის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო თვით იუბილარის მონაწილეობით. საღამოზე ნაჩვენები იქნა ორი სპექტაკლი. იუბილარს მიესალმნენ თედო რაზიკაშვილი და ნიკო ლომოური.

იმავე წლის 26 მარტს და 29 დეკემბერს გორში გაიმართა მიხეილ კავსაძის ხოროს კონცერტები.

1912 წლის 27 დეკემბერს გაიმართა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო, როდესაც გორელმა სცენისმოყვარეებმა ითამაშეს მისივე „გლახა ჭრიაშვილი". ქვრივის როლში გამოსულა თბილისიდან საგანგებოდ მოწვეული ე. ჩერქეზიშვილი. სიტყვა ილია ჭავჭავაძის შესახებ წარმოუთქვამს ნიკო ლომოურს. სიმღერის გუნდს გ. ონიაშვილის ლოტბარობით შეუსრულებია ქართული ხალხური სიმღერები. განსვენებული მწერლის ნაწარმოებები წაუკითხავთ ი.

---

[1] *გოგოლაძე თ., გორელები დიდ მგოსანს // გაზ. „გამარჯვება", 1974, №85.*
[2] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 48-49.*

კვალიაშვილს, მწერალ თედო რაზიკაშვილს, ზ. ქიტიაშვილს, ა. კასრაძეს, კ. ელიოზიშვილს და დ. მაჭავარიანს[2].

1913 წლის 17 თებერვალს გაიმართა ვაჟა-ფშაველას საღამო, რომელზეც მოწვეული იყო თვით პოეტი. მონაწილეობა მიიღეს ი. გრიშაშვილმა. ს. ფაშალიშვილმა, ია ეკალაძემ, მომღერალმა დ. აკოფაშვილმა, მსახიობმა ნიკო გოცირიძემ და თარზე დამკვრელმა ი. საღირაშვილმა.

1913 წლის 30 მარტს სახალხო უნივერსიტეტის დრამატულმა სექციამ მოაწყო ნ. შიუკაშვილის დრამის „სიმახინჯის“ მთავარი გმირის გასამართლება ავტორის მონაწილეობით. სახალხო უნივერსიტეტმა იმავე წელს სხვა ღონისძიებებიც მოაწყო[3].

15 ივლისს გორში კონცერტი გამართა ვანო სარაჯიშვილმა. 2 ნოემბერს გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო აკაკი წერეთლის საპატივსაცემოდ. აკაკიმ წაიკითხა ახალი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“. საღამოში მონაწილეობა მიიღო გორის მომღერალ ქალთა გუნდმა ესტატე ხუციშვილის ლოტბარობით. თავისი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა, რომანსები იმღერა დ. აკოფაშვილმა[1].

ვაჟა-ფშაველა

1914 წლის 25 თებერვალს გორში კონცერტი გამართა ვანო სარაჯიშვილმა. 27 მარტს კი გაიმართა ქართული კლუბის სიმებიანი ორკესტრის კონცერტი. კონცერტის შემდეგ შესრულებულ იქნა ახლად შემოსული ცეკვა „ტანგო“, რომელმაც გორელების მოწონება ვერ დაიმსახურა. 20 ივნისს გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო ნ. ნაკაშიძის, ა. ფაღავას, დ. აკოფაშვილის, რ. ჯიბლაძის და სხვათა მონაწილეობით[2].

1914 წლიდან დროებით, სამი წლის განმავლობაში გორში ცხოვრობდა იეთიმ გურჯი. მას რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო თბილისში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა. „ბედმან თბილისს მომაშორა დროებით, სტუმრად მოველ ქალაქ

---

[2] *იქვე, გვ. 51-52.*

[3] *იქვე, გვ.52.*

[1] *იქვე, 53-54.*

[2] *იქვე, გვ. 54.*

გორშია“, - წუხილით ამბობს პოეტი ლექსში „ქართლის ქალაქ გორშია“.

გორში იეთიმ გურჯი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ის სირაჯ სტეფანე აკოფოვის სახლში, ბაზრის ბოლოს ცხოვრობდა, დუდუკის ყამიშების დამზადება-გასაღებით და წიგნების გაყიდვით ირჩენდა თავს[3].

დგანან მარცხნიდან: 1. ნიკა თუშმალოვი („ცხრარჯულა“); 2. ილია მერებაშვილი (ხარაზი, „ჩაბაკა“); 3. ილიკო ნინოშვილი (ხარაზი, „ბარბარეს ბიჭი“); 4. ვანო ოქროპირიძე (ხარაზი, „პაპუშა“); 5. ვასო ბაიაძე (ხარაზი); 6. **იეთიმ გურჯი;** 7. ავლაბრელი ვასო (მეარღნე); 8. ახალქალაქელი „პოკარი“; 9. სერგი ჩაღერელი (მეარღნე, „პოდნადზორი“); სხედან დირბელი მეზურნეები: 10. ?; 11. სანო მეზურნე; 12. ?; 13. ?.

როგორ იყო გამოღვიძებული ეროვნული სული, როგორ გამოარჩევდნენ გორელები სამშობლოს სიკეთისა და კეთილი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანების ღვაწლს, განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა მთელი ერის უსაყვარლესი პოეტისა და მოღვაწის აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო გამოცხადებუ-

[3] *ჯავახიშვილი ი., იეთიმ გურჯი გორში // გაზ. „გამარჯვება“, 1969, №113.*

ლი გლოვის დროს. იგლოვა გორის ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

1915 წლის 27 იანვარს საჩხერიდან დეპეშა მოვიდა, რომლიდანაც გორელებმა აკაკის გარდაცვალება გაიგეს. გაზეთი „ახალი ქართლი“ იუწყებოდა: „ელვის სისწრაფით მოედო გორს აკაკის გარდაცვალების ამბავი. 27 იანვარს საღამოს 6 საათზე გორის მოსწავლე-ახალგაზრდათა თაოსნობით გადახდილი იქნა პანაშვიდი საკრებულო ტაძარში... ეკლესია გაჭედილი იყო ხალხით. დეკანოზმა კაპანაძემ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა“. იმავე გაზეთის მიხედვით, „27 იანვარს, საღამოს 7 საათზე ქალაქის მოურავის მოწოდებით ქალაქის მმართებლობის დარბაზში შეიკრიბა გორის საზოგადოება და თათბირი გამართა იმის შესახებ, თუ როგორ სცეს პატივი აკაკის ხსოვნას“. აკაკის უკვდავსაყოფად მაშინ ეწოდა სობოროს ქუჩას აკაკი წერეთლის სახელი[1].

ლაზარეთი

[1] *აბუაშვილი ლ., გლოვის ზარის ხმა გორში // გაზ. „გამარჯვება“, 1991. 27. 1.*

ცნობილი გახდა, 5 თებერვალს მგოსნის ნეშტს საჩხერიდან მატარებლით თბილისში მიასვენებდნენ. დილის 10 საათიდან ხალხმა შეკრება დაიწყო თვითმმართველობის შენობასთან და თორმეტის ნახევარზე სამგლოვიარო პროცესია ძაძებით შემოსილი დროშებით რკინიგზის სადგურისკენ დაიძრა. პროცესიას შეუერთდნენ სამხედრო ლაზარეთის მოწყალების დანი და მომსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გორის განყოფილების წევრები, ამ საზოგადოების ატენის სკოლის მოწაფეები და წვევანდელები. სადგურზე დიდძალ ხალხთან ერთად იყვნენ კათოლიკური და სომხური სამღვდელოება თავისი მრევლით.

როდესაც მატარებელი ჩამოდგა, იმ ვაგონში სადაც აკაკის ნეშტი ესვენა, ავიდნენ ქალაქის თავი ზაქარია ქიტიაშვილი, მისი მოადგილე დავით მაჭავარიანი, გორის მაზრის წინამძღოლი რაფიელ ერისთავი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნიკო შიუკაშვილი, „სახალხო ფურცელის“ თანამშრომელი ს. გრძელიშვილი, სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დ. ონიაშვილი და სხვები. ყვავილებითა და ყვავილების ჯვრებით შეუმკიათ ცხედარი კნეინა ანნა ამილახვრისას, ქალბატონ ელისაბედ თარხან-მოურავისას, ჭრა-კერვის სკოლის და გორის სამხედრო ლაზარეთის ქართველობას.

პანაშვიდი გადაუხდია და გამოსათხოვარი სიტყვა უთქვამს დეკანოზ ი. კაპანაძეს, სიტყვით გამოვიდნენ ნიკო ლომოური და ვასო ირემაშვილი. საკუთარი ლექსი უთქვამს თედო რაზიკაშვილს.

## *თეატრი*

XIX საუკუნის გორის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს თეატრის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ეს საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა გორის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის გამოჩენილმა მკვლევარმა გ. ბუხნიკაშვილმა.

იმისათვის, რათა გორის ისტორიაზე მეტნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნას, მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ გორის თეატრის ჩამოყალიბების და დამკვიდრების ისტორიას და ამ საკითხში ჩემი ძირითადი დასაყრდენი გ. ბუხნიკაშვილის ნაშრომი იქნება[1].

---

[1] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, თბ., 1965.*

ცნობილია, რომ ხალხური თეატრალიზებული წარმოდგენები ისევე, როგორც სხვაგან, გორშიც უხსოვარი დროიდან იმართებოდა სხვადასხვა თამაშობებისა და გასართობების სახით (ამაზე უკვე ითქვა), მაგრამ ჯერ ქალაქებში, ხოლო შემდეგ სოფლადაც ისინი თანდათანობით მიივიწყეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პროგრესული მოღვაწენი იცავდნენ ქართული კულტურის და თვითმყოფადობის ამ გამოვლინებას, პროცესი შეუქცევადი იყო. რუსული და ევროპული თეატრის გავლენით, მოწინავე რუსი მოხელეების და ოფიცრების, რუსეთში სწავლამიღებული ქართველი ინტელიგენტების მეცადინეობით, საქართველოში და გორშიც ფეხს იდგამდა თეატრი.

ნიშანდობლივია, რომ გორში პირველი სცენისმოყვარეთა წარმოდგენები XIX ს. 40-იან წლებში გაიმართა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე ადრინდელი ცდები თეატრის ჩამოყალიბებისა საქართველოში. 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისს და 7 აგვისტოს დაუდგამთ დიმიტრი მეღვინეთუხუცესის კომედია – „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთა“. წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღეს გორელმა თავადაზნაურებმა და თვით კომედიის ავტორმაც[1].

გორში გამართულ წარმოდგენებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრის განვითარებაში, მაგრამ ისინი არ ჩაითვლება გორის თეატრის ისტორიის დასაწყისად, რადგან წარმოდგენები საჯარო ხასიათისა არ იყო და კარგახანს აღარ გამართულა[3]. მხოლოდ 1856 წლის 8 და 16 ნოემბერს გორელმა სცენისმოყვარულებმა გამართეს რუსული წარმოდგენები. მასში მონაწილეობდნენ გორში დაბანაკებული საარტილერიო ნაწილის რუსი ოფიცრები და ზოგიერთი გორელი[4].

გორის თეატრის დაარსების თარიღად ითვლება 1856 წლის 26 ივლისი, როდესაც საჯაროდ უჩვენეს გ. ერისთავის კომედია „ძუნწი“, ცნობილია მისი ორი მონაწილე – კნიაჟნა თარხანოვისა და ჯავახიშვილისა. საკმაო ხანმა განვლო ამ პირველი სპექტაკლიდან ვიდრე 1871 წ. 23 აპრილამდე, როცა კვლავ გაიმართა სცენისმოყვარეთა წარმოდგენა ქართულ და რუსულ ენებზე. ამჯერადაც ცნობილი არიან მხოლოდ მასში მონაწილე ქალები: ელ. ერისთავისა, ეკატ. თარხან-მოურავისა (შემდეგში ცნობილი მწერალი

---

[1] *იხ. სოლომონ ხუციშვილის წერილი, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, №20.*

[3] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 11.*

[4] *„Кавказ“, 1857, №39.*

ეკატერინე გაბაშვილი) და ორიც ალხაზიშვილის ქალი. ქართულად წარმოუდგენიათ „ძუნწი“, ხოლო რუსულად – ა. ბაჟენოვის ვოდევილი „სიყვარულის სასმელი“.

1874 წ. გორში შეიქმნა „სცენისმოყვარეთა წრე“. ცნობილი ხალხოსნის შიო დავითაშვილის თქმით, წრეში მონაწილეობდნენ: სოფრომ მგალობლიშვილი და მისი მეუღლე ნინო, ქალაქის გამგეობის წევრი აღალო თუთაევი, მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი, ნოქარი ლევან ჯულაბოვი, პავლე ბურჯანაძე, თვით შიო დავითაშვილი და მისი მეუღლე ქეთევანი, მაშო კერესელიძე, მაშო ივანიშვილი (შემდეგ თბილისის სახალხო სახლის ერთ-ერთი მოღვაწე მარიამ დემურია), სოფიო და ფეფო მადალაშვილები, ვასო კარგავა და სხვანი.

წრემ პირველი წარმოდგენა („ძუნწი“) გამართა საზოგადო საკრებულოს პატარა დარბაზში 1874 წლის 8 თებერვალს, ხოლო შემდეგ კი 1875 წლის 22 აგვისტოს გ. ერისთავის კომედია „უჩინმაჩინის ქუდი“ და ი. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია „ძალად ექიმი“. ამ დღეს სცენაზე პირველად გამოვიდა ნატო გაბუნია, შემდეგში ქართული თეატრის სახელგანთქმული მოღვაწე[1].

1876 წელს დაშლილი „სცენიმოყვარულთა წრის“ ნაცვლად დაარსდა „სცენის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელშიც შევიდნენ: მ. კერესელიძისა, მ. ივანიშვილისა, ნ. მგალობლიშვილისა, ნ. და კ. გაბუნია, პ. ბურჯანაძე, დ. აბაშიძე, კ. სანთლიკუდაშვილი, მ. და ზ. თარხნიშვილები, ტ. ტერ-სტეფანოვი, შერმაზანოვი, სოფრომ მგალობლიშვილი, აღალო თუთაევი, ნიკო დიასამიძე და სხვანი. საზოგადოებამ 1876-1879 წლებში მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენის ჩვენება შეძლო, რაც უმთავრესად სპექტაკლების გასამართავი დარბაზის უქონლობით და უსახსრობით იყო გამოწვეული.

80-იანი წლების დამდეგს „სცენისმოყვარეთა საზოგადოება“ კიდევ უფრო გაფართოვდა. მასში შედიოდნენ: მარიამ კერესელიძისა, სოფო ლომოურისა, ნინო მგალობლიშვილისა, კესარია ტატიშვილისა (ნატო გაბუნიას და), ბარბარე კარგავა, კოტე სანთლიკუდაშვილი, პავლე ბურჯანაძე, შიო დავითაშვილი, სანდრო ქვლივიძე, დავით ქართველიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი.

„სცენისმოყვარეთა საზოგადოებას“ დიდ დახმარებას უწევდნენ: ეკატერინე ფურცელაძისა, მიხეილ ყიფიანი, ნიკო ლომოური, მათე

---

[1] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 20-25.*

კერესელიძე, ნიკო დიასამიძე და აღალო თუთაევი. მათ მიემატნენ: ნატ. ქვლივიძისა, მ. ხუდადოვისა, ლიზა ჯავახიშვილისა, ალექსანდრა ორჯონიკიძისა, პელაგია ოქრუაშვილისა, მარიამ ტატიშვილისა, ნატროშვილი, ქართველიშვილი, ვ. მეღვინეთუხუცესი, ვ. კოშორიძე, ვ. სააკოვი, დავიდოვი, ალ. ქვლივიძე, ზ. ოქრუაშვილი, კარიჭაშვილი, ვ. აღნიაშვილი, ს. ნათაძე და სხვანი.

თვალში საცემია ის, რომ გორის სასცენო ხელოვნებაში მრავალი ქალი მონაწილეობდა, მაშინ, როდესაც სხვაგან და თბილისშიც კი, ქართველი ქალები ასეთ საქმიანობას ერიდებოდნენ.

80-იანი წლების გორის თეატრალური ცხოვრება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თითქმის მთლიანად სოფრომ მგალობლიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ამ დროს იგი გორის საოსტატო სემინარიის პედაგოგი იყო. ის იყო თეატრალური წარმოდგენების ორგანიზატორი, რაც იმ დროს, სპეციალური შენობის უქონლობისას, დიდ ენერგიას და მოთმინებას მოითხოვდა. ხშირად სოფრომ მგალობლიშვილი იყო რეჟისორიც, სუფლიორიც და მსახიობიც.

1880 წელს გორში გადასახლებიდან დაბრუნდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი. 1881 წელს მან მასწავლებლობა დაიწყო საოსტატო სემინარიაში და ხალხოსნური იდეების ქადაგებისათვის სცენისმოყვარეთა წრის გამოყენება სცადა. სწორედ ამ მიზნით, 1883 წელს გორში დაარსდა „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“, რომელმაც ითავა თეატრალური წარმოდგენების ორგანიზაცია, მაგრამ მან ხალხოსნების – მიხეილ ყიფიანის, შიო დავითაშვილის, ილია მაჭავარიანის და სხვების დაპატიმრების შემდეგ, არსებობა შეწყვიტა. წარმოდგენების გამართვის თაოსნობა კვლავ სოფრომ მგალობლიშვილმა აიღო.

წარმოდგენების გამართვის ყველაზე ხელისშემშლელი იყო შენობის უქონლობა. ერთადერთი ადგილი, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა წარმოდგენების გასამართავად, იყო „როტონდა“, რომელიც 1873 წ. ქალაქის ბაღში აშენდა გორის მაზრის უფროსის რევაზ ერისთავის თაოსნობით. მაგრამ ამ პატარა, ფიცრულ შენობაში წარმოდგენების გამართვა მხლოდ ზაფხულობით და შემოდგომობით შეიძლებოდა. „როტონდა“ 80-იან წლებში სრულიად დაინგრა და წარმოდგენების გამართვა საზოგადო საკრებულოს პატარა დარბაზში დაიწყეს. დრამატული წრის მუშაობას პოლიციაც უშლიდა ხელს, რადგან მიაჩნდა, რომ ზოგიერთი წრის წევრი კა-



ნონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა და ზოგიერთი პიესა ვერც ცენზურის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

1880 წ. გორში გაიმართა ოთხი წარმოდგენა, 1881 წ. მხოლოდ ერთი, ხოლო მომდევნო ორი წლის მანძილზე - არც ერთი.

1884 წ. 15 მაისს გორელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ა. ცაგარელის კომედია „ხანუმა“, რომელსაც მაშინდელ პრესაში ნიკო ლომოურმა უარყოფითი შეფასება მისცა, როგორც უიდეო ნაწარმოებს.

1886-1888 წლებში გორში თითო სპექტაკლის სახით დაიდგა ა. ცაგარელის „ბაიყუში“, ა. კარინიანის „შუშანიკის წამება“, რ. ერისთავის „ჯერ დაოხცნენ, მერე იქორწინეს“, კ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და ზ. ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“.

თეატრალური წარმოდგენების გამართვისათვის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა 1888 წელს, როდესაც ნ. დიასამიძემ თავისი სახლის მშენებლობა დაასრულა და მისი მთელი სამხრეთის მხარე სცენისმოყვარეებს დაუთმო. მათ მოაწყეს მოზრდილი დარბაზი, სცენა და საპირფარეშოებისათვის ოთახები. შეიქმნა სცენისმოყვარულთა ახალი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ნ. ლომოური, ს. ქვლივიძე, პ. ბურჯანაძე და ს. მგალობლიშვილი. ა. თუთაევმა, რომელიც 1885 წელს თბილისში გადასახლდა, შეიძინა ახლადგადაკეთებული ქართული თეატრის ძველი ფარდა, დეკორაციები, სკამები და გორის თეატრს შესწირა[1].

იმავე წლის 19 ივლისს წარმოდგენილი იქნა რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ა. ცაგარელის „ბაიყუში“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან მოწვეულმა მსახიობებმა – ვ. აბაშიძემ და კ. ყიფიანმა. წარმოდგენას საზეიმო ხასიათი ჰქონდა შენობის გახსნის გამო. ამავე შენობაში 1889-1890 წლებში მხოლოდ ორ-ორი წარმოდგენის გამართვა მოხერხდა.

აღსანიშნავია 1880 წელს გორში მოწაფეთა დრამატული წრის ჩამოყალიბება. წრის ხელმძღვანელი იყო მოწაფე ალ. გარსევანიშ-

---

[1] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 56.*

ვილი, შემდგომში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ის თბილისში სწავლობდა, მაგრამ არდადეგების დროს წარმოდგენებს ამხანაგების მონაწილეობით მართავდა.

გორის კულტურულ ცხოვრებაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა თბილისის თეატრის სისტემატური გასტროლები 70-90-იან წლებში.

90-იან წლებში გორში ყოველწლიურად 3-4 სპექტაკლი მაინც იმართებოდა. მაშინდელ სცენისმოყვარეთაგან უნდა დავასახელოთ მარიამ ერისთავი, მელანია ხერხეულიძისა, ალექსანდრა ფალავანდიშვილისა, ანასტასია ერისთავისა (შემდგომ ცნობილი მწერალი), ელენე ერისთავისა, სოფიო ციციშვილი, ნინო ერისთავი, ელ. ჯავახიშვილისა, ეფ. სავანელი, მაკინე ამირაჯიბი, ს. ლომოურისა, ბ. ლოლაძისა, სოფიო ამირაჯიბი, ეკატერინე წერეთელი, ნიკო ერისთავი, ზ. გურამიშვილი, ს. კავთურელი (კანდელაკი), დ. ერისთავი, ს. რობაქიძე, კ. დათაძე, იოს. წერეთელი, ვლ. გვახარია, გ. მაყაშვილი და სხვანი.

ამ პერიოდში გორელმა მაყურებელმა იხილა გ. სუნდუკიანის „პეპო“, ა. ცაგარელის „ბაიყუში“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, გ. ერისთავის „ძუნწი“, „ხორველობა“, ვ. გუნიას „რაც არ მერგება, არ შემერგება“, ზ. ანტონოვის „ქოროღლი“ და ნატალია აზიანის „ინჯილერი ან დოხტური“.

1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში და თვით რევოლუციის დროს, გორში წარმოდგენების ჩვენება თითქმის შეწყდა, რადგან თეატრისათვის აღარავის ეცალა. ქ. გორი და მისი მაზრა აქტიურად მონაწილეობდა მიტინგებში, მანიფესტაციებში და შეიარაღებულ გამოსვლებშიც კი. ამ პერიოდის გორის სასცენო საქმიანობას სათავეში ედგა სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე, რომელიც ჩამოყალიბდა 1903 წელს. ამ წრემ რეაქციის წლებში არსებობა შეწყვიტა.

1909 წ. გორში შეიქმნა „სახალხო თეატრი“, რომლის ინიციატორები იყვნენ რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურენი. მათ რკინიგზის სადგურის გასწვრივ სადუქნე შენობა დაიქირავეს, თავიანთი ხარჯით მოაწყეს პატარა სცენა და დადგეს გრძელი ხის სკამები. დარბაზში 120-მდე მაყურებელი თავსდებოდა. შესასვლელი ფასი 5-დან 50 კაპიკამდე მერყეობდა.

„სახალხო თეატრის“ წევრები იყვნენ: ნატალია ბასილაშვილი, ხახანაშვილის ქალი, შაქრო ბათიაშვილი მეუღლით, ვანო მაისურაძე მეუღლით, გიგო ყანჩელი, სიკო მეტრეველი, მალაქია გეგეშიძე. დეკანოზიშვილი და სხვანი. პირველი წარმოდგენა გაიმართა 1909

წ. 31 მაისს მაგრამ თეატრმა მხოლოდ ერთი წელი იარსება და ამ მოკლე დროში 16 პიესა დადგა.

იყო ცდები გორში მუდმივი თეატრალური დასის ჩამოყალიბებისა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოხერხდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ხომ საერთოდ შეფერხდა თეატრალური ცხოვრება[1].

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ გულისტკივილით წერდა, რომ „გორში, რომელიც ითვლება მთელი ქართლის ცენტრად და დედა-ქალაქად, არსებობს რაღაც დრამწრისა თუ გამგეობის მაგვარი საზოგადოება, სცენისმოყვარენიც მოიპოვებიან, შესაფერი სცენაც, მაგრამ მუშაობა არ სჩანს და ძლიერ იშვიათად იდგმის წარმოდგენები. ერთი შეხედვით, თითქოს ინტელიგენციაც ბევრია აქ, მცხოვრებლებიც და კულტურული დაწესებულებებიც, მაგრამ სათეატრო ხელოვნებამ ვერ მოიკიდა აქ ფეხი და, ცოტად თუ ბევრად, რიგიან პიესებს ისევე თბილისიდან ჩამოსული მსახიობნი თუ აღირსებენ ხოლმე გორელებს[2].

ვერც თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და დამოუკიდებლობის პერიოდმა გამოაცოცხლა ქართული თეატრი. ამ დროს გორის სცენისმოყვარეთა წრეში იყვნენ: ანა მახარაშვილი, თამარ თვალიაშვილი, ანა მაისურაძე, აიკანუშ ღვანოვი, სოფიო ციციშვილი, თამარ ფურცელაძე, ლევან გაბუნია, დავით ცერცვაძე, სტეფანე გრიქუროვი (ერთხანს იგი ყოფილა დრამატული წრის ხელმძღვანელი) [3], ალექსანდრე გასიტაშვილი, ელიოზ ხუციშვილი, სოსო ხუციშვილი (იგი გორელთა საყვარელი მსახიობი იყო) [4], შალვა კორინთელი, ილო მახარაშვილი, მიხეილ თათარაშვილი, სოსო კახნიაშვილი, გიორგი ყანჩელი, გიორგი თავზარაშვილი, ესტატე ხუციშვილი. წარმოდგენები იმართებოდა ყოფილ საზოგადო საკრებულოს შენობაში. იდგმებოდა ძველი პიესები.

---

[1] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 25-50.*

[2] *„თეატრი და ცხოვრება“, 1914, №13.*

[3] *იხ. პაპისმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 217.*

[4] *იქვე.*

1923 წ. (გორის ქართული სცენისმოყვარეთა დასი – 1921 წლიდან 1931 წლამდე). 1. მეზურნოვი ისაკ ისაკისძე (ასშაკი); 2. ძაზარაშვილი ილია სოლომონის ძე; 3. შველიძე კოკლა; 4. ხვადაგაძე თამარ; 5. ვეზირაშვილი; 6. კორინთელი შალვა; 7. მაჭავარიანი; 8. ცინცაძე ქსანია; 9. მათიაშვილი ზაქარია თედეოზის ძე; 10. მაისურაძე ანეტა; 11. ზოზბეროვი ვასო; 12. ბათირაშვილი ოლია; 13 გრიქუროვი სტეფან; 14. ?; 15. ჯაყელი; 16. კანჩაველი გიეო; 17. გაჩეჩილაძე ნიკო; 18. ჯაყელი დარეჯანი; 19. თარხანოვი ვიგო; 20 არშაკუნი

გორში თეატრალური წარმოდგენები მთლიანად შეწყდა 1920 წლის მიწისძვრის შემდეგ, როცა საზოგადო საკრებულოს შენობა დაინგრა, მოსახლეობაც შემცირდა.

## *კინოთეატრი*

კინოს ისტორია გორში იწყება 1911 წლიდან. მისი ინიციატორი იყო თბილისიდან ჩამოსული ვინმე ამატუნი[1]. სხვა ცნობით ამატუნი გორელი იყო[2]. გ. საძაგლიშვილის მიხედვით ფილმების დემონსტრირება ხდებოდა სამეფო ქუჩაზე თავზარაშვილების სახლის მეორე სართულზე. შ. ვარძელაშვილი კი წერდა, რომ ის მდება-

[1] *საძაგლიშვილი გ., პირველი კინო გორში // გაზ. სტალინელი, 1940, №36 (707)*

[2] *ვარძელაშვილი შ., ზოგი რამ გორში კინოს ისტორიიდან // გაზ. „გამარჯვება“, 03, 08. 1978.*

რეობდა ამჟამინდელი სამეფო ქუჩის იმ შენობაში სადაც მუსიკალური სკოლაა. კინოთეატრს „ილუზიონი“ ეწოდებოდა და ის ეკუთვნოდა ამატუნს, 1911-1913 წლებში. 1913-1914 წლებში გრიგოლ პაზნიცკის კინოდარბაზი განთავსებული იყო თავზარაშვილების საზხოვრებელი სახლის შენობაში და ეწოდებოდა „მეტეორი“. როცა პირველი მსოფლიო ომის დროს თავზარაშვილების სახლში, სამხედრო ჰოსპიტალი მოათავსეს, კინოთეატრი სამეფო ქუჩიდან ახალბაღისაკენ მიმავალი ქუჩის მარცხენა მხარეს, ერთსართულიან დიდ შენობაში გადაიიტნეს“[1]; 1914-1921 წლებში კინოთეატრი, რომელსაც ეწოდებოდა „პალასი“, ეკუთვნოდათ ნ. სოლოდაშვილს, ნ. ოქროპირიძეს და გრ. პაზნიცკის. იგი განთავსებული იყო ოქროპირიძის საცხოვრებელ სახლში, სადაც შემდეგში სასტუმრო ქართლი იყო.

ფილმებს კვირაში 2-3 ჯერ ცვლიდნენ. ყოველი ახალი კინოსურათის მაუწყებლად აფიშებს აკრავდნენ. კინოაფიშები და რეკლამები მხოლოდ რუსულ ენაზე იბეჭდებოდა. ხდებოდა მუნჯი კინოფილმების დემონსტრირება. მსახიობთა დიალოგებს, ფილმის შინაარსს, მნიშვნელოვან მომენტებს, მაყურებელს რუსული წარწერებით აგებინებდნენ. ფილმების დემონსტრირების დროს პიანისტი ქალი როიალზე ნებისმიერ მელოდიას უკრავდა.

## *ქველმოქმედება*

გორის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ხელოვნების საქვემოქმედო მიზნებით გამოყენებას ეკავა. მასალები, რომლბშიც აისახა ჩვენ ქალაქში ასეთი საქმიანობა, საკმაოდ არის და იგი ნაწილობრივ მაინც შეგვიქმნის წარმოდგენას იმ საკითხებზე, რაც მაშინდელ საზოგადოებას თავის საწუხრად და საზრუნავად გაეხადა.

ნიშანდობლივია, რომ პირველი ცნობა, რომელიც გორში საქველმოქმედო ღონისძიებას ასახავს, გვამცნობს, რომ 1865 წლის 26 ივლისს, გორელ სცენისმოყვარეთა მიერ გამართული პირველი საჯარო წარმოდგენა იყო „სასარგებლოდ ღარიბთა“[2] (გავიხსენოთ, რომ ეს დღე ითვლება გორის თეატრის დაარსების დღედ). 1871 წლის აპრილში გორელმა სცენისმოყვარეებმა განიზრახეს გაემართათ წარმოდგენები და შემოსული თანხით, რომელიმე ახალგაზრდა კაცი გაეგზავნათ რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღე-

[1] *პაპისმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 141-142.*
[2] *„ცისკარი“, 1865, №10.*

ბად[1]. ცნობილი არ არის რამდენად შეძლეს ღონისძიების ინიციატორებმა თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა. 1872 წლის 8 თებერვალს სცენისმოყვარეთა წრეს თავისი პირველი წარმოდგენა სამარის გუბერნიაში დამშეულთა სასარგებლოდ გაუმართავს და „როგორც ამბობენ ოცდაათ თუმანზე მეტი მოგროვდაო“[2]. 1872 წლის 8 და 26 მარტს გორში გაიმართა ლიტერატურული საღამოები საქველმოქმედო მიზნით[3]. 1875 წლის აპრილში, გორელებმა, კულა გლდანელის მიერ გორში გამართული საჭიდაო შეჯიბრებიდან მიღებული შემოსავალი, რა თქმა უნდა, ფალავანთან შეთანხმებით, გორის სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ გამოიყენეს. სამი შეჯიბრებისაგან არც თუ ურიგო თანხა მოიკრიბა – 353 მან. 35 კაპ.[4]

„სცენის მოყვარულთა საზოგადოების“ პირველი წარმოდგენაც 1877 წლის 3 მარტს საქველმოქმედო იყო, კერძოდ საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ დადგეს ზ. ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთი ცოლისა“[5].

თავის ადგილას უკვე ითქვა გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის დ. დ. სემიონოვის საქმიანობის ზოგიერთ მხარეზე. ამ პროგრესულ მოღვაწეს მხედველობიდან არც ქველმოქმედება რჩებოდა. მისი თაოსნობით, 1878 წლის 30 დეკემბერს, „როტონდაში“ დაიდგა ოსტროვსკის კომედია რუსულ ენაზე. წარმოდგენის მთელი შემოსავალი მოხმარდა ქალთა პროგიმნაზიის გახსნის მოსამზადებელ სამუშაოს[6].

1880 წლის 18 აგვისტოს, გორის სცენისმოყვარეთა დასმა წარმოდგენის მთელი შემოსავალი გადასცა ერთ ღარიბ ახალგაზრდას, რომელსაც უნივერსიტეტში სწავლა სურდა[7].

1887 წ. თეატრის მოყვარულებმა რამდენიმე საღამო მოაწყვეს და შემოსული ფული წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას და გორის საქალებო პროგიმნაზიას გადასცეს[8].

უფროსებს არც ახალგაზრდები ჩამორჩებოდნენ. 80-იან წლებში მოწაფეთა დრამატული წრეც, ალექსანდრე გარსევანიშვილის

---

[1] *„დროება“, 1871, №18, №22.*

[2] *იქვე, 1872, №412.*

[3] *იქვე, №15.*

[4] *იქვე, 1875, №45.*

[5] *იქვე, 1877, №27.*

[6] *იქვე, 1879, №4.*

[7] *„Кавказ “, 1880, №225.*

[8] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 184.*

ხელმძღვანელობით, ხშირად მართავდა წარმოდგენებს ხან ფასით, ხან უფასოდ. ფასიანი წარმოდგენები იმართებოდა მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით.

90-იან წლებში საქველმოქმედო საღამო-კონცერტებში აქტიურად მონაწილეობდა სვიმონ გოგლიჩიძის მიერ დაარსებული ქალვაჟთა სიმღერის გუნდი[1]. ამავე პერიოდში სცენისმოყვარეთა მიერ გამართული ყველა წარმოდგენა საქველმოქმედო იყო. ს. მგალობლიშვილი იგონებდა: „წარმოდგენებს, რასაკვირველია, საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონდა: ვუგზავნიდით ფულებს გაჭირვებულს სტუდენტებს რუსეთში. რამდენადაც მახსოვს, შემწეობა მივეცით განსვენებულს დ. კეზელს[2], ნ. კასრაძეს, დიდათ ნიჭიერ კაცს, რომელიც სტუდენტობაშივე გარდაიცვალა და რომელიც დიდს იმედს იძლეოდა; მიხეილ ქართველიშვილს (გორელს), რომელიც ამჟამად, მგონი, ქუთაისის ოლქის სასამართლოშია წევრად; შემწეობა მივეცით სხვებსაც, რომელთა გვარები ამჟამად აღარ მახსოვს. წარმოდგენები იმართებოდა აგრეთვე ადგილობრივ სკოლების სასარგებლოდ“[3].

1893 წლის 14 აგვისტოს გორში მოეწყო სომხურ-ქართულ-რუსული სპექტაკლი საქველმოქმედო მიზნით[4].

მნიშვნელოვანი იყო 1901 წლის 3 თებერვლის მაკინე ამირეჯიბის თაოსნობით გამართული სალიტერატურო-სამუსიკო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნ. გაბუნია-ცაგარელმა, ე. ჩერქეზიშვილმა, ი. ბარათაშვილმა, ს. გოგლიჩიძის გუნდმა და სხვებმა. საღამო საქველმოქმედო იყო. – მატერიალური დახმარება გაეწიათ გორის სასწავლებლების ხელმოკლე მოსწავლეებს. 200 მანეთზე მეტი შეიკრიბა[5].

1913 წლის 30 ნოემბერს გაიმართა საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენა.

---

[1] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 42-43.*

[2] დავით ივანეს ძე კეზელი (1854-1907), ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი. მონაწილეობდა ხალხოსნურ მოძრაობაში, აქვეყნებდა წერილებს გორის მაზრის გლეხების გამოსვლებზე 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. მან ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა რუსულად ვაჟა-ფშაველას ლექსები. აქტიურად იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის.

[3] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 54.*

[4] *„Новое обозрение“, 1893, №3320.*

[5] *„ივერია“, 1901, №766.*

პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციების წინა პერიოდში და თვით რევოლუციის დროს, საქველმოქმედო საქმიანობა შესუსტდა, მაგრამ იგი არ ჩამკვდარა. მიუხედავად იმდროინდელი პრესის მკაცრი, კრიტიკული შეფასებისა, გორში არასოდეს არ დაკარგულა სხვისი გაჭირვების გაზიარების დიდი ტრადიცია. გორის მოწინავე საზოგადოება, როგორც ზემოთმოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ჯეროვან ყურადღებას უთმობდა ქალაქის სასწავლო დაწესებულებებისადმი დახმარებას, იმედის მიმცემი ახალგაზრდებისათვის ხელის შეწყობას. საზოგადოების ასეთი საქმიანობის შედეგი იყო, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გორი საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ მოწინავე ცენტრს წარმოადგენდა.

## *ბეჭდვითი საქმე*

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში უკვე არსებობდა გარკვეული გამოცდილება ბეჭდვის საქმეში. შეიძლება გავიხსენოთ ვახტანგ VI-ის და ერეკლე II-ის მოღვაწეობა წიგნის გამოცემისათვის.

XIX საუკუნის 40-იან წლებში გორში გაზეთის ან ჟურნალის გამოცემის აუცილებლობა იმდენად ძალუმად იგრძნობოდა, რომ ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა განიზრახა გამოეცა ჟურნალი, რომელსაც „სინათლე“ დაერქმეოდა. როგორც ჟურნალი „კვალი“ წერდა, მთავრობასთან შეთანხმებაც მოხდა. გამოცემის ინიციატორებს მომავალი ჟურნალის მნიშვნელობა შემდეგნაირად წარმოედგინათ: *„ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებლად გულისა და გონებისა საჭიროებს ახალი აზნაურობითი საქმიანობა. სწავლათა ხელოვნებათა შინა... ჟურნალი ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილ მდგომარეობაში მოყვანებისა. ამისათვის აწცა სურთ რომელთამე გონიერთა ქართველთა გამოცენ ესევითარი ჟურნალი“*[1].

ჟურნალი მრავალთემიანი იქნებოდა, მას უნდა განეხილა პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ლიტერატურული, სამუსიკო და სხვა საკითხები. განზრახვა, როგორც ჩანს, ფრიად საჭირო და კეთილშობილური იყო, მაგრამ უცნობი მიზეზებით, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

---

[1] *„კვალი“, 1896, №35.*

გორში წიგნისადმი ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება სხვადასხვა სასწავლებლის გახსნის გამო.

1886 წელს გაზ. „დროების“ საბიბლიოგრაფიო განყოფილება იტყობინებოდა, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი *„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის...“* სახელმძღვანელოდ მიღებული საქართველოს ყოველ საერო და სასულიერო სასწავლებელში, *„იყიდებოდა თბილისში, ქუთაისში, ქ. გორში – სასულიერო სასწავლებელში, იოსებ ლაშურილისას“*[1].

1888 წლისათვის გორში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში, არსებობდა ქართული წიგნის მაღაზია[2].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარვცელებელი საზოგადოების დაარსებისთანავე დაარსდა *„წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა“.* ის ყოველწლიურად სცემდა ათეული დასახელების წიგნს, რომელთა გამავრცელებელი ქსელიც საკმაოდ ფართო იყო. მისი აგენტები ავრცელებდნენ, როგორც ამხანაგობის, ისე სხვა გამომცემელთა პროდუქციას. ისინი წიგნებს ავრცელებდნენ გორსა და მის მაზრაშიც[3].

მეოცე საუკუნის დამდეგს, მიხეილ არჩუაძეს გორში გაუხსნია წიგნის მაღაზია, რომელიც მდებარეობდა სამეფო ქუჩაზე, ყოფილი სარაიონო კულტურის სახლის სამხრეთით[4].

გორში კიდევ ერთი წიგნის გამავრცელებლის შესახებ ვპოულობთ მცირე ინფორმაციას. 1915 წელს ცენზურამ აკრძალა „გუთანის“ გამოცემული ა. ჯიოშვილის ბროშურა „მიწა მიწის მუშას“, რომელსაც აქვს დართული ცნობარი თუ სად შეიძლებოდა „გუთნის“ გამოცემების შეძენა. ცნობარში ჩამოთვლილია საქართველოს და ამიერკავკასიის 14 ქალაქი, მათ შორის თბილისის შემდეგ მეორედ დასახელებულია გორი: *„ქ. გორში – ვანო ჩაჩანიძესთან, სობორის ქუჩა“*[5].

გორელ ხალხოსანთა საქმიანობაზე საუბრისას აღვნიშნავთ იმ მრავალი პატრიოტული წამოწყების შესახებ, რომელთა ინიციატორებიც ისინი იყვნენ. გორში ბეჭდვის საქმის პიონერებად ხალხოსნები გვევლინებიან. მათი მოღვაწეობის ძირითად მიზანს ხომ მოსახლეობის ფართო ფენებში, განსაკუთრებით გლეხობაში, განათ-

---

[1] *„დროება“, 1886, №5.*

[2] *გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX ს.ს. VII, თბ., 1984, გვ. 488.*

[3] *იქვე, გვ. 489.*

[4] *გოცირიძე ბ., მკითხველის სახელით, „გამარჯვება“, 1990, №55.*

[5] *მიწა მიწის მუშას, ტფ., 1907.*

ლების შეტანა წარმოადგენდა. ამის მიღწევა კი სხვადასხვა ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა-გამოცემის და ხალხში გავრცელების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, გორელმა ხალხოსნებმა საკუთარი არალეგალური სტამბის მოწყობა განიზრახეს. მაშინ ქალაქ გორში სტამბის გამართვა საშიში იყო. ხალხოსნებმა გადაწყვიტეს 1875 წელს სოფ. ტყვიავში მღვდელი ვასილ სამადაშვილის სახლში პრიმიტიული სტამბა მოეწყოთ. სოფრომ მგალობლიშვილი იგონებდა: *„მღვდელი სამადაშვილი სტამბის ხელობის მცოდნე იყო. ტფილისის სემინარიაში სწავლის დროს ის, მე და პოეტი სოსიკო ბაქრაძე დავიარებოდით ანტონ ფურცელაძესთან მნათობის რედაქციაში, იქვე სტამბა იყო. აქ სამადაშვილმა შეისწავლა ასოთამწყობობა, ბეჭდვა და აკინძვა, ჩვენც ვსწავლობდით. მე განსაკუთრებით შევისწავლე კორექტორობა. აი ამ სამადაშვილმა, რომელიც მაშინ სოფელ ტყვიავში მღვდლობდა, მოაწყო პატარა სტამბა თავის სახლში, რომელიც მდებარეობდა სოფლის გარეშე, მდ. პატარა ლიახვის პირად. გვქონდა ასოები და ერთი ხელით სამუშაოებელი საბეჭდავი დაზგა თავის მოწყობილობით“*[4].

ირკვევა, რომ სოფრომ მგალობლიშვილს და ვასო სამადაშვილს ნაკისრი ჰქონდათ ზოგიერთი პროპაგანდისტული ლიტერატურის თარგმნა და ვ. სამადაშვილის სტამბაში დაბეჭდვა. კერძოდ, მათ უნდა ეთარგმნათ „ოთხი ძმის ზღაპარი“, „ზღაპარი კაპეიკზე“, „შიმშილი სამარაში“ და „ცბიერი მექანიკა“[2]. როგორც ჩანს, მათ დაკისრებული მოვალეობა შეასრულეს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ 1876 წელს ჟანდარმების მიერ ვასო სამადაშვილის ბინაზე ჩხრეკის დროს იპოვეს ქართული და რუსული თარგმნილი რამდენიმე თხზულება[3]. ალბათ, ზემოთდასახელებული ნაწარმოებები მაგრამ არაა ცნობილი, მოესწრო თუ არა მათი დაბეჭდვა.

ვ. სამადაშვილმა შეძლო მხოლოდ საბეჭდავი მანქანის ტყვიავის ეკლესიაში დამალვა.

მიუხედავად რეპრესიებისა, ბეჭდვის საქმე მაინც გაგრძელდა. გორელმა ხალხოსნებმა საბეჭდავი მანქანა ტყვიავიდან გორთან კიდევ უფრო ახლოს, ხიდისთავში გადაიტანეს და არ. კალანდაძის

---

[1] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 76.*

[2] *იქვე, გვ. 75-77.*

[3] *რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 128-129.*

სახლში დადგეს, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ბეჭდავდნენ[1].

გორში პირველი წიგნი დაიბეჭდა 1889 წელს. ეს იყო თომა კემფელის თხზულება „ქრისტეს მიბაძვა“, თარგმნილი გორელი კათოლიკე პატრის ანსელმო მღებრიშვილის მიერ. ა. მღებრიშვილმა განათლება რომში მიიღო. წიგნის შესავალში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ *„ეს სახელგანთქმული თხზულება „მიბაძვა ქრისტესი“ ამჟამად პირველად დაიბეჭდა ქართულ ენაზედ. მართალია, ზოგიერთთა პატივცემულთა და შრომისმოყვარე პირთა წინათაც უცდიათ ამ წიგნის გამოცემა ქართულად, მაგრამ რადგანაც მათს შრომაში, სამწუხაროდ, ბევრი ისეთი ნაკლულევანებანი მოიპოვებიან, რომელნიც არც მცირედ ღირებულებას უკარგავენ თხზულებას[2]. ამის გამო მეც კვალად განვიზრახე თარგმნა მისი. ამჟამად დაიბეჭდა ორი პირველი წიგნი. დანარჩენი ორი წიგნიც მზად მაქვს, მაგრამ ეხლა ამ წიგნთან ერთად ვერ დავბეჭდავ, რადგან გადასასინჯია“*.

როგორც ა. მღებრიშვილი აღნიშნავდა, თავდაპირველად კემფელის თხზულების მხოლოდ პირველი-ორი წიგნის გამოქვეყნება მოხერხდა. იგი დაიბეჭდა არსენ კალანდაძის და ნ. ზარიძის სტამბაში[3], იქვე 1890 წელს დაიბეჭდა თხზულების მესამე და მეოთხე წიგნები. ამჯერად არ. კალანდაძის კომპანიონი, ნ. ზარიძის ნაცვლად, ი. ყანჩაველი იყო. ფრიად საინტერესოდ მიმაჩნია ის შეფასება, რომელიც ცნობილმა მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ მისცა „ქრისტეს მიბაძვის“ ქართული თარგმანის გამოქვეყნებას.

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 181.*

[2] ა. მღებრიშვილი გულისხმობს XVIII საუკუნის გორელი, ასევე რომში განსწავლული დავითა ტულუკაშვილის მიერ „მიბაძვა ქრისტესის“ თარგმანს. *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 181.*

[3] 1889. წელს „ნოვოე ობოზრენიე“ თავის მკითხველს აუწყებდა გორში კალანდაძის და ზარიძის სტამბის საზეიმო გახსნას. სწორედ ამ სტამბაში იბეჭდებოდა და ითარგმნებოდა აკრძალული პოლიტიკური ლიტერატურა, რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო არსენ ივანეს ძე კალანდაძე, ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1876 წლის გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებით მეტეხის ციხეში იჯდა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ა. კალანდაძე გორში დასახლდა. მან გორში დაარსა წიგნის მაღაზია და იაფფასიანი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო ყმაწვილი იოსებ ჯუღაშვილი. მის სტამბაში დაიბეჭდა გორელი მწერალი ქალის ნატალია აზიანის პირველი პიესები. *აბუაშვილი ლ., გორის წარსულიდან, „გამარჯვება“, 1971, №190.*

იგი წერდა: *„ჩვენს დროს „ქრისტეს მიბაძვა“ თომა კემფელისა, ლათინურის ენითგან ქართულს ენაზედ სთარგმნა გორში, კათოლიკების ეკლესიაში ყოფილმა ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარმა ანსელმო მღებრიშვილმა, ახალის ქართულის ენით*[1] *და ეს თარგმანი ამავე პატივცემულმა მოძღვარმა დაბეჭდა ქ. გორში, რაც მრავალთათვის გახდა საკვირველი, რადგანაც ქ. გორში, ქართული წიგნის დაბეჭდვის პირველი მაგალითი იყო და ისიც ქართველთ კათოლიკის მამულისშვილის მოძღვრისაგან. ამ საქმით პატრმა უფრო სამაგალითო საქმე ქმნა. კათოლიკის მოძღვარმა აჩვენა ქართლის ხალხს მაგალითი, რომ გორშიაც შეიძლება ქართული წიგნები დაიბეჭდოს და თავის დროს გაზეთიც კი გამოიცესო. პატივი და დიდება ასეთს მხნე მოძღვრის მოქმედებას და მამულის შვილობას მიძინებულ გორელების წინაშე*“[2].

თომა კემფელი XV საუკუნის მისტიკოს-ფილოსოფოსი იყო. იგი, თავისი მოღვაწეობის, განსაკუთრებით კი საღვთისმეტყველო თხზულებების შექმნის გამო, კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა. იგი დაიბადა 1380 წ. ღარიბი გლეხის ოჯახში. უსახსრობის გამო მშობლებმა თომა ღარიბ ბავშვთა სასწავლებელში მიაბარეს. სწავლის დასრულების შემდეგ ის ბერი გახდა და მწერლობას მოჰკიდა ხელი. მან დაწერა ასზე მეტი თხზულება, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მიბაძვა ქრისტესი“. ამ თხზულების პოპულარობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ იგი ჩვენს საუკუნემდე ორიათასჯერ გამოიცა.

არ. კალანდაძის და ნ. ზარიძის სტამბაში 1889 წელს დაიბეჭდა აგრეთვე ერეკლე რამიშვილის მიერ გამოცემული სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობა „დემეტრეს სახლობა“. 1890 წლის შემდგომ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, გორში წიგნის ან სხვა რაიმეს დაბეჭდვაზე არავითარი ცნობა აღარ გვაქვს. მხოლოდ 1907 წელს დავით მაჭავარიანის სტამბაში ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა *„წესდება გორის საურთიერთობო ნდობის საზოგადოებისა“*.

1909 წელს არ. კალანდაძემ თავისი ხარჯით გამოსცა გორელი დრამატურგის ნატალია აზიანის პიესები.

---

[1] როგორც გამოცემის შესავალში ა. მღებრიშვილი აღნიშნავს, მისთვის სერიოზული დახმარება გაუწევია ნ. ლომოურს, რომელსაც ხელნაწერი წაუკითხავს და სტილისტურად გაუსწორებია.

[2] *ჭიჭინაძე ზ.,უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, ტფ., 1898, გვ. 75*

მართალია ზ. ჭიჭინაძე კემფელის თხზულების გამოცემამ დაარწმუნა, რომ გორში გაზეთის გამოცემის შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ მისი რეალიზაცია მხოლოდ 1912 წელს მოხერხდა. გაზეთის გამოცემის საქმეს სათავეში ჩაუდგა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ბელეტრისტი, გორის ვაჟთა გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი იოსებ ტიმოთეს ძე ცინცაძე (1872-1933 წ.წ.), რომელიც ია ეკალაძე-ცინცაძის ფსევდონიმით წერდა. იგი იყო გაზეთის პირველი რედაქტორ-გამომცემელი.

გორში შედგა *„ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა „ქართლი“, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზაქარია ქიტიშვილი, ხოლო ხაზინადრად – ივანე დიმიტრის ძე კვალიაშვილი.*

„ამხანაგობას“ განზრახული ჰქონდა გამოეცა ყოველდღიური გაზეთი, რომელშიც ლიტერატურულ-მხატვრულ მასალებთან ერთად გამოქვეყნდებოდა წერილები სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებზე. გაზეთს ექნებოდა აგრეთვე ყოველკვირეული სურათებიანი დამატება. გორში გაზეთის გამოცემის ეროვნული მნიშვნელობა ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ საქართველოს მთავარი ქალაქების – თბილისისა და ქუთაისის გაზეთებს. სწორედ ქუთაისის გაზეთ „კოლხიდის“ წყალობით ვიცით, როგორი შინაარსის უნდა ყოფილიყო და რამდენი უნდა ღირებულიყო „ქართლი“. *„ამ მოკლე დროში ქ. გორში გამოვა ყოველდღიური სალიტერატურო, სამეურნეო, სავაჭრო, სასოფლო გაზეთი „ქართლი“, – წერდა „კოლხიდის“ კორესპონდენტი, – გაზეთი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ელირება წელიწადში ხუთ მანეთად, უდანამატებოდ 4 მან.; თვიურათ 11 შაურათ, ცალკე ნომერი სამი კაპიკი. რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე-ცინცაძე“*[1].

რედაქციის სურვილის სრული განხროციელება ვერ მოხერხდა. არახელსაყრელი ტექნიკური პირობების გამო თავდაპირველი გეგმა შეიცვალა. თბილისის გაზეთი „თემი“ იტყობინებოდა, რომ *„ქ. გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგომიდან გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველდღიური იქნება“*[2].

გაზეთი „ქართლის“ პირველი ნომერი გამოვიდა 24 ივლისს. სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო: *„ეს გახლავთ პირველი*

---

[1] *„კოლხიდა“, 1912, №64.*

[2] *გაზ. „თემი“, 1912, №103.*

*ფურცელი ძველი ქართლის პირველი გაზეთისა. და თუ აკლდეს რამე ჯერ ნუ დაგვძრახავთ. გორსა და გორის მაზრას თავის დღეში თავისი გაზეთი არ ქონია... მთელს ჩვენს ძალღონეს მოვანდომებთ ქართველი ერისა და იმის მეზობლების გათვითცნობიერებას, გაადამიანებას ზნეობრივათა და გონებრივათ... არასოდეს არ დაგვავიწყდება ჩვენც ბურჯი და კერა საქართველოსი დაბა სოფლები და მისი მკვიდრნი, დაბეჩავებულნი და ყოველ განათლებას, ყოველსავე სიხარულს მოკლებული გლეხკაცობა და მშრომელი ხალხი. ი, ამათ სამსახურში დავლევთ დღეს და სანამ ცოცხალი ვიქნებით, ვეცდებით შევიტანოთ სოფლად საღი ცოდნა და საღი ცნობანი. ეს არის ჩვენი მიზანი და თუ ცხენზე მჯდომთ, ბედისა თუ გარემოების მეოხებით გალაღებულთ თავს ვერ მოვაწონებთ, ამისი ჯავრი სრულებითაც არ გვაწუხებს...“*[1].

გაზეთის რედაქცია მდებარეობდა მეფის ქუჩაზე ლ. მცხვეთაძის სახლში, იმ ადგილას, სადაც კინო-თეატრი იყო. გაზეთი იბეჭდებოდა დავით მაჭავარიანის ტიპოგრაფიაში, რომელიც იმავე ქუჩაზე მდებარეობდა.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალა თემატურად განლაგებული იყო შემდეგი თანმიმდევრობით: განცხადებები, დეპეშები (საზღვარგარეთი, რუსეთი), სხვადასხვა ამბები (გორი, ტფილისი, ქუთაისი, ფოთი...), დაბა-სოფლები (ქართლი, კახეთი, იმერეთი...), ცნობები სოფლის მეურნეობაზე (მეფუტკრეობა, მეხილეობა და ა. შ.), ცნობები ჯანმრთელობაზე (ექიმის რჩევა-დარიგებანი), გამოსადეგი ცნობები (გორი), ახალი წიგნები, თეატრი და ხელოვნება. განზრახული იყო გაზეთის გამოსვლა კვირაში სამჯერ: ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას. მაგრამ მატერიალური თუ სხვა რამ მიზეზის გამო, 1912 წელს დაიბეჭდა 70 ნომერი, 1913 წელს კი მხოლოდ 10. გაზეთის ტირაჟი 2 ათასამდე იყო.

„ქართლში“ თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები: შანშიაშვილი, არაგვისპირელი, გრიშაშვილი, ევდოშვილი, მღვიმელი, ქუჩიშვილი, გაბაშვილი და სხვანი. გაზეთში შუქდებოდა, უპირველეს ყოვლისა, მაშინდელი გორის ყოფა-ცხოვრება.

1912 წლის 21 ოქტომბერს შედგა „გორის ქართველ გამომცემელ ამხანაგობის“ წევრთა კრება, რომელზეც ია ეკალაძე-ცინცაძე შეცვალეს მ. ციციშვილით და დაადგინეს-გამგეობას სტამბის მოსაწყობად საჭირო კრედიტის გახსნის ნება მისცემოდა. იმავე კრებაზე გადაწყდა შემდგომი, 1913 წლის იანვრიდან გაზეთის ფორმატი

[1] *„ქართლი“, 1912, №1.*

გადიდებულიყო და ყოველდღიურად გამოსულიყო. მაგრამ მოხდა პირიქით, „ამხანაგობაში“ არსებული უთანხმოების შედეგად, 1913 წლის 24 თებერვალს გაზეთმა არსებობა შეწყვიტა.

გაზეთის აღდგენის და გამოცემის საქმეს კვლავ სათავეში ჩაუდგა ია ეკალაძე-ცინცაძე, რომელიც აუცილებელი თანხების შეგროვების მიზნით მოგზაურობდა დაბა-სოფლებში, სადაც ატარებდა საღამოებს, კითხულობდა ლექცია-მოხსენებებს და თავი მოუყარა საჭირო თანხას.

1913 წლის 8 ივლისს „თემში“ გამოქვეყნდა განცხადება: *„ამ წლის 1-ლი აგვისტოდან ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი „ქართლი“. გაზეთი დაიბეჭდება ყოველ დღე კვირა-უქმეთა მომდევნო დღეების გარდა. ფასი გაზეთისა: 1 წლით 6 მან., ნახევარი წლით 3 მან და 50 კაპ., სამი თვით 2 მან., 1 თვით 70 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.“*

ამავე განცხადებაში ია ეკალაძე ხელისმომწერებს პირდებოდა, *რომ „პირველ ნომრიდანვე გაზეთ „ქართლში“ დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი“, მემუარები ოლღა ბატონიშვილისა (მოსკოვში ახლადგარდაცვალებულ ოლღა ილიას ასულისა, ირაკლი მეფის შვილისა“).*

მაგრამ აღნიშნულ დროში გორში გაზეთის გამოცემა ვერ მოხერხდა. მხოლოდ, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1914 წლის 23 ოქტომბერს, გორელებმა იხილეს სახელწოდებაშეცვლილი გაზეთი „ახალი ქართლი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დავით კარიჭაშვილის ვაჟი დავით დავითის ძე კარიჭაშვილი. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ორჯერ. მასში თანამშრომლობდნენ: ნიკო ლომოური, თედო ჟორდანია, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი და სხვები. „ახალმა ქართლმა“ მხოლოდ შვიდი თვე იარსება, დაიხურა 1915 წლის 31 მაისს[1].

1912-1921 წლებში გორში გამოვიდა 37 ნაბეჭდი გამოცემა, რომლის დიდი ნაწილი (21 წიგნი) მხატვრული ლიტერატურა იყო. დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას, ლომოურის, ყაზბეგის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, ს. მგალობლიშვილის და სხვათა ნაწარმოებები. მნიშვნელოვან მოვლენა უნდა ჩაითვალოს ი. მ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსის, ემილ ზოლას შესანიშნავი რომანის – „მაღაროებში მომუშავენის“ გამოცემა. იგი დაიბეჭდა ამხანაგობა „ქართლის“ სტამბაში.

---

[1] *„ქართლი“, 1912, №1.*

ვაჟა-ფშაველა სტუმრად გორელებთან ლევანის ქორწილში ჩამოსული (1915 წლის 22 ან 9 მაისი). პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი გრიშა მთვარელიძე (ვაჟას მძახალი), მეორე – თედო (ვაჟას ძმა). უკანა რიგში: ხეზე უკიდია ხელი, ლეჩქაით ქალი არის მაშო, თამარა მთვარელიძის დედა. დაბლიდან მეორე რიგში მეორე ალექსანდრე – ვაჟას ძმა, მეოთხე მიხა – ვაჟას დისშვილი (მარტიას შვილი), მეხუთე – ლევანი (ვაჟას ვაჟი); **მეექვსე – ვაჟა**, მეშვიდე ვაჟას რძალი – თამარ მთვარელიძე.

გორში იბეჭდებოდა მეცნიერული და სპეციალური ლიტერატურა. წიგნის ცნობილმა პოპულარიზატორმა და გამომცემელმა იასონ კერესელიძემ 1914 წელს გამოსცა ალექსანდრე ფრონელის ისტორიული ნაშრომი „დიდებული მესხეთი“, რომელიც დაიბეჭდა სტამბაში „ქართლი“; იმავე წელს მანვე გამოსცა დიმიტრი ჯანაშვილის „ისტორიული სურათები. ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიისაგან და ქართველი ქალი“; თბილისის გუბერნიის საერობო აგრონომების მიერ რეკომენდირებული, გორის მაზრის აგრონომის იოსები ქურდიანის წიგნაკი - „სიმინდი და მისი მოვლა-მოყვანა“; 1915 წელს იმავე სტამბაში, იმავე რედაქციით დაიბეჭდა იულონ ნიკოლოზის ძე ლომოურის (გორელი პედაგოგის და მწერლის ვაჟი) ბროშურა - *„მწკრივად მთესველი მანქანა და მისი მნიშვნელობა“;* დავით მაჭავარიანის სტამბაში დაიბეჭდა გორელი საზოგადო მოღვაწის, ქალაქის მოურავის თანაშემწის დავით ეფრემის ძე ონიაშვილის *„ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“.*

არ ვიცი, განხორციელდა თუ არა 1915 წლის 11 იანვრის „ახალ ქართლში“ გამოქვეყნებული ცნობა, რომ მოკლე ხანში ი. კერესელიძე გამოსცემდა ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობებს. 26 მარტს იგივე გაზეთი თავის მკითხველს ატყობინებდა, რომ იგივე გამომცემელი დასაბეჭდად ამზადებდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“, ვასილ ბარნოვის „თხზულებებს“ და სხვ.

1915 წლიდან გორში ყოველგვარი გამოცემები შეწყდა, რაც, ალბათ, გამოწვეული იყო შექმნილი ეკონომიკური გაჭირვებით. პირველმა მსოფლიო ომმა გავლენა მოახდინა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეზე. მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ, 1924 წელს გამოვიდა გაზეთი „წითელი ქართლი“[1].

## *კინტო*



ვასილ ბარნოვი

კინტო გორის მკვიდრთა სრულიად თავისებური, ორიგინალური ტიპი იყო. იგი ქუჩის ვაჭრებს, სხვა ვაჭრებს და მცხოვრებთ თითქოს ჰგავდა, მაგრამ განსხვავდებოდა კიდეც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობით და გარეგნობით. სახელი კინტო წარმოიშვა სიტყვა „კინწი“-სგან, რაც კისერს ნიშნავს[2]. რა დამოკიდებულებაში არიან კისერი და კინტო? კინტო ქუჩებში და ეზოებში თავზე დადგმული ყველით, კვერცხებით და სხვა პროდუქტებით სავსე თაბახით დაიარებოდა. თაბახი კისრის კუნთებით წონასწორდებოდა. გორის ქუჩებსა და სავაჭრო საქმიანობაში თავისებური მდგომარეობა იყო. ამიტომ, გორელი კინტო[3] იმ მოქმედ პირს წარმოადგენდა,

---

[1] *ალანია ნ., პირველი ქართული გაზეთი გორში // „ლიახვი“, გორის ახალგაზრდა მწერალთა კრებული, 1963, გვ. 133-135.*

[2] *ი. გრიშაშვილის განმარტებით „კინტო“ ნიშნავს კინწით თაბახის მზიდველს“. გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1985, გვ. 14.*

[3] „კინტო“, „ასასი“, „კონდიტრები“ და „მეარღნე“ დაწერილია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ე. წ. კამინსკის არქივის მასალებზე დაყრდნობით.

რომელიც ქალაქის ფსიქოლოგიურ და კულტურულ მდგომარეობას ასახავდა.

კინტოს ორიგინალური გარეგნობა ჰქონდა: ტანთ ეცვა გრძელი ჩითის ხალათი, მაღალი, კინტოსათვის დამახასიათებელი საყელოთი, რომელიც გვერდით, მარცხენა მხრიდან იკვრებოდა. ოთხი პატარა ღილი საყელოზე ყოველთვის გახსნილი ჰქონდა, რათა კისრის კუნთებს თავისუფლად ემუშავა. ხალათის ზევით მოკლე შავი, თხელი სატინისაგან შეკერილი ახალუხი, მაღალ ჩექმებში ჩატანებული განიერი შარვალი ეცვა, თავზე, კინკრიხოზე პატარა შავი ნაბდის ან კიკიროზიანი ქუდი მუდამ გვერდზე ეფარა, ფეხზე ქრომის ჩექმები, რომლის ყელიც გარმონივით ჩაკეცილი იყო; მკერდზე მიბმული ჰქონდა შავი შნური ან ლენტი ვერცხლის აბზინდიანი ქამარი, ქამრის უკან კი ჭრელი ან წითელი ხელსახოცი.

კინტო მუდამ გონებამახვილი, ენაწყლიანი, მოლაყბე და ამავე დროს მოსახლეობის მიმართ უზომოდ თავაზიანი, კეთილშობილი იყო. იგი თავის მუშტარს ისე არ მოატყუებდა, როგორც „დახურული ბაზრის“ ვაჭრები. კინტო ამას ისე დიპლომატურად და ვირტუოზულად ახერხებდა, რომ მის წესიერებაში ეჭვი არ შეგეპარებოდათ. გორელი კინტო მეტწილად ხილით, მწვანილით და ბოსტნეულით ვაჭრობდა. მან კარგად იცოდა, სად უნდა შეესყიდა და გაესაღებინა საქონელი. როგორც კი გაზაფხული დადგებოდა და ხილის ბაღები ყვავილით დაიფარებოდა, იგი ბაღებს მოივლიდა, ხეებს დაათვალიერებდა, მომავალი მოსავლის რაოდენობას დაადგენდა, ვიდრე „მაზანდა“ (საბაზრო ფასი) დაბალი იყო, მოსავლის შესყიდვას, წინასწარ ბაღის პატრონისთვის „ბეს“ მიცემით ჩქარობდა.

კინტო სასწორით

კინტო დიდი მასშტაბის ვაჭარი არ იყო, მაგრამ მუდამ ფულიანი, ყნოსვით და დიდი ნდობით აღჭურვილი. ამიტომ კინტო თავის კომერციულ ანგარიშებში არასოდეს არ ცდებოდა. კინტო ვაჭრობაში შეუპოვარი იყო და თუ რაიმეს ყიდვა-გაყიდვას განიზრახავდა, არავის აღარ დაანებებდა.

ერთხელ, ცნობილი ხილით მოვაჭრე მოხუცი კინტო შაქრო, ხიდისთავში ვაჭარ საშა ტერ-სტეფანოვის ბაღში მივიდა, ბაღის პატრონს მიესალმა და უთხრა: გავიგე, რომ შენთან თბილისელი ხილით მოვაჭრეები ჩამოსულან. შენ ალბათ

იფიქრე, რომ შენი დიდი მოსავლის შესასყიდად გორელ კინტოს ფული არ ეყოფა და თბილისელ მყიდველს შეუთანხმდი. ისე არ მოგივიდეს, როგორც მოლას მოუვიდა. მას მძიმე, ხორბლით სავსე ტომრების თავისი ვირით გაგზავნა სურდა, მაგრამ იფიქრა მეზობელს უკეთესი ვირი ჰყავსო და მისი ვირი, მძიმე ტომრებით დატვირთული, შორეულ გზას გაუყენა. ვირმა იარა, იარა და შუა გზაში გაჩერდა მოლამ მას ცემა დაუწყო. განრისხებული ვირი გაიქცა და ტომრებიანად ხრამში გადაიჩეხა. შენც ასე ფიქრობ, რომ თბილისელი კინტო შენს მოსავალს მოერევა, თბილისური ფული ფულია, გორისა კი ბზე არისო? მე ძველი კინტო ვარ, ყველა მიცნობს და თუ მოვისურვე მთელი ხიდისთავის ბაღებს შევიძენ. შაქრო ფულს არ ეძებს, ფული თვითონ მიდის მასთან. მე მუდამ ვყიდულობდი შენს მოსავალს და ახლაც ვიყიდი. თუ ას მანეთს გაძლევენ მე 150 მანეთს მოგცემო. და ამ ლაპარაკში შაქრო იღებდა ცხვირსახოცში გამოკრულ ფულს და ცდილობდა პატრონი დაეთანხმებინა. ხილის დამწიფებისთანავე კინტო შესყიდული ხილის საყარაულოდ ბაღში მიდიოდა, კარავს გამართავდა და ხილის მოკრეფამდე იქ რჩებოდა.

კინტო. ერმაკოვის ფოტო

კინტო ბუნებით ხელგაშლილი იყო, მას სიძუნწე არ ახასიათებდა. იგი მყიდველს ყოველი წვრილმანისათვის არ წაეჩხუბებოდა და საქონლის არჩევაში სრულ თავისუფლებას აძლევდა.

კინტო თავმოყვარე და თავდაჯერებული, თავს არავის დააჩაგვრინებდა და ყველაზე მეტად თავისი წოდების ტრადიციებს აფასებდა. თუ ვინმეს მისი დახმარება ან ფული დაჭირდებოდა, იგი მას სიხარულით მხარში ამოუდგებოდა. კინტო ქალაქის ღარიბ ფენებთან და გლეხებთან მიმართებაში გაცილებით მაღლა იდგა „ბნელი რიგების“ ვაჭრებზე.

ქორწილებში და ქალაქგარეთ, ღამბარეულსა და ხიდისთავში გამართულ დღესასწაულებში ხშირად შენიშნავდით კინტოს, რომელიც მოქეიფეებს თაბახზე დალაგებულ დელიკატესებს სთავაზობდა, თაბახის გარშემო კი დღესასწაულის საპატივსაცემოდ ანთებული სანთლები ლაპლაპებდა. იასამნის ან ვარდის პატარა კონით იგი ახალგაზრდებისადმი ყურადღებას გამოამჟღავნებდა, ან

ამქრის მაგიდაზე ღვინით სავსე ვერცხლის თასს დადგამდა. ეს ყველაფერი კინტოს გულისხმიერებაზე მეტყველებდა.

ვერცხლის ქამარი, ჯაჭვზე აბმული ვერცხლის საათი, ორი მსხვილი ბეჭედი, რომლებსაც დიდსა და საჩვენებლ თითებზე იკეთებდა, თაბახი და მხარზე გადაგდებული სასწორი კინტოს ავლა-დიდებას წარმოადგენდა. კინტოს, სხვა ვაჭრების მსგავსად, არავითარი კაპიტალი, ფასიანი ქაღალდები ან უძრავი ქონება არ გააჩნდა. იგი ფულს არ აგროვებდა და არ მალავდა, რაც ჰქონდა თავის სიამოვნებას ახმარდა, საარსებოდ, საჭირო საქონლის და პროდუქტის შესაძენი ფული კი ყოველთვის მოეპოვებოდა.

კინტო დაკვირვებული და ირონიით აღსავსე იყო. მას ეჯავრებოდა ობივატელური სისუსტე, სიძუნწე. დასცინოდა მღვდლებსა და მაჭანკლებს.

აგერ მხიარულად მოაბიჯებს ახალგაზრდა კინტო სარქისი. მას თავზე ცარიელი თაბახი ადგია. იგი განგებ ჩაივლის „დახურულ ბაზარს“, რომ ვაჭრებს გაემასხროს. კინტოს ბუნების დადებითად დასახასიათებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებაო, ასრულებს თხრობას ვ. კამინსკი[1].

ასეთი იყო ვ. კამინსკის მიერ დახატული გორელი კინტო. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იგი თბილისელ კინტოსთან შედარებით ფრიად თავისებური ტიპია, თუმცა გარეგნული იერით, ჩაცმულობით ძლიერ ჰგავს ი. გრიშაშვილის მიერ აღწერილ თბილისელ კინტოს[2]. გორელი კინტო ხასიათებით, მოქმედებით და ცხოვრებისეული პრინციპებით უფრო ყარაჩოღელს მოგვაგონებს.

გორში კინტოს და ყარაჩოღელის ერთ ტიპად გაერთიანება, გორსა და თბილისს შორის განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. გორში, თბილისთან შედარებით შეზუდული შესაძლებლობების პროვინციულ ქალაქში, ერთსა და იმავე დროს კინტოც და ყარაჩოღელიც ვერ იარსებებდა.

### *ასასი – ღამის დარაჯი*

ასასი ღამის დარაჯი იყო, რომელსაც ბინების, მაღაზიების, დუქნების დაცვა ევალებოდა. დიდი კეტით შეიარაღებულ ასასს იმ ობიექტებთან უნდა ეტრიალა, რომლებსაც იცავდა. იგი ამოწმებდა კლიტეებს, დაკეტილი დარაბების ჯაჭვებს, მაღაზიების კარებებს და ა. შ. როდესაც ასასი დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი რიგზე

---

[1] *გსიემ, №8074/8.*

[2] *გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა,* გვ. 13-18.

იყო, იგი თავის ღამის სადგომს დაუბრუნდებოდა, რომელიც კიბის ქვეშ ან რომელიმე სარდაფში მდებარეობდა. აქ მას შეეძლო თვალი მოეტყუებინა იმ იმედით, რომ საჭიროების შემთხვევაში გააღვიძებდნენ ან თვითონ გაიღვიძებდა. „ბნელ რიგებს“, სადაც განლაგებული იყო ყველაზე მსხვილი დუქნები, ორი ან სამი ასასი ემსახურებოდა. ისინი ფუნქციებს ინაწილებდნენ, საუბრობდნენ, სვამდნენ, რიგრიგობით იძინებდნენ. სუსხიან ღამეებში ასასები ცეცხლზე თბებოდნენ.

მეპატრონეები ასასებს ცხვრის თბილ ქურქებს აძლევდნენ, რომელშიც თავიდან ფეხებამდე გაეხვეოდნენ. ვაჭრები ძალზე უფრთხილდებოდნენ და აფასებდნენ ასასებს, როგორც თავიანთი ქონების დამცველებს და მუდამ, განსაკუთრებით დღესასწაულებში, ფულით და ნატურით აჯილდოებდნენ.

არც თუ იშვიათად, თვით ვაჭრები ან „ბნელი რიგების“ ხელოსნები მიდიოდნენ და პირადად ამოწმებდნენ დუქნებს და ასასებს საჭმელ-სასმელით უმასპინძლდებოდნენ.

ასასებს კიდევ ერთი ერთგული მეგობარი ჰყავდათ – საყარაულო ძაღლი, რომელიც დიდი ჯაჭვით დაბმული, უმნიშვნელო ხმაურზე ყეფდა და ღამის დარაჯს ძილს უფრთხობდა. ღამით ასასი აუშვებდა ძაღლს და ისიც თავისუფლად დაიარებოდა გრძელი რიგების გასწვრივ. თვით ასასი, უზარმაზარ ქურქში გახვეული, კიდევ ერთხელ ამოწმებდა კლიტეებს, იჭვრიტებოდა ხვრელებში და ძაღლის ერთგულებაში დარწმუნებული თავის საძინებელ ადგილას მიდიოდა.

დილით პატრონი მოვიდოდა, ჩაძინებულ ასასს რომ ნახავდა, ეჩხუბებოდა, მერე ისევ სავაჭროში მიიწვევდა, არაყს და ხაშს შესთავაზებდა.

ასე, გრძელი ღამის შემდეგ, გაყინული, გამოძინებული, ნაჭამნასვამი, ასასი შინ მიდიოდა, რათა შემდეგ ღამეს კვლავ თავისი მოვალეობა შეესრულებინა[1].

## *კონდიტრები*

საკონდიტროები, როგორც ვაჭრობის ერთ-ერთი სახე, XIX საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა. აქ ცხვებოდა კრენდელები, ბუბლიკები და სხვადასხვა ტკბილეული. საზღვარგარეთული კარა-

[1] *ვსიემ, №8074/4.*

მელის შეძენა კი მხოლოდ ახლად გახსნილ უნივერსალურ მაღაზიებში შეიძლებოდა.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გორში შეგხვდებოდათ შემდეგი წარწერები: „საკონდიტრო და საყავე“, რომლის ვიტრინებში გამოფენილი იყო სხვადასხვა სახის ტკბილეული: კანფეტები, შოკოლადები, კარამელები, კრემიანი ნამცხვრები და ტკბილღვეზელები, ტორტები, კულიჩები, გაღივებული ცომისაგან დამზადებული ფუნთუშები, პასკები და სხვ.

პირველი კონდიტრები გორში თბილისიდან, რუსეთის ქალაქებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულები იყვნენ.

ჟაკ ოვიანი ტრაპეზუნიდან ჩამოსული თურქი-სომეხი იყო. მან ხელობა საზღვარგარეთ შეისწავლა და პატარა, კარგად გაფორმებული საკონდიტრო ჰქონდა სამეფო ქუჩაზე რომანოვის სახლთან, სადაც ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატია.

საკონდიტრო, რომელსაც მეპატრონის სახელი „ჟაკი“ ერქვა, ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. მაღაზიის შიგნით დახლი შუშებში ჩასმული იყო. დახლში გამოეფინათ საკულინარო ნაწარმის საუკეთესო ნიმუშები, კანფეტები და სხვ. დახლის ზემოთ თაროები ეკიდა. იქ ეწყო სხვადასხვა ზომის ბომბონიერები და ყუთები ტკბილ-ღვეზელებისათვის. აქვე ეწყო თვით ჟაკის მიერ ფაქიზად გამოჭრილი ქაღალდები ტორტებისათვის. ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე, დახლზე, სიმეტრიულად განლაგებული იყო წონით გასაყიდი კანფეტებით სავსე მუცლიანი შუშის ქილები. დახლის წინ, კედლებთან პატარა სუფრაგადაფარებული მაგიდები იდგა. კედლებს ამშვენებდა შემდეგი წარწერები: „ჩაი“, „ყავა“, „შოკოლადი“ და სხვადასხვა საზღვარგარეთული ფირმების და ფაბრიკების რეკლამები. მეორე განყოფილებაში განლაგებული იყო საფუნთუშე და საცხობი, სადაც ყოველდღე ახალ-ახალი ფუნთუშეული ცხვებოდა.

ჟაკ ოვიანი, მთელი თავისი ოჯახით აქვე ცხოვრობდა. მას ორი კონდიტერი ჰყავდა: ტრაპეზუნიდან ჩამოყვანილი სომეხი მეფუნთუშე და ადგილობრივი ქართველი. ორივე თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო. „ჟაკი“ კონკურენციას უწევდა გორში არსებულ სხვა ორ საკონდიტროს. ჟაკს დამტარებელიც ჰყავდა, რომელსაც ყოველდღიურად, დილას და საღამოს, მომხმარებლისათვის ცხელ-ცხელი ფუნთუშეული უნდა მიეწოდებინა წინდაწინ აკურატულად ჩალაგებული და ტილოგადაფარებული კალათით. საქონელი იყიდებოდა როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე ნისიად. დამტარებელს უნდა დაემახსოვრებინა ვის და რა რაოდენობის ნამცხვარი მიუტა-

ნა ნისიად. მას, რა თქმა უნდა, ხშირად მეხსიერება ღალატობდა და იძულებული იყო დანაკლისი თავისი ჯიბიდან აენაზღაურებინა.

ისიც ხდებოდა, რომ მხარზე გადაკიდებული კალათიდან ქუჩის ბიჭუნები ჩუმად აცლიდნენ კრენდელს, ფუნთუშას და სხვა. ხშირად დამტარებელი გრძნობდა, რომ პარავდნენ და ქურდს მიუბრუნდებოდა, მაგრამ ამ დროს სხვა ბიჭუნები კალათს საფარებელს ახდიდნენ და ფუნთუშებს გააქანებდნენ, რითაც დამტარებელს სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ.

დამტარებელი ვალდებული იყო ფართო რეკლამა გაეკეთებინა თავისი მეპატრონისათვის: ჩვეული ფრაზისათვის - „ახალი ცხელი ფუნთუშები“, უნდა დაემატებინა - „ჟაკის ფუნთუშები“.

მეორე საკონდიტრო კაკოევს ეკუთვნოდა, რომელიც მდებარეობდა მეფის ქუჩაზე, ამილახვრების სახლის პირდაპირ, ხახანაშვილების სახლში. კაკოევი, თუმცა კეთილსინდისიერი ვაჭარი-კონდიტერი იყო, მას არ შეეძლო ტრაპეზუნელი კონდიტერის – ჟაკის კონკურენტობა.

კაკოევსაც ჰყავდა თავისი საქონლის დამტარებელი, მაგრამ მოქალაქენი უპირატესობას „ჟაკის“ პროდუქციას ანიჭებდნენ და კაკოევის წარმომადგენლის მიმართ გულგრილნი რჩებოდნენ. კაკოევი გაკოტრდა.

შემდეგ გაჩნდნენ სხვა კონდიტრებიც – ალიმბაროვები და ზაქარიანები. მათაც ვერ გაუძლეს „ჟაკთან“ კონკურენციას და მალე გაკოტრდნენ.

მძიმე იყო საკონდიტროების მუშების მდგომარეობა დღესასწაულებში. როდესაც უამრავ დაკვეთებს იღებდნენ, ისინი იძულებულნი იყვნენ მთელი ღამეების განმავლობაში, უჰაერობაში, ცხელ ღუმელთან ემუშავათ, რათა მომხმარებელი დაეკმაყოფილებინათ. ჟაკი ნაკლებად უწევდა ანგარიშს თავის მოსამსახურეებს და იმის მაგიერ, რომ სადღესასწაულო და კვირა დღეებში მუშაობისათვის მათთვის ჯამაგირი მოემატებინა, იგი თვითონაც წინსაფარს აიფარებდა და მათთან ერთად მუშაობდა.

ჟაკი ძალზე გამდიდრდა, გორი მიატოვა, ბათუმში გადავიდა და მარიინის პროსპექტზე დიდი საკონდიტრო გახსნა[1].

[1] *გსიემ, №8074/4.*

## *მეარღნეები*

გორში მეარღნეები ბევრი არ იყვნენ – სულ ერთი-ორი, მაგრამ მათზე მოთხოვნა დიდი იყო. განსაკუთრებით მოქეიფენი ეტანებოდნენ, რომლებიც დუქნებსა და ქალაქგარეთ ბაღებში დროს ატარებდნენ.

მეარღნის შემოსავლის წყარო მისი არღანი იყო, რომელსაც იგი მხარზე ტყავის ქამრით გადაკიდებულს დაატარებდა. მეარღნის ადგილსამყოფელი სადმე სადგურს უკან ან „ბნელ რიგებთან“ თავმოყრილ სამიკიტნოებთან იყო. მეარღნეს იძახებდნენ დუქანში ნასვამი „კამპანიის“ გასართობად. ის თავის არღანს ატრიალებდა, ნასვამი და ნასიამოვნები მოქეიფენი მეარღნეს მიიპატიჟებდნენ, ქეიფის დამთავრების შემდეგ დაქირავებულ ფაეტონში ჩასვამდნენ ქალაქში მუსიკის თანხლებით სასეირნოდ. ახალწლის დღეს მეარღნე ეზო-ეზო და ქუჩებში დაიარებოდა თავისი არღნით ახალი წლის მისალოცად, როგორც მეკვლე და მცხოვრებლებისაგან ღვინოს, გოზინაყს, 2-3 აბაზს ფულს იღებდა.

მეარღნე, ჩვეულებრივ, იცვამდა მოკლე ახალუხს, განიერ შარვალს, აზიურ ჩექმებს და იხურავდა კარტუზიან ქუდს. იგი გარეგნულად ნაკლებად განსხვავდებოდა მოვაჭრე კინტოებისაგან.

გორში, ჩვეულებრივ, არღანზე დასაკვრელი საყვარელი მელოდიები იყო: „სულიკო“, „Понапрасну Ванька ходишь“, „ოდელია-დელია“, „მე ავარად დავდივარ“ და სხვა.

ზოგჯერ მეარღნეს შეძლებული გლეხები და თავადაზნაურები სოფლებში ქორწილებზე და დღესასწაულებზე მიიწვევდნენ. მეარღნეს უჭირდა დიდმარხვის დროს. მას 40 დღე და ღამე უნდა ემარხულა რადგან ამ დროს ნებისმიერი მუსიკა მკაცრად იკრძალდებოდა. მეარღნე, ქალაქის ყველა ფენების წარმომადგენელთა მსგავსად, პოლიციას გადასახადს უხდიდა.

მეარღნეებს ჰყავდათ მეტოქენი მედუდუკეთა და მესაზანდრეთა სახით, რომლებიც ქალაქში პრივილეგირებულ მუსიკოსებად ითვლებოდნენ, მაგრამ ისიც ხდებოდა, რომ მედუდუკეს და მესაზანდრესთან ერთად მეარღნესაც იწვევდნენ[1].

---

[1] *გსიემ, №8074/4.*

# ეკონომიკური განვითარება

## 1. ფინანსები

გორის ფინანსურ შესაძლებლობებზე, მის შემოსავალსა და გასავალზე მწირი ცნობები გაგვაჩნია. ეს განსაკუთრებით ითქმის XIX ს. პირველ მესამედში არსებულ ვითარებაზე.

პირველი მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია ქალაქის ფინანსურ მდგომარეობაზე გვაქვს 1842 წლიდან.

1842 წელს ქალაქის საზოგადოებრივი ქონებიდან შემოსავალს 645 მანეთის ოდენობით ვარაუდობდნენ. აქედან: პირუტყვის დაკვლისათვის 350 მან., ქალაქის დაუსახლებელ ადგილებში სასახლკარე და სხვა ნაგებობათა ასაგებად ნაკვეთებისა და გეგმების გაცემისათვის – 30 მან., თევზჭერისათვის – 15 მან., ტვირთის გადაზიდვისა და მდინარეზე გადატანისათვის – 100 მან., ქალაქის საწონებისა და საზომთა გამოყენებისათვის – 120 მან., გაჯის საწარმოებიდან – 30 მან.

მოსახლეობის კერძო ქონებიდან ამოსაღებ თანხას 1511 მან. ვარაუდობდნენ. ეს თანხა ნაწილდებოდა შემდეგნაირად: ა) უძრავი ქონების შეფასებისათვის შეფასებული მანეთიდან 1,5 კაპიკი, რაც შეადგენდა 1200 მან; ბ) საწარმოების შემოსავლიდან – 141 მან; გ) სახაბაზოებიდან – 20 მან; დ) ვენახებიდან, ხილის ბაღებიდან და ბოსტნებიდან – 40 მან; ე) სამღებროებიდან – 50 მან; ვ) სახლებიდან, წისქვილებიდან, წვრილი საწარმოებიდან და მცირე ბაღებიდან – 10-10 კაპ., სულ 50 მან.

სამრეწველო საწარმოებიდან და სარეწებიდან ანაკრები – 1111 მან, კერძოდ, სამიკიტნოებიდან – 180 მან., საწვრილმანო დუქნებიდან – 50, ვაჭრებიდან – 560 მან., შინამრეწველებისა და ხელოსნებისაგან – 200 მან., შავი მუშებისაგან – 20-20 კაპ., სულ 35 მან. თითოეული მეეტლისაგან – 1 მან.50 კაპ., ცხენებისა – 45 მან., დაცურებული ტივების მტკვრის ნაპირზე მიდგომისათვის – 20 მან.;

სახაზინო, საეკლესიო და მებატონეთა გლეხების საერობო გადასახადი – 890 მან.[1] ამგვარად ქალაქის შემოსავალი მთლიანად შეადგენდა 4147 მან. 62,5 კაპიკს.

---

[1] საერობო გადასახადში შეიძლება იგულისხმებოდეს ფულადი გადასახადი „მალი“, რომელიც შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ XV ს. 20-იანი წლების დასაწყისში მტრის მიერ დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. ეს გადასახადი დატოვებული იქნა რუსული მმართებლობის შემოღების შემდეგაც. მას იხდიდნენ თბილისისა და გორის მოქალაქენი და

მოსახლეობის ნატურალური გადასახადებისაგან აღსანიშნავია გორში განლაგებული სამხედრო ნაწილის-გრენადერთა პოლკის ბატალიონის ოფიცრების ბინებით უზრუნველყოფა[1], საზიდრების გამოყვანა ჯარის და ტუსაღების გადასაყვანად და სახაზინო სურსათის გადასატანად.

იმავე დროს, სამაზრო დაწესებულებების შესანახად და თანამდებობის პირთა დასაჯილდოებლად საჭირო თანხები წელიწადში შეადგენდა: სამაზრო სახალხო მასწავლებლებისათვის – 1841 მან. 60 კაპ., მაზრის სამმართველოზე და 5 უბნის უფროსისათვის – 9110 მან., ექიმის მოწაფეებისათვის – 295 მან., ბებია ქალისთვის – 320 მან., სააკციზო სამმართველოსთვის – 2280 მან., სამაზრო ხაზინის შესანახად – 2350 მან., პენსიონერებისა და სხვადასხვა პირთა შესანახად – 2906 მან 77 კაპ., სამაზრო სასამართლოსთვის – 12700 მან., სამაზრო პროკურორისათვის – 818 მან., სამაზრო მიწისმზომისათვის 818 მან., და ა.შ.[2]

გასავლის ხარჯები მოცემულია მაზრის მასშტაბით და შეადგენს 34257 მან. 37 კაპ. რა თქმა უნდა, სამაზრო ხარჯებს ქალაქიდან აკრეფილი გადასახადები ვერ დაფარავდა. ალბათ, სამაზრო მნიშვნელობის მმართებლების აპარატის და სხვა მოხელეთა შესანახად ხარჯების დაფარვა მაზრის მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადებით ხდებოდა. თბილისის გუბერნიის ქალაქების შემოსავალ-გასავლის უწყისში №14 გორის შემოსავალი 1862 წელს შეადგენდა 4856 მან., გასავალი – 10037 მან. ამგვარად, ნარჩენი და გაჩერებული იყო 5181 მან 36,75 კაპ.[3]

ქ. გორის შემოსავალი მოსახლეობის მატების ნელი ტემპისა და წარმოების დაბალი განვითარების გამო, შეუმჩნევლად იზრდებოდა. 1864 წლისათვის გვაქვს საინტერესო ცნობა შემოსავალ-გასავლებისა, მაგრამ არ ვიცით, რისგან შედგებოდა ქალაქის ბიუ-

---

სახელმწიფო გლეხების მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ცოლიანი იხდიდა 6 აბაზს, უცოლო – 3 აბაზს. *Антелова И., Государственные крестъяне Грузии в первой половине XIX века, Тб, 1955, с. 309*

[1] გორში სახლების მეპატრონეებისაგან ბინის გადასახადისათვის ამოღებული თანხა შეადგენდა უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლის 18%-ს და წელიწადში იძლეოდა 2200 მანეთს. 1862 წლამდე ბინის გადასახადის დავალიანება იყო 224 მან 71,75 კაპ. 1862 წელს საჭირო იყო 1975 მან 28,75 კაპ, რაც კიდევ იქნა ამოღებული. *სეა, ფ. 17, საქმე 8962, ფ. 147.*

[2] *Бухникашвили Г., Гори, с.84-85.*

[3] *Документы, II, с. 823.*

ჯეტი. ვიცით მხოლოდ, რომ შემოსავალმა შეადგინა 8382 მან 40,75 კაპ., გასავალმა-7508 მან.64 კაპ., ამგვარად ქალაქის შემოსავალი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. ისიც საინტერესოა, რომ ამ დროისათვის შემოსავალი გასავალს სჭარბობდა 874 მანეთით[1].

თბილისის გუბერნიაში გამოსაღებთა და ნარჩენთა უწყისით, 1864 წლის 1 იანვრისათვის გორში ნარჩენი იყო 693 მან. იმავე წლის პირველ ნახევარში სარგო იყო 1371 მან., ხოლო მეორე ნახევარში -1368 მან.[2]

ხელთა გვაქვს მთავარი სამმართველოს უფროსის ბარონ ა. ნიკოლაიას წარდგინება კავკასიის მეფისნაცვლისადმი ქ. გორის 1866 წლის გასავლის და შემოსავლის დამტკიცების შესახებ. მასში საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი რომელ წელს რამდენი და რის გამო დააკლდა საქალაქო ბიუჯეტს. აღნიშნულ წელლს გორის შემოსავალს შეადგენდა 8993 მან.69 კაპ., გასავალს – 7997 მან. 42,75 კაპ.[3]

1877 წელს გორის საქალაქო ბიუჯეტი კვლავ დეფიციტური იყო: შემოსავალი – 10 ათასი მან., გასავალი – 12 ათასი. შემოსული თანხა მთლიანად სამოხელეო აპარატის შენახვას ხმარდებოდა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის არც ერთი მანეთი არ იყო გათვალისწინებული[4].

ვაჭრობისა და წარმოების განვითარების გამო შემოსავალიც იზრდებოდა, რაშიც გვარწმუნებს 1877-1880 წლების მონაცემები:

1877 წ. – 24760 მან. 23 კაპ.;

1878 წ. – 24520 მან. 51 კაპ.;

1879 წ. – 24763 მან. 26 კაპ.;

1880 წ. – 23431 მან. 09 კაპ.;

ქალაქის შემოსავალი 4 წლის განმავლობაში საშუალოდ იყო 24368 მან. 77 კაპ.[5]

საქალაქო ბიუჯეტი დეფიციტური იყო 1880 წელსაც.

გორის საქალაქო ბიუჯეტი 1880 წელს შედგა შემდეგი შემოსავლებიდან:

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 414, საქმე 9, ფურც. 56.*

[2] *იქვე, ფ. 10, საქმე 3109, ფურც. 75.*

[3] *იქვე, ფ. 8, საქმე 4744, ფურც. 54-56.*

[4] *«Кавказское обозрение», №13, 1877.*

[5] *გსიემ, №535მ ფ. 51-52.*

| | |
|---|---|
| ქალაქის ხიდისა | 2255 მან. 84 კაპ. |
| ქალაქის ბორნისა | 8342 მან. 51 კაპ. |
| სასმელების დამზადების პატენტისა | 261 მან. |
| ერობისაგან მიღებული დახმარება | 6617 მან. |
| ზომისა დ წონის 1156 მან. | |
| ქალაქის სახნავი მიწებიდან | 33 მან. |
| ქალაქის საძოვრებიდან | 67 მან. 28 კაპ. |
| სანოტარო აქტების გადასახადებიდან | 657 მან. |
| სამიკიტნოების აკციზიდან | 1260 მან. |
| გადასახადი მეეტლეობისათვის | 234 მან. 50 კაპ. |
| ჯარიმა და შემთხვევითი შემოსავალი | 235 მან. 99 კაპ |
| შეფასების გადასახადი | 21 მან. 14 კაპ. |

---

სულ 21141 მან. 26 კაპ.

| | |
|---|---|
| იმავე წლის გასავალი იყო: | |
| გორის გამგეობის და სათათბიროს | |
| ბინის შენახვა | 781 მან. 73 კაპ. |
| არქიტექტორის შენახვა | 875 მან. |
| პოლიციის ათისთავის შენახვა | 1248 მან. |
| ჯარის ბინის ფული | 1479 მან. 30 კაპ. |
| ჯარისათვის შენობის დაქირავება | 3543 მან. 63 კაპ. |
| ქალაქის განათება | 2508 მან. 23 კაპ. |
| სატუსაღოს გათბობა და განათება | 840 მან. |
| დასუფთავება | 414 მან. 99 კაპ. |
| ხიდის მოწყობა, ხიდისა და ბორნის | |
| რემონტი, ბაგირის გამოწერა | 5444 მან. 19 კაპ. |
| კალიის განადგურება | 400 მან. |
| ილუმინაცია | 79 მან. 34 კაპ. |
| ლიახვის ადიდებით გამოწვეული | |
| ხარჯი 283 მან. 40 კაპ. | |

---

სულ: 26549 მან. 48 კაპ.[1]

ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე. 1898 წელს საშემოსავლო ბიუჯეტი გეგმით იყო 20792, ფაქტიური შემოსავალი კი – 18149; 1899 წელს გეგმით – 18639, ფაქტიურად-16531; 1900 წელს გეგმით უკვე გათვალისწინებული იყო 16418 მანეთი, მაგრამ მისი

[1] *იქვე, ფ. 79-80.*

შესრულების შესახებ არ ვიცით[1]. ბოლო სამი წლის მონაცემები ნათელს ხდის, რომ საქალაქო ბიუჯეტი XIX ს. ბოლო წლების ტენდენციას ატარებდა.

ალბათ, საინტერესოა იმის გაგება, რომ გორის ბიუჯეტის ამგვარ მდგომარეობას ჯერ კიდევ 60-იან წლებში ერთ-ერთი უცნობი მოხელე იმით ხსნიდა, რომ გორში განლაგებული ჯარისათვის აუცილებელი საცხოვრებლებისათვის ხარჯები მთლიანად მოსახლეობას აწვებოდა და იგი არასარგ ანაკრებს შეადგენდა[2].

ადგილობრივი ხელისუფლება ბიუჯეტის შევსებისათვის თავს დიდად არ იწუხებდა და უფრო თავის პირად ინტერესებზე ზრუნავდა. ამას კარგად ხედავდნენ ვაჭრობასა და წარმოებასთან დაკავშირებული გორელები და ისინი მოურიდებლად აცხადებდნენ კიდეც 1864 წლის 2 მაისს მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ „მოხსენებაში“. მასში ნათქვამი იყო, რომ 1853 წლის დადგენილებით, საქალაქო მიწების კერძო საკუთრებაში გასხვისება უნდა ხდებოდეს საჯარო გაყიდვით და ამოღებული თანხა ქალაქის სარგებლობაში გადადიოდეს. მაგრამ ქალაქის ხელისუფლება ქალაქის მიწებს თავისი შეხედულებისდა მიხედვით სხვადასხვა პირებს ყოველგვარი გაყიდვის გარეშე გამოუყოფდა. ქალაქის დეპუტატებმა 1857 წელს იჩივლეს, მაგრამ ხელისუფლებამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია. უფრო მეტიც, 1860 წელს ქალაქის ჩრდილო ნაწილში სახაზინო გლეხების 12 კომლს გამოუყვეს მიწები, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი თვითონ დაიკავეს, დანარჩენი გაყიდეს. „მოხსენების“ ავტორები იქვე მიუთითებდნენ, რომ მსგავსი უკანონობა ყველა ქალაქისათვის საზარალო იქნებოდა, მით უმეტეს გორისთვის, რომლის ხაზინა სავალალო მდგომარეობაში იყო.

იმავე „მოხსენებაში“ აღნიშნულია გორის ხაზინის მდგომარეობის გაუარესების კიდევ ერთი მიზეზი. კერძოდ ის, რომ ამიერკავკასიის სახაზინო პალატის განკარგულებით, ქალაქი ივსებოდა სოფლის უღარიბესი მოსახლეობით. მათ არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდათ ქალაქის საზოგადოებისათვის. თავიანთი სიღარიბის გამო ისინი საქალაქო გადასახადს არ იხდიდნენ და მხოლოდ მძიმე ტვირთად აწვებოდნენ გადასახადების გადამხდელ მოსახლეობას. მათ მაგივრადაც, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, მოქალაქენი იხდიდნენ გადასახადებს. ამის გამო იყო, რომ მხოლოდ ბოლო პერიოდში, სახელდობრ 1859 წლიდან 1863

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 708.*

[2] *სეა, ფ. 414, საქმე 9, ფურც. 56*

წლის 1 იანვრამდე, გადაიხადეს 5 ათას მანეთზე მეტი. აღნიშნული თანხა იმ დროისათვის მართლაც დიდი იყო და მოქალაქეთა და ხაზინის გაღატაკებას იწვევდა.

„მოხსენებაში“ არ ჩანს, რომ არც 60-იან და არც 90-იან წლებში ქალაქის „მამები“, თუ მათთვის სასარგებლო იყო, სულაც არ უფრთხილდებოდნენ ხაზინის შემოსავალს და მის ძარცვაში თავიანთ ახლობლებსაც წილს უდებდნენ. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ჩემი აზრით, ნათელს გახდის იმ პრინციპებს, რომლითაც ქალაქის მმართებლობა ხელმძღვანელობდა ხაზინის ინტერესების სრული იგნორირებით.

1893 წლის 13 ნოემბერს შედგა შემოსავლის სტატიის – ათკაპიკიანი გადასახადის არენდით გაცემისათვის ვაჭრობა. ეს გადასახადი დაწესებული იყო ქალაქის სასარგებლოდ ქუჩებში და მოედნებზე ურმების და, საერთოდ, ტვირთსაზიდართა გაჩერებისათვის და იგი საკმაოდ დიდ შემოსავალს იძლეოდა. მასში შეთავაზებულ იქნა 2310 მანეთი, მაშინ, როდესაც გასულ წელს იგი გაცემულ იქნა 4050 მანეთად. ამჯერადაც აღმოჩნდნენ მსურველები გადაეხადათ მეტი, მაგრამ მათი განცხადებები უარყვეს. ამგვარად, ქალაქის ბიუჯეტმა 1740 მანეთი იზარალა, რაც ქალაქის თავის ერთი წლის ხელფასს უდრიდა. არენდის გაცემის დროს გორის ფინანსური მდგომარეობის გულშემატკივარი იმის იმედით იყო, იქნებ აღნიშნული გადაწყვეტილება საგუბერნიო ხელისუფლებას არ დაემტკიცებინა[1].

1894-1911 წლებში შემოსავლის მხრივ, საქართველოს ქალაქებს შორის, გორი მეშვიდე ადგილზე იყო, ხოლო 1894-1914 წლებში შემოსავლის პროცენტული მაჩვენებლებით გორმა მეექვსე ადგილი დაიკავა. მას მეექვსე ადგილი ეკავა, აგრეთვე, გასავლის პროცენტული მატებით. მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ბიუჯეტის დეფიციტის მიხედვით, გორი საქართველოში ყველაზე ჩამორჩენილი ქალაქი იყო. სამოქალაქო თვითმმართებლობის უძრავი ქონების შემოსავლის და მოქალაქეთა სავაჭრო – სამრეწველო დაწესებულებათა გადასახადების, ანუ თვითმმართებლობის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს შემცირების ტენდენცია ჰქონდა. სამაგიეროდ გაიზარდა მოქალაქეთა უძრავი ქონების არაძირითადი წყაროები. 1895 წელს მათი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი განაპირობა გადასახადთა ნარჩენების შემოსვლამ 3056 მანეთის ანუ მთელი შემოსავლის 17%-ის ოდენობით. 1915 წელს ხაზინამ ქალაქის დასახმარებლად 7242 მანეთი გაიღო (შემოსავლის 13,7%).

---

[1] *„Тифлисский листок“, 1893, №268.*

ქალაქის ხაზინის შევსებაში მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნოდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებიდან მიღებულ გადასახადებს, რომელსაც ქალაქის თვითმმართებლობა სულ უფრო ზრდიდა. 1912 წლის დადგენილებით, ღვინის სარდაფის მეპატრონეს უნდა გადაეხადა 40-50 მანეთი, დუქანს – 70 მანეთი, სამიკიტნოს – 40, არყის საწყობს – 100, საკონდიტროს-15, ძეხვის მაღაზიას-30, თევზის მაღაზიას – 40 და ა.შ. გორის თვითმმართებლობის მიერ შემოღებული გადასახადები სამოქალაქო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულომ არ დაამტკიცა[1].

ქალაქის უძრავ ქონებაში შედიოდა ქალაქის ბაღი, რომლის ცალკეულ მონაკვეთებს თვითმმართებლობა იჯარით გასცემდა სხვადასხვა ატრაქციონების მოსაწყობად[2]. გარკვეული შემოსავალი მოჰქონდა სახაზინო შენობა-ნაგებობებს, რომელთა საერთო ღირებულებამ 1913 წელს 3400 მანეთამდე შეადგინა და მათი იჯარიდან მიღებულ იქნა 1600 მანეთი[3].

ქალაქის ხაზინის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა აგრეთვე სასაკლაოს და საქალაქო სასწორის იჯარა. 1915 წელს სასაკლაოს მიერ მიცემულმა მოგებამ 1044 მანეთი, ხოლო სასწორისამ 1909 წელს 840 მანეთი შეადგინა[4].

ქალაქის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს მეეტლეობაზე დაწესებული ბეგარა შეადგენდა. გვაქვს ზოგიერთი ცნობა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს თვალი მივადევნოთ როგორ იზრდებოდა ამ სახის გადასახადი, რაც არა მხოლოდ გადასახადის ზრდაზე, არამედ თვით ტრანსპორტის გამრავლებაზეც უნდა მიუთითებდეს. 1894 წელს მეეტლებმა ქალაქის ხაზინაში შეიტანეს 293 მანეთი, 1898 წელს – 354.18[5], 1911 წელს – 387[6], 1915 წელს – 1328[7].

1914 წლის ნოემბრიდან ქალაქის რწმუნებულთა კრებამ ავტომობილთა მფლობელებზე დააწესა წლიური გადასახადი, რომელიც მოტორის ძალის ერთეულებით განისაზღვრებოდა[8]. გორის საქალაქო თვითმმართებლობა სულ ახალ-ახალ გადასახადებს იგონებდა. ზოგი ისეთი იყო, რომ მხოლოდ მოქალაქეთა უკმაყოფილებას კი

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 533, ფურც. 2-9.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1648, საქმე 237, ფ. 60*

[3] *იქვე, ფ. 29, ანაწ. 1, საქმე 888, ფ. 8*

[4] *იქვე, საქმე 1458, ფ. 59.*

[5] *სტატისტიკური მონაცემების კრებული ამიერკავკასიის შესახებ.*

[6] *Кавказский календарь, 1913 г., с. 284.*

[7] *Там же, 1917, с. 274.*

[8] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 23, ანაწ. 1, საქმე 1727, ფურც. 217.*

არა, ზემდგომი ორგანოების გაკვირვებასაც კი იწვევდა. მაგალითად: საგუბერნიო მთავრობამ გააუქმა გორის ქუჩებსა და მოედნებზე საზიდრებიდან და საპალნეებიდან დროებით მოვაჭრეებზე დაწესებული გამოსაღები, მეტივეებზე და ქალაქში მოხეტიალე პირუტყვზე გადასახადი, სააფიშო გადასახადი და ნახშირზე ნიხრი. 1901 წლიდან, თვითმმართებლობის დასასრულამდე, იყო მცდელობა გორის რკინიგზის სადგურის ქალაქთან შემოერთებისა და გადასაზიდ ტვირთზე გამოსაღების დაწესებისა, მაგრამ ამის მიღწევა ვერ შეძლეს.

ქალაქის ბიუჯეტს უმძიმეს ტვირთად აწვა თვითმმართებლობის შენახვა. 1894 წელს ეს ხარჯი თუ 5933 მანეთს შეადგენდა, 1915 წლისათვის 12002 მანეთამდე გაიზარდა. ასევე დიდი იყო პოლიციისა და სახანძრო ნაწილის შესანახი თანხა, ქალაქში მდგომი ჯარის ბინების დაქირავების ხარჯები და სხვ.

## 2. წარმოება

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, XIX ს. 30-იან წლებამდე, მართალია, ქვეყანამ გარეშე მტრების შემოსევებისაგან მოისვენა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა და ადამიანთა რესურსები ჩანაგდებოდა რუსეთის მიერ წარმოებული გაუთავებელი ომების, ანტირუსული გამოსვლების, სტიქიური უბედურებების, რუს მოხელეთა და ქართველ მებატონეთა ძალადობის და სხვადასხვა მძიმე ბეგარის შედეგად. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქვეყანა მაინც თანდათანობით ნორმალური ცხოვრების კალაპოტში დგებოდა. ხელოსნობა ფართოვდებოდა საქართველოს ქალაქებში და, რა თქმა უნდა, გორშიც.

ფეოდალიზმის ეპოქაში გორის მრეწველობა ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული[1]. 1802 წლის აღწერილობაში დასახელებულია შემდეგი დარგების 46 სახელოსნო: ზეინკალთა-1, ოქრომჭედელთა-3, მღებავთა-9, ფეხსაცმლის მკერავთა-3, მექუდეთა-3, თოქმაჩთა-3, მჩითავთა-10, სხვადასხვა დარგის-14[2]. ძნელი დასადგენია, თუ რამდენი ხელოსანი მუშაობდა ჩამოთვლილ სახელოსნოებში, რამდენი შეგირდი ჰყავდათ ან როგორ პირობებში მუშაობდნენ. ერთი რამ ცხადია, რომ ხელოსანთა რაოდენობა სახელოსნოებზე მეტი იქნებოდა, მაგრამ არა იმდენი, როგორც გორის კომენდანტი, მაიორი

---

[1] *გორის ხელოსნების ადრეულ პერიოდზე იხ. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 302-313.*

[2] *სეა, ფ. 16, საქმე 51, გვ. 5.*

რეიხი წერდა, თითქოს 1804 წლისათვის მათი რაოდენობა 118-მდე იყო. ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს 1822 წლის მონაცემები, როდესაც 72[1], ხოლო 1837 წ. კი მხოლოდ 70 ხელოსანი იყო[2]. ამ უკანასკნელი ცნობით ხელოსნები დარგების მიხედვით ნაწილდებოდნენ შემდეგნაირად: მკერავი-6, ხარაზი-19, მჭედელი-9, მკალავი-5, ზეინკალი-2, მექუდე-8, ოქრომჭედელი-4, მენაბდე-2, მეხანჯლე-2, სირაჯი-6, დალაქი-7.

მაზრის უფროსის ნესტოროვსკის თქმით, 1842 წელს გორში იყვნენ შემდეგი ხელოსნები: თერძები, მეწაღეები, მექუდეები, მჭედლები, კალატოზები, ხუროები, თოქმაჩები და დაბაღები. ხელოსნური წარმოების გვერდით ქალაქში იყო სუსტი შესაძლებლობის სამრეწველო საწარმოებიც: 1 სამხერხაო, 1 ზეთსახდელი, 2 არყის სახდელი, 4 საკირე, 5 აგურხანა, 2 კრამიტის სახელოსნო, 3 ტყავის სახელოსნო, 2 სამეთუნეო, 1 სამღებრო[3].

1851 წლის აღწერით გორის სარეწაოების წლიური შემოსავალი განისაზღვრებოდა შემდეგი მონაცემებით:

***ცხრილი №6***

| № | სარეწაოების დასახელება შენიშვნა | სარეწაოების რაოდენობა | სარეწაოების შემოსავალი | წლური |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხე-ტყის არ მუშაობდა | 1 | – | |
| 2 | ტყავის დამამუშავებელი | 2 | 300 | |
| 3 | სამეთუნეო | 4 | 200 | |
| 4 | აგურის | 3 | 900 | |
| 5 | საპნის | 1 | 450 | |
| 6 | ზეთსახდელი | 2 | 1500 | |
| 7 | სამღებრო | 3 | 210 | |
| | სულ | 16 | 3560[4] | |

1842 და 1851 წლების მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ გორის ზოგიერთმა საწარმომ გარკვეული ცვლილება განიცადა, ზოგიე-

---

[1] *იქვე, ფ. 34, საქმე 3290, გვ. 7.*

[2] *იქვე, ფ. 159, საქმე 5679.*

[3] *იქვე.*

[4] *იქვე, ფ. 152, საქმე 6; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 119.*

რთმა კი არსებობა შეწყვიტა. ზოგიერთ ნაწარმზე მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ მისი გამომშვები საწარმოების რიცხვმა იმატა. 1851 წლის ჩამონათვალში აღარ ჩანს არც ერთი არყის სახდელი, საკირე, კრამიტის საწარმოები, შემცირებულია აგურის საწარმოთა რიცხვი (5-ის ნაცვლად 3), ტყავისა (2-1), გაიზარდა ზეთსახდელთა რაოდენობა (1 და 1), სამეთუნეო (2 და 2) და სამღებრო (1 და 2) საწარმოების რიცხვი. გაჩნდა სრულიად ახალი საწარმო – საპნის სახდელი.

როგორც ზემოთ ითქვა, 1852 წელს გორში იყო 2 ტყავის საწარმო 250-300 მანეთის საერთო რაოდენობის პროდუქციით. 1856 წელს მხოლოდ ერთი ტყავის საწარმო ჩანს 458 წლიური პროდუქციით, 1857 წელს 560 მანეთის წლიური პროდუქციით, 1858 წელს 750 მანეთის პროდუქციით და ა.შ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრე არსებული ორი ტყავის საწარმო გაერთიანდა ერთი მოხერხებული მეწარმის ხელში და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია სულ უფრო იზრდებოდა.1864 წელს გორში იყო:

***ცხრილი №7***

| № | საწარმოს დასახელება | საწარმოს რაოდენობა | საწარმოს წლიური შემოსავალი |
|---|---|---|---|
| 1 | ზეთსახდელი | 2 | 800 |
| 2 | სამეთუნეო | 6 | 780 |
| 3 | სამღებრო | 3 | 500 |
| 4 | აგურის | 7 | 200 |
| სულ | | 18 | 2280[1] |

1858 წელს გორში იყო 16 საწარმო, რომელთა მწარმოებლობა 7700 მანეთს შეადგენდა[2]. მოღწეულია გორის საწარმოთა მეპატრონეების მიერ გამოშვებული ნაწარმის ოდენობის და მისი ღირებულების უწყისი, რომელიც ასახვს 1864 წლის ვითარებას (იხ. ცხრილი №7).

1865 წლის „გორის მაზრის მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში“ დასახელებულია შემდეგი საწარმოები: 2 ზეთსახდელი[3], 1 ტყავის,

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 175, საქმე 1081; გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 120.*

[2] *მასალების კრებული ტფილისის გუბერნიის აღწერისათვის, ტფ. 1870, გვ. 10.*

[3] ყოველწლიურად გორში სელისა და კანაფისაგან ხდიდნენ დაახლოებით 150 ვედრო საჭმელ ზეთს, ნედლეული ნაწილობრივ ადგილობრივი იყო,

4 აგურის, 6 სამეთუნეო, 3 სამღებრო და 12 არყის სახდელი[1]. როგორც ჩანს, საწარმოთა მნიშვნელობის განსაზღვრისას სხვადასხვა მიდგომა არსებობდა. გაუგებარია, რატომაა სხვადასხვა დოკუმენტში რომელიღაც დარგის საწარმოთა რაოდენობა შემცირებული ან გადიდებული, ზოგი საერთოდ გამოტოვებულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოხელეები უპირატესობას გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას ანიჭებდნენ. ამის მიხედვით, ზოგიერთი საწარმო იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნდათ, რომ ჩამონათვალშიც კი აღარ შემოჰქონდათ. ასეთი მიდგომა რომ გამართლებული იყო, იქიდანაც ჩანს, რომ „მიმოხილვის“ მიხედვით, 60-იანი წლების შუა ხანებში, გორში იყო 28 ნაკლებმნიშვნელობის საწარმო, რომლის პროდუქცია მხოლოდ მაზრაში საღდებოდა. „მიმოხილვის“ ავტორმა მათი ჩამოთვლაც კი არ ისურვა. მათი უმრავლესობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამხმარე სარეწები და ამის გამო უმეტესწილად, მხოლოდ ხელოსნურ ხასიათს ან ოჯახური მრეწველობის ხასიათსაც კი ატარებდნენ. მაგ. კირის დასაწვავი ქურები, აგურხანები, სამეთუნეოები, არყისსახდელები.

„მიმოხილველიდან“ ჩანს, რომ გორსა და მის მიმდებარე სოფლებში „მანუფაქტურული მრეწველობა“ არსებობდა. კერძოდ, სადურგლო, საზეინკლო, სამეთუნეო, ტყავისა და ბეწვეულის გამოყვანა, მეწაღეობა, სამკერვალო, უხეში ტილოს და უხეში მაუდის ქსოვა საოჯახო მოხმარებისათვის. წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი მეღვინეობა იყო, მდ. ლიახვზე და მდ. მტკვარზე სუსტი და შემთხვევითი ხასიათის მეთევზეობაც იყო[2].

ნაწილობრივ იმერეთიდან მოჰქონდათ, აქ გამოხდილი ზეთი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. *Документы, II, с. 808.*

[1] *Там же, с. 868.*

[2] *Там же, с. 881-882.*

## ცხრილი №8

| მესაკუთრის გვარი და სახელი | საწარმოს დასახელება | გამოშვებ. პროდ. | | მუშაობდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | რაოდ. | ღირ | ოსტატი | ქარგა-ლი |
| 1. მეჩატოვი გლახა | ზეთსახდელი | 83 ვედრო | 250 მან. | 1 | 1 |
| 2. ტუტუნოვი | „----------„ | 82 „ | 600 „ | 1 | 1 |
| 3. ღამბაროვი ივანე | აგურხანა 3 დაზგა | 9000 ც. | 400 „. | 1 | 1 |
| 4. კორბესაშვილი პეტრე | „----------„ 2 დაზგა | 6000 „ | 400 „ | 1 | 1 |
| 5. ტოტაძე ნიკო | „----------„ 2 დაზგა | 9000 „ | 400 „ | 1 | 1 |
| 6. ალაძე ალექსი | „----------„ 2 დაზგა | 9000 „ | 130 „ | 1 | 1 |
| 7. ციხითათრიშვილი ან-დრო | თიხის ჭურჭ. 1 1 დაზგა | 35000 „ | 130 „ | 1 | 1 |
| 8. არაბაშვილი სოსო | „----------„ | 35000 „ | 130 „ | 1 | 1 |
| 9. ბებიაშვილი გიორგი | „----------„ | 35000 „ | 130 „ | 1 | 1 |
| 10. ზაზაშვილი ზაალი | „----------„. | 35000 „ | 130 „. | 1 | 1 |
| 11.სალაგაშვილი ანდრია | „----------„. | 35000 „ | 130 „ | 1 | 1 |
| 12.თაყნიაშვილი სოსიკო | „----------„ | 35000 „ | 130 „ | 1 | 1 |
| 13. ბალიაშვილი სიმონ | სამღებრო 2 ქვაბი | 3000 „ | 180 „ | 1 | 1 |
| 14. სომხიშვილი კარგია | „----------„ | 3000 „ | 180 „. | 1 | 1 |
| 15. ლოშელევი სტეფანე | „----------„ | 3000 „ | 180 „ | 1 | 1 |
| 16. ზაზუნოვი იაკობი | არყ-ისახდელი 1 ქვაბი | 100 ვედრო | 200 „ | 1 | 1 |
| 17. ზაზუნოვი იოსება | „----------„ | 100 „ | 200 „ | 1 | 1 |
| 18. მიქაძე ბერიკა | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 19. მამასახლისოვი იაკ-ობი | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 20. მეჩათოვი გლახა | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 21. ნერსესოვი ტერ-ნერ-სესა | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 22. აბუევი იაკობი | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 23. აბუევი დავით | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 24. გამგებელი ანდრია | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 25. ბაბალოვი ზაქარია | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |
| 26. მაისურაძე ივანე | „----------„ | 50 „ | 100 „ | 1 | 1 |

თბილისის გუბერნიაში წარმოების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1866 წლის უწყისს, რომელიც ასახავს „ფაბრიკა-ქარხნების“ რაოდენობას 1865 წელს.

უწყისის მიხედვით, 1865 წელს გორში იყო: 2 ზეთსახდელი, 11 არყისსახდელი, 9 აგურქარხანა, 5 სამეთუნეო, 4 სამღებრო, უწყისში აღნიშნულია აგრეთვე, საერთოდ გუბერნიაში ამა თუ იმ დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო ღირებულება და დასაქმებულ მუშათა რაოდენობა, ამიტომ ძნელია რაიმე კონკრეტული ვთქვათ გორის საწარმოებზე[1].

1869 წელს გორში იყო: 5 სამეთუნეო საწარმო, რომელიც წელიწადში 635 მანეთის პროდუქციას უშვებდა, 4 სამღებრო 1231 მანეთის პროდუქციით, 14 არყისსახდელი 6280 მანეთის პროდუქციით[2].

როგორც ჩანს, 1865-1869 წლებში საწარმოთა რაოდენობაში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა: აგურხანათა რაოდენობა გაიზარდა 1 ერთეულით, არყისსახდელები 5 ერთეულით.

1866 წლის უწყისით 1865 წელს გორში იყო:

***ცხრილი №9***

| ხელობის დასახელება | ოსტატი | მუშა | შეგირდი |
|---|---|---|---|
| მეპურე | 10 | 7 | 6 |
| მეფუნთუშე | 2 | – | 3 |
| ასაბი | 10 | – | 8 |
| თერძი | 7 | – | 5 |
| მეწუღე | 12 | – | 10 |
| მეღუმელე | 3 | – | 6 |
| ალატოზი | 10 | – | 9 |
| დურგალი და ხარატი | 7 | – | 10 |
| ხურო | 20 | – | 21 |
| მღებავი | 7 | – | 10 |
| მჭედელი და ზეინკალი | 8 | – | 7 |

[1] *Документы, II, с. 528-529.*

[2] იმავე დროს გორის მაზრაში იყო 2 ზეთსახდელი (538 მან.), ატენის სამხერხაო (3262 მან.), ღვარების მინის ქარხანა (16 ათასი მან.), ახალქალაქის სამეთუნეო (621 მან.), და თაფლის სანთლის საწარმო (10 ათასი მან.). *„საისტორიო მოამბე“, 9, თბ., 1956, გვ. 43.*

| | | | |
|---|---|---|---|
| იუველირი | 4 | – | 9 |
| მესაჭურვლე | 3 | – | 4 |
| მესაათე | 1 | – | 1 |
| დალაქი | 14 | – | 20 |
| სულ | 118 | 7 | 129[1] |

ამგვარად, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დაკავებული იყო 279 კაცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს გორში დაახლოებით 4200 სული ცხოვრობდა, მაშინ, ალბათ, მცირე არ უნდა იყოს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მათ ემსახურებოდნენ. მათში არ იგულისხმებიან საწარმოებში დასაქმებული ოსტატები, მათი შეგირდები და მუშები. ასე რომ გორში მშრომელი ადამიანები, ისინი, ვინც სავაჭრო საქმიანობაში არ იყვნენ ჩაბმულნი, საკმაოდ ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ. ა. ჯავახიშვილის მიხედვით, 1880-იან წლებში გორში საქმიანობდა 837 შინამრეწველი და ხელოსანი, ხოლო 19 საწარმოში დასაქმებული იყო 30 მუშა.

1880 წლისათვის საწარმოთა, მუშათა რაოდენობა და გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შემდეგნაირი იყო:

***ცხრილი №10***

| საწარმო | ერთი და იგივე დარგის საწარმონი | მუშათა ოდენობა | გამომუშავებული თანხა |
|---|---|---|---|
| ზეთსახდელი | 2 | 2 | 2420 „ |
| აგურის | 6 | 11 | 15050 „ |
| სანთლის[2] | 1 | 4 | 27040 „ |
| სამეთუნეო | 6 | 9 | 2200 „ |
| სამღებრო | 3 | 4 | 1760 “ |
| საკარეტო | 1 | – | – |
| არყის სახდელი[3] | – | – | – |

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 414, საქმე 18, ფურც. 13-14.*

[2] სანთლის საწარმო დაიხურა 1883 წელს. „საისტორიო მოამბე“, 9, გვ. 80

[3] არყის სახდელი დაიწვა 1879 წელს. Джавахов А., *Гори и его окрестности*, с. 91-92.

[4] არსებობს ცნობა, რომ ამ პერიოდში გორში იყო ერთი მინერალური წყლის ჩამოსასხმელი საწარმო. გსიემ, №535, ფ. 52

იმავე ა. ჯავახიშვილმა დაგვიტოვა გორის ხელოსნების ეთნიკური შემადგენლობის საინტერესო ცხრილი (იხ. №9).

**ცხრილი №11**

| № | ხელოსნების დასახელება დარგების მიხედვით | ქართვ. | ოსმეხი | შეგირდი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხურო | 60 | 15 | 20 | 95 |
| 2 | კალატოზი | 40 | 5 | 30 | 75 |
| 3 | დალაქი | 2 | 12 | 6 | 20 |
| 4 | მეტყავე | 1 | 1 | – | 2 |
| 5 | ევროპული ფეხსაცმლის სპეციალისტი | 27 | 3 | 16 | 46 |
| 6 | მკერავი | 13 | 8 | 4 | 25 |
| 7 | თოქმაჩი | 9 | 11 | 15 | 35 |
| 8 | მჭედელი | 19 | 7 | 20 | 46 |
| 9 | მღებარები | – | 4 | – | 4 |
| | ქვის მთლელი | 5 | 4 | – | 9 |
| 11 | მეპურე | 1 | 8 | – | 10 |
| | მღებავი | 5 | 5 | 10 | 20 |
| | მეთუნუქე | 13 | 3 | 10 | 26 |
| | აგურის მჭრელი | 5 | 7 | 4 | 16 |
| | მებაღე-მევენახე | 32 | 11 | 5 | 48 |
| | მეკარეტე | 9 | 3 | 10 | 22 |
| | ოქრომჭედელი | 7 | 5 | 6 | 18 |
| | მეჩექმე | 50 | 7 | 35 | 92 |
| | მეკუბოე | 1 | 1 | – | 2 |
| | მხერხავი | 50 | 16 | – | 66 |
| | მენალბანდე | – | 5 | – | 5 |
| | მესაათე | – | 3 | – | 3 |
| | იარაღის მკეთებელი | – | 2 | – | 2 |
| | მეზურნე | 9 | – | – | 9 |
| | მეთულუხე | 2 | – | – | 2 |
| | მექუდე | 8 | 7 | 5 | 20 |
| | მეტიკე | 1 | 4 | – | 5 |
| | ხაბაზ-მეკონდიტრე | 4 | – | 3 | 7 |
| | მეეტლე | 26 | 8 | 15 | 49 |
| | ყასაბი | 5 | 17 | 10 | 32 |
| | მეწისქვილე | 10 | 1 | – | 11 |
| | მეურმე | 40 | 10 | – | 50 |
| | მწყემსი | 4 | 3 | – | 7 |
| | სულ | 460 | 194 | 225 | 879[1] |

*1 Джавахов А., Гори и его окрестности, с. 92-93.*

იმისათვის, რათა ნათელი გახდეს, როგორ იცვლებოდა გორელების მოთხოვნილება წარმოების ამა თუ იმ დარგისადმი, როგორ იცვლებოდა მათი გემოვნება, მათს ცხოვრებაში როგორ იჭრებოდა ევროპული მოდა და სხვ. გავეცნოთ „უწყისს ხელოსნებზე“, რომელიც შედგენილია 1894 წელს (იხ. ცხრილი №12).

***ცხრილი №12***

| №№ | ხელოსნების დასახელება დარგების მიხედვით | ხელოსანი ოსტატი | შეგირდი | მუშა |
|---|---|---|---|---|
| 1 | პურის მცხობელი | 10 | 10 | – |
| 2 | საკონდიტრო ნაწარმის მცოდნე | 3 | 3 | 3 |
| 3 | მკერავი | 20 | 40 | – |
| 4 | მექუდე | 3 | 4 | – |
| 5 | ხარაზი | 30 | 60 | – |
| 6 | მკაზმავი | 1 | 1 | – |
| 7 | დურგალი | 4 | 7 | – |
| 8 | ხურო | 30 | 30 | – |
| 9 | ზეინკალი | 3 | 3 | 6 |
| 10 | მეშუშე | 4 | – | – |
| 11 | მჭედელი | 20 | 20 | – |
| 12 | მენალბანდე | 4 | 4 | – |
| 13 | მღებრები | 1 | 1 | – |
| 14 | მელუდე | 3 | 3 | – |
| 15 | მექოთნე | 10 | 10 | – |
| 16 | მეღუმელე | 3 | 3 | – |
| 17 | მესაათე | 2 | 2 | – |
| 18 | მეუნაგირე | 3 | 3 | – |
| 19 | თვლების გამკეთებელი | 1 | 1 | – |
| 20 | ყასაბი | 6 | 6 | – |
| 21 | შეშის მჭრელი | 8 | – | – |
| 22 | ეტლის მკეთებელი | 2 | 2 | – |
| 23 | მეტყავე | 2 | 2 | – |
| 24 | ღუმელის მილის მწმენდ. | 3 | 2 | – |
| 25 | მექვაბე | 5 | 5 | – |
| 26 | მეკასრე | 2 | – | – |
| 27 | მხურავი | 2 | – | – |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28 | მეკუბოე | 3 | 3 | – |
| 29 | მეეტლე | 32 | 32 | – |
| 30 | ოქრომჭედელი | 5 | 5 | – |
| 31 | ქვის მთლელი | 4 | – | – |
| 32 | დალაქი | 7 | 7 | – |
| შულ | | 238 | 265 | 9[1] |

ფულად მეურნეობაზე გადასვლის კვალობაზე იშლება შინამრეწველობა. მოწინავე ქვეყნებიდან იმპორტის გაფართოების გამო, ქალაქის მოსახლეობა მოიხმარდა მრავალ ისეთ სამამულო და უცხოურ პროდუქტს, რომელიც მანამდე მისთვის უცნობი ან ხელმიუწვდომელი იყო. იზრდება და უფრო ნატიფი ხდება მოთხოვნილებები, რომელიც საოჯახო მრეწველობის პირობებში ვერც მთლიანად და ვერც სასურველი სახით ვერ დაკმაყოფილდება. სწორედ ასეთ შეცვლილ ვითარებას უნდა მივაწეროთ, რომ საგრძნობლად გაიზარდა ხარაზების (40-დან 60-მდე), მკერავების (25-დან 60-მდე), მეეტლეების (22-დან 64-მდე), მესაათების (3-დან 4-მდე) რაოდენობა, რაც საოჯახო ხელოსნების შემცირებასა და პროფესიონალების მომრავლებაზე მიგვანიშნებს. ამასთან ერთად ჩანს სრულიად ახალი ხელობების შემოსვლა. კერძოდ, ფართედ გავრცელდა შუშა – ბინების განათებისათვის, ფართო მოხმარება დაიწყეს ლუდისა, რომელსაც წინათ უმეტესად მთის მოსახლეობა მოიხმარდა. დარბაზის ტიპის სახლების ნაცვლად ევროპული ღუმელებით გამართული სახლებიც მომრავლდა.

1888 წელს გორში იყო 16 „ფაბრიკა-ქარხანა“, რომელიც უშვებდა 4840 მანეთის პროდუქციას და მათში დასაქმებული იყო 51 მუშა[2]. გორს, თბილისის გუბერნიის ქალაქებს შორის „ფაბრიკა-ქარხნების“ მიერ გამოშვებული ნაწარმის მიხედვით, მეხუთე ადგილი ეკავა თბილისის, ახალციხის, სიღნაღის და თელავის შემდეგ[3].

1894 წლისათვის გორში საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 18-მდე (მაზრაში – 182-მდე)[4].

საინტერესო სტატისტიკური მასალა გაგვაჩნია 1900 წლისათვის, საიდანაც ჩანს, რომ გორის მაზრაში უკვე არსებობდა 65 საწარმო, რომლებშიც მუშათა რაოდენობა განაწილებული იყო შემ-

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 175, საქმე 2138, ფურც. 132; გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 212.*

[2] იმავე დროს გორის მაზრაში არსებობდა 111 საწარმო 128 600 მანეთის წლიური პროდუქციით და 566 მუშით. *„საისტორიო მოამბე“, 9, გვ. 121.*

[3] *იქვე.*

[4] *იქვე, გვ. 143.*

დეგნაირად: 5-მდე მუშა დასაქმებული იყო 58 საწარმოში, ასეთ საწარმოებში სულ მუშაობდა 224 მუშა; 5-15-მდე მუშა იყო 5 საწარმოში. ასეთ საწარმოებში მთლიანობაში მუშაობდა 44 კაცი; ერთ საწარმოში მუშაობდა 40 კაცი; ასევე ერთ საწარმოში მუშაობდა 80 კაცი[1].

საფაბრიკო-საქარხნო ინსპექტორის იმავე წლის მიმოხილვიდან ვიგებთ, რომ გორის მაზრის მნიშვნელოვანი საწარმოები იყო: ტიპოგრაფიისა და საამკინძავო 10 მუშით და 5 ათასი მანეთის პროდუქციით, 3 სამხერხაო 66 მუშით და 130 ათასი მანეთის პროდუქციით, შუშის ქარხანა 80 მუშით და 58 ათასი მანეთის პროდუქციით, ტყავის დამამუშავებელი საწარმო 8 მუშით და 10 ათასი მანეთის პროდუქციით, 45 ღვინის და არყის საწარმო 174 მუშით და 25 ათასი მანეთის პროდუქციით. სულ გორის მაზრაში იყო: 65 საწარმო 388 მუშით, რომლებიც უშვებდნენ 238 ათასი მანეთის პროდუქციას[2].

წვრილ წარმოებაში ჩაბმულნი იყვნენ ქალებიც – ოჯახის დიასახლისები. ისინი ბაზაზებისათვის (მეწვრილმანეები) აწარმოებდნენ ლეჩაქის დაბასმვას (10 შაურამდე ღირდა), გარეცხვას (3 შაური ღირდა). აკეთებდნენ კავებს (საფეთქლებიდან ლოყებზე ჩამოშვებული თმა თავდახურული ქალისა) დალაქისაგან ნაყიდი თმები[3]. დალალის (გრძელი ნაწნავი), გაკეთება 10 თუმანი ღირდა[4].

გორის ეკონომიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ატენისა და გორის ***სამხერხაოები*** ასრულებდა.

ფინელმა ზეზემანმა (მისი ნამდვილი გვარი, სახელი და მამის სახელი იყო ავგუსტ იაგორის ძე სიეზმანი)[5] ალექსანდრე ორბელიანისა და ზაქარია ერისთავისაგან 50 წლით იჯარით აიღო ატენის ხეობა და მისი ტყის მასივი. იგი დაბალი და გამხდარი, საოცრად ენერგიული, მტკიცე ნებისყობის და თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო. მისი მეუღლე ეკატერინე, წარმოშობით გერმანელი, სუსტი ქალი ყოფილა. სოფლის ბავშვებს რუსულ წერა-კითხვას ასწავლიდა

---

[1] *იქვე, გვ. 238.*

[2] *ქვე, 238-239.*გვერდებს შორის მოთავსებული ცხრილი №1.

[3] დალაქი, გარდა იმისა, რომ კლიენტს ჰკრეჭდა და პარსავდა და თავსაც აბანინებდა, კბილის ამოღებისა და წურბელების დასმის სპეციალისტადაც ითვლებოდა.

[4] *აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი, გვ.158*

[5] ზეზემანის საქმიანობა გორსა და ატენის ხეობაში შეისწავლა *ბ. გოცირიძემ*, იხ. მისი *სადაურსა სად წაიყვან... „გორი“, 1993, №39.*

და თავის წამლებითა და საშუალებებით ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მოსახლეობას მკურნალობდა.

ზეზემანმა მოკლე დროში გორიდან ლევიტანამდე გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი, 30 კმ სიგრძის რკინიგზა, რომელიც დღევანდელ საავტომობილო გზას მიუყვებოდა, საურმე გზა კი ხიდისთავს, ატენს და შემდეგ მდ. ტანას ნაპირს მისდევდა.

რკინიგზაზე მოძრაობდა რამდენიმე მცირე შემადგენლობა ხის მორების, სარემონტო-სამეურნეო დანიშნულების ტვირთის გადასაზიდად და ხალხის გადასაყვანად. გორიდან ვაგონები ორთქმავალს მიჰქონდა, ხოლო გორისაკენ მოძრაობის დროს საკმაო მანძილს ინერციით გაივლიდა. ორ ადგილზე, ე.წ. გასავალ კლდესთან და სოფ. ბიისთან რკინიგზა ხის ხიდებზე გაივლიდა. რკინიგზას ემსახურებოდა სოფ. ზაოტის (ზაოტი ეწოდა იმის გამო, რომ აქ იყო სახერხი ქარხნები და სახელოსნო, სადაც შემდეგში დასახლება წარმოიშვა) უბანში არსებული სახელოსნო, რომელსაც გერმანელი სპეციალისტი კურტ მაიერი ხელმძღვანელობდა.

ერთი ცნობის მიხედვით, ვიდრე ზეზემანი ატენის ხეობას დაეპატრონებოდა, მანამდე ატენში 4 ხერხი მოქმედებდა და გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 2800 მანეთს შეადგენდა. გორის სამხერხაოში კი ამუშავებდნენ ორ ხერხს და 400 მანეთს პროდუქციას ამზადებდნენ[1]. ზეზემანმა ატენში არსებული სამხერხაოს რეკონსტრუქცია მოახდინა და გორში შპალსაჟღენთი ქარხანა ააგო 1895 წელს. ტუსრების, ორმოცისა და ზაოტის სამხერხაოებში წყლის ენერგიას იყენებდნენ. ზაოტის ერთ სამხერხაოში ორთქლის ძრავა მოქმედებდა, სადაც დამონტაჟებული იყო ჩარჩოიანი ხერხი. წარმოებაში, ძირითადად, ადგილობრივ მოსახლეობას ამუშავებდნენ, მაგრამ მოიყვანეს რუსებიც, რომელთა ერთი ნაწილი სამუდამოდ აქ დასახლდა.

ხის მორების მოჭრა და წინასწარ დამუშავება ძირითადად ბობნევის, ორმოცის, ბალვანის, ბოშურის და ტუსრების ტყეებში ხდებოდა. მსხვილი ხის მოჭრასა და დამუშავებაში მუშებს 10 კაპიკს უხდიდნენ. უკმაყოფილო მუშები არაერთხელ გაიფიცნენ და შრომის პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს. 1891 წელს ზეზემანმა ბუნტის მოთავე მუშების მოცილება და მათ ადგილას რუსეთიდან შიმშილობას გამოქცეული გლეხების აყვანა განიზრახა, მაგრამ, როცა რუსებმა გაიგეს საქმის ნამდვილი ვითარება, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, მაინც სამუშაოზე უარი თქვეს[2]. და-

---

[1] *„Кавказ “, 1850, №20.*

[2] *Бухникашвили Г., Гори, с. 145.*

თხოვნილთა შორის იყვნენ შემდეგში „სახელგანთქმული“ ყაჩაღები – ალექსი ხასაშვილი და სანდრო ხუბულური[1]. ეს უკანასკნელი 1892 წლის 13 თებერვალს გორში ჩამოახრჩეს ტატე ჯიოშვილთან ერთად.

ზეზემანმა ფინეთიდან თავისი ძმები – ალფრედი და ერნესტი ჩამოიყვანა. ერნესტი 1905 წელს უკან დაბრუნდა, ალფრედმა კი 1917 წელს ძმის სალაროდან ფული გაიტაცა და ფინეთში დაბრუნება სურდა, მაგრამ ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთ სარკინიგზო სადგურში მოკლეს.

ატენში ტყის ინტენსიურმა ჩეხვამ თანდათან ქარხანა და რკინიგზა მასივებს დააშორა. ამას დაერთო პირველი მსოფლიო ომის დაწყება. ხე-ტყეზე მოთხოვნა შემცირდა, გაძნელდა საჭირო მანქანა-იარაღით და საწვავით საწარმოს მომარაგება, დაიწყო მუშახელის დენადობა და სხვ. აღნიშნულის გამო მოხუცი ზეზემანი გაკოტრდა, დაავადმყოფდა და 1918 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ჯებირის უბნის სასაფლაოზე ეკლესიის შესასვლელთან. მისი მეუღლე თბილისში გადასახლდა და გერმანული ენის მასწავლებლობა დაიწყო.

ძმებმა-ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებმა – 1814[2] თუ 1842[3] წელს სოფ. ღვარებში **მინის ქარხანა** მოაწყეს. ამ სოფელში, გადმოცემის მიხედვით, მათი წინაპრები მინას აწარმოებდნენ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში.

XIX ს. დასაწყისისათვის ატენის ხეობა ახალციხის საფაშოდან ხშირი თავდასხმების გამო მოსახლეობისაგან დაიცალა და ლეკების სათარეშოდ გადაიქცა. ლეკები აქედან თავს ესხმოდნენ შიდა ქართლის სოფლებს და გორს.

1817 წელს საქართველოს მთავარმართებელს ა.პ. ერმოლოვს გრენადერთა სარეზერვო ბრიგადის სარდალმა თავადმა გიორგი იასეს ძე ერისთავმა სთხოვა მისთვის გადაეცათ ატენის ხეობა. თავის მხრივ ერმოლოვმა ფინანსთა მინისტრის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომელშიც ნათქვამი იყო: „გრენადერის სარეზერვო ბრიგადის სარდალმა გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა მომმართა თხოვნით, რომ მას გადავცე სამუდამო სამემკვიდრეოდ მფლობელობაში ატენის ხეობა, რომელიც მდებარეობს გორის მაზრაში, იმ პირობით, რომ იგი ამ უკანასკნელ ადგილზე დაასახ-

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 17, საქმე 3018, ფურც. 59*

[2] *Документы, II , с. 882.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 4, აღწერა 5, საქმე 18, ფურც. 1.*

ლებს 50 კომლ თავის საკუთარ გლეხებს და მათგან იყოლიებს მუდმივ ყარაულებს მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან ახალციხის საფაშოდან და ატენის ხეობით აწყობენ ქართლის დარბევას. ამ შემთხვევის გამო, მე განკარგულება გავეცი ჩემთვის მოეწოდებინათ ცნობები ატენის ხეობის შესახებ. თანახმად ჩემი ბრძანებისა, გორის ოლქის უფროსმა მაიორმა ტიტოვმა დაათვალიერა ეს ხეობა და მომახსენა, რომ ხეობა არ აღემატება 15 ვერსტს, მასში არის ერთი სახაზინო ბაღი, ორი დესეტინის ოდენა და იძლევა სულ 100 თუნგ ღვინოს, სახნავი მიწები სულ არ არის.

ამის გამო გავითვალისწინე ეს მცირე სარგებლობა, რასაც იძლევა ატენის ბაღი ხაზინისათვის, შედარებით იმასთან, თუ რა სარგებლობა ექნება ამ ხეობის საყარაულო სოფლებით დასახლებას მთელი ქართლისათვის, რომელსაც ასე აოხრებენ მოთარეშე ლეკები. ამ ადგილობრივი მნიშვნელობის მოსაზრებით საჭიროდ დავინახე დავაკმაყოფილო გენერალ-მაიორ ერისთავის თხოვნა და გადავცე მას სამუდამო სარგებლობაში, როგორც ატენის სახაზინო ბაღი, აგრეთვე ხეობის ყველა სახაზინო მიწები, ხოლო მას ჩამოვართვი შემდეგი წერილობითი ვალდებულება:

1. რომ მან ახლავე დაასახლოს თავისი გლეხები არანაკლებ 50 კომლისა.

2. იყოლიოს თავისი გლეხებისაგან მუდმივი ყარაული ამ ხეობის დასაცავად მძარცველთა თარეშისაგან".

გიორგი ერისთავმა დაუყონებლივ შეასრულა ერმოლოვის მიერ წაყენებული მოთხოვნები და ატენის ხეობაში ჩაასახლა თავისი ყმები: გიგაურები, თოფჩიშვილები, ყველაშვილები და სხვები. ამ ღონისძიებამ შედეგი გამოიღო და კმაყოფილი ერმოლოვი ფინანსთა მინისტრს სწერდა: *„ვინაიდან გენერალ ერისთავის მიერ 50 მეკომურის ატენის ხეობაში გაგზავნის შემდეგ უკვე მეათე თვეა რაც აქ არ მომხდარა ყაჩაღური თავდასხმები და დარბევები, ამისათვის გთხოვთ შუამდგომლობას მისი უდიდებულესობის წინაშე ამ მამულის სამუდამოდ და სამემკვიდროდ თავად ერისთავზე დამტკიცების დაჩქარების შესახებ"*[1].

ასეთნაირად აღმოჩნდა ატენის ხეობა ერისთავების საკუთრებაში.

---

[1] *ქერდიყოშვილი ი., ხეობის მეორე სიცოცხლე // „გამარჯვება", 1973, №419.*

უნდა აღინიშნოს, რომ ერისთავების მიერ წამოწყებული საქმე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მათთვის ცნობილი იქნებოდა, რომ ჯერ კიდევ 1821 წელს გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა ქსნის ხეობაში მოაწყო მინის „ქარხანა“, გამოიწერა სათანადო მოწყობილობანი და მოიწვია ოსტატიც, მაგრამ მარცხი განიცადა. ასევე მარცხი განიცადა 1828 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერანტორის ზავილეისკის მიერ პეტერბურგიდან მოწვეულმა მინის წარმოების სპეციალისტმა ივანე ლევაშევმა. იმავე ზავილეისკის მიერ 1834 წელს კვლავ რუსეთიდან მოწვეულმა ოსტატებმა მინის „ქარხანა“ მოაწყეს, ერთხანს პროდუქციაც გამოუშვეს, მაგრამ 1840 წელს მუშაობა შეწყვიტეს.

1841 წელს ტიტულიარნაია სოვეტნიცა იშხნელმა თბილისში მოაწყო მინის „ქარხანა“, მაგრამ 1843 წელს, გორელი ერისთავების მიერ ღვარებში გამოშვებულ პროდუქციას კონკურენცია ვერ გაუწია და წარმოებას თავი მიანება.

„ქარხანამ“ მუშაობა დაიწყო ბოთლებისა და სხვა ჭურჭლეულის დამზადებით. გამოშვებული პროდუქციის შეძენით დაინტერესდა საინჟინრო უწყება, რომელმაც 1842 წელს შეუკვეთა 2514 მანეთის მინა, 1843 წელს – 1130 მანეთის, ხოლო 1844 წელს – 4047 მანეთის. 1844 წელს ერისთავებს მისცეს თბილისის „სათადარიგო აფთიაქის“ შუშეულით მომარაგების პრივილეგია. როდესაც მთავრობამ შენიშნა, რომ ერისთავების შუშის წარმოება საიმედოდ ამუშავდა, დახმარების სახით გამოუყო 3 ათასი მანეთის სესხი ქარხნის გაუმჯობესებისათვის.

„ქარხნის“ მიერ გამოშვებული პროდუქცია თავდაპირველად მწვანე ფერისა იყო და თანაც დაბალი ხარისხისა. იმავდროულად ერისთავები ატარებდნენ ცდებს საფანჯრე მინის ამოსაღებად, მაგრამ ესეც მწვანე ფერისა გამოსდიოდათ. მხოლოდ 1845 წლისათვის შეძლეს საშუალო ხარისხის საფანჯრე მინის ამოღება.

1845 წლის მაისში ერისთავებმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომელშიც აღნიშნავდნენ იმ წარუმატებელი ცდების შესახებ, რომელიც დაკავშირებული იყო მინის წარმოების საქმეში წარსულ პერიოდში. მათ კი შეძლეს *„მთავრობის მიერ ყოველგვარი დახმარების გარეშე“* მოეწყოთ წარმოება. ისინი აღნიშნავდნენ იმ დიდ სარგებლობას, რომელიც მინის წარმოების განვითარებას უნდა მოეტანა მეღვინეობის გაუმჯობესებისა და ღვინით ვაჭრობის გაფართოებისათვის. თუ წინათ ბოთლი ღირდა 15-20 კაპიკი, ახლა უკვე 8 კაპიკად იყიდებოდა. ამას გარდა *„საფანჯრე მინებით სავსე ყუთი (200 ცალი მინით), რომელშიდაც ხშირად ნახევარი დამტვრეულია, ვაჭრები ვყიდით*

*20 მანეთად“*-ო. ერისთავები მოითხოვდნენ-თბილისის სახაზინო აფთიაქსა და საინჟინრო უწყებას მათთვის მიეცათ ის ორი წლის თანხა, რომელიც გადადებული ჰქონდათ რუსეთიდან სხვადასხვა დანიშნულების მინის ნაწარმის შემოსატანად. სამაგიეროდ, ერისთავები ვალდებულებას კისრულობდნენ აღნიშნული დაწესებულებებისათვის მინის ნაწარმი ნაკლებ ფასში მიეცათ. ერისთავების თხოვნა დააკმაყოფილეს, რამაც ქარხნის მუშაობა კიდევ უფრო გააუმჯობესა[1].

1846 წელს ელიზბარ ერისთავმა მოითხოვა თბილისის სახაზინო აფთიაქის მინის ჭურჭლით მომარაგებისათვის 3 წლიანი ხელშეკრულების დადება, რისთვისაც ხაზინას ერთდროულად უნდა მიეცა 2158 მანეთი. ერისთავებმა აღნიშნული თანხა მიიღეს.

1847 წელს უკვე მთავრობამ სთხოვა ერისთავებს ჭურჭელი დაემზადებინათ სტავროპოლის სახაზინო აფთიაქისათვის. ერისთავები დათანხმდნენ, მაგრამ მოითხოვეს წინასწარ გადაეხადათ 8750 მანეთი. ასეთი ხელშეკრულების გაფორმება და დიდი თანხის გადახდა ვორონცოვმა იმდენად სერიოზულ საქმედ მიიჩნია, რომ მან თავისი მოხელეები ქარხნის შესაძლებლობების შესამოწმებლად გაგზავნა. ქარხანა კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, საჭირო თანხაც მისცეს და ამიერიდან სტავროპოლის სახაზინო აფთიაქს ღვარების მინის ქარხანა ამარაგებდა.

ერისთავებმა განიზრახეს წარმოების გაფართოება – მინის „ქარხნის“ გვერდით ფაიფურის „ფაბრიკის“ აგება. 1846 წელს დიმიტრი ერისთავმა ფაიფურის ფაბრიკის აგებისათვის გამოითხოვა 10 წლიანი პრივილეგია.

ფაიფურის ნაწარმი საქართველოში რუსეთიდან შემოჰქონდათ, მაგრამ მისი ტრანსპორტირება იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ თვით საქონლის ფასს უდრიდა. მთავრობამ, მართალია, მხარი დაუჭირა ფაიფურის ჭურჭლის ადგილობრივი წარმოების დაწყებას, მაგრამ პრივილეგიის გაცემაზე უარი განაცხადა. ამის გარეშე ასეთი წარმოების მოწყობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და წამოწყება ჩაიშალა[2].

მოღწეული ცნობების მიხედვით, ღვარების მინის „ქარხანა“ 1847-1848 წლებში მოწყობილი იყო ერთ დიდ ხის შენობაში, სადაც 12 ღუმელი იდგა. აქედან სადნობი – 1, მინის გასაწმენდი – 1,

---

[1] *გოგოლაძე დ., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წ.წ.). თბ., 1959, გვ. 157.*

[2] *იქვე, გვ. 158.*

დიდი საწრთობი – 4, პატარა საწრთობი – 2, გამოსაწვავი – 1, სამასალო – 1. იყენებდნენ შემდეგ მასალებს: თიხას, სოდას, პოტასიუმს (კალაქვა), სილას, ნაცარს, შაბს.

„ქარხანაში“ დამზადებული კვადრატული არშინი მინა ღირდა 1 მან. და 40 კაპ. ბოთლები და სხვადასხვა სიდიდის ჭურჭლეული ბაზარზე იყიდებოდა 10 კაპიკიდან 2 მანეთამდე. აღნიშნულ წლებში საწარმო ამზადებდა 50 ათასამდე ცალ მინის ნაკეთობას, რომლის ღირებულება საშუალოდ 7500 მანეთამდე აღწევდა.

„ქარხანაში“ 21 კაცი მუშაობდა. მათ შორის იყვნენ 6 ოსტატი (2 უცხოელი და 4 რუსი) და ერისთავების 15 ყმა. აქვე უნდა ითქვას, რომ ერისთავებმა საწარმოს მოწყობაზე გამოიყენეს თავიანთი ყმების მუქთი შრომა. 200-მდე გლეხის ოჯახი საწარმოს რეგულარულად ამარაგებდა შეშით.

მეპატრონენი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდნენ. მათ დამატებით მოიწვიეს ოსტატები და ქ. ბელევიდან ცეცხლგამძლე თიხის მოზიდვა დაიწყეს. 1 ფუთი თიხა უჯდებდათ 3 მანეთი, რაც ძლიერ ძვირი იყო. ამიტომ 1848 წლიდან თიხა ყუბანიდან შემოჰქონდათ, რის გამო ტრანსპორტირების ხარჯი 80 კაპიკამდე შემცირდა.

1848 წლის გაზაფხულზე სოფ. ღვარებს ეწვია მარი ბროსე და შუშის საწარმო დაათვალიერა. „ქარხანამ“ მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ამის გამო აღნიშნავდა, რომ საწარმო მოწმობს ქართველთა უნარზე უხელმძღვანელონ რთულსა და მსხვილ საწარმოებსო[1].

ერისთავებმა, რომლებიც საფანჯრე მინის ხარისხის გაუმჯობესებას და ბოჰემიური შუშის და ბროლის ჭურჭლის გამოშვებას ფიქრობდნენ[2], მოიწვიეს ინჟინერ-ტექნოლოგი ბიხოლტი. პოტასიუმის, ადგილობრივი სოდისა და გლაუბერის მარილის, ასევე პროფესორ აბიხის რჩევით ირანიდან იგივე გლაუბერის გამოწერით და მრავალრიცხოვანი ცდების ჩატარებით, ბოლოს და ბოლოს მიიღეს თეთრი საფანჯრე მინა, რომლის ნიმუში 1853 წელს ვორონცოვს წარუდგინეს.

საფანჯრე მინის შემდგომი წარმოება შეფერხდა ელიზბარ ერისთავის ყირიმის ომში გაწვევის გამო. საწარმო მხოლოდ მინის ჭურჭელსღა უშვებდა. 1855 წელს უცნობი მიზეზების გამო, საწარმო დაიწვა და მასთან ერთად 3 ათასი მანეთის მზა პროდუქციაც განადგურდა. მიუხედავად განცდილი ზარალისა, საწარმო

---

[1] *Хантадзе Ш. А., Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб, 1970, с. 114.*

[2] *Документы, II, с. 882.*

მაინც სწრაფად აღსდგა და შემდგომ, 1856 წელს, უკვე გამოუშვა 9500 მანეთის პროდუქცია, 1857 წელს – 9750 მანეთისა, 1858 წელს კი – 10 ათასი მანეთის[1].

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე 1857 წლის დეკემბერში გაკეთებულ მოხსენებაში დ. ყიფიანმა მინის ქარხნის შესახებ განაცხადა: „გორის მაზრაში კი, თავადიშვილებმა ელიზბარმა და დიმიტრი ერისთავებმა 40-იანი წლების დასაწყისში ააგეს თავის მამულში მინის ქარხანა. ხელმძღვანელობდნენ რა იმ უცდომელი ანგარიშით, რომ იმ დროს, როცა ამიერკავკასიის მხარეში სრულიად არ არსებობდა მინის წარმოება, მათი საწარმო არ შეიძლებოდა წარმატებით არ დაგვირგვინებულიყო, ამ საქმეს მათ მთელი თავიანთი სახსრები მოახმარეს; არ ზოგავდნენ არც პირად შრომას, არც დროს, მას სწირავდნენ შემდგომ მოსალოდნელობასაც სამსახურში, რომლისთვისაც საუცხოო მომზადება მიიღეს, და თავიანთი ქარხანა არსებობის შესაძლებლობამდე მიიყვანეს. ეს ქარხანა ამჟამადაც არსებობს. თავადმა ერისთავებმა გადაიტანეს შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლა ყოველგვარ შეფერხებათა და სიძნელეთა წინააღმდეგ, როგორც ქარხნის აშენებაში, ისე, განსაკუთრებით მის ნაწარმთა გასაღებაშიც“[2].

60-იანი წლების დასაწყისში პროდუქცია კიდევ გადიდდა. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის ანგარიშში გუბერნიის მდგომარეობის შესახებ 1862 წლისათვის ნათქვამია, რომ შუშის ქარხანა უშვებდა 12960 მანეთის პროდუქციას[3]. შემდგომი ორი წლის განმავლობაში ქარხნის წარმადობა საგრძნობლად გაიზარდა და გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 26 ათას მანეთს მიაღწია. მთელი კავკასიის აფთიაქებიდან, რომლებსაც ქარხანა ჭურჭლით ამარაგებდა, მეპატრონე წლიურად 6-8 ათას მანეთს ღებულობდა. ამდენივე თანხას ღებულობდა კერძო პირებისაგან და საერთო შემოსავალი 16 ათას მანეთს აღწევდა. ელიზბარ ერისთავს საწარმოო ხარჯების გარდა 4 ათასი მანეთი რჩებოდა.

---

[1] *გოგოლაძე დ., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წ.წ.), გვ. 158-160.*

[2] ციტირებას ვახდენ: *გუგუშვილის პ., წიგნიდან-სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობანი (წყაროები და მასალები), 1, თბ., 1938, გვ. 182-183.*

[3] *Документы, II , с. 815.*

1866 წელს შედგენილ თბილისის გუბერნიაში არსებულ საწარმოების რაოდენობის უწყისიდან, რომელშიც მოცემულია განვლილი 1865 წელის მდგომარეობა, ვიგებთ, რომ ამ უკანასკნელ წელს შუშის ქარხანამ გამოუშვა 15 ათასი მანეთის პროდუქცია და მასში დასაქმებული იყო 110 მუშა[1].

ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლტის მიერ 1864 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ქარხანა შედგებოდა: 1. მთავარი შენობისაგან (სიგრძე 11 საჟენი, სიგანე 9 საჟენი), რომელშიც მოწყობილი იყო 1 მინის სადნობი, 6 ტიგელიანი (დერგიანი) ღუმელი. ამ უკანასკნელთან შეერთებული იყო მასალის საშრომი ღუმელი. აქვე იყო 3 საშანდაკებელი ღუმელი, 3 შუშის საშრობი ღუმელი და 1 გამოსაწვავი ტიგელი.

2. სათუნე განყოფილების შენობისაგან (სიგრძე 11 საჟენი, სიგანე 3 საჟენი), სადაც ცეცხლგამძელ თიხისაგან აკეთებდნენ ტიგელებს, ქოთნებს, აგურს და შუშის სადნობი ღუმელის სხვადასხვა ნაწილებს, აქვე იყო საშრობი ღუმელი, თიხის შესანახი ყუთები. ამავე შენობასთან, გარეთ, იყო წყლის თვალი, რომელიც ამოძრავებდა თიხისა და სხვა მასალათა დასაფხვიერებელ 3 სანაყს.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქარხანას სხვა რამდენიმე ნაგებობაც გააჩნდა. აქ იყო წისქვილი, სამჭედლო, სააფთიაქო ჭურჭლისათვის მინის თავსაცავების საჩარხავი სახელოსნო, საფანჯრე მინების დასამზადებელი სახელოსნო, სახლები მუშებისა და ოსტატებისათვის, სამზარეულო, გომური კამეჩებისათვის და სხვ. ყველა ნაგებობა აშენებული იყო ფიჭვისა და ნაძვის მასალისაგან. მთლიანად ნაგებობები ბიხოლტის შეფასებით დაახლოებით 1 ათასი მანეთი ღირდა[2].

60-იანი წლების დასაწყისიდან ელიზბარ ერისთავმა ქარხნის გაუმჯობესება განიზრახა. ბიხოლტის აზრით, სავსებით შესაძლებელი იყო ქარხნის წარმადობის გაზრდა 30 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციის გამოშვებამდე და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება უცხოური ნაწარმის მიმართ.

1864 წლის აგვისტოში ელიზბარ ერისთავმა მეფისნაცვალს მიმართა თხოვნით, რომ მისთვის მიეცათ 25 ათასი მანეთი უპროცენტო სესხის სახით. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და აღნიშნული თანხა მისცეს 18 წლით, რამაც საგრძნობლად გაზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი.

---

[1] *Там же, с. 529.*

[2] *სეა, ფ. 10, საქმე 2786, ფურც. 18-23.*

თბილისის გუბერნიის ფაბრიკებისა და ქარხნების 1869 წლის უწყისიდან ჩანს, რომ ღვარების მინის ქარხანამ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა გაზარდა. მისი ღირებულება 16 ათასი მანეთი იყო[1].

ელიზბარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ (1870, 71 ან 72 წელი, დიმიტრი ადრე გარდაიცვალა, ალბათ, 50-60-იანი წლების მიჯნაზე), მისმა მემკვიდრეებმა წარმოებას თავი ვერ გაართვეს და იმავე წელს გადასცეს უცხოელ ეპშტეინს. ეპშტეინს მინის წარმოება ბოჰემიაში შეუსწავლია და საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა. მან ღვარებში აღმოაჩინა ბოთლის წარმოებისათვის საჭირო მასალები.

ეპშტეინის მიერ ნაწარმის გაუმჯობესების მიუხედავად, ღვარების მინის ქარხანა 1878 წელს დაიხურა. თბილისის გუბერნიის 1878 წლის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მიმოხილვაში იგი უკვე მოხსენიებულია დახურულ საწარმოთა შორის[2].

საინტერესოა, რომ 1900 წელს საფაბრიკო-საქარხნო ინსპექტორის მიერ შედგენილ მიმოხილვაში თბილისის გუბერნიაში მრეწველობის მდგომარეობაზე, გორის მაზრაში კვლავ დასახელებულია 1 შუშის საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 42 მუშა და ამზადებდა 600 მანეთის ღირებულების პროდუქციას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „მიმოხილვაში“ ისევ ღვარების შუშის ქარხანა იგულისხმება. ეპშტეინმა ალბათ რაღაც მანქანებით შეძლო საბოლოო გაკოტრებისაგან თავის დაღწევა და შუშის წარმოება კვლავ განაახლა.

## 3. ვაჭრობა

რუსეთი გაბატონების შემდეგ გორი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქები, შედარებით ფართო სავაჭრო ურთიერთობებში ჩაება. გორის ვაჭრობაზე კეთილისმყოფელი გავლენა 1822 წელს შემოღებულმა შეღავათიანმა ტარიფმა მოახდინა. შეღავათები (საქონლის ღირებულების 5 %) გავრცელდა ამიერკავკასიაში შემოზიდულ უცხოურ საქონელზე. განსაკუთრებით ფრანგულზე. შეღავათები გავრცელდა აგრეთვე ამიერკავკასიის გზით ევროპიდან აზიაში გატანილ საქონელზეც. გორელი ვაჭრებიც გაცხოველებულ ვაჭრობაში ჩაებნენ, რადგან საქარავნო გზა გორზე გაივ-

---

[1] *სეა, ფ. 10, საქმე 2786, ფურც. 18-23.*

[2] *იქვე, გვ. 69.*

ლიდა და მრავალი საქონელი აქვე იყრიდა თავს. თუ როგორი სისწრაფით ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა, ჩანს შემდეგი ცნობებიდან: იმ დროს, როდესაც წინა 10 წლის განმავლობაში (1812-1821) შემოტანილი საქონლის ღირებულება უდრიდა 5812000 მან. ვერცხლით, გატანილი – 964000 მან.; 1822-1831 წლებში შემოიტანეს 17085000 მან. საქონელი და გაიტანეს 7005000 მანეთის. ნათლად ჩანს, რომ შედავათიანი ტრანზიტის პერიოდში იმპორტი გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ, ექსპორტი კი 7-ჯერ, როდესაც ამიერკავკასიაში სავაჭრო ურთიერთობების ზრდაზე ვსაუბრობთ, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა რეგიონში ვაჭრობა დუღდა. შიდა ვაჭრობა, ძირითადად, კვლავ ნატურალურ ხასიათს ატარებდა. 1831 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, გორის მაზრის მთელ საშინაო ვაჭრობას სომხები და ებრაელები ფლობდნენ. ვაჭრობდა აგრეთვე გორზე მიწერილი ახალმოსახლე მოლოკანები, მაგრამ არც ქალაქში და არც მაზრაში არ იყვნენ დიდი კაპიტალის მფლობელნი. მხოლოდ შვიდ ვაჭარს ჰქონდა კაპიტალი, 5-20 ათას მანეთამდე ვერცხლით[1].

შედავათიანი ტარიფი 1831 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე მეფის მთავრობამ რუსული სამრეწველო საქონლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი არ გააუქმა. ახალი ტარიფით ევროპიდან შემოტანილ საქონელზე კვლავ დიდი საბაჟო გადასახადი დაწესდა და ევროპასა და აღმოსავლეთს შორის არსებული სატრანზიტო ვაჭრობა ეხლა უმთავრესად არზრუმ-ტრაპიზონის გზით წარიმართა, რამაც საქართველოში ვაჭრობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. 1835 წელს კავკასიის მთავარმართებელი გრიგოლ როზენი რუსეთის ფინანსთა მინისტრს კანკრინს სწერდა: *„ამიერკავკასიაში კაპიტალი სავსებით გაქრა, კრედიტი დაეცა, გახშირდა გაკოტრება, თანდათან მცირდება რუსული მანუფაქტურული ნაწარმის გასაღება“*[2].

სატრანზიტო ცვლილებების შედეგად საქართველოში და, საერთოდ, ამიერკავ-კასიაში, ძირითადად აზიური და რუსული საქონელი შემოდიოდა. ამავე დროს, გახშირდა ევროპული ნაწარმის კონტრაბანდით შემოტანა.

გორის ვაჭრობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 1837 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით, იმ დროს

---

[1] *Обозрение Российских владении за Кавказом, ч. 2, 1836, с. 70.*

[2] *Акты, VIII, с. 155-157.*

ქალაქში იყო ფართლეულის 39 დუქანი, 27 სხვადასხვა საწვრილმანო, 13 სასადილო, 8 ღვინის სარდაფი, 18 პურის საცხობი[1].

რუსეთის უმაღლესი მოხელენი საქართველოში (როზენი, ვორონცოვი და სხვები) მთავრობის წინაშე შუამდგომლობდნენ, რათა კვლავ აღდგენილიყო შეღავათიანი სატრანზიტო ვაჭრობა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი მიზანი რეგიონის ეკონომიკური მოღონიერება კი არ იყო, არამედ წმინდა პოლიტიკური ზრახვები ამოძრავებდათ. კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე 1846 წელს წერდა: *„მრეწველობა ამიერკავკასიაში მეტად სავალალო მდგომარეობაშია: ვაჭარ-კაპიტალისტები, რომლებსაც მრეწველობის ამოძრავება შეუძლიათ, არც ერთი მოსკოველი არ არის, რომელთა სასარგებლოდ შემოღებულ იქნა არსებული სისტემა, ამიერკავკასიაში არ დასახლდა. რავინ არ შეიტანა იქ თავისი კაპიტალი... ამიერკავკასიის მთელი ვაჭრობა ამჟამად კონტრაბანდისტების ან წვრილი მრეწველი სომხების ხელში იმყოფება, რომლებიც საქონელს ნისიად ყიდულობენ და მეტად მაღალ ფასებში ჰყიდიან, რაც მძიმე ტვირთად აწევს ხალხს... მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია... შეწყვიტოს მთიელთა საიდუმლო კავშირი თურქეთთან... განავითაროს მთიელებთან ჩვენი მშვიდობიანი ურთიერთობა და ამით საფუძველი ჩაუყაროს მათი ნამდვილი დამორჩილების საწყისს. უამისოდ ყოველგვარი ცდა (შავი ზღვის – ე.მ.) აღმოსავლეთ ნაპირზე მცხოვრებ მთიელთა დასაწყნარებლად ამაო და უშედეგო იქნება“*[2].

როგორც *„გორის მაზრის მოკლე ისტორიული მიმოხილვის“* უცნობი ავტორი 1865 წელს წერდა, გორში ფულის მიმოქცევა სუსტად იყო განვითარებული, მაგრამ ის, ვინც მცირე კაპიტალს თავს მოუყრიდა, მაშინვე ტოვებდა გორს და თავისი საქმიანობა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში და რუსეთის შიდა რაიონებში გადაჰქონდა.

შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შემდეგ, ამიერკავკასიაში საგარეო ვაჭრობა მაინც იზრდება აღმოსავლეთიდან იმპორტის ხარჯზე. საგრძნობი იყო რუსული საქონლის ხვედრითი წილიც. 1843-1846 წლებში თბილისელი ვაჭრების მიერ რუსეთიდან ყოველწლი-

---

[1] *სეა, ფ. 159, საქმე 5679.*

[2] *Ленинградская публичная библиотека, «Бумаги Елпидова», т.6, л.154,* ციტირებას ვახდენ *პაპისიმედოვის* ნაშრომიდან: *საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის 1800-1864 წწ. ნაწ. 1 // იხ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1, თბ., 1940, გვ. 10-11.*

ურად შემოტანილი საქონლის ღირებულება დაახლოებით 2 მილიონ მანეთს შეადგენდა. სხვა ქალაქების ვაჭრებს კი შემოჰქონდათ თითქმის ოთხჯერ ნაკლები – დაახლოებით 0,5 მილიონი მანეთის[1].

ვორონცოვმა იმას მიაღწია, რომ 1846 წ. ევროპიდან შემოზიდულ საქონელზე საბაჟო გადასახადები ნაწილობრივ შემცირდა, მაგრამ ამ ცვლილებამ სერიოზული გავლენა ვერ მოახდინა ევროპიდან იმპორტის გაზრდაზე. იგი აზიურ საქონელთან შედარებით მცირე იყო.

1850 წელს ევროპიდან შემოტანილ საქონელზე კვლავ გაიზარდა ტარიფი, მაგრამ საქონლის შემოტანა არ შემცირებულა. 1850-1865 წლებში შემოიტანეს:

**ცხრილი №13**

| წლების მიხედვით | 1850 წ. | 1859 წ. | 1865 წ. |
|---|---|---|---|
| 1. ევროპული და კოლონიური საქონელი | 596534 მან. | 1522153 მან. | 3790372 მან. |
| 2. აზიური | 3144676 „ | 3394595 „ | 3558076 „ |
| სულ | 3741210 „ | 4916748 „ | 7348448 „ |
| გაიტანეს | 1838342 „ | 5845349 „[2] | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამიერკავკასიაში სავაჭრო კაპიტალის ბრუნვა, მართალია ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა.

გორსა და გორის მაზრაში სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა პერიოდული ბაზრობების მოწყობის აუცილებლობა. 1852 წლიდან გორის მაზრაში ასეთი თითო კვირიანი ორი ბაზრობა იმართებოდა, ერთი ბორჯომში – იწყებოდა 29 ივლისიდან, მეორე – ალში, 25 დეკემბრიდან[3]. ბაზრობებზე, ძირითადად, საქონელი საქონელზე იცვლებოდა.

1846 წ. ვაჭრობდა 196 გორელი. მათი რიცხვი 1880 წლისათვის 235-მდე გაიზარდა[4]. საინტერესოა, რომ 1852 წელს გორში იყო 283 დუქანი. მაშასადამე ამ უკანასკნელ წელს გორში უნდა ყოფილიყო დუქნების მეპატრონეთა შედარებით მცირე რაოდენობა. ალბათ, ზოგიერთი მდიდარი ვაჭარი რამდენიმე დუქანს ფლობდა. თუ ასე

---

[1] *Акты, X, с.184.*

[2] *Кавказский календарь, 1853, 1868 г.*

[3] *Там же, 1853 г., отд. 2, с. 198.*

[4] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 90.*

ვიფიქრებთ, მაშინ გამოდის, რომ 1880 წელს დუქანთა რაოდენობა, თუ მოვაჭრეთა რაოდენობის ზრდას გავითვალისწინებთ, ბევრად მეტი იქნებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ 50-იანი წლების საქართველოში გორს თავისი მოსახლეობით და ვაჭრობით, თბილისის შემდეგ, პირველი ადგილი ეკავა[1].

გორის, როგორც სავაჭრო ქალაქის ზრდას ხელი შეუწყო ფოთის შავი ზღვის პორტად გადაქცევამ და ამ ქალაქის თბილისთან დამაკავშირებელ გზაზე მისმა მდებარეობამ. 60-იანი წლების ერთ-ერთი წყაროს მიხედვით: გორის *„მდებარეობა დიდ სავაჭრო გზაზე, რომელიც შავი ზღვის პორტს-ფოთს აკავშირებს თბილისთან-ამიერკავკასიის კომერციულ ცენტრთან, ეს არის მიზეზი იმისა, რომ გორში ვაჭრობა განვითარებულია უფრო ძლიერ ვიდრე თბილისის* გუბერნიის სხვა ქალაქებში. მაგრამ აქაც, ისევე, როგორც სხვა ქალაქებში, შეიმჩნევა იგივე მოვლენა, რომ ვაჭრობა შემოიფარგლებოდა პირველი მოთხოვნილების საგნებით და ემსახურებოდა რუსული და ევროპული წარმოების ფართლეულით მაზრის მომარაგებას. გორელები სავაჭრო საქმიანობაში უფრო ფხიანები არიან ვიდრე სხვა ქალაქების მცხოვრებლები, ზოგიერთი მათგანი დიდი ხანია მოგზაურობს საზღვარგარეთ, ნიჟეგოროდის და სხვა იარმარკებზე, აგრეთვე, სისტემატურად და მნიშვნელოვანი თანხებით ვაჭრობას აწარმოებენ თბილისში“[2].

გორში შიდა ვაჭრობის დაბალ დონეზე მიგვითითებს ის, რომ 1852 წელს არსებული 283 დუქნის წლიური სავაჭრო ბრუნვა მხოლოდ 100 ათას მანეთს შეადგენდა[3]. 1900 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა და გორის მაზრამ თბილისის მაზრასაც კი გაასწრო თავისი სავაჭრო დაწესებულებების რაოდენობით და საბრუნავი კაპიტალით. იგი ასევე პირველობდა სამაზრო ქალაქებს შორის ახლად გახსნილი სავაჭრო ობიექტებით. აღნიშნულ წელს გორის მაზრაში იყო: 518 სავაჭრო 1656000 მან. საბრუნავი კაპიტალით, ვაჭრობაში დასაქმებული 768 კაცით, ახლად გახსნილი 56 მაღაზიით, სადაც მუშაობდა 79 კაცი.

ამგვარად, 1900 წელს გორის მაზრაში არსებობდა 574 მაღაზია, სადაც ვაჭრობდა 847 კაცი, ალბათ, მაღაზიების დიდი უმრავლესობა, თავმოყრილი იყო მაზრის მთავარ ქალაქში, გორში,

---

[1] *Справочный энциклопедический словарь под ред. А. Стачевского, СПБ., с. 1855.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 414, საქმე 9, ფურც. 35.*

[3] *Кавказский календарь, 1852, с. 384; 1853 г., с. 277.*

რაც თბილისის გუბერნიაში აღებ-მიცემობის საქმეში ქ. გორის წამყვან როლზე მიუთითებდა.

60-იან წლებში გორის მაზრაში გარკვეული მნიშვნელობა მოუპოვებია სურამის და ცხინვალის ვაჭრობას. სურამი ძირითადად შორაპნის და ახალციხის მაზრებთან ვაჭრობდა, ხოლო ცხინვალი ოსებთან და მთის სხვა ხალხებთან. ამას გარდა, მაზრაში მთავარი რელიგიური დღესასწაულების დროს ეწყობოდა გაცვლითი ვაჭრობის იარმარკები, ანუ, როგორც ხალხი ეძახდა „იარმუკები". საინტერესოა, რომ თბილისის გუბერნიაში მხოლოდ გორის მაზრაში იმართებოდა იარმარკები. თითოეულ იარმარკაზე თავს იყრიდა ხალხი თითქმის მთელი მაზრიდან. ასეთი იარმარკა იმართებოდა 9 ადგილას: ცხინვალში 3 მაისს ზღუდრის დღესასწაულზე[1], სურამში 10 აპრილს გიორგობისას, მეჯვრისხევში – უსანეთობას, საღოლაშენში – 5 აგვისტოს ღვთისმშობლობას, რუისში – 6 აგვისტოს ფერიცვალობას, ერთაწმინდაში – 20 სექტემბერს, არბოში – 25 აგვისტოს გიორგობას (იგივე გერისთობას) და ალევში 15 აგვისტოს ღვთისმშობლობას. იმდროინდელი დამკვირვებლის თქმით, ვაჭრობა განსაკუთრებით გაცხოველდებოდა დღესასწაულის მე-8 და მე-15 დღეს[2]. იარმარკებზე წარმოებული ვაჭრობის შესახებ გვაქვს 60-იანი წლების ცნობები.

1860 წელს იარმარკებზე მოიტანეს 46258 მანეთის საქონელი. აქედან გაიყიდა 30974 მანეთის; 1861 წელს მოიტანეს 40900 მანეთის, გაიყიდა 31496 მანეთის; 1862 წელს მოიტანეს 42196 მანეთის, გაიყიდა 31126 მანეთის; 1865 წელს მოიტანეს 41300 მანეთის, გაიყიდა 33925 მანეთის[3] როგორც ჩანს, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც განუხრელად იზრდებოდა იარმარკებზე შემოტანილი საქონლის რეალიზაცია.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისიც, თუ როგორი **ზომაწონის ერთეულები** არსებობდა გორის მაზრაში XIX ს. პირველ ნახევარში: ლიტრა (უდრიდა 9 ფუნტს), ჩარექი (2 ფუნტს და 34 მისხალს), მისხალი (1 ზოლოტნიკს); **საწყაონი**: კოდი (8 ჩანახს), ჩანახი (2-23 ფ.). **სითხის საზომი**: კოკა (12 თუნგს), თუნგი (9 ფ.); არშინი (22 0,25 გოჯს). **არშინი**, როგორც დამკვირვებელი აღნიშნა-

---

[1] ზღუდრის დღესასწაულზე ვრცლად იხ. *ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, გვ. 155-156.*

[2] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 190-192*

[3] *გოგოლაძე დ., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წ.წ.), გვ. 41.*

ვდა, 60-იანი წლების შუა ხანებში უკვე ხმარებიდან გამოდიოდა და მის ადგილს რუსული საზომი იკავებდა[1].

ქართული ფულიდან მიმოქცევაში მხოლოდ ახლად მოჭრილი ორაბაზიანი (40 კაპ.). ძველი აბაზი აღარსად იხმარებოდა[2]. მათ ადგილს თანდათან რუსული ფული იკავებდა[3].

1837 წლის მონაცემებით, გორში გილდიის ვაჭრები საერთოდ არ იყვნენ. ვაჭრობდა თითქმის ყველა მოზრდილი გორელი მამაკაცი: საეკლესიო, სახაზინო და საბატონო გლეხები. ვაჭრობის მთავარი საგნები იყო: ფარჩა, რომელსაც ყიდულობდნენ მაკარევსკის იარმარკასა და სხვა ადგილებში, მაგარი სასმელები: არაყი და ღვინო, გორელი ვაჭრები ღვინოს ყიდულობდნენ გორის, თელავის და სიღნაღის მაზრებში, იმერეთში.

---

1 *იხ. გუგუშვილი პ., ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა (1801-1864) // საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. II, თბ., 1956, გვ. 25.*

2 1829-1832 წლებში თბილისის ზარაფხანამ მთლიანად შეწყვიტა ქართული ორშაურიანების და აბაზიანების მოჭრა და ძლიერ გაადიდა ორაბაზიანების გამოშვება. მხოლოდ აღნიშნულ წლებში გამოვიდა 329 ათასი მანეთის ორაბაზიანი[15]. 1851 წლის დასაწყისში გორის ხაზინაში ნაღდად იყო ქართველ მეფეთა დროინდელი მონეტები 209 მანეთისა. *იქვე, გვ. 86.*

3 თავდაპირველად რუსული ფულის მიმართ უნდობლობას იჩენდნენ გორის მაზრის ვაჭრები XIX საუკუნის პირველ წლებში ჩერვონცების გადახურდავების დროს (კურსით 4 მან. 80 კაპ. ანუ 24 აბაზს უდრიდა) აკლებდნენ 70-80 კაპიკს. ზოგიერთი ვაჭარი კი საერთოდ უარს ამბობდა ჩერვონცების გადახურდავებაზე. ხშირი იყო შემთხვევა როდესაც ჩერვონცებს გაყიდვის დროსაც არ ღებულობდნენ თუ ის წონაში ნაკლები გამოვიდოდა. 1802 წ. ოქტომბერში 1 ჩერვონცზე მხოლოდ 4 მან და 42 კაპ. სპილენძის ფულით ან 13 აბაზს ვერცხლით იძლეოდნენ. *იქვე, გვ. 7-8.*

4 XIX ს. პირველ ათეულ წლებში უკვე ბლომად შემოდის რუსული 25, 30, 50 და 75 კაპიკიანი ვერცხლის მონეტები, 1842 წელს ჩატარებული გორის მაზრის და ქ. გორის აღწერის მასალებში აღნიშნულია კიდევ რუსული ვერცხლის სამშაურიანის, ორშაურიანის და შაურიანის მიმოქცევა. მატულობდა რუსული სპილენძის ფულის ტრიალი. 40-იანი წლებიდან უკვე მასობრივად შემოდის სპილენძის ორშაურიანი, შაურიანი და კაპიკიანი. *იქვე, გვ. 93*

ღვინის გაყიდვა რუმბებით

იმავე პერიოდში გორში იყო შემდეგი დუქნები: ფართლეულის – 39, პურის – 15, სხვადასხვა საწვრილმანო – 27, სასადილო – 13, ღვინის სარდაფი – 8, სამკერვალო – 18[1]. ამგვარად, 1837 წელს გორში იყო 120 დუქანი, 40-იანი წლებში არსებობდა 90 სავაჭრო ფარდული, 7 პურის წერტი, 6 საყასბო, 18 სხვადასხვა პირველი მოთხოვნილების საგნების და მანუფაქტურის, ე.ი. 171 მაღაზია[2], რომლებიც იმდროინდელი გორის დაახლოებით 3500 მოსახლის მოთხოვნილებას კი დააკმაყოფილებდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გორი სამაზრო ქალაქი იყო და აქ მახლობელი სოფლების გარდა შორეული პუნქტებიდანაც მოდიოდნენ სხვადასხვა საქონლის შესაძენად, მაშინ, გორში არსებული 171 დუქანი საკმარისი აღარ იქნებოდა. ამიტომ, დროის განმავლობაში, ქალაქის და, საერთოდ, მაზრის მოსახლეობის მატებასთან ერთად, დუქნების რაოდენობაც მატულობდა.

დ. გვრიტიშვილს ხელთ ჰქონდა 1842 წლის გორის მაზრის სტატისტიკური მიმოხილვა, რომელშიც ნათქვამია, რომ

---

[1] *სეა, ფ. 159, საქმე 697.*

[2] *იქვე, ფ. 152, საქმე 8424, ფურც. 1, 3.*

გორელები მანუფაქტურული ნაწარმით ვაჭრობდნენ ლაიპციგში, მოსკოვში, ირანში, თურქეთში და ამიერკავკასიის პროვინციებში. წლიური ბრუნვა შეადგენდა 250 ათას მანეთამდე ვერცხლით. იქვე ნათქვამია, რომ გორელთა დიდი უმრავლესობა მეწვრილმანე იყო, ჰყიდდნენ აგრეთვე ღვინოს, არაყს, სურსათ-სანოვაგეს და სხვ.[1]

გორის მაზრის უფროსის 1846 წლის 21 მარტით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ მანუფაქტურული, კოლონიური საქონლის და სხვა საქონლის შესასყიდად, ექვსი გორელი ვაჭარი თურქეთში, ირანში, ლაიპციგსა და ლონდონში დაიარებოდა. ხოლო 12 ვაჭარი-მოსკოვში და ნიჟნი ნოვგოროდში. სულ, მეტ-ნაკლებად შეძლებული ვაჭარი გორში 169 კაცი იყო.

მოხსენებითი ბარათის მიხედვით, გორის მაზრაში ვაჭრობდნენ აგრეთვე ებრაელები, რომლებიც გორელი ვაჭრებისაგან იძენდნენ წვრილმან საქონელს და სოფელ-სოფელ დაჰქონდათ გასაყიდად[2].

გორელ ვაჭრებს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ: შალი, საუკეთესო ირანული ქსოვილები, ლურჯი ნარმა, შაქარი, ყავა, საკმელი, ყინვარშაქარი, თურქული თამბაქო, ფოლადი, ლიმონი და სხვ. რუსეთიდან მოჰქონდათ: სხვადასხვა ფერისა და ხარისხის მაუდი, თივთიკი, ხავერდი, სხვადასხვა ფერის ატლასი, აბრეშუმის თავსაფრები, ჩითები, თეთრეული, ნარმა, მიტკალი, ტილო, ნაშური, სარჟ-ყალამქარი, გალანტერიული საგნები, ფაიფურის და ქაშანურის ჭურჭელი, თაფლის სანთელი, სუფრისა და ჯიბის დანები, საწერი ქაღალდი და სხვადასხვა წვრილმანი საქონელი.

ადგილობრივი ნაწარმიდან ბაზარზე გაჰქონდათ: ქეჩა, შალის წინდები, გლეხური მაუდი, შალის ზონრები, თოკები, თეთრი ნარმა[3].

1846 წლის უწყისის მიხედვით გორში შემოუტანიათ შემდეგი სახეობის და ღირებულების უცხოური საქონელი.

---

[1] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 111.*

[2] ამ დროისათვის გორის მაზრაში დაახლოებით 1500 ებრაელი ცხოვრობდა, საკუთრივ გორში კი არც ერთი.

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 152, საქმე 7424, ფურც. 5-9

*ცხრილი №14*

| საქონლის დასახელება | შემოტანილი საქონლის დასახელება (ვერცხლ-ით) | გაყიდული იყო |
|---|---|---|
| კანანის შალები | 1100 | 990 |
| ირანის საუკეთესო შალები – ტორმაშა-ლი | 1000 | 700 |
| ლურჯი ნარმა | 1200 | 700 |
| შაქარი | 1800 | 700 |
| ავა | 300 | 200 |
| შაკმელი | 250 | 180 |
| ყინვარშაქარი | 1000 | 800 |
| თურქეთის თამბა-ქო | 880 | 690 |
| ოლადი | 200 | 150 |
| იმონი | 300 | 250 |
| შულ | 8030 | 6560 |

*ცხრილი №15*

| შემოტანილი საქონელი | საქონლის ბრუნვა ვერცხლით | |
|---|---|---|
| ქ. მოსკოვიდან და მაკარევის ბაზრიდან შემოტანილი საქონლით ვაჭრობს გო-რის მცხოვრებლებიდან 50 კაცი | რა თანხას შე-ადგენს შემო-ტანილი საქო-ნლის ფასი ვერცხლით | რა თანხას შე-ადგენს გაყიდ-ული საქონ-ლის ფასი ვერცხლით |
| სხვადასხვა ფერისა და ხარისხის მაუდი | 4000 | 2000 |
| თივთიკი | 200 | 100 |
| სხვადასხვა ფერის ხავერდი | 600 | 300 |
| ატლასი | 200 | 108 |
| სხვადასხვა აბრეშუმის ფართალი | 5000 | 3900 |
| აბრეშუმის სხვადასხვა თავშლები | 1000 | 800 |
| დოლბანდის თავშლები | 290 | 180 |
| ბამბის ჩითეულობა | 16000 | 13000 |
| თეთრი მიტკალი და ნარმა | 1900 | 1000 |
| სარეპტის და ბამბის ტილოები | 4000 | 3000 |
| ნაშური, სარჟი | 900 | 700 |
| სხვადასხვა მარმაში | 200 | 150 |

| | | |
|---|---|---|
| ყალამქარი თეთრი და წითელი | 300 | 180 |
| სხვადასხვა ბამბანარევი შალები | 2500 | 1890 |
| გალანტერიული ნივთები | 500 | 300 |
| სამხედრო ნივთები | 1000 | 700 |
| სახარაზო საქონელი | 600 | 500 |
| ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭ. | 450 | 300 |
| სხვადასხვა ხარისხის ბოქლომები | 500 | 400 |
| სხვადასხვა ხარისხის საწერი ქაღ. | 3090 | 2000 |
| ლუქი | 180 | 120 |
| სამელნე გელი და ასპი | 60 | 50 |
| ფანქრები, საღებავები, კალმები, ტუში, საშლელი და სხვა ჩახსაკრავები, | 100 | 90 |
| სარტყელები, ნატი და სანდალოზი | 200 | 100 |
| რკინები, ლურსმნები, მავთულები, ღუმელის, კარებისა და ფანჯრების გასაწყობები | 900 | 800 |
| სულ | 47730 | 34968[1] |

ზემოთ წარმოდგენილი ორი ცხრილიდან გასაგებია, რომ რუსული მანუფაქტურული ნაწარმის გაბატონებას გორის და, საერთოდ, ამიერკავკასიის ბაზარზე ხელს უწყობდა მთავრობის პოლიტიკა. ევროპიდან საქონლის შემოზიდვის შემზღუდველი კანონმდებლობა მოქმედებდა. ყურადღებას იქცევს რუსეთიდან შემოტანილი საქონლის მრავალფეროვნება, იმ დროის მოთხოვნილების დონე და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. საქონელი იმდენად რაციონალურად შემოჰქონდათ, რომ მისი დიდი ნაწილი საღდებოდა. შემოზიდულ საქონელში მნიშვნელოვანი ადგილი სამოხელეო აპარატის საკანცელარიო და შეძლებული მოქალაქეების ფუფუნების საგნებს ეკავა.

გორის ეკონომიკურ განვითარებაზე, კერძოდ, მის ვაჭრობაზე უარყოფითი გავლენა ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ მოახდინა, რასაც ვაჭრობით დაინტერესებული გორელი მოქალაქეების ზედა ფენა უაღრესად მტკივნეულად განიცდიდა. მათ, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მთავრობასაც მიმართეს და

*1 იქვე, საქმე 8888, ფურც. 10-106. იხ. გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 25*

თავიანთი პრეტენზიებიც წაუყენეს, რადგან გორის ეკონომიკურ დაქვეითებაში მის ბრალსაც ხედავდნენ.

გორის ეკონომიკური დაქვეითების უმთავრეს მიზეზად გორელებს მიაჩნდათ შემდეგი: 1. ქალაქში, მდ. მტკვარზე, მუდმივი მყარი ხიდის უქონლობა (ამ საკითხზე თავის ადგილას ითქვა); 2. გორიდან პოლკის გადაყვანა; 3. გორის საფოსტო სადგურის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადატანა; 4. მეზობელი მებატონეების მიერ ყოველგვარი უფლების გარეშე ქალაქის კუთვნილი მინდვრებისა და ტყეების დაპატრონება (ამაზეც უკვე ითქვა); 5. ქალაქის მიწების გაყიდვა; 6. მოქალაქეებთან შეთანხმების გარეშე სოფლელების ქალაქში ჩარიცხვა.

ამჯერად ყურადღება შევაჩეროთ მე-2 და მე-3 საკითხებზე.

საქართველოში რუსული მართველობის დამყარების შემდეგ, 1846 წლამდე, გორში მუდმივად ბინადრობდა ჯერ კავკასიის, შემდეგ მე-9 ეგერთა და ბოლოს ხერსონის პოლკი, რომელსაც მოგვიანებით ქართული პოლკი ეწოდა. გორელი ვაჭრები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობდნენ პოლკისათვის ცხოვრების კარგი პირობების შექმნას: თავიანთი ფულით, ქალაქისავე ტერიტორიაზე, რამდენიმე კაზარმა აუშენეს. ასევე უფასოდ, ცოლშვილიან ოფიცრებს გამოუყვეს მიწები სახლების ასაშენებლად და სხვასაც ბევრ სიკეთეს უკეთებდნენ. ამიტომ ვაჭრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პოლკი მუდმივად გორში დარჩებოდა. მრავალმა ვაჭარმა ქვის სახლები და დუქნები ააშენა, რაშიც მნიშვნელოვანი კაპიტალი ჩასდეს. მაგრამ მოხდა უბედურება და, გორელებისათვის გაუგებარი მიზეზით, ქართული პოლკის შტაბბინა 1846 წელს ბელიე კლუჩში გადაიტანეს, რამაც ვაჭრობის დაცემა, ვაჭრების გაღატაკება გამოიწვია. როგორც თვითონ წერდნენ: *„მრავალმა ჩვენმა თანამოქალაქემ, ხედავდა რა ქალაქის სამწუხარო მდგომარეობას, მიატოვა იგი და სავაჭროდ გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს. მათ ადგილას დასახლდნენ ღარიბი სოფლელები და გადასახადების მთელი სიმძიმე დაგვაწვა ჩვენ, აქ დარჩენილ ნამდვილ მოქალაქეებს“*[1].

ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში თავისი უარყოფითი როლი ითამაშა საფოსტო სადგურის ქალაქიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადატანამ, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ახალი საფოსტო გზის გაყვანამ გამოიწვია. ქალაქს სადგურიც აცოცხლებდა და გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა. გორელ ვაჭრებს გამვლელთა სახით მუშტარი

[1] *Документы, II , с. 451.*

*მოაკლდა და ქალაქიც მიყრუვდა. „რას იგებს თვით ხაზინა ასეთი განკარგულებით, ჩვენთვის გაუგებარია, – წერდნენ გორელი ვაჭრები, – თუ იმიტომ გაკეთდა, რომ მგზავრებმა არ დაკარგონ რამდენიმე წუთი, რომელიც საჭიროა მტკვარზე გადასასვლელად (ჯერჯერობით ბორნით), მაშინ ასეთი მიზანი არ იმსახურებს, რომ მას შეეწიროს ქალაქის კეთილდღეობა. ცნობილია, რომ ყველა თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში გამვლელთა უმრავლესობა ამ სადგურზე რამდენიმე საათს, ზოგჯერ კი მთელ დღეს და მეტხანსაც დასასვენებლად, ან ცხენების უყოლობის გამო, ან სხვა რაიმე მიზეზით ჩერდება. ამიტომ მტკვარზე გადასვლა ქალაქის სადგურში (იგი რომ ძველებურად დაეტოვათ) არავითად განსხვავებას არ მისცემდა დროის თვალსაზრისით. მართლაც არიან ისეთი მგზავრები, რომელთაც არ სურთ სადგურზე მცირე ხნით დარჩენა, მაგრამ ცნობილია, რომ ყოველ სადგურზე არსებული სხვადასხვა მიზეზის გამო, მხოლოდ ზოგიერთი ახერხებს დაბრკოლების გარეშე იმგზავროს. ღირდა რამდენიმე ბედნიერისათვის ქალაქის შეწირვა? ჩვენი აზრით, ხაზინა არაფერს დაკარგავდა, რომ თანამედროვე საფოსტო გზის დროსაც სადგური ძველებურად გორში დაეტოვებინათ, მოიგებდა კი იმით, რომ არ ექნებოდა ყოველწლიური ხარჯები სადგურისათვის ნამდვილი შენობის დაქირავების გამო, მაშინ როდესაც გორში არსებობს ქვის მტკიცე, სპეციალური, კეთილმოწყობილი სახლი, რომელიც დღესაც სრულიად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში დგას. ამას გარდა იგი ხელს შეუწყობდა ქალაქის კეთილდღეობის ამაღლებას“*[1].

იმისათვის რათა გორის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს მოქალაქეებს აუცილებლად მიაჩნიათ შემდეგი:

1. მტკვარზე აშენდეს ყველასათვის დიდი ხნის სასურველი ხიდი.

2. გორში ჩაყენებულ იქნას ერთი ქვეითი პოლკი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი სახაზო ბატალიონი.

3. საფოსტო სადგური კვლავ გადატანილ იქნას ქალაქში.

4. გორს დაუბრუნდეს სარგებლობასა და სრულ მფლობელობაში ყველა მიმდებარე საძოვარი და ტყეები.

5. გორს დაუბრუნდეს ყველა მისი კუთვნილი მიწა, რომლებიც გადაცემული აქვს კერძო პირებს და საჯაროდ გაიყიდოს. იმ მიწებისათვის, რომლებიც ამგვარადვე გადაცემულია კერძო პირებისათვის და მათი ნაგებობითაა დაკავებული, ამოღებულ იქნას ის თა-

[1] *Там же, с. 451-452.*

ნხა რამდენიც განისაზღვრება ვაჭრობის შემდეგ. ამგვარად ამოღებული თანხა ქალაქს მოხმარდეს.

6. ამიერკავკასიის სახაზინო პალატას აეკრძალოს არსებული კანონის დაცვის გარეშე გორისადმი სოფლელების მიწერა.

7. მე-4 და მე-5 პუნქტის აღსასრულებლად დაინიშნოს განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი მოხელე[1].

ცნობილი არ არის, რამდენ ხანში ან რამდენად მიაღწიეს გორელებმა თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ვიცით, რომ მტკვარზე ხიდი მხოლოდ ორი ათწლეულის შემდეგ აიგო; ჯარის ნაწილი გორში დააბრუნეს 60-იანი წლების შუა ხანებში; საფოსტო სადგური აღარ გადმოუტანიათ; ოდესღაც ქალაქის კუთვნილი მიწები კვლავ კერძო პირთა ხელში დარჩა და ქალაქს შემოსავალი არ მიუღია; სოფლიდან გამოქცეული ან წამოსული ადამიანები ისევ სახლდებოდნენ გორში.

მაშასადამე, გორის გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელისუფლების ოპერატიული ჩარევა არ მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და თვით გორელები თავიანთ პრობლემებს მეტ-ნაკლებად აგვარებდნენ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გორში იყო 318 საწვრილმანო, 24 სამიკიტნო და 17 დუქანი, 3 ყურძნის ღვინის სარდაფი, 10 ყოველგვარი ღვინის სარდაფი, 1 არყის მაღაზია, 1 სპირტის საბითუმო საწყობი[2].

იმავე პერიოდში ეროვნული ნიშნის მიხედვით, ვაჭრები ნაწილდებოდნენ შემდეგნაირად:

***ცხრილი №16***

| | რუსი | ქართველი | სომეხი | მოსწ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაყალი | – | 25 | 13 | 16 | 54 |
| 2. ბაზაზი | – | 2 | 34 | 20 | 56 |
| 3. მეწვრილმანე | – | 7 | 34 | 12 | 54 |
| 4. მედუქნე | – | 27 | 15 | 13 | 55 |
| 5. თევზის გამყიდველი | – | 3 | 2 | – | 5 |
| 6. პაპიროსის გამყიდველი | – | – | 2 | – | 5 |
| 7. ზეთისმხდელი | – | – | 2 | 2 | 4 |
| 8. ცვილის სანთლის გამყიდველი | 1 | – | – | 2 | 3 |
| სულ | 1 | 64 | 103 | 67 | 235[3] |

[1] *Там же, с. 453-454.*

[2] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 89.*

[3] *Там же, с. 93.*

გორში განსაკუთრებული ადგილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას ეკავა. ეს საქონელი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდებოდა. მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან მრავლად მოდიოდნენ გლეხები, რომლებიც ხელოსნურ და მანუფაქტურულ საქონელზე ცვლიდნენ სოფლის პროდუქტებს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით რუსეთის ჯარის მომარაგების აუცილებლობამ სტიმული მისცა ვაჭრობას. ხორბლეულის ის რაოდენობა, რომელიც ქართლში ტრადიციულად მოჰყავდათ, მოსახლეობას ძირითადად აკმაყოფილებდა და ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა, ეხლა საკმარისი აღარ იყო. მდგომარეობას ისიც ამწვავებდა, რუსი ხელისუფალნი ჯარისათვის საჭირო ხორბლის შეძენას ხელსაყრელ ფასში რომ ცდილობდნენ. პურზე მოთხოვნილების გაზრდამ გამოიწვია ფასის აწევა და იგი სპეკულაციის საგანი გახდა. შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგებას ხელისუფლება ძალის გამოყენებით ცდილობდა, რაც მოსახლეობის უარყოფით რეაქციას იწვევდა.

1803 წლის 4 ნოემბერს მთავარსარდალი თავადი ციციანოვი გორის კომენდანტს მაიორ რეიხს წერილობით უბრძანებდა: *„სანდო ცნობები გაგვაჩნია, რომ გორელმა სომხებმა საგონებელში ჩააგდეს მთელი ქართლის გლეხობა, უღვთოდ წაჰგლეჯენ მათ პურს, ქალაქში ინახავენ და შემთხვევას უცდიან რათა ძვირად გაყიდონ... თქვენმა მაღალკეთილშობილებამ კი ჩემი გორში ყოფნისას განმიცხადა, რომ თქვენთვის ცნობილი არ იყო დამადასტურებელი ცნობა, გიბრძანებთ სასწრაფოდ და საიდუმლოდ გაიგოთ მათი საწყობების შესახებ, დალუქოთ და დაუყონებლივ მაცნობოთ, რადგან მოსალოდნელია სურსათის ნაკლებობა*“[1].

არ არის გამორცხიული, რომ მაიორი რეიხი თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, თვალთმაქცობდა და ამგვარად ხელს აფარებდა გორელ სპეკულიანტებს, მაგრამ მთავარსარდლის მიერ მკაცრი გაფრთხილების შემდეგ, იგი იძულებული გახდა ზოგიერთი მოჩვენებითი ხასიათის ღონისძიება გაეტარებინა. ასეთი მოტივით უნდა ყოფილიყო გამოწვეული იმავე წლის 12 ნოემბერს მის მიერ დაწერილი მოხსენება, რომელშიც აღიარებდა, რომ ნამდვილად შემჩნეულ იქნა რამდენიმე გორელი ვაჭარი, რომელთაც იაფად შეისყიდეს პური. გორის კომენდანტი იმით ყოფილა დაკა-

[1] *Там же, с. 93.*

ვებული, რომ საიდუმლოდ უთვალთვალებდა საეჭვო პირებს, რათა პური საზღვარგარეთ არ გაეტანათ[1].

როგორც ჩვენამდე მოღწეული საბუთებიდან ჩანს, ანალოგიური ღონისძიებები ხორციელდებოდა თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ხელისუფლება მიზანს მაინც ვერ აღწევდა. მარცვლეულის სპეკულაციით გამდიდრებული ვაჭრები იმდენ კაპიტალს აგროვებდნენ, რომ ახერხებდნენ მამულების შეძენას. ცნობილია XIX ს. დასაწყისში გორელი ვაჭრების მიერ მამულების შესყიდვა შინდისში[2]. მაგრამ ეს სრულებითაც არ უნდა ჩაითვალოს ახალ მოვლენად, როგორც ფიქრობდა გ. ბუხნიკაშვილი[3]. გორელი ვაჭრების მიერ მამულების შეძენის მრავალი ფაქტი ცნობილია XVII საუკუნიდან.

სოფლელებს გორში მოჰქონდათ ყველი, კარაქი, მატყლი, თივთიკი, შალი და ა.შ. მოჰყავდათ რქოსანი და წვრილფეხა საქონელი. მოსავლიან წლებში ზედმეტი პროდუქტი – კომბოსტო, კარტოფილი, ხახვი, ნიორი და კაკალი გორის მაზრის, განსაკუთრებით კი ქალაქის მახლობელი სოფლების გლეხებს გორში მოჰქონდათ გასაყიდად[4]. ოსებს გორში მოჰქონდათ ყველი და ძროხის კარაქი. ეს პროდუქტები იმდენად მცირე იყო, რომ მაშინვე საღდებოდა[5].

გორიდან და გორის მაზრიდან თბილისში მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ პური, ხილი, საამშენებლო ხე-ტყე, მატყლი და სხვ.

გორსა და მის მაზრაში ამ დროისათვის საკმაოდ განვითარდა სავაჭრო მეხილეობა-მებოსტნეობა. გორის მაზრა დასახელებული პროდუქტებით ამარაგებდა გორსა და თბილისს. როგორც ერთ-ერთ საბუთშია ნათქვამი, *„მოსავლიან წლებში გორიდან თბილისისაკენ მიედინებოდა ხილით დატვირთული ურმების ქარავნები“*[6].

ი. კლაპროტის თანახმად, გორის დუქნების უმეტესობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდა.

გორიდან და გორის მაზრიდან ექსპორტში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, განსაკუთრებით, ხილი მოდიოდა.

---

[1] *Там же.*

[2] *Акты, V, с. 245.*

[3] *БухникашвилиГ., Гори, с. 63.*

[4] *Документы, I, ч. II , с. 880.*

[5] *Там же, с. 881.*

[6] *Там же, с. 880.*

ხილის, ამ სწრაფადფუჭებადი პროდუქტის ექსპორტი გაფართოვდა მაშინ, როცა შორეულ რაიონებში მისი გადატანის პირობები გაუმჯობესდა, როდესაც გორი თბილისისა და ფოთის დამაკავშირებელ რკინიგზაზე აღმოჩნდა. გაჩნდნენ ხილითა და ბოსტნეულით ბითუმად მოვაჭრენი. XIX ს. ბოლოს ცხინვალელი და ცხინვალიდან გორში გადმოსახლებული 3-4 ებრაელი ვაჭარი, რომლებიც შეამხანაგებულნი იყვნენ სომეხ ვაჭრებთან, სერიოზულ სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ. ისინი სოფლებში თავიანთი აგენტების მეშვეობით იძენდნენ ვაშლს, მსხალს, კომშს, ჩირს, კომბოსტოს, ჭარხალს, ნიორს და სხვ. ვაჭრები თვითონაც დაიარებოდნენ გორის მახლობელ სოფლებში: კარალეთში, ფლავში, ფლავისმანში, მეჯვრისხევში და სხვაგან, სადაც ხილის ბაღების მთელ მოსავალს წინასწარ, ნაყოფის მოკრეფამდე, ნარდად ყიდულობდნენ. ხილის გარდა რეხაში, ტეზერში, ნიქოზში და ქართლის სხვა სოფლებში ნარდად, დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ - ჭარხალს, ნიორს, კომბოსტოს. შესყიდულ საქონელს ჯერ სოფლად დაქირავებილ სახლებში უყრიდნენ თავს, შემდეგ ურმებით გადაჰქონდათ ცხინვალში, ქარელში და გორში, სადაც საქონლის შესანახად საწყობები ჰქონდათ დაქირავებული. საწყობებში, ასევე დაქირავებული მუშების შემწეობით, ხილს ახარისხებდნენ, ყუთებში აწყობდნენ და რუსეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქებში – პეტერბუგრში, როსტოვში, ოდესაში და სხვა ქალაქებში აგზავნიდნენ. რუსეთში იგზავნებოდა კარგი ხარისხის ვაშლი: ბროცკი, ანტონოვკა, შაფრანი, წითელი და თეთრი კალვერი, ნაწილობრივ აბილაური, სინაპი, სირმა, კიტრა, თურაშაული და სხვა. დიდი რაოდენობით ვაშლის ჩირი და კომში იგზავნებოდა უმთავრესად ოდესაში. კომბოსტო, ჭარხალი, ნიორი და სხვ. ბაქოში და სხვა ქალაქებში[1].

ორნი, გორელი ებრაელი და სომეხი კომპანიონები, ყოველ სეზონზე, სხვადასახვა ქალაქში აგზავნიდნენ დაახლოებით 15-20 ვაგონ ხილს, 20 ვაგონ კომბოსტოს, 10-15 ვაგონ ჭარხალს, 5-6 ვაგონ ნიორს[2].

სავსებით დასაშვებია ზემოთდასახელებული გორელი ებრაელი და სომეხი ის ხაიმ დავარაშვილი და დიდვაჭარი ღვთისო იყვნენ, ი. პაპისმედოვი რომ თავის მოგონებებში ახსენებს. იგი

---

[1] *პაპისიმედოვი, საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისა თვის // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახ. მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1945, გვ. 31.*

[2] *იქვე.*

წერს: *„ხაჯიხაიმი (ხაიმ დავარაშვილი – ე.მ.) ძირითადად ხილით ვაჭრობდა ერთხანს გორელ დიდვაჭარ, მასავით ტანდაბალ ხვთისოსთან ამხანაგობდა. გორის ახლომდებარე სოფლებში, მეტწილად, ნარდად ყიდულობდა რომელიმე გლეხის თუ აზნაურის ბაღის მთელ მოსავალს. ეს კაცი ისე ყოფილა დახელოვნებული თავის კომერციულ საქმიანობაში, რომ შეეძლო თურმე თვალის ერთი გადავლებით განესაზღვრა ხეზე მსხმოიარე, ჯერ კიდევ დაუმწიფებელი ხილის ხარისხი და რაოდენობა. ამიტომ ის უფრო ნარდად ყიდულობდა საქონელს და, როგორც ამბობდნენ, დიდ ფულსაც იგებდა. ორი საწყობი ჰქონია ხაიმს გორში, სადაც რამდენიმე ებრაელი მუშა ახარისხებდა ხილს და ყუთებში ფუთავდა. მზა პროდუქციას ხაიმი სხვადასხვა ქალაქებში აგზავნიდა, უმეტესად ბაქოში“*[1].

რადგან სავაჭრო მიზნებით რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენებაზე ითქვა, აქვე მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზის გახსნამ (1871 წ.) მნიშვნელოვნად დასცა გორის ვაჭრობა. ეს განპირობებული იყო ძველი საქარავნო გზის, რომელიც გორში გადიოდა, მნიშვნელობის შესუსტებით. სარკინიგზო ტრანსპორტის ამუშავებამდე გორში უცხოეთში გასატანი საქონლის შესაგროვებელი და შესანახი საწყობები არსებობდა. გორში შემოსული საქონელი მნიშვნელოვანწილად გორელი ვაჭრების ხელში და გორის ბაზარზე ხვდებოდა, რაც მათ საკმაო მოგებას აძლევდა. რკინიგზამ პროდუქტების სწრაფად გადატანის პირობები შექმნა და საქონელმაც გორს გვერდი აუარა. ამის გამო, ბევრმა მსხვილმა ვაჭარმა გორში თავისი საქმიანობა შეწყვიტა და თბილისში ან ქუთაისში გადასახლდა.

რაც დრო გადიოდა გორსა და მის მაზრაში სასაქონლო ხილბოსტენულის წარმოება სულ უფრო იზრდებოდა. 1908 წელს გორიდან და ქარელიდან თბილისში რკინიგზით 220 ათასი ფუთი, 1909 წელს კი 414 ათასი ფუთი ხილი გაიგზავნა. 1912 წელს გორიდან და მისი მაზრიდან 354 ათასი ფუთი კომბოსტო გაიგზავნა[1].

გორში ვაჭრობდნენ ძირითადად ქართველები და სომხები. ამის შესახებ აღნიშნავდა ი. კლაპროტიც. XIX ს. მეორე ნახევრიდან მათ შეემატნენ ცხინვალიდან და გორის მახლობელი სოფლებიდან გადმოსახლებული ებრაელები, რომლებიც უმეტესწილად მეწვრილმანეები იყვნენ. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთი მათგანი სერიოზულ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობდა. გორის

---

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, გვ. 145.*

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 125.*

ვაჭრობაში და საქალაქო ხაზინის შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ხე-ტყის გატანას ეკავა. ხე-ტყე ბევრი იყო გორის მაზრაში. ბორჯომის ხეობა, დიდი და მცირე ლიახვის, ატენის ხეობები მდიდარი იყო ტყის მასივებით. მოჭრილ მორებს ტივების სახით შეჰკრავდნენ და მტკვარზე დააცურებდნენ თბილისის მიმართულებით. ხშირად ამ ტივებს საქონლის გადასატანადაც იყენებდნენ, როგორც სატრანსპორტო საშუალებას. 1864 წელს გორიდან თბილისში 1000 ტივი ჩაუტანიათ. ტივს 3-4 კაცი მართავდა. თითოეული ტივის დაცურებისათვის ქალაქის მმართებლობას 2 მან. ვერცხლით უხდიდნენ[1].

ხე-ტყით ვაჭრობას აიოლებდა ტყის მასივების სიახლოვე მდ. მტკვართან. განსაკუთრებით ბევრი ხე-ტყე იჭრებოდა საციციანოში, მნიშვნელოვანი იყო ატენის ხეობის საამშენებლო მასალის მდ. ტანაზე დაცურება თავად გრიგოლ ერისთავის სამხერხაომდე, სადაც ნაწილს ფიცრებად ხერხავდნენ, ნაწილს კი მორების სახით თბილისისკენ აცურებდნენ[2].

ყოველწლიურად მტკვარზე აცურებდნენ 2 ათასიდან 2500-მდე ტივს. თითოეული მათგანი 20 მორისაგან შედგებოდა. ტივის ღირებულება მორების სიმსხოთი განისაზღვრებოდა და მერყეობდა 25-150 მანეთამდე. მზადდებოდა 50 ათასამდე ფიცარი.

მომგებიან საქმედ ითვლებოდა სასაქონლო შეშის დამზადება. შეშასაც 10-15 საჟენის ოდენობით ტივების სახით აცურებდნენ. წლიურად გორში 10 ათასამდე ურემ შეშას მოიხმარდნენ[3].

გორის მაზრის მოსახლეობის უმთავრესი სიმდიდრეს, ერთ-ერთი თანამედროვის სიტყვები რომ გავიმეორო, ხვნა-თესვა წარმოადგენდა. მაგრამ სასურველი შედეგის მიღწევას აფერხებდა მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე და აგრარული ურთიერთობის მოუწესრიგებლობა. ძირითადად მოჰყავდათ ხორბალი და სიმინდი, მაგრამ თესდნენ აგრეთვე მცირე რაოდენობით ქერს, ასლს, შვრიას, ლობიოს, ცერცვს და ფეტვს[4]. ი. ჯავახიშვილის თქმით, გორის ტერიტორიაზე მარცვლეული კულტურები უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული[5].

XIX საუკუნეში და შემდეგაც გორის მიდამოებში ითესებოდა ხორბლის ისეთი ჯიშები, როგორიც არის წითელი პური, დოლის

---

[1] *Документы, т. I, ч. II , с. 880.*

[2] *Там же, с. 879.*

[3] *Там же.*

[4] *Там же, с. 879.*

[5] *ჯავახიშვილი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, გვ. 327.*

პური, ფხა, დიკა, ქერი. ყველაზე მოსავლიანი იყო შავფხა. გვალვიან წლებში კარგ მოსავალს იძლეოდა წითელი პური. მნიშვნელოვანი ფართობი ჰქონდა დათმობილი დიკას, რომელის სოკოვანი დაავადებებისადმი მდგრადობით გამოირჩეოდა. ითესებოდა დოლის პურის მრავალი სახეობა. მას ეკავა ხორბლის ნათესების 80-85%[1].

მეურნე კაცის მტერი იყო უამინდობა და კალია. 1860-იანი წლების პირველ ნახევარში მხოლოდ 1861 წელს მოვიდა შესანიშნავი მოსავალი და პურის ფასიც მნიშვნელოვნად დაეცა. 1860 და 1862 წლებში საშუალო მოსავლი იყო, ამიტომ, მართალია, მოსახლეობამ დიდი რაოდენობით არ გაყიდა ზედმეტი პური, მაგრამ თავისთვის კი საკმარისი ჰქონდა. ზედიზედ ორ წელს (1863-1864) მოუსავლიანობის გამო მოსახლეობას ძლიერ გაუჭირდა[2].

სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარებისათვის 60-იანი წლების დასაწყისიდან განსაკუთრებული გულმოდგინებით ხელი მოუკიდია ივანე სულხანიშვილს, რომლესაც საზღვარგარეთიდან სპეციალისტებიც კი ჰყავდა მოწვეული[3]. მისი მამული სოფ. ტირძნისში ერთ-ერთ სანიმუშოდ ითვლებოდა XX ს. დასაწყისში. იგი 900 დესეტინა მიწას ფლობდა და ეწეოდა მარცვლეულის მეურნეობას, მებაღეობას, მევენახეობას, მეღვინეობას და მეცხოველეობას. სულხანიშვილების მეურნეობა დაქირავებულ შრომას ემყარებოდა და გამოირჩეოდა კარგი ტექნიკური აღჭურვილობით[4].

ივანე სულხანიშვილს ეკუთვნოდა სამი სოფელი: ტირძნისი, ბროწლეთი და თერგვისი. იგი ევროპაში ნამყოფი, განსწავლული მეურნე იყო. ს. მგალობლიშვილის დახასიათებით, *„ივანე გულქვა ადამიანი იყო: ნაყმევები გაქაჩული ჰყავდა“*[5].

აქვე უნდა გავიხსენოთ დ. ყიფიანის მიერ 1857 წელს *„ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“* კრებაზე წაკითხული მოხსენება, როცა მან საქართველოს ის მემამულეები გაიხსენა, ვინც თავის მეურნეობაში გაუმჯობესებულ აგროტენიკას და სასოფლო მანქანებს იყენებდნენ. მან მათ შორის დაასახელა გორის მაზრიდან ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკი (ეს მებატონე იყო, რომელმაც, როგორც თვითონ ამბობდა, პირველად გამოიყენა ე.წ.

---

[1] *კეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, გვ. 289-291.*

[2] *Документы, II, с. 878.*

[3] *Там же, с.879.*

[4] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 137.*

[5] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 202.*

შუმანის გუთანი, ეწეოდა ბალახთესვას, მოიწვია ფრანგი აგრონომი და სხვ.)[1], ე. რ. ერისთავი, კ. მ. ერისთავი, რ. ი. ერისთავი და ფ. მ. გურამოვი[2].

40-50-იან წლებში შიდა ქართლის მებატონეთა შორის გამოირჩეოდა დავით დიმიტრის ძე დიასამიძე, გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. როგორც ს. მგალობლიშვილი აღნიშნავდა *„იგი იყო ქართლში პირველი პიონერი აბრეშუმის ჭიის შემოღებისა, თამბაქოსა, ენდროსი და სხვა მცენარეულობის თესვის შემომღები. თითქმის ორასი დღიური თუთის პლანტაცია ჰქონდა გაშენებული[3] სოფ. საქაშეთში, სადაც ცხოვრობდა, ყველა გლეხს უსათუოდ ჰქონდა დარგული თუთა ჭიისათვის, ყველა მისი ყმა ვალდებული იყო, ჰყოლოდა ჭია, ეთესნა თამბაქო და ენდრო. ამასთან ყველანაირი ხელოსანი იყო მის სოფელში, გავრცელებული იყო ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების ქსოვა და აგრეთვე ყაჭის მზადება და ყაჭის ამოხვეულ ძაფისაგან ქსოვა სხვადასხვა ფარჩლეულობის. გლეხი ჰყიდდა ყველა ამას თავისთვინა... თვით დ. დიასამიძის სახლში, მისმა ოჯახმაც იცოდა ყველაფრის დამზადება. შესანიშნავი მქსოველი იყო ხალიჩებისა, თუ სხვა რამისა მისი ქალიშვილი ნინო, ერისთავის ცოლი*“[4].

მდ. ლიახვის ორივე ნაპირზე თესდნენ სელს, კანაფს და მზესუმზირას. მათი თესლიდან ხდიდნენ ზეთს.

გორის მაზრაში მეცხოველეობა ძირითადად განვითარებული იყო ოსებით დასახლებულ მთიან ზოლში. მეცხოველეობის განუვითარებლობის მიზეზი საძოვრების ნაკლებობა იყო. მდელოების უმეტესი ნაწილი კერძო მესაკუთრეებს და საეკლესიო მამულებს ეკუთვნოდა და ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით არენდით გადასცემდნენ ქალაქში განლაგებულ ჯარს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გორელებს მაინც საკმაო რაოდენობის პირუტყვი ჰყავდათ. *„მეცხოველეობის პროდუქტები: რძე, ყველი, ერბო, კარაქი, მატყლი, ტყავი, ბეწვი, ძვალი, რქა და სხვ. გარდა იმისა, რომ საკვებსა და სატანისამოსე მასალას წარმოადგენდა, ამასთანავე ადრიდანვე იყო*

---

[1] *Документы, I , с.29-30.*

[2] *გუგუშვილი პ., სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა, გვ. 184-185.*

[3] დღიურის მოცულობა მერყეობდა XIX საუკუნეში იგი უდრიდა 0,39-0,5 ჰექტარს, გამოდის, რომ დ. დიასამიძეს თითის პლანტაცია გაშენებული ჰქონდა დაახლოებით 80-100 ჰექტარზე.

[4] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 17.*

*ნაცვლისა, ფულადი შემოსავლისა და შინამრეწველური საქმიანობისათვის ნედლეულის უმნიშვნელოვანესი წყარო*"[1].

მეცხვარეობის განვითარებაზე გორის მაზრაში გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა მერინოსის ჯიშის ცხვრის გავრცელებას. 1822 წელს გორის ოლქის მცხოვრებლებს დაურიგეს აღნიშნული ჯიშის რამდენიმე ცხვარი მისი გამრავლების მიზნით.

გორის მაზრის სამეურნეო ცხოვრებაში ყველაზე დაბლა იდგა მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობა არსებობდა, მეფუტკრეობა მაინც არ იყო განვითარებული. მხოლოდ რამდენიმე მებატონეს ყავდა ფუტკარი. მაგ. დავით ერისთავს 200-მდე სკა ედგა, ზოგიერთს 20-50, მაგრამ მას მხოლოდ საკუთარი ოჯახის მიზნებისათვის იყენებდნენ. გორი და, საერთოდ, მაზრა იმერეთის თაფლით და ცვილით მარაგდებოდა.

მეაბრეშუმეობას ზოგიერთი მებატონის მამულში მისდევდნენ და იგი თვით მებატონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. მეაბრეშუმეობის განვითარებით განსაკუთრებით ზემოხსენებული მებატონე სულხანიშვილი დაინტერესებულა, რომლის მიერ საზღვარგარეთიდან მოყვანილი სპეციალისტები გლეხებს აბრეშუმის ამოხვევას, მის შეღებვას სხვადასხვა ფერად და მანქანების გამოყენებას ასწავლიდნენ. სულხანიშვილის მამულში დამზადებული აბრეშუმი სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზეც იგზავნებოდა[2].

კარგად განვითარებული იყო მებაღეობა და მებოსტნეობა. იშვიათი იყო მებატონე ან გლეხი, ბაღი ან ბოსტანი, რომ არ ჰქონდებოდა. ხიდისთავის უბნის აღმოსავლეთ ნაწილის ბაღებში გაშენებული ჰქონდათ ატამი, ლეღვი, ბროწეული, სხვადასხვა სახეობის ქლიავი. გორისა და ოსების უბნის ფერდობებზე, რომლებიც განიცდიდნენ ჩრდილოეთის კლიმატის გავლენას, ზემოჩამოთვლილ ხილთან ერთად მოჰყავდათ ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი, ალუჩა, კაკალი და თხილი. დიდი რაოდენობით მოჰყავდათ 30-მდე ხარისხის ვაშლი და მსხალი. თბილისელი ბაყლები, ითვალისწინებდნენ რა ამ მხარის სიუხვეს, სოფლებში მიდიოდნენ და ვაშლსა და მსხალს ხეებზე, დაუმწიფებელს ყიდულობდნენ. კვირტით მყ-

---

[1] *გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, III, თბ., 1959, გვ. 445-446.*

[2] *Документы, II , с. 879.*

ნობის ახალი მეთოდის ათვისების შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა ხეების რაოდენობა[1].

ოდითგანვე სახელი გაითქვა ატმის ჯიშებმა, რომელიც უმეტესწილად გაშენებული იყო ატენში, ხიდისთავში და სხვა სოფლებში. მათ დადებით თვისებად თვლიდნენ ადგილობრივ პირობებთან შეგუებას, ლამაზ გარეგნობას, კარგ გემოვნებას და სურნელებას. 1915 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილი იყო ხიდისთავური ატმის შემდეგი ჯიშები: წითელი გვიანი, მოლოზანის ბერების ატამი, ლიმონის ატამი, ატენური გიგანტი, წითელი საოქტომბრო, საპობი და ხიდისთავური[2].

მებაღეობა-მევენახეობის განვითარების დონის და ამ დარგისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულების მაჩვენებელია 43 მებაღე-მევენახის შეყვანა ქალაქის ხელოსანთა რიგებში XIX ს. 80-90-იან წლებში[3]. საფიქრებელია, ისინი ჩვეულებრივი გლეხები არ უნდა ყოფილიყვნენ. ისინი სხვა მეურნეთაგან თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით უნდა გამორჩეულიყვნენ. ამიტომ იყო, რომ მათ მოსწავლე-შეგირდებიც კი ჰყავდათ. ამ ხელოსანთა მსგავსნი და გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილი ძმები გ. და ნ. ფრიდონოვები, რომლებმაც სოფ. სკრაში გამოიყვანეს ხეხილის ახალი ჯიშები. მათი მიღწევები 1899-1903 წლებში სრულიად რუსეთის გამოფენებზე პეტერბურგში ოქროს მედლით და სიგელებით აღინიშნა[4].

ბოსტნებში მოჰყავდათ: საზამთრო, ნესვი, სხვადასხვა ხარისხის კვახი, კიტრი, ოსპი, ხახვი, ნიორი, ნიახური, ოხრახუში, სტაფილო, ჭარხალი, სალათა, ბოსტნის წიწმატი, ისპანახი და სხვ. სიახლეს წარმოადგენდა კარტოფილი (1830 წელს გერმანელმა კოლონისტებმა შემოიტანეს) და კომბოსტო, მაგრამ მიუხედავად ამისა დიდი რაოდენობით მოჰყავდათ. მოსავლიან წლებში თბილისში და გორში უხვად იყიდებოდა გორის მაზრის სოფლებში მოყვანილი კომბოსტო, კარტოფილი, ხახვი, ნიორი და კაკალი[5].

გორის მიდამოების მოსახლეობისათვის უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

---

[1] *Там же, с. 880.*

[2] *პავლიაშვილი დ., მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1962, გვ. 132.*

[3] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 121*

[4] *მაისურაძე გ., გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX ს. პირველი მეოთხედი) // „მაცნე“, 1979, №2, გვ. 85-86.*

[5] *Документы, II , с. 880*

საშუალება იყო და არის მევენახეობა-მეღვინეობა. XIX-XX საუკუნეების გორის მიდამოებში განსაკუთრებით გავრცელებული ვაზის ჯიშები იყო შემდეგი: თავკვერი, გორული მწვანე, ბუდეშური, რქაწითელი, საფერავი, ჩინური, შავკაპიტო და სხვ. თავისებური დამახასიათებელი თვისებებით და გემოთი გამოირჩევა „ატენური“. გორის მევენახეობა-მეღვინეობის სახელის მოხვეჭაში თავისი წვლილი შეიტანა ხიდისთავმა, ხელთუბანმა და მეჯვრისხევმა.

ყურძნისაგან ამზადებდნენ ღვინოს და არაყს. გორის მაზრაში საუკეთესო ღვინოებად ითვლებოდა ატენური, კასპური, ხიდისთავური და მეჯვრისხევური. ახლადდაყენებული ატენური ღვინო თითქმის უფერული, სუფთა, თეთრი ბროლივით იყო. დროის განმავლობაში ყვითლდებოდა და ქარვის ფერს იღებდა და, ერთ-ერთი რუსი მოხელის თქმით, გემოთი „ატენური“ „ყირიმულ სუდაკს“ ემსგავსებოდა. კასპური ჰგავდა სუსტ მადერას, ხიდისთავური და სხვა უმაღლესი ხარისხის ღვინოები მსუბუქ ბურგუნდიულს.

მაზრაში სწურავდნენ 150 ათასამდე ვედრო ღვინოს, ხდიდნენ 30 ათას ვედრო არაყს. სასმელის მთელი ეს რაოდენობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოიხმარებოდა. როცა პურის და ყურძნის კარგი მოსავალი იყო, თანამედროვის თქმით, დაბალ მოსახლეობაში ქორწილები ხშირდებოდა[1].

60-იან წლებში 1 ვედრო ღვინო, გაძვირების მიუხედავად, ღირდა 1,5 მან., არაყი – 1 ვედრო 3 მან.[2] როგორც ჩანს, ღვინის ფასი მაინც შედარებით სტაბილური იყო. იგი თითქმის ასევე ფასობდა 80-იან წლებში: 1 ვედრო ღვინო ღირდა 1 მან., 1 თუნგი (5 ბოთლი) – 60 კაპ., 1 კოკა (12 თუნგი) – 7 მან., ფუთი ყურძენი – 1 მან. 40 კაპ.[3]

ადგილობრივი მდინარეები მდიდარი იყო სხვადასხვა სახეობის თევზით: ლოქო, ორაგული, ჭანარი, გოჭა, ფიჩხული, მურწა და სხვ.[4].

თევზს, ჩვეულებრივ, უბრალო საშუალებებით იჭერდნენ. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ყოფილა ოჩხი და ფაცერი. ოჩხი კეთდებოდა შემდეგნაირად: შემოდგომაზე მდინარეში მოაწყობდნენ ორმოს, რომელსაც გარშემო ქვებს შემოუწყობდნენ და წყლის დინების საწინააღმდეგო მხარეს შესასვლელს დაუტოვებდნენ. ზამთრის სიცივეების დროს თევზი ოჩხში რჩებოდა. გაზაფხულზე შე-

---

[1] *Там же, с. 881-882.*

[2] *Там же, с. 882.*

[3] *Джавахов А., Гори и его окрестности, с. 85.*

[4] *Там же.*

სასვლელთან დგამდნენ დიდ კალათს, რომელშიც ვარდებოდა თევზი. ლიახვზე, და საერთოდ ჩქარ მდინარეებზე, იშვიათად მტკვარზე, თევზის ჭერა ხდებოდა განსაკუთრებულად მოწნული კალათით – ფაცერით[1].

თევზჭერას განსაკუთრებით არავინ მისდევდა. მხოლოდ უსაქმური გორელები მტკვარზე და ლიახვზე დადიოდნენ და იჭერდნენ ორაგულს, წვერას, კობრს, გელაქნურს, ლოქოს და სხვა თევზებს. კალმახი ძალიან დიდი, ზოგჯერ ნახევარარშინამდე იზრდებოდა. თევზი გორის მახლობელ მდინარეებში ძალიან გემრიელი და უვნებელი იყო. თევზს მხოლოდ თავიანთი საჭიროებისათვის იჭერდნენ. თევზჭერას სამრეწველო მნიშვნელობა თითქმის არ ჰქონდა[2].

გორის მაზრაში მარილის სარეწები არ იყო, ამიტომ ქალაქში გასაყიდი მარილი თბილისიდან მოჰქონდათ[3]

1837 წელს გორში კერძო პირებს ეკუთვნოდათ 49 ბაღი და 35 ბოსტანი. ქალაქის მიწა-წყლის 730 დესეტინიდან 40 ბაღ-ვენახებს, 30 კი საძოვრებს ეკავა[4].

50-იანი წლების დასაწყისში ქალაქის ფართობი 1125 დესეტინამდე გაიზარდა. აქედან ბაღ-ბოსტნებს 41, სახნავს 574, ხოლო საძოვრებს 640 დესეტინა ეკავა[5]. როგორც ჩანს, ქალაქს ეკუთვნოდა მიმდებარე ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახით და ქალაქის მოსახლეობის და მისი პირუტყვის გამოკვების მნიშვნელოვანი წყარო იყო. მაგრამ მეზობელი ფეოდალები ცდილობდნენ ამ მიწების დაუფლებას და გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ. 1864 წლის 2 მაისს გორელებმა მეფისნაცვალთან იჩივლეს. ისინი სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად სავარგულების დაბრუნებასაც ითხოვდნენ. საჩივარში კერძოდ ნათქვამი იყო: მტკვრის ორივე მხარეს და, საერთოდ, გორის მიდამოებში არსებული სავარგულები უძველესი დროიდან, ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სიგელებით და სხვ. დოკუმენტების თანახმად, გორელებს ეკუთვნით. აღნიშნული საბუთები გორელებმა 1823 წელს მიწისმზომელ დემენტრიკოვს წარუდგინეს, რომელიც უმაღლესი ხელისუფლების მიერ იყო გამოგზავნილი ქალაქის და მისი მიდამოების გეგმის გადასაღებად. დემენტრიკოვმა მართლაც შეადგინა გეგმები, რომელზეც თანხმობის ნიშნად ხელი მოაწერა ყველა მეზობელმა

---

[1] *Там же, с. 83-84.*

[2] *Документы, II , с. 882.*

[3] *Тамже.*

[4] *სეა, ფ. 152, საქმე 5679.*

[5] *Кавказский календарь, 1853, с. 277.*

მიწათმფლობელმა. გეგმები წარუდგინეს მმართებელ სენატს პეტერბურგში, სადაც განიხილეს და დაამტკიცეს და 1828 წელს უკან დააბრუნეს. ამგვარად, გეგმებზე ასახული სავარგულები ქალაქის საკუთრებად გამოცხადდა. გეგმები ინახებოდა გორის სამაზრო სასამართლოს საქმეებში და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შეიძლებოდა მათი ნახვა[1]. მაგრამ ზოგიერთი მეზობელი მემამულის ხრიკებით და ადგილობრივი მოხელეების დაბნეულობის გამო, როგორც მომჩივანნი წერდნენ, გორელებმა ვერ შეძლეს რეალურად დაუფლებოდნენ ყველა სავარგულს, რომლითაც უკანონოდ სარგებლობდნენ მეზობლები. ბოლოს შეწუხებული გორელები აცხადებდნენ, რომ საქალაქო მიწების ასეთი დატაცება უაღრესად ავიწროებდა ქალაქის სამეურნეო საქმიანობას და არსებობის საშუალებას უსპობდა[2].

ზემოთ უკვე ითქვა, რომ გორის მიწა-წყალი 1837-1850 წლებში საგრძნობლად გაფართოვდა და 1125 დესეტინას მიაღწია. ვფიქრობ, გორის მიწების დატაცება ინტენსიური გახდა ბატონყმობის გაუქმების წინა წლებში, ე.ი. იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც რუსეთში ბატონყმობის გაუქმება უკვე რეალური ფაქტი იყო. მანამდე, როგორც საჩივრიდან ჩანს, ზოგიერთი მემამულე ძალადობდა, მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისიდან გორის მიწების დატაცებას საგანგაშო სახე უნდა მიეღო.

გორელებს უხსოვარი დროიდან მამულები ჰქონდათ ქალაქის მახლობელ და შორეულ სოფლებში და მოწეული მოსავლის ნაწილს გორში ასაღებდნენ.

მოქალაქეთა ნაწილი, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ვაჭრობას და სოფლის მეურნეობას მისდევდა. 1886 წლის 17 იანვარს გაზეთი „ივერია“ წერდა: *„მთელი გორი წარმოადგენს ერთ დიდ დუქანს: დიდი და პატარა წვრილმან ვაჭრობას მისცემიან, დღესა და ღამეს ატარებენ იმ ფიქრში, თუ როგორ კარგად მოაგვარონ ვაჭრობის საქმე, იაფად იგდონ ხელთ ყოველივე სოფლებიდამ შემოტანილი და მამა-სისხლად ჰყიდიან ქალაქის მცხოვრებლებზედ. ველაფერს, რაც კი სოფლებიდამ შემოდის, ნემსის დანაფასევად ჩაიგდებენ ხოლმე ხელში აქაური ვაჭრები: ხორაგეულს, სანოვაგეულობას, საკლავს, მიწის მოსავალს და ბევრ*

[1] გაუგებარია, რას ეყრდნობოდა დ. გვრიტიშვილი, როცა წერდა, რომ გორის გეგმა კი შეადგინეს 1824 წელს, მაგრამ 1839 წელს ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იყო. *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 23.*

[2] *Документы, II, с. 452.*

*სხვათა. მაგალითად ჰყიდულობენ კარტოფილს 15-20 კ, კომბოსტოს – 15 კ., ლობიოს – 60 კ., სიმინდს – 30-35 კ., ფუთ ხორბალს – 55-60 კ., ქერს – 40-45 კ., ახლა საკლავი ავიღოთ: თოხლი ცხვარი წყვილი – 2მ. 40 კ., ძროხა – 10 მ., ძლიერ ბევრი – 13-14 მ., ქათამს ინდაურს და ორფეხ ცხოველებს ნუ იანგარიშებთ; წრეულს ღორი ხომ ოხრად არის. ყველა ეს უფრო ფასში ეხლა იყიდება.*

*როცა ფოსტის ფულობა მოატანს ხოლმე, მაშინ, რადგანაც მცხოვრებლები ერთობ შეჭირვებაში არიან და კარს იასაული უკაკუნებს, ამ მოყვანილს ფასებზე კიდევ ნაკლებად ჰყიდიან... ასე იაფად რომ ჰყიდულობენ ყოველფერს სოფლიდამ შემოტანილს, თვით ჩარჩი ვაჭრები როგორ ჰყიდიან მცხოვრებლებზე? ერთი სამად და ოთხად... ბაზარი ძვირად თუ როდისმე ისინჯება სამმართველოსაგან და ექიმისაგან. სასწვრები, საწონები, საწყაოები, ყველას ნაკლები თურმე აქვთ ბაზარში“*[1].

ამ თითქმის დაუფარავ მძარცველობას ემატებოდა ვაჭრების მიერ გლეხობის სავახშო ქსელში გაბმა. ს. მაჩაბელი აღწერს, თუ როგორ მტკიცე კავშირი ჰქონდათ გორის მაზრაში შემსყიდველებს, რომელთაც მთელი მაზრის გლეხობა თავიანთ ვალებში ჰყავდათ და სწორედ ამის წყალობით ამავე გლეხებისაგან ჩალის ფასად ღებულობდნენ მათ მიერ მოწეულ პროდუქტებს[2]. ხშირად გლეხი აგირავებდა და საბოლოოდ ჰკარგავდა კიდეც, რადგან გირავნობის წიგნში, როგორც ს. მაჩაბელი გადმოგვცემს, ვალს აღნიშნავდნენ ნამდვილზე არაიშვიათად ოთხ-ხუთჯერ მეტი რაოდენობით. *„40 მან. სესხის დროს, - წერს ს. მაჩაბელი, - დაგირავების ბარათში ვალი აღინიშნება 200 მან. ან კიდევ მეტი რაოდენობით“*[3].

თუ როგორ საშინელ სახეს იღებდა მევახშეობა, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც მართალია, გორში არ მომხდარა, მაგრამ საყოველთაო მახასიათებელი უნდა ყოფილიყო. 1898 წელს „ივერია“ წერდა: ახალქალაქის მაზრაში *„12 წლის წინ ერთმა გლეხმა... ისესხა ერთი მევახშისაგან 80 მანეთი. დღემდე მას გადაუხადა ამ ნასესხები კაპიტალის სარგებლის სახით 10 ხარის ღირებულება – 360 მანეთი და 2 კამეჩის ღირებულება – 234 მანეთი და მაინც მართებს მევახშის კიდევ 234 მანეთი“*[4].

---

1 *„ივერია“, 1886, №16.*

2 *Мачабели С. И., Экономический быт государственных крестъян Горийского уезда, т. 6, ч. 1, с. 218.*

3 *Там же, т. V , ч. I , с. 173.*

4 *„ივერია“, 1898, №261.*

## 1. გლეხთა გამოსვლები

(XIX ს. დასაწყისიდან 60-იან წლებამდე)

რუსეთის მიერ დაპყრობამ სერიოზული ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია საქართველოში, განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა ძირითადი მწარმოებლების, გლეხების მდგომარეობა.

გორის მაზრის გლეხები ოთხ ძირითად თანრიგად იყოფოდნენ: სახელმწიფო, საეკლესიო, ხიზნები და საბატონო ყმები.

სახელმწიფო გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. ისინი, მართალია ხაზინას დიდძალ გადასახადს უხდიდნენ, მაგრამ მათი ბეგარა-გადასახადები განსაზღვრული და მოწესრიგებული იყო. ისინი იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მათი ყიდვა-გაყიდვა ან გაჩუქება არ შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ საბატონო გლეხები ყოველთვის მიისწრაფოდნენ სახაზინო ყმების თანრიგში გასულიყვნენ.

გორის მაზრაში ხიზნები, სხვა მაზრებთან შედარებით, მრავლად იყვნენ. ხიზნად ითვლებოდა მებატონისაგან გაქცეული ყმა გლეხი, რომელიც თავს აფარებდა სხვა მემამულეს. ხიზნისა და მემამულის ურთიერთობის საფუძველი მიწა იყო და მიწით სარგებლობისათვის გადასახადი უნდა გადაეხადა იმ მებატონისათვის, ვისაც იგი შეეხიზნებოდა. ხიზანი ზოგჯერ გადასახადს უხდიდა თავის ადრინდელ ბატონსაც. მემამულეს არ შეეძლო ხიზნის ყიდვა-გაყიდვა ან გაჩუქება. ისინი ვალდებულნი იყვნენ მებატონისათვის გადაეხადათ: *„დღიურზედ ორი კოდი პური ან ღალა, მოსავლის მეექვსედი; ვენახიდან კულუხი მეექვსედი მოსავლისა, აგრეთვე ხეხილიდამაც კომლზედ ორმოცი სამუშაო დღე წელიწადში და სამი ძღვენი. დღიურზე ორი კოდი და ორი ჩანახი; გაკეთებულს ყანაზედ მოსავლის ნახევარი წელიწადში 80 მუშა კომლზე, 3 ძღვენი და 3 ურემი შეშა“*[1].

ხიზნები იურიდიულად პირადად თავისუფლებად ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტიურად საბატონო ყმების მდგომარეობაში იყვნენ. ხიზნების ბეგარა-ვალდებულებანი წერილობითი აქტებით იყო განსაზღვრული და მხოლოდ ტრადიცია-ჩვეულებებს ემყარებოდა.

---

1 *Гугушвили П., Сельскоехозяйство и аграрное отношение в Грузии в 1801-1920 гг. с. 82.*

გლეხებს შორის განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში საბატონო ყმები იყვნენ.

1838 წლის მონაცემებით გორის მაზრაში იყო 4462 კომლი საბატონო ყმა (18695 მამაკაცი), 2209 სახაზინო (4705 მამაკაცი) და 1605 საეკლესიო (4825 მამაკაცი)[1].

გორის მაზრის ყმები სამი სახის გადასახადს იხდიდნენ: შრომით, პროდუქტით და ფულადი რენტით.

შრომითი ბეგარის სახით ყმა ვალდებული იყო მებატონის კარმიდამოზე შეესრულებინა სხვადასხვა სახის სამუშაო: მოეხნა, დაეთესა, მოეთოხნა, მოემკა, შეშა დაემზადებინა. თუ მებატონე შორს მიემგზავრებოდა, მისთვის მიეცა ურემი, ხარი და ცხენი 1 თვით. გაეკეთებინა ყველაფერი, რასაც მებატონის მეურნეობა მოითხოვდა.

საბატონო ბეგარის გარდა ყმა ვალდებული იყო ნატურით გადაეხადა ღალა. გორის მაზრაში ღალის რაოდენობა განისაზღვრებოდა მიწის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით: 1 დღიურ (0,5ჰა) ურწყავ მიწაზე გლეხი იხდიდა კოდ მარცვლეულს, ხოლო სარწყავ მიწაზე 2 კოდს.

ვენახზე არსებობდა „კულუხი“, რომელიც შეადგენდა ღვინის მოსავლის ერთ მეშვიდედიდან ერთ მეხუთედამდე.

ნატურალურ გადასახადებს ეკუთვნოდა აგრეთვე ყმის მიერ ბატონისათვის სხვადასხვა სახის პროდუქტის მირთმევა სააღდგომოდ, საშობაოდ და შინამოსამსახურის მიცემა.

ყმა ვალდებული იყო ქორწილის ან მიცვალებულის გასვენების დროს ბატონისათვის გადაეხადა 3,5-25 მანეთამდე. იხდიდა აგრეთვე „საჩექმოს“ ქალიშვილის გათხოვებისათვის, რომლის რაოდენობა დამოკიდებული იყო სასიძოს ქონებრივ შესაძლებლობაზე და შეადგენდა 20-დან 100 მანეთამდე. იყო „საქვრივო“ გადასახადი, რომელიც გაიღებოდა ქვრივი ქალის გათხოვების დროს და შეადგენდა 15 მანეთს. არსებობდა „გასამყრელო“ (10-დან 50 მანეთამდე), რომელსაც იხდიდნენ ყმები გაყოფის დროს.

აღმოსავლეთ საქართველოს გლეხები, მათ შორის გორის მაზრისაც, მებატონეთა სასარგებლოდ 38-ზე მეტ სხვადასხვა გადასახადს იხდიდნენ[2].

---

*1 უთურაშვილი ი., გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში, თბ., 1957, გვ. 14.*

*2 ახობაძე მ., საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857-1864 წ.წ.) // „მოამბე“, 1, 1962, გვ. 152-156*

ამგვარად, მოსახლეობის ძირითადი მასის მდგომარეობა მძიმე იყო და აღნიშნული პერიოდი საშიში სოციალური მოძრაობებით ხასიათდება. ზოგიერთი მათგანი მრისხანე აჯანყებაშიც კი გადაიზარდა (მაგ. აჯანყება გორის მაზრის ოსებით დასახლებულ მთიან ზოლში 1802-1804 წლებში, მთიულეთის აჯანყება 1804 წელს, აჯანყება კახეთში და სხვ.).

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გამოსვლები მოხდა გორის მაზრაში 1807 წლის მარტში. გორის მაზრის სოფლების-სამთავისის, ჭალის, ახალშენის, საკორინთლოს და სხვა ადგილების გლეხები სამთავისის მონასტერში შეიკრიბნენ და ფიცი დადეს მთავრობას არ დამორჩილებოდნენ. მაზრის ხელისუფლების აზრით, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა მთავრობისათვის გაგზავნილ მოხსენებაში, გლეხების მშვიდობიანი საშუალებებით დამშვიდება შეუძლებელი იყო და საჭიროდ მიაჩნდათ შეიარაღებული ძალის გამოყენება. მთავარსარდალმა გენერალმა ი.ვ. გუდოვიჩმა განკარგულება გასცა სამხედრო ძალით ემოქმედათ, შფოთის მოთავენი შეეპყროთ და ბორკილგაყრილნი თბილისში მიეყავანათ[1]. არ ვიცით, როგორ დამთავრდა სამთავისის შეფიცულთა გამოსვლა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისევე, როგორც სხვა მაზრებში, მოთავეებს აქაც სასტიკად გაუსწორდნენ.

მთელ საქართველოში უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1811-1812 წლებში ჯარისკაცების მიერ ფრონტიდან შავი ჭირის შემოტანის (აღმოსავლეთ საქართველოში დაიღუპა 4255 ადამიანი, დასავლეთ საქართველოში კი, მხოლოდ იმერეთში – 32 ათასი), კოკისპირული წვიმებით გამოწვეული მოუსავლიანობის და გლეხებისაგან პურის იძულებით ამოღების გამო, საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოხდა სახალხო გამოსვლები. *„აღმაშფოთებელი წერილები“* ვრცელდებოდა გორის მაზრის გლეხებში. ისინი, როგორც გორის სამხედრო ოლქის უფროსი, გენერალი სტალი იუწყებოდა, არ მალავდნენ სიხარულს კახეთში მომხდარი აჯანყების გამო[2].

მებატონესა და ყმებს შორის ურთიერთობის დაძაბვის პირობას ქმნიდა, აგრეთვე, ჯერ კიდევ პრაქტიკაში არსებული ყმების გასხვისების სხვადასხვა ფორმა. სასაქონლო ფულად ურთიერთობის თანდათანობით გაძლიერების გამო მებატონეები ფულის ქრონიკულ უკმარისობას განიცდიდნენ. ხშირი იყო ვალის აღება,

---

[1] Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссиею, т. III, Тиф., 1866, *с. 106.*

[2] *Тамже, с. 74.*

რომლის დაფარვის ყველაზე გარანტირებული საშუალება ყმების ცალ-ცალკე ან მთელი ოჯახებით გაყიდვა იყო. მეფის ხელისუფლებამ მხოლოდ ის გააკეთა, და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მებატონეს თავისი ყმების საზღვარგარეთ გაყიდვა აუკრძალა. არსებობდა ერთი შეზღუდვაც: ყმის ყიდვა მხოლოდ თავადაზნაურებს შეეძლოთ.

ხშირად პრესაში ქვეყნდებოდა განცხადებები ყმების გაყიდვის შესახებ. 1819 წელს *„საქართველოს გაზეთი“* აცხადებდა: *„საჯარო ვაჭრობა. გორის მაზრის სოფელ დავლის მცხოვრები, ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა გლეხი დათუა კვანჭანაძე გაიყიდება თავისი ცოლით, ვაჟიშვილით, ქალიშვლებითა და ძმისწულით – ნონიათი და ვენახით 123 მანეთ ვალში, რომელი თანხაც მაჩაბელოვმა უნდა გადაუხადოს აზნაურ ელისაბედ გაბაშვილს, გაყიდვის ვადად დანიშნულია 20 ნოემბერი და 6 დეკემბერი“*[4].

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასულს სოფიოს ჰქონდა შ. თუმანიშვილის ვალი-3600 ვერცხლის მანეთი, ამ ვალის დასაფარავად გორის მაზრაში იყიდებოდა სოფიო გიორგის ასულის კუთვნილი 54 ყმა-გლეხი მათი ქონებით – 7 ვენახი, 33 დესეტინა სახნავი მიწა, 2 წისქვილი და 15 წყვილი მსხვილფეხა პირუტყვი. ყველაფერი ეს შეფასებული იყო 2100 ვერცხლის მანეთად[2].

ს. მგალობლიშვილმა 50-იანი წლების ერთი ასეთი შემთხვევა აღწერა: „მახსოვს პირველ კლასში ვიყავი, გორის დიდ ქუჩაზე, ერთი თავადის სახლთან მოურავმა მოიყვანა დაგლეჯილ-დაბრანძული ტანისამოსით ცოლ-ქმარი, მკერდს ამოსდგომოდათ ნახევრად შიშველი, ტიტველა, დამსკდარი ფეხებით, უპერანგის ამხანაგოდ ბავშვი, ვაჟიშვილი. ბატონს ეს ოჯახი მიეყიდნა ვიღაც იმერლისათვის ორ მწევარზე. ახალმა პატრონმა პირუტყვივითთ გაირეკა წინ საცოდავები და გაუდგა კორტოხის გზას. როცა გაყიდული ყმის ოჯახი იცრემლებოდა და მაინც ენანებოდა თავისი საგაზდილო, ბატონი იცინოდა და მწევრებს ეღლაბუცებოდა“[3].

---

[1] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II, თბ., 1958, გვ. 107.*

[2] *იქვე, გვ. 108*

[3] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 63*

უზომო გადასახადებისა და შევიწროვების გამო იყო, რომ 1833 წელს გორის მაზრის გლეხებმა მებატონეებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს და შეიარაღებულებმა თავი ტყეებს შეაფარეს[1].

20-30-იან წლებში განსაკუთრებით ძლიერი იყო გორის მაზრის ოსების ბრძოლა ერისთავებისა და მაჩაბლების წინააღმდეგ, რაც ხშირად სისხლისმღვრელ კონფლიქტში გადაიზრდებოდა.

1830-1831 წლებში ამიერკავკასიის მხარის რევიზიის დროს სენატორი გრაფი კუტაისოვი (წარმოშობით ქართველი, გვარად კიკიანი, რომლის წინაპრები დიდი ხნის წინათ გადასახლდნენ რუსეთში), როდესაც გორს ეწვია, თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლმა შესჩივლა, რომ მემამულეები მატერიალურ სიძნელეებს განიცდიან გლეხების მიერ თავისუფლების ძიების გამო. მემამულენი უკმაყოფილონი იყვნენ იმითიც, რომ იმ ეკლესიებს, რომლებიც მათს მამულებში არის და შემოსავალს აძლევენ მემამულეს, საეკლესიო უწყება ეცილება. უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ გვიანდებოდა ხელისუფლების მიერ თავადაზნაურების თავიანთ წოდებებში დამტკიცება.

გორის მაზრის თავადაზნაურებმა გრაფ კუტაისოვს სთხოვეს ეშუამდგომლა საქართველოს მთავარსარდალ გენერალ ვ. როზენის წინაშე და მისთვის გადაეცა შემდეგი მოთხოვნები: *„ა) იმ გლეხებს, რომლებიც დიდი ხანი იყვნენ მემამულეთა მფლობელობაში, შეუქმნან დაბრკოლება თავისუფლების ძიების საქმეში; ბ) ეკლესიები, რომლებიც მათ მამულებში არიან და რომლებსაც მათ ართმევენ, დატოვონ წინანდებურად და ნება მისცენ ისარგებლონ იმ უფლებებით, რომლებითაც სარგებლობდნენ მათგან წინათ; გ) თავადებსა და აზნაურებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ ჯეროვანი წესით გეროლდიისაგან ღირსების უფლება ამის დამტკიცებისთანავე ნება დაერთოთ იწოდებოდნენ ისევე, როგორც წინათ“*[2].

1832 წლის შეთქმულების ლიდერები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ გორის მაზრის მოსახლეობის ფართო ფენების, როგორც თავადაზნაურების ისე გლეხების, შეიარაღებულ აჯანყებაზე[3].

სერიოზული გამოსვლები მოხდა გორის მაზრის ოსებით დასახლებულ ადგილებში 1837-1841 წლებში.

---

[1] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II, თბ., 1958, გვ. 160.*

[2] *იქვე, გვ. 169.*

[3] *იქვე, გვ. 230.*

1842 წლის 27 სექტემბრის პატაკში გენერალი კურასოვსკი აღნიშნავდა, რომ გორის მაზრაში მოქმედებდა გლეხთა ცალკეული ჯგუფები, რომელთა შესაპყრობად გაიგზავნა სამხედრო რაზმები[1].

ისევე, როგორც სხვაგან, გორის მაზრაშიც ადგილი ჰქონდა მემამულეთა და მათი ყმების დაპირისპირების შემთხვევებს. 1843 წლის 11 ივლისს წრომში მემამულე ქალმა ე. ციციშვილმა სცემა გლეხ ქალს ა. მურჯიკნელს და მისივე ბრძანებით ჩამოართვეს და დაუკლეს ხარი. მემამულემ ეს არ იკმარა და მეორე დღეს, როდესაც იმავე გლეხის ქალს ზაქი მიჰყავდა საძოვარზე, ე. ციციშვილი წამოეწია და ცემით მოკლა[2].

1843 წელს გორის მაზრის სოფ. ჭალაში თავადიშვილი ბ. ამილახვარი დასჭრა მისივე გლეხმა გ. ბაზალაძემ. 1844 წელს სოფ. კორჩოხაში გლეხი გ. კაცოშვილი მოსაკლავად თავს დაესხა მემამულე ქალს ერისთავს[3]. 1847 წელს გლეხებმა მოკლეს მემამულე ა. სუმბათაშვილი, რის გამო 33 გლეხი დააპატიმრეს.

კნეინა ჯამბაკურ-ორბელიანი ჩიოდა, რომ ქსნის უბნის სოფლების-აშატურის, არდისის და წყლების გლეხების 46 კომლი უარს აცხადებდა გაწერილი ფულის გადახდაზე და ბატონს აღარ ემორჩილებოდნენ, ის ურჩი გლეხების დასამორჩილებლად საეკზეკუციოდ კაზაკთა ერთი ასეულის ჩაყენებას ითხოვდა[4].

იმავე უბანში გლეხებმა უარი თქვეს თავად ერისთავისათვის ღალის გადახდაზე. მათ ასევე უარი თქვეს უბნის უფროსის ბრძანების შესრულებაზე და მასთან არ გამოცხადდნენ[5].

1845 წელს ხიდისთავის უბნის გლეხებს გიორგი, პეტრე და სიმონ დურგლიშვილებს, რომლებმაც მემამულე თარხნიშვილების ყმობიდან განთავისუფლება განიზრახეს, ეს უკანასკნელნი თავს დაესხნენ და წაართვეს 1 ძროხა, 6 ხარი, 2 ღორი, 2 კამეჩი, 12 ქათამი, 19 კოდი ხორბალი, 5 კოდი ქერი, 1 თოფი და 12 მანეთი[6].

ბატონყმობის გაუქმების წინა პერიოდი აღსავსეა გორის მაზრაში გლეხთა განუწყვეტელი მღელვარების, მებატონეებთან შეჯახების და მათი კარმიდამოს გადაწვა-აოხრების ფაქტებით

---

[1] *სეა, ფ. 16, საქმე 7097, ფურც. 24.*

[2] *იქვე, საქმე 8504, ფურც. 4-7.*

[3] *იქვე, საქმე 1064.*

[4] *იქვე, ფ. 48, საქმე 1067, ფურც. 227-228.*

[5] *იქვე, ფ. 9, საქმე 462, ფურც. 5-11.*

[6] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 165-166.*

გორის მაზრის უძლიერესი მებატონეები ამილახვრები იყვნენ. ბატონყმობის გაუქმების ხმების გავრცელების შემდეგ მათ ყმათა ექსპლოატაცია გააძლიერეს. 1857 წელს სოფ. კვარხითის გლეხები თავს დაესხნენ რევაზ ამილახვრის სახლ-კარს და თვითონ იგიც მოკლეს. შეთქმულებაში მონაწილეობდა რამდენიმე ყმა გლეხი კიკოლა იჩქითის მეთაურობით. მკვლელობაში მონაწილეობა მიუღიათ მოწვეულ ოსებს და ამილახვრის შინამოსამსახურეებსაც. დამნაშავენი შეიპყრეს და მკაცრად დასაჯეს.

გლეხები ეშმაკურაშვილები თავს დაესხნენ დიმიტრი ამილახვრის სახლ-კარს, ქონება გაიტაცეს და პურის ძნებს ცეცხლი წაუკიდეს.

1857 წელს ამილახვრებმა სოფ. ჭალის გლეხებს 400 მანეთი შეაწერეს, 1858 წლისათვის კი – 810 მანეთი. ეს გახდა მღელვარების მიზეზი. გლეხებმა გადასახადის გადახდაზე უარი განაცხადეს. ამილახვრებმა გორიდან ჭალაში თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს და გლეხებთან მოლაპარაკება სცადეს. მაგრამ გლეხები დათმობაზე არ მიდიოდნენ. ხელისუფლებამ მღელვარების მოთავენი დააპატიმრა, პირუტყვი წაართვეს და საჯაროდ გაუყიდეს[1].

1858 წელს ამირეჯიბის წინააღმდეგ გამოვიდნენ აბისელები. გლეხებმა უარი განაცხადეს ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე. მათ გორის მაზრის უფროსთან 11 კაციანი დელეგაცია გაგზავნეს და მდგომარეობის შემსუბუქება მოითხოვეს. პასუხად აბისში ეკზეკუცია ჩააყენეს, მოთავეები დააპატიმრეს და გორში გაგზავნეს. გამოცხადდა გაქცეულების ძებნა[2].

კიდევ უფრო ძლიერი გამოსვლა მოხდა მებატონე თარხნიშვილების წინააღმდეგ სოფ. ნოსტეში. გლეხებმა უარი თქვეს გადასახადების გადახდაზე, მათთან გაგზავნილ იასაულთან შეხვედრა არ ისურვეს და მოკვლით დაემუქრნენ[3].

თუ რამდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა მებატონეებზე თავდასხმებს გორის მაზრაში, ამას გვიჩვენებს ლუარსაბ თარხნიშვილის წერილობითი თხოვნა მაზრის უფროსისადმი. აქედან ვიგებთ, რომ 1858 წელს ლუარსაბს თავს დაესხა მისივე ყმა სოლომონ გაბოძე. ლუარსაბ თარხნიშვილი წერდა: *„მე დიდად გამაკვირვა იმისმა ამხანაგურმა დაძახებამ. არა თუ მითხრა როგორც ყმამ მებატონეს, ანუ გლეხმა კეთილშობილს „თქვენ“, არამედ ისე, როგ-*

---

[1] *ახობაძე მ., საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857-1864 წ.წ.), გვ. 161.*

[2] *იქვე, გვ. 161-162.*

[3] *იქვე.*

*ორც ამხანაგსა. ამაზედ წინააღმდეგათ მოლაპარაკეს და საშიშის სახით და ბოროტის აზრით მომზადებული ეძებდა ჩემს გაჯავრებას, რომ მაშინ იმას თავისი ბოროტი აზრი აღესრულებინა, მაგრამ მე მაშინვე ჩემს სახლს მივაშურე, რადგან მე ვიყავი ჩაუცმელი, ის იყო ხანჯლით. მეორედ მომაძახა შენ ისიც შეგრჩესო ერთხელ როზგით მცემეო და გორს დამაჭერინეო. მართალია ეს იყო რამოდენიმე წლის წინათ, რომელიც ჯერაც არ ქონია დავიწყებული... მე მაინც ყური არ უგდე, ან რა შემეძლო იარაღის კაცთან. მაშინ წარმოვიდგინე თვალწინ ჩემის მამის მოსაკლავად სროლა თავის კაცებისაგან, რომელნიც დღესაც დაჭერილები არიან და ჩემის ბიძაშვილის გიორგის ხანჯლით დაჩეხვა თავის კაცისაგან, რომელიც იმყოფება დღესაც გაქცეული. მესამე შემთხვევა ჩემი თავი დავინახე და მე რომ გამოვეცალე მესამედ გამობრუნებულმა დამიძახა იასაულს მოვკლავო და ან ხანჯალი რადად მინდაო"*[1].

სერიოზული გამოსვლები ხდებოდა ქართლის მთიანეთის ოსების სოფლებში მაჩაბლების, ერისთავების და სხვათა წინააღმდეგ[2].

1859 წელს გლეხთა მღელვარებები მოხდა შემდეგ სოფლებში: ქლივანაში, საბუაში, ელტურაში, დისილინაში, დეილულში, სხლითში, ყინწვისში, წრომში, ვანურში, საკანაფოში, ქარელში, ხვედურეთში, დიცში, კეხვისში, სამცხისში, ოქროსოფელში, ქურთაში, აჩაბეთში, დგვრისში, ცხინვალში, ტბეთში, წუნურში, არკნეთში, ყორნისში, წარბისში და სხვაგან.

1959 წელს გლეხებმა მოკლეს მებატონე ალექსანდრე ციცაგი, სოფ. სოსიეთში გლეხები თავს დაესხნენ აზნაურ ტატო შატბერაშვილს და სახლ-კარი გადაუწვეს[3].

1860 წელს სოფ. თამარაშენის გლეხებმა უარი განაცხადეს მიხეილ ელიზბარის ძე მაჩაბლისადმი მორჩილებაზე. სოფელში ეკზეკუცია ჩააყენეს, მაგრამ გლეხების წინააღმდეგობა ვერ გატეხეს[4].

სოფ. ძარწემის, ხელთისის, დგვრისის, ერგნეთისა და დიცის გლეხებმა მებატონე მაჩაბლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, თავს დაესხნენ და შინამოსამსახურეების განთავისუფლება მოითხოვეს. ამის შემდეგ შეიჭრნენ მებატონეების სახლში,

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 48, საქმე 828, ფურც. 1.*

[2] ვრცლად, იხ. *ახობაძე მ., საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857-1864 წ.წ.), გვ. 163-164.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 48, საქმე 828, ფურც .1.*

[4] *ახობაძე მ., საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857-1864 წ.წ.)* გვ. 167.

სასიკვდილოდ დაჭრეს ივანე მაჩაბელი და რქოსანი პირუტყვი გაიტაცეს.

1862 წელს სოფ. თეზის გლეხებმა უარი განაცხადეს ერისთავისათვის ფულადი გადასახადის მიცემაზე. თეზში კაზაკთა რაზმი გაიგზავნა. ურჩი გლეხების ნაწილი ტყეში გაიხიზნა, ნაწილმა თბილისში შეაფარა თავი[1].

1863 წელს ნინა ჯამბაკურ-ორბელიანის ყმები გამოვიდნენ. იმავე წელს ერისთავების წინააღმდეგ გამოვიდნენ ბოშურის, ბობნევის და დრეს გლეხები. ისინი ფულადი გადასახადის გადიდების გაუქმებას მოითხოვდნენ. 1862 წელს ერისთავებმა დასახელებული სოფლების გლეხებს შეაწერეს 2 ათასი მანეთი და 45 კაპიკი. გლეხებმა უკანასკნელი ქონება გაყიდეს და გადასახადი დაფარეს. ერისთავებმა 1863 წელს გლეხებს კვლავ შეაწერეს 1400 მანეთი, მაგრამ მათ გადახდაზე უარი განაცხადეს. სოფლებში ეკზეკუცია ჩააყენეს და გლეხები ასე დაიმორჩილეს[2].

ფულადი გადასახადის გადიდება გახდა საბაბი ამილახვრების ყმების მღელვარებისა 1863 წელს. ამილახვრებმა გორის მაზრის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ თავიანთ ყმებს შეაწერეს 2423 მანეთი. ბერშუეთის გლეხებმა უარი თქვეს გადასახადის გადახდაზე. ეს თანხა იმდენად დიდი იყო, რომ მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა და მაზრის უფროსმა ამილახვრებს მისი შემცირება მოსთხოვეს, მაგრამ მდგომარეობა იმდენად დაძაბული იყო, რომ საქმის მოგვარება მშვიდობიანად ვეღარ მოხერხდა. ბერშუეთში ეკზეკუცია ჩააყენეს. გლეხები ტყეში გაიხიზნენ.

მღელვარება მოხდა სოფ. ხოვლეშიც მებატონე ვეზირიშვილის წინააღმდეგ, რაც კვლავ ეკზეკუციით და გლეხების საშინელი აკლებით დასრულდა[3].

ამრიგად, ბატონყმობის გაუქმების წინ სერიოზული გამოსვლები ხდებოდა გორის მაზრაში, რამაც გავლენა მოახდინა თვით რეფორმის მომზადებისა და განხორციელების პროცესზე.

ბატონყმობა სერიოზულად აფერხებდა ქვეყნის განვითარებას. ამას ხაზგასმით აღნიშნავდნენ მთავრობის მოხელეებიც კი, რომლებსაც მოსალოდნელი სოციალური აფეთქება აშინებდათ. სიმპტომები ასეთი აფეთქებისა რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნიაში

---

[1] *იქვე.*

[2] *იქვე, გვ. 167-168.*

[3] *იქვე, გვ. 168-170.*

ჩანდა. ხოლო რა ხდებოდა საქართველოში და, კერძოდ, გორის მაზრაში, ზოგადად უკვე მიმოვიხილეთ.

რეფორმისათვის მზადება 1857 წლიდან დაიწყო. 1862 წელს მოწვეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობა, რომელმაც *„სახელმძღვანელო აზრები“* შეიმუშავა. გლეხების გათავისუფლების რამდენიმე პროექტი შეიქმნა (დიმიტრი ყიფიანისა – ფეოდალთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით. მისი მოსაზრებები საფუძვლად დაედო *„უმრავლესობის პროექტს“,* რომელიც მოითხოვდა გლეხების უმიწოდ გათავისუფლებას; *„უმცირესობის პროექტი“* 14 მემამულის ხელმოწერით. იგი *„უმრავლესობის პროექტისაგან“* მხოლოდ მცირე დეტალებით განსხვავდებოდა), რომლებიც წარედგინა ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს. კომიტეტმა მიიღო აგრეთვე თავად *„ივანე მუხრან-ბატონის მიერ შედგენილი ერთპიროვნული აზრიც“.* პრინციპულად არც ეს *„აზრი“* განსხვავდებოდა ზემოაღნიშნული პროექტებისაგან.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გორელი თავადის, გენერალ-მაიორ კონსტანტინე მამაცაშვილის მიერ კომიტეტისათვის წარდგენილი მოსაზრებები. კ. მამაცაშვილი ყმის მიწით გათავისულფებას მოითხოვდა. გლეხის უზრუნველყოფა მამულებით, მისი აზრით მრავალმხრივ იყო საჭირო. უპირველესყოვლისა იმიტომ, რომ არ გაჩენილიყო წესრიგის და მშვიდობის დაუძინებელი მტერი– პროლეტარიატი[1]. გლეხისათვის მიწის მიცემას, როგორც კ. მამაცაშვილი ფიქრობდა, წმინდა პატრიოტული მნიშვნელობაც ჰქონდა. ადამიანი, რომელსაც თავის ქვეყანაში ადგილ-მამული არ გააჩნდა, *„ვერ დაინტერესდებოდა ამ ქვეყნის ბედით, ვერ განიმსჭვალებოდა მისი ინტერესებით“.* ამიტომ იგი ქართველ თავადაზნაურებს მოუწოდებდა გამოეჩინათ გონიერება და ყმები მიწით გაეთავისუფლებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ კ. მამაცაშვილის პროექტს გარკვეული ნაკლი გააჩნდა, იგი სხვა პროექტებთან შედარებით მაინც პროგრესული იყო.

1864 წლის 5 თებერვალს შედგა თბილისის გუბერნიის იმ მემამულეთა სია, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ *„საბატონო ყმების მოწყობის ცენტრალურ კომიტეტში“* რეფორმის განსახილველად. გორის მაზრიდან მიწვეული იყვნენ: 1. თავადაზნაურ-თა წინამძღოლი, თავადი ალექსანდრე ერისთავი; 2. გენერალ-ლეიტენანტი, თავადი გ.რ. ერისთავი; 3. თავადი ელიზბარ ერისთავი; 4. თავადი დავით ერისთავი; 5. თავადი ნიკოლოზ ამილახვარი; 6.

---

[1] *გუგუშვილი პ., ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 428.,*

თავადი ივანე ციციანოვი; 7. თავადი იოსებ ციციანოვი; 8. თავადი ალექსანდრე თარხან-მოურავოვი; 9. თავადი რევაზ თარხანოვი; 10. თავადი დიმიტრი აბაშიძე; 11. თავადი გიორგი მაჩაბელოვი; 12. ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკი ყიფიანი (ეს უნდა იყოს ზემოთხსენებული დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, ბატონყმობის გაუქმების მომზადების აქტიური მონაწილე); 13. კოლეჟსკი სოვეტნიკი მამაცოვი[1].

ზემოთჩამოთვლილი თავადები გორშიც ცხოვრობდნენ და მეტნაკლებად დაკავშირებულნი იყვნენ გორის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან.

გორის მაზრის თავადაზნაურობა აქტიურად მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმების პირობების შემუშავებაში. ცენტრალური კომიტეტის ჩამოყალიბებისას გადაწყდა შეედგინათ დაწვრილებითი და ნათელი პროგრამა სამაზრო კომიტეტის საქმიანობისათვის. ამასთან დაკავშირებით, შეიქმნა პროგრამის პროექტი, რომლის მიხედვითაც დაწვრილებით უნდა აღეწერათ თითოეული მემამულის მამული, იმ მამულში მფლობელსა და გლეხს შორის არსებული ურთიერთობის მითითებით. ცენტრალურ კომიტეტში განხილვისას უმრავლესობამ პროექტი არ მიიღო, როგორც რთული და მოუხერხებელი. ამიტომ გადაწყდა, ზემოაღნიშნული მასალების მოგროვება სამაზრო კომიტეტებისათვის მიენდოთ და თვით მემამულეებისათვის კი გლეხების მოწყობა იმ საშუალებებითა და ფორმით, რომელსაც მაზრის მემამულეები მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ. ასეთი მასალები თითოეულ მაზრას უნდა წარედგინა გუბერნიის ხელმძღვანელობისათვის არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში. გუბერნიის ხელმძღვანელი თავის მხრივ ამ მასალებს განსახილველად წარუდგენდა გუბერნიის მემამულეების ყრილობას. ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება, დამტკიცებული მეფისნაცვლის მიერ, ძალაში შევიდა 1861 წლის 1 მაისიდან.

გავიდა 6 თვე, მაგრამ სამაზრო ყრილობებმა ყველგან წარმატებას ვერ მიაღწიეს. მხოლოდ გორის მაზრის მემამულეებმა წარადგინეს საჭირო ცნობები და თავიანთი მოსაზრებები[2].

---

[1] ეს უნდა იყოს ზემოთდასახელებული გენერალ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის უფროსი ძმა იოსები, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, რომელიც საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში ყმა გლეხების ინტერესებს იცავდა. იგი გადასახლებული იყო 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო. *Документы, I, ч. I, с.127.*

[2] *Там же, с. 132-134.*

გორის მაზრის თავადაზნაურების მიერ შემუშავებული წესი მთის მოსახლეობის უფლება-მოვალეობათა შესახებ სანიმუშოდ გადაიქცა ყველა მთის რაიონისათვის, კერძოდ, რაჭის მაზრის, კუდაროს ხეობის ოსი გლეხებისათვის, როგორც ეს აღნიშნულია 1865 წლის ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა ყმების მომწყობი დროებითი კომისიის ჟურნალში[1].

1864 წლის 13 ოქტომბერს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა თბილისის გუბერნიის გლეხთა ყმობიდან გათავისუფლების დებულებას. ეს აქტი იმავე წლის 6 ნოემბერს გამოქვეყნდა თბილისში, თელავში, სიღნაღსა და გორში. გლეხების ინტერესების დამცველად და მათი ბატონყმობიდან გათავისუფლების მომხრედ გამოდიოდნენ თავადაზნაურობის პროგრესული წარმომადგენლები, თითქმის ყველა ისინი, ვინც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი და სხვ.

მთელი ქართლის მოსახლეობა გორში, არტილერიის მოედანზე შეიკრიბა. მოედნის შუაში აღმართული იყო კარგად მოზრდილი კათედრა, რომელზეც ავიდნენ გუბერნატორი ორლოვსკი და მაზრის წარჩინებული პირები: მაზრის უფროსი, თავადი ელიზბარ ერისთავი, დეკანოზი სოლომონ ხახანაშვილი (მამა პროფესორ ა. ხახანაშვილისა), სამხედრო უწყების პირნი, დიამბეგი და სხვ. სამადლობელო პარაკლისის შემდეგ დეკანოზმა სოლომონმა ქართულად წაიკითხა მანიფესტი. *„ისე წაიკითხა მახსოვს, - წერს ამ ამბის მომსწრე ს. მგალობლიშვილი, - რომ ადამიანს ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა. ხალხში ზრიალი ჩავარდა, ტირილი სიხარულისა, პირჯვრის წერა და მუხლის მოყრა“*[2].

აღარ შევჩერდები თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების შედეგების განხილვაზე, რაც საყოველთაოდ ცნობილია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ საგლეხო რეფორმა და მის შემდგომ გატარებული მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები (სოფლის საზოგადოებრივი მმართებლობის და საგლეხო სასამართლოს შემოღება, სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილება მათი შეერთების გზით[3], სასამართლო რეფორმა, საქა-

---

[1] *Там же, с. 280, 281, 289.*

[2] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 64.*

[3] აქამდე გორის მაზრის 629 სოფელი გაერთიანებული იყო 120 სასოფლო საზოგადოებაში. *Документы, с. 764-786.* გამსხვილების შემდეგ ჩამოყალიბდა 37 საზოგადოება. თითოეულში საშუალოდ 18 სოფელი და 770 კომლი გლეხი შევიდა. ამის შემდეგ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა მამასახლისისათვის ჯამაგირი მიეცა. ეს თანამდებობა იმდენად შემო-

ლაქო რეფორმა) უაღრესად პროგრესული ნაბიჯი იყო. რა თქმა უნდა, კლასობრივი წინააღმდეგობები საბოლოოდ არ მოისპო. უკვე ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია ერთობლივად გამოდის არსებული უსამართლობის აღმოსაფხვრელად. ისევე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც ფართო გაქანებას პოულობს ხალხოსნური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა სოფლად არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურის პრობლემების გლეხთა მასების სასარგებლოდ გადაწყვეტას.

## 2. ხალხოსნური მოძრაობა

ბატონყმობის გაუქმებამ საბოლოოდ ვერ მოსპო საუკუნეების განმავლობაში ადამიანების სულსა და ხორცში გამჯდარი ტრადიციები და საზოგადოებრივ ურთიერთობაში არსებული ყველა პრობლემა, რომელთა მოგვარებისათვის ბრძოლა, მართალია, არა ძველებური სიმწვავით, მაგრამ მაინც გრძელდებოდა. სოციალური წინააღმდეგობების პარალელურად არსებობდა და სულ უფრო ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საქართველოში, რუსეთთან შეერთების დღიდან, არასოდეს არ ჩამქრალა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რომელშიც სოციალური თავისუფლების იდეებიც იჩენდა თავს. 50-60-იან წლებში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაისახა ისეთი იდეები, რომლებიც მთელი ხალხის გათავისუფლების მოთხოვნას გამოხატავდა, მაგრამ წინა პლანზე წამოსწევდა გლეხების სოციალურ განთავისუფლებას. ეს იყო მიმდინარეობა, რომელიც საბოლოოდ 70-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბდა და სოციალურ-რევოლუციურ ანუ ხალხოსნურ პარტიად იწოდებოდა. იგი უარყოფდა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის პროგრესულ როლს საზოგადოებრივ განვითარებაში და სოციალიზმის გამარჯვების იმედს ჯერ გლეხთა აჯანყებაზე, მერე კი განათლებაზე და ეკონომიკურ გაძლიერებაზე ამყარებდა. იგი მოითხოვდა მსხვილი მიწათმფლობელობის სრულ გაუქმებას, გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას და პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიზაციას იმგვარად, რომ საზოგადოების ბატონ-პატრონი წვრილი მესაკუთრენი ყოფილიყვნენ.

---

სავლიანი და ავტორიტეტული გახდა, რომ მის დაკავებას თავადაზნაურებიც კი აღარ უკადრისობდნენ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 309.*

70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის რამდენიმე ცენტრი ჩამოყალიბდა: თბილისი, გორი, თელავი და ოზურგეთი. გორის წრეში, რომელიც 1873-1875 წლებში მოქმედებდა, გაერთიანებულნი იყვნენ: ვასო დეკანოზიშვილი, მათე კერესელიძე, პავლე ბურჯანაძე (მასწავლებელი), ვანო ხიმშიაშვილი (შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე), ქაიხოსრო ფურცელაძე (სამხედრო ექიმი), ანტონ ფურცელაძე (მწერალი და პუბლიცისტი, ვექილი), ვასილ სამადაშვილი (მღვდელი სოფ. ტყვიავში), გიგო ავალიშვილი, კოლა ფავლენიშვილი, რომანოზ ფავლენიშვილი (სტუდენტი), მოსე ნათაძე (მეჯვრისხეველი მასწავლებელი), სოფრომ მგალობლიშვილი, კოტე ერისთავი, ილიკო მაჭავარიანი, შიო დავითაშვილი და სხვ.[1]

წრე სულ უფრო ფართოვდებოდა გორელი მოქალაქეების მაზრაში მცხოვრები ინტელიგენციის მასაში ჩაბმის გამო. ქ. გორი ხალხოსნური მოძრაობის ცენტრად გადაიქცა. 1873 წელს პირველად აქ შეიქმნა ხალხოსანთა ფარული ორგანიზაცია, რომელმაც ს. მგალობლიშვილის თქმით, *„მიზნად დაისახა გაეცნო ხალხისათვის მთავრობის მავნე წესწყობილება, ჩაეხედებინა გლეხობა თავისს ცხოვრებაში, დაერწმუნებინა იგი, რომ უმამულოდ მისი განთავისუფლება ძველ ბატონყმობაზე უარესი იყო, რომ ამ გარემოებამ გლეხი უფრო ყურმოჭრილი ყმა გახადა ბატონისა... ჩვენ ვცდილობდით ხალხი პირდაპირ გადაგვესკუპებინა კაპიტალისტური ხანის გაუვლელად, სოციალიზმში“*[2].

გორელმა ხალხოსნებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს რუსეთში მოღვაწე ქართველ ხალხოსნებთან: ივ. ჯაბადართან, ალ. ციციშვილთან, გ. ზდანოვიჩთან (მაიაშვილი), მიხ. ჩიკოიძესთან. გორის ხალხოსნური ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ანტონ ფურცელაძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ლომოური, ალ. ნანეიშვილი, ზ. ჭიჭინაძე.

როგორც ცნობილია, ხალხოსნებმა ხალხი ვერ გაიყოლიეს. ხალხმა არ მიიღო მათი საზოგადოებრივ-ეკონომიკური იდეები. გორელმა ხალხოსნებმა პოლიტიკური პროპაგანდა შეცვალეს კულტურულ-საგანმანათლებლო პროპაგანდით *„რაკი ხალხში გასვლით ვერა გავაწყეთ რა, – წერდა ს. მგალობლიშვილი, – ჩვენ მოქმედების ფრონტი და ტაქტიკა შევცვალეთ, გადავწყვიტეთ მასწავლებლებს გვემოქმედნა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ხელოსნებზე, გვემართნა იაფფასიანი სახალხო წარმოდგენები. ამ მიზნით ქ. გო-*

---

[1] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 73*

[2] *იქვე, გვ. 84.*

*რში დავაარსეთ მოყვარულთა წრე. წარმოდგენები იმართებოდა სოფლებშიაც*"[1].

საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაციის მიზანი იყო არსებული უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დამხობა და მის მაგიერ ყოველმხრივ თავისუფალი და სრული საზოგადოების შექმნა. ამ იდეის რეალიზაციისათვის ხალხოსნები გლეხებში პროპაგანდას ეწეოდნენ, პროკლამაციებს და რევოლუციური შინაარსის ლიტერატურას ავრცელებდნენ, როგორც ქართველი ხალხოსნების მიერ შექმნილს, ისე რუსულიდან თარგმნილს; გორელ ხალხოსნებს ასეთი ლიტერატურის გასამრავლებად სოფ. ტყვიავში, ხალხოსნური მოძრაობის აქტიური წევრის, მღვდელ ვ. სამადაშვილის ხელმძღვანელობით, მოწყობილი ჰქონდათ სტამბა. იგი ხშირად თვითონ თარგმნიდა რუსულ რევოლუციურ ბროშურებს. მღვდელს საბეჭდი დაზგა ეკლესიის ალტარში ჰქონდა დამალული. ამიტომ იყო, რომ ჟანდარმებმა ვერაფრით ვერ მიაგნეს მას.

როგორც ს. მგალობლიშვილი იგონებდა, მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებაში საყურადღებო ადგილი ეთმობოდა ცოცხალ საუბარს და წარმოდგენა-საღამოების გამართვას გორსა და გორის მაზრაში. ასეთ წარმოდგენებში ხშირად გლეხის ტანსაცმელში გამოწყობილი ს. მგალობლიშვილიც მონაწილეობდა.

ხალხოსნები ხალხის აჯანყებისათვის მომზადებას ცდილობდნენ. რათა, როცა რუსეთში აჯანყება დაიწყებოდა, ქართველი გლეხები შეუერთდებოდნენ და ერთობლივად დაამხობდნენ საძულველ მეფის ხელისუფლებას, მის ჩინოვნიკებს და უსაქმურ მემამულეებს.

გორის ხალხოსნური წრის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1875 წლის ზაფხულში მოსკოვიდან ნიკო ხუდადოვის, ისიდორე ქიქოძის და ქაიხოსრო ფურცელაძის ჩამოსვლას. ისინი „მოსკოველთა" ხალხოსნური ჯგუფის მონაწილენი იყვნენ. ისიდორე ქიქოძე მალე დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

გორის ხალხოსანთა წრეს სოფ. ტყვიავში ვ. სამადაშვილის ბინაზე სტამბასთან ერთად საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონდა, სადაც ინახებოდა „ვპერიოდისა" და „რაბოტნიკის" მრავალი ნომერი, ჩერნიშევსკის, ლავროვისა და მიხაილოვსკის შრომები და

[1] *იქვე.*

მრავალი აკრძალული ბროშურა. ასეთივე მდიდარი ბიბლიოთეკა არსებობდა იმავე სოფელში რომან ფავლენიშვილის ბინაზე[1].

1875-1876 წლებში გორის ხალხოსნურ წრეს იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევდნენ: თბილისიდან – ეგნატე იოსელიანი და ქუთაისიდან – მიხეილ ყიფიანი.

აქტუალური საკითხების განსახილველად გორელი ხალხოსნები ხშირად თათბირებსაც მართავდნენ. ისინი, კონსპირაციის მიზნით, სხვადასხვა სოფლებში იკრიბებოდნენ. 1876 წლის ზაფხულში ტყვიავში ფავლენიშვილების ბინაზე მოწვეულ თათბირს ესწრებოდნენ: რ. ფავლენიშვილი, გ. გაბაშვილი, ვ. დეკანოზიშვილი, ვ. სამადაშვილი, დ. ფურცელაძე, მიხეილ და ვარლამ ერისთავები და სხვანი. განიხილეს საზღვარგარეთიდან საბეჭდი მანქანის გამოწერის საკითხი. იმავე წლის ივლისის ბოლოს სოფ. მერეთში, ლიახვისპირას, შეიკრიბნენ რომან ფავლენიშვილი, ანტონ ფურცელაძე, კონსტანტინე ფურცელაძე და მიხეილ ყიფიანი, რომელიც დასავლეთ საქართველოდან ისიდორე ქიქოძის თხოვნით ჩამოვიდა. შეკრებას ესწრებოდნენ აგრეთვე ვინმე მამასახლისი პეტრე, გლეხი ბერო ბაიაძე და სხვები, სულ 12 კაცი. გარკვეული თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ კვლავ შეკრებილიყვნენ იმავე წლის 2 აგვისტოს. დათქმულ დროს მართლაც შეიკრიბნენ და იმსჯელეს თუ ვის რამდენი თანხა უნდა შეეტანა ურთიერთდახმარების სალაროში. ყრილობის მოწვევის საკითხი გადასდეს ეგნატე იოსელიანის რუსეთიდან ჩამოსვლამდე. ითათბირეს აგრეთვე სათანადო რწმუნებულის არჩევისა და მისი 2 ათასი მანეთის სასესხებლად „მოსკოვის“ წრეში გაგზავნის შესახებ. ფული საბეჭდი მანქანის შესაძენად სჭირდებოდათ. სტუდენტ ფავლენიშვილს თათბირზე განუცხადებია, რომ მას მოსკოვის წრიდან მიღებული ჰქონდა 700 მანეთი და თუ ეგნატე იოსელიანი დათანხმდებოდა, მაშინ ამ თანხას ადგილობრივ ორგანიზაციას გადასცემდა. შეკრებაზე გადაწყდა მღვდელი ვ. სამადაშვილის გაგზავნა საჭირო ლიტერატურის ჩამოსატანად. ვ. სამადაშვილს, აგრეთვე, სინოდალურ კანტორაში უნდა მიეღწია ტყვიავიდან მიხაილოვოში (ხაშური) თავისი გადაყვანისთვის, რათა ხალხოსნური იდეები ექადაგა[2].

ჩამოაყალიბეს ურთიერთდახმარების სალარო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დათიკო და ქაიხოსრო ფურცელაძეები, ვასო

---

[1] *შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ 129*

[2] *იქვე, გვ 129-130.*

დეკანოზიშვილი და სხვ. სალაროში თავიანთი სურვილით შეიტანეს ძმებმა ფურცელაძეებმა – 60 მან., ანტონ ფურცელაძემ – 40 მან., ვანო ხიმშიაშვილმა – 50 მან., ვ. სამადაშვილმა – 33 მან., მიხეილ ერისთავმა – 30 მან., ლუარსაბ ერისთავმა – 30 მან., რომან ფავლენიშვილმა – 40 მან., გორის მაზრაში სულ შეიკრიბა 500 მან.[1] სალაროს შევსების მიზნით გორელი ხალხოსნები სპექტაკლებს დგამდნენ ქართლის სოფლებში.

გორის ხალხოსანთა წრეს საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ წრეებთან. ცნობილია, რომ 70-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა და მოძრაობის საერთო ხელმძღვანელები ისიდორე ქიქოძე და მიხეილ ყიფიანი იყვნენ. ისინი გორელ ხალხოსნებს კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ მოუწოდებდნენ. მიხეილ ყიფიანი დათიკო ფურცელაძეს სწერდა: *„თქვენი უმთავრესი ნაკლოვანება ის არის, რომ ერთ ბუდეს ჩასხდომიხართ და ზუზუნებთ ერთ ალაგას. საქმეს მიყოლა უნდა, ძმაო, რომელიც აქამდისინ ნაკლებად გამოდის“.*

მ. ყიფიანი გორის წრის მუშაობის კოორდინაციასაც ახდენდა და საჭირო მითითებებსაც აძლევდა. ს. მგალობლიშვილი იგონებდა *„მეორე ლიდერი (ისიდორე ქიქოძის შემდეგ – ე.მ.) ხალხოსნური მოძრაობისა ჩვენში იყო მიხეილ (მიშო) ყიფიანი... ქუთაისიდან 1876 წლის გაზაფხულზე გამოგზავნა ჩვენთან აქ გორს იაგორა იოსელიანი წერილებით ჩემთან და ვასო დეკანოზიშვილთან... მიშო ყიფიანი მე და ვასოს გვწერდა, ეცადეთ ყველა ამხანაგებს შეატყობინოთ ამ კაცის პირით, რომ ამ გაზაფხულს ქართლში, სოფ. ტყვიავში ფავლენიშვილთან ან მერეთში ფურცელაძიანთა კონფერენცია მოვაწყოთ და შევიმუშაოთ გეგმა ჩვენი მუშაობისაო. ამასთან გვწერდა: დავათავეთ თუ არა ჩვენი ნაკისრი წიგკანების თარგმნა, ან როგორ არის სტამბის საქმე სოფ. ტყვიავში, რომლის მოწყობა იკისრა მდვდელმა ვასილ სამადალაშვილმაო. მე და ვასოს დაკისრებული გვქონდა თარგმნა „ოთხი ძმის ზღაპრისა“, „ზღაპარი კაპეიკზე“, „შიმშილი სამარაში“... „ცბიერი მექანიკა“*[2].

ისიდორე ქიქოძე და მიხეილ ყიფიანი ქართველ ხალხოსნებს ხშირად იწვევდნენ თათბირებზე და კრებებზე, რომლებსაც აღმოსავლეთ საქართველოს წრეების წარმომადგენლები ყოველთვის ესწრებოდნენ. 1876 წლის 23 მაისს ქუთაისში ვარლამ გაბიჩვაძის ბინაზე გამართულ თათბირს ესწრებოდა მეჯვრისხევის მასწავლე-

---

[1] *იქვე, გვ. 147.*

[2] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 76.*

ბელი მოსე ნათაძე. იმავე წლის ზაფხულში, იმავე ბინაზე გამართულ თათბირს ესწრებოდა გორელი ქაიხოსრო ფურცელაძე. ივლისის თვეში გურიაში თათბირს დაესწრო გორელი დათიკო ფურცელაძე. ამ თათბირზე გადაწყდა, რომ შემდეგი შეკრება იქნებოდა გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთში 1 სექტემბერს. აქ უნდა მისულიყო თითოეული მაზრიდან სამ-სამი წარმომადგენელი. მაგრამ ამ კრების მოწვევა ვერ მოხერხდა დანიშნულ დროს, რადგან ეგნატე იოსელიანმა პეტერბურგიდან ჩამოსვლა დააგვიანა. 6 ოქტომბერს კი ჟანდარმერიამ დაიწყო ქართველი ხალხოსნების მასობრივად დაპატიმრება.

დააპატიმრეს 78 კაცი. მათ შორის გორელები: დავით ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი[1], ვასილ დეკანოზიშვილი, რომან ფავლენიშვილი, ქეთო ფურცელაძე, ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, თავადი გიგო ავალოვი (ავალიშვილი), ანტონ ფურცელაძე, მღვდელი ვასილ სამადაშვილი, დიაკვანი ოქროპირიძე, კონსტანტინე ფურცელაძე, სოფ. მერეთის მამასახლისი პეტრე, გლეხი ბერო ბაიაძე მერეთიდან, ივ. ხიმშიევი (ხიმშიაშვილი).

პასუხისგებაში მიცემულ პირთა გამოძიება საბოლოოდ 1876 წლის ზაფხულში დამთავრდა. 38 კაცს ბრალდება არ დაუმტკიცდა და მათ მიმართ საქმე შეწყდა. ვასილ სამადაშვილს ერთ-ერთ შორეულ მონასტერში 2 წლის პატიმრობა მიესაჯა. პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ მის მიმართ უნდა დაწესებულიყო სპეციალური თვალთვალი 2 წლით; დავით ფურცელაძეს მიესაჯა პატიმრობა 6 თვით, პატიმრობის შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა 2 წლის განმავლობაში; სოფრომ მგალობლიშვილს, გიგო ავალიშვილს მიესაჯათ თითო თვით პატიმრობა; რომან ფავლენიშვილის და ვასილ დეკანოზიშვილის[2] საქმე მოისპო პატიმრობის პერიოდში მათი გარდაცვალების გამო.

---

[1] ს. მგალობლიშვილი გაკვეთილზე დაუპატიმრებიათ. ის შემდეგში იგონებდა: *„მე ჟანდარმის უნტერ-ოფიცერმა გაკვეთილიდან წამიყვანა. დაწიოკდნენ მოწაფეები, მთელი კლასი უკან გამომყვევნა, ჟანდარმს კალთაზე ეკიდებოდნენ“. მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 76.* მის ბინაზე ჟანდარმებმა დიდი რაოდენობით იპოვეს ქართული და რუსული შრიფტები და ბეჭდვისათვის საჭირო სხვა მოწყობილობანი. იპოვეს აგრეთვე თვით ვ. სამადაშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი რამდენიმე თხზულება. *იქვე, გვ. 128-129.*

[2] ვ. დეკანოზიშვილი ციხეში გარდაიცვალა და გორში დაკრძალეს. როგორც ს. მგალობლიშვილი იგონებდა, მისი დაკრძალვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დემონსტრაციად გადაიქცა. მთელი ქალაქი თავის საყვარელ შვილს დასტიროდა. გლოვის ნიშნად დაიკეტა ბაზარი და

გამოძიების დასრულების შემდეგ ბევრი ცნობილი ხალხოსანი არ მოხვდა ადმინისტრაციული წესით დასჯილთა სიაში. თუმცა მათ მიმართ ძიება დაწყებული იყო. ანტონ ფურცელაძის, მოსე ნათაძის და სხვათა მიმართ ძიება შეწყდა სათანადო ბრალსადები მასალების უქონლობის გამო.

მცირე ხნის შემდეგ, გორის ხალხოსანთა წრე კვლავ აღსდგა. მასში გაერთიანდნენ 1876 წელს დაპატიმრებას გადარჩენილი ან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები – ს. მგალობლიშვილი, თ. გოლიევი, ნ. ლომოური და სხვები. წრის საქმიანობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა 1877 წლის სექტემბრიდან, როდესაც თბილისის ჯგუფის დაშლის შემდეგ გორის სამასწავლებლო სემინარიაში „წიგნების კაზმვის“ ხელობის მასწავლებლად მუშაობა დაიწყო შ. დავითაშვილმა. იგი მოსწავლეებს და ზოგიერთ მასწავლებელს დაუახლოვდა, რამაც სასწავლებლის ადმინისტრაციას ეჭვი აღუძრა შ. დავითაშვილის კეთილსაიმედობაში და საბოლოოდ სამსახურიდან დაითხოვეს[1].

70-იანი წლების ბოლოს, ისევე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც შეიმჩნევა ხალხოსნურ მოძრაობაში ორი მიმართულების გაჩენა. პირველი მიმართულება ხალხოსნებისათვის დამახასიათებელ პროპაგანდისტულ ხაზს აგრძელებდა. მაგრამ იგი ამჯერად თავისი მუშაობის ძირითად ობიექტად მოსწავლე-ახალგაზრდობას ირჩევდა. ხალხოსნების ეს ჯგუფი გორის მაზრაში მოღვაწეობდა და ლეგალურ საქმიანობას ეწეოდა: მართავდა წარმოდგენებს, აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, გამოდიოდა ადგილობრივი ხელისუფლების უვარგისი ღონისძიებების წინააღმდეგ, იცავდა ხალხის ინტერესებს, შუამდგომლობდა ამა თუ იმ დაწესებულების გახსნის შესახებ და სხვ. ამ ჯგუფში შედიოდნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, ნინო მგალობლიშვილი, ალალო თულაშვილი, ზაქრო გულისაშვილი, ქეთევან დავითაშვილი, მაშო ივანიშვილი (დემურია), პავლე ბურჯანაძე, ლევან ჯულაბოვი, მაშო კერესელიძე, სოფიო და ფეფო მაღალაშვილები, ვასო კარგავა და სხვები[2].

---

ყველა დუქანი. პროცესიას მიჰყვებოდნენ მუსიკოსები, რომლებიც უკრავდნენ მწუხარე მოტივზე. სამარეში კუბოს ჩასვენებისას მეზურნე ზურაბ რაზმაძემ სალამურზე დაუკრა განსვენებულის საყვარელი *„სულო ბოროტო“*, ვ. დეკანოზიშვილის აღზრდილმა გლეხმა ვანომ ლექსი წაიკითხა.

[1] *დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 67.*

[2] *იქვე, გვ. 76.*

ამ ახალ ჯგუფში თავმოყრილი იყო რაზნოჩინული ინტელიგენცია, რომლის ბირთვს სოფლის მასწავლებლები შეადგენდნენ. ისინი პროპაგანდას ეწეოდნენ სოფლის სკოლის მოსწავლეთა შორის, იცავდნენ გლეხთა ინტერესებს. როგორც შიო დავითაშვილი წერდა, *„გორის მაზრაში 1878 წლიდან რამდენიმე ახალი სასოფლო სკოლა დაარსდა. მასწავლებლად სულ სემინარიაში ნამყოფი და იქიდან თავდანებებული თუ გამორიცხული ახალგაზრდები იყვნენ. ყველას კარგად ვიცნობდი. როდესაც კი გორში ან ჯამაგირის მიღება ან სხვა საქმე გაუჩნდებოდათ, სულ ჩემთან მოდიოდნენ. კარგა მახსოვს: მოსე ნათაძე, თეოფილე კანდელაკი, გრიგოლ ყიფშიძე, იოსებ ცხვედაძე, ალექსანდრე გაგლოშვილი, ზაქარია გულისაშვილი, ზ. ოქუაშვილი, ნიკო ხუციშვილი“*[1].

გორელმა ხალხისნებმა ტყვიავიდან წამოიღეს ვ. სამადაშვილის მიერ გადამალული საბეჭდი მანქანა, ხიდისთავში გადაიტანეს და არსენ კალანდაძის სახლში დადგეს. ამ სახლში დაიწყეს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების ბეჭდვა“[2].

80-იან წლებში აისახა გორის მოწინავე ინტელიგენციის რევოლუციური განწყობილება. არც ერთ სამაზრო ქალაქში არ იყო ისე უხვად წარმოდგენილი ინტელიგენტური ძალები, როგორც გორში. აქ მუშაობდნენ რევოლუციურ-ხალხისნური პარტიის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა აზრს ანგარიშს უწევდა, როგორც მაღალი წოდება, ისე ადგილობრივი ადმინისტრაცია. სისტემატურად ეწყობოდა ლექციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. ამ მიზნით, ზოგჯერ თბილისიდანაც კი იწვევდნენ ლექტორებს. ხალხისნები აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო საქმეებში, რადგან მაშინ გორს უკვე ჰქონდა თვითმმართველობა.

ხალხისნების ინიციატივით ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გორში გაეხსნათ რეალური სასწავლებელი სოფლის მეურნეობის განყოფილებით, მაგრამ მთავრობამ უარი თქვა.

გორის ხალხისნური მოძრაობის შემდგომი გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორენბურგის გადასახლებიდან მიშო ყიფიანის დაბრუნებას. მან გორის სამასაწავლებლო სემინარიაში დაიწყო მუშაობა, რაშიც დიდი დახმარება გაუწია სემინარიის დირექტორმა დ. სემიონოვმა, რომელიც დაინტერესებული იყო თავის ირგვლივ პროგრესული ადამიანები შემოეკრიბა. ყიფიანის და სხვა ხალხისნების მოღვაწეობის შედეგად გაძლიერდა პროპაგანდა სე-

---

[1] *იქვე, გვ. 79.*

[2] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 181.*

მინარიელებს შორის, რომლებიც მომავალი პედაგოგები იყვნენ და მათ მსოფლმხედველობას, თავის მხრივ, გავლენა უნდა მოეხდინა ახალგაზრდა თაობაზე.მ. ყიფიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სპეციალური წიგნთსაცავის ჩამოყალიბებაში, რომელიც გორის მოსწავლე ახალგაზრდობას საჭირო ლიტერატურით ამარაგებდა[1].

რათა თავიანთი საქმიანობის ლეგალიზება მოეხდინათ, ხალხოსნებმა გორის ხელისუფლების ნებართვით დაარსეს *„საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“.*

ხალხოსნების გავლენით ადგილობრივმა აზნაურებმა შუამდგომლობა აღძრეს საქართველოში ნაფიცი სასამართლოს შემოღების შესახებ. ეს იმ დროისათვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან პრესასაც კი აკრძალული ჰქონდა მსგავსი საკითხების გაშუქება[2].

1882 წლის თებერვალში, გორელ ხალხოსანთა ინიციატივით ყალიბდება *„გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოება“*, რომლის დანიშნულებაა *„გაუადვილოს ხალხს ცხოვრება, გაუადვილოს ყოველივე ხორაგეულის საჭირო ნივთების მოპოვება, გამოიხსნას იმ ტვინისა და სისხლის წოვისაგან, რომელსაც ასე დაუნდობლად, შეუბრალებლად და სიამოვნებით სწუწნიან ათასნაირი დამღის ვაჭრები“.* იმავე წელს გაიმართა საზოგადოების ყრილობა, რომელმაც აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები, მიიღო წესდება. მაგრამ საზოგადოება მალე დაიშალა ხალხოსნების დაპატიმრების გამო. ალბათ საინტერესოა, რომ ს. მგალობლიშვილი საზოგადოების მმართებლობის და წესების შემდგენელი კომისიის წევრი იყო[3].

ხალხოსნების დამსახურება იყო ადგილობრივი ინტელიგენციის იმდენად გააქტიურება, რომ ისინი სწრაფად რეაგირებდნენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო 1882 წელს სამძიმრის ტელეგრამის გაგზავნა იტალიაში ჯუზეპე გარიბალდის გარდაცვალების გამო. დეპეშის გაგზავნის ინიციატორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ანტონ ფურცელაძე[4]. მან ჯერ კიდევ 1863 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა ნარკვევი გარიბალდის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

---

[1] მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 90.

[2] *დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 82.*

[3] *გოგოლაძე თ., სოფრომ მგალობლიშვილი და გორი, „გამარჯვება“, 1981, №87.*

[4] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 205.*

იტალიურმა პრესამ უყურადღებოდ არ დატოვა გორელი ხალხოსნების მიერ გაგზავნილი დეპეშა და აღნიშნა, რომ რუსეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან – გორიდან, რომელიც რუკებზეც კი არ არის აღნიშნული, სამძიმარი შემოგვითვალესო. ამ ინფორმაციით გაიგო რუსეთის ჟანდარმერიამ დეპეშის გაგზავნის შესახებ, რაც კინაღამ გორელი ხალხოსნების რეპრესიების საბაბი გახდა[1].

ერთ-ერთი თანამედროვის დახასიათებით, გორი ორსახოვანი იანუსივით იყო. ერთის მხრივ, როგორც ცენტრი ტიპიური წვრილბურჟუაზიული მევახშეებისა, მეორეს მხრივ, ეს იყო რევოლუციური იდეების გავრცელების კერა. იგი გავლენას ახდენდა მთელ საქართველოზე არა მხოლოდ მოძრაობის აპოგეის მომენტში, არამედ დეპრესიის დროსაც (1883 წლიდან)[2].

მაშინ გორში მუშაობდა სხვადასხვა მიმართულების ორი წრე. ერთი იყო ე.წ. სემინარისტების წრე, რომელშიც შ. დავითაშვილის თქმით, მონაწილეობდა იმ დროის ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ენციკლოპედისტად ცნობილი მ. კერესელიძე, წრის თეორეტიკოსი რადიკალ-სოციალისტი ანტონ ფურცელაძე, კოოპერატორი და ხალხის მეგობარი, ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი, მატერიალისტი და ქალთა ემანსიპაციის მქადაგებელი ნიკო ხიზანიშვილი, დემოკრატი და ბელეტრისტი ნიკო ლომოური, ბუნტარ-ტერორისტი ილიკო მაჭავარიანი, ათეისტ-კომუნისტი თ. გოლიევი, სოფ. ხიდისთავის მემამულე ვ. მეღვინეთუხუცესი, რომლის ბინაზე იმართებოდა საიდუმლო შეკრებები, ტიპოგრაფიის მეპატრონე არსენ კალანდაძე, რომელიც პროკლამაციებს ბეჭდავდა, ქართველი აბატი ვ. სამადაშვილი და მებრძოლი და ორგანიზატორი მიშო ყიფიანი[3].

გორის ახალგაზრდობა, რათა სემინარიის ადმინისტრაციის ყურადღება არ მიეპყრო და პოლიციისათვისაც შეუმჩნევლად ემოქმედა, უფლისციხეში აწყობდა საიდუმლო სხდომებს სოფლის ყველა პროპაგანდისტის მონაწილეობით. ისინი იხილავდნენ ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორიც იყო მემამულეთა მიწების კონფისკაცია, გლეხთა კავშირის დაფუძნება და მათი გამოსვლები. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე 1883 წლის 4 მარტს ორგანიზაციის მეთაურს მიშო ყიფიანს დააპატიმრებდნენ.

---

[1] *БухникашвилиГ., Гори, с. 119.*

[2] *გსიემ, №535, ფ. 105.*

[3] *დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში,* გვ. 93

70-80-იანი წლების მიჯნაზე გორში არსებობდა კიდევ ერთი ვიწრო კონსპირაციული ჯგუფი, ე.წ. საიდუმლო კომიტეტი, რომელსაც კავშირი ჰქონდა თბილისის ნაროდოვოლური წრის წევრებთან და *„ნაროდნაია ვოლიას“* აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთან.

*„საიდუმლო კომიტეტის“* წევრები იყვნენ მიხეილ და ელისაბედ ყიფიანები, მასწავლებლები – კოტე გვარამაძე, ლევან გრიგოლაშვილი, სამაზრო სამმართველოს მოხელე ილიკო მაჭავარიანი, შიო და ქეთევან დავითაშვილები, აპოლონ ნემოლოვსკი. ამ წრესთან დაკავშირებული იყვნენ გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები – საშა ციმაკურიძე, ლუკა რაზიკაშვილი და თედო გოლიევი. ჯგუფს კავშირი ჰქონდა რუს ნაროდნიკებთან. 1881 წელს გორს რამდენჯერმე ეწვია იმ დროს თბილისში მყოფი „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ანა პრიბილევა-კორბა. მისი მონაწილეობით ტარდებოდა თათბირები. კორბას პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა (1882 წ.) პროვოკატორი და დამსმენი სერგეი პეტრეს ძე პეტროვი, იგივე დეგაევი, რომელიც რევოლუციური ცენტრის სახელით ხელმძღვანელობდა თბილისისა და გორის ხალხოსანთა საქმიანობას. მისი წინადადებით გადაწყდა პარტიის წესდების შემუშავება და სათანადო კომისიაც შეიქმნა მ. ყიფიანის, კ. გვარამაძის, და შ. დავითაშვილის შემადგენლობით. პროექტი კი შეადგინეს, მაგრამ მისი წაკითხვა ვერ მოასწრეს, რადგან ორგანიზაცია გასცეს[1].

წრეს კავშირი ჰქონდა ხიდისთავში მდგარ ჯარის ნაწილებთან, რომლის ოფიცრები მოძრაობას უთანაგრძნობდნენ[2].

საიდუმლო ორგანიზაციის ინტერესებისათვის, ნაროდოვოლცური ცენტრის დასტურითა და დავალებით, გადაწყდა გორის ხაზინიდან ფულის გატაცება. რამდენიმე ხნის შემდეგ შ. დავითაშვილთან მივიდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჰქონდა პასპორტი აზაროვის გვარზე. მას დავითაშვილი დაეხმარა გორის გამგეობაში სამსახურის დაწყებაში. მაგრამ მაშინ, როცა აზაროვი თბილისში იმყოფებოდა, ჟანდარმერიამ მისი ძებნა დაიწყო. შ. დავითაშვილმა აცნობა აზაროვს მომხდარის შესახებ. იგი მიიმალა. როგორც შემდეგში გაირკვა, აზაროვის ფსევდონიმით მოქმედებდა ცნობილი ნაროდოვოლცელი ნემელოვსკი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მაინც დააპატიმრეს, შლისელბურგის ციხეში ჩასვეს, სადაც ტუ-

---

[1] *იქვე, გვ. 89.*

[2] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 93.*

ბერკულოზით გარდაიცვალა 1886 წელს[1]. შემდეგ გაირკვა, რომ აზაროვი გორში დაუბეზღებია დეგაევს.

1883 წლის 8 იანვარს ჟანდარმერიამ თბილისში დააპატიმრა უნტერ-ოფიცერი პავლე იაკიმოვი. 11 იანვარს დააპატიმრეს გორის მე-16 გრენადერთა პოლკის ოფიცრები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ესენი იყვნენ: კაპიტანი ვლადიმერ მაკუხინი, შტაბს-კაპიტანი იოსებ ლიპმანი, პორუჩიკი ალექსანდრე ანტონოვი, პორუჩიკი არჩილ ციციშვილი, შტაბს-კაპიტანი ვლადიმერ დერჟანოვსკი, მეტყევე ვიქტორ მელენჩუკი, 13 იანვარს კი ცოლ-ქმარი ვლადიმერ და ნადეჟდა იაკიმოვები. 4 მარტს ახალი მასობრივი დაპატიმრება მოეწყო თბილისსა და გორში. გორში დააპატიმრეს შიო დავითაშვილი, მიხეილ ყიფიანი, მარიამ შერვაშიძე, პორუჩიკი ლევან ვაჩნაძე, სტეფანე ჭრელაშვილი, ალექსანდრე ელიოზიშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი, ილიკო მაჭავარიანი და პორუჩიკი იაკობ მიტკინი. 28 აპრილს დააპატიმრეს პორუჩიკი სერგეი შეპელოვი და გრიგორ ტერ-გრიგორიანცი, 24 მაისს – ცოლ-ქმარი ალექსი და ვარვარა კუზმინები[2].

დაპატიმრებული ოფიცრები პეტერბურგში გადაგზავნეს, სამოქალაქო პირები კი – თბილისში. საქმე იმდენად სერიოზული იყო, რომ პეტერბურგიდან რამდენჯერმე ჩამოვიდა სპეციალური საგამოძიებო კომისია. ძიების დროს გამოირკვა, რომ ხალხოსნები გასცა „სერგეი პეტროვიჩმა“, იგივე დეგაევმა[3].

გამოძიება 1884 წლის დამდეგამდე გაგრძელდა. შინაგან საქმეთა მინისტრის 31 იანვრის განკარგულებით, მარიამ შერვაშიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, მიხეილ ყიფიანი, ვიქტორ მელენჩუკი, ალექსანდრე ელიოზიშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი და სერგეი შეპელოვი დასავლეთ ციმბირში გადაასახლეს სამ-სამი წლით, პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ დატოვებით; პავლე იაკიმოვს, ნიკოლოზ ალიხანოვს, არჩილ ციციშვილს, იოსებ ლიპმანს, ალექსანდრე მაკუხინს, ვლადიმერ დერჟანოვსკის, ლევან ვაჩნაძეს და იაკობ მიტკინს წინასწარი პატიმრობა სასჯელში ჩაუთვალეს და პოლიციის მკაცრ ზედამხედველობას დაუქვემდებარეს სხვადასხვა ვადით; შიო დავითაშვილი, ალექსი და ნადეჟდა კუზმინები პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ორ-ორი წლით პოლი-

---

[1] *БухникашвилиГ., Гори,* с. 120.

[2] Тамже, с. 120; *შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 216-217.*

[3] *БухникашвилиГ., Гори,* с. 120.

ციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვეს. ნადეჟდა იაკიმოვი და ილიკო მაჭავარიანი გაანთავისუფლეს ბრალდების უქონლობის გამო. გაათავისუფლეს ანისიმოვიც ჟანდარმერიისათვის გაწეულის სამსახურის გამო. სერგეი დეგაევის, გალინა ჩერნიავსკაიას და გრიგოლ ტერ-გრიგორიანის საქმე შეაჩერეს გამოძიების პერიოდში მათი მიმალვის მიზეზით. ვლადიმერ იაკიმოვის, აპოლონ ნემელოვსკის და ალექსანდრე ანტონოვის საქმე დაუმთავრებელი დატოვეს, რადგან მათ ბრალი ედებოდათ სხვა დანაშაულშიც. შეწყდა ძიება ანა პრიბილევა-კორბას მიმართაც. მას სხვა საქმესთან დაკავშირებით უკვე მისჯილი ჰქონდა 20 წლით კატორღა.

პასუხისგებას გადაურჩნენ „საიდუმლო კომიტეტის“ ისეთი აქტიური წევრები, როგორიც იყვნენ: კოტე გვარამაძე, ლევან გრიგოლაშვილი, ელისაბედ ყიფიანი, ქეთევან დავითაშვილი, ზოგიერთი მოსწავლე და ოფიცერი. ისინი გადარჩნენ იმიტომ, რომ მათ არ იცნობდნენ პროვოკატორები – ანისიმოვი და დეგაევი[1].

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფის განადგურების შემდეგ დაწყებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ შეასუსტა ხალხოსანთა რევოლუციური საქმიანობა. ამ მხრივ გორში შექმნილ სიტუაციაზე საინტერესო მოგონება დაგვიტოვა შ. დავითაშვილმა, რომელსაც მცირე ხნის პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ გორში ასეთი მდგომარეობა დახვდა: „ჩავედი თუ არა გორში, – წერს იგი, – მაშინვე შევამჩნიე ჩვენი ფართო წრისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება. ზოგი ამხანაგი სულ მოშორებოდა გორს, დანარჩენებს სრულიად გაეწყვიტათ კავშირი ერთმანეთთან. ყველას რაღაც შიში, ეჭვიანობა ემჩნეოდა. ყველა თითქოს სამუდამოდ გაშორებოდა ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობას“[2].

შემდგომი პერიოდის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ შ. დავითაშვილი ამუქებს გორში შექმნილ ვითარებას. მიაჩნიათ, რომ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ შენელდა, კერძოდ, დაპატიმრებას გადარჩენილ გორელ ხალხოსნებს შეუდგენიათ წრე, რომელშიც 1884 წლისათვის ყოფილან: სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ კერესელიძე, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა (ორი რუსი პედაგოგის გამოკლებით) შიო შიუკაშვილის მეთაურობით, ლევან გრიგოლაშვილი, კონსტანტინე გვარამაძე, ნიკოლოზ ბერიშვილი, ნიკოლოზ ლომოური, მისი მეუღლე ხუდადოვის ქალი,

---

[1] რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ 218-219.

[2] *დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში,* გვ. 119.

ანტონ ფურცელაძე, ზაქარია დავითაშვილი, რუისპირელი მასწავლებელი გულზოვი, ტყვიაველი კოლა ხრიატოვი და სხვები[1].

ამგვარად, წრეში გაერთიანებულან სხვადასხვა მიმართულების და შეხედულების ხალხოსნები, ადრე რეგულარულად მომუშავე სოფრომ მგალობლიშვილი ახლა ნაროდოვოლცებისა და მათი საიდუმლო კომიტეტის ისეთი წარმომადგენლების გვერდით იყო, როგორიც იყვნენ ლევან გრიგოლაშვილი და კონსტანტინე გვარამაძე, რომლის შესახებ ნათქვამია თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენებაში: *„გორის სამაზრო სამმართველოს მდივანმა, ანტონ კერესელიძის ახლო ამხანაგმა, ბიჩკოვმა საუბარში განაცხადა, რომ ყოველი შეხვედრისას უსათუოდ იწყებდა ლაპარაკს რუსეთის მონარქიულ წყობილებაზე და მეტად შავ საღებავებში ხატავდა მას. ამავე დროს კი ქება-დიდებას ასხამდა რესპუბლიკურ მმართებლობას. იმავე ბიჩკოვმა დაასახელა შემთხვევა, როდესაც კერესელიძემ უპატივცემლობა გამოთქვა ხელმწიფე-იმპერატორის პიროვნებისადმი. მისი სიტყვებით ეს შემდეგ ვითარებაში მომხდარა. ამ რამდენიმე თვის წინათ თურმე ბიჩკოვი ამხანაგებთან ერთად სადილობდა გორის სასტუმრო „ვარშავაში“, რომლის დროსაც მას მეფის სადღეგრძელო შეუსვამს. მისი მაგალითისათვის მიუბაძავს ყველას, გარდა კერესელიძისა, რომელსაც ბიჩკოვს* შენიშვნაზე მისთვის ყურში ხელმწიფის შეურაცხმყოფელი სიტყვები უთქვამს“[2].

ხალხოსნური მოძრაობა თანდათან სუსტდებოდა. მან თავისი დადებითი როლი ითამაშა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის კულტურული განვითარების საქმეში. მას გარკვეული პოლიტიკურ-სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგრამ იმდროინდელი მოღვაწენი სულ უფრო რწმუნდებოდნენ, რომ ამ მოძრაობას რადიკალური ცვლილებების მოხდენა არ შეეძლო.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 633.*

[2] *იქვე, გვ. 634.*

## 3. პოლიტიკური ვითარება გორსა და გორის მაზრაში XIX ს. დასასრულსა და XX ს. პირველ მეოთხედში.

ხალხოსანთა წრის გარდა, იმავე პერიოდში, გორში მოქმედებდა სხვა რევოლურიციური ორგანიზაციებიც. ცნობილია, რომ 1875 წლიდან ხალხოსან მათე კერესელიძესთან სისტემატურად იკრიბებოდა გორის რაზნოჩინული ინტელიგენცია. აქ ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევისა და კრიტიკის გარდა კამათობდნენ პოლიტიკურ საკითხებზეც.

1879 წელს ჩამოყალიბდა *„თავისუფლადმოაზროვნეთა საიდუმლო წრე“*, რომელშიც მონაწილეობდნენ, აგრეთვე, სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეები – ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟაფშაველა), შიო ქუჩუკაშვილი (შიო მღვიმელი), და სხვები. წრეში კითხულობდნენ ჩერნიშევსკის, ოუენის და სხვათა ნაწარმოებებს, წერდნენ და კითხულობდნენ რეფერატებს, კავშირი ჰქონდათ გორელ ხალხოსნებთან. მათ შექმნეს თავიანთი „ძმობა“, სადაც აკრძალულ წიგნებს ინახავდნენ. წრის წევრებმა პროკლამაციები გაავრცელეს მე-16 გრენადერთა პოლკის კაზარმებში და სხვ.

ალექსანდრე გარსევანიშვილი

1881 წელს თბილისიდან გორში ჩამოვიდნენ არალეგალური ორგანიზაციის წევრები – ალექსანდრე ხახანაშვილი და თბილისის გიმნაზიის მოსწავლე, გორელი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ისინი წრის აქტიური წევრები გახდნენ. ა. გარსევანიშვილთან მოხდა რამდენიმე არალეგალური შეკრება.

1882 წელს წრის წევრები შეიკრიბნენ არალეგალურ კრებაზე უფლისციხეში და განიხილეს შემდეგი საკითხები: 1. ფეოდალთა მიწების კონფისკაცია; 2. გლეხთა კავშირის შექმნა და მათი გამოსვლის ორგანიზაცია; 3. მცირე ხალხების გათავისუფლება რუსული კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან, რომელიც ძარცვავს მათს ბუნებრივ სიმდიდრეს. კრებაზე, სხვებთან ერთად, გამოვიდა ლუკა რაზიკაშვილი, რომელსაც თავისი გამოსვლა დაუმთავრებია სიტყვებით: *„ან თავისუფლება ან სიკვდილი!“*

ახალგაზრდული წრე მიხეილ ყიფიანის დიდ გავლენას განიცდიდა, რომელიც არალეგალურ მუშაობას ეწეოდა გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეთა შორის.

1883 წლის იანვარში „პოლიტიკურად არასაიმედო“ ადამიანების დასაჭერად გორში ჟანდარმები მოვიდნენ. მათ ჰქონდათ ცნობა გორის საოსტატო სემინარიაში ზოგიერთი მასწავლებლის და მოსწავლის საქმიანობაზე და სემინარიაშიც მივიდნენ ჩხრეკის ჩასატარებლად. სემინარიის დირექტორმა დ. სემიონოვმა, ისარგებლა იმით, რომ ჟანდარმებს ჩხრეკის ოფიციალური მოწმობა არ ჰქონდათ და ისინი შენობაში არ შეუშვა. მაშინ ერთ-ერთი ჟანდარმი გაგზავნეს თბილისში ნებართვის ჩამოსატანად. ვიდრე ის დაბრუნდებოდა, მანამდე დ. სემიონოვის მიერ გაფრთხილებულმა სემინარიის მაღალი კლასის მოსწავლეებმა მთელი არალეგალური ლიტერატურა ბაღის ორმოში ჩაფლეს[1].

გორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეთა გარდა აქტიურად მონაწილეობდნენ გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებიც. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლადო კეცხოველი. მისი ცნობიერების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არსენ კალანდაძემ და მისმა პედაგოგმა სოფრომ მგალობლიშვილმა.

სასულიერო სასწავლებელში ლადო კეცხოველის მიერ ჩამოყალიბებულმა წრემ დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის „განთიადის“ გამოცემა, მაგრამ ადმინისტრაციამ შეიტყო და ჟურნალმაც არსებობა შეწყვიტა.

გორის სემინარია, ლიბერალი დირექტორის დ. სემიონოვის შემდეგ, აღმოჩნდა ხელისუფლების ერთგული დირექტორის და პედაგოგების ხელში. აქტიური მოსწავლეები სასწავლებლიდან გარიცხეს. რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციური ამბები გამოძახილს პოულობდა გორის სემინარიის მოსწავლეებში.

90-იანი წლების ამბებიდან აღნიშვნის ღირსია ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც მთელი საქართველოს ყურადღება მიაპყრო გორისკენ.

1892 წლის 13 თებერვალს, კვირა დღეს, გორში ბაზრის მოედანზე სიკვდილით დასაჯეს (ჩამოახრჩეს) ორი ყაჩაღი – ტატე ჯიოშვილი და სანდრო ხუბულური.

აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია გორის ისტორიაში. ყაჩაღების ჩამოხრჩობა, თავისთავად, იმ კატეგორიის მოვლენებს არ განეკუთვნება, რომელიც რაიმე სერიოზულ დაღს დაასვამს ან მიმართულებას შეუცვლის ქალაქის ცხოვრებას. ყაჩაღების დასჯამ მნიშვნელობა იმით შეიძინა, რომ იგი მაშინდელი პრესის განსჯის საგანი გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი

[1] *БухникашвилиГ., Гори*, с. 121-122.

„ივერია“, რომელიც დაწვრილებით ინფორმაციას აგროვებდა და აქვეყნებდა კიდეც სასამართლო პროცესის მსვლელობაზე[1]. ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ *„კავკასიის სამხედო სასამართლოს ანგარიშებიდან“* ჩანს, რომ ბრალდებამ მოწმეთა სახით გამოიყვანა სხვადასხვა კლასისა და სოციალური ფენის 45 წარმომადგენელი.

ყაჩაღების საჯაროდ დასჯას დაესწრო უამრავი ხალხი. ცნობილია, რომ იქ იყვნენ გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები. მათ შორის იყო იოსებ ჯუღაშვილიც[2].

გორში ყაჩაღების დასჯის ამბავი საქართველოს გასცდა დიდი რუსი მწერლის მ. გორკის წყალობით, რომელმაც ჩამოხრჩობის სცენა საკუთარი თვალით იხილა. მოგვიანებით, 1896 წელს მ. გორკიმ *„ნიჟეგოროდსკი ლისტოკში“* (№327) გამოაქვეყნა სტატია *„ყაჩაღები კავკასიაში“*, რომელშიც რატომღაც ყაჩაღებს შეუცვალა სახელები და ეროვნებაც კი. ოსი ყაჩაღები ტატე და სანდრო შეცვალა ქართველი ვასო და სამეტით.

არ შევუდგები ბ. პირადოვის ბოლშევიკური პათოსით დაწერილი ნარკვევის კრიტიკას, რომელიც მან მ. გორკის სტატიას და ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტების გარჩევას წარუმძღვარა. ნარკვევში ყაჩაღები გამოყვანილნი არიან არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ სახალხო გმირებად, მაშინ, როდესაც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალით თუ ვიმსჯელებთ, გორში დასჯილები ჩვეულებრივი მძარცველები და მკვლელები იყვნენ.

ცნობილია, რომ თავდაპირველად ერთმანეთს დაუკავშირდა ორი რეციდივისტი – სოფელ არჯის მცხოვრები სანდრო ბიძინას ძე ხუბულური და სოფელ კელეთის მცხოვრები ტატე ჯიოშვილი. პირველი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და კვლავ პოლიცია ეძებდა, მეორემ კი ჯერ ხუთი წელი გაატარა ციხეში სურამელი ვაჭრის დავარაშვილის მოკვლისათვის და 1889 წლის 25 აგვისტოს გაათავისუფლეს. მცირე ხნის შემდეგ იგი კვლავ გორის სატუსაღოში მოხვდა. ტატემ და სანდრომ ერთმანეთი გორში გაიცნეს. სანდრო ცოტა ხნის წინათ გაათავისუფლეს ზეზემანის სამხერხაოდან. 1891 წლის თებერვალში მათ შეუერთდა ასევე ზეზემანის მიერ გადმოგდებული ალექსი ხასაშვილი. ივნისის დასასრულს მათ შეუამხანაგდნენ სოფ. ჯავის მცხოვრები პადო სალოს ძე სანაკოშვილი (ელიშვილი) და ვლადიკავკაზის ოლქის სოფელ ნაზ-

---

[1] იხ. *„ივერია“, 1892, №21-24.*

[2] *პირადოვი ბ., მ. გორკი და გორის „ყაჩაღები“ (დოკუმენტები) // საისტორიო მოამბე, 9, თბ., 1856, გვ. 516-517.*

რანის მცხოვრები ქისტი აფაკო დოკხიევი[1]. 1891 წლის 18 აგვისტოს თბილისის მაზრის უფროსის თავად ჯანდიერის პატაკში აფაკო დოკხიევის ნაცვლად მოხსენიებულია ჯამბულატ ფილიშვილი[2].

კარგად შეიარაღებული ბანდა გორისა და დუშეთის მაზრების სოფლებს იკლებდა და ნაძარცვს დროსტარებაში ხარჯავდა. ხელისუფლების, განსაკუთრებით კი პოლიციის უნიათობასთან ერთად ყაჩაღებს მოქმედებას უადვილებდა გორის მაზრის ოსური მოსახლეობის თანადგომა[3].

რადგან ყაჩაღები გორის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ, ამიტომ მათი გასამართლება გორში – მაზრის ცენტრში მოხდა. თბილისის სამხედრო საოლქო გამსვლელმა სასამართლომ სანდრო ხუბულურს და ტატე ჯიოშვილს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით. სასჯელის სისრულეში მოყვანა უნდა მომხდარიყო საჯაროდ[4].

როგორც *„ნოვოე ობოზრენიეს“* კორესპონდენტი გორიდან იტყობინებოდა, *„დიდი ხანია აღარ ყოფილა ჩვენში საჯაროდ სიკვდილით დასჯა, ამიტომაც ამ სასჯელის გამოქვეყნებამ გორის ყაჩაღების წინააღმდეგ, უთუოდ, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გორის მაცხოვრებლებზე. ჩამოხრჩობას ესწრებოდა რამდენიმე ათასი კაცი და მათ რიცხვში იყო ბევრი ქალი და ბავშვი. ეს ექსტრაორდინალური საშუალება მიღებული იყო იმ ექსტრაორდინალური დარბევების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა გასული წლის ზაფხულში მთელი მოსახლეობისა და მთავრობის თვალწინ“*[5].

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გორში გლეხობისა და მუშების გამოსვლები დაიწყო. რევოლუციური იდეების გავრცელება, პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნა გორის მაზრაში, დაკავშირებულია ი.ბ. სტალინის და მისი თანამებრძოლების – ლ. კეცხოველის, მ. დავითაშვილის და სხვათა სახელებთან. სოციალ-

---

[1] *საბუთი №6, 1891 წლის ივლისის 12 – ქსნის ბოქაულის მოხსენება ქსნის უბანში „ყაჩაღების“ მეორედ გამოჩენის შესახებ. იქვე, გვ. 546*

[2] *იქვე, გვ. 561*

[3] *იქვე, გვ. 560-561, 563-565*

[4] გორში, ი.ბ. სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმში დაცულია ცნობილი მხატვრის რობერტ სტურუას (რეჟისორ რობერტ სტურუას მამა) სურათი „ი. ბ. სტალინი (ჯუღაშვილი) და მ. გორკი ქ. გორში მეამბოხე გლეხთა საჯარო ჩამოხრჩობაზე 1892 წ.“

[5] *პირადოვი ბ., მ. გორკი და გორის „ყაჩაღები“ (დოკუმენტები), გვ. 520*

დემოკრატიული წრე გორში უკვე 1901 წელს არსებობდა[1]. ამის შემდეგ მარქსისტული ჯგუფები და წრეები შეიქმნა გორის მაზრის თითქმის ყველა მნიშვნელოვან პუნქტში – ხაშურში, ბორჯომში, სურამში, ცხინვალში, ტყვიავში, ახალქალაქში, ჯავაში, ატენსა და სხვ. გორის წრეში შედიოდნენ: ს. ალიმბარაშვილი, ა. მთვარელიძე, ნ. ქერეჭაშვილი, ვ. დათიკაშვილი და სხვ.[2]

სოციალ-დემოკრატიული პარტიის გორის წრის ზოგიერთ წევრსა და მათ საქმიანობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გორის მაზრის უფროსის წერილი, გაგზავნილი თბილისის გუბერნატორისადმი 1903 წლის 1 აპრილს. მაზრის უფროსი წერს: *„როგორც თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქალაქ გორსა და გორის მაზრაში ძალიან ხშირად გამოჩნდება ხოლმე მთავრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა ხასიათის პროკლამაციები; მაგრამ დღემდე შეუძლებელი ხდებოდა დადგენა იმისა, თუ სახელდობრ ვინ ავრცელებდა ამ პროკლამაციებს... ახლა კვალს მივაგენით, იგი უნდა იყოს თბილისელი მოქალაქე ულიანოვი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პოლიციის ზედამხედველობაში მყოფ ცაბაძესა და ჯიბლაძესთან... გულდასმით დაზვერვის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ სამ პირს კავშირი აქვს: 1. გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ ნადირაძესთან; 2. თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ მოსწავლე სიმონ ალიმბარაშვილთან; 3. მკერავ ნესტორ ქერეჭაშვილთან; 4. აზნაურ ნიკოლოზ გვარამაძესთან; 5. გორში მყოფ მთვარელიძესთან... ნადირაძე წრის ხელმძღვანელია, ხოლო სიმონ ალიმბარაშვილის სახლი მთავრობის მოწინააღმდეგე პირთა თავშესაფარია და საეჭვო პირები ცაბაძე და ჯიბლაძე ამ სახლში ცხოვრობენ, რომ მათთან ჩამოდის ულიანოვი. მთავრობაში არსებული მასალით, ნესტორ ქერეჭაშვილი ჯერ კიდევ გასულ წელს იყო შემჩნეული გორში პროკლამაციების გავრცელებაში“.* გორის მაზრის უფროსის დახასიათებით, გვარამაძე და მთვარელიძე გაურკვეველ საქმიანობას ეწეოდნენ, გამუდმებით მოგზაურობდნენ ხან თბილისში და ხან მიხაილოვოში (ხაშური), მასწავლებელი ნადირაძე კი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა გორის სოციალ-დემოკრატების წრეში, მასთან დაკავშირებულნი იყვნენ

---

[1] *ხაჭაპურიძე გ., 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 49.*

[2] *Хуцишвили Я., Горийский уезд вперио революции, с. 35.*

და ხშირადაც ნახულობდნენ ცაბაძე, ჯიბლაძე, ქერეჭაშვილი და გვარამაძე[1].

1903 წლის 1 მაისს ქალაქგარეთ გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია[2]. დემონტრანტებმა აღმართეს წითელი დროშა და მოაწყეს მიტინგი. იქვე, იმავე წლის 7 ივლისს მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია გორიდან პოლიტპატიმრების გაგზავნასთან დაკავშირებით.

გორის სატუსაღო პატიმრებს ვეღარ იტევდა და პოლციას მათი ერთი ნაწილის თბილისში გადაყვანა განუზრახავს. ამ მომენტით ისარგებლეს სოციალ-დემოკრატებმა და რკინიგზის სადგურში 200-მდე კაცი შეჰყარეს, რომლებმაც წითელი დროშები აღმართეს და გაიძახოდნენ *„ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას“*[3]. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიუღია დავით გაბრიელისძე მუჩაიძეს, კონსტანტინე გაბრიელის ძე მამულაშვილს, სიმონ ალექსის ძე ალიმბარაშვილს, ნესტორ ლაზარეს ძე ქერეჭაშვილს, ყაზარ მიხეილის ძე არზუმანოვს, ალექსანდრე დიმიტრის ძე მთვარელიძეს და ვასილ გაბრიელის ძე მუჩაიძეს[4].

1903 წლის 11 მაისს გორის მაზრის უფროსი გუბერნატორს მოახსენებდა, რომ ცაბაძე და ჯიბლაძე ცდილობენ გორის ქუჩებში მანიფესტაციების მოწყობას და რომ გორში არსებულ წრეებს თბილისიდან მოსული პროპაგანდისტები ეხმარებოდნენ[5].

გორში დიდი გამოძახილი ჰქონდა მიხაილოვოში გაფიცულთა დახვრეტას იმავე წლის 14 ივლისს, როცა 17 ივლისს პოლიციელებმა კიდევ ერთი კაცი-ნიკოლოზ ტურაშვილი მოკლეს, მის დასაფლავებასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატების გორის ორგანიზაციის ინიციატივით მიხაილოვოში ერთდღიანი გაფიცვა მოეწყო, რომელშიც 2 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. საფლავთან სიტყვა წარმოთქვა ა. მთვარელიძემ[6].

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 34, საქმე 40, ფურც. 3.*

[2] ჯერ კიდევ 1903 წლის 18 აპრილს გორისას მთაზე მოეწყო საპირველმაისო მიტინგი, რომელსაც 50-მდე კაცი დაესწრო. მომიტინგეებმა წითელი დროშა აღმართეს. იმავე დღეს გორში პროკლამაციები გაუკრავთ. საპირველმაისო დემონსტრაცია გორის მაზრაში პირველად გაიმართა ქარელში, რკინიგზის სადგურის მახლობლად 1902 წელს.

[3] *ხაჭაპურიძე გ., 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში,* გვ. 53; *Хуцишвили Я., Горийский уезд впериод революции*, с. 35.

[4] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 7, საქმერ 434, ფურც. 46.*

[5] *იქვე, ფ. 34, საქმე 407, ფურც. 9.*

[6] *Хуцишвили Я., Горийский уезд впериод революции, с. 38-39.*

სოციალ-დემოკრატების მუშაობის გააქტიურებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1904 წლის თებერვალში ციმბირიდან გამოქცეული ი.ბ. სტალინის თბილისში დაბრუნებამ. ი. სტალინის სიყრმის მეგობარი და მებრძოლი გ. პარკაძე იგონებდა: *„ჩვენი პარტია, ბოლშევიკები, ი. სტალინის ხელმძღვანელობით და მეთაურობით დიდ შრომას ხარჯავდნენ, რომ გლეხები მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზად ყოფილიყვნენ. ი. სტალინი თავის სამშობლო მხარეს ყურადღებას არ აკლებდა და ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ქალაქ გორს, ხანგამოშვებით მიემგზავრებოდა თბილისიდან ქართლის შუაგულ სოფლებში. 1904-1905 წლებში ი. სტალინი, როცა კი გორში მიდიოდა, ყოველთვის ბოლშევიკ პროპაგანდისტებს თავს უყრიდა, აძლევდა სათანადო დარიგებებს და ისე ანაწილებდა სოფლებში სამუშაოდ“*[1].

ბოლშევიკების გავლენა გორსა და მის მაზრაში უფრო იზრდებოდა, რაც თავს იჩენდა თითქმის ყოველ დღე. 1904 წლის 7 ნოემბერს, კვირას, ნაშუადღევს წვევამდელთა მობილიზაციის დროს ბაზრის მოედანზე ხელოვნურად გამოიწვიეს არეულობა და ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციები მიმოფანტეს. პოლიციამ შეიპყრო ვასილ ბალიაშვილიმ, სიმონ მეჩითიშვილი, გიორგი იორამაშვილი და ვასილი ბედიანიძე[2].

ქ. გორში მიმდინარე მოვლენები, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა მაზრაში პოლიტიკურ ვითარებაზე და პირიქით.

1902 წლის აპრილში კარალეთში მოხდა გლეხთა გამოსვლები. მღელვარების მიზეზი გახდა საძოვრებით სარგებლობის საკითხი. საგლეხო რეფორმამდე საძოვრები გლეხების სარგებლობაში იყო. რეფორმის შემდეგ ამ საძოვრებს მემამულე ერისთავი დაეპატრონა. იგი გრძნობდა უკმაყოფილების მოსალოდნელ გამომღჟავნებას და თადარიგი დაიჭირა. მისი თხოვნით, საძოვრების დასაცავად გორიდან პოლციის უფროსის მეთაურობით სტრაჟნიკები გაიგზავნენ. მაგრამ ხელკეტებით და სარებით შეიარაღებულმა გლეხებმა სტრაჟნიკები გარეკეს და თავიანთი წარმომადგენლები მაზრის უფროსთან გორში მოსალაპარაკებლად გაგზავნეს. როდესაც თავიანთი დელეგატების დაპატიმრების ამბავი გაიგეს, კარალეთელი გლეხების 500 კაციანი ჯგუფი გორში წავიდა. შემდეგ მათ გამოეყო 150

---

[1] *პარკაძე გ., წითელი და შავი რაზმი ქართლში, „პროლეტარული რევოლუცია“, 1940, №2, გვ. 191,* იხ. აგრეთვე, *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია. გვ. 213.*

[2] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია. გვ. 217.*

კაცი, რომლებმაც გზა განაგრძეს თბილისისაკენ მთავარმართებელთან მოსალაპარაკებლად. რაც შეეხება გორში დარჩენილ გლეხებს, ისინიც დააპატიმრეს. ამგვარად გლეხები დამარცხდნენ. მათ დარჩათ 100 დესეტინა სილახრეშიანი მიწა ლიახვის ნაპირზე. ერისთავმა თითქმის 300 დესეტინა ვარგისი მიწა თავისთვის შემოღობა.

გლეხების მემამულესთან დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა იმავე პერიოდში სოფ. მერეთში. ამილახვრის მამულში შესული გლეხების პირუტყვი ამილახვრის კაცებმა წაიყვანეს. გლეხები დაედევნენ. შეტაკება მოხდა სოფ. სატიხარაში. ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი დაიჭრა. გლეხებმა თავიანთი პირუტყვი დაიბრუნეს. მთავრობამ სატიხარაში მთელი თვით ეკზეკუცია ჩააყენა, რამაც სოფელი გააპარტახა.

გლეხთა მღელვარება მოხდა დირბში ღალის ფულადი გადასახადით შეცვლის გამო. გლეხები თავს დაესხნენ მონასტერს, შემდეგ კი სოფლის კანცელარიას, სადაც გამომწყვდეული იყო რამდენიმე გლეხი. დირბში შეიარაღებული რაზმით ჩავიდა გორის მაზრის უფროსი და 17 გლეხი დააპატიმრა.

იმავე მიზეზით მოხდა გამოსვლა ატენში. გლეხები თავს დაესხნენ თავად რევაზ ერისთავს, რომელიც გორში გაიქცა. აჯანყებულები შეიჭრნენ ერისთავის სახლში, ავეჯი დალეწეს, მოურავს სცემეს, მოშალეს თავადის ბრძანებით გაკეთებული ზღუდე, რომლითაც გლეხებს მოსავლის გამოტანის საშუალებას არ აძლევდა, წაახდინეს მემამულის ნათესები, განაიარაღეს ჩაკეტილი გზის და ბაღის მცველები. რევაზ ერისთავის სოფელში დაბრუნება მხოლოდ გორიდან გატანებული რაზმის დახმარებით მოხერხდა. მაგრამ თავადი და მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და გლეხებს საძოვრები დაუბრუნეს.

ასეთი სოციალური დაპირისპირების გამო მოხდა გორის მაზრის მემამულეთა შეკავშირება გიორგი ამილახვრის მეთაურობით. გ. ამილახვარმა, ერთ-ერთი თანამედროვის გადმოცემით, გორის მახლობლად, სოფ. ორთაშენში, თავის სასახლეს ქვითკირის გალავანი შემოავლო, ოთხკუთხივ კოშკები აუშენა და პატარა „ფეოდალური სახელმწიფო“ შექმნა. მას ახლომახლო სოფლები ტერორიზებული ჰყავდა. სასახლეში შეიარაღებული რაზმი ჩააყენა, რომელიც ყოველთვის თან სდევდა. გორის მაზრის თავადაზნაურობას გიორგი ამილახვარი თავის მფარველად მიაჩნდა. ამიტომ მის ამალაში იყვნენ ცნობილი მემამულეები – არჩილ ჩუბინიშვილი, სანდრო კვალიაშვილი, ფალავანდიშვილები, ტატიშვილები, დიდებულიძეები. ამილახვარს დაქირავებული ჰყავდა ქისტები, ჩე-

ჩნები, ლეკები და ოსები. მან ბორჩალოს მაზრიდან მოიყვანა 30 კომლი თათარი, რომლებიც ტინისხიდში დაასახლა, სახლ-კარის ადგილი და საძოვრები გამოუყო და მათ, საჭიროებისამებრ, შეიარაღებულ ძალად იყენებდა. ამილახვარს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალიდან მხოლოდ მოურავი და კიდევ რამდენიმე ახლო თანამშრომელი იღებდა ჯამაგირს. დანარჩენისათვის შემოსავლის წყარო იყო ძარცვა-რბევა[1].

როგორც „მოგზაური“ წერდა, ქართველ თავადაზნაურობას *„მოუკრებია ადგილობრივად უსაქმოთ მოხეტიალე ხუნხუზები და გამოუწყვია ეგრეთ წოდებული „თავადაზნაურთა დრუჟინა“, 750 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტში კურსდამთავრებული პირიო და ეს ვაჟბატონი თურმე მათრახით ხელში მაწანწალა ბრბოს თანხლებით, დაძრწის ქართლის ქალაქებსა და დაბებში და შიშის ზარსა სცემს ადგილობრივ უწყინარ და მშვიდობიან მცხოვრებლებსო“*[2].

თავადაზნაურთა „შავ რაზმებს“ გლეხებმა თავიანთი „წითელი ასეულები“ დაუპირისპირეს. მათ კასპში განაიარაღეს კაზაკთა რაზმი. 13 სექტემბერს განაიარაღეს პოლიციის რაზმები ნოსტესა და მეჯვრისხევში და ა.შ.

1905 წლის 9 იანვრის „სისხლიანი კვირით“ დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია, რომელმაც მთელი საქართველოც მოიცვა. გორსა და გორის მაზრის ამ პერიოდის რევოლუციური მოძრაობა თითქმის მთლიანად დაკავშირებულია ი.ბ. სტალინის სახელთან. ამიტომ იყო, რომ თავისი დარაზმულობით, მოთხოვნებით და ორგანიზაციით გორი გამოირჩეოდა სხვა ქალაქებისაგან[3].

უკვე 1905 წლის თებერვალში ქ. გორში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. ვრცელდებოდა რევოლუციური პროკლამაციები, ლოზუნგები და ბროშურები. გორის საზოგადოების ყველა სოციალური ფენა, მიუხედავად თავისი ინტერესებისა, რევოლუციაში მონაწილეობდა, ყველამ ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას.

მნიშვნელოვანი დღე რევოლუციის პერიოდის გორის ისტორიაში იყო იმავე წლის 14 მარტი. განთიადზე ათასამდე გორელმა საერთო საძოვრების მიწები მიიტაცა და მცხოვრებნი შეავიწროვა. გორელები ამიროვს უჩიოდნენ, მაგრამ სასამართლო ყოველთვის

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 179-180.*

[2] *„მოგზაური“, 1905, №7.*

[3] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია,* <u>*გვ.* 217</u>

უკანასკნელს უჭერდა მხარს. სოციალ-დემოკრატიის გორის ორგანიზაციის წაქეზებით ხალხმა ძალას მიმართა, ამიროვის მამულში შეიჭრა, ხეხილი და ვაზი აჩეხა, თივა გააფუჭა, ღობე მოშალა და კეტებით შეიარაღებული ქალაქისაკენ დაიძრა. აღელვებულმა ხალხმა როცა ცუცა ამიროვის სახლს ჩაუარა, გაახსენდათ, რომ ცუცა გარეთუბნელებს ავიწროებდა. სახლს ქვები დაუშინეს და ფანჯრები ჩაუმტვრიეს შეძახილით: *„გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთიანობას“. „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“.* იმავე დროს ქალაქში მოსწავლე ახალგაზრდობა ღელავდა.

დილიდანვე გორის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა მეცადინეობა მიატოვეს და სასულიერო სასწავლებლის გაფიცულ მოსწავლეებს შეუერთდნენ, რომლებიც უკვე სამი კვირის განმავლობაში უარს ამბობდნენ სწავლის გაგრძელებაზე და თავიანთ მოთხოვნებს აყენებდნენ. გაფიცულთა შორის მრავლად იყვნენ თბილისის სასულიერო სემინარიის და გიმნაზიის მოსწავლეები. მათ შეუერთდა ქალაქის მოსახლეობა. მანიფესტანტები საოსტატო სემინარიასთან მივიდნენ და ქვები დაუშინეს, რადგან სემინარისტები მშვიდად იყვნენ და მეცადინეობას აგრძელებდნენ. ამის შემდეგ გორის ყველა სასწავლებელმა მეცადინეობა შეწყვიტა. როდესაც ამიროვის სახლ-კარის და მამულის დამაქცეველნი ქალაქში შემოვიდნენ, ისინი მოსწავლეებს შეუერთდნენ და არტილერიის მოედნისაკენ (ყოფილი „ინტურისტის“ შენობის ადგილას) გასწიეს. მოედანზე სალდათებმა ხალხს ესროლეს. *„მოკლეს უსუსური ბავშვი და დასჭრეს ოცამდე კაცი“*[1]. დაჭრილთაგან რამდენიმე კაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა. 16 მარტს დაღუპულთა დასაფლავება გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა[2]. როდესაც ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი გორელი ჯაშუში-მოღალატე იყო, გორელები სასტიკად გაუსწორდნენ მათ.

ცნობილია, როგორ მოექცნენ ერთ-ერთ მოღალატეს – სამუკაშვილს. სამუკაშვილი 14 მარტს დაიჭრა და 20 მარტს გარდა-

---

[1] *„მოგზაური“, 1905, №11.*

[2] ყოფილი „სასტუმრო „ინტურისტის“ სამხრეთ კედელზე მიმაგრებულია მემორიალური დაფა, საიდანაც ვიგებთ: *„ამ ადგილას 1905 წლის 14-27 (ახალი სტილით) მარტს მოხდა დემონსტრაციის მონაწილეთა სისხლისმღვრელი შეტაკება მეფის ჯარის ნაწილებთან. მოკლულ იქნა 3 და დაიჭრა 11 დემონსტრანტი. მოკლულთა დაკრძალვა 16-17 (29-30 ახ. სტ.) მარტს გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად მეფის თვითმპრობელობის წინააღმდეგ“.*

იცვალა. როცა გაირკვა, რომ იგი მთავრობის აგენტი იყო, გორის რევოლუციურმა კომიტეტმა დაადგინა, სამუკაშვილი ქრისტიანული წესით არ დაესაფლავებინათ. მოკვლით დაემუქრნენ ყველას, თუნდაც ნათესავი ყოფილიყო, ვინც დაკრძალვაზე მივიდოდა. მართლაც, პროცესიაში მონაწილეობდა მხოლოდ მღვდელი და ორიოდე პოლიციელი[1].

გლეხთა უკმაყოფილებას და გამოსვლების მიზეზების შესასწავლად მთავრობამ, ე.წ. ცხელ წერტილებში – ოზურგეთში, გორისა და დუშეთის მაზრებში გაგზავნა მაღალი რანგის მოხელეები. გორისა და დუშეთის მაზრის რევიზია დაევალა სამხარეო ადმინიტსტრაციის თვალსაჩინო მოხელის ე. ევიდენბაუმის მეთაურობით შექმნილ კომისიას. ევიდენბაუმი გორში მოვიდა 1905 წლის 5 მარტს. 7-14 მარტს კომისია ეწვია მეჯვრისხევს, ხიდისთავს, ახალქალაქს, კავთისხევს და ხაშურისა და სურამის სასოფლო საზოგადოებებს. კომისიის წევრებმა მოისმინეს გლეხთა მოთხოვნები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კავთისხევის და ნიჩბისის სასოფლო-საზოგადოებათა გლეხების 1905 წლის 10 მარტის მოთხოვნები. იგი შედგებოდა 35 მუხლისაგან. გლეხებმა აგრარული, იურიდიული, საგადასახადო, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად დააყენეს საკითხი (მუხლი 24) თბილისში, სახელმწიფო ხარჯზე, უნივერსიტეტის დაარსების შესახებ[2].

თბილისში უნივერსიტეტის გახსნის, სოფლებში ბიბლიოთეკების დაარსების, ომის შეწყვეტის, კრებების, ბეჭდვის, სიტყვის თავისუფლების, უნივერსიტეტის დაარსების და სხვა მოთხოვნების წამოყენება, მიუთითებს გორის მაზრის გლეხობის შეგნების მაღალ დონეზე.

1905 წლის საპირველმაისოდ გავრცელდა ბოლშევიკური პროკლამაციები ერთსულოვანი გამოსვლების მოწოდებით. ეს პროკლამაციები გააკრეს გორშიც, ხოლო 1 მაისს გაიმართა მიტინგი, ივნისში კი მოეწყო გაფიცვა. მუშათა შესაიარაღებლად ბოლშევიკებმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და სოფელში მოაწყეს სახელოსნო-ლაბორატორიები იარაღისა და ასაფეთქებელი მასა-

---

[1] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია გვ. 221.*

[2] *ხუციშვილი ი., გორის მაზრის რევოლუციური გლეხობის 1905 წლის ერთი მოთხოვნის შესახებ. „საქართველოს კომუნისტი“, 1963,№6, გვ. 76-77,* იხ. აგრეთვე, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 195.*

ლის დასამზადებლად. სახელოსნო მოქმედებდა გორის მაზრის სოფ. რკონშიც[1].

დაიწყო გლეხთა გამოსვლები. როგორც სოციალ-დემოკრატებთან ახლომდგომი ერთ-ერთი კორესპონდენტი წერდა, *„გლეხთა მოძრაობამ ერთბაშად მოიცვა ჩვენი მაზრის ყველა სოფელი. იმ ადგილებში, სადაც ჩვენმა ამხანაგებმა მისწერეს, მოძრაობამ შეგნებული მიმართულება მიიღო. აყენებდნენ, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ მოთხოვნებს... მოძრაობა დაიწყო მარტის დამლევს... სოფლად კრებები ღია ცის ქვეშ ეწყობოდა. მათ 80-100 და 1000 კაციც კი ესწრებოდა. მოდიოდნენ ახლომდებარე სოფლების გლეხები 10-15 ვერსის სიშორიდან. სოფელ ახალქალაქში მოეწყო ერთხელ 2-ათასიანი კრება, მეორედ – 5 ათასიანი, გაიმართა დემონსტრაცია დროშებით. სოფელ ალში მოეწყო 3-ათასიანი კრება. ასეთივე კრებები იმართებოდა გორის მაზრის ყველა სოფელში. ორატორები ლაპარაკობდნენ წმინდა პოლიტიკურ თემებზე, კრებებს ესწრებოდნენ ახალგაზრდები და მოხუცები, ქალები და ბავშვები. აქვე ირჩევდნენ თავიანთ ადამიანებს და გამოჰქონდათ დადგენილებები – შეწყვეტილიყო ყოველგვარი დამოკიდებულება პოლიციასთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიემართათ არჩეული პირებისათვის. არჩეულები თვალყურს ადევნებდნე, რომ სოფლად არ მომხდარიყო უწესრიგობა ცეცხლის წაკიდება, ტყის გაჩეხვა, ძარცვა“*[2].

1905 წლის 2 ივნისს თავადმა ფავლენოვებმა (ფავლენიშვილები) და აზნაურმა ტატიევებმა (ტატიშვილები) გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს დეპეშით აცნობეს, რომ კვლავ დაიწყო გლეხთა მასობრივი აჯანყებანი, რომ ქართველი და ოსი გლეხები ანადგურებდნენ მემამულეთა კარ-მიდამოს, კლავდნენ აზნაურებს, პოლიცია უმწეო იყო. გლეხთა მღელვარების საყოველთაო მრისხანე აჯანყებაში გადაზრდის საფრთხე არსებობდა, ამიტომ, დასახელებული თავადაზნაურები მოითხოვდნენ დახმარებას და დაცვას. ასეთივე თხოვნით მიმართა მეფისნაცვალს გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ა.კ. ბაგრატიონ-დავიდოვმა (დავითაშვილმა)[3].

1905 წლის ივნისში თბილისის საგაფიცვო მოძრაობამ გამოძახილი ჰპოვა საქართველოს ქალაქებში. გორში გაფიცვა დაიწყო

---

[1] *„პროლეტარი“, 1905, №1.*

[2] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II,* გვ. 101.

[3] *სეა, ფ. 3, საქმე 23, ფურც. 11.*

21 ივნისს, მუშებს მიემხრნენ ხელოსნები, ქარგლები, მეპურეები, მეეტლეები, წყლის მზიდავები, შეწყდა ვაჭრობა, პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. ქალაქის ხელისუფლება შეშფოთდა. წესრიგის დასაცავად გორის სათადარიგო პოლკიდან 106 კაცი გამოიყვანეს. მათ დაევალათ გაფიცულთა გარეკვა, მაღაზიების გაღება და ჯარისკაცების მიერ ვაჭრობის წარმოება, კერძო ფურნეებში პურის გამოცხობა[1].

გორისა და დუშეთის მაზრებში გაიგზავნა კომისია გენერალ-ადიუტანტ ნ.გ. ამილახვრის მეთაურობით, რომელსაც უაღრესად ფართო უფლებები მიანიჭეს. ამილახვარს თან ახლდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკი, თბილისის გუბერნატორი ადიშევსკი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ფინანსთა სამინისტროდან ჯენკოვსკი და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე, უკვე ცნობილი ე. ვეიდენბაუმი.

მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა გლეხობას და დაპირდა, რომ რეფორმების გზით გლეხობას საშუალებას მისცემდა სახაზინო მიწები იჯარით მიეღოთ, ბანკის საშუალებით მემამულეთა მიწები შეეძინათ და ა.შ. გლეხობის ერთმა ნაწილმა დაიჯერა, რომ მშვიდობიანი გზით შეძლებდა თავის პრობლემების გადაწყვეტას. 1905 წლის 6 ივლისს გორის მაზრის გლეხების დელეგაცია მეფისნაცვალს ეწვია, რომელმაც გლეხებს კვლავ გაუმეორა დაპირება. გენერალი ამილახვარი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა გლეხებს განეახლებინათ სახელმწიფო გადასახადების გადახდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ, ხელისუფლებამ რეპრესიები გააძლიერა. 29 ივლისს, რადგან გორში მაღაზიები არ ვაჭრობდნენ, მაზრის უფროსმა შეიარაღებული ჯარისკაცები დააყენა და მეპატრონეები აიძულა ევაჭრათ. მეორე დღეს მეპატრონეებმა მაღაზიები საერთოდ აღარ გააღეს და თვითონაც სადღაც მიიმალნენ. ჯარისკაცებმა, მაზრის უფროსის ბრძანებით, შეამტვრიეს მაღაზიების კარებები და თვითონ დაიწყეს ვაჭრობა. ამის შემდეგ მეპატრონეები კი გამოჩნდნენ, მაგრამ ნავაჭრის მხოლოდ ნახევარი მიიღეს[2].

გაფიცვები და მღელვარება გორში და გორის მაზრაში ივლისსა და აგვისტოშიც გრძელდებოდა. როგორც მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში იყო ნათქვამი, გორის მაზრაში *„თანამდებობის პირებს ბოიკოტს უცხადებენ, უარს ამბობენ მათ კანონიერ მოთხოვნილებათა შესრულებაზე, გლეხები რევო-*

---

[1] *იქვე.*

[2] *Хуцишвили Я., Горийский уезд вперио́д революции, с. 101.*

*ლუციონერთა ხელმძღვანელობით თვითონ ირჩევენ თავიანთი წრიდან ასისთავებს და მოსამართლეებს, რომლებიც მართავენ ცალკეულ რაიონებს და ხელმძღვანელობენ ხალხს... ასეთ პირობებში, თუ უახლოეს მომავალში მიღებული არ იქნება ენერგიული ზომები რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად, მაშინ მთავრობის ავტორიტეტის აღდგენისათვის საჭიროს გახდება მხარის ხელახალი დაპყრობა"[1].*

დაიწყო დაპატიმრებები, გორსა და გორის მაზრაში დაპატიმრებულ იქნა 300-ზე მეტი კაცი. ჯარი და შავრაზმებელები სოფლებს იკლებდნენ და წვავდნენ.

გორში შექმნილ ვითარებაზე და ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოადგენას გვიქმნის გორის სასამართლოს პრისტავის წერილი. პრისტივი ჩივის: *„ოქტომბრის ბოლოს იმართებოდა მიტინგები გორში. ჩვენ გორის მოხელეები უარს ვამბობდით მიტინგზე დასწრებაზე, მაგრამ ძალას გვატანდნენ, გვემუქრებოდნენ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუჩაში ვეღარგამოვდიოდით. შეურაცხყოფას გვაყენებდნენ არა მარტო გორელები, არამედ სოფლელებიც და ბავშვებიც პირში შეგვძახოდნენ „ძირს ჩინოვნიკებიო"... მომრიგებელი მოსამართლე შემომჩიოდა - მეც მიყვირეს და ხულიგანი მიწოდესო. შიშისაგან ვერც ის გამოდის ქუჩაში, რამდენჯერმე ჩამიმტვრიეს ფანჯრები, ქვებს მესროდნენ. ერთი სიტყვით, მოხელეებისათვის საშიშროება ისეთი დიდი იყო, რომ როცა ვწვებოდით, არ ვიცოდით მოგვიწევდა თუ არა კვლავ ადგომა, რადგან ყოველთვის მოსალოდნელი იყო ტერორი, სახლკარის გადაწვა და სხვ.*

*ხელისუფლება ვალდებული იყო დავეცავით, მაგრამ მოხელეები ისე იყვნენ შეშინებულნი, რომ არ იცოდნენ სად დამალულიყვნენ. ხოლო თუ ვინმე მათგანი გამოჩნდებოდა ქალაქში უეჭველად თან უნდა ხლებოდა პირადი დაცვა. მაზრის უფროსი სამმართველოდან ორ ნაბიჯზე ცხოვრობდა, მაგრამ სახლიდან სამმართველოში მისვლის დროს გვერდით მიჰყვებოდნენ მცველები... მოხელეებს არ რცხვენოდათ სახალხო მოძრაობის მეთაურები მიეღოთ და თუ ვინმე რაიმე საქმეზე ამა თუ იმ მოხელეს მიმართავდა, იგი კომიტეტში აგზავნიდა მას და უმარტავდა, რომ ახლა ყველა საქმეს კომიტეტი აწესრიგებსო"[2].*

---

[1] *სეა, ფ. 1, საქმე 27, ფურც. 2-3.* ციტირებულია: *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 227-228.*

[2] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 213.*

29 აგვისტოს თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო (თბილისის გამგეობის შენობაში დახვრიტეს 100-ზე მეტი და დაჭრეს 300-მდე მუშა) სამგლოვიარო მიტინგები მოეწყო საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. მიტინგი მოეწყო გორშიც[1].

კვლავ დაიწყო გლეხთა გამოსვლები. 12 სექტემბერს სოფ. ნოსტეს წითელრაზმელები თავს დაესხნენ პოლიციელებს და იარაღი აჰყარეს. მოკლეს ერთი პოლიციელი. 21 სექტემბერს კვლავ წითელრაზმელები სოფ. ხოვლეში თავს დაესხნენ გორის პოლკის ჯარისკაცთა პატრულს[2].

მღელვარებამ მოიცვა ჯარის ნაწილებიც, რომლებიც ყოველდღიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. ისინი მართავდნენ მიტინგებს და კრებებს. ნოემბერში ასეთი კრება გაიმართა გორში[3].

ხალხმრავალი დემონსტრაცია მოეწყო 13 ნოემბერს. მღელვარება მოხდა აგრეთვე ჯარის ნაწილში. 25 ნოემბერს გორში შეიკრიბა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდა მთელი ქალაქის მოსახლეობა. რევოლუციონერმა აგიტატორებმა, რომლებიც ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, მოითხოვეს გორის მაზრის სამმართველოში არსებული იარაღის გამოტანა, თუ მთავრობა წინააღმდეგობას გასწევდა, მაშინ ძალით გამოეტანათ. რევოლუციურმა კომიტეტმა ხალხს მოუწოდა იარაღის შესაძენად ფული შეეგროვებინათ. დაადგინეს რომელი ფენის წარმომადგენლებს რამდენი უნდა გადაეხადათ. ვაჭრებს და სახლთმფლობელებს რევკომის სალაროში უნდა შეეტანათ 200-300 მანეთი, მოხელეებს და მასწავლებლებს ხელფასის 10%. მიტინგამდე ამ წესით უკვე შეგროვილი ჰქონდათ 2500 მანეთი[4].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება გორში, ჯართან და პოლიციასთან შეტაკების შემდეგ ხალხმა ხელისუფლება მოიპოვა. შეიქმნა სახალხო მილიცია, სასამართლო, ხელისუფლებამ დაიწყო ქალაქის სამეურნეო საქმეების მოწესრიგება. ისინი აკონტროლებდნენ მაზრის ტერიტორიაზე გამავალ რკინიგზის ხაზს, რკინიგზის გადაყენებული ადმინისტრაციის ადგილი მუშებმა დაიკავეს, თვით რკინიგზას წითელი რაზმები იცავდნენ. გორსა და ხაშურში აჯანყებულებმა პოლი-

---

[1] *იქვე, გვ. 218.*

[2] *იქვე, გვ. 222.*

[3] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.19, საქმე 275, ფურც. 10-13.*

[4] *ХуцишвилиЯ., Горийский уезд, с. 117.*

ტიკური პატიმრები გაათავისუფლეს[1]. ასე რომ, გორში „პატარა რესპუბლიკა“ წარმოიშვა. ამ დროს იყო, რომ „რესპუბლიკამ“ თავისი შეიარაღებული ძალების – წითელარმიელთა ერთი ჯგუფი აჯანყებული შორაპნის მაზრის დასახმარებლად გაგზავნა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1905 წლის რევოლუციის დაწყებისთანავე ქართველი ხალხის ჯალათის, ვორონცოვ-დაშკოვის ხელშეწყობით და გორელი თავადების მეთაურობით ჩამოყალიბდა „თავადაზნაურთა 700 კაციანი დრუჟინა“, რომელიც მოდებული იყო გორის მაზრის ქალაქებსა და სოფლებს და იკლებდა[2]. მათთან ერთად მოქმედება რეგულარული ჯარის დამსჯელი რაზმი პოლკოვნიკ ალფანტის მეთაურობით[3].

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: დაიწყო დაპატიმრებანი, დაიკეტა გორის საჯარო ბიბლიოთეკა, როგორც რევოლუციონერების თავშესაფარი.

გორის ადმინისტრაციამ ხელწერილი ჩამოართვა მეეტლებს, რომ ქალაქში სწრაფად არ იმოძრავებდნენ, პოლიციისა და სამხედროების ნიშანზე ეტლებს დაუყონებლივ გააჩერებდნენ. სასტუმროების, რესტორნების და კერძო სახლების მფლობელებს კლიენტები ჟურნალში უნდა აღენიშნათ. დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები და აკრძალვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სერიოზული გამოსვლები ხდებოდა გორის მაზრის სოფლებში. ხშირი იყო მემამულეთა სახლ-კარის აკლება და თვით მემამულეებზე თავდასხმები.

1905 წლის დასასრულს ხელისუფლება შეტევაზე გადადის. ამ დროს რუსეთში აჯანყება უკვე დამარცხებული იყო. მთელ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. გენერალი ბაუერი დაინიშნა გორისა და დუშეთის მაზრების დროებით გენერალ-გუბერნატორად. მან 1906 წლის 15 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით, რომელი სოფელიც ხელისუფლებას დაუმალავდა თუნდაც ერთ რევოლუციონერს, ჩაუბარებელს დატოვებდა თუნდაც ერთ თოფს და რევოლვერს, მაშინ მას ჯარისკაცები ძირფესვიანად დაანგრევდნენ.

ნოვობაიაზეთის 263-ე ქვეითი პოლკის კაპიტანის ვნუკოვსკის პატაკიდან ვიგებთ, რომ 1906 წლის 23 იანვარს ის სოფ. ხელთუ-

---

[1] *„მოგზაური“, 1905, №17.*

[2] *იქვე.*

[3] *გსიემ, №535, გვ. 209.*

ბანში მივიდა და ბრძანა გლეხები მოედანზე შეკრებილიყვნენ: ამის შემდეგ წერს იგი, *„დავუმინზე ხალხს მსხვილი საფანტით გატენილი ზარბაზნები, გარს შემოვარტყი ქვეითი ჯარისკაცები და კაზაკები გატენილი თოფებით. შემდეგ გამოვუცხადე მცხოვრებთ, რომ ისინი დაუმორჩილებლობის ან წინააღმდეგობის შემთხვევაში დაუყონებლივ მოსპობილი იქნებიან ცეცხლით და მახვილით, ხოლო სახლები და ქონება განადგურებული იქნება არტილერიით და ცეცხლს მიეცემა“*[1]. ამის შემდეგ კაპიტანმა მუხლმოდრეკილი გლეხები აიძულა პირობა დაედოთ, რომ დაუყონებლივ გამოგზავნიდნენ ახალწვეულებს, გადაიხდიდნენ გადასახადებს, დაფარავდნენ მემამულეთა მთელ დავალიანებას, შეაჩვენებდნენ და მოკლავდნენ ყველა რევოლუციონერს, ჩააბარებდნენ იარაღს და სხვ. ჯარმა არტილერიის ცეცხლით დაანგრია და გადაწვა რევოლუციონერთა სახლები. მიუხედავად გატარებული რეპრესიებისა, მთავრობამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. წინააღმდეგობის კერები მაინც არსებობდა. ცნობილია, რომ 1906 წელს გორში ჯარისკაცთა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების სამხედრო ჯგუფი არსებობდა.

ივნისში გაიფიცნენ ქ. გორისა და მისი მაზრის ქალაქების ფაბრიკა-ქარხნების და სახელოსნოების მუშები და ქარგლები. ამავე დროს ჩამოყალიბდა გორის ნოქრების კავშირები. გორში, მსგავსად სხვა მაზრებისა, დამსჯელი რაზმების წინააღმდეგ იქმნებოდა „ტყის ძმები“, რომლებიც პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდნენ და განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ.

1906 წლის 11 ივლისს, გორში, ქალაქის ბაღთან, წითელრაზმელები შეეჯახნენ 263-ე ნოვიბაიაზეთის პოლკის საპატრულო რაზმს და სროლა აუტეხეს. საინტერესოა, რას აკეთებდა აღნიშნული პოლკის რაზმი გორში? მისი დისლოკაციის ადგილი დუშეთი იყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გორის პოლკის ჯარისკაცები ნდობას არ იმსახურებდნენ, ან მდგომარეობა იმგვარად გართულდა, რომ დუშეთიდან დამატებითი სამხედრო ძალა გადმოიყვანეს.

სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების დაცხრომა, რევოლუციის დამარცხების შემდეგ დამყარებულმა რეაქციამ, ბოლომდე ვერ შეძლო. კვლავ ხდებოდა გლეხების და მემამულეთა დაპირისპირება, რომელიც ხშირად მსხვერპლით მთავრდებოდა. არცთუ იშვიათად, ინციდენტის წამომწყებად მემამულეები გამოდიოდნენ. მაინც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენთვის ცნობილი

---

[1] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II, გვ. 135.*

გ. ამილახვარი. მან გლეხებს იჯარა სამჯერ, ე.ი. 120-დან 360 მანეთამდე გაუდიდა. თანხის ამოსაღებად თავადმა თავისი მოურავი ჩაფრებით გაგზავნა, მაგრამ გლეხებმა ფულის გადახდაზე უარი თქვეს, რის გამოც მოხდა შეტაკება. მძიმედ დაიჭრა გლეხი კოდალაშვილი, სასამართლომ ამილახვარი გაამართლა[1].

მთავრობის მიერ გატარებული რეპრესიული ღონისძიებების მიუხედავად, გამოსვლები მაინც ხდებოდა.

22 ივნისს გორში ყველა სახელოსნო და მაღაზია დაიკეტა. მაღაზიები 8 ივლისსაც დაიკეტა.

15 ოქტომბერს გორის სათადარიგო პოლკში მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები გავრცელდა. გამავრცელებლები დააკავეს. ისინი იყვნენ დაბალი ჩინის ოფიცრები და ჯარისკაცები, სულ 8 კაცი, მათ შორის ორი ქართველი: მესამე ასეულის უმცროსი უნტერ-ოფიცერი სამსონ გიგინეიშვილი და მეშვიდე ასეულის უმცროსი უნტერ-ოფიცერი ლევან ბოკერია[2].

გორის მაზრის უფროსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, მთელ მაზრასა და ქალაქ გორში ანარქია სუფევდა, არ წყდებოდა გამოსვლები, ტერორისტული აქტები, ბოლშევიკები არ წყვეტდნენ ანტი-სახელმწიფოებრივ საქმიანობას, კვლავ ვრცელდებოდა პროკლამაციები, ხელისუფლება უმკაცრეს ზომებს მიმართავდა. გორის საპყრობილე ხალხს ვეღარ იტევდა. მრავალი გორელი გააციმბირეს.

1906 წლის 13 ნოემბერს გორელი აზნაურის მარიამ მიხეილის ასულ გულიშამბაროვის ბინის ჩხრეკისას აღმოჩნდა დიდძალი რევოლუციური ლიტერატურა, ხის ტარიანი 9 ცალი ბეჭედი, ქვითრები, პროკლამაციები და სხვ.

1908 წლის მაისში ხელოსან ნიკოლოზ გაბრიელის ძე დემეტრაშვილის სახელოსნოში აღმოაჩინეს შრიფტი, პროკლამაციები, წიგნები და სხვ. 1908 წლის 29 სექტემბერს რსდმპ გორის ცენტრალურმა ორგანიზაციამ პროკლამაცია გაავრცელა[3].

განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია 1908 წელს გორის ნოქართა პროფკავშირის ბიუროს მიერ გავრცელებული პროკლამაცია, რომელშიც კარგად ჩანს ბოლშევიკების ხელი. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: *„გორელო ნოქრებო! რეაქციისა და შავი ძალების გამარჯვებამ ზოგიერთი ვაჭარი ძალიან გაახარა. დარწმუნებულნი იმაში, რომ პოლიცია მათი ზურგის შემწეა, ისინი შე-*

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 337.*

[2] *სეა, ფ. 1, საქმე 312, ფურც. 66.*

[3] *გვირიტიშვილი დ., გორის ისტორია გვ. 238-252.*

*უდგნენ ძველი წესების აღდგენას. ცდილობენ მუშების ინტერესები ფეხქვეშ გათელონ, სურთ წაგვართვან ბრძოლით მოპოვებული ჩვენი უფლებები. ზოგიერთი ვაჭარი დუქანს არ ჰკეტავს 5 საათზე, როგორც ეს გადაწყვეტილი იყო, თავგასულისათვის გადაწყვეტილება არაფერს არ ნიშნავს, მათ ძველებურად სურთ კვირაობითაც ივაჭრონ. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ბაგდის დუქანი გააღოს და დაკეტოს დადგენილ დროზე, მაგრამ ის თავისას აგრძელებს. ეხლა მას თანამგრძნობნი გაუჩნდნენ, მის მაგალითს მიბაძეს გიორგი არშაკუნმა, დათიკო ბანდალოვმა და არტემ გალუსტოვმა. ახლა ამ ფურცლებით ვაფრთხილებთ მათ დაემორჩილონ ჩვენს გადაწყვეტილებას. დაე იცოდნენ, რომ თუმცა რევოლუციური ძალები შესუსტდნენ, მაგრამ არა იმდენად, რომ მათი ლაგამის ამოდება ვერ შესძლონ!"*[1].

1908 წელს პოლიციისათვის ცნობილი გახდა, რომ გორში დავით მაჭავარიანის სტამბაში პროკლამაციები იბეჭდებოდა. როდესაც სტამბა და ასოთამწყობების – კალანდაძის, მამალაძის და ურუშაძის ბინები გაჩხრიკეს, აღმოჩნდა მათი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მამხილებელი მასალები[2].

გორში იმდენად დაძაბული მდგომარეობა იყო, რომ, როდესაც 1910 წლის ივნისის დამლევს კავკასიის გუბერანტორების თათბირზე კავკასიაში სამხედრო წესების გაუქმება გადაწყდა, შეთანხმდნენ გამონაკლისი გაევრცელებინათ მხოლოდ გორსა და ოზურგეთზე, ე.ი. ამ ორ ქალაქში სამხედრო წესები კვლავ უნდა დარჩენილიყო. მართალია, სენატის ბრძანებით ქუთაისის და თბილისის გუბერნიებში გაგრძელდა სამხედრო ან საგანგებო წესები, მაგრამ საინტერესოა თვით ის ფაქტი, რომ გორი ოზურგეთთან ერთად, კავკასიის გუბერნატორების აზრით, სამხედრო წესების გაუქმებას არ იმსახურებდა.

აგრარულ ნიადაგზე სოფელ ფლავისა და ფლავისმანის გლეხებმა მემამულე გ.კ. ერისთავი მოკლეს და მისი სახლ-კარი გაანადგურეს. გლეხებს მოულაპარაკიათ და ერთმანეთისთვის შეუფიციათ, რომ მკვლელები არ გაეცათ. სოფ. წრომის გლეხებმა მოკლეს მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი, რომელიც ანტირევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა. გორის მაზრის უფროსი ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს მოახსენებდა, რომ გლეხობა უარყოფდა ვალდებულებების შესრულებას, ბოიკოტს უცხადებდა

---

[1] *სეა, ფ. 7, საქმე 963, ფურც. 11.*

[2] *იქვე, საქმე 1362, ფურც. 53-56.*

სამაზრო ხელისუფლების მიერ წამოყენებილ სამამასახლისო კანდიდატებს და სხვ[1].

გორელები უდიდესი სიხარულით და აღტაცებით შეხვდნენ 1917 წლის თებერვლის რევოლუციას. მეფის ხელისუფლების დამხობის და საქართველოს დამოუკიდებლობსი მოპოვების სიხარულს ხალხი იმით გამოხატავდა, რომ ქუჩაში გამვლელ პოლიციელებს და მეფის ოფიცრებს სამხრეებს და წარჩინების ნიშნებს აგლეჯდა, ძირს ყრიდა და ფეხით თელავდა"[2].

იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები. 1917 წლის 9 მარტს გამართულ მიტინგს 20 ათასი კაცი დაესწრო. დაიწყო ბრძოლა პარტიებს შორის. ყოველი მათგანი აცხადებდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ხალხის ცხოვრების პირობებს გააუმჯობესებდა. თვითმპყრობელობის დამხობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, გორის მთავარ ქუჩაზე, რომელსაც ახლა უკვე ერთობის ქუჩა ერქვა, გამოჩნდა კედლებზე გაკრული სხვადასხვა პარტიების მოწოდებები. თითოეული პარტია საჯაროდ აცხადებდა თავის საპროგრამო დებულებებს და ამომრჩევლებს მოუწოდებდა ხმა მიეცათ ამ პარტიის წარმომადგენლებისათვის.

არ არის ცნობილი არჩევნებისას რომელმა პარტიამ როგორი მხარდაჭერა ჰპოვა. ერთ-ერთი თანამედროვის გადმოცემით, გორელმა ებრაელებმა ხმა მისცეს ფედერალისტების პარტიას. ძნელია იმის თქმა, რა წარმოდგენა ჰქონდათ გორელ ებრაელებს აღნიშნულ პარტიაზე, მაგრამ ის კი ვიცით იმავე თანამედროვის წყალობით, რომ მაშინდელი ებრაელების თავკაცი ხაიმ ატანელოვი მეგობრულ ურთიერთობაში იყო ფედერალისტების პარტიის გორის ორგანიზაციის წევრთან, *„შუახნის სიმპათიური შეხედულების კაცთან"*, სიმონ მაჭავარიანთან. სწორედ ხომ ატანელოვის გავლენა იყო, რომ გორელმა ებრაელებმა ფედერალისტების პარტიას დაუჭირეს მხარი[3].

გორის მაზრის კომისრად დაინიშნა „ძალზე ჩასუქებული კაცი" გიორგი მაჩაბელი, რომლის მიმართ გორელების დამოკიდებულება ორგვარი იყო: ბურჟუაზია და თავადაზნაურობა ემადლიერებოდა. მშრომელი ხალხი და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია კი უკმაყოფილებას გამოხატავდა. მაზრის კომისრით

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 339-341.*

[2] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, თელ-ავივი,* გვ. 174.

[3] *იქვე, გვ. 175.*

და, საერთოდ, მთავრობით უკმაყოფილო ხალხი კლუბებში გამართულ საღამოებზე პამფლეტებს მღეროდა.

რუსეთის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გორში საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად, ჩამოყალიბდა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც აირჩია 21 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი. მისი უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ. მალე ბოლშევიკებმა კავშირი შეწყვიტეს მენშევიკებთან და თავიანთი დამოუკიდებელი ორგანიზაციები გააფორმეს.

თებერვლის რევოლუციამ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ სწრაფად ვერ მოხსნა სოციალური დაპირისპირების მიზეზები. აგრარული საკითხი კვლავ მწვავედ იდგა. რა თქმა უნდა, გორის მაზრა გამონაკლისს არ წარმოადგენდა. გლეხები უარს ამბობდნენ მემამულეთა სასარგებლოდ გადასახადების გადახდაზე (მაგ. საციციანოში გლეხებმა მიწები წაართვეს ერისთავებს, გააძევეს მოიჯარადრენი). გლეხების მიერ მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო 1917 წლის ზაფხულში.

1918 წლის თებერვალში გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო მთელ მაზრაში, რადგან მდიდარი მემამულეები – ციციშვილები, ამილახვრები, ვეზირიშვილები, აბაზაძეები – ფეოდალურ წესებს მტკიცედ იცავდნენ და გლეხებისაგან ღალა-იჯარას ძველებურად მოითხოვდნენ. განსაკუთრებით სერიოზული იყო ოსი გლეხების აჯანყება, რომლის ჩასაქრობად გორიდან და თბილისიდან ჯარები გაიგზავნა.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება მუშებში, ჯარისკაცებსა და გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევდა და ისინი თანდათანობით ბოლშევიკური იდეებით იმსჭვალებოდნენ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების გავლენა ეროვნულ პოლკებზე დიდად გაიზარდა. გორის მეოთხე ქართულ პოლკშიც არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია არსებობდა – გორის სამაზრო ორგანიზაციისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით. პოლკი თითქმის მთლიანად ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა და რევოლუციურად განწყობილი იყო. ჯარისკაცების წარმომადგენლები ცენტრიდან მიმაგრებულ ბოლშევიკებს გეურქა შახნაზაროვს და შაქრო ქებაძეს საიდუმლოდ ხვდებოდნენ გოლა ვარძელაშვილის ღვინის სარდაფში, რომელიც მდებარეობდა წე-

რეთლის ქუჩაზე და მათგან პროკლამაციებს და მითითებებს იღებდნენ[1].

იმდენად, რამდენადაც გორში დისლოცირებული პოლკის პოლიტიკურ პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო სიტუაციისათვის, ამიტომ ხელისუფლება ცდილობდა იგი თავის მხარეზე გადაეყვანა. პოლკს ეწვივნენ მაზრის კომისარი გიორგი მაჩაბელი, ქალაქის თავი სერგო რობაქიძე, გორის თვითმმართებლობის თავმჯდომარე დავით ონიაშვილი, თბილისი გუბერნიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრის წევრი სანდრო კეცხოველი, ქ. გორის თვითმმართებლობის გამგეობის წევრ შაქრო ჯავახიშვილი და გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიული ცენტრის თავმჯდომარე გიორგი ვარდოიანცი. ამ საკმაოდ მაღალი ჩინის წარმომადგენლების ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა. ჯარისკაცები მიტინგებს მართავდნენ და მთავრობის დამხობას მოითხოვდნენ. ჯარისკაცებისა და გვარდიის ერთ-ერთი შეტაკებისას ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს 1272 შაშხანა და 100 ათასი ვაზნა. გორის მაზრის კომისარი გ. მაჩაბელი ამიტომ ამბობდა, რომ უკეთესი იქნებოდა ქართლის შუა გულში, ე.ი. გორში ოსმალები ყოფილიყვნენ დაბანაკებულნი, ვიდრე ავაზაკთა ეს ბრბო.

მთავრობამ ბოლოს მაინც შეძლო პოლკის განიარაღება, მაგრამ ეს ხელისუფლების დროებითი წარმატება იყო.

1918 წლის 10 იანვარს გორელები შეაკრთო სამაზრო კომისარიატის შენობიდან ტყვიამფრქვევის სროლის ხმამ, რაც გორში დაბანაკებული მეოთხე პოლკის ჯარისკაცების აჯანყების მაუწყებელი იყო. მათ ყაზარმაში დაპატიმრებული ბოლშევიკი ჯარისკაცები გაათავისუფლეს. იარაღის საწყობი გატეხეს და თოფები გლეხებს დაურიგეს.

აჯანყებულ ჯარისკაცებს გვარდიამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია, კომისარიატის შენობაში ჩაიკეტნენ და ჯარისკაცების შესაშინებლად ტყვიამფრქვევებით ჰაერში სროლა ატეხეს[2]. გორი ერთი დღე აჯანყებულთა ხელში იყო. გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ გორელი ჯარისკაცები – გიგლა ალექსიძე და სტეფანე მურადოვი. მეორე დღეს, გვარდიის დამატებითი ძალების შეყვანის შემდეგ, აჯანყებულების განაიარაღეს, პოლკი დაშალეს, ჯარის-

---

[1] *კოშუაშვილი კ., ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის გორში // „გამარჯვება“, 1971, №64.*

[2] *„დროება“, 1918, №48.*

კაცები სხვადასხვა ნაწილებში გადაიყვანეს, ზოგმა გაქცევით უშველა თავს[1].

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, საპროტესტო მიტინგის დახვრეტის შემდეგ ბოლშევიკების გორის სამაზრო ორგანიზაცია იატაკქვეშეთში გადავიდა. ორგანიზაციის აქტიურმა წევრებმა – გიორგი ოქრუაშვილმა და დურგალმა სოლომონ ფაცინაშვილმა სამაზრო ბიუროს ბინა დაცალეს, საბუთები, დროშა და აბრა რუსთაველის ქუჩაზე გიგლა ვარძელაშვილის ღვინის სარდაფში (ზაზუნაშვილების ეზო) გადამალეს.

გორის მაზრაში შეიარაღებულ აჯანყებას სამაზრო ბოლშევიკური ორგანიზაცია ამიერკავკაციის სამხარეო კომიტეტის რწმუნებულების შ. მათიკაშვილის, ვ. კილასონიძის, ა. მურადოვის, გ. შახნაზაროვის და სხვათა ხელმძღვანელობით ამზადებდა. გორშიც შეიქმნა აჯანყების არალეგალური შტაბი, რომელიც მოთავსებული იყო ყოფილ მთის ქუჩის №2-ში. შტაბს ხელმძღვანელობდნენ ბაქოდან ჩამოსული არშაკ მურადოვი და მისი ძმა, მეოთხე პოლკის მოსამსახურე, ბოლშევიკი სტეფანე მურადოვი. ბინაც ყმებისა იყო, შტაბის შეკრება ხდებოდა აგრეთვე ნიკა წიკლაურის და სხვათა ბინებზე[2].

1918 წლის თებერვალში მღელვარება დაიწყო გორის მაზრის ოსებით დასახლებულ სოფლებში. აჯანყებულებმა ცხინვალის აღება განიზრახეს, ისინი ჯერ ქალაქის გარშემო დაბანაკდნენ, ცოტა ხნის შემდეგ შეუტიეს, აიღეს და 29 მარტს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს.

გორის მაზრაში შეკრებილმა და თბილისიდან გამოგზავნილმა ჯარმა გორში მოიყარა თავი და ცხინვალისაკენ დაიძრა. მას თან გაჰყვნენ გორის მაზრის კომისარი გიორგი მაჩაბელი და თბილისიდან მოვლინებული მთავრობის წევრი სანდრო კეცხოველი. ეს ორივენი, როგორც ამბების მხილველი მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე იგონებდა, ცხინვალში შემოსულმა ოსებმა დახოცეს და მათი დაჩეხილი გვამები ქუჩაში დაყარეს[3].

გვარდიამ და ჯარის ნაწილებმა აჯანყება ჩააქრეს, მოსახლეობა განაიარაღეს და აჯანყების ბევრი მონაწილე დააპატიმრეს.

---

[1] *პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, თელ-ავივი, გვ. 176.*

[2] *იქვე.*

[3] იროდიონ ოქროპირიძის მოგონებების გამოუქვეყნებელი ფრაგმენტი გამაცნო მისმა შვილიშვილმა, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორმა, ქალბატონმა ნუნუ ოქროპირიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

დაღუპული გ. მაჩაბლის და ს. კეცხოველის ცხედრები გორში ჩამოასვენეს და პანაშვიდი გადაუხადეს. მათ დაკრძალვას ბევრი ხალხი დაესწრო. პროცესიის დროს ერთობის ქუჩაზე მთავრობის წარმომადგენლები და ხალხი მარსელიოზას მღეროდნენ. მიცვალებულები ყოფილი სასულიერო სემინარიის ეზოში დაასაფლავეს. დაკრძალვის წინ გამართულ მიტინგზე მთავრობის წარმომადგენლებმა სიტყვები წარმოთქვეს[1].

საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ხელისუფლებას აიძულებდა დასავლეთში მოეძებნა ისეთი მოკავშირე, რომელიც ხელს შეუწყობდა მის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას, ეკონომიკის და ფინანსების გამოცოცხლებას, დაეხმარებოდა საზღვრების მთლიანობის და, საერთოდ, დამოუკიდებლობის დაცვაში.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი უარყოფითად არის შეფასებული. ის გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც მაშინდელ საქართველო-გერმანიის ურთიერთობის, გერმანიის ჯარის აქ მოქმედებას ასახავს, გვარწმუნებენ შეფასების ობიექტურობაში. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმავე მკვლევარების მიერ საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის შეფასებაზე.

საქართველოში მოკალათებული გერმანელები, დარწმუნებულნი ხელისუფლების სისუსტეში, ბუნებრივია, მას ჯეროვან ანგარიშს არ უწევდნენ, გერმანელთა ჯარი ჩაყენებული იყო საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტში და, რა თქმა უნდა, გორშიც. გორში გერმანელთა ჯარის შემოსვლასთან დაკავშირებით ვიგებთ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის მიერ გორიდან თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გაგზავნილი დეპეშიდან. *„დღეს, 4 აგვისტოს (1918 წლის-ე.მ.) გორში მოვიდა გერმანელთა ჯარების ერთი ეშელონი, – ნათქვამია დეპეშაში, – კიდევ მოდის ორი ეშელონი დაახლოებით 1300 კაცი, ხვალისათვის, 4 აგვისტოს (ასეა დოკუმენტში – ე.მ.), დილის თერთმეტ საათზე გერმანელთა მიერ დანიშნულია... (გამოტოვებულია დოკუმენტში – ე.მ.). წინასწარ გთხოვთ სათანადო განკარგულებას მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის გამ-*

---

[1] *კოშუაშვილი კ., ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის გორში.*

[2] *გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს. დოკუმენტებისა და მასალების კრებული / შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942, გვ. 77-78.*

*ოზაგვნის შესახებ. მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი მაისურაძე, მაზრის კომისარი გაგუა. გორის ქალაქის თავი რობაქიძე“[4].*

როდესაც გორის მაზრის მემამულეებმა იგრძნეს, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც სოციალური თანასწორობის პრინციპს სახელმწიფო პოლიტიკად აცხადებდა, ვეღარ იცავდა მათ და, როგორც ჩანდა, არც ჰქონდა ასეთი სურვილი, გერმანელთა გამოყენება სცადეს. მათ მიმართეს გერმანიის დელეგაციის უფროსს გენერალ ფონ კრესის, რათა ეშუამდგომლა საქართველოს ხელისუფლების წინაშე გორის მაზრის გლეხებისათვის მემამულეთა სასარგებლოდ გადაეხდევინებინა საიჯარო ქირა გერმანელთა საგანგებო სამხედრო რაზმების დახმარებით.

გენერალმა კრესიმ, თურმე, რამდენჯერმე სიტყვიერად მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს, რათა მემამულეთა თხოვნა დაეკმაყოფილებინა. მინისტრს გერმანელი გენერლისთვის სასურველი გულმოდგინება არ გამოუჩენია. ამიტომ იყო, რომ კრესიმ ოფიციალურად, წერილობით მიმართა (1918 წლის 22 სექტემბერი) მას.

ყურადღებას იქცევს მიმართვის ულტიმატური ტონი: *„ბატონო მინისტრო! მე გავიგე, რომ დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ყველა ჩვენ ცდასა და ზეპირ თხოვნას, რითაც მე პატივი მქონდა მომემართა თქვენი აღმატებულებისა და ბატონ მინისტრ-თავმჯდომარისადმი იმის შესახებ, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, გლეხებს 1917 წლის მოსავლის საიჯარო ქირა გადაეხადათ გორის მაზრის მემამულეებისათვის. პირობით, როგორც ჩანს, მდგომარეობა დღითი-დღე სულ უფრო უარესდება, რადგან მემამულეები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ მოკვლის შიშით, ვერ გაუბედნიათ თავიანთ მამულებში მისვლა კუთვნილი თანხის ასაკრეფად.*

*ვიღებ რა მხედველობაში ასეთ აუტანელ მდგომარეობას, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ წინადადებით – დაუყონებლივ შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენელი, მემამულეების ორი წარმომადგენელი და დელეგაციის ერთი წარმომადგენელი (იგულისხმება გერმანელთა ოფიციალური წარმომადგენელი – ე.მ.). ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს ის საერთო თანხა, რაც ჯერ კიდევ ასაღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს, შემდეგ კი შეუდგეს კუთვნილი საიჯარო ქირის აკრეფას. ამ უკანასკნელი ამოცანის წარმა-*

*ტებით შესასრულებლად კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, აგრეთვე გერმანელთა სპეციალურმა სამხედრო რაზმმა.*

*გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, კეთილინებოთ და რაც შეიძლება მალე შემატყობინოთ პასუხი აღნიშნულ ჩემს წინადადებაზე, რომელიც როგორც მე მგონია, ერთდაერთ საშუალებას წარმოადგენს გერმანელთა ჯარების შეიარაღებული ჩარევის თავიდან ასაცილებლად. ვსარგებლობ შემთხვევით კვლავ გამოვთქვა თქვენი აღმატებულების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის გრძნობა. ფონ-კრესი"[1].*

მოვლენები გერმანელი გენერლისათვის სრულიად მოულოდნელი მიმართულებით განვითარდა. როგორც ჩანს, მისმა დაუფარვი მუქარის ტონით დაწერილმა წერილმა საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. გორის მაზრის თავადაზნაურობა საქართველოს შინაგან საქმეებში უცხო ძალის ჩარევის პროვოცირებას ახდენდა. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ გორელი მემამულეების არასასურველი მოქმედების აღსაკვეთად მათი დაპატიმრება არჩია, ხოლო გენერალი პასუხის ღირსად არ ჩათვალა. გენერალი კრესი შეშფოთდა. მიხვდა, რომ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა. მან ჯეროვნად ვერ მოზომა და საქართველოს ხელისუფლების ავტორიტეტი შელახვის საშიშროების წინაშე დააყენა. ამიტომ იყო, რომ გენერალმა ტონი შეიცვალა, რაც კარგად ჩანს მის მიერ რამიშვილისადმი გაგზავნილ წერილში (1918 წ. 25 სექტემბერი). მოვიყვან ამ უაღრესად საინტერესო ვრცელ წერილს შემოკლებით.

*„ბატონო მინისტრო! გორის მაზრის მემამულეების – თავად გიორგი და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილების, დეკანოზოვის და მათი მეგობრების დაპატიმრების ცნობამ მაშინვე გამოიწვია ქალაქში მითქმა-მოთქმა, თითქოს ეს პირნი იმისათვის დაეპატიმრებინათ, რომ მათ თხოვნით მიმართეს გერმანიის დელეგაციის დახმარება გაეწია მათთვის 1917 წლის მოსავლის კუთვნილი საიჯარო ქირის აღების საქმეში... მაგრამ არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო იმ ხმებს, რაც ყოველთვის წარმოიშობა ხოლმე ამგვარ შემთხვევებში და რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეთ.*

*ამის გამო, თქვენი აღმატებულებისათვის ნათელი იქნება, რომ თავიდანვე ყოველი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნო ამ საქმის დაუყონებლივ გამოკვლევას. იმ ცნობის მიხედვით, რაც მე მომეპოვება,*

[1] *იქვე, გვ. 110-111.*

*დაპატიმრების მიზეზი იყო სახელმწიფო ღალატის ბრალდება... ჩემი აზრით მარტო ის ფაქტი, რომ მემამულეებმა დახმარებისათვის მე მომმართეს, საფუძვლად ვერ დაედება მათთვის დანაშაულის ბრალდებას...“*[1].

27 სექტემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა გენერალ კრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც, იმის გარდა, რომ ახსნილია მემამულეთა დაპატიმრების მიზეზი, განმარტებულია აგრეთვე ყოფილ თავადაზნაურებისადმი მთავრობის დამოკიდებულების პოლიტიკა არა მხოლოდ გორის მაზრაში, არამედ მთელ საქართველოში.

*„თქვენო აღმატებულებავ! პასუხად თქვენი პატივსადები წერილების 22 და 25 სექტემბრის თარიღით, №1018 და 1016, პატივი მაქვს განვუმეორო თქვენს აღმატებულებას ის, რაც ჩემს მიერ უკვე იყო სიტყვიერად თქმული, სახელდობრ, რომ ხსენებული მემამულეები იმისათვის დააპატიმრეს, რომ ისინი ცდილობდნენ კვლავ შეექმნათ შავი რაზმი, მსგავსად 1905 წელს მოქმედი რაზმისა, ეს კი გამოიწვევდა ანარქიას მთელ ქვეყანაში, და ამ საკითხზე სასწრაფო წესით სწარმოებს სასტიკი გამოძიება.*

*საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მთავრობა ადგია არსებული კანონების მტკიცედ შესრულების თვალსაზრისს, რომელთა საფუძველზეც მემამულეებს მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ კანონით მათდამი მიკუთვნებული შემოსავალი მამულებიდან ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტებისა და სასურსათო ორგანიზაციების მეშვეობით, და, უკეთუ ისინი არ დაეთანხმებიან ამ დაწესებულებათა დადგენილებებს, მათ უნდა მიმართონ სასამართლოს ამიტომ მთავრობას არ შეუძლია დაუშვას ყოფილ მემამულეთა დამოუკიდებელი გამოსვლები, რისკენაც ისინი ისწრაფვოდნენ.*

*ამის გამო ვფიქრობთ, რომ თქვენი აღმატებულება ზედმეტად მიიჩნევს შერეული კომისიის შექმნას, რის საჭიროებაც არ არის.*

*რაც შეეხება მოქალაქეებს, ყველა მათს უფლებებს თანაბრად იცავს კანონი და მთავრობა. აი, რატომ მიიჩნია მთავრობამ კანონიერ ქმედებად სოფლის მეურნეთა კავშირის შექმნა. გარდა ამისა, მე წინადადება მივეცი ამ კავშირის მოღვაწეებს წარმოადგინონ პროექტი ყოფილ თავადაზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რაც სრულდება კიდეც.*

---

[1] *იქვე, გვ. 115-116.*

*დასასრულ საჭიროდ ვთვლი განვუცხადო თქვენს აღმატებულებას, რომ მთავრობას არავინ დაუპატიმრებია ჩვენთან მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფი მისიისადმი მიმართვის გამო და რომ ამგვარი ხმები ვრცელდება ბოროტი განზრახვით, ჩვენი კარგი ურთიერთობის ჩაშლის მიზნით. ჩვენი ცნობების თანახმად, ამას სჩადიან ყოფილ თავადაზნაურთა ზოგიერთი წრეებიც, რათა ვიწრო ჯგუფობრივი ინტერესებისათვის გამოიყენონ თქვენი აღმატებულების ავტორიტეტი...“*[1]

ციტირებული წერილიდან ჩანს, რომ მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოეწესრიგებინა აგრარული ურთიერთობა სოფლად. მის პოლიტიკას არ შეესაბამებოდა საქართველოში გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლის მოქმედება, რომელიც მემამულეთა დაცვას იარაღითაც კი ფიქრობდა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა სერიოზულ სოციალურ და პოლიტიკურ აფეთქებას.

მართალია, ზემოაღნიშნული ამბების შემდეგ გერმანელებს მალე საქართველოს დატოვება მოუხდათ და ქვეყნის სხვა „გადამრჩენები“ გამოჩნდნენ ინგლისელებისა და სხვათა სახით, მაგრამ ყველაფრისდა მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის გავლენა სულ უფრო იზრდებოდა. იზრდებოდა და მტკიცდებოდა ბოლშევიკების ორგანიზაციის გავლენა გორშიც. კატასტროფა ახლოვდებოდა.

1919 წლის ოქტომბრის დასაწყისში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შეიმუშავა აჯანყების ორგანიზაცია და განსაზღვრა გამოსვლის დღე. გადაწყდა აჯანყება დაეწყოთ ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავისათვის, კერძოდ, 24 ოქტომბერს, შემდეგ გამოსვლა დაინიშნა 23 ოქტომბრისათვის, ღამით. მთავრობამ იცოდა ბოლშევიკების განზრახვა და ყველა ღონეს ხმარობდა გადატრიალების თავიდან ასაცილებლად. როდესაც ცნობილი გახდა აჯანყების თარიღი, მთავრობამ ძალების მობილიზაცია მოახდინა და შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისში საალყო მდგომარეობა გამოაცხადა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამაზრო ხელისუფლებას დეპეშა გაუგზავნა და გააფრთხილა მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ. გაფრთხილებული იქნა გორის მილიციის უფროსიც. გორის სამაზრო კომუნისტურმა ორგანიზაციამ დროზე მიიღო ცნობა აჯანყების გადადების შესახებ, მაგრამ გამოსვლები მაინც მოხდა მეჯვრისხევსა და ახალქალაქში.

ყველა მაზრაში დაიწყო მასობრივი დაპატიმრებანი. ამჯერად ჩაიშალა სახელმწიფო გადატრიალების ცდა, მაგრამ მაინც მოხდა

---

[1] *იქვე, გვ. 117-118.*

წვრილ-წვრილი გამოსვლები. გორის მაზრის ხაშურის საორთქლ-მავლო დეპოს მუშებმა და რამდენიმე გლეხმა ჯარისკაცმა, სულ 60-მა კაცმა 25 ოქტომბერს დაიწყეს მოქმედება და თავს დაესხნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირის სოფლებს. ატენში გამოაცხადეს საბ-ჭოთა ხელისუფლების დამყარება. აჯანყებულებმა გადაწყვიტეს ხაშურის აღება. მაგრამ თბილისიდან მოსული რაზმების დახმარე-ბით ადგილობრივმა მილიციამ შეძლო ამბოხების ჩახშობა. მო-თავენი – გაიდაროვი, თიბილაშვილი, აბულაძე, სამხარაძე და გი-კაველი დახვრიტეს[1].

იმავე წლის 8-9 ნოემბერს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა მოხდა მეჯვრისხევში, რომელიც მკაცრად ჩაახშეს[2].

დიდი იყო ბოლშევიკების გავლენა გორელ გლეხებზე. 1920 წელს საქართველოში ჩამოსული მეორე ინტერნაციონალის ლიდე-რები კაუცკი, მაკდონალდი, სნოუდენი, შეიდემანი, ვანდერველდე და სხვები დაესწრნენ გორის გლეხობის ყრილობას. როგორც ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერი, ვიქტორ ნოზაძე იხ-სენებდა *(„ქართული მარქსიზმი და ეროვნული მოძრაობა“),* ისინი განაცვიფრა მარქსის სურათით შემკულმა დროშებმა.

1920 წლის მაისში საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიად. საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად იგი ლეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. იატაკქვეშე-თიდან გამოვიდა გორის სამაზრო ბოლშევიკური ორგანიზაციაც. მას ჯერჯერობით თავისი შტაბ-ბინა არ ჰქონდა, ამიტომ, შეკ-რებებს კერძო ბინებზე ან გარეთუბნის ბაღებში მართავდა.

იმავე წლის 27 ივნისს, ერთ-ერთ ბაღში, მოეწყო კომუნისტური ორგანიზაციის კრება. მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ გამოვიდა გიორგი ელისაბედაშვილი. კრებას თავს დაესხა მილი-ცია, 26 კაცი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს. გო-რის კომუნისტურმა ორგანიზაციამ წლის მეორე ნახევრისათვის, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, არსებობა შეწ-ყვიტა. მაგრამ ბოლშევიკები ხან ერთ ხან მეორე ადგილას ხალხს აჯანყებდნენ. მათი უშუალო წაქეზებით და მონაწილეობით დაი-წყო გორის მაზრის ოსური სოფლების აჯანყება. მთავრობა ვეღარ ახერხებდა ვითარების კონტროლს. 1921 წლის 12 თებერვალს რუ-სეთის წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 670.*

[2] *იქვე, გვ. 671.*

ქართლში  დაიწყო ჯარში წამსვლელთა მსურველების შეკრება და მზადება სამშობლოს დასაცავად. 17 თებერვალს, როგორც გორიდან გაზეთ „სახალხო საქმეს“ ვინმე გაბუნია აცნობებდა, მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას და სახალხო გვარდიის შტაბს გორიდან გაუგზავნეს  დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: „მთელი ქართლი ფეხზე წამოიჭრა სამშობლოს გასაჭირის გაგებაზე. მისი საუკეთესო შვილები ყოველ დღე მიდიან ჯარში და გვარდიაში ნაწილების შესავსებად, მოდიან ბევრი მოხალისეებიც. ქართლის საუცხოვო შვილები მზად არიან მსხვერპლად შეეწირონ სამშობლოს.

ვადგენთ მოხალისეთა რაზმებს გამოცდილი მეომარი არჩილ ფურცელაძის მეთაურობით და ვგზავნით ხვალ. რიცხვს შეგატყობინებთ.

ხორბალი ბლომად მოგვდის. სულიერი სიმტკცე დიდია, ყველა თვალცრემლიანი, აღელვებულია. მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებლები, მოხელეები, ჭაღარა ტფილისს თავს ევლება. მზად არიან ყველანი მსხვერპლად შეეწირონ, სამშობლოსა და ტფილისს კი არავს დაუთმობენ.  დიდი ერთსულოვნებაა. თვდაცვის საქმეზე ყველა გაერთიანებული მტკიცედ ვმუშაობთ. ჩვენთანაა ერობა, ქალაქი, ადმინისტრაცია, პარტიები, კოოპერატივები.

სასტიკად ვიცავთ შიგნით წესრიგს.  ყველა სახელმწიფო, თუ საზოგადო მოხელე თავის პოსტებზე შეგნებულად და დაუღალავად მუშაობს. ჩვენ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან ერთად მზად ვართ მსხვერპლად შეევწიროთ საქართველოსო, – ისმის ქუჩებში და სკოლებში.

ჯარასავით დატრიალდა ქართლი. იმედი გვაქვს მტერი დავამარცხოთ. მათ შეუძლიათ ჩვენს გვამებზე გადაიარონ, მაგრამ დამარცხებულს ჩვენს სამშობლოს და მის შვილებს ვერასოდეს ვერ იხილავენ“[1]

24 თებერვალს გაზეთი „ერთობა“ თავის მკითხველს სთავაზობდა „მოხეტიალე რაჭველის“ რეპორტაჟს გორიდან[2]. საღამოს 7 საათზე გორის რკინიგზის სადგურზე  დიდძალი ხალხი შეიკრიბა. აცილებდნენ ქართლის პირველ მოხალისეთა რაზმს. ქართლელე-

---

[1] *გაზ. „სახალხო საქმე“, 1921. 19. 02.*

[2] არ ჩანს 12-24  თებერვლს შორის რომელ რიცხვში ხდება აღწერილი ამბავი. რადგან გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა და ვიცით, რომ ამჯერად საინტერესო ნომერი გამოვიდა 24 თებერვალს უნდა ვიფიქროთ, რომ აღწერილი ამბავი მოხდა 19-23 რიცხვებს შორის.

ბმა თავის ხარჯით შემოსეს რაზმი, რომელსაც წინ მიუძღვოდა გამოცდილი მეომარი არჩილ ფურცელაძე[3].

ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ რუსეთის მე-11 არმიას, მაგრამ მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც 25 თებერვალს დაიკავა საქართველოს დედაქალაქი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ყოველივე დასრულდა ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფით.

1921 წლის 1 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს გორი და ქალაქში შეიქმნა დროებითი რევოლუციური კომიტეტი.

[3] *გაზ. „ერთობა“, 1921. 24. 02.*

## გორელები რუსეთის ჯარში

ქართველებს, რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამდეც, ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმარობის გამო, მრავალჯერ განუდიდებიათ რუსული იარაღი. მრავალმა ქართველმა რუსეთში მოიყარა თავი. იქ გადასახლებული მეფე-მთავრებისა და სხვა დიდებულების თანამგზავრების სახით, რომლებიც სამშობლოში ვეღარ დაბრუნდნენ და იმპერატორის სამსახურში შევიდნენ. ასეთი ბედი ეწია ზოგიერთ გორელსაც, თუნდაც ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების გამო. ზოგი მათგანის ვინაობა ვიცით, ზოგი კი სამუდამო დავიწყებას მიეცა.

ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ რუსეთი იწყებს დანარჩენი ამიერკავკასიის დაპყრობას. მას, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, კავკასიაში ირანი და ოსმალეთი უპირისპირდებოდა, რომლებსაც საქართველო და, საერთოდ, კავკასია თავიანთ გავლენის სფეროდ მიაჩნდათ.

კავკასიის დაპყრობის რუსული პოლიტიკის ენერგიული გამტარებელი იყო რუსეთში დაბადებული და გაზრდილი, წარმოშობით ქართველი, პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (ციციშვილი), რომელიც 1802 წელს საქართველოს მთავარმართებლად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. მან ნაკლებმნიშვნელოვანი დათმობებით აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის დიდი ნაწილი დაიახლოვა და რუსეთის სამსახურში ჩააყენა.

ჩემთვის ცნობილი პირველი გორელი, ვინც თავი გამოიჩინა რუსულ ჯარში, იყო გიორგი იასეს ძე ერისთავი (1759-1864).

1803 წლის 28 ოქტომბერს ყაზიმუხის ხანი სურხაი 8 ათასი ლეკით შეიჭრა ალაზნისპირეთში, მაგრამ რუსებმა დაამარცხეს. იმავე წელს, 30 დეკემბერს, სურხაი კვლავ შეიჭრა ალაზნის მარჯვენა მხარეს და კახეთის სოფლებს დაემუქრა. ამჯერადაც ლეკების თავდასხმა ქართულ სოფლებზე რუსეთის ჯარმა გენერალ გულიაკოვის სარდლობით აღკვეთა. მტერთან ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა პოდპოლკოვნიკი გ. ერისთავი.

რუსეთის ჯარის კავკასიაში გამუდმებული ბრძოლების დროს ხელისუფლება იოლად ვერ გადიოდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ ნახევრად რეგულარული სამილიციო ნაწილების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლებსაც ზოგჯერ თვით უკმაყოფილო ან დაუმორჩილებელი ქართველების წინააღმდეგ იყენებდნენ. გორის მაზრის სამილიციო ნაწილებმა მონაწილეობა მიიღეს იმერეთის სამეფოს მოსპობასა და სოლომონ II-ის

დატყვევებაში. საინტერესოა ალბათ, იმის გაგებაც, რომ დატყვევებული სოლომონი 1810 წლის 28 მარტს ბადრაგის თანხლებით თავდაპირველად გორში მიიყვანეს, ხოლო შემდეგ თბილისში გააგზავნეს[1].

ცნობილი არ არის მსახურობდნენ თუ არა გორში განლაგებულ გრენადერთა ჯარში ქართველები, მაგრამ მაინც საინტერესოა მისი ისტორიის ის ფურცლები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ქართველები, მართალია რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდნენ, მაგრამ ობიექტურად ქართული საქმეც კეთდებოდა. ეს მოხდა რუსეთ-ირანის ომის დროს, 1811 წლის 3 დეკემბერს, ღამით, გორიდან უდიდესი საიდუმლოების დაცვით გავიდა რაზმი (შედგებოდა 2 ბატალიონისა და კაზაკთა ასეულისაგან, სულ 1200 კაცი), ცნობილი გენერლის პ.ს. კოტლიაროვსკის სარდლობით. რაზმი 7 დეკემბერს ახალქალაქის ძლიერ ციხე-სიმაგრეს მიუახლოვდა, კიბეები მიადგა და საათნახევრის ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდო. ახალქალაქს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან ხდებოდა სისტემატური თავდასხმები საქართველოს სხვადასხვა მხარეზე[2].

ცნობილი არ არის, რამდენი ქართველი მონაწილეობდა 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში, როდესაც გიორგი XII-ის შვილი ბაგრატი (იგი მოსკოვში ცხოვრობდა, ომის თანამედროვე იყო და პირადადაც კი იცნობდა ომის მონაწილე მრავალ ქართველს) ფრანგი ლუსიენ ბონაპარტის მიერ დაწერილი და 1815 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი, –*„ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა შინა და ლტოლვაი მისი“* უნახავს, გაკვირვებია, რომ მასში, გარდა პეტრე ბაგრატიონისა, სხვა არც ერთი ქართველი არ იყო დასახელებული. ბატონიშვილს განუზრახავს ხარვეზი შეევსო და მან მრავალი ქართული გვარი შემატა 1812 წლის ომის მონაწილეთა სიას. დღეისათვის დადგენილია, რომ ნაპოლეონის ჯარის წინააღმდეგ მებრძოლ რუსულ ჯარში 70 ქართველი იყო, მათ შორის 12 გენერალი[3].

ბაგრატ ბატონიშვილის მიერ შემოთავაზებულ მებრძოლთა სიაში, რომელშიც 49 კაცის გვარია (37 ქართველი, 10 სომეხი, 1 ლეკი და ერთი ოსი) ოცდამეცხრედ დასახელებულია თაყინაშვილი ივანე, ხოლო ოცდამეათედ ალაპაპაშვილი ზაალი. ორივე გორელი

---

[1] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), გვ. 52-53.*

[2] *იქვე, გვ. 49*

[3] *ანთელავა ი., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984, გვ. 3-12.*

ბრძოლის ველზე დაეცა. სამწუხაროდ მათ შესახებ სხვა არაფერი ვიცით: როდის, რა ვითარებაში მოხვდნენ რუსეთში. თუ სიის შედგენის პრინციპს გავითვალისწინებთ (კერძოდ, ბატონიშვილი ბაგრატი სხვა მებრძოლების შესახებ არ აღნიშნავს მათს წარმომავლობაზე) ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პიროვნებებზე კი ამბობს: „29 თაყინაშვილი ივანე-გორელი, მოიკლა. 30 ალაპაპაშვილი ზაალ, გორელი, მოკლეს“, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გორელები დიდი ხნის წასულები არ იყვნენ საქართველოდან და ისინი ჯერ კიდევ მშობლიური ადგილის მიხედვით იხსენიებოდნენ. ამ გარემოებაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ, ჩემი აზრით, სიაში კიდევ არის ისეთი გვარები, რომლებიც მხოლოდ ქ. გორში და გორის მაზრაში გვხვდებოდა (მაგ.: მაჩაბელი, ფანიაშვილი, თულაშვილი). მაგრამ რასაკვირველია, მათი წინაპრები დიდი ხნის წინ გადასახლდნენ რუსეთში და თვითონ კი იქვე დაიბადნენ. ცნობილია, რომ რუსეთში მიმავალ ვახტანგ VI-ს რამდენიმე ფანიაშვილი გაჰყვა.

გორის მაზრაში დაკომპლექტებულმა რაზმებმა მ. ორბელიანის, ზ. ანდრონიკაშვილისა და ნ. ერისთავის მეთაურობით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1826 წელს შამქორის მთებში სპარსელთა მრავალრიცხოვანი კავალერიით შემოსული ალექსანდრე ბატონიშვილის დამარცხებაში. ბატონიშვილს კახელების აჯანყება სურდა, მაგრამ *„მოწინააღმდეგე შედრკა, მას ჭურვები სეტყვასავით დააყარეს და რადგან ერთი მხრიდან ქვეითი ჯარები უტევდათ, ხოლო მეორე მხრიდან ცხენოსანი ჯარი გარს ერტყმოდათ, სპარსელებმა ბრძოლა მიატოვეს და გაიქცნენ. ქართველები დაედევნენ გაქცეულებს და დაუნდობლად ჩეხდნენ მას“* [1]. ციტატაში ხსენებული ქართველები გორის მაზრიდან მოკრებილი მოლაშქრენი იყვნენ.

გორელი და გორის მაზრის მოლაშქრენი, საქართველოს სხვა მაზრების მოლაშქრეებთან ერთად, მონაწილეობდნენ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საომარ ოპერაციებში[2].

რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში წარმოებული ომები ახალ-ახალი ცოცხალი ძალების მობილიზაციას მოითხოვდა. ოპერატიულად რუსეთიდან ჯარის გადმოყვანა ყოველთვის ვერ ხერხდე-

---

[1] *Утверждение русского владичества на Кавказе, т. 3, ч. 1, Тиф., 1904, с. 351.*

[2] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II, თბ., 1957, გვ. 134*

ბოდა, ამიტომ ადგილობრივ მკვიდრთა ჯარში სამსახური სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. მაგრამ არსებობდა ერთი უადრესად სერიოზული და ანგარიშგასაწევი გარემოება. საქართველოში რეგულარული ჯარის არსებობის ტრადიცია არ იყო. როგორც ცნობილია, ერეკლე II-მ 1874 წელს სცადა რეგულარული ჯარის („მორიგი ჯარის“) შექნა. მეფის ამ ღონისძიებამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება, მაგრამ ამ ღონისძიებამ წინააღმდეგობის გამო (მათარ სურდათ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება), „მორიგი ჯარი“ გაუქმდა და კვლავ მოლაშქრეთა გაწვევის ძველი სისტემა აღადგინეს. მოლაშქრეობა ნიშნავდა შემდეგს: მეფის განკარგულებით, საჭიროების შემთხვევაში, ყოველი ფეოდალი თავის მამულში აგროვებდა მოლაშქრეთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც მცირე ხნით და საკუთარი ხარჯით იხდიდნენ სამხედრო მოვალეობას. ეს ცალკეული რაზმები შეადგენდნენ ქართულ ჯარს.

ჯარის შეგროვების ეს წესი საქართველოში შენარჩუნებულ იქნა რუსეთთან მისი შეერთების შემდეგაც და, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთნაირად შეკრებილი ლაშქარი, რომელშიც გორელებიც იყვნენ, რუსული ჯარის საომარ ოპერაციებში მონაწილეობდა.

როგორც კი რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო 1828 წელს, გაიწვიეს ქართველ მოლაშქრეთა რაზმები. ომის გაგრძელების გამო 1829 წელს საჭირო შეიქმნა ახალი რაზმების შეგროვება. მთავარსარდალმა ი.თ. პასკევიჩმა გადაწყვიტა მრავალრიცხოვანი ლაშქრის შეკრება, მაგრამ გათვალისწინებული არ იქნა არც ადგილობრივი პირობები და არც ლაშქრის გაწვევის ტრადიცია. ბრძანების მიხედვით, ყოველ ხუთ კომლზე უნდა გაეწვიათ მოლაშქრე, ამგვარად თავს მოიყრიდა სულ 6 ათასი კაცი და ისინი შეადგენდნენ „სახალხო მილიციას“. მილიციელები სამხედრო წვრთნას გაივლიდნენ რუსული წესების მიხედვით და რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით. მობილიზაცია ხდებოდა ექვსი თვით, ამასთან, ქართული მილიცია სურსათსა და ჯამაგირს რუსი ჯარისკაცების თანაბრად მიიღებდა. როგორც საერთო უფროსი, ისე ცალკეული რაზმებისაც ქართველი თავადაზნაურები უნდა ყოფილიყვნენ.

გენერალ პასკევიჩის ბრძანება გამოქვეყნდა 1829 წლის 6 მარტს. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა მტრულად შეხვდა მას, რადგან ხმები გავრცელდა, რომ ჯარში მიჰყავდათ „სალდატებად“ 25 წლით.

გამოსვლები მოხდა თბილისში, მღელვარებამ მოიცვა მთელი გორის მაზრა. სოფელ ქარელში გააფთრებულმა გლეხებმა სცემეს

მილიციელების შესაგროვებლად ჩასული აზნაური გვერდწითელი[1]. სოფ. დოესში გლეხებმა გალახეს თავადები ელიზბარ და გიორგი ციციშვილები. გამოსვლები მოხდა გორის მაზრის სხვა სოფლებშიც კავთისხევში, ქვემო ნიჩბისში, თელათგორში და სხვ.

განსაკუთრებით სერიოზული ვითარება შეიქმნა სოფ. ძეგვში, სადაც საეკლესიო გლეხებმა, როგორც გორის მაზრის უფროსი წერდა, გალანძღეს მაზრის მარშალი და სხვა უფროსები. აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქალები, რომლებიც მამაკაცებს აქეზებდნენ მთავრობას არ დამორჩილებოდნენ[2].

გორის მაზრის გლეხები რომ ორგანიზებულად მოქმედებდნენ, ამაზე მიუთითებს მათი განზრახვა-წასულიყვნენ თბილისში. გზად მიმავალ გლეხებს შეხვდნენ თავადაზნაურობის ცნობილი წარმომადგენლები: ა. ორბელიანი, კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, გ. ერისთავი და სხვანი და მოუწოდეს უკან დაბრუნებულიყვნენ. გლეხებმა მათ არ დაუჯერეს და გზა გააგრძელეს. ისინი მხოლოდ ჯარმა შეაჩერა და, როდესაც გენ. პასკევიჩმა დაარწმუნა, რომ მილიციაში გაწვევა გაუქმდებაო, გლეხები სახლებში დაბრუნდნენ[3].

XIX ს. შუა ხანებში სერიოზული დაპირისპირება წარმოიშვა რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის. ამ უკანასკნელთ სურდათ რუსეთი კავკასიიდან და ყირიმიდან განედევნათ. რუსეთს თავისი პრეტენზიები ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში: სურდა მისი დაყოფა გავლენის სფეროებად. ამავე დროს იგი გამოდიოდა მართლმადიდებელი ხალხების დამცველად და ამით სურდა სავაჭრო გზებისა და ბაზრების დაუფლება. წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავა 50-იანი წლების დასაწყისში პალესტინაში „წმინდა ადგილების“ გამო კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის დაწყებულმა ბრძოლამ. რუსეთი, როგორც ყველა მართლმადიდებლის „ინტერესების“ დამცველი, ჩაერია ამ ბრძოლაში და 1853 წ. ოსმალეთის ხელისუფლებას მოსთხოვა რუსეთი მართლმადიდებლების დამცველად ეცნო, რაზეც უარი მიიღო. რუსეთმა ოსმალეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გადაწყვიტა და მოლდავეთსა და ვლახეთში ჯარი შეიყვანა. განაწყენებულმა ოსმალეთმა 1853 წლის 4 ოქტომბერს რუსეთს ომი გამოუცხადა. ინ-

---

[1] *Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию,т. VII, Тиф., 1878, с. 332.*

[2] *ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), გვ. 138.*

[3] *იქვე, გვ. 139*

გლისი და საფრანგეთი ოსმალების მხარეს დადგნენ. საფრანგეთმა თავისი ესკადრა დარდანელში შეიყვანა.

გაიხსნა ორი ფრონტი – ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივმა შეიარაღებულმა, არარეგულარულმა ძალებმა – მილიციის რაზმების სახით.

ცოცხალი ძალისა და ხარჯების დაზოგვის მიზნით, რუსეთის ხელისუფლება თავიდანვე ცდილობდა გამოეყენებინა ქართველი თავადაზნაურობა და მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლებიც და სამხედრო საქმეში ჩაება.

პირველი მუდმივი ქართული ქვეითი პოლკი – „ჯარი“ (1849 წელს ეწოდა „ქართული დრუჟინა“) XIX ს. 20-იანი წლების დასასრულს გრაფ პასკევიჩის ინიციატივით ჩამოყალიბდა. ეს ღონისძიება შექმნილი კონკრეტული ვითარებით იყო ნაკარნახევი. ამ დროს მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის 1828-1832 წლების ომი, დაიწყო ხანგრძლივი ომი ჩრდილო კავკასიის მთიელებთან. შემდეგ პერიოდშიც, მაგ.: 30-40იან წლებში კავკასიის სარდლობას უხდებოდა სხვადასხვა სამილიციო რაზმების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1832 წელს ბარონ როზენის მიერ ქართველი, სომეხი და მუსლიმანი მოხალისეებისაგან სპეციალური პოლკების შექმნა. სამილიციო შენაერთები დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა 1837-1838 წლებში. ვორონცოვმა 1851 წელს გურიის მუდმივი მილიცია შექმნა.

ჯერ კიდევ ყირიმის ომის დაწყებამდე, მეფისნაცვალმა დამხამრე ძალად გურიის მილიციის 9 ასეული გამოიწვია, რომლებიც წინათ საზღვარს იცავდნენ. სამეგრელოს მილიციის ერთი საკმაოდ ძლიერი დრუჟინა გაიგზავნა სოხუმში. ოსთა რამდენიმე ასეული გიორგი ერისთავის და გიორგი ფალავანდიშვილის მეთაურობით ახალციხის დაცვის გასაძლიერებლად გაიგზავნა. ადაწყდა, 1853 წლისათვის დამატებით 50 ასეული შეეგროვებინათ. კერძოდ გურიაში – 12, სამეგრელოსა და სამურზაყანოში – 10, იმერეთში – 10, თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში დაიწყო რამდენიმე ქართული სათავადაზნაურო ასეულისა და ხუთიოდე დრუჟინის შექმნა და სხვა[1].

საომარი მოქმედების დაწყებისთანავე, გურიის საზღვარზე ჩაყენებული იქნა გურიის მილიციის 14 რაზმი, სამეგრელოს და სამურზაყანოს 12 რაზმი, იმერეთის მილიციის რამდენიმე ასეული და იმერეთ-სამეგრელოს თავადაზნაურთა ორი შეერთებული დრუჟინა.

---

[1] *ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 445-446.*

ახალციხის დასაცავად წავიდა გორის თავადაზნაურთა ცხენოსანი დრუჟინა სამი ასეულის შემადგენლობით. იქვე იყო თბილისისა და გორის რამდენიმე ქვეითი დრუჟინა და ასეული. გორელების და თბილისელების ერთი დრუჟინა მონაწილეობდა აგრეთვე ბორჯომისა და ბორჯომის ხეობის დაცვაში. ბორჯომის ხეობის ყველაზე სახიფათო ადგილებს, გზებსა და ბილიკებს იცავდა ათასზე მეტი ქვეითი და ცხენოსანი გორის ოლქის სოფლებიდან და თვით ქ. გორის მილიციის მთელი შემადგენლობა[1].

სახალხო მილიციისა და მოხალისეთა თითქმის ყველა შენაერთს მოსახლეობა ამარაგებდა.

საინტერესოა როგორი იყო, ზოგადად მაინც, ქართველ სათავადაზნაურო დრუჟინის მებრძოლის გარეგნობა. მოღწეულია ერთი საინტერესო საბუთი – ქონების სია, რომელიც დარჩა 1855 წლის 25 ოქტომბერს ბრძოლაში დაღუპულ მილიციელს გორელ აზნაურს სიმონ ქარუმიძეს. საბუთში აღნიშნულია თითოეული ნივთის ღირებულებაც: აზიური თოფი ვერცხლის მოჭედილობით, სტამბოლის ლულით (260 ვერცხლის მან.; აზიური დამბაჩა (პისტოლეტი) ვერცხლის მოჭედილობით, მოოქროვილი (160 მან.); ქართული ხმალი, ვერცხლის მოჭედილი, ვერცხლის ქამრით (250 მან.); ვერცხლის საპირისწამლე ფალასკა (სავაზნე) გაწყობილი (50 მან.); ყალიონი (ჩიბუხი) ორთავიანი ლეკური, წმინდა ვერცხლისა, მოოქროვილი (180 მან.); ყალიონი მცირე, ერთთავიანი, წმინდა ვერცხლისა (35 მან.); ცხენი უნაგირით (180 მან.); მაუდის ჩერქეზული ჩოხა-ახალუხი ყაითან-ბუზმენტებით გაწყობილი (20 მან.); ორი ქართული ჩოხა შავი მაუდისაგან (50 მან.); შავი მაუდის ორი შარვალი (10 მან.); ქართული ქულაჯა წითელი ხავერდისაგან (40 მან.); სამი აბრეშუმის ახალუხი (45 მან.); ორი ქართული შავი ბუხარის ფაფახი (ბოხოხი, 30 მან.); ექვსი თეთრი პერანგი (18 მან.); ექვსი ქვედა საცვალი (6 მან.); ზარდახშა (კოლოფი) რკინით შეჭედილი (3 მან.); ქოლგა (2 მან.); ბეჭედი მწვანე თვლით (10 მან.). შემდეგ სიაში ჩამოთვლილია სხვადასხვა ჯილდოები, საჩუქრები და ნიშნები მიღებული განსვენებულის მიერ საბრძოლო დამსახურებისათვის[2].

1853 წლის 4 ნოემბერს თბილისში მიღებულ იქნა ნიკოლოზ პირველის მანიფესტი თურქეთთან ომის შესახებ თურქებმა დაიწყეს შეტევა ახალციხეზე, რომლის დაუფლების შემთხვევაში გზა

---

[1] *იქვე, გვ. 447-448.*

[2] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 214/218, საქმე 1380, ფურც. 1, 6, 21.*

გაეხსენებოდათ ბორჯომის ხეობით სურამის, გორის და თბილისის მიმართულებით.

1853 წლის ნოემბრის დასაწყისში ახალციხის თავდაცვითი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო, ამ დროისათვის, საკუთრივ ახალციხეში, რუსეთის ჯარები მცირე იყო. აწყურში, რომელიც ახალციხიდან ბორჯომისაკენ მიმავალ გზას იცავდა, ბელოვოსტოკის ერთ ბატალიონთან და ოსური მილიციის ერთ ასეულთან ერთად გორის დრუჟინაც იდგა.

6 ნოემბერს თურქთა კოლონა აწყურს მოადგა. მტერს გადაწყვეტილი ჰქონდა გაენადგურებინა აწყურის დამცველები, ხეობა გაეხსნა და გორსა და თბილისს დამუქრებოდა, მაგრამ თურქებმა მარცხი განიცადეს და უკუიქცნენ.

11 ნოემბერს აწყურს მივიდა თავადი ანდრონიკაშვილი დამხმარე რაზმით. სარდლის განკარგულებაში იყო ქვეითი ჯარის 7,5 ათასიანი ბატალიონი 17 ზარბაზნით, კაზაკთა 9 ასეული, ქართველთა მილიციის 2 დრუჟინა და გორის თავადაზნაურთა ასეული. ამ ჯარით ანდრონიკაშვილი ახალციხისაკენ გაემართა. მოწინააღმდეგეს ჰყავდა 20 ათასიანი ჯარი[1].

ახალციხის ბრძოლაში (1853 წლის 14 ნოემბერს) მიუხედავად მტრის რიცხობრივი და შეიარაღების უპირატესობისა, ანდრონიკაშვილის ხელქვეით მყოფმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ თავადი ანდრონიკაშვილი თავის პატაკში აღნიშნავდა, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში შენიშნულ იქნა ქვეითი და ცხენოსან თურქთა მნიშვნელოვანი შენაერთი, რომელიც მიილტვოდა თავისი კორპუსის დასახმარებლად, მაგრამ მათ წინააღმდეგ აღიმართა კაზაკთა და გორის დრუჟინის მებრძოლთაგან შემდგარი კოლონა. კაზაკებმა და გორელებმა შემოუარეს და მოულოდნელად დაარტყეს თურქთა რაზმეულს, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს (მოკლეს 200 თურქი) და კორპუსთან შეერთების საშუალება არ მისცეს.

ბრძოლის აღნიშნულ მომენტზე ყურადღება გაამახვილა გენერალმა ბებუთოვმაც და განსაკუთრებით შეაფასა გორის თავადაზნაურთა წვლილი. ბებუთოვი ანდრონიკაშვილს სწერდა: *„მე დიდად მახარებს, რომ გორის დრუჟინას, ჩვენი თავადაზნაურების რჩეულ ნაწილს, მიეცა შემთხვევა ბრძოლაში კვლავ ეჩვენებინა მათთვის დამახასიათებელი მამაცობა და გმირობა“*[2].

---

[1] *ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 225-226.*

[2] *იქვე, გვ. 233.*

გორელები აქტიურად მონაწილეობდნენ თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში გურიის ფორნტზეც. თბილისისა და გორის მაზრების მცხოვრებლებისაგან შემდგარი იყო რაზმი, რომელსაც თავისი ცისფერი ნიშანი ჰქონდა და მეთაურობდა თავადი დავით ვახვახიშვილი[1]. გორიდან წაიღეს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 4 ზაბრაზანიც[2].

1854 წელი ყირიმის ომის ყველაზე კრიტიკული წელი იყო ამიერკავკასიის ფრონტზე. საქართველოში კვლავ მიმდინარეობდა მილიციის შენაერთების დაკომპლექტება. თებერვალ-მარტში მრავალრიცხოვანი ქვეითი დრუჟინები და რაზმები შეიქმნა გორის მაზრაში. იგი 15 რაზმისაგან შედგებოდა. ოფიციალური მონაცემებით, მაისის პირველ რიცხვებში მოქმედ რეგულარულ ჯარებთან უკვე შეერთებული იყო სხვადასხვა რაზმები. ამავე დროს, სურამში შეიქმნა ძლიერი, მობილური რეზერვი, რომელშიც შევიდა თბილისის ქვეითი დრუჟინა 5 ასეულით და გორის ორი ქვეითი დრუჟინა 10 ასეულით. მათ შორის იყო ცხენოსან მოხალისეთა 5 ასეული[3].

1854 წლის ივლისში, თბილისის დასაცავად, თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის მეთაურობით შედგა „უსტაბაშების“ და ქალაქის „საპატიო“ მოქალაქეების მოხალისეთა 8 ათასიანი ლაშქარი. ანალოგიური ლაშქარი ჩამოყალიბდა ქუთაისში, გორში და სხვა ადგილებში[4].

გორისა და მისი მაზრის გაგზავნილები მხოლოდ საქართველოს საზღვრების დასაცავად არ იბრძოდნენ. ისინი მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიების, სინამდვილეში იმპერიის საზღვრების დაცვისათვის. გორის მრავალრიცხოვანმა დრუჟინებმა თავი გამოიჩინეს 1854 წლის 24 ივლისს (5 აგვისტო ახ. სტ.) ქურუქდარისთან (სომხეთში) მომხდარ ბრძოლაში. მრავალმა მთავრობის მადალი ჯილდო მიიღო. ზოგიერთი მათგანის სახელი ცნობილია: ივანე ქართველიშვილი, დავით გოდერძიშვილი, ზაალ მუსხელიშვილი, სოლომონ იაშვილი, არტემ ბადალაშვილი, ალექსი დურუზაშვილი, სოლომონ აკაშვილი, გიორგი არჩვაძე, სიმონ გარიშვილი, შაქრო უმიფაშვილი, იოსებ ხმიადაშვილი და სხვანი.

---

[1] *იქვე, გვ. 298.*

[2] *იქვე.*

[3] *იქვე, გვ. 459.*

[4] *იქვე, გვ. 460.*

იმისათვის, რომ ოსმალებისათვის გარკვეული დახმარება გაეწიათ, ლეკებმა გააძლიერებს კახეთზე თავდასხმები. ამიტომ ე.წ. დაღესტნის ხაზის დასაცავად, 1855 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში ჩამოყალიბდა რამდენიმე საკმაოდ ძლიერი და მობილური დრუჟინა 85 ასეულის შემადგენლობით და განლაგებულ იქნა მდინარე არაგვიდან ნუხამდე. მას სათავეში ედგა გამოჩენილი სარდალი და ორგანიზატორი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სარდალი თავადი ანდრონიკაშვილი.

ოსმალებისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ენთუზიაზმი იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ კავკასიის კორპუსის სარდალმა გენ. მურავიოვმა თბილისის და გორის თავადაზნაურებს დართო ნება შეედგინათ დამკვრელი დრუჟინა ალექსანდროპოლის (სომხეთში) ფრონტზე მოქმედი რეგულარული ნაწილების დასახმარებლად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მსურველთა რიცხვი ბევრად სჭარბობდა დადგენილ კონტიგენტს. მთავარსარდალი იძულებული გახდა დაემტკიცებინა 300 კაციანი დრუჟინა[1] თავად ივანე ორბელიანის მეთაურობით. თბილისის ასეულს სათავეში ედგა თავადი ა. ორბელიანი, გორისას –თავადი ალექსანდრე ერისთავი.

გაზეთმა „კავკაზმა“ მაღალი შეფასება მისცა თბილისისა და გორის თავადაზნაურთა ინიციატივას და მათს სანაქებო პატრიოტიზმს. ისინი, როგორც გაზეთშია ნათქვამი, მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლე და ქონებაც კი გაეწირათ სარწმუნოების, მეფისა და მამულისათვის[2].

უაღრესად საინტერესო ცნობაა დაცული კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების მე-XI ტომში. მასში ნათქვამია, რომ 99 წლის ღრმა მოხუცი გენერალი ერისთავი, რომელიც დიდი ხნის წინათ გადადგა სამხედრო სამსახურიდან, გორში, თავის მამულში ატარებდა სიცოცხლის ბოლო დღეებს. იგი კავკასიის მეფისნაცვალს და კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალს გენ. მურავიოვს ეხვეწებოდა რომ მოქმედ კორპუსში ჩაერიცხა თუნდაც რიგით ჯარისკაცად იმპერატორისა და სამშობლოსათვის საბრძოლველად. გენ. მურავიოვი სთხოვდა გენ. ბებუთოვს, გამოეყენებინა ყოველგვარი საშუალება და მოტივი, რათა მოხუც თავადს უარი ეთქვა თავის უცნაურ განზრახვაზე. მურავიოვმა თვით თავ. ერისთავსაც მისწერა, რათა დელიკატურად აეხსნა თუ რატომ ვერ დააკმაყოფილებდა მის თხოვნას. მურავიოვი წერილს ამთავრებს

---

[1] *საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 214, საქმე 1312.*

[2] *„Кавказ“, 1855, №54.*

იმით, რომ თავ. ერისთავის სახელი უკვე ჩაწერილია კავკასიის მატიანეში[1].

წყაროში მოხუცი გენ. ერისთავის სახელი არ არის მოცემული. ალბათ, მაშინ ყველასათვის გასაგები იყო რომელ ერისთავს გულისხმობდა მთავარსარდალი. იგი უნდა იყოს სახელგანთქმული გიორგი იასეს ძე ერისთავი (1759-1864), რუსეთის არმიის გენერალ-ლეინტენანტი, „დიდ კნიაზად“ წოდებული. მან მურავიოვის მოლოდინი ვერ „გაამართლა“, რომელსაც ეგონა, რომ მოხუცი გენერალი სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა გორში. გიორგი ერისთავმა მურავიოვის მიერ დაწერილი წერილი შემდეგ თითქმის ათი წელი იცოცხლა. თვით მურავიოვი კი ერისთავის გარდაცვალებიდან ორიოდე წლის შემდეგ გარდაიცვალა (1866წ.).

გიორგი იასეს ძე ერისთავი დაკრძალულია იკორთაში ერისთავების საგვარეულო სასაფლაოზე. საფლავის ქვა გვამცნობს: *„აქ მდებარეობს გუამი ღენერალ ოტინფანტერის ქსნის ერისთავის გიორგისა როსის ორდენითა მქონებლის ანდრია პირველ წოდებულისა და სხვათა. გარდაცვალებისა 4 ნოემბრისა 1863 წ. 103 წლისა, რომელსაც უქმნეს სახსოვარი ძეგლი, ესე ასულთა კნეინა ქეთევან ორბელიანისაგან და კნეინა მარიამ ერისთავისაგან. მხედველთაგან წარსათქმელად: წმინდათანა განუსვენე უფალო სულისა მონისა ამისა შენისასა“.*

ქართველი ხალხის აქტიური მონაწილეობა ყირიმის ანუ აღმოსავლურ ომში სრულიად გასაგებია. მტერი, ოსმალების სახით, ერთხელ კიდევ დაემუქრა საქართველოს არსებობას. მდენად, ეს ომი, გარკვეული გაგებით, ქართველი ხალხისათვის სამამულო იყო. როდესაც ვკითხულობთ მაშინდელ მასალებს, კარგად ჩანს სულისკვეთება ქართველი ხალხისა, რომელსაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ახსენდებოდა ის დიდი სატანჯველი, რაც საუკუნეების განმავლობაში გადაიტანა ოსმალთა შემოსევების, ტყვეთა სყიდვის თუ სხვა უბედურებების შედეგად. გაოცებას იწვევს ის თავდადება და სიმამაცე, რაც ამ ომში მასობრივად გამოამჟღავნეს ქართველებმა და მათ შორის გორელებმაც.

სამწუხაროდ, აქ უნდა დავამთავროთ რუსეთის მიერ წარმოებულ შემდგომი პერიოდის ომებში გორელების მონაწილეობის საკითხი, რადგან ვერავითარ მასალას ვერ მივაკვლიე. გორელები რომ ნამდვილად მონაწილეობდნენ რუსეთ-იაპონიის და პირველ მსოფლიო ომში, უცილობელი ფაქტია, მაგრამ კონკრეტულად ვინ ან რამდენი, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

---

[1] *Акты, XI, с. 402, 412-413*

## გამოჩენილი გორელები და გორის მოამაგენი

სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით იმ გამოჩენილი ადამიანების შესახებ, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს მშობლიური ქალაქისადმი სიყვარული, სახელი გაუთქვეს მას. ზოგიერთზე იმდენად მცირე რამ არის მოღწეული, რომ არც კი გვაქვს ცალკე გამოყოფის და მათზე მსჯელობის საშუალება.

გორსა და მის რაიონში მრავალი დიდი ადამიანი დაიბადა და აღიზარდა. ზოგიერთმა მათგანმა შემდეგში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ან ჩვენი ქვეყნის გარეთ სახელი მოიხვეჭა, ამჯერად მათზე საუბარს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თავი ავარიდე, რადგან ყველა მათგანისათვის რომ სათანადო ადგილი დამეთმო, მაშინ ცალკე წიგნის დაწერა მომიხდებოდა. ამიტომ განვიზრახე წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ მათზე მეთქვა, ვინც აქ იმოღვაწა, შეიძლება დაბადებით გორელი არ იყო, შეიძლება გორში დაიბადა, მაგრამ სხვაგან გამოიჩინა თავი, ე. ი. იმათ შესახებ, ვინც თავისი მოღვაწეობითა და სახელით რაღაც შემატა ჩვენს ქალაქს. ამ ადამიანების ბიოგრაფიები, ამილახვრების, გარსევანიშვილების, ერისთავებისა და ზუბალაშვილების გარდა, წარმოდგენილი არიან ქრონო ლოგიური და ანბანის თანმიმდევრობით.

## ამილახვრები[1] – გორის მოურავები

გორის, ისევე, როგორც მთელი შიდა ქართლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, XV საუკუნის პირველი მეოთხედიდან 1921 წლამდე, განსაკუთრებული როლი ითამაშეს ზევდგინიძე-ამილახვრებმა

ამილხვარი იყო გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელე – ამირსპარსალარის თანაშემწე, სავაზიროს წევრი სათათბირო ხმით. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. დარბაზობის დროს ამირახორი პატივით მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან იყო გათანაბრებული. საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, ამილახორი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდებული თავადი და სათავადოს უფ-

[1] ამილახორი, ამირახორი, ამილახვარი არაბულად ამირ ახურ – საჯინიბოს ამირა.

როსი იყო. იმავე დროს იგი ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და, როგორც წესი, გორის მოურავიც იყო.

ზევდგინიძეთა გვარმა აღზევება XIV საუკუნიდან დაიწყო, მას შემდეგ როდესაც მდინარეების რეხისა და მეჯუდის სანაპირო ტერიტორიაზე დამკვიდრდა. იმავე საუკუნის 80-90-იან წლებში სამეფო კარისადმი ერთგულებისათვის, კერძოდ, გიორგი VII -ის გარდაუვალი სიკვდილისაგან გადარჩენისათვის, თაყა თუ იოთამ ზევდგინიძემ საგვარეულო საძვალედ შიომდვიმე მიიღო.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, იოთამ ზედგინიძის მეფისადმი ერთგულება და თავდადება გამოიხატა შემდეგში: „კუალად შემდგომად ამისა შემოიკრიბნა მეფემან გიორგი სპანი ქართველნი, სომხითარნი და ჰერ-კახნი, მივიდა და დადგა ფანავარსა ზედა, რათა დაიმორჩილოს სამცხე ყუარყუარე ათაბაგითურთ...

არამედ აქა დგომასა შინა შემოუჩინნეს განდგომილთა მეფისათა გიორგი მეფესა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი. ხოლო სცნა ესე იოთამ[1] ზედგინიძემ და ამხილა მეფესა ყოველივე; არამედ მეფემან ირწმუნა, ვინაითგან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა. მაშინ იოთამ ეტყოდა მეფესა: *„უკეთუ ვცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, აწ გევედრები, რათა არ მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვე საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“.*

მეფემ ისმინა იოთამის რჩევა და იგი თავის საწოლში ჩააწვინა, სადაც დილით მოკლული ნახეს. მეფემ დამნაშავენი დასაჯა, ხოლო, როცა საშუალება მიეცა, *„მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაო სამთავისი და კარისა თვისისა ამილახორობა მსახურობისათვის მამისა მისისა, ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი“*[2].

სხვა ვერსიით შეთქმულებმა ვინმე ჭუკას გვარის კაცს გაანდეს განზრახვა, მან ზედგინიძეს გაუმხილა, ხოლო ზედგინიძემ *„მეფესა არ დაუმალა... მეფის საგებელში ის ჩუენი გუარის კაცი დაწვა და მეფე წავიდა. მოვიდეს (შეთქმულნი – ე.მ.) და ჩემი გუარის კაცი დაინარჩუნეს და მწოვედ დაკოდეს და სიკუდილსა*

---

[1] ნ. ბერძენიშვილმა დამაჯერებლად უარყო ვახუშტი ბატონიშვილის გმირის სახელი – იოთამი და დაამტკიცა, რომ იგი იყო თაყა // *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1937, გვ. 3.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 286-288.*

*ულამოდეს და როგორც ეს სცნეს, რომ ზედგინიძე არისო, აღარ მოკლეს“*[1].

მეფისა და ქვეყნისათვის თავდადება ზედგინიძეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს გიორგი VII-ის თემურიდების წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც ამ გვარის 29 წარმომადგენელი ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო ერთი ტყვედ ჩავარდა[2].

ისევე, როგორც ზოგიერთ თავადურ გვარს, ამილახვრებსაც ჰქონდათ ლეგენდასთან შეზავებული თავიანთი გვარის ისტორია. ლეგენდის მიხედვით, ამილახვრების წინაპრები იტალიელები ყოფილან. ისინი ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში პომპეუსის მიერ საქართველოს დალაშქვრის დროს მოსულან. *„ხოლო რომელთამ ამათ გვართა წარჩინებულებისა გამო მიიღეს თავადობა დროსა გიორგი მეფობისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1150 წელს და იწოდებოდნენ ზედგინიძეთ და შემდგომად ოდეს იორამ ზედგინიძემ განარინა მეფის ალექსანდრეს ძე გიორგი მეფე ბაგრატიანი ორგულთა კაცთა ხელთა სიკვდილისაგან და თვით ზედგინიძე იორამ მოკლულ იქმნა ნაცვლად მეფისა, ამისა ჯილდოდ უბოძა შვილთა მისთა გუარად ამილახორობაი და უფროსსა ძესა მისსა მისცა სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და ციხე გორისჯუარი და სხუანი ადგილნი, რომელნიც იწოდებიან აწ საამილახვრო ადგილებად. ხოლო სასაფლაოდ უბოძა სამთავის ეკლესიისა შინა ადგილი წელსა ქრისტეს აქეთ 1465-სა და მუნიდგან იწოდებიან თავად ამილახვარად შთამომავლობანი მათნი, რომელნიცა განიყოფებიან სხუა და სსუა სახლად: 1. რევიზისშვილებად; 2. ქაიხოსროშვილებად; 3. ბეჟანისშვილებად; 4. ერისტისშვილებად და იმის ძმისწულებად; 5. გივისშვილებად, ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახორობა სპასპეტობა იყო რევაზისშვილთა, რომელნიც უფროსნი იქნებოდნენ სახლში, ხოლო სხვათა აქუნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი, ხოლო სხვანი რომელნიც იყვნენ გვარნი ამათ ზედგინისძენი, რომელნიმე დაშთნენ აზნაურად ზედგინიძეებად და რომელნიც გარნა მესხეთს, იგინი თუმცა ამილახვრად არ იხსენიებიან და აზნაურად. ეს სახედვე ახალციხესა შინა არიან ამილახვრის გვარისანი და ხიდირბეგისა შვილებნიცა“*[3].

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით)* გვ. 39.

[2] *იქვე.*

[3] *გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 110.*

მოყვანილი დოკუმენტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უზუსტობას, ფრიად საინტერესოა და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

XV-XVI საუკუნეებში ზევდგინიძეები ზევდგინიძე-ამილახვრებად იწოდებოდნენ. XVII საუკუნიდან კი – ამილახვრებად, სათავადოს უფროსი – ამილახორი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდებული თავადი იყო. მისი შვილები ამილახვრისშვილებად იწოდებოდნენ და, საგვარეულოს სხვა წევრებთან ერთად, მეორე და მესამე ხარისხის თავადებად ითვლებნოდნენ. სათავადოს უფროსი, ჩვეულებრივ, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და, იმავე დროს გორის მოურავიც იყო. ამ გვარის წარმომადგენლებს სხვადასხვა დროს ეკავათ ისეთი მაღალი თანამდებობები, როგორიც იყო: ეშიკაღასიბაშის[1], ბოქაულთუხუცესის[2], ყორჩიბაშის[3], მოლარეთუხუცესის[4] და სხვა თანამდებობები.

სადროშოები წარმოიშვა XV საუკუნეში. ქართლის სამეფოში ოთხი სადროშო იყო: მეწინავე (სომხითი-საორბელო), მემარჯვენე (ზემო ქართლი), მემარცხენე (სამუხრანბატონო, ქსნისა და არაგვის საერისთავოები), მეუკანავე (მეფის სადროშო).

თითოეულ სადროშოს თავისი დროშა ჰქონდა. სადროშოს სარდლის დამტკიცება ხდებოდა საზეიმო ცერემონიალზე მეფის მიერ დროშისა და ხმლის გადაცემით. სარდალს ემორჩილებოდნენ სადროშოს ტერიტორიაზე მცხოვრები საერო და სასულიერო ფეოდალები, მოურავები და სხვა მოხელეები. სარდალს ევალებოდა ომის დროს ჯარის გამოყვანა, მშვიდობიანობის დროს კი ჯარის წვრთნა და მომზადება.

ზემო ქართლის სადროშოს ცენტრი გორი იყო. ვახუშტი ბატონიშვილმა შემოხაზა ზემო ქართლის სადროშოს საზღვრები, რომელშიც თავსდება დღევანდელი რაიონები: კასპის (ნაწილობრივ), ახალგორის (ნაწილობრივ), გორის (ნაწილობრივ), ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, ქარელის (ნაწილობრივ), ბორჯომის და ახალციხის (ნაწილობრივ)[5].

---

[1] თურქული ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი ხელმწიფის კარზე.

[2] ბოქაულის უფროსი, აღმასრულებელი აპარატის მოხელე. მეფის განკარგულებათა შემსრულებელი.

[3] ჯარის უფროსი, ყიზილბაშთა ლაშქრის სარდალი.

[4] უფროსი მოლარე, მეჭურჭლეთუხუცესი.

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 364.*

XVII საუკუნის ერთი საბუთიდან ვიგებთ რომელი სათავადოები და ერთეულები შედიოდნენ ზემო ქართლის სადროშოში: *„აქ არის ბატონის ამილახორის დროშაზედა: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი, ზევდგინიანი, ფავლენიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარეპისკოპოზი, რაც გორს ზეით ან სადედოფლო არის, ან სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა, ერთობილნი ამირეჯიბიანი, დიასამიძე ელიზბარ, როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, ამუნ თაქთაქიძე, თაქთაქ ტატიანი, და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამდაწაშვილი, ავალიშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა ოხუზიშვილი“*[1].

სადროშოს საზღვრები მყარი არ იყო. იგი პერიოდულად იზრდებოდა ან მცირდებოდა, რაც ხშირად პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ზემო ქართლის სადროშოში აღარ შედიოდნენ ზევდგინიძეები, თუმანიშვილები, ბატონი მრუელი, ბატონი ურბნელი, ბატონი მთავარეპისკოპოსი, თვალდამწვრიანები, ქავთარაძეები, თუხარელები, თაქთაქ „ტატიანი“, წერეთლის მამული, როგორც ჩანს, სადროშომ დანაკლისი განსაკუთრებით დასავლეთის მხარეს განიცადა. სადროშოში მხოლოდ 15 სათავადო შედიოდა[2], მათ შორის ზოგიერთი ისეთი, რომელიც წინათ არ ეკუთვნოდა: ხერხეულიძეები, დავითაშვილები, ხიდირბეგიშვილები, მხეიძეები, სიამარდიშვილები, შალიკაშვილები და მაჩაბლები[3].

სამხედრო ფუნქციის გარდა სადროშო ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ასრულებდა. სახელმწიფოში აღწერები ტარდებოდა სადროშოების მიხედვით. სარდალს აღწერა შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაეტარებინა. აღწერა ორ მიზანს ემსახურებოდა: მოლაშქრეთა რაოდენობის დადგენა და სახელმწიფო გადასახადების აღება. პასუხს ორივეზე სადროშოს სარდალი აგებდა[4].

სადროშოს სარდლობა ამილახვარს საკმაოდ დიდ სარგებელს აძლევდა. როსტომ მეფე 1656 წლის საბუთში პირდაპირ ჩამოთ-

---

[1] *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, НД №2124.*

[2] *ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია, თარგმანი გ. ქიქოძისა, „მნათობი“, 1939, №8.*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 398, №104.*

[4] *კლიმიაშვილი აკ., მასალები XV-XVIII სს ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის // XV-XVIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 127.*

ვლის ანდუყაფარ ამილახვრის სარგებელს: *„თქუენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერც ლიტრა და ვერც ადლი... ვერცავინ მებაჟე დააყენონ უთქუენოდა. და სომხის ყმებმა რომ დააშაოს რაიმე, იმის ჯურუმიც თქუენ გამოართვით“*[1].

ცნობებს სარდლის სარგოზე შემდგომი პერიოდის სხვა საბუთებშიც ვხვდებით, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ოთარ ამილახვრის 1803 წლის მოხსენება პავლე ციციანოვისადმი. სარდალს დიდ შემოსავალს აძლევდა მისი ჯარის მიერ მტრის ქვეყნიდან მოტანილი ნადავლი, საიდანაც მეფისათვის აღებული წილიდან მეხუთედი მას ეკუთვნოდა; ქვეყნის აღწერის დროს სადროშოს თითო კომლზე აბაზი ამილახვრისა იყო, სასარდლოში თავადის ან აზნაურის გაყრისას მდივანი რომ ყმასა და მამულს აღწერდა, კომლზე აღებული 14 შაურიდან ნახევარი ამილახვრისა იყო; გლეხები რომ ერთმანეთს წაეჩხუბებოდნენ და ერთი მეორეს თავს გაუტეხდა, დამნაშავეს „ხარი და მარჩილი“ უნდა გადაეხადა ამილახვრის სასარგებლოდ, თუ ვინმე იდეზერტირებდა, მისი ქონების მეხუთედი სარდალს რჩებოდა, ამილახვარს გარკვეულ შემოსავალს აძლევდა, აგრეთვე, მისი სადროშოდან მეფის სასამართლოში მისული მომჩივნის გადასახადიდან მიღებული წილი[2].

ამილახვრის შემოსავალი მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. ის საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდა თავის საგვარეულო მამულიდან.

როგორც ზემოთ ითქვა, ამილახვარი, როგორც წესი, გორის მოურავიც იყო. ის მეფისაგან ინიშნებოდა და ასრულებდა სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს.

XV საუკუნის პირველი მეოთხედიდან გორის მოურავი იყო ავთანდილ ზედგინიძე. მეფე ალექსანდრე დიდის მიერ 1425 წელს გაცემულ სიგელში ნათქვამია: *„მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ, ზერდგინ და თაყა, გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს“*. გორის მოურავად ჩანს იგივე თაყა ზედგინიძე იმავე მეფის 1429 წლის წყალობის სიგელში[3].

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 222, №78.*

[2] *მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. 1, გვ. 85-86*

[3] *ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 118-120*

სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ავთანდილს და, მისი სახით, მთელ გვარს, გორის მოურავობა საკარგავის სახით ჰქონდა, რაც მათ, ბუნებრივია არ აკმაყოფილებდა. ამიტომ, მეფეს სთხოვეს მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცემოდათ მათთვის საინტერესო გორის გამგებლობა. თუ ამ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ავთანდილს, მართალია, უკვე ხელთ ჰქონდა გორის მოურავობა, მაგრამ იმის გამო, რომ სახელოს მემკვიდრეობითად გადაქცევა სურდა, ფეოდალური ეთიკის შესაბამისად, სენიორის წინაშე წარმდგარ ვასალს თავისი თხოვნისათვის ისეთი სახე უნდა მიეცა, რომ მეფის მიერ გაცემული მოწყალება მკვეთრად გამოხატულიყო. შინაარსობრივად მართლაც მნიშვნელოვანი სიახლეა: მეფე ზედგინიძეს აძლევს ისეთ რამეს, რაც მას წინათ არ გააჩნდა – გორის მოურავის სახელოს „სამკუიდროდ“. ამიტომ საბუთში აღარ არის ნახსენები ის, რომ ზედგინიძეებს, კერძოდ ავთანდილს, ადრე უკვე ეკავა საძიებელი თანამდებობა საკარგავის სახით. სიგელში ნათქვამი იყო ზედგინიძეები თუ დაარღვევდნენ ვასალური ერთგულების ფიცს, ამით ისინი გორის მოურავობის ჩამორთმევას დაიმსახურებდნენ. მაგრამ მეფე პირობას დებდა, რომ *„თუ რამე ასეთი რამე საქმე შეგუცოდოსთ, რომე მოურავობის წაღება გუმართებდეს, სხვათა სამამულოთა გარდაგახდევინოთ და მოურაობა არც მაშინ წაგიღოთ“*[1].

მართლაც, საუკუნეების მანძილზე, თითქმის ყოველთვის, როგორც სადროშოს სარდლობა, ისე გორის მოურავობა ამილახვრების ხელში იყო.

მოურავი გორში არ ცხოვრობდა. მათ რეზიდენციად ჭალა ითვლებოდა. მოურავის უფლება-მოვალეობანი ქალაქის მნიშვნელობით განისაზღვრებოდა. დიდი ქალაქების მოურავები მეტი უფლებებით სარგებლობდნენ. გვიანფეოდალურ საქართველოში გორი, თბილისის შემდეგ, მეორე ქალაქად ითვლებოდა. ამიტომ გორის მოურავი თავისი უფლებებით მხოლოდ თბილისის მოურავს ჩამორჩებოდა.

მოურავი თავისი უფლებების გაფართოებას ცდილობდა, რასაც გორის მოსახლეობის ექსპლოატაციის გადიდებისათვის იყენებდა. მოურავის მოვალეობანი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მათგან უპირველესს „ჭეშმარიტი სამართლის“ წარმოება შეადგენდა[2]. მასვე თვალყური უნდა ედევნებინა ქალაქის ეკონომიური ცხოვრე-

---

[1] *იქვე, გვ. 122.*

[2] *საქართველოს სიძველენი, II, გვ. 528.*

ბისათვის, საზომ-საწყაოთა სისწორის, საერთო წესრიგისა და წესიერების დაცვისათვის, მისი უფლება იყო ქალაქის მოსახლეობის გაყრისა და შეყრის, მამულების, სახლებისა და დუქნების გაყიდვის წიგნების დამტკიცება, უცხოელი სტუმრების მიღება, თუ მეფე ქალაქში იმყოფებოდა, ყოველ დილით მოეხსენებინა მისთვის ქალაქის მდგომარეობის შესახებ, ხოლო თუ მეფე გორში არ იყო, მაშინ, თვეში ერთხელ, ვალდებული იყო ქალაქის ყოველწლიური ფინანსურის მდგომარეობის შესახებ სათანადო ანგარიში სამეფოს სახლთუხუცესისათვის წარედგინა.

ასეთი მრავალფეროვანი მოვალეობის აღსრულებისათვის მოურავს სხვადასხვა შემოსავლის წყარო ჰქონდა. ქალაქის მოსახლეობაზე გაწერილი იყო სპეციალური სამოურავო გადასახადი.

გორის მოურავის სარგოზე (შემოსავალზე) თითქმის სრულ წარმოდგენას გვიქმნის ოთარ ამილახვრის მოხსენება, რომელშიც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ის უფლებები და შემოსავალი, რაც მოურავს XVIII ს. დასასრულისათვის ჰქონდა[1].

ამგვარად, გორის მოურავი დიდ შემოსავალს იღებდა ქალაქიდან და ამიტომ ამილახვრები ამ სახელოს შენარჩუნებას თავგამოდებით ცდილობდნენ. გორიდან მიღებული შემოსავალი 500 თუმნამდე იყო. საინტერესოა, რომ თბილისის მოურავის შემოსავალი მხოლოდ 263 თუმანს შეადგენდა[2].

როგორც ვნახეთ, მოურავი საქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში ერეოდა და გარკვეული სარგოც ჰქონდა. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული უფლებები მოურავმა მოურავის ინსტიტუტის გაჩენასთან ერთად არ შეიძინა, ისინი თანდათან ყალიბდებოდა და საბოლოოდ, XVIII ს. დასასრულისათვის ისეთი სახე მიიღო, როგორიც არის ოთარ ამილახვრის მოხსენებაში. ოთარი მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რაც კანონით ეკუთვნოდა, მაგრამ სხვადასხვა საბუთებიდან ხომ ვიცით, რომ მოურავები „სარგოს“ ზევითაც, კანონის დარღვევით გორელებს გამოსძალავდნენ[3].

როგორც ითქვა, ზედგინიძე-ამილახვრებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი ზრუნვა და ამაგი იერუსალიმის ქართულ სავანეებზე. ზევდგინიძეთაგან პირველი იყო ჯანიბეგი, XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე, რომელიც

---

[1] *მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, გვ. 86-87.*

[2] *მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, გვ. 414.*

[3] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, 1, გვ. 345-346.*

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში მოიხსენიება მონასტრისათვის გაწეული რაღაც სამსახურის გამო[1]. აღაპებში მოხსენიებულნი არიან აგრეთვე XV ს. ცნობილი ზევდგინიძე-ამილახვრები: ავთანდილი, მამისა, თაყა, ამირინდო[2].

ამილახვართა თავადური გვარის დიდად დაწინაურების მიუხედავად, მისი მრავალი წარმომადგენლის შესახებ არაფერი ან იმდენად მცირე ვიცით, რომ მათზე რაიმე აზრის შექმნა შეუძლებელია. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად ის ამილახვრები წარმოვადგინე, რომლებიც ზემო ქართლის სადროშოს სარდლები და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გორის მოურავები იყვნენ. ჩვენმა საისტორიო მწერლობამ მათზე ცნობები მეტ-ნაკლებად სწორედ ამიტომ შემოგვინახა.

მოურავის ინსტიტუტის გაუქმება დაიწყო 1804 წლიდან. ინიციატორი იყო პ. ციციანოვი, რომლის წარდგინებით იმპერატორმა გააუქმა „მოსახლეობისათვის მძიმე და მავნე მოურავობა“. ციციანოვს დაევალა თანამდებობობიდან გადეყენებინა ანგარებიანი მოურავები. მთავარსარდალს დაევალა ასევე ემოქმედა მოურავების გარდაცვალების დროსაც, მათ ადგილზე არავინ დაენიშნა[3].

## ავთანდილ I

ჩემთვის ცნობილი წყაროებში გორის პირველი მოურავი ავთანდილ I ზედგინიძე დასახელებულია მეფე ალექსანდრეს დიდის 1425 წლის სიგელში. იმავე საბუთის მიხედვით, ავთანდილი „ეზოს ჩუხჩარეხიც“ (მეფის დაცვის უფროსი) იყო. ავთანდილთან ერთად დასახელებულია ზერდგინ და თაყა, ალბათ, ავთანდილის ძმები. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპში მოხსენიებულია ავთანდილ ზედგინიძე და მისი მეუღლე გულშარი, რადგან მათ ამ მონასტრისათვის ვენახი უბოძებიათ[4].

---

[1] *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XII ს.ს.), თბ., 1962, გვ. 76.*

[2] *იქვე, გვ. 76-77.*

[3] Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. II, Тиф., 1868, *с. 44, №61.*

[4] *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XII ს.ს.), გვ. 76.*

## თაყა I

ალექსანდრე I-ის 1429 წლის წყალობის სიგელში გორის მოურავად თაყა (ალბათ, ავთანდილის ძმა) ჩანს[1]. ეს თაყა იყო ზედგინიძეთა გვარიდან პირველი ამილახორი ვახტანგ ალექსანდრეს ძის მეფობის დროს (1442-1446). თაყამ 1433 წელს შიომღვიმეში ეკვდერი აიგო. იგი მოლარეთუხუცესი და შემდგომ ამილახორია. თაყა სიძე იყო ქართლის ერთ-ერთი უდიდესი ფეოდალის ფანასკერტელ-ციციშვილისა და იმავე დროს ქვისლი ვახტანგ მეფისა. მის მეუღლეს მანქაანი ერქვა. ცნობილი არაა რის გამო, მაგრამ მეფემ თავისი ქვისლი დაიჭირა და ლიხთიმერეთს გამოჰკეტა[2]. მის სახელთანაა დაკავშირებული იერუსალიმში წმ. ბასილის დედათა მონასტრის აშენება[3]. იერუსალიმის წმინდა ადგილებისადმი თაყას ოჯახის ყურადღების მაჩვენებელია მისი ქალის როდამ-ყოფილი რიფსიმეს იერუსალიმში მონასტერში შედგომა და ჯვრის მონასტრისადმი მატერიალური დახმარება. ამავე მონასტრის XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილ აღაპში ვკითხულობთ: *„ყოველთა მონაზონთა უნარჩევესმან ამილახორის თაყას ქალმან როადამ-ყოფილმან რიფსიმე ვიყიდე მაღ...რიტა (!) გასყიდული, და მეორედ კიდევ ქვისათუი დაარღუევდეს და კიდევ მეორედ ვიყიდე და დავიხსენ, და წისქუილი იყო ოხერი და ახლად ავაშენე ბორბლითა და ქვითა, და შემომიწირავს ჯუარისა პატიოსნისათვის და რაი მაჭარი დაიდგომოდეს, ერთი ხუცესი ჟამსა მიწირვიდან და აღაპი გარდაიხდებოდეს საუკუნო მე და ჩემის სულიერის შვილის თეკლასათვის, და ჩემთა მშობლეთათვის შენდობასა ბრძანებდეთ და მეუღლისა ჩემისათვის და ძისა ჩემისათვის“*[4].

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), გვ. 3.*

[2] *იქვე, გვ. 7, 11, 41.*

[3] *გაბაშვილი ტ., მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 81.*

[4] *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XII ს.ს.),* გვ. 165.

## ამირინდო I

ბაგრატ VII-ის დროს (1466-1478) ამილახორია ამირინდო. იგი დაბადებულია 1455 წელს, აღუზრდია და უშვილებია თაყა ამილახორს[1]. ერთი ცნობის მიხედვით, ამირინდოს მეუღლეს თამარი ერქვა[2], ხოლო სხვა ცნობით კი მისი მეუღლე მეფე ბაგრატის და ელენე იყო[3]. ტ. გაბაშვილის გადმოცემით, წმ. ბასილის მონასტრის აღმშენებელი თაყასთან ერთად ამირინდოცაა. მაგრამ იმის გაზიარება ჭირს, რომ ამირინდო 60-იან წლებში, თაყასთან ერთად, იმ რანგის მოღვაწე იყო, რომ წმ. ბასილის მონასტერი დაეარსებინა[4]. მისი ასეთი საქმიანობა უფრო 70-იან წლებშია საგულისხმო, როდესაც იგი სრულასაკოვანი და ამილახორი გახდა. ჯვრის მონასტრის აღაპითაც წმ. ბასილის მონასტრის აღმშენებელი მხოლოდ ამირინდო იყო: *„გაუჩინეთ ამირინდოსათვის მესმასა ზედა საუკუნოდ დალოცვა და წმიდასა ბასილის დღესასწაულსა მწუხრსა აღაპი მისთვისვე და მეორესა დღესა მისია მეუღლისა თამარისათვის წირვა და აღაპი საუკუნო, და გესამანიასა ერთი კანდელი ენთებოდეს ამილახორისათვისვე, და წმიდისა ბასილის მონასტერი მოვახსენეთ მას და მისთა ნათესავთა“*[5].

უზუნ-ჰასანის შემოსევისას, 1477 წელს, მეფე კონსტანტინემ ამირინდოს გორის დაცვა უბრძანა, მაგრამ თავისავე ძმებმა – ავთანდილმა და სულმამამ არ დაანებეს და მტერი ქალაქს დაეუფლა[6]. ამირინდოს მეფესთან ურთიერთობა გაფუჭებია და ცოლ-შვილით სამცხეში კავკასიძესთან გადახვეწილა. როცა მეფე კონსტანტინემ 1481 წელს ათაბაგი მანუჩარი დაამარცხა, მაშინ დაიღუპა ამირინდო 26 წლის ასაკში.

---

[1] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით),* გვ. 43,64

[2] *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XII ს.ს.),* გვ. 76.

[3] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, // ძველი საქართველო, II, ტფ. 1913, გვ. 109.*

[4] შდრ. *მეტრეველი ელ., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა // კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტეს მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 229.*

[5] *ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით),* გვ. 44.

[6] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ,* II, გვ. 324.

## ავთანდილ II

ავთანდილმა XV ს. 70-იანი წლების დასასრულს, კერძოდ, 1478 წელს, თურქმანებისათვის გადასახდელ ხარკში თავისი 2100 თანგა შეიტანა.

### *მამია*

1504 წელს ამილახორია მამია ზედგინიძე[1], რომელიც იგივე მამია უნდა იყოს, 1477 წელს მეჯინიბეთუხუცესად რომ მოიხსენიება. 1504 წელს იგი მცხეთის კათალიკოსს დოროთეოსს შეწირულ აგარაკთა გამო აღაპის გადახდას ავალებს.

### *სიაოში*

1508 წელს ამილახვრის მამიას შვილშვილი სიაოში (ბერობაში სიმონი). მისი მეუღლეა იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მამიდა გაიანე. სიაოშმა და გაიანემ 1508 წელს განაახლეს სამთავსისი ტაძარი[2], რადგან სიაოში იმერეთის ბაგრატიონების ნათესავი იყო, ამიტომაც მათ მომხრეობას იჩემებდა და ალექსანდრე მეფეს ქართლის, კერძოდ გორის დაპყრობაში დაეხმარა 1510 წელს.

## თაყა II

თაყას მეუღლეა ფანასკერტელის ასული ულუმპია, ხოლო შვილები: თომა, ბარზი, ავთანდილი, ფარემუზა, იოთამი, ბეჟანი. ძმები – ზედგინ და სიაოშ (გარდაცვლილები)[3]. თაყამ ამილახვრობა და გორის მოურავობა მიიღო 1511 წელს, ალექსანდრე II-ის გარდაცვალებისთანავე, როცა მეფე დავით X-მ ქართლი დაიპყრო. ალექსანდრეს გორში აცნობეს თურქების მიერ იმერეთის აკლება,

---

[1] *საქართველოს სიძველენი, III, გვ. 17.*

[2] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები// ძველი საქართველო, II, ტფ., 1913, გვ. 109.*

[3] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ,II, გვ. 332.*

იგი სასწრაფოდ აიყარა გორიდან, იმერეთში გადავიდა და თან წაასვენა გორიჯვრის ჯვარი, რომელიც გელათში მოათავსეს.

1511 წელს დავით მეფის ნებართვით, ქიზიყელი აზნაური გულბაად ნასიძე გადმოიბირა, მოიყვანა და უბოძა სოფ. ოკამი ბრინჯის ხევიდან ჩანგილარის საზღვრამდე.

1513 წელს თაყამ, არ ვიცით როგორ, მაგრამ გორიჯვრის ჯვარის თავის ძველ ადგილზე დაბრუნება მოახერხა.

დაახლოებით 1514 წელს ამილახვართა მოქიშპე უშვილო ღაზნელმა თავისი ყმა და მამული თაყას უანდერძა[1].

## ბარძიმი

ბარძიმი (ბარზი) ქართლის მეფე სიმონ I-ის მოწინააღმდეგე იყო და მხარს უჭერდა მის ძმა დაუთ-ხანს. ბარძიმი ასევე მხარს უჭერდა კახთა მეფე ალექსანდრე II-ს, რომელსაც მისი ასული თინათინი თანამეცხედრედ ჰყავდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ბარძიმ ამილახვარი ქართლის სხვა თავადებთან და ქართლის გამგებელ დაუთხანთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ალექსანდრეს კახეთში გამეფებაში 1574 წელს. თაყა ალექსანდრეს ეხმარებოდა იმავე წელს ნახევარძმების წინააღმდეგ თორღვასთან მომხდარ ბრძოლაში. ამ ბრძოლის შემდეგ ალექსანდრე მთელ კახეთში გამეფდა[2]. ბარძიმი ალექსანდრეს ეხმარებოდა სიმონ I-ის წინააღმდეგაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიმონი ალექსანდრეს დის ქმარი იყო.

როცა 1569 წელს სიმონ I ყიზილბაშებმა დაატყვევეს *„და ოდეს დაიდასტურეს ქსნის ერისთავმან და ამილახორმან ტყუეობა მეფისა სვიმონისა და სიკუდილი ცოლის ძმებისა მისისა, კახის ბატონის შვილებისა, მაშინ განირისხეს ღმერთი. სძლია ანგარებამან და ვერცხლის-მოყუარებამან, შეისივნეს დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და იავარ-ყვეს საუნჯენი მისნი, და წარიღეს ყოველივე, რაცა აქუნდათ, მეფისა სვიმონისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა...“*[3] იგივეს გადმოგვცემს ვახუშტიც[4].

---

[1] ამილახვართა და ღაზნელთა გვარებს შორის მტრობის გამომწვევი მიზეზის საინტერესო ლეგენდა იხ. *პ. კარბელაშვილი // ძველი საქართველო, II, გვ. 105-106.*

[2] *იქვე, გვ. 122*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 515.*

[4] *იქვე, IV, გვ. 409.*

1578 წელს ოსმალებმა თბილისი აიღეს, ბარძიმ ამილახვარი ვახტანგ მუხრანბატონთან და ქსნის ერისთავ ელიზბართან ერთად ოსმალთა სარდალ მუსტაფა ლალა ფაშასთან გამოცხადდა და მორჩილება აღუთქვა[1].

იმავე წელს სიმონ I ქართლში დაბრუნდა. ამილახვარი და ქსნის ერისთავი კახეთში გაიქცნენ[2]. ვახუშტის თქმით, კი სიმონმა ბარძიმი შეიპყრო და მისი დასჯა სურდა, მაგრამ დედოფლის ჩარევის გამო შეუნდო და მხოლოდ მამულების ერთი ნაწილი, კასპი და კარბი ჩამოართვა. ჩამოართვა აგრეთვე გორის მოურავობა და სულხან თურმანიძის ძეს ჩააბარა[3]. მეფემ შემდეგში ბარძიმს ერთგულების ფიცი დაადებინა და ჩამორთმეული მამულები დაუბრუნა[4].

**თაყა III**

სიმონ I-მა 1581 წელს თაყას უბოძა ამილახვრობა[5].

**პაპუნა**

პაპუნა ამილახვრად არის 1605-1614 და 1619-1620 წლებში. როდესაც მამისა და ძმის მკვლელი კახეთის მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლისას ქეთევან დედოფალმა ქართლის მეფე გიორგი X-ს დახმარება სთხოვა, ზემო ქართლის სადროშოს 2 ათასი მხედარი პაპუნას სარდლობით გაიგზავნა კახეთში. პაპუნა კონსტანტინეს ბიძა იყო. მისი და თინათინი დედა იყო კონსტანტინესი. ამიტომაც, მამისმკვლელი, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე წერს, კახელებს წაუქეზებიათ: ბიძა ხმას არ გაგცემს, საკმარისია წინ გახვიდე, დაენახო და კახელები და ქართლის ლაშქარი შენს მხარეზე გადმოვლენო. კონსტანტინე ასეც მოიქცა. როცა ის თავის ჯარს დაშორდა, წინიდან და უკნიდან ერთდროულად დაუშინეს და მოკლეს. სხვა ვერსიით, პაპუნა ამილახვარმა შუბი აძგერა კონსტანტინეს და ცხენიდან ჩამოაგდო.

---

[1] *ჟორდანია თ., ქრონიკები, II, გვ. 417; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 410.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, II, 1925, გვ. 219-220.*

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 524.*

[4] *იქვე, გვ. 412.*

[5] *გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, გვ. 389.*

ამის შემდეგ ვაჩნაძეები მიცვივდნენ კონსტანტინეს, თავი მოჰკვეთეს და ქეთევან დედოფალს ფეხებთან დაუგდეს[1].

პაპუნა მეორედ ამილახვრობდა 1619-1620 წლებში. სიმონ II-ის ქართლში გამეფებისთანავე პაპუნა გადააყენეს და მის ადგილი ანდუყაფარმა დაიკავა. ანდუყაფარმა პაპუნა მოაკვლევინა იასე ქსნის ერისთავს. პაპუნას ვაჟებმა პაატამ და იოთამმა, რომლებიც შაჰის კარზე იმყოფებოდნენ *„და იყვნენ დროს მძებნელნი რომ თავიანთი მამის მკვლელი იასე მოკლან... ამილახორის შვილებმან დროს დაიცვეს, ყაზმინს ყაენის სახლით მიმავალს გზაზედ დახვდნენ და თოფი ჰკრეს და იასე ერისთავი მოკლეს“*[2]. შურისძიების გამო ერისთავის მოკვლის შესახებ ცნობა დაგვიტოვა თანამედროვე სპარსელმა ისტორიკოსმა მოჰამედ თაჰერმა: *„იასე ერისთავი ქართველი მოკლა ყაზვინში ბადადა (პაატა) – ქართველმა, ამილახვრის შვილმა“*[3].

## **ანდუყაფარ I** *(1620-1625)*

ანდუყაფარი ბაგრატ-ხანის მეუღლე, დედოფალ ანას, ანდუყაფარ ფარემუზის ძე ამილახვრის (მოკლეს ციხედიდის ბრძოლაში 1561 წლის 6 აპრილს) ქალის ძმისწული იყო. იგი შაჰ აბასის კარზე იზრდებოდა და გამაჰმადიანდა. შაჰმა ანდუყაფარს შერთო თავისი ქალი ზუბეიდა ბეგუმის და ისახან ყორჩიბაშის ასული, 1614 წელს ამილახვრობა უბოძა და ქართლში გამოისტუმრა. ანდუყაფარი ქართლში დიდხანს ვერ გაჩერდა, ლუარსაბ და თეიმურაზ მეფეების ალიანსით შეშინებულ იესე ერისთავთან, ფეშანგი ფალავანდიშვილთან და აღათანგ ხერხეულიძესთან ერთად ირანში გაიპარა[1]. ამილახვარი კვლავ პაპუნა გახდა.

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და შაჰ აბასმა ქართლის მეფობა მის ვაჟს სიმონ II-ს მისცა. ამილახვრობა კვლავ ანდუყაფარმა დაიბრუნა. ვიდრე ეს უკანასკნელი ქართლში დაბრუნდებოდა 1620 წლამდე პაპუნა ამილახვრობდა.

დამდაბლებული პაპუნა სხვილოში ცხოვრობდა და თავის დროს ელოდებოდა, მაგრამ ანდუყაფარის წაქეზებით იესე ერისთავმა

---

[1] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, გვ. 126.*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა // საისტორიო მოამბე, II, თფ., 1925, გვ. 245.*

[3] *ფუთურიძე ვლ., ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე // კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 378.*

მოაკვლევინა. შეშინებულმა პაპუნას მეუღლემ, თამარ ბატონიშვილმა (სიმონ I-ის ასული) შვილები – პაატა, ბეჟანი და იოთამი შაჰთან გაგზავნა[1].

იესე ერისთავი, რომელსაც მრავალი ცოდვა ჰქონდა (მოკლა თავისი ძმა შანშე, ქსნის ერისთავი ზაალი, პაპუნა ამილახვარი), როსტომ მეფეს გაექცა და ირანს გადაიხვეწა. ის შაჰმა დიდი პატივით მიიღო, *„ულუფა გაუჩინეს და ხემწიფის მეჯლის შიგ დასვეს“.* პაპუნას ვაჟებმა პაატამ და იოთამმა, რომლებიც შაჰის კარზე იმყოფებოდნენ  იასე ერისთავი მოკლეს[2].

ანდუყაფარი, 1620 წელს, როდესაც ქართლში მოვიდა, მას მტრულად შეხვდნენ თვით ამილახვრის სახლის წევრებიც კი. მაგრამ მას არაფრის შიში არ ჰქონდა, რადგან სიმონ II მისი მამიდაშვილი და ქვისლიც იყო. ანდუყაფარმა სხვილოს ციხეში ყიზილბაშთა მეციხოვნე ჯარი ჩააყენა და მეზობლებს იკლებდა.

ბერი ეგნატაშვილის თქმით, 1623 წელს, როდესაც გიორგი სააკაძის და ზურაბ ერისთავის მიერ სპარსელთა გარნიზონების ამოჟლეტის გეგმა დგებოდა, ანდუყაფარი საქმეში არ გაურიეს, რადგან მას არასაიმედო კაცად თვლიდნენ: *„ხოლო ანდუყაფარს არ ენდობოდნენ, რამეთუ ცოლად ჰყვანდა დაი სვიმონ მეფის (სვიმონ II, 1619-1630 ან 1631 –ე.მ.) ცოლისა და ნათესავი ყაენისა, და, თვითცა მაჰმადიანის სჯულზედ მისულიყო2 და დიდად იჭირვოდა ყიზილბაშისათვის და დიდად ერთგული იყო... რადგან არ ენდო-*

---

[1] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები , გვ. 126-130.*

[2] ანდუყაფარს გამაჰმადიანებასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს ლეგენდას, რომელსაც სიმართლესთან  კავშირი ნაკლებად აქვს, მაგრამ ნათელს კი ხდის იმას თუ როგორი საზოგადოებრივი აზრი არსებობდა ანდუყაფარის შესახებ. როდესაც ავთანდილს ჩამოართვეს ამილახვრობა, ყვება ვახუშტი, ეს მაღალი თანამდებობა ანდუყაფარს შესთავაზეს. მან თანამდებობის დაკავებაზე უარი თქვა მანამდე ვიდრე არ გამაჰმადიანდებოდა. მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: თბილისში მოიყვანეს მოლა და ანდუყაფარი წინდაცვითეს. ასეთი პროცედურა, როგორც წესი, ირანში უნდა შესრულებულიყო. მეორე დღეს ანდუყაფარი სანადიროდ წავიდა. ნადირობისას კურდღელი გამოუხტა, მან ისარი დაუმიზნა, მაგრამ, სასწაულად, მისმა ერთგულმა მსახურმა ცხენი აძგერა, ანდუყაფარი ცხენიდან გადავარდა, კისერი მოიტეხა და მოკვდა. სასწაული ეშმაკს მიაწერეს და, თითქოს, ანდუყაფარის საფლავიდან ყოველ ღამე ძაღლის ლეკვები ამოდიოდნენ და წკავწკავებდნენ. *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 425, 448, 480.*

*ბოდნენ ამილახორს; დაიჭირეს და ცოლშვილით არშის ციხეში გაგზავნეს და მუნ დაატყვევეს“*[1].

შაჰ აბასს ანდუყაფარი იმდენად ერთგულ და საჭირო კაცად მიაჩნდა, რომ როდესაც ოჯახთან ერთად მისი დატუსაღების ამბავი შეიტყო, *„განრისხდა ფრიად და წარმოავლინა ყორჩიბაში (ანდუყაფარის სიმამრი – ე.მ.) დიდითა მძლავრობითა. წარმოვიდენ და მოვიდენ და დაიბანაკეს ალგეთზედა“*[2]. ბერი ეგნატაშვილი აღარ ამბობს, თუ როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ყორჩიბაშმა, როცა ძალით ვერ შეძლო ანდუყაფარისა და მისი ოჯახის გაათავისუფლება, შეუთანხმდა ზურაბ ერისთავს, ხოსრო მირზას (შემდეგში როსტომ ხანის სახელით ცნობილი ქართლის მეფე) მეთაურობით ჯარი გაგზავნა, რომელმაც ამილახვარი და მისი ცოლი გაათავისუფლა და ყორჩიბაშს მიჰგვარა[3].

ამილახვრებს, დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისიდან, თვალი ეჭირათ საღაზნელოზე, აზნაურ ღაზნეველთა მამულზე, რომელიც საამილახვროსა და ქსნის საერისთავოს შორის მდებარეობდა. ანდუყაფარმა ცილი დასწამა, როგორც ვახუშტი ამბობს, აზნაურ ღაზნელს, თითქოს მისი დასმენით დაატუსაღეს ამილახვარი და ქსნის ერისთავის დახმარებით ღაზნელთა მთელი გვარი ამოწყვიტეს. მისი მამული ამილახვარმა და ერისთავმა გაინაწილეს[4].

ზემოთ ითქვა, რომ ანდუყაფარმა პაპუნა ამილახვარი მოაკვლევინა, როდესაც გიორგი სააკაძემ გაიგო თავისი ერთგული პაპუნას მოკვლის ამბავი, 1625 წლის დამდეგს სამცხიდან წამოვიდა, აიღო გორის ციხე და ყიზილბაშები ამოწყვიტა. ანდუყაფარი თბილისში გაიქცა სიმონ მეფესთან. მან ამ მგზავრობისას ერთი „საგმირო“ საქმეც მოასწრო: ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რომლის მსგავსს იმ არეულობისა და განუკითხაობის ჟამსაც რომ ერიდებოდნენ. ანდუყაფარი მცხეთას მივიდა, დეკანოზი შეიპყრო და მცხეთის საგანძური წაართვა. ამის შემდეგ ამილახვარი თბილისის ციხისთავს ესტუმრა. როდესაც სტუმრობა დაასრულა და წასასვლელად წამოდგა, წაიბორძიკა, მოაჯირს მიაწყდა, ციხის კედლიდან გადმოვარდა და *„მოკუდა ანდუყაფარ ბოროტად“*[1]. ანდუყაფარს სიკვდილის შემდეგ მისმა მოწინააღმდეგეებმა ოჯახის ამოუწყვიტეს.

---

[1] *იქვე, II, გვ. 406.*

[2] *იქვე, გვ. 407-408.*

[3] *იქვე, IV, გვ. 432-433.*

[4] *იქვე, გვ. 434.*

[1] *იქვე.*

**იოთამ I** *(1626-1633, 1634-1642, 1645-1646)*

იოთამ პაპუნას ძე. იგი დედის, თამარ ბატონიშვილის რჩევით ირანიდან დაბრუნდა და მონაწილეობა მიიღო ბაზალეთის ბრძოლაში გიორგი სააკაძის წინააღმდეგ[2]. 1626 წლიდან იგი ამილახვრობას შეუდგა. თეიმურაზ I-მა მას ამილახვრობა დაუმტკიცა და საფიცრის წიგნებიც მისცა 1630 და 1631 წლებში[3]. როცა სვიმონ II მოძლიერდა და საამილახვროშიც განმტკიცდა, თავის მხრივაც, იოთამს საფიცრის წიგნი მისცა, რომელშიც მეფე აცხადებდა: *„ვიყვნეთ თქვენი უვნონი, უზიანონი, არა გავნოთ, არა ჩუენმან და არც ჩუენის სიტყვის მამსმენ კაცისაგან თქუენ არა გევნოს რა და არცა გეზიანოს... თუ ჩვენზედ არა სტყუოთ რა, სამართლიანის საქმითა რისაც მქონებელნი მამულისა და სახელოსი ყოფილიყვნეთ, არც იმაზე დაგიმცირეთ“*[4]. მოყვანილი ციტატადან ჩანს, როგორ გაიზარდა ამილახვრის პოლიტიკური წონა. სიმონი მას სთხოვს პირობა დასდოს, მეფეს რომ ზიანს არ მიაყენებს და სამაგიეროდ მეფისაგანც მსგავსი მოქმედების შიში ნუ ექნება.

როცა შაჰ აბასი გარდაიცვალა და სიმონ მეორეც ზურაბ არაგვის ერისთავმა მოკლა, თეიმურაზ I ქართლს დაეპატრონა და გორის მოურავის, იოთამ ამილახვრის, ხელახლა თავის მხარეზე გადაყვანა სცადა[5]. მან იოთამს, როგორც ზემო ქართლის სადროშოს სარდალს, დაუქვემდებარა *„რაც გორს ზედათ ან სადედოფლო... ან სვეტიცხოვლისა და იელუსარემის“* მამულები იყო[6]. თეიმურაზმა 1631 წელს იოთამს გადასცა, აგრეთვე, სურხან თურმანიძის კერძო მამული არადეთის სანაცვლოდ[7]. ამ დროიდან მოყოლებული იოთამი ყოველთვის იმის მომხრე იყო, ვისგანაც მეტ სარგებელს მოელოდა. მაგრამ, როგორც მისი ბიოგრაფიის ფრაგმენტებიდან ჩანს, იგი უფრო თეიმურაზისაკენ იხრებოდა ხოლმე. ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც იოთამის თანამედროვე იყო, აღნიშნავს, რომ, როცა როსტომის ყიზილბაშთა ჯარით საქართველოზე წამოსვლის შესახებ ცნობილი გახდა, თეიმურაზი ყველამ

---

[2] *არჩილიანი, II, გვ. 79; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 592.*

[3] კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, *გვ. 130-131.*

[4] *გვრიტიშვილი დ., დასახ. ნაშრ., გვ. 397.*

[5] *ხელნაწერთა ინსტიტუტი, №2128.*

[6] *იქვე, №2124.*

[7] *იქვე, №2122.*

მიატოვა იოთამ ამილახვრის გარდა[1]. მან თეიმურაზს უერთგულა მაშინაც, როცა როსტომ ხანი ქართლში მოვიდა და ქართლის დიდებულებს თეიმურაზის შეპყრობა და მისი როსტომისათვის გადაცემა სურდათ[2].

როსტომმა თან მოიყვანა მრავალი ქართველი. მათ შორის იყო იოთამის ძმა ბეჟანი, როსტომმა იოთამი გადააყენა და ამილახვრობა ბეჟანს უბოძა 1633 წლის 26 მარტს[3].

როსტომის მიერ გორის ციხის აღდგენის შემდეგ მივიდნენ და „მეფეს ფეხს აკოცეს" ქართლის თავადაზნაურებმა ფარსადან ციციშვილის გარდა. ეს ცნობა ფარსადან გორგიჯანიძეს ეკუთვნის და ისე გამოდის, რომ როსტომის წინაშე ქედმოხრილ დიდებულებს შორის იოთამ ამილახვარიც უნდა ყოფილიყო.

1634 წელს, იოთამის და ბეჟანის დედა, თამარ ბატონიშვილი როსტომთან მივიდა და მისი ახლადშერთული დედოფლის, დადიანის ქალის მარიამის წყალობით როსტომი იოთამთან შეარიგა.

1636 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ ქართლის უდიდესი თავადები: ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (მისი სიძე იყო თეიმურაზ I-ის ვაჟი დავითი), გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ და სხვები[4]. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, შეთქმულების მონაწილე იყო იოთამ ამილახვარიც[5]. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ როსტომის მოკვლა და თეიმურაზის გამეფება ქართლშიც. შეთქმულება ყორხმაზბეგმა გასცა. როსტომმა ვინც მოიხელთა, ყველას მკაცრად გაუსწორდა. თავადები მაინც არ ისვენებდნენ. საპასუხოდ როსტომმა იასე ერისთავის და იოთამ ამილახვრის ცოლ-შვილი გორის ციხეში შეიყვანა და თვით იასეს და იოთამის შეპყრობას ლამობდა. მაგრამ თავადებმა გაიგეს როსტომის განზრახვა და ახალგორს შეეფარნენ. როსტომმა იოთამი ამილახვრობიდან გადააყენა და მის მაგიერ მისი ძმა ბეჟანი დანიშნა, ხოლო ამილახვართა მთავარი რეზიდენცია-სხვილოს ციხე დააქცია. იასე და იოთამი კახეთს თეიმურაზთან გადავიდნენ და იქიდან დედოფალ მარიამს დაუწყეს ხვეწნა

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240.*

[2] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 26.*

[3] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, გვ. 131.*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ.250.*

[5] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422.*

ჩვენი ცოლშვილი გამოუშვასო. როსტომმა მართლაც გაათავისუფლა იასეს და იოთამის ჯალაბი.

იოთამის როსტომთან შერიგების საქმეში კვლავ მნიშვნელოვანი როლი იოთამის დედამ შეასრულა, რომელიც იმხანად იმერეთში ჩიჯავაძესთან იმყოფებოდა. იგი ქართლში გადმოვიდა, როსტომს ძვირფასი საჩუქრებით ეახლა და შვილის შემორიგებას შეეხვეწა. მეფემ იოთამს ყველაფერი აპატია და საამილახვროც დაუბრუნა 1645 წელს[1].

იოთამ ამილახვარი ტიპიური მერყევი ფეოდალი იყო, რომელიც ყოველთვის უპირატესობას თავის პირად ინტერესებს ანიჭებდა. ვახუშტი ბატონიშვილი მას შემდეგნაირად ახასიათებს: *„არამედ იოთამ ჟამთა მჭურეტი ჟამ იყვის ბატონის თეიმურაზის თანა, ჟამ როსტომის წინაშე“*[2]. ხოლო ბერი ეგნატაშვილის თქმით: „იოთამ ამილახორი ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან თეიმურაზს და, სიტკენაც დრო დაახელოს, იქითკენ იყვის“[3].

ბეჟანი, პაპუნას ძე, ძმა იოთამ ამილახვრისა. ანდუყაფარ ამილახვრის მიერ მისი მამის მოკვლის შემდეგ ძმებთან ერთად ირანს გადაიხვეწა. როცა შაჰ სეფიმ ქართლი როსტომს მისცა, ამ უკანასკნელის თხოვნით შაჰმა თავის კარზე მყოფი ქართველი დიდებულებიც გამოაყოლა. მათ შორის იყო ბეჟანიც[4].

## **ბეჟანი** *(1633-1645)*

*ბეჟანი* როსტომთან დაახლოებული კაცი იყო და, როდესაც იოთამმა სხვა დიდებულებთან ერთად მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა, მის მაგიერ ამილახვრობა ბეჟანს მისცა[5]. მოღწეულია როსტომის მიერ 1633 წლის 26 მარტს გაცემული სპარსულენოვანი საბუთი, რომლითაც მან ბეჟანს ამილახვრობა და ზემო ქართლის სარდლობა დაუმტკიცა. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით როსტომმა მალე ისევ იოთამი აღადგინა.

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ.245.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 239.*

[3] *იქვე, II, გვ. 423.*

[4] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 239.*

[5] *იქვე, გვ. 245.*

## ანდუყაფარ II (1649-1656)

ანდუყაფარი, იოთამ I-ის უფროსი ვაჟი. როსტომ მეფემ ამილახვრობა უბოძა 1649 წელს: *„შემოარტყა ხმალი და დროშა მისცა, დაუმტკიცა ძველი მამულ-დედულის წყალობის წიგნები“.* ანდუყაფარი გარდაიცვალა 1656 წელს.

## გივი I *(1656-1689, 1691-1693)*

*გივი* იოთამის ძე, გამოცდილი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე. იგი გარეგნულად ულამაზესი და შესანიშნავი ქცევისა ყოფილა[1]. მას ცოლად ჰყავდა ვახტანგ V შაჰნავაზის ასული თამარი.

ვახტანგ V-მ წარმატებით დალაშქრა იმერეთი და გივის ხელით შაჰს დიდძალი საჩუქრები და *„ტყუენი ოდიშარნი“* გაუგზავნა 1661 წელს[2]. გივი ირანში ახლდა შაჰნავაზის ვაჟს არჩილს 1663 წელს, როდესაც შაჰის მოთხოვნით ბატონიშვილი ირანს გააგზავნეს. ვახუშტის მიხედვით, *„არამედ არჩილს შთასრულსა მაზანდარანს პატივ-სცა ყეენმან და შეიყუარა ფრიად მერმე მაჰმადიანჰყო გივითურთ“*[3]. გივი ამილახვარი თან ახლდა როსტომის მიერ ირანს გაგზავნილ თეიმურაზ პირველსაც[4].

1667 წელს შაჰნავაზმა გივის თავის ქალი თამარი მიათხოვა[5].

გარკვეული დიპლომატიური მისიით გაგზავნა გიორგი XI-მ გივი ამილახვარი იმერეთიდან გამოძევებულ არჩილთან, რომელიც ამჯერად ქართლის ტახტის მაძიებელი იყო. შაჰი კატეგორიულად მოითხოვდა არჩილის გაძევებას ან დაპატიმრებას. გივიმ წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მისიას – არჩილი ქართლს გაეცალა და რუსეთს წავიდა[6].

გივი შაჰნავაზს ახლდა კახეთში ერეკლე I-ის წინააღმდეგ ბრძოლისას და კინაღამ დაიღუპა. „მოვიდა ერეკლე თუშ-კახითა და დაესხა მეფესა ღამესა ბნელსა. არამედ შესცთენ მეფის კარვი-

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 272.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 458.*

[3] *იქვე, გვ. 451.*

[4] კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, *გვ. 132.*

[5] *იქვე, გვ. 132.*

[6] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 458.*

სა დამსხმელნი და დაესხნენ ამილახორისასა. მაშინ იგი ივლტოდა შიდა ქართველით...“[1].

1687 წლის დამლევს ერეკლე I-მა შაჰის ბრძანებით ქართლი დაიკავა. მან ყველა დაამდაბლა, ვინც გიორგი მეფის ერთგული იყო. ასე დაემართა გივი ამილახვარსაც. 1689 წელს მას ამილახორობა ჩამოართვეს და ანდუყაფარის ვაჟს, იოთამ მესამეს გადასცეს.

როცა გიორგი XI ახალციხეს თავს აფარებდა, *„ვინათგან უპატიო იყვნენ ქართლისა თავადნი ერეკლე მეფისაგან, ამისათვის ეზრახოდნენ მეფესა გიორგისა რათა მივიდეს ქართლს“,* აშოთან მუხრანბატონი და გივი ამილახვარი გიორგის ფულსა და ძვირფასეულობას უგზავნიდნენ, რითაც ახალციხის ფაშის კარისკაცებს და იანიჩრებს ქრთამავდა. გიორგი თავის დას, გივის მეუღლეს თამარს ფულს დაესესხა. თამარმა დიდძალი ქონება გაუგზავნა. სანაცვლოდ მეფემ თავის დას სამი აზნაურიშვილი – იალღუზიშვილი, ბედინაშვილი და ცალქალამანიძე თავიანთი ყმითა და მამულებით უბოძა[2].

გივი ამილახვარი ქართლ-კახეთში დაიარებოდა და ერეკლეს მოყმეებს უმხედრებდა, გიორგი მეფის სახელით ყველას წყალობას პირდებოდა და საფიცრის წიგნებს აძლევდა. გივიმ თავისი აზნაურიშვილები – ბიძინა და თამაზ ყანჩაელნი, თამაზ ტარსაიჭაშვილი, დათუნა მაღრანელი და პაატა ბასილაშვილი ახალციხეს გაგზავნა და გიორგისთან დააბარა: *„მობრძანდი და ქართლი დაიჭირეო“.* ამასთან ერთად, აწერა ქართლის ლაშქარი და დანიშნულ დღეს თავი მოუყარა სხვილოს ციხის დაბლა გალავანში, რადგან გორი მას არ ემორჩილებოდა. აქ ერეკლეს ერთგული იოთამი გამაგრებულიყო.

გივის გაგზავნილმა აზნაურებმა ისე მოახერხეს, რომ გიორგი მეფე ახალციხის ციხიდან გამოაპარეს და სოფ. ჭალაში მიიყვანეს 1691 წლის 15 ივლისს. მან გივის ამილახვრობა დაუბრუნა.

ორი წლის შემდეგ ქართლს ისევ ერეკლე დაეუფლა. გივი რაჭაში გადავიდა და შოშიტა ერისთავთან გაჩერდა. აქ გარდაიცვალა გივის მეუღლე თამარ ბატონიშვილი 1685 წლის 15 მარტს. გივიც რაჭაში გარდაიცვალა 1700 წელს[3].

---

[1] *იქვე, გვ. 452.*

[2] კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, *გვ. 133-134.*

[3] *იქვე, გვ. 133-136*

გივი ამილახვარი, თუ ვახუშტის ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოირჩეოდა მორალური სიწმინდით და სამეფო კარისადმი ერთგულებით. იგი სრულიად არ ჰგავდა იმ ფეოდალებს, რომლებსაც *„არღარა აქუნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თვისთა ერთგულებისა, ვინაითგან მცირედითა ნიჭითა*[1] *გამაჰმადიანდებოდნენ და აქუნდათ როქი*[2] *ყეენისაგან, შემყურე იყვნენ უფროს სოფლის დიდებისა, ვიდრეღა სუფევისათვის ჩუენთვის დაკლულია ქრისტესა. უკუდგა იასონ, ერისთავი არაგვისა, შურითა გივი ამილახორისათა“*[3].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გივი ამილახვარი არჩილთან ერთად ირანში ფორმალურად გამაჰმადინადა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქრისტიანობას მტკიცედ იცავდა.

## იოთამ II (1695-1698)

იოთამი, გივის ძმისწული. ერეკლე I-მა ქართლი რომ ხელახლა დაიკავა, ამილახვრობა ისევ იოთამს უბოძა. გაითიშნენ არა მხოლოდ ცალკეული თავადთა გვარები, არამედ ერთი თავადური სახლის შვილებიც. ამ მხრივ ტიპიურ მაგალითს, როგორც დ. გვრიტიშვილი შენიშნავდა, ამილახვართა სახლი წარმოადგენდა[4].

ამილახვრები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთნი გივის და მასთან ერთად გიორგი XI-ის მომხრეობას ჩემულობდნენ, მეორენი იოთამის მეთაურობით ერეკლე I-ს გვერდით დაუდგნენ. მაშინ, როცა გივი მეფისადმი კახეთის დამორჩილებაში დახმარებას ლამობდა და მასთან ერთად კოჯორს იდგა, იოთამი გორს იდგა და *„არბევდა მუნიდან ქართლს“*[5].

ერეკლე I-ის მიერ 1695 წლის თებერვალ-მარტში იოთამ ამილახვრის სახელზე გაცემულ სიგელში ხაზგასმულია მისი ერთგულება შაჰისადმი და თავდადებული ბრძოლა გიორგი XI-ის წინააღმდეგ. *„თუ ამას უკანაც ბედნიერის ყაენის სამსახურს მიუდგებით და ეცდებით, ეს ასე დაგვიმტკიცებია“-ო,* მიმართავს ერეკლე I იოთამს[6].

---

[1] საჩუქარი.

[2] გასამრჯელო.

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 460*

[4] *გვრიტიშვილი დ., დასახ. ნაშრ., გვ. 404*

[5] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 468-469.*

[6] *ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 368-369.*

## **ავთანდილ III** *(1698-1703, 1714-1716)*

ავთანდილ III რევაზის ძე. მას ამილახვრობა ერეკლე I-მა მისცა 1698 წელს. როცა ირანში მყოფ გიორგი XI-ს შაჰმა ჰუსეინ-მა კვლავ უბოძა ქართლის მეფობა 1703 წელს, ახლა ერეკლე გაეშურა ირანს. მის მაგიერ გამოიგზავნა ლევანი, რომელმაც ავთანდილს ჩამოართვა ამილახვრობა და ანდუყაფარ გივის ძეს გადასცა[1]. 1714 წელს იესემ კვლავ დაიბრუნა ქართლის მეფობა და კახეთის მაოხრებელი ჭარელების წინააღმდეგ ავთანდილი გაგზავნა ქართლის სპით. *„ესენი მოვიდნენ და დადგნენ საგარეჯოს რაოდენიმე თთუე, მერმე წავიდნენ უქმნი“*[2].

1716 წელს ვახტანგ VI-მ ავთანდილს ამილახვრობა ჩამოართვა და გიორგის გადასცა[3].

## **ანდუყაფარ III** *(1703-1714)*

1703 წელს ერეკლე I-ის მაგიერ ირანიდან გამოგზავნილმა ლევანმა (ვახტანგ V შაჰნავაზის ძე, მამა ვახტანგ VI-ის) ავთანდილს ამილახვრობა ჩამოართვა და ანდუყაფარ გივის ძეს გადასცა. ანდუყაფარი მაჰმადიანი იყო. მას დიდხანს არ დასცალდა ამ მაღალ თანამდებობაზე ყოფნა. თბილისიდან თავის სარეზიდენციო სოფ. ჭალაში ნადირობით მიმავალი ფონთხელის მახლობლად ცხენიდან გადმოვარდა და კისერი მოიტეხა[4].

## **გიორგი** ***(1716-1723)***

*გიორგის* ამილახვრობა უბოძა ქართლის გამგებელმა ლევანმა 1704 წელს. ამ თანამდებობაზე იყო 1714 წლის ბოლომდე, ვიდრე ირანიდან მოსულმა ქართლის მეფე იესემ (ვახტანგ VI-ის ძმა) არ გადააყენა. 1716 წელს ვახტანგ VI-მ გიორგის დაუბრუნა ამილახვრობა. იგი დაიღუპა 1723 წელს კახელებთან ბრძოლაში თბილისის დაცვის დროს[5].

---

[1] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, გვ. 136.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 495, 616.*

[3] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები, გვ. 137.*

[4] *კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები გვ. 136.*

[5] *იქვე, გვ. 137*

## *გივი II*[1]

### **ამირინდო II** *(1735-1744, 1748-1760)*

*ამირინდო* ავთანდილის ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, 1735 წლიდან ამილახორი გახდა. რადგან გივი 1738 წლიდან ქართლის ვექილი იყო, სავარაუდოა, ამირინდოს ამ დროიდან, ზემო ქართლის სადროშოს სარდლის და გორის მოურავის თანამდებობები ეკავა. ამას გვაფიქრებინებს პაპუნა ორბელიანის ერთი ფრაზა, რომელიც ეხება 1742 წლის დასაწყისს. კერძოდ ის ამბობს: „ზემო ქართლის ჯარის გამგედ ამილახორი ამირინდო მოვიდა“-ო[2]. როდესაც გივის აჯანყება დაიწყო და მას მხარი დაუჭირეს ქართლის მოსახლეობის სხვადსხვა სოციალურმა ფენებმა, სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო ამირინდოს დაწინაურება აღნიშნულ თანამდებობაზე.

1742 წლის 18 ივლისს თეიმურაზმა საამილახვროს და გორის მოსახლეობას უბრძანა ამირინდოს დამორჩილებოდნენ, მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელი იყო გივის ავტორიტეტისა და თვით აჯანყების მიზნის გამო.

ამირინდო თეიმურაზ II-ის ერთგული და შესაბამისად გივი ამილახვრის მოწინააღმდეგე ჩანს 1744 წელსაც[3]. მაგრამ იმავე წლის შუა ხანებში, მართალია, ამირინდო კვლავ თეიმურაზის გვერდით დგას და სურამში გამაგრებულ გივის ებრძვის, მაგრამ იგი ამილახვრად კი აღარ მოიხსენიება, არამედ ამილახვრისშვილად: „გაისტუმრეს ამილახორის შვილი ამირინდო და დააქცევეს სურამისა და კეხვის ციხე“[4]. იმავე და შემდგომი დროის დოკუმენტებში ამილახვარია დიმიტრი. 1748 წელს ქვემო ქართლის შემომტკიცებისათვის ბრძოლის დროს ერეკლე II-მ ამილახორობა კვლავ ამირინდოს დაუბრუნა: *„მეფემ ერეკლემ იქ უბოძა ამირინდოს ამილახორობა, დიმიტრის გამოართო“*[5].

1748 წელს ერეკლე თბილისის ციხეებში გამაგრებულ ყიზილბაშებს ებრძოდა. ერეკლემ არტილერიის გარეშე ვერაფერი გააწყო, ამიტომ *„გაგზავნა ბატონმა ამილახორი ამირინდო და გორიდამ*

---

[1] *ვრცლად იხ. მამისთვალისვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III (მზადდება გამოსაცემად)*

[2] *იქვე, გვ. 53.*

[3] *იქვე, გვ. 77.*

[4] *იქვე, გვ. 92, 97.*

[5] *იქვე, გვ. 140.*

*დიდი ზარბაზანი დაიბარა“*[1]. ამირინდო იყო მეფე ერეკლეს იმ დაახლოებულ დიდებულთა შორის, რომლებიც შაჰმა დაასაჩუქრა[2]. როდესაც შაჰს *„დაებარებინა კახის ბატონიშვილი ასან-მირზა და ქართლისა და კახეთის თავადნი და უფროსნი კაცნი“*[3], მათ შორის იყო ამირინდო ამილახვარიც, რომელიც შემდეგში ირანის მბრძანებელმა ერეკლესთან სპეციალური დავალებით გაგზავნა[4].

1749 წელს ამირინდო მონაწილეობდა ქართლ-კახეთის მეფეთა ერევნის სახანოს ხანის დასახმარებლად მოწყობილ ლაშქრობაში. ის მეთაურობდა ზემო ქართლის ჯარს *(„მემარჯვენედ ამილახორი ამირინდო ზემო ქართლის ჯარით და ვინა მემარჯვენე ჯარი იყო, კახის ბატონისა და ყაზახის ჯარსაც ამასთან უბრძანეს მისვლა“*[5]*).*

ამირინდო ამილახვარი სხვა თავადებთან ერთად მონაწილეობდა ლეკების წინააღმდეგ კულბითის წარმატებულ ბრძოლაში[6].

ამირინდომ თავი გამოიჩინა მჭადიჯვრის ბრძოლაში 1754 წელს[7].

ამირინდო ამილახვარი, როგორც ერთ-ერთ წარწერაში აღნიშნავდა, თავის საგამგეოში ლეკთა თავდასხმების შესაჩერებლად საფორტიფიკაციო მშენებლობასაც ეწეოდა[8].

ამირინდო ამილახვარი გარდაიცვალა 1772 წელს.

## დიმიტრი (1744-1748, 1760-1762)

დიმიტრი XVIII ს. 40-60 იან წლების სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. 1744 წლის პირველ ნახევარში ის ჯერ კიდევ ამილახვრისშვილია. მას ეკავა სტრატეგიული მნიშვნელობის ახალდაბის ციხე, რომლის საშუალებითაც გივი ამილახვარი კავშირს ამყარებდა ახალციხის საფაშოსთან და, საერთოდ, ოსმალეთთან. თეიმურაზ II-მ დიმიტრის მიუგზავნა მისი სიმამრი ყაფლან ორბელიანი და ახალდაბის ციხის დათმობა სთხოვა, სამაგიეროდ *„დაპირდა წყალობასა ფრიადსა“.* ყაფლან ორბელიანი *„გულსმოდ-*

---

[1] *იქვე, გვ. 142-143.*

[2] *პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 153.*

[3] *იქვე, გვ. 151.*

[4] *იქვე, გვ. 153.*

[5] *იქვე, გვ. 161.*

[6] *იქვე, გვ. 199-200.*

[7] *იქვე, გვ. 218.*

[8] *გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 296*

*გინებით გაისარჯა“* და დიმიტრიმ თეიმურაზს *„მოართვა ციხე ახალდაბისა“.* თეიმურაზმა შაჰთან შიკრიკი გაგზავნა, ახალდაბის ციხის დაპყრობა აცნობა და დიმისტრისათვის ჯამაგირი და ამილახვრობა გამოსთხოვა. შაჰთან გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და *„მოუტანინა ორმოცდაათი თუმნის ჯამაგირი დიმიტრის და უბოძა ამილახრობა ხელმწიფის რაყმით“*[1]. დიმიტრის გაამილახვრებას პაპუნა ორბელიანი 1754 წლით ათარიღებს, რაც სწორი არ უნდა იყოს და აი რატომ.

დიმიტრი ამილახვრად პირველად მოხსენიებულია 1744 წლის აგვისტოს ერთ-ერთ ნასყიდობის წიგნში[2]. იგი იმავე დროს ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავიც გახდა. 1754 წელს *„ბრძანა მეფემ (თეიმურაზ II – ე.მ.) დროშათა გაკეთება, გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე – მუხრან-ბატონს კონსტანტინეს, მესამე-ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა“*[3].

ცნობილი არაა ერეკლე II-მ 1748 წელს რატომ *„უბოძა ამირინ-დოს ამილახორობა, დიმიტრის გამოართო“*[4]. დიმიტრის შემდეგში დაუბრუნეს ამილახორობა და ამ თანამდებობაზე იყო 1760-1762 წლებში. 1762 წლის თებერვალში იგი უკვე ამილახვრიშვილობით მოიხსენიება, ამილახორი კი რევაზია[5]. შეიძ ლება ვიფიქროთ, რომ დიმიტრი ერეკლეს მიმართ უკმაყოფილებას უკვე ამჟღავნებდა, რაც გამოკვეთილად გამოჩნდა 1765 წელს მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მისი მონაწილეობით. თეიმურაზ ბაგრატიონის მიხე-დვით, შეთქმულების ხელმძღვანელი დიმიტრი იყო, რომელსაც ამ დროს სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა. ის მეფის მძახალიც იყო, მის ვაჟს, გიორგის ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის და ელისა-ბედი[6]. დიმიტრის მეორე ვაჟი ალექსანდრეს თქმით, დიმიტრის და სხვა ამილახვრიშვილების მეფეზე განაწყენების მიზეზი გიორგის და ელისაბედის ქორწინებაში ყოფილა. ისინი ჯერ კიდევ მცი-

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, იქვე, გვ. 91.*

[2] *დოკუმენტები, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 410*

[3] *პაპუნა ორბელიანი, იქვე, გვ. 102; მამისთვალიშვილი ე., გორის ისტო-რია, I, გვ. 373-374.*

[4] *პაპუნა ორბელიანი, გვ. 140*

[5] *გსიემ, 7782, ფ. 82-83.*

[6] *თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია / ტექსტი გამოსაცემად მოამ-ზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ. 52.*

რეწლოვანნი დანიშნეს, ხოლო როცა წამოიზარდნენ, დააქორწინეს. როგორც ალექსანდრე ამბობს, გიორგი ამ დროს ცხრა წლისა ყოფილა, რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი განაქორწინეს. მიზეზად ის დაასახელეს, რომ გიორგის *„კაცობა არ აღმოაჩნდა...“*[1] *„მეფემან ირაკლიმ გააშვებინა სულიერის კრებითა დაი თვისი ელისაბედ მითხოვილი ამილახვრის შვილს სახლთუხუცის დიმიტრის ძეს გიორგის ბუნებით საჭურისობისა გამო და აქორწინა დადიანს კაციასა ზედა“* - ამბობს ბაგრატ ბატონიშვილი[2].

სინამდვილეში შეთქმულებას ჰქონდა ღრმა პოლიტიკური მიზეზები.

შეთქმულებს განუზრახავთ ერეკლეს დამხობა და პაატა ბატონიშვილის გამეფება[3]. ა. ამილახვრის თანახმად, მისი მამა დიმიტრი, თითქოს მეფის წინაშე უცოდველი და ცილისწამების მსხვერპლი იყო: *„იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა ვახტანგ მეფის უკანონო შვილი, ირაკლის დედის ძმა, პაატა ბატონიშვილი, რომელმაც შემთხვევა იპოვნა და მამა ჩვენს გაანდო, რომ მრავალი თავადი მემხრობა, მაგრამ შენ დაუხმარებლად ვერ გავმეფდებიო; მართალია მამაჩემის უკანონო შვილი ვარ, მაგრამ რადგან დიდგვაროვანი თავადიშვილები ერთმანეთს გამეფების საშუალებას არ აძლევენ, ქართლის ტახტი უფრო მე შემეფერება, ვიდრე არა ქართლელს, ქვეყნისმრბეველს ირაკლისო. მამა ჩემმა უპასუხა: თუ ცოცხალი გადავრჩი (დიმიტრი ცხენიდან გადმოვარდილიყო და ლოგინად იწვა – ე.მ.), მე ვიცი როგორ გავუსწორდები ჩემს მტერსო“.* ტახტის მაძიებელმა უგუნურება გამოიჩინა და ერთს თავის ნათესავ ახალგაზრდა კაცს სიხარულით უთხრა, რომ ამილახვარ-

---

[1] *ალექსანდრე ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, გვ. 143.*

[2] *ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. წიგნში: დავით და ბაგრატ ბაგრატიონები, საქართველოს ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 52.*

[3] პაატა ბატონიშვილი დაიბადა დაახლოებით 1720 წელს. იგი იყო ვახტანგ VI–ის უკანონო ვაჟი. 1725 წლიდან მამასთან ერთად რუსეთში ცხოვრობდა, სადაც მიიღო განათლება. მან შეისწავლა სამხედრო საქმე, კერძოდ, არტილერია. მამის გარდაცვალების შემდეგ ეკონომიურად გაუჭირდა, რადგან რუსეთის მთავრობამ დაუნიშნა უაღრესად მცირე პენსია – წლიურად 300 მანეთის ოდენობით. 1749 წელს იგი რუსეთიდან გაიქცა და პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ეს ქვეშევრდომობა და სამსახურში მიღება სთხოვა. როცა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, ჯერ ვარშავას, ხოლო შემდეგ, 1749 წლის აგვისტოში სტამბულს ეწვია. მან ვერც აქ მოიკიდა ფეხი და 1752 წელს საქართველოში დაბრუნდა. ერეკლემ პაატას საარტილერიო საქმის მოწესრიგება დაავალა.

მა დახმარების აღმოჩენა აღმითქვა გაჯანსაღებისთანავეო; ამ ახალგაზრდა კაცმა კი გაგონილი თავის მსახურს გადასცა, ამ უკანასკნელის ცოლი ერეკლეს სასახლეში ცხოვრობდა, როგორც მისი პაწია ვაჟის ძიძა; ცოლმა ქმარს უთხრა, ყოველივე მეფეს აცნობეო; მან მართლაც შეატყობინა ერეკლე მეფეს, დიმიტრი ამილახორი გამოჯამრთელებას უცდის, რათა თქვენს წინააღმდეგ შური იძიოს და თქვენს ბიძას ხელი შეუწყოს გამეფებაშიო[1].

შეთქმულნი სასტიკად დასაჯეს: *„შეკრბენ ქართველნი და მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლსა შინა თაქთაქიშვილი ელისბარ და დიმიტრი (ამილახვარი-ე.მ.) პატიმარ ჰყვეს და შეურაცხჰყვეს ალჯდომითა კარაულსა[2] ზედა, და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს[3] ცხვირი, და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა“[4].*

დიმიტრი ამილახვარს მხოლოდ მორალური დასჯა არ აკმარეს. მას პირადი ქონებაც ჩამოართვეს, რომელიც მეფის საკუთრებაში გადავიდა[5].

ცნობილი არ არის დიმიტრი ამილახვრის გარდაცვალების დრო.

ზემოთ მოვიყვანე ა. ამილახვრის სიტყვები, რომლითაც დიმიტრი უცოდველ კაცად არის გამოყვანილი. დიმიტრის უცოდველობის დამტკიცებას, მის რეაბილიტაციას ცდილობდა დიმიტრის მეორე ვაჟიც ნიკოლოზი. მის მიერ დაწერილი განცხადებიდან[6] ვიგებთ, რომ შეთქმულთა დამსმენი სამშვილდელი გლეხი დათუნა ფეიქარი დიმიტრი და მისი ერთი ვაჟი – გიორგი თბილისში დარჩნენ და მეფის ხარჯზე ცხოვრობდნენ. *„დიმიტრის სხვა შვილები გარდაცვივდნენ უმამულობით და შიმშილითა სამნი აზიაში და ერთი როსიაში“*[7]. რუსეთში გადახვეწილში უნდა იგულისხმებოდეს ალექსანდრე ამილახვარი.

---

[1] *ალექსანდრე ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, გვ. 143.*

[2] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კარაული არის ვირი, სახედარი. როგორც ჩანს, ვირზე შესმა დიდად სასირცხვილო სასჯელად ითვლებოდა.

[3] *ალექსანდრე ამ დროს 15 წლისა იყო.*

[4] *თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 52.*

[5] *გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთი ერობის ისტორიიდან, გვ. 436-437.*

[6] საბუთი ს. კაკაბაძემ დაათარიღა 1603 წლის ახლოს, რაც სწორე არ არის. იგი შედგენილი უნდა იყოს 1806 წლის თებერვლის შემდეგ, რადგან პ. ციციანოვი უკვე განსვენებულადაა მოხსენიებული.

[7] *გსიემ, 7782, ფ. 564.*

ერეკლე II შემდეგში მიმხვდარა, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, დიმიტრი ამილახვრის უდანაშაულობას, *„მოხედა მოწყალებითა და უფრო ტყუილადაც ხედავდა ამის დაბეზღებასა, მოგვესმა და ხმა გამოვიდა მეფის ირაკლის კარის მღვდელის კალატოზიშვილი იოანესაგან: შუადამისას მეფე ირაკლი საიდუმლოდ მობრძანდა და დიმიტრი ამილახორს შენდობა სთხოვა: შენი ყმა და მამული მომიციაო და დიმიტრიმ მოახსენა, მე მამული რადათ მინდაო, შვილები დაკარგული გახლავანო, ისინი დაიბარეთ და იმათ უბოძეო“.*

ირკვევა, რომ განცხადების დამწერი ნიკოლოზ ამილახვარი ირანში გადახვეწილი ყოფილა. *„მაშინვე ივანეს და ამ ნიკოლოზს სამი-ოთხი წიგნი მისწერა თვით მეფე ირაკლიმა. ახლა განსვენებულმა კნიაზ ციციანოვმა პავლემ კნიაზ ორბელიანს იარანალ-მაიორს (გენერალ-მაიორი – ე.მ.) დიმიტრს წიგნის მისწერა ამ ნიკოლოზ ამილახვართან, დააბარებინა... ამ ნიკოლოზმა მაშინვე ბაბახანის (ირანის შაჰი – ე.მ.) სიტყვა და სამსახური დაუტევა“.* ნიკოლოზი პ. ციციანოვს შირვანში ეახლა, რომელმაც დიდი ნუგეში სცა და იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე არზა დაწერინა და დაპირდა ერთ არზას ჩემი სახელითაც მივართმევო და თბილისში გამოისტუმრა. როგორც ცნობილია, პ. ციციანოვი 1806 წლის 5 თებერვალს ბაქოს მისადგომებთან მოკლეს. ნიკოლოზი ამის გამო სწუხს, რომ „არზა კნიაზის კანცელარიაში დარჩა. კნიაზს აღარ დასცალდა იმისი არზის ყ-დ (ყოვლად – ე.მ.) მოწყალეს ხელმწიფესთან (ალექსანდრე I – ე.მ.) წარდგინება“. ნიკოლოზ ამილახვრის განცხადების სისწორეს ადასტურებენ: ზაალ ორბელიანი, რევაზ ანდრონიკოვი, ზაალ ბარათოვი, გიორგი ამილახვარი, რევაზ მაჩაბელი და სხვები[1]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან დიმიტრი ამილახვარი შეთქმულების გახსნისთანავე ფიზიკურად არ დასაჯეს, მისი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა მაშინვე ეჭვს არ იწვევდა.

**რევაზი** *(1765-1775)*

[1] *იქვე, ფ. 565.*

ჩემთვის ცნობილი ისტორიულ წყაროებში *რევაზ ოთარის ძე* პირველად ჩნდება 1741 წელს, მისი მამის, ოთარის შამახიაში მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ. *„მისი სახელო ქეშიკჩაშობა და ჯამაგირი (150 თუმანი –ე.მ.) მის ძეს რევაზს მოუვიდა“*[1]. ე.ი. მამის ოთარის თანამდებობა და ჯამაგირი შვილზე, რევაზზე, გადავიდა.

როდესაც გივი ამილახვრის აჯანყება დაიწყო 1742 წელს, ირანის ხელისუფლებამ განიზრახა რევაზი გივისთვის დაეპირისპირებინა და გორის დაცვა მას დაავალა. რევაზი მართლაც მივიდა გორში, მაგრამ გივი ამილახვარს მიემხრო და მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა“[2].

1743 წელს რევაზი დარწმუნდა, რომ გივის აჯანყების დამარცხება გარდაუვალი იყო. იგი წიქორის ციხეში (მდ. ქსანზე) იდგა, როცა თეიმურაზ II და ბატონიშვილი ერეკლე მიადგნენ. *„მიადგნენ გარს და დაუწყეს ლაპარაკი და აღუთქვა (თეიმურაზმა – ე.მ.) წყალობა უზომო. დამორჩილდა ბრძანებასა მეფისასა და გამოვიდა რევაზ, მიართვა ციხე, უბოძა (თეიმურაზმა – ე.მ.) ხალათი, დაპირდა უმეტესსა წყალობასა“*[3].

1745 წელს გივი ამილახვარმა მეფე თეიმურაზს დანებება აღუთქვა იმ პირობით, რომ შაჰისგან შეწყალებას მიიღებდა. *„მაშინვე გაგზავნა (თეიმურაზმა – ე.მ.) ხელმწიფესთან ამილახორი რევაზ... მოვიდა რევაზ ამილახორი ხელმწიფიდამ, მოუტანა გივ ამილახორს რაყამი ხელმწიფისა ფიცით“*[4].

რევაზი ერთგულობდა თეიმურაზსა და ერეკლეს. მათთან ერთად მონაწილეობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ირანში ახლდა თეიმურაზს 1747 წელს[5]. 1749 წელს რევაზმა აიღო ბოლნისი და მისი მოურავი გახდა ციციშვილი. რევაზმა აბდულა-ბეგის ყველა კარისკაცი და მოხელე შეიპყრო და თბილისში ჩაიყვანა[6].

1750 წელს რევაზ ამილახვარი და ედიშერ მდივანი შაქის მმართებლ აჯი ჩელებთან გაიგზავნენ, რათა ის ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციას შეერთებოდა. მაგრამ შაქის მმართებელმა მძიმე პირობები წამოაყენა. უფრო მეტიც, მან ქართ-

---

[1] *პაპუნა ორბელიანი, იქვე, გვ. 50.*

[2] *იქვე, გვ. 54, 60, 66.*

[3] *იქვე, გვ.74.*

[4] *იქვე, გვ. 93.*

[5] *იქვე, გვ. 154, 156.*

[6] *იქვე, გვ. 158.*

ველი ელჩები დააკავა და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაუშვა[1].

რევაზი ქართლისა და კახეთის მეფეების გვერდით იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში. 1753 წელს მან მინბაშობა (ციხისთავობა) მიიღო და თბილისის ციხე ჩააბარეს[2]. 1754 წელს იგი ქართლის ნაიბი (მოადგილე, ნაცვალი) გახდა[3]. თანამდებობებთან ერთად რევაზი მამულებსაც იღებდა. ასე მიიღო მან ერეკლე მეორისაგან სოფ. ტინისხიდი. *„რომელსამე იმის სახლისკაცს საქმე არავის აქვს ამ ტინისხიდის სოფელში“;*– ბრძანებდა ერეკლე II[4].

რევაზ ამილახვარი, როგორც სადროშოს სარდალი და გორის მოურავი, მონაწილეობდა ერეკლეს მიერ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის წამოწყებულ ციხე-სიმაგრეთა მშენებლობა-აღდგენაში. მისი ასეთი საქმიანობის ამსახველმა საბუთებმა ჩვენამდე მოაღწია XVIII ს. 70-იანი წლებიდან[5].

გამოკვეთილად არ ჩანს, როდის მიიღო რევაზმა ამილახვრობა და, შესაბამისად, გორის მოურავობა. იგი დასახელებულ თანამდებობებზე უკვე ჩანს 1762 წლიდან. ხელთ გვაქვს 1762 წლის ოქმი რევაზ ამილახვრისა გოგია თუმანიშვილისადმი. რევაზი წერს: *„ამილახორს რევაზის ღვთისწყალობავ გოგია თუმანიშვილო. მერმე სამშაბათს დილაზე ელისაბედი ბატონიშვილი გორს მობრძანდება. კომლის კაცით გორიჯვნელნიც შემყარე, დილაზე ადრიან სამშაბათს რუსხმულზე წინ მოგვეგებე“*[6]. როგორც ჩანს, რევაზი ამ დროს უკვე გორის მოურავიც იყო.

რევაზ ამილახვარი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა. ერეკლე უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი სასარდლოდან მორიგე ჯარში გაწვევის მდგომარეობის გამო. როგორც ჩანს, მეფეს უმალავდნენ ჯარში გასაწვევ მამაკაცებს[7]. მეფე იმითაც უკმაყოფილო იყო, რომ რევაზ ამილახვარი ოპერატიულად არ აგ-

---

[1] *იქვე, გვ. 198, 200.*

[2] *პაპუნა ორბელიანი, იქვე, გვ. 210*

[3] *იქვე, გვ. 211*

[4] *გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერობის ისტორიიდან, გვ. 274-275.*

[5] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 224-225*

[6] *გსიემ, 7782, ფ. 83.*

[7] *იქვე, ფ. 142, 145, 151, 180.*

ზავნიდა ინფორმაციას მეფის კანცელარიაში თავის სადროშოში მდგომარეობის შესახებ[1].

არ ვიცით რევაზის გარდაცვალების ზუსტი დრო. მიაჩნიათ, რომ ის გარდაიცვალა 1772 წელს. მაგრამ არსებობს საბუთები, რომლის მიხედვითაც რევაზი ამილახვარია და, რა თქმა უნდა, ცოცხალიც, 1775 წლის დასასრულისათვის[2]. იგი უნდა გარდაცვლილიყო 1775 წლის დეკემბერში ან შემდეგი წლის იანვარში. 1776 წლის 17 თებერვალს შედგენილ ერთ საბუთში უკვე ფიგურირებს „ამილახვარი იესე“[3].

**იასე** (1776-1787)

იასე ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ქართლის მეფე იესეს სიძე. იგი 1746 წელს ხელმძღვანელობდა ავჯანყებული ოსების წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციას[4]. 1754 წელს *„ეყო წყალობა ქისიყის მოურაობისა ამილახორისშვილს იასეს და დაადგინა ქისიყს მოურავად“*[5]. 1756 წელს იასე დაინიშნა ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესად. ის გორის მოურავი უნდა გამხდარიყო რევაზის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ 1776 წლის იანვარ-თებერვალში და ამ თანამდებობაზე იყო 1787 წლამდე[6]. იასე იმავე დროს მდივანბეგიც იყო. იგი საბუთებს ხელს აწერს, როგორც ამილახვარ-მდივანბეგი იასე[7], ზოგჯერ კი მოიხსენიება ამილახვარ-სარდალ-მდივანბეგად[8].

**ოთარი** (175-1827)

ოთარი რევაზის ძე ამილახორი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი 1787-1801 წლებში. ოთარმა გააშენა სოფ. ორჭობი, გაიყვანა სარწყავი არხები და აღორძინებულ ადგილებში ტყვეობიდან გათავისუფლებული გლეხები დაასახლა.

---

[1] *იქვე, ფ. 205*

[2] *იქვე, ფ. 210.*

[3] *პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 110*

[4] *იქვე, გვ. 212.*

[5] *იქვე, 244.*

[6] *გსიემ, 7782, ფ. 263, 276, 311, 318, 334, 356, 363.*

[7] იხ. მაგალითად, 1776 წლის 6 მაისის სამართლის წიგნი. *იქვე, გვ. 223.*

[8] *თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 64.*

ოთარი 1785 წელს დაღესტნელების წინააღმდეგ იბრძოდა, ხოლო 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობდა[1].

ოთარ ამილახვარს მეფესთან რომ ყოველთვის კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, ჩანს 1780 წლის 16 ოქტომბრის ერთი საინტერესო საბუთიდან. ეს არის ოქმი ერეკლე მეორისა ოთარ ამილახვრისადმი. მოვიყვან ამ საბუთს მთლიანად:

*„ქ. ჩვენ მაგიერად მის ბრწყინვალებას ამილახვარს ბატონს ოთარს მრავალი მოკითხვა მოხსენდეს. მერე დღეს რომ ამ თვის თექვსმეტი არის ჩვენი შვილის ფარნაოზისა და ქისიყის მოურავის ზაქარიას წიგნი მოგვივიდა. წუხელის სამი საათი იყო დამისა გასული რომ ყარაულები მოგვივიდნენო, ომარ-ხან ჯარით ურდოს ფონზე გამოვიდაო. ეს ათი-თორმეტი დღე არის რომ წიგნი მოგწერეთ და შენი სასარდლოს ჯარით ქალაქს დაგიბარეთ. შენ ახლა ქალაქს გვგონიხარ და თუ ვინიცობა არის ჯერ არ წამოსულიყო ეს ჩვენი ოქმი რომ მოგივიდეს მაშინვე საჩქაროდ მდევრულად გამოსწიო და შენის სასარდლოს კაცით ამ თარიღიდამ ოთხს დღეებზე ქალაქს უნდა ჩამოხვიდე. არ დაიგვიანო თორემ პასუხს ვეღარ მოგცემ დიდად. სიჩქარეს უნდა ეცადო, დღე და ღამე გაასწორო და ქალაქს ჩამოხვიდე და ქალაქს როგორც ჩვენი ამბავი... ჩვენს უწინდელს ოქმში ეწერა ჩვენ ამის მეტს ოქმს ადარ მოგწერთო, მაგრამ ხალხი არ მოგვეშვა და იმათ მოგვაწერინეს თორემ შენთან წიგნის მოწერას ადარც ვაპირებდით, ამიტომ, რომ უწინდელის ოქმი რაც ასე მოგწერეთ, რომ... სხვა ოქმ ადარ მოგწერთო“*

თუ ციტირებული საბუთი ს. კაკაბაძემ სწორად დაათარიღა, მაშინ ოთარი ამილახვარი და ზემო ქართლის სადროშოს სარდალი ყოფილა ჯერ კიდევ 1780 წელს. ძნელია თქმა იმისა, თუ რამდენი ხანი ეკავა მას აღნიშნული თანამდებობა, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, 1776-1787 წლებში იასე ამილახვრობდა. მგონია, რომ ციტირებული საბუთი 1787 წლის ოქტომბერს განეკუთვნება, რადგან სწორედ ამ დროს კახეთში შემოიჭრა საბუთში დასახელებული ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი, რაზეც მეფე ერეკლე ოთარ ამილახვრის ყურადღებას მიაპყრობს და ამ თავის არც თუ მთლად მორჩილი მოხელისაგან შესაფერის მოქმედებას მოითხოვს.

ოთარ ამილახვარმა თავი გამოიჩინა გორელებისადმი მკაცრი მოპყრობით და გადასახადების გადიდებით. ჩვეულებრივი ამბავი იყო მისი კაცების მიერ გორში დუქნების ძარცვა, ხალხის მოტა-

[1] *გსიემ, 7782, ფ. 373.*

ცება გამოსასყიდის წასართმევად. ქალაქის საგადასახადო დავთარი, რომელიც მოქალაქეთა მიერ ამორჩეულ თავკაცებს უნდა ჰქონოდათ, ოთარმა წაიღო, თავის სახლში დასდო და გადასახადებს მოქალაქეებს როგორც უნდოდა ისე ახდევინებდა. გორელებს განსაკუთრებით აწუხებდათ ოთარ ამილახვარის გორში დასახლება.

1789 წელს გორელებმა ერეკლე მეფესთან იჩივლეს ამილახვრის თვითნებობის გამო. მეფემ ბრძანა: *„ამილახვრის გორიდან აუყრელობა არ იქნება. ეს მკა და კალო რომ გათავდეს, უნდა აიყაროს და გორიდამ გადავიდეს, ჭალას ჩავიდეს და იქ თავის სამკვიდრო სახლში დადგეს“*. მეფის ბრძანებით, გორელებს თავიანთი მოვალეობა ოთარ ამილახვრის წინაშე პირნათლად უნდა შეესრულებინათ. მაგრამ ოთარის გორიდან გაყვანა, ვერც მეფე ერეკლემ და ვერც გორელებმა შეძლეს.

გორელებსა და ამილახვარს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ. მას გორელები აღარ ემორჩილებოდნენ და ემუქრებოდნენ კიდეც. ამიტომ იყო, რომ გიორგი XII გორელებს აფრთხილებდა და მოუწოდებდა ოთარისადმი ერთგულნი ყოფილიყვნენ, თუ არა მკაცრად დაისჯებოდნენ.

ისე გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, რომ გორელების და ამილახვრის შერიგება ვერ შეძლო.

ოთარ ამილახვარი ხელისუფლებისათვის მებრძოლთა იმ დაჯგუფებას მიემხრო, რომელიც იულონ ბატონიშვილის გამეფებას ცდილობდა. იულონი ოთარის სიძე იყო.

ამილახვრების სოფ. ჭალაში 1800 წლის 20 დეკემბერს შედგენილ იქნა მოწოდება, რომლითაც ბატონიშვილებმა – იულონმა, ვახტანგმა და მირიანმა ამილახვარს და გორელებს მიმართეს.

1801 წლის 28 იანვარს ოთარ ამილახვარი ბატონიშვილ იულონს მიემხრო სხვა თავადებთან ერთად და აცხადებდა: უმჯობესია მოვკვდე ვიდრე ბატონიშვილი დავითი გვყავდეს მეფედ[1].

ბატონიშვილმა დავითმა თავისთან დაიბარა ოთარ ამილახვარი სხვა თავადებთან ერთად. იგი მათ დაემუქრა: ვინც შეყოვნდება იმპერატორის ჯარის მიერ დაისჯებაო[2]. მან თავის ძმა თეიმურაზს

---

[1] Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию,т. I, Тиф., 1866, *с. 262.*

[2] *Тамже, с. 295.*

უბრძანა ამილახვრები და სხვა თავადაზნაურები სურამიდან ჭალამდე შეკრიბე გორში და ფიცი დაადებინეო[1].

ოთარი დააპატიმრეს. იგი შემდეგნაირად აღწერდა თავის დაპატიმრებისა და სატუსაღოში მისადმი მოპყრობას: *„წინაპართა ჩემთა ჰქონდათ ამილახვარობა, სარდლობა და გორის მოურაობა... მეფე ერეკლესაგან ბოძებული და ეგრეთვე მეფის გიორგისაგან დამტკიცებული და არც იმის სიცოცხლეში ეს სახელოები არ ჩამომრთმევია. იმის მიცვალებას უკან ეს სახელოები ორი თვე კიდევ მეჭირა. მას უკან ჩემ მტრებმა ასე რიგად დამაბეზღეს ბატონიშვილის დავითთან, რომ არას გლეხს ისე არ მოეპყრობოდა, მე ისე მომეპყრო, ამისთვის, რომ იულონ ბატონიშვილი ჩემი სიძე იყო, ერთმანეთს რომ მტრობდნენ, იმისთვის. გამომისია სამოცი ყაზახი, გორს, ჩემს სახლში ვიყავი. ჩამომიხდნენ ღამე, მძინარე ამაყენეს და გარეთ გამათრიეს ტიტველა და იქ ერთის გლეხის ტყავი ჩამაცვეს, გამიკრეს მკლავები, ორი საბელიც წელზე მომაბეს და ისე წამომიყვანეს ქალაქისაკენ. წინ და უკან შუბებით მიმიყვანეს ქალაქში და თათრის მეიდანში სალდათებს მიმაბარეს. დამაგდეს ერთს სახლში. არც კაცი მამიყვანეს და არც საჭმელი შემოუშვეს თვინიერ სალდათის პურის მეტი. ღვინოს თხოვნაზე ერთმა სალდათმა თავიც გამიტეხა. ვიყავ ამ მწუხარებაში სამი თვე, ამასაც არ დამაჯერეს. სახლში თუ რამ მებადა, ბატონიშვილს თეიმურაზს ამიკლებინეს. დავით ბატონიშვილის ბრძანებით ზემოხსენებული სახელოებიც ჩამომართვეს, გიორგი ამილახვარს მისცეს“*[2].

1801 წლის თებერვალში დაკითხვის დროს, აზნაურმა დავით მამაცოვმა, რომელიც ბატონიშვილებთან ერთად იმყოფებოდა კახეთში, განაცხადა, რომ ბატონიშვილებიდან რუსული რეჟიმის დამყარების წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობს ვახტანგი, შემდეგ ფარნაოზი; თავადებიდან ჯანყის თავები არიან ოთარ ამილახვარი, თამაზ ორბელიანი, ჩოლოყაევები, რევაზ ბარათოვი და გორჯასპი ქაიხოსრო[3].

დავით ბატონიშვილის თხოვნით, გენერალმა ლაზარევმა ოთარ ამილახვარი, როგორც შფოთის თავი, გორში დააპატიმრა და თბი-

---

[1] Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию,т. I, Тиф., 1866, *с. 295.*

[2] *მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ // ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მასალები, თბ., 1948,* ნაკვ. 1, *გვ. 84.*

[3] *Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, I, Тиф., 1866, с. 242.*

ლისში წიაყვანა. 1801 წლის თებერვალში მას ქონება და ყველა თანამდებობა ჩამოართვეს. 20 თებერვალს ლაზარევი კნორინგს მოახსენებდა, რომ ოთარმა დაკითხვის დროს თქვა: *„მე მქვია ოთარ ამილახვარი, ვარ ქართველი თავადი, ვცხოვრობ გორის ციხეში“.* ბატონიშვილები კახეთში გადავიდნენ იმ განზრახვით, რომ იქაური მოსახლეობა დაეფიცებინათ ქართლელების მსგავსად, შემდეგ თბილისზე გაელაშქრათ და რუსები საქართველოდან გაეძევებინათ. მაგრამ ქიზიყში მისულმა რუსეთის ჯარმა აიძულა ბატონიშვილები დაბრუნებულიყვნენ ქართლში. მათ მუხრანთან დაეწია ალექსანდრე ბატონიშვილი და შეთქმულთა გეგმები ჩაშალა. ბატონიშვილები თავინთი მომხრეებითურთ გაიფანტნენ: იულონი იმერეთში გადავიდა, რათა იქაური ჯარით შეჭრილიყო ქართლში. ამის შემდეგ ოთარ ამოლახვარი გორში, თავის სახლში დაბრუნდა[1]. დავით ბატონიშვილმა წერილობით აცნობა ლაზარევს, რომ საქართველოს დაუმორჩილებლობის მთავარი დამნაშავე არის ოთარი ამილახვარი. მან თავადი რამდენჯერმე დაიბარა თავისთან, მაგრამ არ ეახლა. ამის შემდეგ დავითმა მისი დაპატიმრება მოითხოვა. ლაზარევმა გორის ციხეში გაგზავნა რაზმი და დააპატიმრებინა ოთარი, რომელსაც ზემოთ ციტირებული ჩვენება ჩამოართვა. დავითი მოითხოვდა ოთარი გაესამართლებინათ რუსული ან ქართული კანონებით[2].

კნორინგი ლაზარევს წერს (1801 წ. 12 მარტი), რომ „ოთარ ამილახვაროვი, რომელიც დაპატიმრა თქვენმა უმაღლესობამ მემკვიდრე ბატონიშვილის, დავითის მოთხოვნით, უქვეშევრდომილესი წერილით მოვახსენე მისი იმპერატოროსობის უდიდებულესობას“[3].

ოთარ ამილახვარი გორში დაბრუნდა. დავით ბატონიშვილმა გენერალ ლაზარევს სთხოვა, რომ ოთარ ამილახვარი, როგორც შფოთის თავი, დაისაჯოს რუსული ან ქართული კანონების მიხედვით. დავითი მის ერთ-ერთ სერიოზულ დანაშაულად იმას თვლიდა, რომ გორიდან ამილახვარი რამდენჯერმე თავისთან დაიბარა, მაგრამ არ ეახლა[4].

ამის შემდეგ (1802 წ. 10 აგვისტო), ხელისუფლებამ გადაწყვიტა ოთარ ამილახვარი თბილისიდან არ გაეშვათ[5].

---

[1] *Тамже, с. 324, №412.*

[2] *Тамже, с. 327, №416.*

[3] *Тамже, с. 331, №421.*

[4] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 327, №416.*

[5] *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, I, с. 247.*

ოთარ ამილახვარს მფარველად მოევლინა პ. ციციანოვი, რომელმაც 1803 წ. 26 მარტს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნა: *„თავ. ოთარ ამილახვარმა მომართვა თხოვნა, რომელშიც განმარტავს, რომ მისი წინაპრები და თვითონაც უკანასკნელი მეფის გიორგის აღსასრულამდე საქართველოში ფლობდნენ ამილახვრის, სარდლის და გორის მოურავის ჩინებს; მაგრამ ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ, რომელსაც იმედი ჰქონდა საქართველოს სამეფოზე მემკვიდრეობისა და ამის გამო წინააღმდეგობაში იყო ბატონიშვილ იულონთან, რომელსაც ცოლად ჰყავს ხსენებული ამილახვრის და, დაბეზღების და ურთიერთმტრობის შედეგად, მაშინ, როდესაც მთელი საქართველო იყო დაფლეთილი, – მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მალე, მოითხოვა სამხედრო რაზმი და თავ. ამილახვარი დააპატიმრა მისსივე სახლში; ის ჩაიყვანა თბილისში და დაპატიმრებული ჰყავდა სამი თვის განმავლობაში, ბოლოს მას ჩამოართვა ყველა ჩინი და ღირსება და ისინი გადასცა თავ. გიორგი ამილახვარს. თ. ოთარ ამილახვარმა დაივიწყა განცდილი წყენა, ითხოვს დაუბრუნონ მისი კუთვნილი ტიტულები სარდლის, ამილახვრის და გორის მოურავობისა, რომლებიც უკანონოდ და ძალით ჩამოართვეს ბატონიშვილი დავითისაგან პირადად დევნის შედეგად, რომელსაც არავითარი უფლება არ ჰქონდა საქართველოს მართვისა. როგორც მე-17 ეგერთა პოლკის შეფმა, გენერალ-მაიორმა ლაზარევმა, რომელიც იმ დროს საქართველოში ჯარის მეთაური იყო, წერილობით მაცნობა, რომ თავ. ოთარ ამილახვრის ჩვენება მისი დაპატიმრებისა და ჩინების ჩამორთმევის შესახებ ჭეშმარიტებაა და ის ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ბატონიშვილ დავითთან ურთიერთობით, რომელსაც აღიარებდა უფროსად სამეფო ოჯახში. გავბედავ და ვითხოვ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნებართვას, თავ. ოთარ ამილახვარს დაუბრუნდეს წინანდელი ტიტულები და აღსდგეს წინანდელ ღირსებაში...“*[1]

1803 წლის 5 მაისს ციციანოვმა იმპერატორისაგან მიიღო პასუხი ოთარ ამილახვარის საქმეზე: *„განვიხილე რა თქვენი 26, 28 და 31 მარტის წარდგინებები სხვადასხვა, თქვენდამი რწმუნებულ სამართველოსთან დაკავშირებული საქმეების შესახებ, ვბრძანებ:*

*1) თავ. ოთარ ამილახვარს საქართველოში არეულობის დროს წართმეული ტიტულები და ღირსებები ამილახვრის, სარდლისა და გორის მოურავობის დაუბრუნდეს...“*[2]

---

[1] *Акты, II, с. 174, № 331.*

[2] *Акты, II, с. 1011-1012, №2016.*

პ. ციციანოვმა იმპერატორის ბრძანების შესახებ აცნობა გორის კომენდანტს, მაიორ რეიხს იმავე წლის 22 აგვისტოს.

პ. ციციანოვმა განიზრახა ქართველი თავადაზნაურობის გულის მოგების მიზნით მათთვის აღედგინათ ქართველი მეფეების დროინდელი პრივილეგიები. მისი აზრით, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების – გიორგის ან ერეკლეს მიერ დანიშნული ჯამაგირის ან პენსიების რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება დაენიშნოთ სამხედრო მოხელეებს, კარის მოხელეებს და პენსიონერებს სხვადასხვა თანხები, მარჯვენა ფრთის სარდალს თ. ოთარ ამილახვაროვს, იგივე ამილახვარს და გორის მოურავს დაენიშნოს 5.000 რუბლი. იმის გამო, რომ იგი მთელ ქართლში სარგებლობს პატივისცემით და ნდობით დაჯილდოვდეს წმ. ანას მეორე კლასის ორდენით და 2.000 რუბლით[1].

მართებელმა სენატმა 1804 წლის იანვარში, პ. ციციანოვის წარდგინებით ოთარ ამილახვარს აღუდგინა გორის მოურავობა და მიანიჭა გენერალ-მაიორის წოდება[2].

რუსმა მოხელეებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს ქართველ თავადებთან სასურველი ურთიერთობის დამყარება და, როგორც ჩანს, უკანასკნელნი როდესაც ამბოხებითა და სხვა ძალისმიერი საშუალებებით მიზანს ვერ აღწევდნენ ისევ თავიანთ რიგებში არსებული წინააღმდეგობის გამო. ამით მოხერხებულად სარგებლობდნენ იმპერატორის მოხელეები. თავადები ცდილობდნენ თავიანთი უკმაყოფილების შესახებ იმპერატორისათვის მიეწვდინათ ხმა. ქართველი თავადების ერთი ჯგუფის ასეთი განზრახვა გამჟღავნდა 1806 წელს: ისინი აპირებდნენ პეტერბურგში წერილის გაგზავნას. საქართველოს მმართველმა ლიტვინოვმა თავისთან დაიბარა, მისი აზრით საეჭვო რეპუტაციის თავადები – თ. გენერალ-მაიორი ოთარ ამილახვარი, ბრიგადირი[3] თ. თამაზ ორბელიანი, სტატსკი სოვეტნიკი ევსტაფი ციციანოვი, კოლეჟსკი სოვეტნიკი[4] და გორის მარშალი თ. რევაზ ერისთავი, თ. ივანე ანდრონიკოვი და კოლეჟსკი სოვეტნიკი  თ. დიმიტრი ბარათოვი. დასახელებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთმა თავადმა ხელი მოაწერა პეტერბურგში გასაგზავნ წერილს, მაგრამ იმას არა აქვს ძალა, რადგან ის არ

---

[1] Акты, II, с. 33.

[2] *Акты, I, с. 44, №62.*

[3] ბრიგადირი – ბრიგადის მეთაური, სამი პოლკის მეთაური ან მეხუთე კლასის მოხელე. *Русско-грузинский словарь составленный Д. Чубиновым, Тифл., 1901, с. 39.*

[4] მეექვსე კლასის მოხელე. *Тамже, с. 270.*

ეკუთვნის მთელ საზოგადოებას (იგულისხმება თავადობა). ქვემორე ხელმომწერები ადასტურებენ, რომ არავითარი ქაღალდი არ გაუგზავნიათ, არც აგზავნიან და არც მომავალში გააგზავნიან მთავრობასთან შეთანხმების გარეშე[1].

ოთარ ამილახვარს ვხედავთ 1807 წლის ზაფხულში, როდესაც მთავრობის, კონკრეტულად კი გენერალ-მაიორ ორბელიანის დავალებით მან უნდა ჩამოაყალიბოს ქართველი ცხენოსნების რაზმი ახალციხიდან გადმოსული მძარცველებისაგან ქართლის საზღვრების დასაცავად[2]. მაგრამ მან გაურკვეველი მიზეზების გამო ამის გაკეთება ვერ შეძლო[3].

ოთარ ამილახვრისადმი, როგორც იმპერიის მსახურისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოსჭვივის საქართველოს და კავკასიის ხაზის მთავარსარდლის, კავალერიის გენერლის ა. პ. ტორმასოვის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ო. პ. კოზოდავლოვისათვის გაგზავნილ შუამდგომლობაში. ტორმასოვი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ გენერალ-მაიორი თამაზ ორბელიანი, რომელმაც თავი გამოიჩინა ყველგან სადაც კი იმპერიის ინტერესები დაცვას მოითხოვდა და ეს პიროვნება გასამრჯელოს იღებს ასიგნაციებით, რომელსაც არავითარი ფასი არ აქვს საქართველოში. მისი აზრით ასეთი მდგომარეობა მით უფრო მიუღებლია, *„მაშინ, როდესაც სერდარი გენ.-მ თ. ივანე ორბელიანი და სერდარი გენ.-მ თ. ოთარ ამილახვაროვი, რომლებსაც თავი არ გამოუჩენიათ სამსახურში, წოდების მიხედვით ჯამაგირს იღებენ ვერცხლით“*[4]

ოთარ ამილახვარი გარდაიცვალა 1827 წელს.

### *გიორგი*

რუსი მოხელეების მიერ 1801 წელს შედგენილ სიაში, რომელშიც ჩამოთვლილია ის თავადები და აზნაურები, რომლებსაც ეკავათ მოურავების თანამდებობები, დასახელებულია გიორგი ამილახვარი. ბუნებრივია, დავინტერსდი მის შესახებ ცნობების მოძიებით, მაგრამ ქართული ვერაფერი ვნახე. ამიტომ მთლიანად „აქტებში“ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს ვეყრდნობი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გორის უკანასკნელი მოურავების – ოთარ და

---

[1] *Акты, III, с. 12.*

[2] *Акты, III, с. 109, №197, 198.*

[3] *Акты, III, с. 106-197, №193.*

[4] *Акты, IV, с. 956, №1456.*

გიორგი ამილახვრების არასრულყოფილ ბიოგრაფიებში მაინც საინტერესოდ აისახა რუსეთის მიერ ანექსირებულ ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება.

1801 წლის 22 მარტს შეადგინეს სია იმ ცნობილი ქართველი მოხელეებისა, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ყოფილიყვნენ იმპერატორის ქვეშევდდომები და ვინ რა საქმიანობით გამოიჩინა თავი. გიორგი ამილახვარი სიაში დასახელებულია მეხუთე ნომრად. აღნიშნულია, რომ მან, მიატოვა თავისი მამულები და მეულლე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდათ შიდა ქართლის სოფ. ბელოთში მეამბოხე ბატონიშვილებს – იულონსა და ფარნაოზს. გიორგი ამილახვარი თვითონ მივიდა პროკურორ პეტრე ობოლიანოვთან თბილისში და ყოველივე პირადად მოახსენა[1].

რადგან გიორგის მიერ ახალი ხელისუფლებისადმი გამოცხადებული თანამშრომლობა და ერთგულება მისაღები იყო, გორის მოურავი რუსებმა დაუყოვნებლივ ჩართეს საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის დაპყრობა-დამორჩილებისათვის საბრძოლო ოპერაციებში. კნორინგი თავისი უქვეშევრდომილესი წერილით იმპერატორს მოახსენებდა (1802 წ. 26 მარტი), რომ ოსების დამორჩილების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გორის მოურავმა, თავადმა გიორგი ამილახვარმა თავის გლეხებით. მან ბევრი იღვაწა ოსების მიერ ფიცის დადებისათვის, ოსებში სასამართლოების დაარსებისათვის. მასთან ერთად თავი გამოიჩინა გორის დეკანოზმა სიმონ გოგებოვმა (იაკობ გოგებაშვილის მამასაც ერქვა სიმონი, შეიძლება ის იყო დიდი იაკობის მამა) და ქართველმა აზნაურმა ივანე იალღუზიძემ, წარმოშობით ოსმა. ეს უკანასკნელი სიმონოვიჩმა არაერთხელ გაგზავნა მის თანამემამულეებთან მათი შემორიგების მიზნით და დიდ წარმატებასაც მიღწია[2].

არ დააყოვნა იმპერატორის რეაქციამ. მან 1802 წლის 23 აპრილს საქართველოში გამოგზავნა უმაღლესი წყალობის წერილი. ალექსანდრე I-მა „გულმოდგინებისა და კეთილგანზრახულობისათვის“ თავად გიორგი ამილახვარს უწყალობა ოქროს მედალი ბრილიანტის ბაფთით („для ношения на голубой“), ქართველ აზნაურ იალღუზიძეს – ოქროს მედალი წითელ ლენტზე, გორის დეკანოზ

---

[1] *Акты, I, с. 418, №532.*

[2] მან ქართულიდან ოსურად თარგმნა სასამართლოების წარმოებისათვის საჭირო ლიტერატურა, რისთვისაც ქართული ანბანის ლიტერები გამოიყენა. *Акты, I, с. 587, №772.*

სიმონ გოგიბოვს ჯვარი ოქროს ძეწკვზე[1]. იმავე პერიოდში გიორგი ამილახვარი აქტიურად მონაწილეობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში[2], რისთვისაც დაჯილდოვდა წმ. ანნას მეორე კლასის ორდენით[3].

1802 წლის 16 აგვისტოს პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი გენერალ-მაიორ ლაზარევს სწერდა, რომ გიორგი ამილახვარი 20 შეიარაღებული კაცით გაგზავნა ბელოთში, რადგან იმერეთიდან ქართველების, ლეკების და ახალციხიდან თურქების ქართლში შემოჭრის საშიშროება არსებობდა[1].

იმავე დღეს პოდპოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა თავად ფალავანდოვის ხელით მიიღო გიორგი ამილახვარის წერილი. იგი ატყობინებდა, რომ ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი იმერეთის ჯარით და ლეკებით მივიდნენ იმერეთის სოფელ ჭალაში (საჩხერესთან) და ფიქრობდნენ საქართველოში (ქართლი) შეჭრას. როგორც გ. ამილახვარი წერდა, მათი ჯარის მეორე ნაწილი – ცხენოსნები მივიდა წორბისში (ზნაურის რაიონი). გიორგი ამილახვარი მხოლოდ ინფორმატორი არ იყო. ის თავისი რაზმით რუსეთის ჯართან ერთად მონაწილეობდა იმერეთიდან ბატონიშვილების შემოჭრის აღსაკვეთად[2].

გიორგი ამილახვრის ერთგულებით კმაყოფილი სიმონოვიჩი თავის წერილში ლაზარევისადმი აღნიშნავდა, რომ თავადმა თავი გამოიჩინა იმერეთში ბატონიშვილების საქმიანობის შესახებ ცნობების შეგროვებით, ქართველ ყარაულთა განმწესებასა და ქართული ჯარის შეკრებაში, მაშინვე, როდესაც მიღებულ იქნა ცნობა, რომ იმერეთის, ლეკების და თურქების ჯარი ბატონიშვილებთან ერთად აპირებდნენ ქართლში შეჭრას. ის მონაწილეობდა ქართლის თავადებისა და აზნაურების მოვალეობათა განაწილებაში. მან გააფრთხილა ოსები, დარჩენილიყვნენ ურყევნი იმპერატორისათვის მიცემული ერთგულების ფიცისა. ეს მაშინ ხდება, როდესაც ბატონიშვილები ცდილობდნენ ოსების თავიანთ მხარეს გადაბირებას. ყოველივე აღნიშნულის გამო, სიმონოვიჩს თავის განსაკუთრებულ მოვალეობად მიაჩნდა რეკომენდაცია გაეწია თავადებისათვის – გიორგი ამილახვაროვის, თავადების – ბეცია ფალავანდოვის, ზაზა მაჩაბელოვის, ზაზა ამირეჯიბის, გლახა ავალო-

---

[1] *Акты, I, с. 587, №773.*

[2] *Акты, I, с. 648, 649, 661, 662.*

[3] *Акты, I, с. 763, №1131.*

[1] *Акты, I, с. 248, №241.*

[2] *Тамже, с. 248-250.*

ვის და იოსებ დიასამიძის, აზნაურების – დათა მამაცოვის და იოსებ კალატოზოვის დაჯილდოებისათვის[1].

როგორც ირკვევა, ამ პერიოდში გიორგი ამილახვარი ტახტის მემკვიდრე დავით გიორგის ძის ერთგულია და რუსებთან მისი სამსახური და ერთგულებაც ამით არის განპირობებული. ამის გამო მას მტრად ჰყავს მოკიდებული დავითის ბიძები – ერეკლეს ძენი. დავით ბატონიშვილის დამოკიდებულება გიორგი ამილახვრისადმი კარგად ჩანს მის წერილში კნორინგისადმი (1801 წ. 5 თებერვალი), რომლითაც ის ითხოვს იმერეთში თავშეფარებული ბატონიშვილების მიერ იმპერატორის ერთგულებისათვის შევიწროებულ გიორგი ამილახვარს დაეხმაროს. ბატონიშვილების ხალხმა გიორგის სახლი აიკლეს, მისი ცოლი დაატყვევეს და მძევლად წაიყვანეს. კნორინგს შეუძლია დარეჯან დედოფალს და მის ვაჟებს შეაგონოს, გაათავისუფლონ გიორგის ცოლი [2] – წერდა დავით ბატონიშვილი.

1802 წლის ივლისში გიორგი ამილახვარი იცავდა ქართლს იმერეთისა და ახალციხის მხრიდან შემოტევისაგან[3]. იმავე დროს კახეთში დაწყებულია ანტირუსული მოძრაობა რომლის დასაწყნარებლად წავიდა ლაზარევი. არსებობდა საშიშროება, რომ მღელვარება ქართლსაც გადასდებოდა. ასეთ შემთხვევაში კოვალენსკის ყველაზე საიმედოდ თავიანთი „მეგობარი“ გიორგი ამილახვარი მიაჩნდა, რომლის გამოყენება შეიძლებოდა[4].

იმ თავადაზნაურებს შორის, რომლებმაც იმპერიის მიერ საქართველოში შექმნილ მთავრობაში თანამდებობები დაიკავეს, იმყოფებოდა გიორგი ამილახვარიც. მას „ექსპედიციაში“ რევაზ ერისთავთან, ივანე ჩოლოყაშვილთან და დავით აბაშიძესთან ერთად ეკავა მრჩევლის თანამდებობა სისხლის სამართლის საქმეში[5].

1802 წლის აგვისტოში სიმონოვიჩმა და გიორგი ამილახვარმა ერთგულების ფიცი დაადებინეს ქართლის სამღვდელოებასა და თავადაზნაურებს[6].

გიორგი ამილახვარის მიმართ არაკეთილადგანწყობილ იყვნენ ხელისუფლებასთან დაახლოებული პოლიტიკოსები. 1803 წ. 16 მაისს ცნობილი მწერალი და დიპლომატი გიორგი ავალოვი (ავალი-

---

[1] *Акты, I, с. 251, №247*

[2] *Акты, I, с. 300, №365.*

[3] *Акты, I, с. 360-361.*

[4] *Акты, I, с. 374.*

[5] *Акты, I, с. 448, № 566.*

[6] *Акты, I, с. 401, № 503.*

შვილი) პ. ციციანოვს სწერდა: ვეჭვობ, რომ სოლომონ თარხანოვი, ივანე ორბელიანი და გიორგი ამილახვარი იმპერატორისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით, ცდილობენ ერეკლე II-ის ერთგული თავადების დაღუპვასო[1].

გიორგი ავალიშვილის ეჭვი გამართლდა. როდესაც ზედამხედველობის ქვეშ მყოფი კახეთის 1804 წლის ამბოხის მონაწილე კახელი თავადები – ლუარსაბ ვაჩნაძე, როსებ ჯანდიერი, დიმიტრი და ადამ ანდრონიკაშვილებ 1805 წ. 7 ნოემბერს თბილისში ჩავიდნენ ყოველგვარი საბუთის გარეშე, გიორგი ამილახვარმა კოვალენსკი გააფრთხილა, რომ ისინი თბილისში ჩავიდნენ არეულობის მოსაწყობად. კოვალენსკის ბრძანებით ისინი დააპატიმრეს, მაგრამ როცა მათ თავიანთი საქციელი მოინანიეს და ბოდიში მოიხადეს, გაათავისუფლეს[2].

მთიულეთის აჯანყების დაწყების წინ გენერალ-ლეიტენანტი თ. ალექსეი ვოლკონსკი პ. ციციანოვს აცნობებდა (1804. წ. 16 მაისი), რომ მასთან მივიდნენ მთიულების მიერ არჩეული და გამოგზავნილი რევაზ ერისთოვი, გიორგი ამილახვაროვი, თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი და კავთისხევის მონასტრის არქიმანდრიტი დოსითეოსი. მათ ვოლინსკის განუცხადეს, რომ მოითხოვენ ხელისუფლებამ გადაუხადოს გზის მშენებლობაზე მუშაობის საფასური. ისინი იმითიც იყვნენ შეშფოთებულნი, რომ როგორც გაგებული ჰქონდათ, მთავრობას განზრახული ჰქონდა რეკრუტის მოკრება. ვოლინსკიმ მათი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა[3].

ჩანს, აჯანყებული ბატონიშვილები გიორგი ამილახვარის პიროვნებას და გავლენას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და თავიანთ მხარეზე მის გადაბირებას ცდილობდნენ.

*„ბატონიშვილების, იულონისა და ფარნაოზის წერილი თ. გიორგი ამილახვაროვს, 1804 წ. 18 ივნისი. მის ბრწყინვალებას, ჩვენ მიერ მამად მიჩნეულ, ბატონ გიორგი ამილახვარს ქართველი ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი მოგახსენებთ... როგორ გადმოვედით ქართლში. თქვენთვის ცნობილია, რომ მდინარემ შეგვაფერხა და ვერსად შევძელით თქვენთვის გაგვეცნო ჩვენი საქმე, ცუდმა ამინდმაც არ შეგვიწყო ხელი და ჩვენ კვლავ იმერეთის მთებში დავბრუნდით. ეხლა მოვითხოვთ თქვენ სიყვარულით გაისარჯოთ ამ საქმეზე და ჩვენთვის არ დაინანოთ თქვენი თავები. თქვენმა მამებმა და პაპებმა მრავალჯერ გასწირეს თავი ჩვენი*

---

[1] *Акты, II, с. 175, № 332.*

[2] *Акты, I, с. 405, № 511.*

[3] *Акты, II, с. 315, №626.*

*სახლისათვის და სისხლი დაღვარეს, რის სანაცვლოდ იღებდნენ წყალობას. ეხლა შენი რიგი მოვიდა, დადგა დრო გამოავლინოთ ღვთისადმი სიყვარული და ქვეშევრდომული ერთგულება და მზადყოფნა. თუ ჩვენთვის და ჩვენი სახლისათვის გაირჯები, შენ პირველ რიგში ღმერთის გულს მოიგებ და მოიპოვებ მის კმაყოფილებას, შემდეგ კი, თუ უფალი მშვიდობას გვიბოძებს, მაშინ ჩვენგანაც მიიღებ წყალობას... შენ ჩვენი გულისთვის უნდა დადო თავი და ყველა ჩვენ მომხრეს აცნობო, რომ მათ რომელი მხრიდანაც არ უნდა მიიღონ ჩვენ შესახებ ცნობები, თქვენთან ერთად უნდა გამოეშურნონ ჩვენკენ. დაწვრილებით მოგვწერე მანდაური ამბები, რას აკეთებენ ქართველები და როგორი განწყობილება აქვთ ჩვენს მიმართ. ვინ გამოიწვია არაგველების არეულობა, ვინ არიან მათი მოთავენი, ხევსურები და ფშაველები ეხამრებიან თუ არა. გრძელდება ბრძოლები თუ გაიყარნენ. სად იმყოფება შაჰი ან ჩვენი ძმა ალექსანდრე ჯარით; სად იმყოფება ციციანოვი, რომელ ადგილებში არის განლაგებული რუსული ჯარი. რას იქმნიან ქართლი და კახეთი; თქვენ როგორ მზადყოფნაში იმყოფებით; რუსები მცხეთის ზემოთ სად იმყოფებიან და რამდენი არიან. ყველფერ ამაზე დაწვრილებით მოგვწერე და მანდაურ საქმეებში გაგვარკვიე. ახლა შენ იცი როგორ მუყაითად იმოქმედებ, სასწრაფოდ გვაცნობე. როგორც კი მივიღებთ პასუხს გამოვეშურებით და მოაღწევს თუ არა თქვენამდე ჩვენს შესახებ ცნობა, უნდა იჩქაროთ, რათა გვიჩვენოთ სად შეიძლება მტკვარზე გადასვლა ან სად არის გადასასვლელი ან ფონი. შენ შესახებაც მოგვწერე“*[1].

გიორგიმ არ დააყოვნა და შემდეგი შინაარსის წერილი გაგზავნა: *„თ. გიორგი ამილახვაროვის წერილი თავად ა. ვოლკონსკის. 1804 წლის 21 ივნისი – გორი. ეხლახანს მივიღე ბატონიშვილების – იულონისა და ფარნაოზის წერილი, რომლითაც მთხოვენ, რომ მათ შევუწყო ხელი და გადავიყვანო მტკვარზე ან სხვა ადგილას. მათ წერილს, თქვენო ბრწყინვალებავ, გიგზვნით. მათ მივწერე, რომ იმერეთის საზღვარი გადმოლახონ კარნისთან*[2] *(ყორნისი? – ე.მ.) და ხურვალეთის ხეობაში. ასევე ვაცნობე თ. ელიზბარ ერისთავს და ჩვენ იქ შევძლებთ მათ ადვილად შეპყრობას. ასევე უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, რომ დაგვეხმარონ რუსი ადამიანები. ვიმედოვნებ, რომ ღმერთი შეგვეწევა და დადებული ფიცის ძალით შევეცდები ეს მოვალეობა შევასრულო. ისინი იმიტომ ამყარებენ იმედს ჩემზე, რომ მე დავრჩი დაუჯილ-*

---

[1] *Акты, II, с. 316-317.*

[2] კარნისი – ყორნისი ზნაურის რაიონში

*დოებელი და ამიტომ დავეხმარები. ასევე საჭიროა ასი რუბლი ვერცხლით მოვიმადლო რამდენიმე ოსი კარინსში[1]. ისინი ფულის გულისათვის გააკეთებენ ყველაფერს და ჩავაყენებ კურდალეთში (?), სადაც მე და თ. ელიზბარ ერისთავი დაველოდებით"[2].*

ამგვარად გიორგი ამილახვარმა განიზრახა დახმარებოდა თავის რუს უფროსებს და გეგმაც შეიმუშავა აჯანყებულები ხაფანგში გასაბმელად. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ირკვევა, მან რუსებს შეაპყრობინა ბატონიშვილი იულონი და უფროსების გულიც მოიგო.

ა. ვოლკონსკი მოახსენებდა ციციანოვს (1804 წლის 6 ივლისი), რომ ბატონიშვილი იულონი რუსებს შეუპყრიათ 2 ივლისს და მთიულეთში ლომისში ჰყავდათ პატიმრობაში. ვოლკონსკი ციციანოვს ჰპირდება, რომ ბატონიშვილის დატყვევების გარემოებათა შესახებ აცნობებს სპეციალური მოხსენებით, რომელსაც დაწერს ბატონიშვილის უშუალოდ დამტყვევებელი შჩედროვის კაზაკთა პოლკის ესაული კონდრაშევი. ვოლკონსკის მოთხოვნით ბატონიშვილ იულონს წერილები გაუგზავნია თავისი მეუღლისათვის, ბატონიშვილ ფარნაოზისა და თავისი შვილებისათვის, რათა მათ დახმარება ეთხოვათ იმერეთის მეფისათვის. საფიქრალია, ვოლკონსკის დასახელებული პირების დატყვევებაც უნდოდა. მისი მოხსენებიდან იმასაც ვიგებთ, რომ ბატონიშვილის შეპყრობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორის კომენდანტმა და თავადებმა გიორგი ამილახვაროვმა და ამირეჯიბოვმა[3]. სხვათაშორის, ისიც საყურადღებოა, რომ გიორგი ამილახვარი მთიულეთის 1804 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგაც მონაწილეობდა იმ „დამნაშავეების" გამოვლენაში, ვინც მთავრობისგან იყო ძებნილი. გიორგის მთავრობისათვის ჩაუბარებია აზნაური შალვა ჟურული[4].

მაგრამ, როგორც ჩანს, გიორგი ამილახვარი მას შემდეგ, რაც პ. ციციანოვმა უნდობლობა გამოუცხადა და ოთარ ამილახვარი ძველ წოდებებსა და პრივილეგიებში აღადგინა 1805 წელს, აღარ იყო რუსების მხურვალე მხარდამჭერი და მას ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში სდებენ ბრალს. სტატს სეკრეტარი (მეხუთე რანგის ჩინოვნიკი) ტარასოვი პ. ციციანოვს წერილობით მოასენებდა (1805 წ. 24 აგვიტო), რომ გასულ წელს მიხეილ ერისთავი რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებას აწყობდა გიორგი ამილახვართან და

---

[1] კარინსი ასეა რუსულ ტექსტში

[2] *Акты, II, с. 317.*

[3] *Акты, II, с. 319, №636.*

[4] *Акты, II, с. 336.*

თარხანოვთან ერთად[1]. ამავე წლის 8 დეკემბერს მერეთის მღვდელმა იოსებ ფურცელაძემ გორის კომენდანტ მაირ რეიხს მისცა ჩვენება, რომლის მიხედვითაც ელიზბარ ერისთავი დაუკავშირდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში მოსახლე ოსებს, რათა რუსები არ გამოეტარებინათ და ამოეწყვიტათ მანამ, ვიდრე პ. ციციანოვი ირანელებთა ომში იყო ჩაბმული. *„ჩვენ კი, – აცხადებდა ელიზბარი, – მოვუწოდებთ აქეთა მხარის ოსებს, მოვიწვევთ ბატონიშვილ ლუარსაბს, ამილახვარ გიორგის და სხვა თავადებს, ჩვენთან შეთანხმებით, შევიკრიბებით და ყველა რუსს ამოვწყვეტთ ვინც კი საქართველოში იმყოფება. ფარნაოზ [ბატონიშვილი] კი გაემგზავრება მთიულეთში და ადგილობრივებს დააფიცებს“*[2].

გიორგი ამილახვარი ორჯერ საიდუმლოდ შეხვდა ელიზბარ ერისთავს იკორთაში და ერთმანეთს შეჰფიცეს, რუსები ამოვწყვიტოთ გერისთობის, იგივე არბოობის რელიგიური დღესასწაულის დროსო. შაბათს, გერისთობის წინ, ელიზბარმა და გიორგიმ შეკრიბეს თავიანთი ხალხი და აპირებდნენ ერთად წასულიყვნენ ბატონიშვილთან, მაგრამ, რადგან მათი განზრახვა გამჟღავნდა, შინდისის განაპირას გაიყარნენ და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ[3].

როგორც ჩანს, გიორგი ამილახვარმა შემდეგში ისევ გამონახა საერთო ენა ხელისუფლებასთან. გენერალი სიმონოვიჩი გენერალ ტორმასოვისათვის გაგზავნილ მოხსენებაში (1810 წ. 11 აპრილი) ახასიათებდა გიორგი ამილახვარს, პიროვნებას, რომელიც ყოველთვის გულმოდგინედ ემსახურებოდა მის იმპერატორობით უმაღლესობას, როდესაც კი ამის საჭიროება იყო. კერძოთ, მან, თავი გამოიჩინა ბატონიშვილების მიერ მოწყობილი ამბოხებების ჩაქრობის, ოსების დამორჩილების[4] და ქართლზე ლეკების გახშირებული თავდასხმების მოგერიების დროს. ეხლაც, იმყოფებოდა რა საწერეთლოში, მაიორ პრიბილოვსკის რაზმში, თავისი მოწოდებებით ახდენდა ხალხის გადმობირებას და იპერატორის ერთგულებაზე და-

---

[1] *Акты, II, с. 337, № 679.*

[2] *Акты, II, с. 556, №1088.*

[3] *Тамже, с. 557, №1088.* გერისთობა იმართებოდა სოფლებში – არბოსა და გერში აგვისტოს ბოლო კვირას და გრძელდებოდა სამ კვირას, შაბათ-კვირაობით. თითოეულ სადღესასწაულო ციკლს თავისი სახელი ჰქონდა: თავგერითობა, შუაგერითობა და გერის ბოლო. იხ. *სოსიაშვილი გ., შიდა ქართლის ისტორიიდან (სოფელი გერი და გერისთობის დღესასწაული) // ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვილი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2011, გვ. 49.*

[4] გიორგი ამილახვრის ოსების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის შესახებ იხ. *Акты, IV, с. 458, №630; с. 726, № 1113; с. 784, №1195.*

ფიცებას. მან საწერეთლოში თავი გამოიჩინა სვირისა და მოდიმნახეს ციხეების, განსაკუთრებით უკანასკნელის დაუფლებისას[1].

გიორგი ამილახვარის შემდგომი ცხოვრების შესახებ ცნობები ვეღარ მოვიძიე.

## ალექსანდრე

ალექსანდრე დიმიტრის ძე დაიბადა 1750 წლის 20 ოქტომბერს.

დედა – მარიამი იყო ორბელიანთა შთამომავალი და ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს ენათესავებოდა. 1765 წელს ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოეწყო პაატა ბატონიშვილის შეთქმულება (იხ. აქვე – დიმიტრი ამილახვარი), რომლის მონაწილეთა შორის, სავარაუდოდ, იყვნენ დიმიტრი და მისი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი შვილი ალექსანდრე. ალექსანდრეს მხოლოდ 15 წელი შესრულებოდა. შეთქმულების მონაწილენი მკაცრად დასაჯეს. ალექსანდრე დააპატიმრეს, ცხვირი მოჰკვეთეს და ფეხის ძარღვი გადაუჭრეს. დიმიტრის ოჯახს ყმები და მამულები ჩამოართვეს. 1771 წელს ალექსანდრე თბილისის ციხიდან გაიქცა და ცხინვალში მივიდა, სადაც იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შეხვდა. მეფემ ალექსანდრე გულთბილად მიიღო და რუსეთში გაქცევაში დაეხმარა.

ალექსანდრე რუსეთში 1781 წლამდე დარჩა და საკმაო განათლებაც მიიღო: შეისწავლა რუსული ენა, ევროპის, განსაკუთრებით, საფრანგეთის ისტორია და ფილოსოფია.

1781 წელს ალექსანდრე კვლავ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება ერეკლე II-ის წინააღმდეგ. იგი ქართლის ტახტის ახალ პრეტენდენტს ალექსანდრე ბაქარისძეს (ვახტანგ VI–ის შვილიშვილი) ეხმარებოდა. ისინი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და იქიდან ცდილობდნენ ერეკლეს წინააღმდეგ მოქმედებას, მაგრამ ვერ შეძლეს და თავი შეაფარეს ჩრდილო კავკასიაში.

1783 წელს, გიორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, ერეკლემ ეკატერინე II-ს თავისი მოწინააღმდეგების შეპყრობა სთხოვა. მართლაც ორივე ალექსანდრე დააპატიმრეს და ვიბორგის ციხეში მოათავსეს.

ალექსანდრე ამილახვარი ვიბორგის ციხეში იმყოფებოდა 1801 წლამდე. გათავისუფლების შემდეგ იგი სამშობლოსაკენ გამოეშურა, მაგრამ ასტრახანში გარდაიცვალა 1802 წელს.

ალექსანდრეს ბიოგრაფიული ცნობები მოცემულია მისსავე თხზულებაში – „გეორგიანული ისტორია“, რომელიც ავტორის

---

[1] *Акты, IV, с. 242, №325.*

სიცოცხლეში, 1779 წელს პეტერბურგში გამოიცა რუსულ ენაზე. ეს არის პოლიტიკური პამფლეტი მიმართული ერეკლე II-ის წინააღმდეგ. ავტორი უარყოფითად აფასებს ერეკლეს მთელ მოღვაწეობას. იმავე დროს თხზულება გამსჭვალულია სიძულვილით შეუზღუდველი თვითმპყრობელი მმართებლისადმი.

განსაკუთრებით საინტერესოა, ალექსანდრე ამილახვრის ტრაქტატი – „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელშიც იგი იძლევა სახელმწიფო წყობილებისა და მართვა-გამგეობის თავისებურ სქემას. ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული პოლიტიკური აზროვნების შესასწავლად[1].

ალექსანდრე ამილახვარი რომ მრავალმხრივ განათლებული და ნიჭიერი მოღვაწე იყო. მან დაწერა დრამატული ნაწარმოებიც – „ასტრახანში“.

კარგა ხანია ალექსანდრე ამილახვრის შემოქმედება ქართველ მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. არსებობს სხვადასხვა შეხედულება მის პოლიტიკურ კონცეფციაზე, კერძოდ სამეფო ხელისუფლების და სახელმწიფოს მოწყობის შესახებ[2].

## ივანე

ივანე ამილახვარი

ივანე გივის ძე, რუსეთის არმიის ცნობილი გენერალი, დაიბადა 1829 წლის 26 იანვარს. 1850 წლიდან მსახურობდა ჩრდილო კავკასიაში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, 1853 წლიდან იბრძოდა შამილის წინააღმდეგ, ყირიმის ომის დროს (1853-1856) კავკასიის ფრონტზე ოსმალებს ებრძოდა, მონაწილეობდა სოფ. ბაიდურის, ბაშკადიკლარის და ყარსის ბრძოლებში, 1873 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. ივანე ამი-

[1] იხ. *ასათიანი ლ., ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933; გუგუშვილი პ., ალექსანდრე ამილახვარი, როგორც პოლიტიკურიმოღვაწე, მწერალი, მოაზროვნე, თბ., 1936; აკოფაშვილი გ., საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII ს. დასასრულს // ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, 1955, ტ. 1; კიკნაძე ვ., ალექსანდრე ამილახვარი და ევროპელი განმანათლებლები, „მნათობი“, 1993, №1;*

[2] *მაგრაქველიძე რ., ამილახვარი ივანე გივის ძე // საქართველო. ენციკლოპედია, 1, თბ., 1997, გვ. 129-130.*

ლახვარმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში. მისმა ცხენოსანმა დივიზიამ აიღო ბაიაზ-ეთი, დიადინი, ალაშკერტი, ჰასანკალე, არზრუმი და სხვ.

1883 წელს ივანეს მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი, 1901 წელს კი – გენერალ-ადიუტანტის საპატიო წოდება, 1893 წლიდან იყო კავკასიის საარმიო კორპუსის მეთაური. ივანე ამილახვარი დააჯილდოვეს ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ და მრავალი ორ-დენითა და მედლით. იგი გარდაიცვალა 1905 წლის 25 აგვისტოს.

ივანე ამილახვარი ოჯახთან ერთად

1908-1909 წლებში ჟურნალ „კავკაზსკი სბორნიკში“ (ტ. 26-29) გამოქვეყნდა ივანე ამილახვრის დღიურები და მოგონებები, რომე-ლიც შეიცავს საინტერესო ცნობებს ეპოქისა და იმ ბრძოლების შესახებ, რომლებშიც თვითონ მონაწილეობდა. მასში უხვადაა ცნობები მისი თანამებრძოლი ქართველი გენერლების (გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანები, კ. მამაცაშვილი, მალაქია გურიე-ლი და სხვ.) შესახებ[1].

[1] იხ. აგრეთვე, *ჟორდანია გ., დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983, გვ. 110, 127-128.*

ამილახვრები

ი. ამილახვარმა მნიშვნელოვანი ამაგი დასდო თავის მშობლიურ ქალაქ გორს. თავისი მზრუნველობით და სახსრებით დაიწყო ციხის შეკეთება, გორის ამქრებისა და მოქალაქეთა დახმარებით გააკეთა ციხეზე მისასვლელი გზა, ციხის აღმოსავლეთით მდებარე წმ. გიორგის ეკლესიასთან ასასვლელად გააკეთა ცემენტის კიბე, გააშენა პარკი ციხის ზედა ნაწილში და აუზიც მოაწყო. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ქალაქის პარკის მოწყობა-გამშვენებაში, ამიტომ ქალაქის გამგეობის დადგენილებით მას „ამილახვრის ბაღი“ ეწოდა.

## დიმიტრი[1]

დიმიტრი გიორგის ძე დაიბადა 1906 წლის 12 ნოემბერს თერგის ოლქის სოფ. ბოზორკინოში (ახლანდელი ჩერმენი). დიმიტრის დაბადების ადგილის მიხედვით ზედმეტ სახელად „ბაზორკას“ ეძახდნენ.

[1]დიმიტრი ამილახვარი არ დაიბადა გორში და არც რაიმე შეხება ჰქონებია ამ ქალაქთან, მაგრამ ის იმდენად გამორჩეული პიროვნება იყო თავისი სამხედრო დამსახურებით მეორე მსოფლიო ომში, რომ გორში, როგორც მისი წინაპრების მშობლიურ ქალაქში, მას ბიუსტი დაუდგეს და მისი სახელობის ქუჩაც არსებობს. ყოველივე აღნიშნულის გამო გამონაკლისი დავუშვი და წინამდებარე წიგნში თავისი დამსახურებული ადგილი მივუჩინე დიმიტრი ამილახვარს.

შარლ დე გოლი აჯილდოვებს
პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვარს
საპატიო ლეგიონის ორდენით

დიმიტრის მშობლები – გიორგი ამილახვარი და ნინო ერისთავი, 1905 წელს ჩრდილო კავკასიაში გადასახლდნენ. დიმიტრი 14 წლამდე საქართველოში იზრდებოდა, შემდეგ ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ წავიდა და 1922 წლიდან პარიზში ცხოვრობდა. 1924-1926 წლებში იგი სწავლობდა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ჩრდილო აფრიკაში საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. 1934 წელს იგი დანიშნეს აგადირის ზემდეგთა პროფესიული მომზადების სკოლის უფროსად. 1936 წელს სიმამაცისა და გამოჩენილი გმირული მოქმედებისათვის დიმიტრი ამილახვარს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უცხოელი იყო, განსაკუთრებული არჩევანით მიანიჭეს კაპიტანის წოდება. იგი ამ რანგის ყველაზე ახალგაზრდა ოფიცერი იყო მთელ საფრანგეთში.

1940 წლის თებერვალში დიმიტრი ჩაირიცხა ალჟირში სიდიბელ-აბესში შექმნილი უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადაში. მან თავი ისახელა ნორვეგიაში ნარვიკის ბრძოლაში 1940 წლის მაის-ივნისში. გერმანელთა მიერ ჩრდილო საფნრაგეთის ოკუპაციის დროს ლეგიონი საფრანგეთიდან ინგლისში გადავიდა, სადაც თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების პირველი ბირთვი შეადგინა.

დიმიტრი ამილახვარი მონაწილეობდა ერიტრეის კამპანიაში, განსაკუთრებით ისახელა თავი 1941 წლის 7 აპრილს ქ. მასაუს აღებისას, სადაც მოულოდნელი შეტევით ხელთ იგდო იტალიელთა რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და მრავალი ტყვე. იგი მონაწილეობდა სირიის კამპანიაში და დამასკოს აღებაში. გამოჩენილი მამაცობისათვის დე-გოლმა დიმიტრის საკუთარი ხელით დააბნია „განთავისუფლების ჯვარი“ და საფრანგეთის ეროვნულ გმირად გამოაცხადა. აქ მოუხდა დიმიტრის ვიშის მთავრობის

ფრანგული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაც. ფაშისტების და ვიშის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის გამო იყო, რომ მას დაუსწრებლივ მიუსაჯეს სიკვდილი, ხოლო პარიზში დარჩენილი მისი ცოლშვილი (მას ცოლად ჰყავდა იოსებ იულონის ძე დადიანის ასული ირინე) იდევნებოდა გესტაპოს და პოლიციის მიერ.

დიდი სამხედრო დამსახურებისათვის დ. ამილახვარს მიენიჭა ლეინტენანტ-კოლონელის წოდება და თავისი დივიზიის მეთაურად დაინიშნა. ამ სამხედრო შენაერთმა გენერალ მ. პ. კენიგის ბრიგადის შემადგენლობაში გმირული წინააღმდეგობა გაუწია გერმანელთა არმიას, რომელსაც გენერალი რომელი მეთაურობდა. ბირ-ჰაკეიმის 16 დღიან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის (1942 წლის 26 მაისი-10 ივნისი) დ. ამილახვარი დაჯილდოვდა „გათავისუფლების ჯვრით“.

დიმიტრი დაიღუპა ელ-ალამეინის ბრძოლის დასაწყისში, 1942 წლის 24 ოქტომბერს. მისი ცხედარი დაკრძალეს ლიბიის უდაბნოში. დ. ამილახვრის სახელი მიენიჭა სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას.

გადმოცემის მიხედვით, დიმიტრი ამილახვარი ყოველგვარ ამინდში შავ წამოსასხამს ატარებდა. ხმა იყო გავარდნილი, რომ ეს წამოსასხამი თილისმასავით ტყვიებისაგან იცავსო. დიმიტრი იმავე დღეს დაიღუპა, როცა წამოსასხამი დაკარგა.

ბაზორკინ-დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ მისი პოლკი სულის მოსახსენებლ პურმარილს ქართული წესის მიხედვით უხდიდა. ეს ზამთარში მოხდა. მისი ოჯახიც მიიპატიჟეს. პოლკისაკენ გაემგზავრნენ დიმიტრის მეუღლე ირინე დადიანი, მისი და და შვილები – თამრიკო და ოთარი. გზაზე მანქანა მოცურდა, ხეს შეეჯახა და ირინე და მისი და ადგილზე გარდაიცვალნენ. ბავშვები მგზავრებმა გადაარჩინეს. როდესაც დადიანების ორი ასულის ცხედარი სახლში მიასვენეს, დიმიტრის დამ, დოდომ, რომელსაც ძმისშვილები დაღუპული ეგონა, მდ. სენაში თავი დაიხრჩო.

დე-გოლმა დიმიტრი ამილახვრის შვილები საფრანგეთის შვილებად გამოაცხადა და დიდად იზრუნა მათი აღზრდა-განათლებისათვის[1].

---

*1* დიმიტრი ამილახვრის და მისი ოჯახის შესახებ ცნობები მომაწოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, დოცენტმა ელიზა გარსევანიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. იხ. აგრეთვე, *ჟორდანია გ., დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983, გვ. 110, 127-128;*

## გარსევანიშვილები

ცნობილი გორელი გარსევანიშვილები უმთავრესად სასულიერო პირები იყვნენ და ისინი ჩანან ოქონის ეკლესიასთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებში. რათა თავიდან ამეცილებინა განმეორებები, მიზანშეწონილად მივიჩნიე სასულიერო მოღვაწე გარსევანიშვილებსა და ოქონის ეკლესიაზე ერთდროულად მომეთხრო[1].

### *ერისთავები*

#### **გიორგი**

გიორგი დავითის ძე ერისთავი (გლუხარიჩი) – დიდი ქართველი დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე, დაიბადა სოფ. ოძისში 1813 წელს. 10 წლისა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც სწავლობდა 1825 წლამდე, ვიდრე მისი ბიძა მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი მოსკოვში წაიყვანდა და განათლების გასაღრმავებლად კერძო პანსიონში შეიყვანდა. მაგრამ გ. ერისთავმა აღნიშნული სასწავლებელი ვერ დაამთავრდა და 1828 წ. სამშობლოში დაბრუნდა. მცირე ხნის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო თბილისის გუბერნატორ სტრეკალოვთან. მალე იგი თბილისის ფარული საზოგადოების საქმიანობაში ჩაება. 1831 წელს მან ელიზბარ ერისთავის წერილი წაიღო პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილთან. 1832 წ. დააპატიმრეს, როგორც შეთქმულების აქტიური მონაწილე, 1834 წ. ვილნოში გადაასახლეს და მესამე ქვეით დივიზიაში ჩარიცხეს. გადასახლებაში გ. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და ლიტერატურა. 1838 წელს მას ნება მისცეს დროებით საქართველოში ჩამოსულიყო. 1842 წ. კი საბოლოოდ დაბრუნდა და ერთხანს თბილისში მსახურობდა. 1854 წელს გ. ერისთავი გორის მახლობლად, სოფ. ხიდისთავში დასახლდა. ის იმავდროულად გორშიც ცხოვრობდა.

გ. ერისთავმა ორჯერ იქორწინა. 1844 წ. ცოლად შეირთო იაგორ ალიხანოვის ასული ელისაბედი, რომელიც 1854 წ. გარდაიცვალა. მისგან ჰყავდა ერთი ვაჟი დავითი (1847-1900), *„სამშობლოს*

---

*ამილახვარი ნ., პარაკლისი და დაუჯდომელი წმინდა იოთამ ზედგინიძისა, მეფისათვის თავდადებულისა. ამილახვრები, თბ., 2013, გვ. 168-173.*

[1] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 447-509*

*ავტორი“.* 1856 წ. დაქორწინდა მიმბაშის (თარხნიშვილის) ქალზე, დავით ბარათაშვილის ქვრივზე მართაზე (1824-1908).

გ. ერისთავმა პირველი ნაწარმოები *(„ოსური მოთხრობა“)* გამოაქვეყნა 1832 წელს. ამის შემდეგ ქართულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი პოეტური და დრამატული ნაწარმოებები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დრამატული ნაწარმოებები. მან ერთერთმა პირველმა სათავე დაუდო ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას. 1850 წელს დაარსა ქართული თეატრი და მისი იდეური, შემოქმედებითი მრწამსიც განსაზღვრა. ეს თეატრი უკვე მომდევნო წელს პროფესიულ თეატრად გადაიქცა, რომელმაც 1856 წლამდე იარსება. მისი ინიციატივით დაარსდა პირველი სალიტერატურო ჟურნალი *„ცისკარი“,* რომლის პირველი რედაქტორი თვითონვე იყო 1852-1853 წლებში.

გ. ერისთავის დრამატულ ნაწარმოებებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. უნდა დავასახელოთ *„შეშლილი“ (1839), „დავა“ (1840), „გაყრა“ (1843), „უჩინმაჩინის ქუდი“ (1852)* და სხვ.

*„აი, ეს ბრწყინავი ვარსკვლავი სცხოვრობდა გორში... იგონებდა ს. მგალობლიშვილი, – კარგად მახსოვს მისი სახე. ჯერ კიდევ ჭაღარა არ მორეოდა, შავი სქელი ულვაში, და აქეთ იქით ლოყებზე ჩამოშვებული ბიღები უმშვენებდნენ ბადრ სახესა. იგი ცხოვრობდა გარეთუბანში, სააკოვის სახლებში, რომელიც დღესაც სდგას! მეც სწორედ გარეთუბნის ახლოს ვიდექი, ხშირაც ჩვენი კარებისკენ გამოივლიდა ხოლმე ფეხით, ჯოხს ძალიან ეყრდნობოდა, ეტყობოდა ფეხები სტკიოდა. უბნის ხალხი მას გლუხარიჩს ეძახდა. არავინ კი არ იცოდა, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა მათს გლუხარიჩსა სამშობლოს წინაშე“*[1].

გ. ერისთავი გარდაიცვალა 1864 წლის 9 (22) სექტემბერს გორში. მის დაკრძალვაზე დიდძალი ხალხი მოვიდა გორში. მათ შორის იყო სახელგანთქმული გრიგოლ ორბელიანი. სასწავლებლებმა მეცადინეობა შეწყვიტეს. ცხედარი გარეთუბნიდან გორის მიძინების საკრებულო ეკლესიაში გადაასვენეს. სოფლიდან მოსული

---

[1] *მგალობლიშვილი ს., მოგონებები, გვ. 40.*

გლეხები დასტიროდნენ განსვენებულს, რომელმაც ბატონყომობის გაუქმებამდე გაათავისუფლა ისინი[1].

გიორგი ერისთავი დაკრძალეს საგვარეულო განსასვენებელ იკორთის მონასტერში.

## ელიზბარი

ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი – 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე, დაიბადა 1810 წელს ქ. გორში. 1823 წელს სამხედრო განათლების მისაღებად წავიდა პეტერბურგში, სადაც წარმატებით ეუფლებოდა სამხედრო ხელოვნებას. იგი იმპერიის დედაქალაქში გახდა წევრი ფარული ორგანიზაციისა, რომელშიც შედიოდნენ: დიმიტრი ბატონიშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, დავით ჯორჯაძე, დიმიტრი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ. როდესაც ე. ერისთავმა საარტილერიო სკოლა დაასრულა და სამშობლოში გამოემგზავრა, მას თანამოაზრეების მოძებნა დაევალა.

ე. ერისთავი 1831 წ. ივლისში მსახურობდა პოდპორუჩიკად კავკასიის გრენადერთა არტილერიის მესამე ასეულში, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო სამხედრო სამსახური მიატოვა და გორში დაბრუნდა.

ე. ერისთავმა წამყვანი როლი შეასრულა 1832 წლის შეთქმულებაში. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან ა. ორბელიანთან და ს. დოდაშვილთან ერთად შეადგინა შეთქმულების შტაბი. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა აჯანყების გეგმა *(„პირველი ღამის განკარგულება“).* იგი შეთქმულთა საქმიანობას დაწვრილებით ატყობინებდა პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილს. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, საგამომძიებლო კომისიამ, ე. ერისთავი მიიჩნია საშიშ დამნაშავედ, კერძოდ, მეორე ხარისხის დამნაშავედ, ისეთად *„ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყებნი და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულების და თვით აჯანყებისაკენ“.* თავდაპირველად მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რაც შემდეგში გადასახლებით შეუცვალეს. ის ჯარისკაცად მსახურობდა ჯერ კრონდშტატში, მერე ჰელსინკდორფში. მან გადასახლებაში თერთმეტი წელი დაჰყო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1854 წ. 18 მაისს იქორწინა შალვა ერისთავის ასულ ქეთევანზე, რომელიც მეგობარი იყო ნ.

[1] *იქვე, გვ. 41.*

ბარათაშვილისა. ელიზბარს და ქეთევანს შეეძინათ 5 შვილი – 2 ვაჟი და 3 ქალი.

ე. ერისთავი მონაწილეობდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელიც მიზნად ისახავდა ჟურნალისტთა საზოგადოების დაარსებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის *„სინათლის“* გამოცემას. 1869 წელს იყო გორის მაზრის უფროსი.

როგორც უკვე ითქვა, XIX ს. 40-იან წლებში ე. ერისთავმა გორის მაზრის სოფ. ღვარებში ააგო მინის ქარხანა, სადაც მუშაობდა ასამდე კაცი (იხ. ზემოთ, გვ. 263-265).

ე. ერისთავი მონაწილეობდა ყირიმის ომში.

იგი გარდაიცვალა 1870, 71 ან 72 წელს და დაასაფლავეს გორის საკრებულო ტაძარში[1].

## ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

ანასტასია გიორგის ასული ერისთავი-ხოშტარია დაიბადა გორში, 1868 წლის 16 თებერვალს. მამა-გიორგი დიმიტრის ძე ერისთავი, რუსეთის სამხედრო სასწავლებლის აღზრილი, რუსეთუმეს სახელით ცნობილი, დედა-ელისაბედ ზაალის ასული ბაგრატიონ-დავითაშვილი იყო. ანასტასიას მშობლები ძირითადად სოფ. მეჯვრისხევში ცხოვრობდნენ, თვითონ კი ბავშვობა გაატარა დედის მშობლიურ სოფ. ფცაში (ზემო ქართლი).

1881 წელს ანასტასია მიაბარეს გორის ქალთა პროგიმნაზიაში, რომელიც 1885 წელს დაამთავრა და ფცაში დაბრუნდა, სადაც ბავშვებს წერა-კითხვას და ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა.

1893 წელს ფცას ესტუმრა აკაკი წერეთელი. ის ანასტასიას მოსწავლეებს გაესაუბრა და პასუხებით კმაყოფილმა მადლობა გადაუხადა მათ ახალგაზრდა უანგარო მასწავლებელს. ანასტასიამ აკაკის წაუკითხა თავისი მოთხრობა *„ბატონებმა არ დაიწუნეს“*.

---

[1] *გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტფ. 1935, ბერძენიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევარის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980, გვ. 234-235.*

აკაკის მოთხრობა მოეწონა, წაიღო და ჟურნალ *„კვალში“* დაბეჭდა. ამას მოჰყვა მოთხრობები: *„ლაზარემ გადააჭარბა“, „კერა“, „ამისია“* და სხვ.

1897 წელს ანასტასია ერისთავი დუტუ მეგრელის (დიმიტრი თომას ძე ხოშტარიას) მეუღლე გახდა, რომელსაც საქართველოში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა. ამიტომ ანასტასიამ (ახლა უკვე ერისთავი-ხოშტარია) რამდენიმე წელი სამშობლოს გარეთ გაატარა.

1910 წლიდან ანასტასია ერისთავი-ხოშტარია გორში ცხოვრობდა და დიდ მუშაობას ეწეოდა ქართველ ქალთა გათვითცნობიერებისათვის, 1913 წელს მან დაარსა გორის ქალთა საზოგადოება *„მანდილოსანი“,* რომელმაც, მართალია, მცირე ხანს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია გორის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართულ ლიტერატურაში რომანის ჟანრის განვითარებას. 1896 წლიდან ჟურნალ *„მოამბეში“* დაიწყო მისი ცნობილი რომანის *„მოლიპულ გზაზე“* ბეჭდვა. 1907 წელს გამოქვეყნდა მისი მეორე რომანი *„ბედის ტრიალი“.* ამას მოჰყვა მოთხრობები – *„ლუკმა პურისთვის“, „ეკლესიის გარშემო“, „მიწა“, „განთიადი“* და სხვ. მას დარჩა დაუმთავრებელი რომანი ა. ერისთავი-ხოშტარია ავტორია მრავალი საბავშვო მოთხრობისა.

1924 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა მისი სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავი, ხოლო 1946 წელს დაბადებიდან 60 წლისთავი.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია გარდაიცვალა 1951 წლის 1 მაისს თბილისში, დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში[1].

---

[1] *დგებუაძე-ფულარია ფ., მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში, სოხუმი, 1957, გვ. 155-159.*

# ზუბალაშვილები[1]

ზუბალაშვილების გვარის წარმომავლობაზე სხვადასხვა ვერსია არსებობს: ისინი ცხოვრობდნენ ერწო-თიანეთში, ქუთაისში, მესხეთ-ჯავახეთში, მესხეთიდან ქართლში გადმოვიდნენ XVI ს. პირველი ნახევრიდან და გორში დასახლდნენ. ზ. ჭიჭინაძე ვარაუდობდა, რომ ზუბალაშვილთა წინაპრების სამკვიდრო უნდა ყოფილიყო ჯავის ხეობის სოფელი ხეთი. სოფელში „ზუბაანთ უბანი“ არსებულა. ხეთიდან წამოსულები დასახლებულან ჯერ ცხინვალში, XVI საუკუნეში კი გორში.

ვარაუდობენ, რომ ვიდრე ეს გვარი გაკათოლიკდებოდა მანამდე ზუბაშვილების გვარის მატარებლები იყვნენ. XVII საუკუნიდან, კათოლიკობის მიღების შემდეგ, ზუბალაშვილები გახდნენ. როგორც ჟ. ფეიქრიშვილი ფიქრობს, ზუბალაშვილები და ზუბაშვილები ერთი ძირისაგან უნდა მოდიოდნენ და მათი ცვლილება არ უნდა იყოს დაკავშირებული რელიგიურ აღმსარებლობასთან. მთავარი ის არის, რომ XVII-XVIII საუკუნეებიდან დღემდე ზუბაშვილები და ზუბალაშვილები კათოლიკეები არიან[2].

## ზურაბი

*ზურაბი* (1640-?) იყო ამ გვარის პირველი წარმომადგენელი ვინც სავაჭრო საქმიანობის გასაფართოვებლად თავის ოჯახთან ერთად ახალციხიდან გორში გადმოსახლდა. მას ამ ქალაქში შეეძინა ვაჟი გიორგი.

## გიორგი

*გიორგიმ* (1694-1771) ქართული წერა-კითხვა გორში კათოლიკე მღვდლებთან შეისწავლა და მამის საქმიანობა გააგრძელა. გიორგი დაქორწინდა გორელი კათოლიკის ასულზე, თამარზე. მათ 8 შვი-

---

[1] წინამდებარე მონოგრაფიის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მაინტერესებდა ზუბალაშვილების გვარის ის წარმომადგენლები ვისაც რაიმე შეხება ჰქონდათ გორთან. ვისარგებლე მიქელ თამარაშვილის (*თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1904* და მისივე, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995*), ზაქარია ჭიჭინაძის (*ჭიჭინაძე ზ., ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, ტფ., 1903*) ნაშრომებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ნაშრომი (*ფეიქრიშვილი ჟ.,ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011).*

[2] *ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, გვ. 29.*

ლი ეყოლათ. მან გორში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლების პატივისცემა დაიმსახურა. გიორგის სახლს კათოლიკები ეკლესიადაც იყენებდნენ. როგორც გიორგი ისე მისი შვილები გამოირჩეოდნენ ქველმოქმედებით.

## იოსები

*იოსები* (1694-1780?) სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებით სამცხიდან გადმოსახლებულა ქართლში, ცხოვრობდა თბილისსა და გორში. თბილისსა, გორსა და ახალციხეში ჰქონდა სანთლისა და საპნის საწარმოები. ვაჭრობდა ირანსა და ოსმალეთში. სარგებლობდა დიდი გავლენით.

## ანდრია

ანდრია (დაბ. წ. ? - დაახლ. 1793). იყო გორის ცნობილი მოქალაქე. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-სა და ანტონ კათალიკოსთან. 1775 წელს თბილისში ღარიბებისათვის დაარსა „სამათხოვრო სახლი“ და შესწირა დიდძალი თანხა.

## დავითი

დავითი (XVIII ს.) გორის წარჩინებული მოქალაქე სიმდიდრით, საუკეთესო სახლით და მამულებით. გამოირჩეოდა პატიოსნებით, კეთილშობილებით, ქველმოქმედებით და ლათინური წესის კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულებით. კათოლიკეთა დევნის პერიოდში, გორელი კათოლიკეები დავითის სახლის ერთ დარბაზს იყენებდნენ რელიგიური რიტუალისათვის.

## მერაბი

მერაბი (1698/1700-1781) დაიბადა ხიზაბავრაში, საუკუნის შუა ხანებში საცხოვრებლად გადმოვიდა გორში და ერთ-ერთი წარჩინებული მოქალაქე გახდა. მეფისა და მისი ოჯახის გორში ყოფნის დროს მერაბი ხშირად სტუმრობდა მათ ან მასპინძლობდა. სიმართლეს არ შეეფერება ის, თითქოს ერეკლე II-მ მერაბ ზუბალაშვილის თხოვნით ჩამორთმეული ეკლესია ლათინური წესის აღმსარებლებს დაუბრუნა და განდევნილი პატრებსაც წირვა-ლოცვის ნება დართეს[1].

## ივანე

[1] *იქვე, გვ. 38.*

ივანე **გიორგის ძე** (1747-1817) დაიბადა გორში, ქართველ კათოლიკეთა ოჯახში, სწავლობდა აქვე კათოლიკური ეკლესიის სკოლაში. მან გააფართოვა თავისი მამის სავაჭრო საქმიანობა. ის დაახლოებული იყო საქართველოს მეფეებსა და მთავრებთან. ივანე დაქორწინდა კათოლიკეთა ოჯახის ასულ ანასტასიაზე. მათი შვილები (ანდრია, მიხეილი, გიორგი, სტეფანე, იაკობი და დავითი) ცნობილნი იყვნენ თავიანთი განათლებით, საქმიანობითა და ქველმოქმედებით.

ივანე დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა სამეფო კარზე და მოსახლეობაში. ის ხშირად ეახლებოდა მეფე ერეკლეს და ესაუბრებოდა სავაჭრო საკითხებზე. ივანეს ოჯახი ცნობილი იყო ქველმოქმედებითაც, ეხმარებოდა ღარიბ მოსახლეობას და კათოლიკურ ეკლესიებს.

## გიორგი

გიორგი ივანეს ძე (1783-1864) დაიბადა გორში. მან მამის საქმე გააგრძელა, ეწეოდა კომერციულ საქმიანობას. იმავე დროს იყო სახელმწიფო სამსახურში, ჰქონდა „ნადვორნი სოვეტნიკის“ და ჯილდოდ ხმალიც მიუღია „მამაცობისათვის“. რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ის პოლკოვნიკის ჩინით არის მოხსენიებული[1]. მას ცოლად ჰყავდა თავად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ასული ანნა.

XIX ს. დასაწყისში გიორგის ქუთაისში მეფის კარზე უცხოვრია და აქტიურად მონაწილეობდა სამეფოს საქმეებში. შემდეგ ის თბილისში დასახლდა და ითვლებოდა გავლენიან, გონიერ მრეწველად, აღიარებული იყო ხელისუფლების მაღალ წრეებში. მას არასოდეს ავიწყდებოდა მშობლიური გორი. არაპირდაპირი ცნობით, გიორგიმ სხვა ზუბალაშვილებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გორის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის დაფინანსებაში[2].

გიორგი დაკრძალეს თბილისში, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში.

## ნიკოლოზი

---

*[1] თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 704.*

*[2] იქვე.*

ნიკოლოზ გიორგის ძე (1820-1898) დაიბადა გორში, დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტში. მისი მეუღლე იყო ფრანგი ემმა, რომელიც ყოველთვის გვერდში ედგა ნიკოლოზს. მათ შვილები არ ეყოლათ. ისინი, უკვე ხანში შესულები პარიზში გადავიდნენ საცხოვრებლად. ნიკოლოზი, მისივე ანდერძის მიხედვით, დაკრძალეს თბილისში, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, მამისა და ძმის გვერდით.

თუ როგორ უყვარდა სამშობლო როგორ ზრუნავდა შეჭირვებულ ადამიანებზე და თავისი აღმსარებლობის ეკლესიაზე, კარგად გამოჩნდა ნიკოლოზის ქველმოქმედებაში სიცოცხლის დროს და გარდაცვალების შემდეგ ანდერძში[1].

## სტეფანე

სტეფანე ივანეს ძე (1785-?) დაიბადა გორში. ოჯახში წერა-კითხვის დაუფლების შემდეგ, შეიყვანეს გორის კათოლიკური ეკლესიის სკოლაში. 15 წლისამ დაიწყო სავაჭრო საქნიანობა და დიდი უნარიც გამოამჟღავნა. სავაჭროდ დადიოდა ამიერკავკასიის ქვეყნებსა და რუსეთში, თურქეთში, ირანსა და ინდოეთში. სავაჭრო საქმიანობაში ეხმარებოდა მრავალი ენის ცოდნა. ინდოეთში დაუახლოვდა იქ მცხოვრებ ქართველ და სომეხ ვაჭრებს და 1822 წლიდან თვითონაც სამუდამოდ იქ დასახლდა. 1830-იანი წლებიდან მის შესახებ აღარაფერია ცნობილი. დაკრძალულია ინდოეთში.

## დავითი

დავით ივანეს ძე (? – †1862 ან 1866) დაიბადა გორში, იყო განათლებული, როდესაც გორში თვალსაჩინო სტუმარი ჩამოვიდოდა მას დავითი ხვდებოდა და ქალაქის მდგომარეობაზე ესაუბრებოდა. მის დროინდელი სტუმრებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე (შემდეგში იმპერატორი ალექსანდრე II), რომელიც 1852 წელს ეწვია გორს. მას მოქალაქეთა სახელით მიესალმა დავითი. ტახტის მემკვიდრე, ვიდრე გორში იყო, სტუმრობდა თავად ალექსანდრე ერისთავს. იმ დროის განმავლობაში ვიდრე საპატიო სტუმარი გორში იმყოფებოდა, დავითიც ერისთავის სახლს სტუმრობდა.

---

[1] იხ. *ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, გვ. 55-62.*

დავითის მთავარი საქმიანობა ვაჭრობა იყო. ვაჭრობდა აბრეშუმის, მაუდის და ბამბის ქსოვილებით. დაიარებოდა ლაიფციგში, მოსკოვში, ნიჟნინოვგოროდში.

დავითი გამოირჩეოდა გულმოწყალებით, უძლურთა შემწეობით, ქველმოქმედებით. იყო პრინციპული, სამართლიანი და პირდაპირი, სიტყვამოსწრებული.

დავითს ჰყავდა ღირსეული მემკვიდრეები: ანტონი, ნიკოლოზი და ალექსანდრე.

## ანტონ

ანტონ დავითის ძე (1830-?). დაიბადა გორში და ცხოვრობდა მამა-პაპათა საგვარეულო სახლში, სემინარიის ქუჩაზე (დღევანდელი სტალინის გამზირი), სადაც შემდეგში იყო კინოთეატრის შენობა, ამჟამად კი საცხოვრებელი სახლი.

ანტონის მეუღლე იყო თავად ალექსანდრე ჩიქოვანის ასული ეკატერინე. მათ ეყოლათ სამი ვაჟი – ალექსანდრე, დავითი და პავლე.

ანტონი ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდა. ჰქონდა მამულები გორის მიმდებარე სოფლებში – ხიდისთავში, კარალეთში, ხელთუბანში. თავისი მურნეობა მოწყობილი ჰქონდა კაპიტალისტურ ყაიდაზე.

ანტონი აგრძელებდა ზუბალაშვილების გვარის ტრადიციულ ქველმოქმედებას.

ანტონი და მისი მეუღლე დაკრძალეს, გორში, კვერნაქის ზუბალაშვილების საგვარეულო სასაფლაოზე.

## ნიკოლოზი

ნიკოლოზ დავითის ძე (1832-?) დაიბადა გორში, სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო იურიდიული განათლება. მისი მეუღლე იყო იულია კვიტკოვი. ჰყავდათ ორი შვილი: მიხეილი და მარიამი

სამშობლოში დაბრუნებული ნიკოლოზი დაინიშნა გორის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ. 1868 წელს გადაიყვანეს თბილისში, სადაც თავდაპირველად ასრულებდა ამიერკავკასიის გამმიჯვნელ კომისიათა თავმჯდომარის მოვალეობას, შემდეგ არჩეულ იქნა თბილისის მომრიგებელ მოსამართლის მეოთხე განყოფილების მოსამართლედ და ამ თანამდებობაზე იყო სიცოცხლის ბოლომდე. იმავე დროს ნიკოლოზი იყო ქალაქის გამგეობის ხმოსანი.

ის ყველგან ღირსეულად ასრულებდა ქვეყნისა და ხალხის სამსახურს.

## დავითი

დავით ანტონის ძე (1873-1950) დაიბადა გორში. დაამთავრა გორის სემინარია, შემდეგში, უმაღლესი კომერციული სასწავლებელი. ადრეულ ასაკში დაიწყო კომერციული საქმიანობა. დავითი თავისმა უახლოესმა ნათესავმა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა მიიწვია ბაქოს ნავთობსადენის კანტორაში და ამის შემდეგ უშუალოდ მონაწილეობდა ბაქოს ნავთობის ბიზნესში, ხელმძღვანელობდა ზუბალაშვილების ნავთობკომპანიის ქიმიურ ლაბორატორიას, მაგრამ ფაქტობრივად ნავთობის საბადოების საქმეებს.

დავითი ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოსთან, ახლოს იცნობდა ქართულ ინტელიგენციას, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს, იყო ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი და თანამოაზრე, არჩეული იყო სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრად. საქველმოქმედო ღონისძიებებში ძმები ზუბალაშვილების გვერდით იდგა. ის ღრმად მორწმუნე იყო.

დავითი ბაქოში იმყოფებოდა 1920 წლამდე, შემდეგ თბილისში დაბრუნდა. როდესაც საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მას მთელი ქონება ჩამოართვეს და არაკეთილსაიმედო პიროვნებად გამოაცხადეს.

დავითის მეუღლე იყო ანა თუმანიშვილი. ჰყავდათ ორი შვილი: ანტონი და ანასტასია.

დავითი დაკრძალულია თბილისში ვაკის სასაფლაოზე.

## ალექსანდრე

ალექსანდრე ანტონის ძე(1876-1937/38) დაიბადა გორში, მიიღო კარგი განათლება, მაგრამ სამხედრო საქმისადმი ინტერესის გამო შევიდა იუნკერთა სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს რუსეთში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. გამოჩენილი მამაცობისათვის მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება. რუსეთში დაქორწინდა ანა ვოლკოვაზე. შვილები არ ეყოლათ

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ალექსანდრე დაბრუნდა გორში და ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას. 1924 წლის აჯანყების

შემდეგ ალექსანდრე როგორც ყოფილი მეფის არმიის პოლკოვნიკი დააპატიმრეს, მაგრამ გადარჩა. 1937 წელს გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც ტიფით გარდაიცვალა.

## სხვა გამოჩენილი გორელები

### **აზიანი ნატალია** (1878-1943)

აზიანი ნატალია მიხეილის ასული (ნამდვილი გვარი დონდაროვა) დაიბადა 1878 წლის 16 იანვარს, ქ. გორში, ვაჭრის ოჯახში. მან გორშივე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ კი სწავლა განაგრძო თბილისში. იგი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა სამწერლო ნიჭით. მისი პირველი პიესა „ინჯილერი ან დოხტური“ დაიდგა 1897 წელს გორში, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ოცი წლისაც არ იყო. ამ კომედიამ, რომელშიც გორის ცხოვრება აისახა, დიდი მოწონება დაიმსახურა არა მხოლოდ მწერლის მშობლიურ ქალაქში, არამედ თბილისშიც. გორიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში ნათქვამი იყო, რომ პიესაში გორის ცხოვრების სურათები აისახა[1].

1899 წელს აზიანმა დაწერა ახალი პიესა „ფული და ხარისხი“, რომელიც მაშინდელი პრესის შეფასებით, გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე პირველი ნაწარმოები, მწერალს ენაც მოუწონეს და ტიპების მიგნების კარგი უნარიც შეუქეს[2].

ნატალია აზიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესები - „ცოდვა“, „დეზერტირკა“ (ეს უკანასკნელი კ. მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის თეატრში 1925 წელს), აგრეთვე მრავალი პუბლიცისტური და სატირულ-იუმორისტული წერილები, რომლებსაც მაშინდელ პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა.

ნატალია აზიანი გარდაიცვალა 1943 წლის 31 იანვარს თბილისში.

### **ანტონოვი ზურაბ**

ანტონოვი ზურაბ ნაზარის ძე (? – †1854) (მეჩითაშვილი) გორელი, იყო ერთ-ერთი შესანიშნავი დრამატურგი, აქტიორი და რეჟისორი. ის დაიბადა ვაჭრის ოჯახში. ზურაბი ადრევე დაეუფლა წერა-კითხვას. გორის სასწავლებელში მან მხოლოდ ერთ წელიწადი ისწავლა (ორი კლასი გაიარა), რადგან მამამ საკმარისად ჩათვალა მისი განათლება და ვაჭრობაში ჩააბა. მაგრამ ზურაბს ასეთი საქმიანობა არ იზიდავდა და 18 წლისამ გორის სამაზრო სამმართველოში დაიწყო მუშაობა, სადაც ოთხ წელიწადს დაჰყო.

---

[1] *„ივერია“, 1898, №280; „ცნობის ფურცელი“, 1899, №865.*

[2] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 43-44*

მამის გარდაცვალების შემდეგ ზურაბ ანტონოვი იძულებული გახდა დუქანს დაბრუნებოდა, მაგრამ მალე გაკოტრდა, რადგან დიდ თანხებს ძველი ხელნაწერებისა და წიგნების შესაძენად ხარჯავდა.

1851 წლის გაზაფხულზე ზ. ანტონოვი თბილისში ჩავიდა, სადაც უკვე არსებობდა გიორგი ერისთავის მიერ შექმნილი თეატრი, რომლის მთავარი მონაწილენი მისი თანამემამულე გორელები იყვნენ. მათი დახმარებით ზურაბი გაეცნო თეატრალურ ცხოვრებას. გიორგი ერისთავმა, თავდაპირველად, მას მსახიობის ნიჭი დაუწუნა. სამაგიეროდ ზ. ანტონოვი სულ სხვა ამპლუაში წარუდგა ქართული თეატრის ამ მესვეურს – წარუდგინა თავისი კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“. ეს კომედია გ. ერისთავმა დადგა 1851 წლის 10 მაისს.

აქედან დაიწყო ზ. ანტონოვის ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მოღვაწეობა თეატრში. როგორც ცნობილი მწერალი ნიკო ავალიშვილი წერდა, *„ანტონოვზე ის აზრია დამყარებული, რომ სცენის საქმის ცოდნით და თეატრისადმი გულმოდგინებით ერისთავს თუ არ სჭარბობდა, არც უკან ჩამორჩებოდაო. იგი ერისთავის „მარჯვენა ხელი“ იყო. ხშირად გამგეობდა საქმეს და რეჟისორობდა კიდეც“.* ამიტომ იყო, რომ, როდესაც გ. ერისთავი 1854 წლის ნოემბერში თეატრიდან წავიდა, იგი ზ. ანტონოვმა შეცვალა (1854 წლის ნოემბერ-დეკემბერი).

ზურაბ ანტონოვი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1854 წლის 9 თუ 13 დეკემბერს, მაგრამ საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა. მის მიერ დაწერილი, 15 პიესიდან მოღწეულია 7. ესენია: „მე მინდა კნეინა გავხდე“ (1851), „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ (1852), „მზის დაბნელება საქართველოში“ (დაიდგა 1853 წელს, დაიბეჭდა 1876 წელს), „ქმარი ხუთი ცოლისა“ (დაიდგა 1851 წელს, დაიბეჭდა 1852 წელს), „ქორწილი ხევსურთა“ (1852), „ქოროღლი“ (1853) და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ (1854).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კომედია „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, რომლის სიუჟეტი გაშლილია გორელთა ცხოვრების ფონზე.

როგორც გ. ბუხნიკაშვილი წერდა, ზ. ანტონოვი რეალისტი მწერალი, გ. ერისთავის ერთგული მიმდევარი და მოწაფე იყო.

მისი პიესები იმ მოვლენებს გამოხატავდა, რაც მის დროს ხდებოდა. ეს იყო ფეოდალური ნატურალური მეურნეობის დაკნინება და სავაჭრო კაპიტალის გაძლიერება. ზ. ანტონოვი იყო ქართველ დრამატურგთა შორის პირველი, ვინც სცადა დაეხატა მშრომელი ხალხის ცხოვრება და განცდა[1].

დიდმა ილიამ შემდეგნაირად შეაფასა ზ. ანტონოვის ღვაწლი: *„მართალია გ. ერისთავის კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატარებდა ჩვენს გონებას, მაგრამ მისგანვე ფრთა-ასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეების შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთწოდებული მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავკარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის“*[2].

ზურაბ ანტონოვის ზოგიერთი პიესა იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ქართული თეატრის სცენას დღემდე შემორჩა.

## გაბუნია ნატო

გაბუნია ნატო მერაბის ასული. სასცენო ხელოვნების შესანიშნავი მოღვაწე იყო. იგი გორში დაბადებული 1859 წელს. მან გორშივე მიიღო განათლება და სრულიად ახალგაზრდამ გამოამჟღავნა მსახიობის ნიჭი და საცენო მოღვაწეობა გორელი ხელოსნების მიერ დაარსებულ სცენისმოყვარეთა დრამწრეში დაიწყო. ნ. გაბუნია პირველად სცენაზე გამოვიდა 1875 წლის 22 აგვისტოს და ითამაშა გ. ერისთავის კომედიაში „უჩინმაჩინის ქუდი“ და ი. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ კომედიაში „ძალად ექიმი“.

1879 წელს დავით ერისთავმა ნ. გაბუნია მიიწვია თბილისის პროფესიულ დასში. აქ მოხდა მისი შეუღლება ცნობილი დრამატურგთან ავქსენტი ცაგარელთან.

კომედიური, სახასიათო როლების ნიჭიერმა შემსრულებელმა ნ. გაბუნიამ არა ერთი შესანიშნავი სახე შექმნა. იგი ბრწყინვალედ ფლობდა მეტყველების, პლასტიკური გამომსახველობის, სიმღერის

---

[1] *იქვე, გვ. 15-17*

[2] *ჭავჭავაძე ი., წერილები მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, თხზ. ტ. II, გვ. 89. ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 15-18*

ხელოვნებას. იგი პროფესიული თეატრის მსახიობი, არც თუ იშვიათად მონაწილეობდა მუშათა თეატრების სპექტაკლებში, სოფლად გლეხებისთვის გამართულ წარმოდგენებში, მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძლიერი ნებისყოფის ქალთა სახეები. იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ნატო გაბუნიას ხელოვნება, რომ მისთვის სპეციალურად წერდნენ პიესებს ი. ჭავჭავაძე („მაჭანკალი“), ა. წერეთელი („კინტო“), ა. ცაგარელი („ხანუმა“), დ. კლდიაშვილი („დარისპანის გასაჭირი“). შორს წაგვიყვანს ნ. გაბუნიას მიერ შესრულებული როლების უბრალო ჩამოთვლაც კი.

ნატო გაბუნია-ცაგარელს უყვარდა თავისი მშობლიური ქალაქი გორი, რომელსაც ხშირად ესტუმრებოდა და თავისი ხელოვნებით ატკბობდა გორელებს. მადლიერმა თანამემულეებმა 1909 წლის 26 დეკემბერს დიდი ზეიმით აღნიშნეს ნატო გაბუნია-ცაგარელის 50 წელი. საიუბილეო სპექტაკლში (ა. ცაგარელის „ხანუმა“) თვით იუბილარი მონაწილეობდა.

ნატო გაბუნია-ცაგარელი გარდაიცვალა 1910 წელს[1].

## დიაკვნიშვილი

ისტორიის ფურცლებმა შემოგვინახეს, მართალია, უაღრესად ძუნწი ცნობები ერთ-ერთი გორელი ვაჭრის *დიაკვნიშვილის* შესახებ. იგი პატრიოტი და ბაგრატიონთა სამეფო გვარისადმი ერთგული და თავდადებული ყოფილა. ის სტამბულში იმყოფებოდა. როცა იქ ტყვეობაში გარდაიცვალა ქართლის სახელგანთქმული მეფე სვიმონ I, აღსანიშნავია, რომ, როდესაც სვიმონი ოსმალებმა დაატყვევეს, უფლისწულმა გიორგიმ *„აღიღო საუნჯე მამისა თვისისა ანუ რომელიც თვისი ჰქონდა და სხუა სადაცა მონასტრებისა საქონელი იყო, ანუ რომელიცა ქართველთა დარბაისელთა ჰქონდათ მოკრიბეს ზოგად, და წარგზავნეს სახსრად მეფისა სვიმო-*

[1] *ბურთიკაშვილი ა., ნატო გაბუნია, თბ., 1949; ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 24-25.*

*ნისა, და ვიდრე საქონლის მისლვადმდე, მიცვლილ იყო მეფე სვიმონ საპყრობილესა შინა, და, ესეოდენი საუნჯეცა მუნდაშთა“*[1].

დიაკვნისშვილმა უპატრონოდ არ მიატოვა თავისი მეფის ნეშტი. ისტორიკოსი შემთხვევით არ უნდა ამბობდეს, *„ამან (დიაკვნიშვილმა-ე.მ.) იშოვნა ძვალნი სვიმონ მეფისანი“*[2]. „იშოვნაში“ გორელი ვაჭრის მიერ დახარჯული მონდომება, ენერგია და, ალბათ, ქრთამიც უნდა იგულისხმებოდეს, რადგან, როგორც ცნობილია, სულთნის მოხელენი ძღვნისა და ქრთამის გარეშე არაფერს არ გააკეთებდნენ. თუ ისტორიკოსის სევდიანი სიტყვების დასასრულს გავიხსენებთ, ეს არც უნდა იყოს გასაკვირველი, უფლისწული გიორგის მიერ გაგზავნილი „ესეოდენი საუნჯეცა მუნ დაშთა“-ო, ე.ი. სულთანმა მეფის დასახსნელად გაგზავნილი განძი შეინარჩუნა.

ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც სვიმონ მეფის ნეშტის სტამბულიდან გადმოსვენებაზე წერს, აღნიშნავს, რომ სულთანმა ქართველთა მიერ ჩატანილი საგანძურის სანაცვლოდ დათმო განსვენებული მეფის ცხედარი. იგი დიაკნიშვილს არც კი ახსენებს[3]. ვახუშტის მიერ დიაკვნიშვილის იგნორირება მით უფრო გაკვირვებას იწვევს, რომ ზემოაღნიშნული *„ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის“* უცნობი ავტორი და ვახუშტი ერთსა და იმავე დროს მოღვაწეობდნენ.

დიაკვნისშვილმა სიმონ მეფის ნეშტი დედოფალ ნესტან-დარეჯანს და ბატონიშვილ გიორგის „მოართუა“. მათ დიდი გლოვის შემდეგ ცხედარი „დამარხეს სამარხოსა თვისსა მცხეთას“. მადლიერმა დედოფალმა და ბატონიშვილმა დიაკნისშვილი და მთელი მისი „სახლეული“ გააზატეს, ე.ი. ყმობისაგან გაანთავისუფლეს და *„შესწირეს პატიოსანსა და ცხოველ-მყოფელსა ჯუარის მონასტერსა სალხინებლად და საოხად მეფისა სვიმონისა“*[4].

„ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის“ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ავტორი დიაკვნისშვილის მისაბაძ საქციელზე თხრობას ამთავრებს შემდეგით: *„და არიან აწცა გორს დიაკუნისშვილები ყმანი ჯუარის მონასტრისანი“.*

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 536.*

[2] *იქვე, გვ. 537.*

[3] *იქვე, IV, გვ. 419.*

[4] *იქვე, II, გვ. 537.*

## გაბაშვილი ეკატერინე

გაბაშვილი ეკატერინე რევაზის ასული, გამოჩენილი ქართველი მწერალი (ქორწინებამდე თარხნიშვილი) დაიბადა გორში, 1851 წლის 6 ივნისს (ძვ. სტილით). ეკატერინეს დედა, სოფიო ვახტანგის ასული ბაგრატიონ-დავითაშვილი, ადრე გარდაიცვალა და მომავალი მწერლის და მისი ძმის – სოსიკოს აღზრდა მამამ თავის სიდედრს, ბარბარე ამირაღოვის ქალს, მიანდო.

შვიდი წლის ეკატერინე ჯერ გორში ვინმე პროკურორის მეუღლეს, მაგდანას, მიაბარეს, შემდეგ კი პოლკოვნიკ ფავლენიშვილის ქვრივს. ამ ქალბატონებს საკმაო განათლება არ გააჩნდათ და ეკატერინეს მხოლოდ ანბანი და რამდენიმე ლოცვა შეასწავლეს.

1859 წელს ეკატერინე ჯერ თბილისის გერმანულ სკოლაში მიაბარეს, შემდეგ კი ამბარდანოვების კერძო პანსიონში. იმის გამო, რომ რუსულ ენაში ასაკის შესაფერისი ცოდნა არ ჰქონდა, ეკატერინეს თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში შეყვანა ვერ მოხერხდა. ეკატერინეს ცოდნაში არსებული ხარვეზის შესავსებად იგი გორში, საკუთარ ოჯახში, კერძო მასწავლებელთან, ქუცნა ამირეჯიბთან მეცადინეობდა. 1862 წელს ეკატერინე თბილისში მადამ ფავრის ინსტიტუტში მიაბარეს, რომელიც 1868 წელს დაამთავრა და გორში დაბრუნდა.

უსახსრობის გამო ეკატერინემ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ვერ გააგრძელა და გორში მასწავლებლობა დაიწყო. პირველ ხანებში იგი ქართულ და რუსულ ენებს ასწავლიდა გორის პირველ დაწყებით სასწავლებელში, რომელიც 1868 წელს დაარსდა გორის ყოვლადწმინდის სომხურ ეკლესიასთან.

1871 წელს ეკატერინე თბილისში დასახლდა. ამავე წელს დაქორწინდა ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბაშვილზე და ამის შემდეგ ცნობილია ქმრის გვარით.

70-იანი წლების დასაწყისში, გორში ცხოვრებისას, ეკატერინე გაეცნო და დაუახლოვდა საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელებს და ამ მოძრაობის კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანებმა გაიტაცეს. რადგან მას, როგორც მეოჯახე ქალს, „ხალხში გასვლა“ არ შეეძლო, გადაწყვიტა პედაგოგიური და ლი-

ტერატურული შრომით მიეღწია ხალხში განათლების შეტანისათვის.

თბილისში დასახლების შემდეგ, ეკატერინე გაბაშვილი დაუახლოვდა ქართული მწერლობის მოწინავე წარმომადგენლებს. მან თბილისის მახლობლად, სოფ. თხინვალში, ქალთა სკოლა გახსნა, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობა ვერ შეძლო. სკოლა მალე დაიხურა.

1895 წელს ე. გაბაშვილმა თბილისში ჭრა-კერვის სკოლა გახსნა, რომელსაც 25 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ე. გაბაშვილი სცენისმოყვარეც იყო. იგი ხშირად გამოდიოდა თბილისის, გორის, სურამის და სხვა ქალაქების სცენაზე, მუშაობდა ევროპელი და რუსი მწერლების „მთარგმნელ ქალთა კოლეგიაში“ და ხელს უწყობდა ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემას. აწყობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს და წიგნებით ამარაგებდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საბავშვო ჟურნალების – „ნობათის“, „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ დაარსებაში და მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა მათთან. იგი წევრი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისა, თაოსნობდა ქალთა საქვემოქმედო წრეებს და მანდილოსანთა საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას.

გაოცებას იწვევს ე. გაბაშვილის შრომისუნარიანობა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი დრო და ენერგია სჭირდებოდა მის მრავალსულიან ოჯახს. მას 11 შვილი – 7 ვაჟი და 4 ქალი ჰყავდა.

ე. გაბაშვილის პირველი სალიტერატურო ნაწარმოები („გლეხკაცების აზრი სასოფლო შკოლაზედ“) გამოქვეყნდა 1870 წელს გაზეთი „დროების“ პირველ ნომერში. შემდეგში იგი თანამშრომლობდა მისი დროის თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში.

1911 წლის 1 მაისს, თბილისის ქართული თეატრის დარბაზში ეკატერინე გაბაშვილის დაბადებიდან 60 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავი იუბილე გადაუხადეს.

ე. გაბაშვილის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებია: „სურათი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“, „მეურმის ფიქრები“, „თინას ლეკური“, „სოფლის მევახშენი“ და სხვ.

ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს სოფ. ახალქალაქში (კასპის რაიონი). მისი ნეშტი თბილისში გადაასვენეს და დაკრძალეს დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში[1].

---

[1] *თავზიშვილი გ., ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1963, გვ. 3-12*

## გოგებაშვილი იაკობ

*გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე* – ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს, გორის რაიონის სოფ. ვარიანში.

იაკობის მამა – სიმონი, ვარიანის მღვდელი იყო, დედა – მაგდანა, კალმახელიძის ქალი.

რვა წლის იაკობი გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. მაგრამ მან აქ მხოლოდ ერთი წელი ისწავლა, უფროსმა ძმამ ივანემ თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანა, რომელიც 1855 წელს დაასრულა და თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა. სემინარიის დამთავრების შემდეგ იაკობი 1861-1863 წლებში კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ტუბერკულოზით დაავადდა) მიატოვა და თბილისში დაბრუნდა.

ი. გოგებაშვილმა მუშაობა დაიწყო გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში.

1868 წელს ი. გოგებაშვილი სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად აირჩიეს, მაგრამ მასწავლებლობაც გააგრძელა და სულ მალე მოწინავე საზოგადოების პატივისცემას და მოსწავლეთა სიყვარული დაიმსახურა. სამაგიეროდ, უაღრესად დაიძაბა მისი ურთიერთობა სემინარიის ადმინისტრაციასთან, სინოდთან, კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობასთან და სხვა მოხელეებთან.

1874 წელს იაკობი სამსახურიდან გაათავისუფლეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ასეთი უსამართლობით აღშფოთებულმა იაკობმა, იმისათვის, რათა აღარ ჰქონებოდა სახელმწიფო სამსახურში შესვლის საშუალება, საკუთარი ხელით დაწვა აკადემიაში სწავლის მოწმობა, სემინარიის ატესტატი, ნამსახურობის სია და სხვა ოფიციალური დოკუმენტები.

1866 წლიდან იაკობი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“, დაუკავშირდა იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონს, სა-

დაც ჩამოყალიბდა აზრი წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა, რომლის ორგანიზაციას იგი შეუდგა 1876 წელს ნიკო ცხვედაძესთან ერთად. მათ ერთობლივად შეიმუშავეს წესდება, რომელიც მეფისნაცვალმა დაამტკიცა 1879 წელს.

უდიდესია ი. გოგებაშვილის ღვაწლი პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში. მის შრომებში განხილულია პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი სასკოლო სახელმძღვანელოები: *„ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“* (1865), *„ბუნების კარი“* (1868), *„დედა ენა“* (1876), *„რუსკოე სლოვო“* (1887).

ი. გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია.

ი. გოგებაშვილი მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, პოეტებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს. გარდაცვალების წინ მან მთელი თავისი ქონება *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“* გადასცა.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წელის 14 ივნისს. იგი ღირსეული პატივით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. 1940 წელს დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა უკვდავყო ი. გოგებაშვილის სახელი: დაწესდა მისი სახელობის მედალი, ფულადი პრემია საუკეთესო პედაგოგიური ნაშრომისა ან სახელმძღვანელოსთვის. მისი სახელი მიენიჭა რამდენიმე სასწავლო დაწესებულებას. ყოველი წლის ოქტომბერში ვარიანში ტარდება იაკობობის დღესასწაული, რომელიც სახალხო ზეიმად გადაიქცევა ხოლმე.

## გორგიჯანიძე ფარსადან

*ფარსადან გორგიჯანიძის* – ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ისტორიკოსის ბიოგრაფიის მთელი რიგი მომენტები ბუნდოვანია და ამდენად, იგი ვარაუდებზეა აგებული.

მისი ნამდვილი გვარია გორგიჯანაშვილი. მხოლოდ ფარსადანი მოიხსენიებდა თავის თავს გორგიჯანიძედ. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტურ წყაროებში მისი მამა თუ სხვა ნათესავები გორელ გორგიჯანაშვილებად იწოდებოდნენ. მაგრამ, რადგან თვით ფარსადანი თავის გვარად გორგიჯანიძეს იღებდა, ჩვენც ვალდებულნი ვართ იგი ასევე მოვიხსენიოთ. ფარსადანი თავის მიერ შედგენილ მხოლოდ ერთ დოკუმეტში (1647 წ.) პირდაპირ აცხადებს: *„მე ფარ-*

*სადან გორგიჯანაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ“*[1]. მას სრული საფუძველი ჰქონდა თავისი გვარის „შელამაზებისა“, რადგან ერთ დროს მის მამას ბრალი ედებოდა ღალატში[2].

ფარსადანი დაიბადა 1626 წელს გორში. იგი ქართლის მეფე როსტომის კარზე აღიზარდა, მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა და მისი დავალებით, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, რამდენჯერმე იმოგზაურია ირანში.

ქართლის მეფე როსტომი იმავე დროს ისპაანის მოურავადაც ითვლებოდა. მაგრამ, როდესაც იგი ქართლის გამგებლად დაინიშნა, ირანის დედაქალაქის მოურავობას ჯეროვნად ვერ შესძლებდა, ამიტომ მან ამ მოვალოების შესასრულებლად, თავის ნაცვლად, ფარსადანი გაგზავნა. შაჰმა მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ დართო ნება ფარსადანს თანამდებობა დაეკავებინა.

ფარსადან გორგიჯანიძე ორმოცი წლის განმავლობაში შაჰების სამსახურში იყო. არ ვიცი, ამ დროის მანძილზე მას რამდენჯერ მოუწია მშობლიურ ქალაქში მოსვლა. ერთხელ კი ნამდვილად იყო, 1657 ან 1658 წელს. მისი გორში მოსვლის მიზეზი იყო შემდეგი: როსტომ მეფე ღრმა მოხუცებული განაგებდა ქართლს. ერთხელ ისპაანში ხმა გავარდა, რომ *„როსტომ მეფე გორს მიიცვალაო“*. სინამდვილის დასადგენად შაჰ აბას II–მ ფარსადანი გამოგზავნა. ავადმყოფი როსტომი ფარსადანმა თბილისში ინახულა, მისგან გარკვეული დავალება მიიღო და ამის შემდეგ გორს ესტუმრა[3].

1666 წელს, როდესაც ფარსადანი 40 წლისა იყო, ის ქართველი მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის მოთხოვნით შაჰ აბას II-მ გადაასახლა შუსთერში[4] თავის უმცროს ძმა მელქისედეკთან ერთად, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, სადაც 1671 წლამდე გაატარა[5].

არა გვაქვს ფარსადანის გარდაცვალების საბოლოოდ დადგენილი თარიღი. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ იგი 1696 წელს გარდაიცვალა[6], ზოგს კი მიაჩნია, რომ 1719 წელს[1].

---

[1] *ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ბიოგრაფიისათვის // „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983, გვ. 195.*

[2] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 104*

[3] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 267-268.*

[4] *კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 16.*

[5] *Парсадан Горгиджанидзе, История Грузии / Перевод Р. К. Кикнадзе и В. С. Путуридзе. Исследование и указатели Р. К. Кикнадзе, Тб, 1990, с. 16; ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ბიოგრაფიისათვის, გვ. 201.*

[6] *Парсадан Горгиджанидзе, История Грузии, с. 22.*

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ფარსადანმა თავის უმთავრესი თხზულება – „საქართველოს ისტორია“ დაასრულა 1696 წელს. რ. კიკნაძეს კი მიაჩნია, რომ თხზულება დასრულებულია 1694 წლის პირველ ნახევარში[6]. „ისტორია“ იწყება საქართველოს გაქრისტიანებიდან და მოდის XVII საუკუნის მიწურულამდე. თხზულებაზე მუშაობისას ფარსადანი სარგებლობდა ქართული, სპარსული და სომხური წყაროებით. *„საქართველოს ისტორია“* მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ირანის, ოსმალეთის, სომხეთის და ზერბაიჯანის ისტორიისთვისაც.

გორგიჯანიძეს ეკუთვნის აგრეთვე *„ჯამი-აბასის“* (მუსლიმანთა სამართლის წიგნი) ქართული თარგმანები, რაც ქ. შუსტერში გადასახლების პერიოდში შეუსრულებია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ქართუ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, რომელიც 1941 წელს გამოსცა ვ. თოფურიძემ.

## თუმანიშვილი ავთანდილ

ავთანდილ ბირთველის ძე თუმანიშვილი – დაიბადა 1795 წელს სოფ. ხელთუბანში. მისი მამა ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის კარზე მდივნად მსახურობდა და თავისი დროისათვის კარგად განათლებული პიროვნება იყო. რუსული მმართებლობის დამყარების შემდეგ იგი ჯერ დუშეთში მოსამართლეობდა, ხოლო ბოლოს გორის მმართებლი იყო.

ავთანდილს მამამ კარგი განათლება მიაღებინა. იგი იმდენად კარგად დაეუფლა რუსულს, რომ 1812 წელს, 17 წლის ასაკში გორში თარჯიმნად მსახურობდა. იმავე დროს ავთანდილი რუსეთის ჯარის სამხედრო ოპერაციებშიც მონაწილეობდა.

1814 წელს ავთანდილი პეტერბურგს გაემგზავრა ბატონიშვილ დავითის თხოვნით (იგი სენატორი იყო) და მისი პირადი მდივანი გახდა. იმავე დროს ავთანდილი სენატის მოხელეც იყო.

---

[1] *ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ბიოგრაფიისათვის გვ. 203.*

[6] *Парсадан Горгиджанидзе , История Грузии*,с. 22.

1816 წელს ავთანდილი დააპატიმრეს და „კანონსაწინააღმდეგო მიმოწერისათვის“ გაასამართლეს. იგი ბობრუისკის ციხეში გარდაიცვალა, მაგრამ არაა ცნობილი როდის.

ავთანდილ თუმანიშვილი პირველია, ვინც გორის მოკლე აღწერა დაგვიტოვა. მისი ნაშრომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გორის ისტორიის შესასწავლად[1]. ამ ნაშრომის ავკარგიანობაზე თავის ადგილას ითქვა გორის ისტორიის პირველ წიგნში.

ავთანდილ თუმანიშვილი ავტორია აგრეთვე *„გაბაასების“*, რომელშიც გადმოცემულია პეტერბურგში გადასახლებული ქართველი არისტოკრატების ყოფა-ცხოვრება. ამ ნაწარმოებით ავტორი წარმოგვიდგება, როგორც ქართული რეალისტური დრამატურგიის წინამორბედი[2]. *„გაბაასება“* ისევე, როგორც მის მიერ რუსულიდან თარგმნილი *„ღეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა“* და ავტორია სატირული ლექსები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა.

## ზაალიშვილი მიხეილ

ზაალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე – გამოჩენილი პედაგოგი და მეცნიერი, დაიბადა 1865 წლის 22 ნოემბერს გორის მაზრის სოფ. იგოეთში. მან პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, 10 წლისა კი თბილისის სკოლაში მიაბარეს, სადაც საშუალო განათლება მიიღო. 1887 წელს მიხეილმა დაამთავრა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი (ამჟამინდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი) და 1889 წელს სწავლა განაგრძო ნოვო-ალექსანდრიის ინსტიტუტში. სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სპეციალობის დასაუფლებლად.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მ. ზაალიშვილი იყო „ქართული წიგნების ბეჭდვის ამხანაგობის“ წევრი. ის 1897-1902 წლებში

---

[1] *Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, СПБ, 1816. ამ წიგნაკის ავკარგიანობაზე უკვე ითქვა გორის ისტორიის I წიგნში.*

[2] *ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, გვ. 5.*

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ერევანში, 1902-1918 წლებში კი გორში.

1907 წლის 15 აგვისტოს აგრონომმა მ. ზაალიშვილმა გიმნაზიის მასწავლებლის წოდება მიიღო და 1910 წელს დაარსებულ გორის ვაჟთა პროგიმნაზიის ინსპექტორად დაინიშნა. მისი დიდი მონდომების შედეგად, 1915 წლის შემოდგომიდან, ეს სასწავლო დაწესებულება გიმნაზიად გადაკეთდა.

მ. ზაალიშვილი არის პირველი ქართული საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოების ავტორი: „საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება“ (1890), „საზოგადო მიწათმოქმედება“ (1891), „მეფუტკრეობა მოშენება და მოვლა ფუტკრისა“ (1897), „ბოტანიკა“, „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, „ზოოლოგია“ (1918), „პირველდაწყებითი გეოგრაფია“, „არითმეტიკა“ (1919).

მ. ზაალიშვილი გარდაიცვალა 1920 წლის 10 სექტემბერს. მადლიერმა საზოგადოებამ შესანიშნავი პედაგოგი და მეცნიერი დაკრძალა დიდუბის პანთეონში.

## კავსაძე ალექსანდრე

კავსაძე ალექსანდრე გრიგოლის ძე – ქართული ხალხური სიმღერების გამოჩენილი შემსრულებელი და პოპულარიზატორი, დაიბადა 1874 წელს სოფ. ხოვლეში (კასპის რაიონი), სასულიერო წოდების ოჯახში. ალექსანდრეს (სანდრო) წინაპრები ცნობილი მომღერლები იყვნენ. სანდროს მამა-გრიგოლი მოწინავე ადამიანი იყო. მისი თაოსნობით 1867 წელს ხოვლეში გლეხების შვილებისთვის სკოლა გახსნილა.

სანდრომ სიმღერისადმი მიდრეკილება სკოლაში შესვლამდე გამოამჟღავნა, მღეროდა ხალხურ სიმღერებს. მას სპეციალური მუსიკალური განათლება არ მიუღია.

სანდრო შეიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც სიმღერას ასწავლიდა ცნობილი პედაგოგი სიმონ გოგლიჩიძე. მან პატარა სანდროს სიმღერისადმი სიყვარული გაუძლიერა და თავის თანაშემწედ აიყვანა. სასულიერო სასწავლებლის II-IV კლასებში სწავლის დროს პირადადაც სასწავლებლის გუნდს უძღვებოდა, როგორც ლოტბარი და პირადადაც მღეროდა მასში. სანდრომ გოგლიჩიძისაგან ნოტები შეისწავლა, მრავალი ხალხური სიმღერა ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში სწავლისას ნოტებზე გადაიღო და თავის მასწავლებელს შეუთანხმა.

1894 წელს, გორის დაწყებით სკოლაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობის დროს, სანდრომ ქ. გორის მომღერალთა გუნდი დაარსა. ამ გუნდში მღეროდა მისი ძმის, ლონგინოზის შვილი, სასულიერო სემინარიის ყოფილი მოსწავლე, შემდეგში ცნობილი ლოტბარი, მიხეილ კავსაძე. სანდრო კავსაძის გუნდის მშვენება იყო სასიქადულო ივანე სარაჯიშვილი. გუნდთან ერთად გამოდიოდა ვანო სარაჯიშვილის, სანდრო კავსაძის და მიხეილ კავსაძის ტრიო და დუეტები.

1896 წელს სანდრო კავსაძე გორიდან თბილისში გადავიდა და მომღერალთა გუნდი დაარსა. მან გორიდან თან წაიყვანა რამდენიმე მომღერალი. გუნდმა მრავალი კონცერტი გამართა საქართველოს ქალაქებში და დამსახურებული სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა.

1911 წელს სანდრო კავსაძემ თავისი გუნდი მიხეილ კავსაძეს ჩააბარა, თვითონ კი მუშათა გუნდები ჩამოაყალიბა ტყიბულსა და ჭიათურაში. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სიმღერის გუნდები დასავლეთ საქართველოს მრავალ ქალაქში, ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას ქალაქებისა და დაბების გიმნაზიებსა და სკოლებში.

ჭიათურისა და ტყიბულის მომღერალთა გუნდებმა სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებები მოიპოვეს სხვადასხვა ოლიმპიადაზე. განსაკუთრებული იყო ქართული სიმღერის გუნდის წარმატება 1937 წლის ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში.

სანდრო კავსაძემ აღზარდა მრავალი ლოტბარი, მათ შორის ისეთი ცნობილნი, როგორიც იყვნენ: მ. კავსაძე, ვ. ხატელიშვილი, ს. გველესიანი და სხვ. ზესტაფონში მის გუნდში მღეროდა ცნობილი პეტრე ამირანაშვილი.

ს. კავსაძე ცნობილია, როგორც ქართული ხალხური სიმღერების, განსაკუთრებით „ურმულისა“ და „ოროველას“ უბადლო შემსრულებელი.

სანდრო კავსაძე გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში 1939 წლის 12 ივნისს. იგი დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

## *კალანდაძე არსენ*

კალანდაძე არსენ ივანეს ძე, ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1889. წელს „ნოვოე ობოზრენიე“ თავის მკითხველს აუწყებდა გორში კალანდაძის და ზარიძის სტამბის საზეიმო გახსნას. სწორედ ამ სტამბაში იბეჭდებოდა და ითარგ-

მნებოდა აკრძალული პოლიტიკური ლიტერატურა, რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო არსენ ივანეს ძე კალანდაძე, ხალხსნური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1876 წლის გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებით მეტეხის ციხეში იჯდა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ა. კალანდაძე გორში დასახლდა. მან გორში დაარსა წიგნის მაღაზია და იაფფასიანი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო ყმაწვილი იოსებ ჯუღაშვილი. მის სტამბაში დაიბეჭდა გორელი მწერალი ქალის ნატალია აზიანის პირველი პიესები[1].

## *კამინსკი ვლადიმერ*

ვლადიმერ გიორგის ძე კამინსკი – მოსკოვის მკვიდრი, ფილოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, მხატვრობისა და არქიტექტურის აკადემიის სწავლული მდივანი (1930-იან წლებში), ი.ბ. სტალინის თაყვანისმცემელი, დიდი ხნის განმავლობაში აგროვებდა მასალებს მის მშობლიურ ქალაქ – გორზე. მან მუზეუმის დირექტორის ს. ნადიმაშვილის თხოვნით მოპოვებული მასალა ჩამოიტანა და მუზეუმს გადასცა. ვ. კამინსკიმ 1962 წელს მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ხელოვნებათმცოდნე დავით არსენიშვილის ხელით (ეს არის მოსკოვში რუბლიოვის მუზეუმის დამაარსებელი) კიდევ დამატებითი მასალა გამოგზავნა. სამწუხაროდ, არ ვიცით, ვინ იყვნენ ამჯერად ჩვენთვის საინტერესო წერილების ავტორები.

კამინსკის არქივში დაცული მასალები დაწერილია სხვადასხვა ხელით ერთსა და იმავე ქაღალდზე. არ ჩანს, ვისი საშუალებით ან როგორ პირობებში მოიპოვებდა მისთვის სასურველ ცნობებს. ხელნაწერებზე კამინსკის მინაწერებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი 30-იან წლებში ორჯერ მაინც, 1937 და 1939 წლებში, იმყოფებოდა გორში. ერთგან, სადაც ლაპარაკია გორის ჰავასა და ბუნებრივ პირობებზე, ხაზგასმულია გორელების მიერ მდინარის გაუფილტრავი წყლის სასმელად გამოყენება. მინაწერში კამინსკი შენიშნავს: აი რატომ შემეყარა სიყვითლეო. ხოლო *„კონდიტრების“* და *„კინტოს“* ტექსტის დასასრულს კი ნათქვამია: *„შედგენილია ქ. გორში 1939 წ. აგვისტოში. ვ. კამინსკი“.*

---

[1] *აბუაშვილი ლ., გორის წარსულიდან, „გამარჯვება“, 1971, №190.*

## კამო

*კამო (სიმონ არშაკის ძე ტერ-კარაპეტიანი)* – დაიბადა გორში, ვაჭრის ოჯახში, 1882 წლის 27 მაისს. მან აქვე გაატარა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები. 1901 წელს კამო თბილისში გადავიდა, სადაც გაეცნო რევოლუციონერ-მარქსისტებს და არალეგალურ პარტიულ მუშაობაში ჩაება. ამავე დროიდან იგი პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას ამიერკავკასიის ქალაქებში და, მათ შორის, გორში.

კამო აქტიურად მონაწილეობდა თბილისის კომიტეტის მიერ 1901-1903 წლებში მოწყობილ მუშათა დემონსტრაციებსა და გაფიცვებში, იყო არალეგალური სტამბების მოწყობის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1903 წლის დამლევს კამო არალეგალური ლიტერატურის გადატანისას ბათუმში დააპატიმრეს, მაგრამ 9 თვის შემდეგ ციხიდან გაიქცა და თბილისში იმალებოდა. მან 1904 წლის დეკემბერში სოლოლაკში მოაწყო არალეგალური სტამბა. 1905 წელს მონაწილეობდა მუშათა რაზმების ჩამოყალიბებაში. 1905 წლის 18 დეკემბერს თბილისში, ხუდადოვის ტყის მახლობლად კაზაკებთან შეტაკებისას კამო დაიჭრა და დააპატიმრეს, მაგრამ მან ჟანდარმები დაარწმუნა, რომ შეცდომით იქნა დაპატიმრებული და გაათავისუფლეს.

1906 წლის მარტში კამო პეტერბურგს გაეგზავრა, იქიდან ფინეთს გადავიდა და ლენინს გაეცნო. ლენინის დავალებით იგი საზღვარგარეთ იარაღის შემოსატანად გაემგზავრა.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევნის მოედანზე, კამოს ხელმძღვანელობით მოეწყო თავდასხმა სახელმწიფო ხაზინის ტრანსპორტზე და 250 ათასი მანეთი გაიტაცეს. გამო გერმანიაში გაიქცა. იგი ბერლინში დააპატიმრეს და მოაბიტის ციხეში ჩასვეს, სადაც თავს სულით ავაადმყოფობის სიმულიაციას ახდენდა. 1909 წელს გერმანიის მთავრობამ კამო რუსეთის პოლიციის გადასცა. კამო თბილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს. იგი აქაც განაგრძობდა სულით

ავადმყოფობის სიმულაციას. 1911 წლის 15 აგვისტოს კამომ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დახმარებით საავადმყოფოდან გაქცევა შეძლო და საზღვარგარეთ (პარიზში) წავიდა.

1912 წლის 6 ივნისს კამო არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში და თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან შექმნა სამხედრო-ტექნიკური ჯგუფი, რომელიც იმავე წლის 24 სექტემბერს კოჯრის გზაზე თავს დაესხა სახელმწიფო ხაზინის ტრანსპორტს.

1913 წლის 10 იანვარს კამო დააპატიმრეს. სამხედრო სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც ამნისტიით 20 წლის პატიმრობით შეუცვალეს. იგი 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მარტში გაათავისუფლეს.

1919 წელს კამო ხელმძღვანელობდა სპეციალურ დამკვრელ ჯგუფს.

1920 წლის იანვარში კამო თბილისში დააპატიმრეს და ქალაქიდან გაასახლეს. იგი ბაქოში ჩავიდა და მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. იმავე წლის მაისიდან კამოს სწავლობდა მოსკოვის სამხედრო აკადემიაში, 1921 წლიდან მუშაობდა რსფსრ-ს საგარეო ვაჭრობის კომისარიატში, იმავე წლის 8 მაისს დაინიშნა ამიერკავკასიის საბაჟო სამმართველოს უფროსად.

1922 წლის 15 ივნისს კამო დაიღუპა – ველოსიპედით მიმავალი ავტომობილს შეეჯახა. იგი დაკრძალეს თბილისში, პუშკინის ბაღში[1].

## კასტელი კრისტოფორო

დონ კრისტოფორო დე კასტელი (1597-1659) დაიბადა გენუაში, აღიზარდა პალერმოში. საქართველოში ჩამოვიდა, როგორც მისიონერი. მან ორი წელი (1632-1634) დაჰყო გორში, 5 წელი გურიაში  და 15 წელი სამეგრელოში. კასტელი საქართველოში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა: ხატავდა სურათებს (მის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატიდან შემოგვცქერის მისი თანა-

[1] *იმნაიშვილი რ., კამო, ბიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1955; თ. გაჩეჩილაძე, კაცი-ლეგენდა // გაზ. „გამარჯვება“, 1972, №73.*

მედროვე მრავალი ქართველი საერო და სასულირო მოღვაწე, ცნობილი და უცნობი ქალბატონები, დასახლებული ადგილების ხედები და სხვ.) აფორმებდა ეკლესიის კედლებს, ავადმყოფებს კურნავდა, რომში აგზავნიდა დაწვრილებით ინფორმაციას ქართველი ხალხის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე. მის ნამოღვაწარს, საუკუნეების შემდგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად[1].

როსტომ მეფე 12 ივლისამდე გორში დარჩა. მის მიერ გატარებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის, ერთ-ერთი გორის ციხის აღდგენა იყო. მშენებლობას როსტომ-ხან სააკაძე ხელმძღვანელობდა. ციხის მშენებლობა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ როსტომ-ხანმა პატრი ჯაკომო და ცნობილი დონ კრისტოფორო კასტელი გამოიძახა და ციხის სურათის დახატვა მოსთხოვა. დაკვეთა კასტელმა შეასრულა. როსტომ-ხანს ძლიერ მოეწონა ნახატი და მეორე დღესვე ირანის შაჰს გაუგზავნა[2]. კასტელმა ქალაქის გეგმაც შეადგინა და რომში გაგზავნა[3]. XVII ს. პირველი ნახევრის გორის და მისი აღდგენილი ციხის სურათი დაგვიტოვა იტალიელმა მისიონერმა კრისტოფორო დე კასტელიმ. მის ნახატზე მოცემულია პატარა ქალაქური ტიპის დასახლება და კლდოვან ბორცვზე აღმართული უზარმაზარი ციხე სამხრეთიდან, ე.ი. ქალაქის მხრიდან.

რადგან როსტომ მეფემ კასტელს ციხის დახატვა დაავალა, მან სურათზე მხოლოდ ქალაქის ის ნაწილი დაიტანა, რომელიც უშუალოდ ციხეს ეკვროდა და იქვე გვიჩვენა ქალაქის ზოგიერთი ღირსშესანიშნაობა: *„ნახატზე ნათლად ჩანს სამი ძირითადი, ერთმანეთის პარალელური ხაზი, რომლებზეც განლაგებულია მწვანეში ჩაფლული სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები, ეკლესიები, საფიქრებელია, ქარვასლაც, რადგან მის გვერდით შორეული ქვეყნებიდან მოსული მგზავრები არიან დაბანაკებულნი. ნაგებობათა ერთ კომპლექსს გალავანიც კი აქვს შემოვლებული. ფერდობის ძირში, მარჯვენა წინა პლანზე, ამხედრებული შუბოსნებია გამოსახული, მათგან მარჯვნივ კი მოზრდილი შენობაა – ჯარის სადგომად განკუთვნილი. ფერდობზე სახედარი მიიზლაზნება, ალბათ წყალი მიაქვს მოსახლეობისათვის; მას მამაკაცი*

---

[1] ლიჩინი პატრიცია ანა, ქრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბ., 2009

[2] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 56.*

[3] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 125.*

*მისდევს ხელში სახრით. ციხიდან ცოტა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით ორსართულიანი შენობა დგას, რომელსაც ქონგურებიანი გალავანი და თაღიანი შესასვლელი აქვს. ციხე-ქალაქს ორივე მხრიდან წყალი ჩამოუდის“*[1].

მშენებლობა დასრულდა 1633 წლის აგვისტოში. ავიტაბილე იქვე იძლევა ერთ უაღრესად საინტერესო ცნობას: *„გენერალი, რომელსაც ქართველები სარდალს უწოდებენ, ხედავდა, რომ გორის სიმაგრის აშენება დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, მოისურვა ამ სიმაგრის ნახატი (გეგმა) სპარსეთის ხელმწიფისათვის გაეგზავნა. მან კარგად იცოდა, რომ ჩვენს სახლში შეეძლოთ დახატვა, ამიტომ გამოგვიძახა. წავიდნენ პატრი ჯაკომო და დონ კრისტოფორო (კასტელი – ე.მ.). (გენერალმა) ესენი დიდი სიყვარულით მიიღო და სთხოვა, რომ აღნიშნული ნახატი შეესრულებინათ... პატრმა დონ კრისტოფორომ (ციხის გეგმა) ძალიან კარგად დახატა და წაუღო გენერალს. მან ისეთი სიხარულით მიიღო, რომ ვერ აგიწერთ. გენერალმა მეორე დღეს იგი თავის ბატონს – სპარსეთის შაჰს – გაუგზავნა“*[2].

კრისტოფორო კასტელის მიერ 1642 წ. 20 მარტს სამეგრელოდან რომში გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მას შაჰისათვის სხვა სურათებიც დაუხატია. ის არ ასახელებს, კერძოდ რა დახატა, გამოყოფს მხოლოდ ერთს, გორის გეგმას. როსტომ მეფეს, ჯარის სარდალს როსტომ სააკაძეს და სპარსელ დიდებულებს გეგმა ისე მოსწონებიათ, რომ მათ კრისტოფოროს ირანში წასვლა და შაჰის კარზე სამსახური შესთავაზეს. მაგრამ კრისტოფორომ ავადმყოფობის მიზეზით უარყო ეს წინადადება

კასტელის კარგად ცნობილი გორისციხის ნახატზე არის მისივე ხელით იტალიურად მინაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ ნახატის ერთ-ერთი სცენა იმ მომენტს ასახავს, პატრებმა ყიზილბაშთა სარდალს, ე.ი. როსტომ სააკაძეს გორისციხის გეგმა რომ მიართვეს.

ავიტაბილემ მოათავა რა თავისი საქმეები რომში, იტალიის თეატინელთა მონასტრებში შეკრიბა მისიონერთ აჯგუფი და საქართველოში წამოიყვანა. ეს მისიონერები იყვნენ: ვინჩენცო კარიფა, დონ კრისტოფორე დე კასტელი, ანტონიო ჯარდანა, ჯუსტო პრატო, გაეტანო კორლიტო, მატეო ფლორინო, სერაფინო ფილენჯიერი და იერონიმე კარაფა. 1632 წ. 10 ივლისს ისინი გორში მოვიდ-

---

[1] *ხუციშვილი მ., გორის ქუჩები // „ლიახვი“, გორი, 1976, გვ. 83*

[2] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 27, 56.*

ნენ[1]. გორში იმდენად ბევრმა მისიონერმა მოიყარა თავი (15 თეატინელი და 2 ავგუსტინელი), რომ რომში განიზრახეს შეექმნათ მისიონერთა კონვენტი, რომელსაც მორიგეობით უხელმძღვანელებდნენ თეატინელი დონ პიეტრო ავიტაბილე და ავგუსტინელი ამბროზიო დუშ ანჟუში[2].

მარიამს მრავალი დიდებული ახლდა ოდიშიდან და გურიიდან. ამ უკანასკნელებმაც სთხოვეს ავიტაბილეს მისიონერები გაეგზავნა გურიაში. ასე აღმოჩნდნენ გურიაში 1634 წ. კრისტოფორო კასტელი, ანდრია ჯარდინა და მორჩილი ძმა კლაუდიო.

## ლომოური ნიკო

ლომოური ნიკო იოსების ძე დაიბადა სოფ. არბოში 1852 წლის 19 თებერვალს, მღვდლის ოჯახში. 1860 წელს ნიკო მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1875 წლიდან სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1879 წელს დაამთავრა. მან მცირე ხანს თბილისის ქართულ გიმნაზიაში იმუშავა, 1883 წლიდან კი გორში დასახლდა და ასწავლიდა გორის სამასწავლებლო გიმნაზიაში და ქალთა პროგიმნაზიაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც იგი ქართულ ენას ასწავლიდა და ამ საგნის სწავლება მაღალ დონეზე აიყვანა. იგი, შესანიშნავი პედაგოგი, მოსწავლეებს ხიბლავდა თავისი ერუდიციით და გულისხმიერებით, რაც იმ დროის სკოლებში საკმაოდ იშვიათობა იყო.

ნიკო ლომოურის პირველი ლექსები 1871 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა. 1885 წელს მისი ლექსები და მოთხრობები ცალკე წიგნად გამოიცა.

ნიკო ლომოური 1915 წლის აპრილში გორში გარდაიცვალა. მისი დასაფლავების დღეს საყვარელი მასწავლებლის ცხედარს

---

[1] *იქვე, გვ. 117.*

[2] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 181.*

მოწაფეები იასამნის ტოტებს უფენდნენ უკანასკნელ გზაზე. იგი დაკრძალეს გორში. „ახალ ბაღში“ დღესაც არის მისი საფლავი.

ნიკო ლომოურის შემოქმედება განმსჭვალულია მშრომელი გლეხებისადმი სიყვარულით. იგი თავის ნაწარმოებებში ხალხოსნურ იდეებს ატარებდა[12].

## მგალობლიშვილი სოფრომ

მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე დაიბადა 1851 წლის 20 ივლისს ზემო ქართლის სოფ. დირბში. დედამისი მარიამი ბიბილურის ასული იყო, ხოლო მამა-ზაქარია თბილისის სემინარიის კურსდამთავრებული, ჯერ მასწავლებლობდა, შემდეგ თავისივე სოფლის მღვდელი გახდა.

1860 წელს სოფრომი გორში ჩამოიყვანეს და სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1867 წელს მან სასწავლებელი დაასრულა და თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, რომელიც 1873 წელს დაასრულა, გორში დაბრუნდა და სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობა დაიწყო. ის ქართულ და რუსულ ენებს ასწავლიდა. ქართული ენა მაშინ სავალდებულო ენად არ ითვლებოდა, მაგრამ სოფრომმა უხელფასოდ იკისრა მისი სწავლება და ისე მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა ამ საგანს, რომ იგი შემდეგში სავალდებულოდ გამოცხადდა.

ს. მგალობლიშვილის დაბრუნების დროს (1873 წ.) გორში უკვე დაწყებული იყო ხალხოსნური მოძრაობა. სოფრომი ორჯერ (1876 და 1878 წლებში) დააპატიმრეს რევოლუციური მოღვაწეობისათვის.

1881-1883 წლებში ს. მგალობლიშვილი ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელი გახდა.

1893 წელს პოლიციის მუდმივი ზედამხედველობით შეწუხებული სოფრომი იძულებული გახდა გორი მიეტოვებინა და ფოთში გადასულიყო გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამმართველოში მდივნად სამუშაოდ. 1897 წელს იგი თბილისში სინოდალური კანტორის მდივნად გადმოიყვანეს, 1910 წელს, როგორც არასაიმედო პიროვნება, სამსახურიდან გაათავისუფლეს, რის გამო დიდ ეკონომიურ

---

[1] *ლომოური ნ., მოთხრობები / ს. ხუციშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და რედაქციით, თბ., 1951, გვ. VI-IX.*

გაჭირვებაში ჩავარდა. სოფრომს დახმარების ხელი იაკობ გოგებაშვილმა გაუწოდა.

ს. მგალობლიშვილი გარდაიცვალა 1925 წლის 30 ნოემბერს. იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ს. მგალობლიშვილის სამწერლო შემოქმედება სემინარიაში სწავლის პერიოდიდან დაიწყო. მან სემინარიის ხელნაწერ ჟურნალ *„შრომაში“* გამოაქვეყნა შილერის *„ორლეანელი ქალიშვილის“* პირველი მოქმედების თარგმანი და საკუთარი მოთხრობა *„რა მიზეზია“.*

1898-1900 წლებში ჟურნალ *„მოამბეში“* გამოქვეყნდა მისი ვრცელი მემუარულ-ავტობიოგრაფიული მოთხრობა *„წარსულიდან“,* 1904-1905 წლებში ჟურნალ *„ნაკადულში“* - საბავშვო მოთხრობები *„სიყმაწვილის მოგონებანი“,* 1905 წელს – *„ჯორ-ზაქარა“„პირველი სისხლი“„და შეჰფიცეს“, „საფლავში ჩამომძახე“* და სხვ. მხატვრულ და მემუარულ ნაწარმოებების გარდა სოფრომ მგალობლიშვილს ეკუთვნის აგრეთვე პუბლიცისტურ-ლიტერატურული წერილები და ნარკვევები[1].

## მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი



*მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი კონსტანტინეს ძე დაიბადა* 1815 წელს გორში. აქვე აღიზარდა იგი. მისი წინაპრები ხიდისთავიდან იყვნენ. მას სახლი და მამული ხიდისთავში ჰქონდა, მაგრამ ძირითადად გორში ცხოვრობდა.

მარი ბროსე, საქართველოში მოგზაურობისას, 1848 წლის 30 მარტს დ. მეღვინეთუცუხესიშვილს ეწვია სოფ. ხიდისთავში, სადაც ქართველმა ინტელიგენტებმა მშვენიერი შეხვედრა მოუწყეს და ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა და მარი ბროსემ სიტყვები წარმოთქვეს. ამ შეხვედრის შესახებ, მოგვიანებით (1860 წ.) მასპინძელმა *„ცისკარში“* გამოაქვეყნა[2].

---

[1] ს. მგალობლიშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ იხ. *მგალობლიშვილი ს., გ. თავზიშვილის შესავალი წერილი. თბ., 1951.*

[2] *მეღვინეთუხუცესი დიმ., სადილი გორის უეზდის კეთილშობილი საზოგადოთა // „ცისკარი“, 1860, №4, გვ. 282-285.*

მ. ბროსემ დ. მეღვინეთუხუცესიშვილი საქართველოს ისტორიის მასალების შეკრებით დაინტერესა და მასთან ერთად იმოგზაურა კიდეც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. კერძოდ, მათ ერთად მოინახულეს გორის მიდამოები – რუისი, ურბნისი, ატენი, გორიჯვარი, ბნავისი და სხვა სოფლები. გორში ციხის კართან მ. ბროსეს უნახავს ნახევრად მიწაში ჩაფლული ზარბაზანი და ამოუკითხავს მისი წარწერა[1].

მ. ბროსეს საქართველოდან წასვლის შემდეგაც დ. მეღვინეთუხუცესიშვილი აგრძელებდა მასალების მოძიებას და ყველაფერი შემდეგში მას პეტერბურგში გადაუგზავნა.

დ. მეღვინეთუხუცესიშვილი 1851 წელს მონაწილეობდა ქართული თეატრის აღდგენაში და თვითონაც წერდა პიესებს. მან 1852 წელს მთავარმართებელ ვორონცოვის დავალებით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები უფლისციხეში.

მისი პიესებიდან აღსანიშნავია *„გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთა“, „კატა აწონა“, „ანჩხლი ცოლი“, „ექიმბაში“, „უბედური მოარშიყე“* და უთარგმნია პიესა *„მამის წყევლა“.*

დ. მეღვინეთუხუცესიშვილი გარდაიცვალა 1878 წლის 6 დეკემბრს და დაკრძალეს სოფ. ხიდისთავში.

## მღვიმელი შიო

მღვიმელი შიო (შიო ილარიონის ძე ქუჩუკაშვილი) დაიბადა 1866 წელს ბრეთში (ქარელის რაიონი). მისი მამა ილარიონი სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. შიოს დაბადებიდან რამდენიმე ხნის

---

[1] *ქრონიკები, III, გვ. 317, 322; ალიმბარაშვილი ი., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები” // ინტერდისციპლინარული არქეოლოგია, II, თბ., 2013, გვ. 118-129; მისივე, დიმიტრი ბაქრაძისა და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა // II საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართული ხელნაწერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013, გვ. 116-117; მისივე, ქართული არქეოლოგიის სათავეებთან (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი), // გორის სსპ უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 5, თბ., 2014; გვ. 384-394;* Из взаимоотношений Мари Броссе и Димитри Мегвинетхуцесишвили// „Писменные памятник и Востока“ // Институт восточных рукописей Росийский Академии наук, № 20, Москва 2014, с. 224-229.

შემდეგ ილარიონი სოფ. ვარიანში მღვდლად გადაიყვანეს და მთელი ოჯახიც იქ გადავიდა.

შვიდი წლის შიო თავისმა უფროსმა ძმამ, სოფლის მასწავლებელმა გიორგიმ, შილდაში (ყვარლის რაიონი) წაიყვანა. ის შემდეგში გორში დაბრუნდა და აქვე სწავლობდა კიდეც. მისი მასწავლებლები იყვნენ ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი. შიოსათვის ფსევდონიმი „მღვიმელი“ ნიკო ლომოურს დაურქმევია.

გორში სწავლის დროს დაიწყო შიომ ლექსების წერა. იგი სწავლის პერიოდში დაუახლოვდა ვაჟა-ფშაველას, რომელიც ხუთი წლით უფროსი იყო შიოზე და სერიოზული გავლენა მოახდინა მის იდეურ-მხატვრულ მიმართულებაზე.

1883-1884 წლებში მეფის მთავრობამ დაარბია ხალხოსნების ორგანიზაციები და ყველა, ცოტა თუ ბევრად ცნობილი ხალხოსნები დააპატიმრა. ვინც გადარჩა, თბილისს შეაფარა თავი. შიო სასწავლებლიდან გარიცხეს, მაგრამ მან დიდი გაჭირვებით შეძლო თავი აღედგინა გორის ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1887 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ ის თბილისში გადავიდა და შიო დავითაშვილისა და ლადო აღნიაშვილის დახმარებით მოეწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც 1909 წლამდე მუშაობდა. ამდროიდან კი ის მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში კორექტორად.

1925 წელს მოეწყო შიო მღვიმელის სალიტერატურო მოღვაწობის 40 წლის იუბილე. მას დამსახურებული მწერლის წოდება მიანიჭეს და პენსია დაუნიშნეს.

შიო მღვიმელი იაკობ გოგებაშვილთან ერთად ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მისი ლექსები ხასიათდება სადა და სხარტული ენით. იგი მისდევდა ილიას და აკაკის მიერ დამკვიდრებულ ახალი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს.

შიო მღვიმელი გარდაიცვალა 1933 წელს. იგი დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში[1].

***როსტომ მეფე***

[1] კაჭახიძე ბ., შიო მღვიმელის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1939

თეიმურაზის მოქმედებით განრისხებულმა შაჰ სეფიმ ქართლის სამეფო როსტომს (ხოსრო-მირზა, ანუ ქაიხოსრო ბატონიშვილი) გადასცა.

XVII ს. გორის ისტორიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტები დაკავშირებულია როსტომ მეფის სახელთან. ამიტომ მოკლედ მაინც უნდა ითქვას მისი პიროვნების შესახებ.

როსტომი სვიმონ I-ის ძმის დავითის (დაუდ-ხანი) უკანონო ვაჟი იყო. იგი დაიბადა 1565 წ. ისპაანში, აღზრდა-განათლება ირანში მიიღო, მაგრამ ქართული ენა კარგად იცოდა.

დაუდ ხანის საქათველოში დაბრუნების შემდეგ ხოსრო მირზა დედასთან ერთად ირანში დარჩა. „ხოლო ოდეს წარმოგზავნა ყაენმან დაუთ ხან საქართველოში, მუნნ დაშთა ყრმა იგი მცირე ხოსრო-მირზა და დედა მისი. და იყო ობლად ესე ხოსრო-მირზა და არავინ იყო მწედ მისა, თჳნიერ დედისა მისისა და შექმნილიყვნენ ორნივე დედა-შვილნი სჯულითა მაჰმადიანნი“[1].

ხოსრო-მირზას დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა გიორგი სააკაძემ ირანში მოღვაწეობის დროს.

ქართლში გამეფებისას როსტომი 70 წელს მიღწეული მოხუცი იყო. შაჰმა როსტომს მეფედ დამტკიცებისას „ვალის“ ტიტული მიანიჭა, რაც ნიშნავდა, რომ ის მეფე და იმავე დროს იყო ირანის **შაჰის მოხელე და შაჰის „ძმადაც“ იწოდებოდა.**

როსტომი მალე შაჰის კარზე დაწინაურდა. იგი ჯერ შაჰის გვარდიის – ყულის ჯარის – სარდალი გახდა, შემდეგ ისპაანის მოურაობაც მას ჩააბარეს. შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ის კიდევ უფრო აღზევდა. მისი *„ცდით შაჰ სეფი ყაენი გახემწიფდა... ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“* – ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე[2]. ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით როსტომი *„იყო საქმით ხუანჯიანი სოფლის, ფრიად ჭკუიანი, მორჭმულ-მდიდარი; რამეთუ აქუანდა ყულარაღასობა ყეენისა, მოურაობა, ისპაანისა და ნიჭვიდა ყეენი ურიცხუსა, და უხმობდა მამად“*[3].

როსტომს შაჰის კარზე მრავალი მომხრე და მოწინააღმდეგ ჰყავდა გამაჰმადიანებული ქართველების სახით. მის მოწინააღმდე-

---

[1] *ქარტლის ცხოვრება, II, გვ. 404.*
[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 239.*
[3] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 312-313.*

გეებს ზემოხსენებული დაუდ-ხანი უნდილაძე მეთაურობდა. დაუდ-ხანს ზურგს უმაგრებდა ირანში აღზევებული უნდილაძეთა გვარი, თეიმურაზ I-ის და ელენე მისი ცოლი იყო. როსტომმა დაუდ-ხანის ჩამოშორება შეძლო, შაჰს იგი მეჯლისიდან გააგდებინა[1]. როცა დაუდ-ხანი შაჰს განუდგა და თეიმურაზ I-ს მიემხრო, შაჰის ბრძანებით უნდილაძეები ამოწყვიტეს. ამის შემდეგ როსტომს ქართლის ტახტის დაკავება აღარ გაუძნელდა. როცა ის საქართველოში მოვიდა უკვე 67 წლისა იყო[2].

ავიტაბილემ ასე დაახასიათა როსტომი. შაჰს სურდა, *„რომ თეიმურაზისათვის საქართველო ჩამოერთმია და მის მაგიერ დაენიშნა თავისი მაჰმადიანი უერთგულესი ქართველი მეგობარი, ან კიდევ, როგორც სხვები ამბობენ, მაჰმადიანის შვილი, რომლის სახელია როსტომ-ხანი, მეორე სახელით ხოსრო-მირზა, რომლისაგანაც ირანის ხელმწიფე ძალიან დავალიანებული იყო. იგი მოხუცი შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ ქართული გვარდიის მეთაური გახდა და მთელ ირანში უძლიერესი შეიქმნა. ეს შაჰი (სეფი – ე.მ.) მან დასვა ირანის სამეფო ტახტზე, თუმცა ზოგიერთი წინააღმდეგობა შეხვდა სპარსელებისაგან, რომელთაც სხვა შაჰის დასმა უნდოდათ... როსტომი იმ მეუფეთა შტოს ეკუთვნოდა, რომლებიც ქართლის მბრძანებლები იყვნენ, როსტომ-ხანს სამართლიანობა უძღვის წინ. მას სამართლის საქმეში თხუთმეტი წელი უმსახურია სამეფო ქალაქ ისპაანში. იგი მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს“*[3]. საინტერესოა, რომ როსტომის ეს დახასიათება დაწერილია გორში და აქედანვეა გაგზავნილი რომში.

როსტომმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გორის, როგორც ქალაქის გამშვენერების საქმეში. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: *„აქა... მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდითა, დიდი ავაზანი წყლიანნი დიდ-დიდნი, შუენიერნი“*[4].

ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, „თუმც როსტომი თავისი აღზრდითა და ზნე-ჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც ირანის ყურმოჭრილი ყმა იყო და მისი პოლიტიკის ერთგული განმახორციელებელი, მაგრამ ქართლში მოსვლისთანავე, მასში ხელმწიფის, ბატონ-პატრონის საღმა გრძნ-

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238.*

[2] *ცნობები როსტომ მეფის ბიოგრაფიის შესახებ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 312-313.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), გვ. 46, 57.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 367.*

ობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვას შეუდგა“[1].

განსაკუთრებით აღნიშვნას მოითხოვს როსტომ მეფის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე, მისი დამოკიდებულება მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი. ქართლის მეფედ გახდომის შემდეგ მან იქორწინა ორჯერ. პირველად შეირთო გორჯასპი აბაშიშვილის ასული ქეთევანი და ვახუშტის მიხედვით იქორწინა „ქრისტიანულ-მაჰმადიანურად“[2]. ქეთევანი მალე გარდაიცვალა. როსტომმა მეორე ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის და მარიამი. ქორწილი გორში გაიმართა. ძალიან საინტერესო ცნობა დაგვიტოვა გორის კათოლიკური მისიის ხელმძღვანელმა, ამბის მხილველმა პატრმა დონ პიეტრო ავიტაბილემ. დედოფლის თხოვნით, ქორწილის წინ როსტომი მონათლულა ქრისტიანული წესით. ავიტაბილე გადმოგვცემს: „როსტომს ეკლესიაში თავი დაბანეს ქრისტიანული ცერემონიალის შესასრულებლად“[3].

როსტომ მეფე რომ გონიერი მმართველი იყო იქიდანაც გამოჩნდა, რომ როდესაც ის საქართველოში მოვიდა, მაშინაც და მთელი მეფობის დროსაც სერიოზულ წინააღმდეგობებს ხვდებოდა, *„მან ქართველობას შურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. ის იმავე დროს არც ირანის შაჰს აღიზიანებდა. როსტომი, როგორც ირანის შაჰის ვასალი, მისი მოხელე – ვალი თავისთავად, ქართლში მისი სიუზერენის ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ყველფერი, რაც რელიგიურ შემწყნარებლობასთან და ზოგადად ეროვნულთან, ქართულთან იყო დაკავშირებული მოზომილად და ტაქტით კეთდებოდა*“[4].

ქრისტიანობის მიმართ როსტომის პოზიტიური დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა დანგრეული მართლმადიდებლური ეკლესიების აღდგენის დროს, რასაც ის მეფობის დროს სისტემატურად აკეთებდა მარიამ დედოფალთან ერთად, მამულებით აჯილდოებდა ეკლესია მონასტრებს, და იცავდა მათ ინტერსებს. ამის დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი არის მოღწეული. მარიამ დედოფალმა ააგო გორში მთავარანგელოზის ეკლესია, სწორედ იმ ადგილზე სადაც შენდება მთავარანგელოზთა ტაძარი და სხვ.[1]

---

[1] [1] *ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 370.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 439.*

[3] *დონ პიეტრო ავიტაბილეს ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), გვ. 38.*

[4] *გაბაშვილი ს., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 317.*

[1] *როსტომ მეფის შესახებ იხ. აგრეთვე, გორის ისტორია, I, გვ. 99-111, 249-253, 340-343, 374-376.*

## როსტომ-ხან სააკაძე

სავარაუდოა, როსტომის წინაპრები წარმოშობით გორიდან იყვნენ. მისი მამა ბეჟანი, რომელსაც ბეჟან-ბეგის სახელით იცნობდნენ, იმავე დროს, მისთვის დამახასიათებელი სიმამაცის გამო ყარა ბეჟანსაც ეძახდნენ. ის სამეფო აზნაური იყო. XVII ს. 70-იანი წლების დასასრულიდან, ოსმალების საქართველოში შემოიჭრის შემდეგ დაწყებულ არეულობას ბეჟანმა, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად  თავი გაარიდა და ირანში წავიდა. შაჰ აბასმა ის კარგად მიიღო და სასახლის მცველად  (ქეშიკად) დანიშნა.

ცნობილია, რომ ბეჟანი შაჰმა საქართველოში გამოისტუმრა, მაგრამ არ ვიცით როდის. მან გორის სანახებში, მდ. მტკვრის პირას საცხოვრებელი დარბაზი ააგო, სადაც მტრები დაესხნენ და მოკლეს. როგორც ჩანს, ბეჟანის ოჯახს საქართველოში არ დაედგომებოდა. როსტომი თავის ორ ძმასთან და დედასთან ერთად ირანში დაბრუნდა.

ბეჟანს საქართველოში 1587-1588 წელს შეეძინა როსტომი. 10-12 წლის როსტომმა შაჰის სასახლეში დაიწყო სამსახური. იგი სწრაფად ადის სამსახურებრივი იერარქიის კიბეზე. 1626/27 წელს ის მდივნის თოფაქჩიაღასის, ხოლო 1634/35 წელს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი და უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი – იარანის სპასალარი გახდა.

როსტომ-ხან სააკაძე შესანიშნავი სარდალი იყო. მისი სარდლობით ირანის სახელმწიფომ ექვს ომში მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება. მისი ერთ-ერთი გამარჯვება დაუდ-ხან უნდილაძის დამარცხება და როსტომ-ხანის ქართლში გამეფება იყო[1].

1633 წელს, როდესაც როსტომ მეფე საქართველოში ყიზილბაშთა ჯარით შემოვიდა, როსტომ-ხანმა მამისეული ნასახლარი მოინახულა, ერთი კვირა დარჩა და იქაურ მოსახლეობას მრავალი წყალობა უყო. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქვემო ქართლის უმსხვილეს თავადთან ქაიხოსრო ბარათაშვილთან: *„ქაიხოსრო ბარათაშვილი მოყურობდა როსტომ სპასალარსა და უვლინებდა როსტომ საგანძურსა მრავალსა“*[2]. როსტომ-ხანის ხელმძღვანელობით 30-40 დღეში აღადგინეს გორის ციხე[3].

---

[1] *ფუთურიძე ვლ., ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე //კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. გვ. 291-293; კაციტაძე დ., ქართველები XVII საუკუნის ირანში, გვ. 136-137.*

[2] *ქართლის ცხოვრება, IV, გ. 435*

[3] *იხ, აქვე გვ. 141, 149-152, 155, 186, 191, 204, 301).*

მიუხედავად დიდი დამსახურებისა, როსტომ-ხან სააკაძეს ღალატში დასდეს ბრალი და 1642 წელს სიკვდილით დასაჯეს ქ. მეშხედში.

## დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი

1878 წლის ზაფხულში გორის სემინარიის დირექტორად დაინიშნა ყუბანის სემინარიდან გადმოყვანილი დ. სემიონოვი, თავისი დროის პროგრესული მოღვაწე, უდიდესი ადამიანური და პედაგოგიური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის (შესაძლებელია მე არ ვიცი) დ. სემიონოვის საქართველოში გადმოყვანამდე და აქედან წასვლის შემდგომ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მისი დამსახურება იყო 1881 წელს სემინარიების დაარსება ქუთაისსა დაბა ხონში და ერევანში; დ. სემიონოვის სახელთან დაკავშირდა გორში ქალთა პროგიმნაზიის დაარსება 1882 წლის 30 აგვისტოს.

დ. სემიონოვის დროს ასრულდა ქართველი საზოგადოების ნატვრა და მოთხოვნა სამასწავლებლო სემინარიის მუშაობის გარდაქმნისა და ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ.

1878 წელს კავკასიის ოლქში მზრუნველისადმი გაგზავნილ ანგარიშში დ. დ. სემიონოვს სემინარიის მუშაობის დიდ ნაკლად პედაგოგების ხშირი ცვლა და მოსწავლეთა შესანახად გამოყოფილი თანხების ნაკლებობა მიაჩნდა. ამავე დროს დ. სემიონოვმა თავისი საინტერესო შეხედულებები ამიერკავკასიაში განათების საკითხის მოწესრიგებასა და შემდგომ გაუმჯობესებაზე ჩამოაყალიბა საკმაოდ ვრცელ მოხსენებით ბარათში რომელსაც წითელ ზოლად გასდევს განსაკუთრებული ყურადღება მკვიდრი მოსახლეობის სწორი განათლების აუცილებლობას. მისი აზრით, ჯეროვანი ყურადღება უნდა დათმობოდა მოსწავლეთა მიერ მშობლიური ენების შესწავლას. მან მოითხოვა აგრეთვე 1879 წლის სექტემბრიდან სემინარიაში შემოღებული ყოფილიყო ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლება, რაც განხორციელდა კიდეც.

დ. სემიონოვმა სერიოზული მუშაობა გასწია სემინარიის მასწავლებელთა სწორად შერჩევისა და მათი მოსწავლეებთან დაახლოებისათვის, რაშიც პირად მაგალითს აძლევდა. მისი ღრმა განათლების, ორგანიზატორული ნიჭისა და პროგრესულ-ლიბერალური შეხედულებების გამო, გორის სამასწავლებლო სემინარიამ სახელი გაითქვა და საპატიო ადგილი დაიკავა კავკასიის მსგავს სასწავლებლებს შორის.

1884 წელს დ. სემიონოვი სამასწავლებლო სემინარიიდან წავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკისთან დაძაბული ურთიერთობის გამო, რაც წარმოიშვა სემინარიის ქართული ენის მასწავლებლის, ხალხოსან მ. ყიფიანის დაპატიმრების შემდეგ. მაგრამ დ. სემიონოვის მიერ გორის სამასწავლებლო სემინარიაში დანერგილი ტრადიციები შემდგომშიც გრძელდებოდა[1].

## სიმონ I




ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1600 წლებში. მისი დაბადების ორი განსხვავებული თარიღია – 1531 და 1537 წელი. სვიმონი გამეფებისას უცოლშვილო იყო, დაქორწინდა 1959 წელს კახთა მეფე ლევანის ასულზე, ნესტან-დარეჯანზე. გამეფდა მამისის, ლუარსაბ I-ის ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ. თავდაუზოგავად იბრძოდა ყიზილბაშებისა და ოსმალების წინააღმდეგ. 1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში სპარსელებმა დაატყვევეს და უძლიერეს ალამუთის ციხეში მოათავსეს. პატიმრობაში ყოფნის დროს გაეცნო ირანის მომავალ შაჰს ისმაილ II-ს, რამაც სერიზული გავლენა მოახდინა მის შემდგომ ბედზე.

1578 წელს დაიწყო ე.წ. ირან-ოსმალეთის მეორე ომი. შაჰმა მოჰამედ ხოდაბანდემ იგი სამშობლოში გამოუშვა რათა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლას ჩადგომოდა სათავეში. სვიმონი ხშირად წარმატებებს აღწევდა. 1599 წელს აიღო კარგად გამაგრებული გორის ციხე. სვიმონი 1600 წელს ნახიდურთან ბრძოლაში ოსმალების ტყვეობაში აღმოჩნდა. ის გარდაიცვალა ტყვეობაში 1611 წლის 21 ივნისს. მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენა ერთმა გორელმა ვაჭარმა, დიაკვნიშვილმა (იხ. ზემოთ, „დიაკვნიშვილი“).

სვიმონ მეფე დაკრძალეს სვეტიცხოველში, მამის, ლუარსაბ I-ის გვერდით[2].

---

[1] დ. დ. სემიონოვის გორში მოღვაწეობის სხვა მხარეების შესახებ იხ. წინამდებარე წიგნში

[2] სვიმონ მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, გვ. 185-332; მისივე, მეფე სვიმონ I / საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, მეომრის ბიბლიოთეკა №13, თბ., 2010;*

## სტალინი

*იოსებ ბესარიონის ძე (ჯუღაშვილი),* კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დაიბადა გორში 1879 წლის 21 დეკემბერს მეწაღე ხელოსნის ოჯახში. 1894 წელს მან დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1938 წელს გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში ი. სტალინმა განაცხადა, რომ იგი რუსი მარქსისტების გავლენით 15 წლის ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და უკვე 1896-1897 წლებში სემინარიაში სათავეში ედგა მარქსისტულ ჯგუფებს. იმავე დროს ის იყო „მესამე დასის“ წევრი. ი. სტალინი 1899 წლის 26 მაისს სემინარიიდან გარიცხეს რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ამის შემდეგ იგი პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა, მონაწილეობდა გაზეთების *„ბრძოლის“, „პროლეტარიატის ბრძოლის“, „ბაკინსკი პროლეტარის“, „გუდოკის“, „ბაკინსკი რაბოჩის“* გამოცემაში. 1902 წლის 5 აპრილს ბათუმში სტალინი დააპატიმრეს, ხოლო 1903 წელს სამი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში, საიდანაც 1905 წლის 5 იანვარს გაიქცა და საქართველოში დაბრუნდა.

1905 წლის დეკემბერში სტალინი, როგორც ამიერკავკასიის ბოლშევიკთა დეპუტატი წავიდა ტამერფორსში (ფინეთი) სრულიად რუსეთის ბოლშევიკთა კონფერენციაზე, სადაც პირველად შეხვდა ლენინს. ის იყო რსდმპ IV (1906 წ.) და V (1907 წ.) ყრილობების დელეგატი. 1912 წელს სრულიად რუსეთის VI პრაღის კონფერენციის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე დაუსწრებლად აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის და რუსული ბიუროს წევრად. 1912-1913 წლებში ი. სტალინი მუშაობდა პეტერბურგში, თანამშრომლობდა გაზეთებში – *„ზვეზდა“* და *„პრავდა“.*

1913 წელს ი. სტალინი გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში, საიდანაც პეტროგრადში დაბრუნდა 1917 წლის 25 მარტს. იგი შეიყვანეს რსდმპ (ბ) ცეკას ბიუროში და „პრავდის“ რედაქციაში, ხოლო VII (აპრილის) კონფერენციაზე აირჩიეს ცეკას წევრად.

ი. სტალინი აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში. 1917 წლის 26 ოქტომბერს

აირჩიეს პირველი საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახკომად. იგი ამ თანამდებობაზე იყო 1923 წლამდე. იმავე დროს იმყოფებოდა სხვა თანამდებობებზეც.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში ი. სტალინი იყო რესპუბლიკის სამხედრო რევკომის წევრი, ხელმძღვანელობდა პეტროგრადის თავდაცვას, იყო სხვადასხვა ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი, სრულიად რუსეთის ცაკის წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ი. სტალინმა დიდი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის აღდგენის, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. მან უდიდესი როლი შეასრულა ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის განადგურებაში.

ი. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით სსრ კავშირში მიმდინარეობდა გრანდიოზული მასშტაბების და მნიშვნელობის მშენებლობები, დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში და თვით ომის მსვლელობისას იქმნებოდა თავდაცვითი თუ შეტევითი ხასიათის სრულიად ახალი არმია და საბრძოლო ტექნიკა, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. ი. სტალინი იყო უშუალო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი ფაშისტური გერმანიის და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დარაზმვისა და მისი გამარჯვებისა.

1941 წლის 6 მაისს, ი. სტალინი დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, იმავე წლის 30 ივნისს – თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, 19 ივლისს – სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრად, 8 აგვისტოს – შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. იგი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა თეირანის (1943 წ.), ყირიმის (1945 წ.) და პოტსდამის (1945 წ.) კონფერენციებში.

ომის დასრულების შემდეგ ი. სტალინი განაგრძობდა მუშაობას პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების, სსრკ საერთაშორისო პოლიტიკური კურსის განხორციელების, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბების და სხვა საქმიანობას.

ი. სტალინი გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს და დაკრძალულია მოსკოვში წითელ მოედანზე.

ი. სტალინს ყოველთვის ახსოვდა თავისი მშობლიური ქალაქი გორი. ნათქვამის დასტურად გამოგვადგება გარდაცვალებამდე

ორი წლის წინ მიღებული სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლის სრულ ტექსტსაც უკომენტაროდ გთავაზობთ:

*„სსრკ მინისტრთა საბჭოს*

*დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა*

*მოსკოვი, კრემლი 1950 წელი*

*21 იანვარი №254*

*გორის საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა*

*შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს*

*1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და გორის მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომს ჩაატარონ 1951-1953 წლებში შემდეგი სამუშაოები გორის საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.*

*ბ) ააშენონ მდინარე მტკვარზე ხიდი ქალაქის დასაკავშირებლად რკინიგზის გორის სადგურნთან;*

*გ) დაამთავრონ ქალაქის მუზეუმის შენობის აშენება და ააშენონ ადმინისტრაციული სახლი 22000 კუბომეტრის მოცულობის;*

*დ) მოაწყონ ქუჩების და მოედნების მოკირწყვლა, მოასფალტება და გამწვანება, შემოფარგვლა და ჩაატარონ ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები.*

*2. გამოიყოს ამა დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილი ობიექტების მშენებლობისათვსი 1950 წელში 10 მილიონი მანეთი, სსრკ მინისტრთა საბჭოს რეზერვის ხარჯზე გაზრდილი იქნეს ამ თანხის ოდენობით 1950 წლის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა საქართველოს სსრ-ში.*

*3. დაევალოს სსრკ ფინანსთა სამინისტროს დააფინანსოს 1950 წ. ქალაქ გორის შემდეგი მშენებლობანი: ქალაქის მუზეუმის შენობა 2-4 მილიონი მანეთის ოდენობით, ადმინისტრაციული შენობისა 1 მილიონი მანეთის ოდენობით და ქალაქის კეთილმოწყობისათვის (მოასფალტება, მოკირწყვლა და ქალაქის კეთილმოწყობისათვის 4 მილიონი მანეთის ოდენობით).*

*4. დაევალოს მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, სსრკ ხე-ტყის და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს, ელექტრომრეწველობის სამინისტროს, ნავთის მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს და სსრკ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გორის საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესების სამუშაოთა ჩასატარებლად დამატებით მოამარაგონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საამშენებლო მასალებით და დანადგარებით 1950 წელში თანახმად დანართისა.*

*სსრკ მინისტთა საბჭოს თავმჯდომარე – ი.ბ. სტალინი.*

*სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართებელი – მ. პომაზნევი“*[1].

დადგენილებით გათვალისწინებული ნაგებობები ამშვენებს ჩვენს ქალაქს.

---

[1] *„გორელი კომუნისტი“, 1994, №2.* ციტირებული დადგენილება გადმომცა გორელმა მწერალმა ბატონმა ბეგლარ ნოზაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

## ტერტერა

ერთი უსახელო გორელის, ტომით სომეხი მღვდლის – *ტერტერას* გაბედული და მოხერხებული მოქმედებით გორი გარდაუვალ აკლებას, გაძარცვას და გადაწვას გადაურჩა 1609 წელს, მეფე ლუარსაბ II-ის დროს.

ოსმალეთს ბაღდადის დაპყრობაში მისი ქვეშევდრომი ყირიმელი თათრები ეხმარებოდნენ. ბაღდადის დაპყრობის შემდეგ თათრებმა სულთანს სთხოვეს, რომ გზის სიმოკლისათვის ყირიმში საქართველოზე გავლით დაბრუნდებოდნენ და თან ნადავლსა და ტყვეებს იშოვნიდნენ. მათ გამოიარეს მანგლისი, კუელთა (აქ შეიპყრეს ქვეყნისა და მეფისათვის თავდადებული და წმინდანად შერაცხული მღვდელი თევდორე), ერთაწმინდა და ახალქალაქი. თათრები დოესის მინდორზე (ვახუშტი ბატონიშვილთან შეცდომით „დღეისის“ მინდორია) შეჩერდნენ. მათ გორზე თავდასხმა უნდოდათ. გორიდან მომავალი „ტერტერა“ მოულოდნელად წააწყდა თათრების ჯარს. მან აქეთ-იქით მიმოიხედა და რა იხილა დოესის ველი ჯარით ავსებული და იმასაც მიხვდა, რომ ისინი ქართველები კი არ იყვნენ, არამედ „უსჯულოთაგანნი არიან ვინმე და მარბეველნი ქვეყნისანი“, სასწრაფოდ გორისაკენ გაბრუნდა, მტკვრის ხიდი გადაიარა და ხიდის ფიცრები მთლიანად ადიდებულ მდინარეში გადაყარა. მღვდელმა დაამთავრა თუ არა თავისი საქმე, თათრებიც მოადგნენ, მაგრამ ხიდი აყრილი დახვდათ და მდინარეზე ვეღარ გადავიდნენ. თათრები მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აჰყვნენ, საციციანოში შეიჭრნენ და „დაწვეს და დადაგეს“[1].

როგორც ცნობილია, თათრები ლუარსაბ II-მ და გიორგი სააკაძემ ტაშისკართან ამოწყვიტეს.

ასე გადაარჩინა „ტერტერამ“ გორი.

„ტერტერას“ სიმამაცე და მოხერხებულობა მხედველობიდან არ გამორჩენია იოსებ სააკაძეს და „დიდმოურავიანის“ ერთი სტროფი მას მიუძღვნა:

„ერთი ტერტერა გორიდამ მოვა უგრძნულად გზაზედა;
დოესის ბოლოს წინ დახვდეს, გულს ელდა ეცა მაზედა;
გაფრინდა, ხიდის ფიცრები მან გადაყარა წყალზედა,
თუ არ ენახა ტერტერას, ხიდს გაივლიდნენ მზაზედა!“[2].

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, გვ.422, იქვე, II, გვ. 587*

[2] *იოსებ სააკაძე, დიდმოურავიანი, სტრ. 48.*

## ტულუკაშვილი დავითა

გორიდან გამოსულ ქართველ კათოლიკეთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი პატრი ტულუკაანთ დავითა იყო. იგი დაიბადა დაახლოებით 1702 წელს. მ. თამარაშვილმა რომში მიაკვლია პროპაგანდა ფიდეს კოლეგიის მოწაფეთა სიას, სადაც დავითის შესახებ არის შემდეგი ცნობები: „23 წლის გორელი ტულუკანთ დავითა, რომელიც ბასილიანთ უფროსმა საბამ, ქართველმა კათოლიკემ თავადმა გამოაგზავნა, პროპაგანდამ მიიღო 30 ივლისს, 1725 წ. კოლეგიაში შევიდა 4 აპრილს; 10 ნოემბერს 1726 მისცა ფიცი; 1732, 22 მარტსა, დაიცვა ფილოსოფიის საჯარო დისერტაცია პრეფექტო კარდინალის წინაშე; 21 მარტს 1733 წ. ეკურთხა მღვდლად ლათინურ ტიბიკონზედ, და კაპუცინებთან მონაზნად შევიდა; 1734 წ. ნოემბრის 28-ს გარდაიცვალა ექვსი თვის ავადმყოფობის შემდეგ“[1].

დღეისათვის დავით ტულუკაშვილის ბიოგრაფია მთლიანად ამ ინფორმაციაზეა დამყარებული[2]. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ის ფაქტი, რომ არ არის გათვალისწინებული ზ. ჭიჭინაძის მიერ ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილი ნაშრომი, რომელიც სხვა ნაშრომებზე ადრე გამოქვეყნდა[3] და, რა თქმა უნდა, იგი ცნობილი იყო შემდგომი დროის მკვლევართათვის. მართალია, ზ. ჭიჭინაძე თავის ნაშრომში არ უთითებს იმ წყაროებს, რომლებითაც ის სარგებლობდა[4]. მაგრამ მისი საკმაოდ ვრცელი და საინტერესო გამოკვლევა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება მ. თამარაშვილის

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 343.*

[2] *С. Петербургские ведомости, 26. XI, 1899, №424; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 343-344; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, 78; ლომსაძე შ., გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, 54-57; თავდიშვილი მ., გორში დაბეჭდილი პირველი წიგნი, „ლიახვი“, 1982, 201-203.*

[3] *ჭიჭინაძე ზ., უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, ტფ. 189;* მ. თავდიშვილი რამდენჯერმე ასახელებს ამ თხზულებას, მაგრამ არა დ. ტულუკაშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

[4] ზ. ჭიჭინაძე მხოლოდ ერთგან ამბობს: *„დავით ტულუკაშვილის შესახებ რაც ვიცი, ისიც განსვენებულის ქართველ კათოლიკის „ცისკრის“ მწერლის ალექს. ჩიქუანის მდიდარის წიგნთ-საცავის ხელთნაწერი წიგნების მეოხებით“.*

ნაშრომიდან ციტირებულ ცნობაში მოყვანილ მცირე ბიოგრაფიულ ცნობებს, მაგრამ მისი უგულებელყოფა არასწორია.

შ. ლომსაძემ ახალციხის მუზეუმში მიაკვლია *„ცხოვრება თომა კემფელისა“,* რომლის მოსახსენებელში წერია: *„ყოვლით მზა და ყოვლით მხურვალე მონა საქართველოისა გორელი ტულუკაანთ პაპაშვილი დავით“*[1]. მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „ტულუკაანთი“ არის არა გვარი, არამედ მოდგმის, წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინი, მაშინ როცა, *„პაპაშვილი“* ნამდვილი გვარია. ტერმინი *„ტულუკაანთი“* უნდა ნიშნავდეს ტულუკა პაპაშვილის შთამომავლობას[2]. ასეთივე წარმატებით შეიძლება მტკიცება იმავე მკვლევარის მიერ უფრო მკრთალად დაყენებული მოსაზრებისა, რომლის მიხედვით, *„ტულუკაანთი“* არის გვარის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო *„პაპაშვილი“* – მამობისა, მით უმეტეს, თუკი XIX საუკუნეში ქიზიყში ტულუკაშვილების მთელი სოფელი ყოფილა[3], ხოლო გორში ცხოვრობდნენ ის ტულუკაშვილები, რომლებიც სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ[4].

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, რომელიც ეწინააღმდეგება მ. თამარაშვილის ზემომოყვანილ საბუთს, დავითა გორის კათოლიკეთა სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ართვინში გადაიყვანეს[5], საიდანაც ართვინის კათოლიკეთ კონსტანტინეპოლში წაიყვანეს და იქაურ სკოლებში სწავლობდა. დავითა 1731 წ. რომში წავიდა და იქ იცხოვრა და იმოღვაწა 70-იან წლებამდე.

ზემომოყვანილ საბუთში აღნიშნულია, რომ დავითა რომში *„ბასილიანთ უფროსი საბას“* რეკომენდაციით წავიდა. ცნობილია, ბასილის წესის მონაზონი ქართველი კათოლიკე თავადი მაშინ სულხან-საბა ორბელიანი იყო[6].

---

[1] მოსახსენებლის ეს ვარიანტი მ. თამარაშვილს ვატიკანის არქივის წიგნების განყოფილებაში უნახავს და მთლიანად გამოაქვეყნა 1903 წ. *„ივერია“, №137, 1903.*

[2] *ლომსაძე შ., გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, 57* (შემდეგში: ახალციხური ქრონიკები).

[3] *ჭიჭინაძე ზ., უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, 37.*

[4] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, 60.*

[5] *ჭიჭინაძე ზ., უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, 55.*

[6] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 343.*

სწავლის დამთავრების შემდეგ დავითა რომის პაპის კოლეგიაში *„ქართული ენის მოთარგმნავეთ და ქართული წიგნების მკითხველათ დაუდგენიათ“*[1].

დავითამ რომში ხელი მოჰკიდა მთარგმნელობით საქმიანობას. კოლეგიაში სწავლის დროს 1733 წ. იტალიურიდან თარგმნა *„საქრისტიანო მოძღვრება“*[2].

დავითას საქართველოში დაბრუნების შემდეგაც[3] არ შეუწყვეტია მთარგმნელობითი საქმიანობა. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში უთარგმნია თომა კემფელის ლათინურ ენაზე დაწერილი თხზულება – *„ქრისტეს მიბაძვა“*. ამ თარგმანის ხელნაწერი, შესრულებული თვით დავითას მიერ, უნახავს ზ. ჭიჭინაძეს, რომელზეც ყოფილა შემდეგი მინაწერი: *„მიბაძვა ქრისტესი“ თარგმანი ქუთაისს, პატრი დავითისაგან, ვრცელი ტომია, თვით დავითას ხელით არის ნაწერი, სხვილის ქართულის ასოებით „საქრისტიანო მოძღვრების“ ენით არის ნათარგმნი, რასაკვირველია უფრო ძველის ქართულის ენით არის ნაწერი. ხელთნაწერი სხვა ნაწერებთან ერთად მე მოვიძიე ალ. ჩიქუანის წიგნთ-საცავში, დღეს ეს ხელთნაწერი „წერა-კითხვის სამმართველოს“ ეკუთვნის“*[4]

საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავითა ქუთაისში ცხოვრობდა. დიდი იყო მისი გავლენა იმერეთის მეფის კარზე. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს გაერთიანებისა და მათ შორის იმყოფებოდა, ვინც ზრუნავდა სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებაზე. მის ქადაგებას გარკვეული გავლენა მოუხდენია იმერეთის იმ დიდებულებზე, რომლებმაც დელეგაცია გაგზავნეს ერეკლე II-სთან იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთების თხოვნით5.

---

[1] *ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 59, 154.*

[2] წიგნი პირველად დაიბეჭდა რომში 1741 წ. ქართველი მღვდლის ივანე ჯაგინანთის თაოსნობით. წიგნის სათაურია: *საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონებში სახმარებლად, გადმოთარგმნილი იტალიურიდან ქართულს მხედრულს ენაზე ქართველი ტულუკაანთ დავითისაგან. ამავე გვარის კათოლიკების საყოველთაო და სასულიერო სარგებლობისათვის, რომში, 1741 წ.*

[3] მ. თამარაშვილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დავითა აღარ დაბრუნებულა საქართველოში.

[4] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 75.* აღნიშნული თხზულების ახალი თარგმანი შეასრულა ქ. გორში კათოლიკების ეკლესიის მღვდელმა ანსელმო მღებრიშვილმა. აღსანიშნავია, ეს იყო პირველი წიგნი დაბეჭდილი გორის სტამბაში 1889 წ.

[5] *ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 76.*

დავითა დიდი სახელითა და გავლენით სარგებლობდა და *„გორელების წინაშე სარკეთ მდგარა“.* მან ჯეროვანი ყურადღება მიაქცია გორს. მისი თაოსნობით გაიხსნა სკოლა, სადაც ქართველ კათოლიკეთა შვილების გარდა სწავლობდნენ ქართველ მართლმადიდებელთა და სომხების შვილებიც. სკოლაში, ერთ დროს, პატრი დავითაც ასწავლიდა[1], მაგრამ არ ვიცით როდის. ზ. ჭიჭინაძის ვერსია ტულუკაანთ დავითას ცხოვრებაზე არაფერს გვამცნობს როდის, სად და როგორ დაასრულა მან სიცოცხლე.

XVIII ს. პირველ ნახევარში კიდევ ერთი გორელი კათოლიკე მღვდელი პეტრე ბაღდასარ ჯანო (ჯანიძე) ყოფილა რომში. მისი მოგზაურობის მიზანი წმინდა ადგილების მოლოცვა იყო. ამის შესახებ ვიცით მის მიერ 1738 წ. 30 სექტემბერს წარდგენილი თხოვნიდან, ნება მიეცათ რომის ერთ-ერთ ეკლესიაში წირვისა[2], არ ჩანს, რამდენი ხანი დაყო მან რომში ან როდის დაბრუნდა სამშობლოში. ან დაბრუნდა კი, საერთოდ?

## *ფაშვიბერტყაძე ფეშანგი*

ფეშანგი ამირას ძე ფაშვიბერტყაძე (ხითარიშვილი), არ ვიცით მისი დაბადების და გარდაცვალების წლები. ვიცით, რომ გორელი სომეხი იყო. სოციალური წარმოშობის მიხედვით ის გორის მოქალაქეთა ფენას განეკუთვნებოდა. ხითარიშვილების ანუ „ხითარაანთ“ გვარი უძველესი დროიდან მოსახლეობდა გორში და ცნობილი იყვო სავაჭრო საქმიანობით. ფეშანგი გორელი მდივნების ოჯახს ეკუთვნოდა. ცნობილია, რომ გორმა, ძველმა სავაჭრო ქალაქმა, XVI-XVII საუკუნეებში ქვეყანას მისცა სამეფო კარის რამდენიმე მდივან-მწიგნობარი: ყანდურალაშვილები (ანუ ფირალიშვილები), მანდენაშვილები, ბეგთაბეგიშვილები, ფეშანგის უნდა ესწავლა მდივნების სპეციალურ სკოლაში, რომელიც უნდა არსებულიყო თბილისსა და გორში, სადაც დამწერლობასთან ერთად სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას, ისტორიას. იგი აქვე უნდა ზიარებოდა ლიტერატურულ განათლებასაც[3].

---

*[1] ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, გვ. 75.*

*[2] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 348.*

*[3] ალექსი იესლიევის 1650-1652 წ.წ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“) / რუსული ტექსტი ხელნაწერის მიხედვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969; ტოლიჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წ.წ. / რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970.*

თეიმურაზ I-ის და როსტომ მეფის დროს მომხდარი არეულობის გამო იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამის კარზე მდივნობა მიუღია და ჩხარში დასახლებულა. ფეშანგი მონაწილეობდა 1650-1652 წლებში იმერეთში ჩასულ რუს ელჩებთან მოლაპარაკებაში[1].

ფეშანგი თავის თანამდებობაზე ყოფილა ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგაც, ნესტან-დარეჯანისა და ბაგრატ IV-ის ერთმეფობაში.

ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ფეშანგი ისევ იმერეთში დარჩენილა და 1661 წელს გამეფებულ არჩილს ემსახურებოდა. როცა არჩილი ოსმალეთის სულთნის მოთხოვნით მამამ ქართლში გაიწვია, ფეშანგიც მასთან ერთად დაბრუნდა. ფეშანგი თან ახლდა შაჰ ნავაზს (ვახტანგ V) და არჩილს კახეთში ერეკლე ბატონიშვილთან ბრძოლის დროს (1664 წ.)[2].

აღარაფერია ცნობილი ფეშანგის ბიოგრაფიიდან შაჰნავაზის სიკვდილის შემდეგ (1675 წ.).

იგი, რასაკვირველია, აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელი ქართლის და იმერეთის პოლიტიკურ ბატალიებში, რის გამოც, როგორც არჩილ II თავის „არჩილიანში“ წერს, ფეშანგი მკაცრად დასაჯეს – ცხვირი მოჭრეს.

„ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ ახლა თქვა ფირმალიანი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ სიმძიმით ვით ლიტრიანი,
გებრალებოდეს საბრალო ცხვირ-მოჭრით თვალცრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამ ვერა თქვა მარილიანი“[3].

1664-1665 წლებში ფეშანგმა დაწერა საისტორიო პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელიც გადმოგვცემს XVII საუკუნის 60-იანი წლების ქართლ-კახეთისა და იმერეთის პოლიტიკურ ამბებს, გვაწვდის მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ ცნობებს ვახტან V-ის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. პოეტი ხოტბას ასხამს ვახტანგ V-ეს, მარიამ დედოფალს, უფლისწულებს. ფეშანგის თხზულებაში დაცულია რამდენიმე საინტერესო ცნობა იმავე პერიოდის გორის ისტორიისათვის[4].

---

[1] *ლეონიძე გ., ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 123-124, 129.*

[2] *იქვე, გვ. 127, 131-132.*

[3] *არჩილი, თხზულებათა სრული კრებული / ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, თბ., 1937, სტრ. 34.*

[4] *მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, გვ. 74.*

დაახლოებით 1680 წელს, ფეშანგს, არჩილ მეფის ბრძანებით, როგორც ციტირებული სტროფიდან ჩანს, გაულექსავს „ფირმალიანი“, ამ პოემამ ჩვენამდე ვერ მოაღწია[1].

ფეშანგის იმერეთში სამდივნო მოღვაწეობიდან ის ვიცით, რომ მას შეუდგენია იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული და სამეურნეო აღწერილობა, რომელიც 1652 წელს რუსი ელჩებისათვის გადაუცია. იმავე ელჩების გადასაცემად შეუდგენია სტატისტიკური ცნობები იმერეთის თავადთა, აზნაურთა, მეთოფეთა და მთელი იმერეთის მოსახლეობისა, რომელიც 1651 წლისათვის 60 ათასს უდრიდა[2].

## ფერშანგიშვილი სტეფანე

ავთანდილ თუმანიშვილის მიხედვით, სტეფანე დაიბადა 1773 წელს ქ. გორში. პლატონ იოსელიანის თქმით, იგი გორელი სომეხი იყო *„მოიჯარადრე ბურნუთისა და თამბაქოსი თბილისს“.*

ა. თუმანიშვილი წერს, რომ სტეფანეს ყმაწვილობიდან დაუწყია ლექსების წერა, კარგად იცნობდა ძველ და ახალ ქართულ პოეზიას. იგი თავდაპირველად მცირე ლექსებს თხზავდა და თავის ამხანგებს უკითხავდა შემდეგ რომანების, პიესების, ოდების, დრამების, ელეგიების წერა დაუწყია.

ს. ფერშანგიშვილი უშუალო მომსწრე იყო. კრწანისის ბრძოლის და აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისა. პოეტმა ამ სამწუხარო ფაქტს მიუძღვნა ლექსი *„თქმული“ 1795 წელს ქალაქის წახდენაზე“.*

ს. ფერშანგიშვილი გულისხმიერი და გაჭირვებულის შემწე ყოფილა. მისი ამ თვისების დამადასტურებელი ერთი საინტერესო შემთხვევა გადმოცემული აქვს პლატონ იოსელიანს: პოემა *„ტყვედ მოყვანილსა ლეკსა ოსოქოლელსა ასესხა ფული რვა თუმანი და დაიხსნა მაჩაბლისაგან, პირობითა, რომ გამოუგზავნის. ლეკმა დაიცვა სიტყვა მიცემული და გამოუგზავნა რვისა ნაცვლად ათი. სცნო ესე მეფემან და იამა მეფესა“*[3].

მწერლის ნაწარმოებების უმრავლესობა დაკარგულია.

პ. იოსელიანმა გვამცნო ს. ფერშანგიშვილის გარდაცვალების თარიღი – 1839 წელი. იგი დაუკრძალავთ ვერის ძველ სომხურ სა-

---

[1] *კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 509-517.*

[2] *პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 255.*

[3] *ლეონიძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 130.*

საფლაოზე. მისი საფლავი უპოვია წარმოშობით გორელს, მღვდელ გამრეკელს, რომელსაც ამის შესახებ უცნობებია სტეფანეს შთამომავალ აბგარ ისაევის ძე ბაბილოვისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, აცნობა განსვენებულის ნათესავებს.

საფლავის ქვაზე ამოკვეთილი იყო ერთსტროფიანი ლექსი, რომელიც, ალბათ, თვით განსვენებულს ეკუთვნოდა:

„ყოველი დაბადებული მიკვირს რად გეტრფის სოფელო,
ურგებო, ცუდად სახმარო, ყოველთურთ მიუნდობელო,
თვალთათვის ტურფათ საჩინო, სამკვიდროდ წუთსაყოფელო,
სტეფანე ფერშანგოვანო კეთილად საგონებელო“.

ქვა დაუმზადებიათ და საფლავზე მოუთავსებიათ გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე – 1840 წელს[1].

## ფურცელაძე ანტონ

*ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე* დაიბადა 1837 წელს სოფ. მერეთში (გორის მახლობლად), ღარიბი აზნაურის ოჯახში. მისი დედა – ბარბალე გედევანიშვილი ძველი ქართული მწერლობის კარგი მცოდნე და მოყვარული იყო. პატარა ანტონს წერა-კითხვა სახლში ასწავლეს, 12 წლისა ორლოვის კადეტთა კორპუსში მიაბარეს, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა რუსული ენა და მწერლობა. მესამე კლასში იყო, როცა ფიზიკური ვარჯიშის დროს ღერძიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. 1854 წელს მან სამხედრო სასწავლებელს თავი დაანება და სამშობლოში დაბრუნდა. იგი თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში გადამწერად მოეწყო, სადაც თვეში 5 მანეთს იღებდა.

ანტონ ფურცელაძე თვითგანათლების გზით ცოდნას იფართოებს და მწერლობას იწყებს. მან 1863 წელს გამოაქვეყნა წერილი დანიელ ჭონქაძის *„სურამის ციხეზე“*. წერილი ჟურნალ *„ცისკარში“* გამოქვეყნდა.

---

[1] სტეფანე ფერშანგიშვილის საფლავის შესახებ ცნობები მომაწოდა ცნობილმა გორელმა მომღერალმა ოთარ ფერშანგიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდი.

ა. ფურცელაძე ერთხანს ზუგდიდში ვექილობდა, 1867 წელს კვლავ თბილისში დაბრუნდა და ახალდაარსებულ ჟურნალ *„მნათობის“* ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. 1873 წლიდან ხელმძღვანელობდა გაზეთ *„გუთნისდედის“* გამოცემას. ამავე ხანებში იგი მონაწილეობდა გორის ხალხოსანთა ორგანიზაციაში. 80-იან წლებში ბანკში იწყებს მუშაობას ჯერ დამფასებლად, შემდეგ კი დირექტორად.

1911 წლიდან ანტონ ფურცელაძე სოფ. არბოში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1913 წელს. იგი დაკრძალეს თავის მშობლიურ სოფელში.

ა. ფურცელაძის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უკავია სოფლის სოციალური მდგომარეობის ასახვას. იგი წერდა ლექსებსაც და მთარგმნელობასაც ეწეოდა.

ა. ფურცელაძე XIX ს. 60-70-იანი წლების ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მთავარი ნაწარმოებებია: *„მართა“, „თოთა“, „ქიტესა“, „მაცი ხვიტია“, „ავაზაკნი“,* „ბრძოლა საქართველოს მოსაპოვებლად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“ და სხვ.[1]

## ქიტიაშვილი ზაქარია

*ქიტიაშვილი ზაქარია (შაქრო) დიმიტრის ძე დაიბადა 1880* წელს ქ. გორში. მამა გორში ცხოვრობდა, მამული კი სოფ. ხიდისთავში ჰქონდა. ზაქარიამ ჯერ გორის დაწყებითი სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი თბილისის მეორე გიმნაზია და სწავლა ჟენევაში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გააგრძელა. მან ქიმიის დოქტორის დიპლომი მიიღო და ქიმიის კათედრაზე ასპირანტად დატოვეს... როგორც იმედის მომცემი მომავალი მეცნიერი.

ზაქარია ჟენევაში დაოჯახდა, ცოლად შეირთო დედით ქართველი ანა კაბენინა, რომლის მამა, წარმოშობით უკრაინელი თავადი, მეფის არმიის გენერალ-პოლკოვნიკი თბილისში ცხოვრობდა. ის პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. დედა – დარია ერისთავი მეჯვრისხეველი იყო. ზაქარიას და ანას ჟენევაში ქალ-ვაჟი შეეძინათ.

---

[1] *იოსელიანი პლ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 255*

ზ. ქიტიაშვილი პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო. ჟენევის უნივერსიტეტში სწავლისას იგი ქართველ სტუდენტთა კორპორაციის პრეზიდენტად და იქ მცხოვრები ქართველების წარმომადგენლად აირჩიეს. მისი თაოსნობით ჟენევაში დაარსდა ქართული სამკითხველო და ბიბლიოთეკა, კვირაში სამჯერ ეწყობოდა უფასო ლექციები ხელმოკლე ქართველი სტუდენტებისათვის, გამოიცემოდა ქართული ხელნაწერი ჟურნალი *„წკიპურტი“*. ზ. ქიტიაშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ჟენევაში მცხოვრები სომხებისა და რუსების საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან მონაწილეობა მიიღო სომეხ-თათართა კონფლიქტის მოგვარებაში, რისთვისაც სომეხთა კათალიკოსისა და შეიხ-ელ ისლამის მადლობა და ლოცვა დაიმსახურა. მარტინიკაში მუშათა ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მან ჟენევაში სალარო მოაწყო, ფული შეკრიბა და დაზარალებულთა ოჯახებს გაუგზავნა. ასეთი ქველმოქმედებისათვის მას ფრანგმა მუშებმა და საფრანგეთის კონსულმა მადლობა გამოუცხადეს[1].

ზ. ქიტიაშვილი 1911 წელს გორში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუშაობდა დამფასებელი კომისიის თავმჯდომარედ, ქალაქის რწმუნებულად, იყო გორში გამომცემლობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მონაწილეობდა გორის სცენისმოყვარეთა დასში.

1912 წელს ზ. ქიტიაშვილი გორის მამასახლისად, შემდეგ კი ქალაქის თავად აირჩიეს.

ზ. ქიტიაშვილის ავტორიტეტსა და მაღალ განათლებაზე მეტყველებს ის, რომ მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგში 1916 წელს გამართულ იმპერიის ქალაქის თავების თათბირ-სემინარში. მას მიღებული ჰქონდა რომანოვების დინასტიის საიუბილეო მედალი.

მიუხედავად ყოველივე იმ დადებითი მხარეებისა, რაც ზ. ქიტიაშვილს გააჩნდა, მის წინააღმდეგ მაინც მოქმედებდა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ქალაქის თავის თანამდე-

[1] *გაზ. „ქართლი“, 1912, №34.*

ბობიდან ზაქარიას გადაყენება და მის ადგილას ქართული ენის უცოდინარი ვინმე გრიგალაშვილის გაყვანა. ამის გამო იყო, რომ ზაქარია თავისი განცხადებით გადადგა. იგი ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა, აქვეყნებდა წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მეგობრობდა თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებთან. 1919 წლიდან მან მუშაობა დაიწყო ქიმიის მაასწავლებლად გიმნაზიასა და ტექნიკუმში.

1920 წელს ზ. ქიტიაშვილი აირჩიეს მიწისძვრით დაზარალებულთა კომისიის თავმჯდომარედ. მან დიდი შრომა გასწია დანგრეული გორის აღსადგენად. ქალაქში წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობის სურსათით მოსამარაგებლად.

როცა 1921 წლის თებერვალში მთავრობამ გორი დატოვა, ზ. ქიტიაშვილმა გორის მართვა თვითონ იკისრა. იგი ქალაქის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პურ-მარილით, მტკვრის ხიდზე დახვდა წითელი არმიის რაზმს. მან ახლად არჩეულ რევკომს ჩააბარა ქალაქის მმართებლობა და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ეხმარებოდა.

ზ. ქიტიაშვილს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრს, უარი უთქვამს შეეცვალა თავისი პოლიტიკური შეხედულება და შესულიყო კომუნისტურ პარტიაში. 1924 წლის სექტემბერში იგი დააპატიმრეს და დახვრიტეს[1].

## ხახანაშვილი ალექსანდრე

*ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე* დაიბადა 1862 წელს გორში, დეკანოზის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო გორის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა თბილისის პირველ გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა 1884 წელს. 1888 წელს მან ასევე ოქროს მედალზე დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის პროფესორის ილია წინამძღვრიშვილის რჩევით, ალექსანდრე ხახანაშვილი 1889 წელს მიიწვიეს ამ ინსტიტუტის ქართული სიტყვიერების კათედრის პროფესორად, სადაც კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. იგი, როგორც პრივატ-დოცენტი, ლექციებს

---

[1] *გოცირიძე ბ., შეწირულნი, გაზ. „გორი“, 1990, №154, 156.*

კითხულობდა აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიასა და ქართული ლიტერატურის ისტორიაში, საქალაქო გიმნაზიაში ასწავლიდა ისტორიას და რუსულ სიტყვიერებას.

ალექსანდრე ხახანაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 25 ივლისს, სამარის მახლობლად კუმისის კურორტზე. 30 ივლისს მისი ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. გარდაცვალების წინ მან ქონება, 45 ათას მანეთამდე ფული, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. გორში, ერთობის და ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში, მას ჰქონდა ორსართულიანი სახლი, რომელიც სიცოცხლეშივე გადასცა საქალაქო თვითმმართებლობას. შუახნის გორელებსაც ახსოვთ იმ სახლის ქვედა სართულში მოთავსებული საპარიკმახერო.

ა. ხახანაშვილი იყო შესანიშნავი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი და ისტორიკოსი. მას, როგორც მეცნიერს, იცნობდნენ არა მხოლოდ საქართველოში, და, საერთოდ, რუსეთის იმპერიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. დავასახელებ მის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაშრომებს: *„ქართული სიტყვიერების ისტორია“*, ტ. 1-4, 1895-1907 (რუსულ ენაზე); *„საქართველოს ისტორია“*, 1900 (ფრანგულ ენაზე); *„ქართველთა მცირე აზიაში განსახლების უძველესი საზღვრები“*, 1903 (რუსულ ენაზე); *„ქართველთა ებრაელები“*, 1907 (გერმანულ ენაზე); *„მეფე იმერეთისა სოლომონ II“*, 1910 (ქართულ ენაზე) და სხვ. მან გამოსცა დოკუმენტების რამდენიმე კრებული.

ა. ხახანაშვილმა იმოგზაურა იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, მონაწილეობდა ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში ჟენევასა (1894) და პარიზში (1897); იყო მრავალი საზოგადოების წევრი[1].

---

[1] *გოზალიშვილი გ., ქართული სიტყვიერების გამოჩენილი მკვლევარი, „მნათობი“, 1964, №1; გოცირიძე ბ., ვითარც შეჰფერის კაცსა კაცობა, გაზ. „გორი“, 1994, №3.*

# ბიბლიოგრაფია

## 1. საარქივო მასალები

**სეა – საქართველოს ეროვნული არქივი:**

ფ. 1, ს. 27; ფ. 1, ს. 312; ფ. 3, ს. 23; ფ. 4, აღწ. 5, ს. 18; ფ.5, ს. 194; ფ. 7, ს. 434; ფ. 7, ს. 963; ფ. 8, ს. 4744; ფ. 9, ს. 462; ფ. 10, ს. 2786; ფ. 10, ს. 2786; ფ. 16, ს. 7097; ფ. 16, ს. 8504; ფ. 16, ს. 1064; ფ. 48, ს. 1067; ფ. 16, ს. 8504; ფ. 16, ს. 1064; ფ. 16, ს. 8504; ფ. 16, ფ. 16, საქმე 8504; ფ. 10, საქმე 3109; ფ. 12, ანაწ. 6, საქმე 133; ფ. 16, საქმე 2420; ფ. 16, საქმე 51; ფ. 16, საქმე 7097; ფ. 16, საქმე 7097; ფ. 16, საქმე 8504; ფ. 16, ს. 1064; ფ. 16, ფ. 48, ს. 1067; ფ. 16, ს. 8504; ფ. 16, ს. 1064; ფ. 17, ს. 3018; ფ. 17, ს. 8962; ფ. 19, ს. 275; , ფ.23, ანაწ.1, ს. 1727; ფ. 28, ანაწ. 1, ს. 611; ფ. 28, ანაწ. 1, ს. 1524; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 61; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 314; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 433; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 533; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 664; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 888; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 1524; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 1720; ფ. 29, ანაწ. 1, ს. 1727; ფ. 34, ს. 40; ფ. 34, ს. 407; ფ. 34, ს. 2279; ფ.. 38, ს. 1413; ფ. 48, ს. 828; ფ. 34, ს. 3290; ფ. 48, ს. 1067; ფ. 107, ს. 82; ფ. 152, ს. 6; ფ. 152, ს. 904; ფ. 152, ს. 5679; ფ. 152, ს. 7424; ფ. 152, ს. 8424; ფ.159, ს. 5679; ფ. 159, ს. 697; ფ. 175, ს. 817; ფ. 175, ს. 1081; ფ. 175, ს. 2138; ფ. 175, ს. 2073; ფ. 159, ს. 5679; ფ. 414. ს. 9; ფ. 414, ს. 18; ფ. 214, ს. 1312; ფ. 214/218, ს. 1380; ფ. 416, ანაწ. 3, ს. 442; ს. 455; ს. 664; ს. 1362; ს. 1458; ფ. 1648, ს. 89; ფ. 1648, ს. 237; ფ. 1648, ს. 1588; ს. 1920.

**ხეც – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

№2122; №2124; №2128

**გსიემ – გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი:**

№533; №535; №840; №7782; №7486; №7782, ფ. 223., 263, 276, 311, 318, 334, 356, 363, 373; №8074/1; №8074/4; №8074/8; №8074/II; №8074/13ფ. 142, 145, 151, 180, 205.

## 2. სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, პერიოდიკა

აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალ-ხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1992

აბესაძე ნ., ქ. გორის ხელოსანთა ამქარი // მასალები საქარ-თველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVIII სს., თბ., 1972

აბრამიშვილი ვ., გორიჯვარი, გორი, 1994

აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლინიძემ, თბ., 1976

აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი // აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973

აკოფაშვილი გ., საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII ს. დასასრულს // ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 1, თბ., 1955

აბუაშვილი ლ., გლოვის ზარის ხმა გორში, „გამარჯვება“, 1991, 27.1.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I. / ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009

ალაზნელი ი., შესართაველი ფალავნები, 1963

ალანია ნ., პირველი ქართული გაზეთი გორში // „ლიახვი“, გორის ახალგაზრდა მწერალთა კრებული, 1963

ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“) / რუსული ტექსტი ხელნაწერის მიხედვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969

ალიმბარაშვილი ს., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები” // ინტერდისციპლინარული არქეოლოგია, II, თბ., 2013

ალიმბარაშვილი ს., დიმიტრი ბაქრაძისა და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა // II საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართული ხელნაწერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013

ალიმბარაშვილი ს., ქართული არქეოლოგიის სათავეებთან (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი), // გორის სს უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 5, თბ., 2014

ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია, თარგმანი გ. ქიქოძისა, „მნათობი“, 1939, №8

ამილახვარი ნ., პარაკლისი და დაუჯდომელი წმინდა იოთამ ზედგინიძისა, მეფისათვის თავდადებულისა. ამილახვრები, თბ., 2013

არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938

ანთელავა ი., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984

არჩილი, თხზულებათა სრული კრებული / ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, თბ., 1937

ასათიანი ლ., ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933

„ახალი ქართლი“, 1914, №2; 1915, №21; 1915, №46; 1916, №46.

ახობაძე მ., საბატონო ყმების მოძრაობა გორის მაზრაში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857-1864 წ.წ.) // „მოამბე“, 1, 1962

ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. // დავით და ბაგრატ ბაგრატიონები, საქართველოს ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941

ბარათაშვილი იასე ოსეს ძე, ცხოვრება-ანდერძი // ა. იოსელიანის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ., 1950

ბერძენიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევარის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980

ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით) // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973

ბრძენი აღმოსავლეთისა, გამოსცა ე. თაყაიშვილმა, „მოამბე“, 1902, №2

ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960

ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, თბ., 1965

გაბაშვილი ტ., მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956

„გამარჯვება“, 1971, №190; 1972, №73; 1991, №27.1

გაჩეჩილაძე თ., კაცი-ლეგენდა // გაზ. „გამარჯვება“, 1972, №73

გაჩეჩილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბ., 2004

გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს. დოკუმენტებისა და მასალების კრებული / შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942

გვრიტიშვილი დ., გორის ისტორია, თბ.. 1954

გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერობის ისტორიიდან, თბ., 1955

გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში (გივი ამილახვარის აჯანყება) // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. III, თბ., 1953

გოგიაშვილი ა., რკინის რიტუალური ნივთები ეროვნული მუზეუმის ფონდში. // კრებულში „ეთნოლოგიური ძიებანი“ ტ. IV, თბ., 2010

გოგოლაძე დ., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წ.წ.). თბ., 1959

გოგოლაძე თ., გორელები დიდ მგოსანს, „გამარჯვება“, 1974, №85.

გოგოლაძე თ., სოფრომ მგალობლიშვილი და გორი, „გამარ-ჯვება“, 1981, №87

გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტფ., 1935

გოზალიშვილი გ., ქართული სიტყვიერების გამოჩენილი მკვლევარი // „მნათობი“, 1964, №1

გოცირიძე ბ., ვითარც შეჰფერის კაცსა კაცობა, გაზ. „გორი“, 1994, №3

გოცირიძე ბ., დიდი სიკეთე, „გამარჯვება“, 1989, №80

გოცირიძე ბ., აკაკი და გორი, „გამარჯვება“, 1989, №153.

გოცირიძე ბ., შეწირულნი, გაზ. „გორი“, 1990, №154, 156

გოცირიძე ბ., მკითხველის სახელით, „გამარჯვება“, 1990, №55

გოცირიძე ბ., „მანდილოსანი“, გორში, „გამარჯვება“, 1990, №60

გოცირიძემ ბ., სადაურსა სად წაიყვან... „გორი“, 1993, №39

გრიშაშვილი ი., ტ.II, ლექსები, 1922-1961, თარგმანები, თბ., 1962

გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1985

გუგუშვილი პ., ალექსანდრე ამილახვარი, როგორც პოლი-ტიკური მოღვაწე, მწერალი, მოაზროვნე, თბ., 1936

გუგუშვილი პ., სოფლის მეურნეობა და აგრარული ურ-თიერთობანი (წყაროები და მასალები), 1, თბ., 1938

გუგუშვილი პ., ამქრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასი-აში, თბილისი, 1953

გუგუშვილი პ., ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941

გუგუშვილი პ., ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა (1801-1864) // საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვი-თარება XIX-XX სს. II, თბ., 1956

გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, III, თბ., 1959

გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX ს.ს. // VII თბ., 1984

დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება / ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 176

დავითაშვილი შ., ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, ტფ., 1933

დიუმა ალ., კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი // თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, თბ., 1964

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. II (XV-XIX სს.), ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1953

დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.) / შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბ., 1977

დგებუაძე-ფულარია ფ., მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში, სოხუმი, 1957

„დროება“, 1871, №22; 1871, №18, №22, №35, №40; 1872, №14; 1874, №412; 875, №45; 1875, №65; 1876, №66; 1876, №138; 1877, №4; 1877, №10; 1879, №119; 1879, №251; 1880, №77; 1881, №136; 1881, №92; 1881, №182; 1882, №45; 1882, №61; 1886, №5; 1918, №48.

დუმბაძე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950

ვარძელაშვილი შ., ზოგი რამ გორში კინოს ისტორიიდან // გაზ. „გამარჯვება“, 03, 08. 1978.

თავდიშვილი მ., გორში დაბეჭდილი პირველი წიგნი, „ლიახვი“, 1982

თავზიშვილი გ., ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1963

თავზიშვილი მ., სახალხო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1801-1871, თბ., 1948

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1904

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995

„თბილისის მოამბე“, №265.

„თეატრი და ცხოვრება“, 1914, №13.

თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983

„თემი“, 1912, №103.

თუთაევი აღ., წერული რედაქციას (დავით ზუბალაშვილის ბიოგრაფია) // ივერია, №126, 01. 06. 1904, გვ. 3.

„ივერია“, 1877, №10; 1877, №41; 1879, №6; 1881, №9; 1886, №16; 1887, №87; 1888, №61; 1889, №4;1899, №142; 1889, №165; 1899, №196; 1890, №126; 1891, №65; 1892, №21-24; 893, №4; 1893, №39; 1893, №102; 1894, №180; 1898, №261; 1898, №71; 1898, №280; 1901, №766; 1902, №167; 1903., №137.

ილარიშვილი ე., 1920 წლის მიწისძვრა გორში // „მუზეუმის მატიანე“. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გაზეთი, №1, 2017. 03.

იმნაიშვილი რ., კამო. ბიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1955;

იოსებ სააკაძე, დიდმოურავიანი, სტრ. 48

იოსელიანი პლ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978

კასრაძე დ., გორის ციხე, თბ., 1962

კარბელაშვილი ა., გორის უნიკალური რუქა, „გამარჯვება“, 1972, №24.

კარბელაშვილი ა., პირველი ტელეგრაფი გორში, „გამარჯვება“, 1971, №84

კარბელაშვილი პ., ამილახვართა საგვარეულო ისტორიული გუჯრები // ძველი საქართველო, II, ტფ. 1913

კაჭახიძე ბ., შიო მღვიმელის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1939

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958

კეკელიძე მ., გორის სამასწავლებლო სემინარია, თბ., 1955

კეცხოველი ნ. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში // საქ. მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1957

„კვალი“, 1894, №20; 1896, №35.

კიკნაძე ვ., ალექსანდრე ამილახვარი და ევროპელი განმანათლებლები // „მნათობი“, 1993, №1

კლიმიაშვილი აკ., მასალები XV-XVIII სს ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის // XV-XVIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964

„კოლხიდა“, 1912, №64.

კოშუაშვილი კ., ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის გორში // „გამარჯვება“, 1971, №64

კუცია კ., ნადირ-შაჰი და საქართველო // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002

„ლელო“, 1953, №25, 11.

ლეონიძე გ., ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949

„ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, №20.

ლომოური ნ., მოთხრობები / ს. ხუციშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და რედაქციით, თბ., 1951

ლომსაძე შ., გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979

ლუკაშვილი ე., ძველი გორის მოკრივეები // ჟურნ. „დროშა“, 1969, №5(390).

მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბ., 1994

მაისურაძე გ., გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX ს. პირველი მეოთხედი) // „მაცნე“, 1979, №2

მასალების კრებული ტფილისის გუბერნიის აღწერისათვის, ტფ., 1870

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1937

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. 1

მგალობლიშვილი ს., მოგონებები, თბ., 1938

„მეგობარი“, 1906, №18; 1907, №37.

მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, ნაკვ. 1

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1986

მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XII ს.ს.), თბ., 1962

მეტრეველი ელ., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა // კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962

მეღვინეთუხუცესოვი დიმ., სადილი გორის უეზდის კეთილშობილ საზოგადოებათა, „ცისკარი“, 1860, №4

მირზა ხანლარ ხან ე’თესამ ალ-მოლქი და მისი მოგზაურობის წიგნი // საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბ., 2016

„მიწა მიწის მუშას“, ტფ., 1907.

„მოგზაური“, 1905, №7; 1905, №11; 1905, №17; 1902, №57.

მღებრიშვილი ა., გორი XIX ს. რუსულ წყაროებში, თბ., 2014

ნაკაშიძე რ., ფარსადან გორგიჯანიძის ბიოგრაფიისათვის // „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1983

ჟორდანია გ., დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983

პავლიაშვილი დ., მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1962

პაპისიმედოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის 1800-1864 წწ. ნაწ. 1 // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1, თბ., 1940

პაპისიმედოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრა-ფიული სახ. მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1945

პაპისიმედოვი ი., ნანახი, მოსმენილი, გაგონილი, თელ-ავივი, 1986

პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი / ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები ე. ცაგარეიშვილისა, თბ., 1981,

პარკაძე გ., წითელი და შავი რაზმი ქართლში // „პროლეტა-რული რევოლუცია“, 1940, №2

პირადოვი ბ., მ. გორკი და გორის „ყაჩაღები“ (დოკუმენტები) // საისტორიო მოამბე, 9, თბ., 1856,

„პროლეტარი“, 1905, №1.

„საისტორიო მოამბე“, II, 1925

საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენ-ტებში, სტამბული, 2012

საქართველოს იტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 35

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1970

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, თბ., 1972

„სახალხო გაზეთი“, 1812, №704.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწ. II

სტატისტიკური მონაცემების კრებული ამიერკავკასიის შესახებ

სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732) / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინო-ლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზ-ადა ნ. შენგელიამ, თბილისი, 2008

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახ. მუზეუმის შრომები, I, თბ., 1940

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახ. მუზეუმის შრომები, III, თბ., 1945

საქართველოს სიძველენი, II, ტფ., 1909

საქართველოს სიძველენი, III, ტფ., 1910

საქართველოს ცხოვრება სეხნია ჩხეიძისა / ქართლის ცხოვრება, II / ჩუბინაშვილის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854

საძაგლიშვილი გ., პირველი კინო გორში // გაზ. „სტალინელი“, 1940, №36 (707)

სეიფ ად'დოულე და მისი მოგზაურობის წიგნი // საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბ., 2016

სოფრომ მგალობლიშვილი, გ. თავზიშვილის შესავალი წერილი, თბ., 1951.

სულიაშვილი დ., მოგონებანი ძველ გორზე „ლიტერატურული მატიანე“, 1940, №1-2.

ტოლიჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წ.წ. / რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970.

უთურაშვილი ი., გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში, თბ., 1957

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, II, 1925

ქართულ-სპარსული საბუთები. ტექსტი დაადგინა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955

ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2012

„ქართლი“, 1912, №1; 1912, №29; 1912, №34; 1912, №66,

ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ II, თბ., 1959

ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბ., 1975

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბ., 1977

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II / საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XI სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ თბ., 1965

ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) / ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970

ქერდიყოშვილი ი., ხეობის მეორე სიცოცხლე, „გამარჯვება“, 1973, №419

ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, თფ., 1897

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე) / გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბილისი, 1967

შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960

ყაუჩხიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957

ჩიტაია გ., ამიერკავკასიის პირველი ტელეგრაფი // „გამარჯვება“, 1970, №147.

ჩორნი ა. იეჰუდა, მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია). ებრაულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ი. დავიდმა // დავიდი ., „ნაწერები“, I, თელ-ავივი–იერუშალაიმი, 1976

ცაგარელი ა., კომედიები, თბ., 1936

„ცისკარი“, 1860, №4; 1865, №10; 1865, №10.

„ცნობის ფურცელი“, 1897, №165; 1898, №655; 1899, №865.

ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986

ჭავჭავაძე ი., წერილები მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, თხზ. ტ. II,

ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, თბ., 1903

ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფილისი, 1905

ჭიჭინაძე ზ., ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, ტფ., 1903

ჭიჭინაძე ზ, უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა, ტფ., 1898

ხაჭაპურიძე გ., 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955

ხაჭაპურიძე გ., საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), II, თბ., 1958

ხიზანიშვილი ს., მცირე მოგონება // „გამარჯვება“, 1973, №63

ხოშტარია ე., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ. 1966.

ხუბუა მ., „ხანჯალური“ და „დადიანური“ // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1938

ხუნდაძე ტ., საერო განათლება საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში // განათლების ისტორია საქართველოში, თბ., 1937

ხუციშვილი ი., გორის მაზრის რევოლუციური გლეხობის 1905 წლის ერთი მოთხოვნის შესახებ // „საქართველოს კომუნისტი“, 1963, №6

ხუციშვილი მ., გორელი ოქრომჭედლები და გრიგოლ ორბელიანის საპატიო წოდებანი // „ლიახვი“, 1968

ხუციშვილი მ., გორის ქუჩები, „ლიახვი“, გორი, 1976

ჯავახიშვილი თ., გორი ჩემს მეხსიერებაში // „გამარჯვება“, 1970, №13.

ჯავახიშვილი ი., ფიროსმანი და ქართლი // „გამარჯვება“, 1969, №112.

ჯავახიშვილი ი., იეთიმ გურჯი გორში // „გამარჯვება“, 1969, №113.

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, თბ., 1934

ჯულაბაშვილი ლ., თედო სახოკია-ქართლისა და გორის მოამბე // „გამარჯვება“, 1968, №33

ჯავახიშვილი ნ., აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინების ისტორიისათვის // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბ., 2011

ჰოსამ ას-სალთანე და მისი მოგზაურობის წიგნი // საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ, თბ., 2016

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. I, Тиф.,, 1866

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т.II, Тиф., 1868

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссиею, т. III, Тиф., 1866

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссиею, т. IV, Тиф., 1866

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. V, Тиф., 1873

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию,т. VII, Тиф., 1878

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. VIII, Тиф., 1878

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. X, Тиф., 1885

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию, т. XI, Тиф., 1888

Акты собранные Кавказскою Археграфическою Комиссию,т. XII, Тиф., 1904

Анлреев В., Воспоминания из кавказской старины // «Кавказский сборник», г. Тиф., 1876

Антелова Государственные крестъяне Грузии в первой половине XIX века, Тб., 1955

Арустамян М., В семье Россиской Империи. Второе изд., Санкт-Петербург, 1891, табл. 47. Численность жителей уездного города Гори. Перепись населения Декабрь 1880 года

Бухникашвили Г., Гори, Тб., 1952

Владыкин М., Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу. В 2 ч. Изд. 2-е, дополненное и исправленное. С приложением карты Кавказа с железными дорогами. Ч. 1–2. М., 1885

Воронов Н. И., Сборник статистических сведений о Кавказе (издаваемый Кавказским Отделением императорского Русского Географического Общества), т. I, Тифлис, 1869

Ведомост Горийского коменданта маиора Реиха состоящих вверенном мне города разного звания люди с показанием порозн какого названия (за 1804 год), gsiem #7486

Г. Гори и его окрестные достопримечательности (из путевых впечатлении) // «Кавказ», 1887, #117-118.

Гори древняя столица Карталинии // «Московский телеграф», 1833, №16, август

Гугушвили П. В., Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX-XX вв., т. 1, Тбилиси, 1968

Державин Н., Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современно йэтнографии // Язык и литература, ч. 2, вып. 1-2, 1926

Джавахов А., Гори и его окрестности // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа СМОМПК, вып. 2, Тиф., 1881

Джанашвили М., Гори // Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (**СМОМПК)** , Тиф. 1904. вып. 34.

Документы по истории Грузии (1860-1917), т. 1, ч. 2 / Под редакции Ш. Чхетия, с. 58.

Документы по истории Грузии (1860-1917), т. 2

Евецкий О., Статистическое описание Закавказского края, СПБ, 1835.

Ермаков Е., Очерки Кавказа. Картины Кавказской старины, природы и истории, СПБ, Москва, 1887

Из взаимоотношений Мари Броссе и Димитри Мегвинетхуцесишвили // «Писменные памятники Востока» //Институт восточных рукописей Российский Академии наук, № 20, Москва 2014

«Кавказ», 1850, #20; 1853, #13; 1853, #85; 1855, №54; 1857, #39; 1860, #63; 1872, #33; 1880, #225; 1881, #198; 1882, #126; 1895, #16; 1893, #33; 1893, #110; 1893, #126; 1895, #154; 1893, #315; 1895, #155.

«Кавказское обозрение», №13, 1877.

Кавказский календарь, 1849 г.

Кавказский календарь, 1852 г.

Кавказский календарь, 1853 г.

Кавказский календарь, 1853 г., отд. 2

Кавказский календарь, 1868 г.

Кавказский календарь, 1870 г.

Кавказский календарь, 1913 г.

Кавказский календарь,, 1917 г.

Ленинградская публичная библиотека, «Бумаги Елпидова», т.6, л.154,

Мачабели С. И., Экономический быт государственных крестъян Горийского уезда, т. 6, 1887

Муравьев А., Грузияи и Армения, СПб, 1848.

«Новое обозрение», 1893, №3103, №3333, №13357; 1893, №3320; 1893, №3357; 1896, №4163.

«Новое обозрение», 1896, №4339.

Обозрение российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом и финансовом высочаишему соизволению, ч. 2, СПБ, 1836

Парсадан Горгиджанидзе, История Грузии / Перевод Р. К. Кикнадзе и В. С. Путуридзе. Исследование и указатели Р. К. Кикнадзе, Тб, 1990

Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г,СПБ, 1905

Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. С. Петербург, 1861

Пипиа Б., Великие в Грузии: от аргонфвтов до Марадоны.
*https://sputnik-georgia.ru/columnists/20160601/231936377.html*

*https://sputnik-georgia.ru/columnists/20160824/233068256.html*

Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах, СПБ, т. 2,1897

Русско-грузинский словарь составленный Д. Чубиновым, Тифл., 1901

„С. Петербургские ведомости“, 26. XI, 1899, №424

Сехниа Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей») / Перевод выполнил, предисловием снабдил Н. Т. Накашидзе, Тб., 1976

Справочный энциклопедический словарь под ред. А. Стачевского, СПБ., 1855.

Сумбадзе Л., Гори, архитектурный очерк, М., 1950

«Тифлисский вестник», 1875, №70; 1875, №61.

«Тифлиский листок», 1893, №10; 1893, №150; 1893, №74, №142, №204, №268

Туманов А. Б., Описание грузинского города Гори, СПБ, 1816

Утверждение русского владичества на Кавказе, Под. Ред Потто, т. II, Тиф., 1901

Утверждение русского владичества на Кавказе, Под. ред Потто, т. IV, Тиф., 1904

Хантадзе Ш. А., Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб, 1970

Хуцишвили Я., Горийский уезд в период революции 1905-1907, Тб., 1950

Численность жителей уездного города Гори. Перепись населения Декабрь 1880 года

Klaproth I., Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den lahren 1807 und 1808, II, Halle und Berlin, 1814

# The History of Gori II (1801 – 1921)

## Summary

In the present monograph the history of Gori from 1801 is reviewed, that is from the conquest of Georgia by the Tsarist Russia, to 1921, to the second conquest of Georgia by Russia.

The History of Gori of the mentioned period is not only the chronological view of its political history, but it also covers the economic, political and cultural development of Gori, and particularly, its district.

Many scientists were interested in the analyzed period; they published monographs, articles and letters that were mostly repetitive. It is impossible to list all the works about Gori of the XIX century and the first half of the XX century. They are given in the monograph, but as the reader will see himself, many episodes of the History of Gori up to the present day either were not highlighted at all or were highlighted insufficiently. Some episodes and facts needed different interpretation. In the current work, a number of documentary and narrative sources are used for the first time.

From the above reasoning, we decided to fill the gaps in the study of the History of Gori. Let the reader judge whether we succeeded or not.

In the first book of the History of Gori, the most important question, which was highlighted among many other questions, was the importance of the town in defending not only Shida Kartli, but the whole country from the ancient times to the beginning of the XIX century. Together with the military and strategic importance of Gori, there are shown main moments of economic and cultural development of this town. We believe that the reader created a certain impression about the urban life of Gori of the mentioned period, about its population, bureaucratic apparatus etc.

In the XIX century, due to the unification of Georgia with Russia, Gori was gradually losing its main function: to be one of the important town-fortresses and defensive guards of the country. In the past, Gori was poorly connected with the outer world, even with Shida Kartli, which was stipulated by the existing political and military situation. Consequently, the district became an economic and cultural center of Shida Kartli.

Based on different sources we restored the appearance of Gori in the monograph. It is shown how the streets and squares were changed and beautified, what kind of houses and churches the town had, bridges and parks, public transport, night illumination etc.

Special attention is paid to the dynamics of Gori population of the studied period, its national and class composition. The population of Gori was rapidly growing from the 60s of the XIX century, when after the abolition of serfdom a part of the rural population was heading for the town in search of

the work. The ethnic composition of the population was also changing, if before the reform the population of the Gregorian religion prevailed, after the reform the advantage was on the side of the Orthodox people: in 1886, in Gori, the Georgians made up 53,5%, Armenians – 40%, Russians – 5,1%, Ossetians – 0,7%, Jews – 0,28%, other nationalities – 0,5%. In 1897, the Georgians made up 60%, Armenians – 20%, Russians – 12,9%, Ossetians – 0,8%, Jews – 0,4%, other nationalities – 4,1%. In 1922, the Georgians – 65,8%, Armenians – 27,1%, Ossetians – 2,2%, Jews – 2,1%, Russians – 0,8%, other nationalities – 1,0%.

In the beginning of 1920, Gori was inhabited by 18 thousand people. In February of the same year, after the earthquake, the population catastrophically decreased. There were only 5 thousand people left in the town.

From the summer of 1801, Russian government was introduced in Gori as well as in the whole of Eastern Georgia. From May 1802 Gori became a chief town. The unforeseen local traditions and customs during the changes caused a complete chaos. The town was in charge of the district officer (later the head of the district), who was the district judge at the same time. The defenders of the landlords` interests were the nobles` council and the leader of the district`s nobles. There was a new Statute on the District – Zemskaya Police, whose head was the Police Chief. There were the following officials in the town: a judicial officer, a treasurer, a land-surveyor and a doctor.

In 1876 Gori received self-government. City Legislature elected all the officials of the town`s bureaucratic apparatus, defined their salary and approved the state budget. The legislature (Duma) elected the government, which consisted of three members, and the chairman was the head of the town.

The main function of the legislature (Duma) was to manage the public service. It should have promoted the development of trade and industry, the opening of schools and libraries, charitable organizations etc.

During 1893 – 1894, based on the urban situation, big changes took place in the city government: the self-government was greatly restricted. The simplified structure was introduced. The willfulness, incompetence and wastefulness of the government caused the discontent of the population, and it sometimes turned into excesses.

In Gori, as in the district center, there was a district government, magistrate`s court, district treasury, a telephone station, a post office, a district prison, a hospital etc. There were the following Gori public organizations: “Public Council”, “The Society of Customers of Gori District”, “Gori Society of Mutual Trust”, “Mandilosani” (a Lady) and organizations of merchants and artisans. The history of establishment of each organization is given rather in

detail in the work, and also the detailed history of the emergence and development of educational centers.

There were different specialized schools in Gori. The school seminary prepared the staff for the whole Transcaucasia. There were also theological schools, district school that is public school (from 1880 it was renamed into city school), a female gymnasium, a male gymnasium, an Armenian – Gregorian School, a primary school for the Armenians and a vocational school.

In the monograph, a great attention is paid to the Gori culture of the studied period. The religious and ecclesiastical holidays, entertaining shows are analyzed rather in detail: wrestling, pugilism, "Berikaoba" (a kind of masquerade), "Keenoba" (a carnival), matinees and parties, theatre, charity, publishing etc.

We have scant information about the financial possibilities of Gori, and its income.

The first, more or less, full information about the financial situation of Gori we have of 1842, when the town`s income was 4147 rubles, 61 ½ kopeks, in 1886 – it was 8993 rubles 69 kopeks and expenses 7997 rubles, 42 kopeks, in 1887 – 1000 rubles, and expenses 12000 rubles, that is the budget was scarce, the same budget was in 1880 and in the following years.

After the unification of Georgia with Russia, till the 30s of the XIX century, despite the endless wars, natural disasters and anti-Russian acts, the country was getting into normal course of life. Trade was developing in Georgia, as well as in Gori.

In the monograph it is shown what kinds of industry were developing, what was the cost of products, the number of artisans and workers there.

A considerable influence on the economic situation of Gori had the nearby factories, particularly, the Ateni Sawmill, on the basis of which, later, a Gori Railway Sleepers Factory was set up, in the same Ateni Gorge there was a Gvarebi Glass Factory etc.

In the XIX century, the importance of the Gori trade was secured throughout Caucasus. Gori people sold the products of local artisans, east and European goods and agricultural products. The construction of the railway line, which ran through the trade center of Shida Kartli, Gori, had a negative impact, and it is shown in the work. Rather detailed information is given about the quantity and profile of outlets, product nomenclature and its cost.

One of the important chapters of the monograph is dedicated to the social and political situation of Gori and Gori district of the studied period. Peasants` revolts in the beginning of the XIX century till the 60s, the abolition of serfdom, are reviewed. The plight of serfs is shown, which caused the armed rebellions. The preparation of the abolition of the serfdom and the

active participation of Gori nobles are reviewed. It is possible to say that Gori nobles advanced rather progressive conditions for the liberation of peasants.

The sufficient place is given to the Narodnik (Populist) movement in Gori and its district. Gori became one of the considerable centers of the movement. The directions of the Narodnik movement are studied and all, more or less famous populists are described. It is evident, that Gori Populists, as well as Georgian populists, together with universally known ideas had national – liberation ideas, that`s why tsarism fought against Georgian Populists with particular cruelty. Gori Populists had a serious impact on social and cultural development of Gori of the 70-80s of the last century.

The social and political situation of Gori from the 90s, XIX century to 1921 is reviewed separately. The fight of different social layers and parties is shown, the efforts of the Bolshevik Party and the methods of taking power.

In the monograph, there was an attempt to show the participation of Gori people in numerous wars of Russian Empire. We were able to study this interesting question only according to the Crimean war, as the sources, showing the participation of Gori people in the wars of following years, particularly the Russo – Japanese war, or the First World War, are not known to us.

The work finishes with the "Famous Gori People". In the Georgian Historiography, for the first time, to whatever extent it is possible, the life and work of the representatives of Kartli powerful family Amilakhvari are given, who were the Gori governors, and the commanders of the Shida Kartli province at the same time. According to the existing information, there were 30 people from the Amilakhvari family.

In the same chapter, there are the biographies of those famous people, who were born in Gori and did something special for the town.

# ИСТОРИЯ ГОРИ II (1801-1921)

## Резюме

В настоящей монографии рассмотрена истоия Гори с 1801 года, т.е. с начала завоевания царской Россией Грузии, до 1921 года, до второго завоевания Грузии Россией.

«История Гори» указанного периода не только хронологическая передача ее политической истории, он охватывает экономическое, политическое и культурное развитие г. Гори, и частично, его уезда.

Разработанным нами периодом истории Гори интересовались многие исследователи, публикавшие монографии, статьи и письма, большей частью повторявшиеся. Невозможно перечислить все труды, написанные о Гори XIX и первой половины XX веков. Они указаны в монографии, но как убедится сам читатель, многие моменты истории Гори до сегодняшнего дня не освещались вообще или в недостаточной степени. Некоторые же моменты и факты требовали иной интерпретации. В настоящей работе впервые использованы ряд документальных и наративных источников.

Исходя из всего вышесказанного, мы вознамерились пополнить пробелы существующие в изучении истории Гори. А как достигли намеченной цели пусть рассудит сам читатель.

В первой книге истории Гори среди многих вопросов на первый план выдвинут один, особо значимый, вопрос показать значение города с недопамятных времен и до начала XIX века в деле обороны не только для Шида Картли, но, и, вообще, для всей страны. Наряду с военно стратегическим значением Гори показаны и основные моменты экономического и культурного развытия этого города. Думаем у читателей создалось определенное представление о городской жизни Гори указанного периода, о его населении, чиновническом аппарате и др.

Настал XIX век и Гори в результате воссоединения Грузии с Россией постепенно потерял свою прежнюю основную функцию: быть одним из значительнейщих городов-крепостей и оборонным стражем страны. Раньше Гори был связан с внешным миром сравнительно слабо, даже с Шида Картли, что обусловливалось сушествующей политической военной обстановкой. В следствие в уездный город и стал экономическим и культурным центром Шида Картли.

Опираясь на разные источники в монографии нами восстановлен внешный облик Гори. Показано как менялись и благоустраивались его улицы и площади, какими были его жилые дома и церкви, мосты и парки, городской транспорт, ночное освещение и др.

Особого внимания заслуживает динамика населения Гори изучаемого периода, его национальный и сословный состав. Население Гори особо быстро росло с 60-х годов XIX века, когда после отмены крепостного права одна часть сельского населения уходит в город поисках работы. Меняется и этнический состав населения, если до реформы в Гори преобладало население григорианского вероисповедания, то после реформы – преимущество на стороне православных: В 1886 году в Гори грузины составляли 53,5%, армяне – 40%, русские-5,1%, осетины – 0,7%, евреи-0,28%, другие национальности – 0,5%. В 1897 году грузины составляли 60%, армыне – 20%, русские – 12,9%, осетины-1,8%, евреи-0,4%, другие национальности – 4,1%. В 1922 году грузины-65,8%, армяне-27,1%, осетины-2,2%, евреи-2,1%, русские-0,8%, другие национальности-1,0%.

В начале 1920 года в Гори проживало 18 тысяч человек. В феврале того же года, после случившегося землетресения, население катастрофически уменшилось. В городе осталось только 5 тысяч человек.

С лета 1801 года в Гори, как и во всей Восточной Грузии, было введено русское правление. С мая 1802 года Гори стал уездным городом. Непредвидение местных обичаев, обрядов и нравов во время праведения вызвало полный хаос. Во главе уезда стоял глава округа (в дальнейшем начальник уезда), который одновременно был и уездным судьей. Защитниками помещичных интересов выспупали дворянское собрание и предводитель уездного дворянства. Существовала земская полиция, которой руководил полицмейстер. В городе должностными лицами считались также судейский чиновник, казначей, землемер и врач.

В 1876 году Гори получил самоуправление. Городская Дума избирала всех должностных лиц городского чиновничьего аппарата, определяла их зарплату, утверждала городской бюджет. Дума избирала правление, которой состояло из трех членов и председательствовал глава города.

Главная функция Думы заключалась в руководстве коммунальным хазяйством. Она должна была способствовать развитию торговли и промышленности, открытию школ, библиотек, благотворительных учреждений и т.д.

На основе городского положения за 1893-1894 годов в управлении города произошли большие изменения: самоуправление сильно ограничилось. Была введена его упрощенная структура. Самовольство, некомпетентность и расточительство вызывали недовольство населения, что иногда переходило в эксцессы.

В Гори, как уездном центре, были уездное управление, мировой суд, уездное казначейство, телефонная станция, почтовая контора, уездная тюрьма, госпиталь и др. Горийские общественные организации: «Общественное собрание», «Общество потребителей Горийского уезда», «Горийское общество взаимного

доверия», «Мандилосани» («Дама») и организации купцов в ремесленников. В труде довольно подробно передана история образования каждой из этих организаций, а так же подробная история возникновения и развития просветительских центров.

В Гори существовали училища различного характера. Учительская семинария готовила кадры для всего Закавказья. Существовали также духовные училища, уездное, т.е. народное училище (с 1880 года было переименовано в городском училище), женская гимназия, мужская гимназия, армяно-григорянское училище, начальная шкода для армянков, ремесленное училище.

В монографии уделено большое место горийскои культуре изучаемого периода. Довольно подробно рассмотрены религиозно-церковные праздники, развлекательные зрелища: борьба, кулачный бой, «берикаоба» (вид маскарада), кееноба (карнавал), утренники и вечера, театр, благотворительность, печатное дело и др.

О финансовых возможностях Гори, о его доходах распологаем скудными сведениями.

Первую, более или менее, полную информацию о финансовом положении Гори знаем за 1842 год, когда доход города составил 4147 руб., 62 1\2 коп., в 1866 году-8993 руб.69 коп. и 7997 руб. 42 коп. в 1887 году-1000 руб. и расход 12000 руб., т.е. бюджет был дефицитным, таким же бюджет был в 1880 году и последующих годах.

После воссоединения Грузии с Россией и до 30-х годов XIX века не смотря на нескончаемые войны, стихийные бедствия, антирусские выступления, и др., страна входила в русло нормальной жизни. Развивалось ремесло во всей Грузии, а так же и в Гори.

В монографии показано какие отрасли развивались, какая была стоимость выпускаемой продукции, количество занятных в них мастеров и работников.

На экономическое положение Гори значительное влияние оказывали поблизости существующие производства, в частности-Атенская лесопильная фабрика, на базе которой позже был создан Горийский шпалопропиточный завод, в том же Атенском ущелье Гваребский стекольный завод и др.

В XIX веке свое торговое значение Гори сохранил по всему Кавказскому масштабу. Горийцы торговали изделиями местных ремесленников, восточным и европейским товаром и сельскохозяйственными продуктами. В труде показано как отрицательно повляло вначале проведение железнодорожной линии по Гори, как по торговому центру Шида Картли. Приведены довольно подробные сведения о количестве и профиле торговых точек, о номенклатуре товара и его стоимости.

Одна из значительных глав монография уделена социально-политической обстановке Гори и Горийского уезда изучаемого периода. Рассмотрены крестьянские выступления в начале XIX века до 60-х годов, до отмены крепостного права. Показано бедственное положение крепостных, что вызывало их вооруженные выступления. Рассмотрена подготовка отмены крепостного права и активное участие в ней горийских дворян. Можно мказать, что горийские дворяне выдвинели довольно прогрессивные условия освобождения крестьян.

Достаточное место уделено народническому движению в Гори и в его уезде. Гори превратился в один из значительных центров движения. Изучены направления народнического движения и описаны все более или менее известные народники. По материалам видно, что горийские народники, как и грузинские народники вообще, вместе со всеобщеизвестными идеями движения ставили и национально-освободительные, поэтому царизм с особой жестокостью боролся против грузинских народников. Горийские народники оказали серъезной вляние на социально-культурное развитие Гори 70-80-х годов прошлого столетия.

Отдельно рассматривается социально-политическая обстановка Гори с 90-х годов XIX века до 1921 года. Показана борьба различныз социальных слоев и партий, усилие большевитской партии и методы завоевания власти.

В монографии попытались показать участие горийцев в многочисленных войнах Российской империи. Изучить этот интересный вопрос смогли лишь по Крымской войне, так как источники, отражающие участие горийцев в войнах последующих периодов, а особенно в русско-японской и Первой мировой, нам не известны.

Труд заканчиается «Известными горийцвми». В грузинской историографии впервые, по возможности, даны жизнь и деятельность тех представителей картлийской могущественной фамилии-Амилахвари-которые являлись управителями Гори и в то же время полководцами воеводства Шида Картли. По отыщенным нами материалам из фамилии Амилахвари таких было 30 человек.

В той же главе биографии тех известных людей, которые родились в Гори и сделали что-то особенное для своего города.

# სახელთა საძიებელი

**პირთა სახელები:**


ა

აბაზაძეები 360

აბაზაშვილი კაკა 214

აბაშიძე დავით 90, 424

აბაშიძე დიმიტრი 324

აბაშიძე ვასო 141

აბაშიძე ტასო 141

აბდალაძე ალ. 35, 51

აბესაძე ნ. 152, 339, 532

აბიხი 283

აბრამიშვილი ა. 535

აბრამიშვილი ვ.. 238

აბუაშვილი ლ. 231, 246, 460, 492

აბუევა 175

აბუევი იაკობი 171

აბულაძე გიორგი 149

აბულაძე ც. 37, 124, 125

ადიშევსკი 352

ავაზნელი ბეჟან 149

ავაზნელი ივანე 149

ავალიშვილი გიგო 331

ავალიშვილი გიორგი 327, 425

ავალიშვილი ვანო 193

ავალიშვილი ი. 187

ავალიშვილი ი.მ. 250

ავალიშვილი ნიკო 448

ავალიშვილი ქაიხოსრო 386

ავალოვი გიორგი 424

ავალოვი გლახა 423

ავალოვი ივანე 185

ავთანდილი 388

ავიტაბილე დონ პიეტრო 8, 96, 98, 100, 101, 103, 189, 209, 215, 216, 218, 257, 272, 282, 316, 349, 351, 386, 400, 409, 410, 417, 418, 444, 465, 472

აზაროვი 336

აზიანი ნატალია 447

აკაშვილი სოლომონ 379

აკბარ მოყადასი 219

აკოფაშვილი დ. 229

ალაპაშვილი ზაალი 372, 373

ალასანია გ. 78

ალაძე ალექსი 271

ალბრანდსი კ. 125

ალექსანდრე ბატონიშვილი 373, 418

ალექსანდრე გიორგის ძე როტინოვი 24

ალექსანდრე დიუმა 9, 10, 17, 25, 73

ალექსანდრე ერისთავი 52

ალექსანდრე I დიდი, საქართველოს მეფე 110, 160, 387, 391, 411, 422

ალექსანდრე II, იმერეთის მეფე 29, 51, 52, 85, 113, 325, 393, 394, 443

ალექსანდრე III 50, 52-54, 485

ალექსანდრე მაკედონელი 20

ალექსანდრე უვაროვი 197

ალექსანდრე ფრონელი 251

ალექსეი ვოლკონსკი 425-427

ალექსიძე გიგლა 361

ალექსიძე ზ. 87

ალიბეკოვი ისქანდერ 185

ალიმბარაშვილი ს. 344, 345, 448, 471, 472, 481, 482, 491, 494

ალიხანოვი იაგორი 435
ამატუნი 239, 240
ამილახვარი ავთანდილ I 377
ამილახვარი ავთანდილ II 393
ამილახვარი ავთანდილ III 405
ამილახვარი ალექსანდრე 376, 408-409, 429, 445, 430
ამილახვარი ამირინდო I 54
ამილახვარი ამირინდო II 137, 143, 189, 297
ამილახვარი ანა 50, 54, 140, 232
ამილახვარი ანდუყაფარ I 95
ამილახვარი ანდუყაფარ II 111, 114, 341, 342, 377, 378, 379, 381, 384, 497
ამილახვარი ანდუყაფარ III 405
ამილახვარი ბარბარე ივანეს ას. 140
ამილახვარი ბარძიმ 394, 395, 319, 386
ამილახვარი ბეჟან 400-401
ამილახვარი გივი 127, 403-404, 412
ამილახვარი გიორგი 109, 347, 357, 408-411, 419, 421-429, 433
ამილახვარი დიმიტრი 320, 408, 410, 433, 434
ამილახვარი თაყა 390, 392, 393
ამილახვარი იასე 414
ამილახვარი ივ. 78
ამილახვარი ივანე გიორგის ძე 13, 50, 54, 68, 430, 430-432
ამილახვარი იოთამ 112, 400-401, 404
ამილახვარი ნანა ივანეს ას. 79
ამილახვარი ნ.გ. 352
ამილახვარი ნიკოლოზ 411, 323
ამილახვარი ოთარ რევაზის ძე 77, 387, 389, 412, 414-421, 427
ამილახვარი პაპუნა 395, 397, 398
ამილახვარი რევაზ 76, 320, 412-413
ამილახვარი სიაოში 393
ამილახვრები 320, 322, 360, 383-385, 387
ამირანაშვილი პეტრე 460
ამირანაშვილი ს. 478, 479
ამირანაშვილი შოთა 482, 483
ამირადოვი 197, 325
ამირეჯიბი 320
ამირეჯიბი ზაზა 423
ამირეჯიბი მაკინე 237, 242
ამირეჯიბი ქუცნა 452
ანდრია 441
ანდრონიკაშვილი ადამ 425
ანდრონიკაშვილი ა. 122-123
ანდრონიკაშვილი დიმიტრი 425
ანდრონიკაშვილი ვლადიმერ ვალერიანის ძე 186
ანდრონიკაშვილი ზ. 373, 378, 380
ანდრონიკაშვილი რევაზ 411
ანდრონიკოვი ივანე 420
ანტონ კათალიკოსი 441, 444
ანტონიო ჯარდანა 465
ანტონოვი ზურაბ 325
არაბაშვილი სოსო 271
არაქელ დავრიჟეცი 86, 87, 91-93, 214

არველაძე კირილე ივანეს ძე 186, 193
არუთინაშვილი მ. 109
არქანჯელო ლამბერტი 200
არშაკუნი 239
არჩვაძე გიორგი 379
არჩვაძეები 147
არჩილ მეფე 485, 486
ასან-მირზა 407
ასლანოვი ზაქარია 185
ატანელოვი 359
აფაკო დოკხიევი 343
აფაქუიძე ა. 21, 22, 212
აფხაზიშვილი ილია 179
აჯი ჩელები 412

**ბ**

ბაგრატ III 220
ბაგრატ IV 549
ბაგრატ V 192
ბაგრატ VII 392
ბაგრატ ბატონიშვილი 372, 373
ბაგრატიონი პეტრე 372
ბაგრატიონ-მუხრანსკი ნ. 305
ბადალაშვილი არსენ 379
ბაზალაძე გ. 319
ბათიაშვილი შაქრო 237
ბათირაშვილი ოლია 239
ბაიაძე გერო 329, 331
ბაიაძე ვასო 230
ბალიაშვილი ვასილ 346
ბალიაშვილი სიმონ 271
ბასილაშვილი ნატალია 237
ბასილაშვილი პაატა 403
ბარათაშვილი დავით 436
ბარათაშვილი ი. 242
ბარათაშვილი ნ. 438
ბარათაშვილი რევაზ 400, 417
ბარათოვი ზაალი 411
ბარამაშვილი 60
ბარბარე 452
ბარზი 393
ბარნოვი ვასილ 252
ბატონიშვილი დავითი 416-417, 419, 424, 457
ბატონიშვილი დიმიტრი 437
ბატონიშვილი ვახტანგ 416-417
ბატონიშვილი თამარი 397, 399, 400
ბატონიშვილი თეიმურაზ 417
ბატონიშვილი იულონი 416, 418, 419, 422, 423,425, 427
ბატონიშვილი მირიანი 416
ბატონიშვილი პაატა 409
ბატონიშვილი ფარნაოზ 417, 422-423, 425, 427-428
ბაუერი 123, 355
ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე 169
ბაჟენოვი ა. 234
ბებიაშვილი გიორგი 271
ბებუთოვი 378, 380
ბებუთოვი ვასილ იოსების ძე 19, 20, 51
ბეგთაბეგიშვილი 109, 484
ბეგთაბეგოვი გ. 116
ბელენკო-გოდერძიშვილი ნ. 448, 471, 478
ბელიაევი 166
ბერი ეგნატაშვილი 74, 91
ბერიჯანოვი 78
ბერძენიშვილი დ. 32
ბერძენიშვილი ი. 20, 23, 38, 48, 140, 142, 179, 225
ბერძენიშვილი მ. 318, 521, 522
ბერძენიშვილი ნ. 14, 16, 23, 28, 31, 40, 54-56, 60, 134, 139, 140, 149, 158, 160, 203, 304-306, 314, 339, 455, 456, 505

ბეჟანი 393, 474
ბეჟანისშვილები 384
ბიბილური გიორგი 58, 165
ბიხოლტი 283, 285
ბოკერია ლევან 357
ბონაპარტე ლუსიენ 372
ბოჭორაძე გ. 215
ბუაჩიძე გ. 457
ბუბულაშვილი ე. 514-516
ბუნიაშვილი ალექსანდრე 23
ბურნაშევი 325
ბურნიკოვი 160
ბურჯანაძე ნინო 175
ბურჯანაძე შ. 87, 148, 513
ბურჯანაძე პავლე 138, 166, 234, 236, 327, 332
ბუტენკო პ. 138
ბუხნიკაშვილი გ. 232, 301
ბუხნიკაშვილი ზ. 448

## გ

გაბაშვილი ბ. 329
გაბაშვილი ეკატერინე 234, 252, 452, 453
გაბაშვილი ელისაბედ 317
გაბაშვილ ვ. 184, 191, 253, 254, 285
გაბაშვილი ტ. 392
გაბიჩვაძე ა. 37, 155, 157, 179, 183, 223, 226, 231, 233, 295, 338, 349, 350-353, 357, 362
გაბიჩვაძე ვარლამ 380
გაბლოშვილი ალექსანდრე 333
გაბოძე სოლომონი 320
გაბრიელიძე დავით 345
გაბუნია 369
გაბუნია ლევან 238
გაბუნია მ. 114
გაბუნია ნატო 234, 449, 450
გაბუნია-ცაგარელი ნატო 228, 242
გაგარინი გრიგოლ 77, 467
გაგოშიძე იულონ 25
გაგუა 364
გამგებელი ანდრია 271
გამრეკელი ვ. 44-50
გარაყანიძე 170
გარაყანიძე ზურაბ 185
გარაყანიძე კონსტანტინე ზურაბის ძე 186, 189
გარიბალდი ჯუზეპე 334
გარიშვილი სიმონ 379
გარსევანიშვილები 383, 435
გარსევანიშვილი ალექსანდრე 44, 151, 201, 203, 233, 236, 241, 340, 447, 450, 451, 463, 467, 489, 505, 547-549
გარსევანიშვილი ანასტასია 449
გარსევანიშვილი იესე 467, 468, 525, 530
გარსევანიშვილი მ. 16
განსევიჩი 119
გასიტაშვილი ალექსანდრე 238
გაფრინდაშვილი თედო 171
გაჩეჩილაძე ნიკო 239
გეგეშიძე მალაქია 137
გედევანიშვილი ბარბალე 487
გელაშვილი გ. 174
გვარამია კოტე 335, 337
გვასალია ჯ. 32
გვარამიძე კონსტანტინე 339, 345
გვახარია ელ. 237
გვრიტიშვილი დავით 32, 136, 194, 293, 404
გიგაურები 280

გიგინეიშვილი სამსონ 357
გივი I 402
გივი II 406
გივისშვილები 384
გიორგაძე ბეჟან 209
გიორგაძე ნ. 250, 253, 276
გიორგი ბატონიშვილი 386, 451
ალექსანდრე უვაროვი 197
გიორგი VII, საქართველოს მეფე 382, 383, 384
გიორგი X, ქართლის მეფე 91, 394, 395
გიორგი XI, ქართლის მეფე 401-404, 419
გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე 77, 110, 159, 161, 316, 317, 372, 415, 416, 456, 457, 485, 487, 496, 532, 534, 535
გიორგი XIII იხ. გიორგი XII
გიორგი მთაწმინდელი 166, 546
გიულდენშტედტი 76, 433
გიუნაშვილი ვანო 193
გლადკა მედროგე 214
გლაუბერი 283
გოგებაშვილი დიმიტრი 149
გოგებაშვილი იაკობ 166, 180, 244, 422, 454, 470
გოგიბოვი სიმონი 423
გოგლიჩიძე ოლღა გიორგის ას. 140
გოგლიჩიძე სიმონ 165-166, 186, 187, 225, 459
გოგლიძე ვასო 209
გოგოლაძე თ. 448, 449, 471, 478
გოდერძიშვილი დავით 379
გოლიევი თედო 332, 335, 336
გოლიცინი 23, 128
გორბუნოვი პეტრე 185, 187
გორგიჯანიძე გიორგი 104
გორგიჯანიძე ფარსადან 14, 66, 67, 69, 70, 73, 87, 89, 93, 95-98, 101, 103-111, 113, 114, 182, 187, 191, 194, 196, 199, 232-234, 340, 351, 400, 455, 456
გორჯასპი ქაიხოსრო 417
გოჩაშვილი გიორგი 400
გოცირიძე ნიკო 229
გრიბოედოვი ალექსანდრე 104, 226
გრიგალაშვილი ლ. 138
გრიგოლაშვილი ლევან 123-124, 336-339
გრიგორიევი ვ.გ. 186
გრიშაშვილი იოსებ 153, 229, 250, 255
გრიქუროვი სტეფანე 238-239
გრძელიშვილი ს. 232
გუდოვიჩი ი.ვ. 111, 127, 316
გულბენკიანი რ. 406
გულისაშვილი ზაქარია 333
გულისაშვილი ზაქრო 332
გულისაშვილი შაქრო 234
გულიშამბაროვი ი. 122
გულიშამბაროვი მარიამი 357
გულიშამბაროვი ნ. 114, 120
გუნიავა გელა 84, 219
გუნია ვალერიან 141
გუნია ვ. 237
გურამიშვილი დავით 122
გურამიშვილი ზ. 237
გურამოვი ფ.მ. 306
გურჯი ზადე 124

## ღ

ღადიანი დავით 525, 527, 528
ღადიანი ნ. 116, 512

დადიანიძე ლუკა 209
დავარაშვილი ხაიმ 302303
დავარი ს.დ. 186
დავიდოვი 235
დავიდოვი გრ. 114
დავიდოვი ზაქარია 166
დავით აღმაშენებელი 151
დავით გიორგის ძე ერისთავი 195, 221
დავითაშვილი ალექსანდრე 358
დავითაშვილი დათიკო 166
დავითაშვილი დავით 365
დავითაშვილი ზაქარია 339
დავითაშვილი მ. 343
დავითაშვილი ქეთევან 234, 332, 336, 338
დავითაშვილი შიო 234-235, 327, 332, 333, 335-338, 470
დავითაშვილი მიშა 166
დავითი 441, 443, 445
დავით სოსლანი 72
დავით X 393
დავითიშვილი გიორგი 365
დავრიშოვი დ. 114
დათაძე კ. 237
დათიკაშვილი ვ. 344
დათოშვილი დავით ივანეს ძე 166
დანარაღცი გრიგოლ 91
დარეჯან დედოფალი 110, 424
დარია ერისთავი 488
დაუდ-ხანი 96, 472, 474
დაშკოვა სოფია 467
დგებუაძე ფარნაოზ 185
დე-გოლი 433
დედისიმედი 82
დეკანოზიშვილი ვასო 327, 329, 331
დემეტრაშვილი ნიკოლოზი 357
დემურია მარიამ 234
დერჟავინი ვლადიმერ 337
დერჟავინი ნ. 144, 152
დვალი თამარ 48
დიაკვნიშვილი 450-451
დიასამიძე დავით დიმიტრის ძე 306
დიასამიძე დიმიტრი 386
დიასამიძე ევდემონ 400
დიასამიძე იოსებ 424
დიასამიძე კ. 35
დიასამიძე ნიკო 70, 133, 137-138, 195, 222, 235, 236
დიდებულიძეები 347
დივარი ს. 176-177, 179-180
დიმიტრი ამილახვრისშვილი 407-409, 429
დიმიტრი ერისთავი 279, 284, 286
დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი 201, 233
დიუნანი 79
დოდაშვილი ს. 437
დოთიაშვილი გიგო 209
დოლიძე ი. 183, 272
დონდაროვი კ. 124
დონდაროვი მ. 114
დონდაროვი ნ. 114
დონდუა გ. 20
დონდუა ვ. 28, 118, 122, 455
დონ კრისტოფორო დე კასტელი 62, 462-465,
დორეი 195
დოსითეოსი 425
დოროთეოს II 265
დოპკევიჩი ი. 435
დრენიაკინი 18

დუმბაძე მ. 455
დურგლიშვილი გიორგი 319
დურგლიშვილი პეტრე 319
დურგლიშვილი სიმონი 319
დურუზაშვილი ალექსი 379

**ე**

ეგნატაშვილი ბერი 397, 398
ეგნატაშვილი ზაქარია 209
ეგნატაშვილი იაკობი 209
ეგნატაშვილი იასე 209
ეგნატაშვილი კიკა 209
ეგნატაშვილი მიხაკა 209
ეგნატაშვილი ქიტა 209
ედილაშვილი ვასო 214
ევიდენბაუმი ე. 350
ევლია ჩელები 129, 131, 184
ეკალაძე-ცინცაძე ია 248-250
ელიმირზოვი ი. 114-115, 117
ელიმირზოვი ნ. 116
ელიოზიშვილი ალექსანდრე 337
ელიოზიშვილი ბაგრატ 171
ელიოზიშვილი კ. 229
ელიოზიშვილი მარიამ კონსტანტინეს ას. 140
ელისაბედაშვილი გიორგი 368
ელისაბედი 408-409, 413, 435
ემილ ზოლა 250
ემირ ბატრი 101
ენგელმანი ვ. 68
ენუქიძე თინათინ 340
ენუქ მარქარი 151
ეპშტეინი 286
ერეკლე ბატონიშვილი 532
ერეკლე I 402-405, 428
ერეკლე II 9, 76, 110, 179, 243, 325, 349, 350, 353, 356, 374, 406, 408, 409, 411, 415-417, 420, 424, 425, 429, 441, 457, 483, 552
ერისთავი ალექსანდრე 380
ერისთავი ანასტასია 438, 439
ერისთავი გიორგი 325, 371, 381, 397, 436, 437, 448
ერისთავი გ.კ. 358
ერისთავი გიორგი 219, 233
ერისთავი გიორგი ივანეს ძე 279-280
ერისთავი გ.რ. 323
ერისთავი გრიგოლ 304
ერისთავი დავით 237, 323, 435
ერისთავი ელენე 237, 392
ერისთავი ელიზბარ 279, 282-283, 285-286323, 325, 428, 435, 437, 438
ერისთავი ელ. 233
ერისთავი ე.რ. 306
ერისთავი ვარლამ 435
ერისთავი ზაალი 397
ერისთავი ზაქარია 277
ერისთავი ზურაბი 398
ერისთავი იესე 397
ერისთავი კ. 105
ერისთავი კ. მ. 306
ერისთავი კოტე 327
ერისთავი ლუარსაბ 330
ერისთავი მიხეილ 330
ერისთავი მარიამ 237, 381
ერისთავი ნინო 433, 373
ერისთავი ნინო 237
ერისთავი რევაზ 71, 138, 235, 347, 420, 424, 425
ერისთავი რაფიელ 226-227, 232, 306
ერისთავი შალვა 437
ერისთავი შანშე 397
ერისთოვი 164

ერისთავი ხოშტარია ანასტასია 250
ერისტიშვილები 384
ერმაკოვი ევგენი 12, 47, 56, 57
ერმოლოვი ა.პ. 104, 128, 160, 279, 280,

**ვ**

ვანდერველდე 368
ვარდოიანცი გიორგი 361
ვარძელაშვილი გიგლა 362
ვარძელაშვილი შ. 239
ვასნეცოვი 50
ვასო ავლაბრელი 230
ვაჟა-ფშაველა 193, 229, 250
ვაჩნაძეები 396
ვაჩნაძე ლევან 337
ვაჩნაძე ლუარსაბ 425
ვახაშვილი დავით 379
ვახტანგ V 402, 456, 485, 519
ვახტანგ VI 119, 151, 243, 272, 373, 391, 405, 425, 550
ვახუშტი ბატონიშვილი 8, 48, 50, 51, 89, 383, 385, 394, 398, 402, 404, 451, 453, 473, 480
ვეზირაშვილი 239, 360
ვეიდენბაუმი ე. 352
ვერელი შაშო 209
ვექილოვი ისმაილ 185
ვიშნევსკი 221
ვლადიკინი მ.ნ. 30. 74
ვლადიმერ მაკუხინი 337
ვნუკოვსკი 355
ვოლინსკი ანა 446
ვოროზდნიკი კ. 527
ვორონცოვ დაშკოვი 24, 351, 352
ვორონცოვი მ. ს. 19, 20-21, 135, 220, 281, 283, 288, 289

**ზ**

ზაალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე 185, 458, 459
ზავგოროდნი ივანე 185
ზავილეისკი 281
ზაზაშვილი ზაალი 271
ზაზუნაშვილი გიორგი 214
ზაზუნაშვილი ვანო 214
ზაზუნოვი იაკობი 271
ზაზუნოვი იოსება 271
ზარაფიშვილი ქ. 51
ზარიძე ნ. 246, 247
ზახაროვი 173
ზდანოვიჩი გ 327
ზედგენიძე ავთანდილ 387, 390
ზედგინიძე ბაგრატ 165
ზედგინიძე იორამ 384
ზედგინიძე მამია 393
ზევდგენიძეები 385, 386, 389
ზევდგენიძე თაყა 383, 387
ზევდგენიძე იოთამ 383
ზევდგინიანი 286
ზეზემანი ერნესტო (სიეზმანი ავგუსტ იაგორის ძე) 277-279
ზოზბეროვი ვასო 239
ზუბალაშვილები 383, 440
ზუბალაშვილი ა. 114
ზუბალაშვილი გრ. 114
ზუბალაშვილი დავით ივანეს ძე 52
ზუბალაშილი დავით ნიკოლოზის ძე 443, 444
ზუბალაშვილი ნიკოლოზ 443
ზუბალაშვილი კონსტანტინე 114, 174
ზუბალაშვილი მერაბი 441
ზუბალოვი 82
ზუბალოვი გ. 116

**თ**


თაბუნიძე დავით 185
თავზარაშვილი 239-240
თავზარაშვილი გიორგი 238
თავზარაშვილი ი. 35
თათარაშვილი მიხეილ 238
თათქარიძე ამუნ 386
თამარაშვილი მ. 95, 99, 101, 105, 119, 172, 188, 196, 215, 283, 317, 356, 385, 404, 405, 408-413, 416-418, 420, 423-425, 427-429, 431-437, 440, 442, 444, 445, 481, 482
თამარ მეფე 13, 192
თამარი, ამირინდო ამილახვარის მეუღლე 392
თამარი, გივი იოთამის ძე ზედგინიძის მეუღლე 402
თამარი, გივი ამილახვარის მეუღლე 403
თარხან-მოურავი ეკატერინე 233
თარხან-მოურავი ელისაბედ 232
თარხან-მოურავოვი ალექსანდრე 324
თარხანოვი ვიგო 239
თარხანოვი სოლომონ 425
თარხნიშვილი 319
თარხნიშვილი ვ. 221
თარხნიშვილი ლუარსაბ 320
თაქთაქ ტატიანი 386
თაყა I 391
თაყაიშვილი ე. 55, 238, 245, 246, 249, 252, 336, 478, 480, 481, 487
თაყინაშვილი ივანე 372
თაყნიაშვილი სოსიკო 271
თეიმურაზ ბაგრატიონი 144, 148, 154, 233
თეიმურაზ I 399. 400. 403, 472. 485
თეიმურაზ II 104, 114, 373, 406-408, 412, 471
თემურ ლენგი 61
თეოდორა 173
თეოდოს იმპერატორი 90
თეოფილაქტე მიტროპოლიტი 160
თეოფილაქტე რუსანოვი 514
თვალიაშვილი მარიამ 238
თვარაძე ალ. 9
თოგოშვილი გ. 49-51
თომა, თაყა ფანასკერტელის ვაჟი 393
თომა კემფელი 247, 483
თოფჩიშვილები 280
თუთაევი აღალო 70, 234-235
თუთანოვი გრ. 114
თუთაშვილი ა. 138
თუთუნოვები 65
თულაშვილი ალალო 332
თუმანიანი 386
თუმანიშვილი ავთანდილ 92, 208-209, 223, 458, 486
თუმანიშვილი ანა 445
თუმანიშვილი ბ. 109
თუმანიშვილი გივი 270
თუმანიშვილი გოგია 413
თუმანიშვილი ნიკოლოზ 50, 79
თუმანიშვილი შ. 317
თუშმალოვი ნიკა 230
თუხარელი შალვა 386


**ი**


იაკიმოვი ვლადიმერ 337
იაკიმოვი ნადეჟდა 337, 338
იაკიმოვი პავლე 337

იალღუზიძე ივანე 422
იანოვსკი კ. 183
იასე 396, 397
იაშვილი სოლომონ 379
იბრაჰიმ ფეჩევი 72, 76, 77, 79
იეთიმ გურჯი 229-230
ივანე, ამილახვარი 411
ივანე, გოგებაშვილი 454
ივანე ზუბალაშვილი 442
ივანე ერისთავი 221-222
ივანე მუხრან-ბატონი 323
ივანიცკი ვ. 125
ივანიშვილი მაშო 234, 332
ივანოვი მ. 187
ილია ბატონიშვილი 534
პაპისმედოვი ილია 35
ილიაშენკოვი 18-19
ილიჩენკო ა.ვ. 178
ილურიძე მარინა 80
ინაფქოშვილი ლავრენტი 171
ისაია ტერ-სტეფანოვი 65
ისაკ ისაკისძე 239
ისმაილ II 476
ისრაილოვი გრიგოლ 185
იოანე ბატონიშვილი 30, 37159, 181, 539
იოთამ I 399, 402
იოთამ II 404
იოთამ III 403
იორამაშვილი გიორგი 346
იორდანაშვილი ს. 108
იოსები 441
იოსელიანი ავთ. 63, 125
იოსელიანი ეგნატე 329, 331
იოსელიანი პლატონ 77, 161, 163, 486
ისქანდერ მუნში 67, 68, 92, 93, 101, 215, 217
იტალინსკი ალექსანდრე დანიელის ძე 166
იუსტინიანე 547

**ძ**

კაბენინა ანა 488
კავთურელი ს. 237
კავლელაშვილი ელენე 478
კავსაძე ალექსანდრე 459
კავსაძე მიხეილ 460
კავსაძე სანდრო 460
კაკაბაძე ს. 14, 66, 182, 267, 338, 375, 379, 380, 415, 470
კალანდაძე 358
კალანდაძე არსენი 247, 460, 333, 335, 341
კალატოზიშვილი ჩიტო 194
კალატოზოვი იოსებ 424
კამინსკი ვლადიმერ 255, 461
კამო 462, 463
კანდელაკი თეოფილე 333
კანდელაკი სამსონ 185
კანდელაკი სანდრო 209
კანკრინი 287
კანჩაველი გიეო 239
კაპანაძე 175
კაპანაძე ანასტასია ვასილის ას. 140
კაპანაძე დ. 327
კაპანაძე ი. 232
კარაფა იერონიმე 465
კარგავა ბარბარე 234
კარგავა ვასო 234, 332
კარგარეთელი ია 165
კარგარეთელი კოტე 165
კარინიანი ა. 236
კარიჭაშვილი 235
კარიჭაშვილი დავით 250
კარლ შეპფი 132

კასრაძე ა. 229
კასრაძე კორნელი 166
კასრაძე ნილა 166, 242
კასრაძე სიმონ ნიკოლოზის ძე 165, 187
კასრაძე ხარიტონ 165
კაუცკი 368
კაციტაძე დ. 52, 54
კაცოშვილი გ. 319
კახიძე 78
კეკელიძე კ. 146
კეზელი დ. 242
კეზელი მარიამ გიორგის ას. 140
კერესელიძე ანტონ 338-339
კერესელიძე დავით 185
კერესელიძე იასონ 251-252
კერესელიძე მ. 335
კერესელიძე მათე 234, 327, 340
კერესელიძე მარიამ 234
კერესელიძე მაშო 234, 332
კერესელიძე შ. 138
კეცხოველი ლადო 166, 341, 343
კეცხოველი ნიკო 166
კვალიაშვილი ივანე 133, 229
კვალიაშვილი ივანე დიმიტრის ძე 248
კვალიაშვილი იულია რაჟდენის ას 140
კვალიაშვილი სანდრო 347, 361-363
კვანჭაძე დათუნა 317
კიკიანი 318
კიკნაძე რ. 45, 46, 61, 65, 68, 426
კილასონიძე ვ. 362
კლაპროტი ი. 41, 48, 62, 301, 303
კლაუდიო 466
კლდიაშვილი დარეჯან 192, 340, 470
კლიმანტი პ.ბ. 178
კნორინგი 18, 108, 162, 418, 422, 424
კრისტოფორო კასტელი 463-465
კობერიძე 135
კოდალაშვილი 357
კოვალენსკი 425
კოკაშვილი გაბო 151
კონსტანტინე 392, 395
კონსტანტინე II 265
კონსტანტინე მუხრანბატონი 408
კოპალიანი ვ. 454
კორბესაშვილი პეტრე 271
კორინთელი შალვა 238-239
კორლიტო გაეტანო 465
კოშორიძე ვ. 235
კოშორიძე თ. 236
კუზანოვი 164
კუზმინი ალექსი 337
კუზმინი ვარვარა 337
კულა გლდანელი 241
კურასოვსკი 319
კუტაისოვი გრაფი 318
კუცია კ. 91, 310

## ლ

ლადო-ალექსი მესხიშვილი 223
ლავროვი 328
ლაზარე 439
ლაზარევი 107, 110, 162, 417, 418, 424
ლაფაჩი ილიკო 78
ლაღიაშვილი იოსებ 167
ლევან II დადიანი102, 251, 473
ლევან ხანი 77

ლევაშაძე ივანე 281
ლენინი 462
ლეონიძე გ. 108
ლეონ მელიქსეთ-ბეგი 39
ლიპმანი იოსებ 337
ლისინოვები 90
ლისიმაქე 20
ლიჩინი ა პ. 101
ლობჟანიძე ბ. 10
ლოლაძე ბ. 237
ლოლაძე გრ. 123
ლომთათიძე გ. 23
ლომოური იოსებ ნიკოლოზის ძე 251
ლომოური ნიკოლოზ 115-116, 186, 228, 234, 236, 250, 327, 332, 335, 338, 466, 467, 470
ლომოური სოფო 234, 237
ლომსაძე შ. 154, 482
ლუარსაბ I, ქართლის მეფე 476
ლუარსაბ II, ქართლის მეფე 480, 548
ლუარსაბოვი ს. 69
ლოშელევი სტეფანე 271

## მ

მაგდანა, პროკურორის მეუღლე 452
მაგდანა, კალმახელიძე, იაკობ გოგებაშვილის დედა454
მათარაშვილი ზაქარია თეთეოზის ძე 239
მათიკაშვილი შ. 362
მაიერი კურტ 278
მაისურაძე 364
მაისურაძე ანა ბესარიონის ას. 140
მაისურაძე ანეტა 239
მაისურაძე გოგი 151
მაისურაძე ექვთიმე 185
მაისურაძე ვანო 237
მაისურაძე ივანე 271
მაისაურაძე კოსტა 209
მაისურაძე ნინია 149
მაისურაძე ს. 35
მაკაევი მ. 172
მაკალათია სერგი 21, 40, 199, 248, 256
მაკდონალდი 368
მალინინი კ.ნ. 186
მამალაძე 358
მამალაძე ტარასი 193
მამასახლისოვი იაკობი 271
მამასახლისოვი სტეფანე 149
მამისთვალიშვილი ე. 9, 10, 38, 57, 65, 70, 71, 82, 102, 128, 131, 251, 429, 481, 538
მამაცაშვილი კონსტანტინე 166, 323, 431
მამულაშვილი კონსტანტინე 345
მამაცოვი დავითი 417, 424
მანდენაშვილები 484
მანუჩარი 392
მანუჩარ II ჯაყელი 82
მარია თევდორეს ას. 50, 54
მარიამ დედოფალი 36, 110
მარიამი 429, 485
მარი ბროსე 169, 219, 221, 283, 468, 469
მარქსი 368
მატეო ფლორინო 465
მატივა გ. 24
მაქსიმ გორკი 342
მაღალაშვილი სოფიო 234
მაღალაშვილი ფეფო 234, 332
მაღრანელი დათუნა 403

მაყაშვილი გ. 237
მაჩაბლები 321, 373, 386
მაჩაბელი გიორგი 361-363
მაჩაბელი ვანო 194
მაჩაბელი ივანე 70, 322
მაჩაბელი რევაზ 411
მაჩაბელი ს. 312
მაჩაბელოვი ბარძიმი 317
მაჩაბელოვი გიორგი 324, 359
მაჩაბელოვი ზაზა 423
მარღიშვილი 78
მაჭავარიანი 90
მაჭავარიანი გიორგი 171
მაჭავარიანი დავით 229, 232, 251
მაჭავარიანი ილია 235
მაჭავარიანი ილიკო 327, 335-337
მაჭავარიანი ილო 238
მაჭავარიანი სიმონ 359
მახარაშვილი ანა 238
მაჭარაძე ვ.. 149
მახარაძე მ. 276
მგალობლიშვილი მ. 16
მგალობლიშვილი ნინო 234, 332
მგალობლიშვილი სოფრომ 70, 101, 131, 138, 166, 225, 234, 235, 242, 245, 247, 250, 305, 317, 325, 327, 328, 330, 331, 334-335, 338-339, 341, 467
მგელაძე ალექსანდრე 185
მეგრელაძე დ. 198
მეგრელიძე ი.214, 236, 238, 246
მელენჩუკი ვიქტორ 337
მელიქიშვილი გ. 28
მერებაშვილი 78
მერებაშვილი ილია 230
მესხი ნიკოლოზ 185
მესხია შოთა 28, 30, 50, 151, 180, 187, 190, 191, 214, 232, 260, 268, 288, 290, 291, 300, 309, 310, 312
მესხი თ. 29, 459, 460, 462, 468, 473, 474
მეტრეველი დ.. 303
მეტრეველი სიკო 237
მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი 468
მეღვინეთუხუცესიშვილი ვ. 235, 335
მეჩატოვი გლახა 271
მეჩითიშვილი სიმონ 346
მეჰმედ III 91
მთვარელიძე ა. 344, 345
მთიულიშვილი ისაია 165
მინდელი ნესტორ 171, 182
მინდიაშვილი გ. 25
მირზა მუჰამედი 101
მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ მოლქი 11
მირიანაშვილი მ. 114
მიროპოევი მ.ა. 170, 175, 186
მიქაძე ბერიკა 271
მიქიაშვილი ლ. 144
მიხაილოვი 24
მიხაილოვსკი 328
მიხეილ ნიკოლოზის ძე 52
მიხეილ ნიკოლოზის ძე ვლადიკინი 8
მოვსეს ტათავეცი 96
მოსტოვიჩი ჩ. 116
მუსხელიშვილი დ.ი. 120
მუსხელიშვილი ზაალ 379
მურადაშვილი მ. 114
მურადოვი ა. 362
მურადოვი ზაქარია 185
მურადოვი სტეფანე 361-362
მურავიოვი ა. 7, 380

მუსტაფაევი ახმედ 185
მუსტაფა ლალა ფაშა 395
მუსხელიშვილი დ. 11
მუხრანბატონი ვახტანგ 395
მღებრიშვილი ანსელმო 246-247
მღებრიშვილი ლ. 114
მცხვეთაძე ლ. 248
მჭედლიძე შიო 151
მძინარაშვილი ვანო 165

**ნ**

ნადიმაშვილი ს.. 449
ნადირაძე 344
ნადირაძე ეგნატე 149
ნათაძე ალექსანდრე 193
ნათაძე მოსე 327, 332-333
ნათაძე ს. 235
ნათიშვილი ფარნაოზ სიმონის ძე 179, 180, 186
ნაკაშიძე ნ. 229
ნაკასიძე რ. 104
ნანეიშვილი ალ. 307, 337
ნატროშვილი გ. 124
ნატროშვილი თ. 96
ნიკიტინი 195
ნიკიფორე ირბახი 102
ნიკიფორე მიტროპოლიტი 160
ნიკოლაი ა. 21-22, 262
ნიკოლოზ I 377
ნიკოლოზ II 52-54
ნიკო ერისთავი 237
ნინოშვილი ილიკო 230
ნევეროვი ი. 162, 165, 177, 178
ნელიუბინი 70
ნემოლოვსკი აპოლონ 336
ნერსესოვი ტერ-ნერსესა 271
ნესტან-დარეჯანი 476
ნესტოროვსკი 60, 268
ნეშუმოვი 159
ნოვომაისკი 24
ნოვოსპასკი ნ.ი. 186
ნოზაძე ვიქტორ 368

**ო**

ოვიანი ჟაკ 257-258
ოდისელი ჯ. 63, 470
ოთარიძე გ. 114
ოლღა ბატონიშვილი 250
ონიაშვილი გ. 228
ონიაშვილი დავით 124, 232, 251, 361
ორბელიანი ალექსანდრე 277, 375, 380, 437
ორბელიანი გრიგოლ 125
ორბელიანი ზაალ 411
ორბელიანი თამაზი 417, 420, 421
ორბელიანი ივანე 380, 421, 437
ორბელიანი ილია 431
ორბელიანი მ. 373
ორბელიანი პავლე 411
ორბელიანი პაპუნა 135, 136, 140-147, 174, 196, 233, 342, 372-374, 406
ორბელიანი პეტრე 422
ორბელიანი ქაიხოსრო 408
ორბელიანი ქეთევან 381
ორბელიანი ყაფლან 407
ორლოვსკი 21, 161, 284, 325
ოქროაშვილი გიორგი 362
ოქროპირ ბატონიშვილი 534
ოქროპირიძე, დიაკვანი 331
ოქროპირიძე ვანო 230
ოქროპირიძე ნ. 240
ოქროპირიძე ირودიონ 362
ოქრუაშვილი ზ. 235, 333
ოქრუაშვილი პელაგია 235
ოხუზიშვილი ფაფინა 386

**პ**

პავლიშვილი იაკობ 143
პავლიაშვილი ქ. 439
პავლოვი თ. ა. 186
პაზნიცკი გრ. 240
პაპალექსი ს. 123
პაპაშვილი ტულუკა 482
პაპაშვილი მ. 101, 422
პაპისიმედოვი ი. 35, 69, 205, 217, 302
პაპუაშვილი. 443
პასკევიჩი ი. 374-376
პეტრე, მერეთის მამასახლისი 331
პეტროვი პ.გ. 186, 336
პეტროვიჩი სერგეი – დეგაევი 337
პიმონტი პ. 114
პირადოვი ბ. 342
პრისტოვი 353
პოასეცკი ვ. 138
პოლიაკოვი 162-163
პოლოსოვი მიხეილ 185
პომაზნევი მ. 479
პოსტელნიკოვი ნ. 125-126
პოტო ვ. 103
პრიბლევა ანა 336
პუშკინი 463

**ჟ**

ჟერომსკი ი.ს. 70
ჟორდანია გ. 447
ჟორდანია თედო 57, 87, 146, 250, 265, 456, 499, 504, 526, 527, 549
ჟუჟუნაძე ო. 538

**რ**

რაზიკაშვილი თედო 193, 229
რაზიკაშვილი ლუკა 226, 336, 340
რაზიკაშვილი ნიკო 193, 228
რაზიკოვი ნიკოლოზ 185
რაზმაძე 78
რაზმაძე სოლომონ 437
რამანოვი მ. 114
რამინოვი გ. 114
რამიშვილი ერეკლე 247
რამიშვილი ნ. 364, 366
რატილი ი. 224, 225
რატიანი პ. 28, 455
რახუბოვსკი მ.ი. 186
რაჰამიზადე იბრაჰიმ ჩავუში 80-82, 218
რეიხ მაირი 428
რეიხი 18, 300
რიფსიმე 391
რობაქიძე 364
რობაქიძე ალექსი 23
რობაქიძე სერგო 237, 361
როზენი გრიგოლ 287, 288, 318
რომანოზ III 546, 547
როსტომ მეფე 55, 97, 102, 386, 397, 401, 402, 456, 464, 472-474, 485
რუი გონსალეს დე კლავიხო 9

**ს**

სააკაძე გიორგი 104, 397-399, 471
სააკოვი ვ. 235
სააკოვი ი. 123, 134
სააკოვი მ. 62
საძაგელოვ-ივერიელი გ. 160
საბო ვ. 123
სავანელი ეფ. 237
სალაგაშვილი ანდრია 271
სამადაშვილი ვასილ 327-333, 335

სამადლიშვილი ვასილ 245
სამსონაძე მ. 304
სამუკაშვილი 350
სანდრო ავლაბრელი 78
სანთლიკუდაშვილი კოტე 234
სარაჯიშვილი ვანო 229
სარქისოვი ივანე 149, 460
საფარაშვილი პ.კ. 86
საღირაშვილი ი. 229
საძაგლიშვილი გიორგი 166, 239
სახოკია თ 209
სეგმანოვი მ. 114
სეიფ ად-დოულე 11
სემიონივი დიმიტრი 138, 172, 180-183, 186, 226, 241, 333, 341, 475
სერაფინო ფილენჯიელი 465
სერგეი დეგაევი 337
სერგეი მესხი 179
სერგეი სემიონივიჩ უვაროვი 220
სვანიძე მ. 64, 71, 72
სვიმონ I 91, 394-395, 397, 450, 451, 454, 471, 476
სიდონია 454
სიმენსი ერნსტ ვერნერ 126
სიმონ II 396-399
სიმონოვიჩი 107
სკალონი 129
სლოვინსკი ა.ი. 186
სმირნოვი თ.ა. 186, 192
სნოუდენი 368
სოკოლოვი ს.კ. 178
სოლომონ I, იმერეთის მეფე 429, 512
სოლომონ II, იმერეთის მეფე 371, 372, 512
სოლოღაშვილი ნ. 240
სომხიშვილი კარგია 271
სოსანიძე თ. 448
სოსიაშვილი გ. 188
სოფიო 317
სტალინი ი. იხ. ჯუღაშვილი იოსებ
სტერლიცკი ს.ნ. 186-187, 226
სტეფანე 443, 445
სტეფანე აკოფოვი 230
სტრაბონი 12, 200
სუდაკოვი ეგნატე 182
სულხან-საბსა ორბელიანი 119, 190, 287, 308
სუმბათაშვილი ა. 319
სუმბათაშვილი ფარსადან 112
სულიაშვილი დავით 214
სულხანა 153
სულხანიშვილი ივანე 305, 307
სუნდუკიანი გ. 237
სურგულაძე ი. 204, 284, 291, 371
სურგულაძე მ. 192, 340, 470

## ტ

ტაბატაძე კ. 52, 53, 66, 213
ტაბაღუა ი. 95, 96, 99-102, 117, 119, 389, 406, 408, 411, 412, 416, 417, 444
ტარასოვი 427
ტარკოვსკი 10
ტარსაიჭაშვილი თამაზ 403
ტატიშვილები 347, 351
ტატიშვილი კესარია 234
ტატიშვილი მარიამ 235
ტატიშვილი მიხეილ 171
ტატიშვილი ნიკოლოზ 182
ტერ-აბრამოვი ალექსანდრე 182
ტერ-აკოფოვი გ. 116
ტერეღიშა 153

ტერ-მინასოვი 120
ტერ-სტეფანოვი დ. 114, 116, 120, 130
ტერ-სტეფანოვი საშა 253
ტერ-სტეფანოვი სტ. 178
ტერტერა 17, 480
ტერტეროვი 78
ტეტუნაშვილი 78
ტეტუნაშვილი ვასო 214
ტისკაროვი ი. 187
ტიტოვი 280
ტლაშაძე ალექსანდრე 58
ტლაშაზე იესე 122-124, 189
ტოკაროვი 92
ტორმასოვი 18, 421, 428
ტოტაძე ნიკო 271
ტილიკაშვილი დავითა 481-484
ტურაშვილი ლაზარე ალექსის ძე 179, 186
ტურიელი ო.ლ. 189
ტუტუნოვი 271

## უ

უვაროვი ალექსანდრე 197
უზუნ-ჰასანი 392
ულიანოვი 344
უმიფაშვილი შაქრო 379
ურუშაძე 358
უჩანეიშვილი დ. 194, 201, 258, 263, 332, 403

## ფ

ფავლენიანი 386
ფავლენიშვილი კოლა 327
ფავლენიშვილი რომანოზ 327, 329, 330
ფავლენოვი 351
ფალავანდიანი 386
ფალავანდიშვილები 347
ფალავანდიშვილი ალექსანდრა 237
ფალავანდოვი ბუცია 423
ფანასკერტელ-ციციშვილი 391
ფანიაშვილი 373
ფარსადანი 457
ფაღავა ა. 229
ფაშალიშვილი ს. 229
ფეიქრიშვილი ჟ. 442
ფეიქრიშვილი უ. 440
ფერშანგიშვილი სტეფანე 486, 487
ფიოშვილი ჯამბულატ 343
ფლეროვსკი ნ. 10, 41
ფრიდონოვი გ. 308
ფრიდონოვი ნ. 308
ფსარიოვი 16
ფონ კრესი 364, 365
ფუთურიძე ვ. 30, 65, 67, 68, 129
ფურცელაძე ანტონ 223, 327, 329-332, 334, 335, 339, 369, 487, 488
ფურცელაძე გაიოზ 328
ფურცელაძე დ. 329, 330, 331
ფურცელაძე დათიკო 331, 430
ფურცელაძე ეკატერინე 234
ფურცელაძე თამარ 238
ფურცელაძე იოსებ 428
ფურცელაძე კონსტანტინე 329
ფურცელაძე ქაიხოსრო 331
ფურცელაძე ქეთო 331

## ქ

ქავთარაძე როსტომ 386
ქათიბ ჩელები 78
ქაიხოსროშვილი ზურაბ 512
ქართველიშვილი დავით 234
ქართველიშვილი ივანე 379
ქართველიშვილი მიხეილ 242
ქარუმიძე ს. 377

ქარუმიძე ანა ალექსანდრეს ას. 140
ქაჩარლინსკი ფერიდუნ 185
ქებაძე შაქრო 360
ქებულაძე 110
ქეთევან დედოფალი 395, 396, 473
ქერეჭაშვილი ნ. 344, 345
ქერიმხანი 548
ქვარიანი კოლა 209
ქვასი მიხა 62
ქვლივიძე აღ. 235
ქვლივიძე ნატ. 235
ქვლივიძე სანდრო 234, 236
ქიტიაშვილი დიმ. 114
ქიტიაშვილი ზაქარია 124, 142, 229, 232, 248, 488-489
ქიქოძე გერონტი 250
ქიქოძე ისიდორე 328, 330
ქოიავა ნ. 399
ქორქია ფილიმონ 224
ქუთათელაძე არისტო ვასილის ძე 186
ქუმელაშვილი ანდრია 149
ქურდოვანიძე ლეონტი 171
ქუჩუკაშვილი შიო 340

**ღ**

ღამბარაშვილი სიმონ 149
ღამბაროვი 14
ღამბაროვი ზაქარია 28
ღამბაროვი ივანე 271
ღამბაროვი სულხან 28, 120
ღვანოვი აიკანუშ 238
ღოღობერიძე სიმონ 144
ღუდუშაური 192

**ყ**

ყაზბეგი 250
ყაისაშვილი ლევან ქრისტეფორეს ძე 186, 188, 192
ყაიფმაზოვი ალექსანდრე 185
ყანდურაშვილები 484
ყანჩაელი ბიძინა 403
ყანჩაელი თამაზ 403
ყანჩაველი ი. 246
ყანჩელი გიგო 237
ყანჩელი გიორგი 238
ყაუხჩიშვილი თ. 12, 25
ყაუხჩიშვილი ს. 8, 29, 452
ყაფლანიშვილი ერასტი 124
ყველაშვილები 280
ყიფიანი 334
ყიფიანი დ. 284, 305
ყიფიანი დიმიტრი 323, 325
ყიფიანი ელისაბედ 336-337
ყიფიანი ზაზა 131
ყიფიანი კ. 236
ყიფიანი მიშო 333, 335, 476
ყიფიანი მიხეილ 138, 186, 234, 235, 329, 330, 336, 337, 340
ყიფშიძე ალექსანდრე 166
ყიფშიძე გრიგოლ 333
ყუბანეიშვილი ს. 122
ყუზანოვი ზ. 114

**შ**

შავერდოვი სიმონ 185
შავლოხაშვილი ა. 314
შავროვი 21
შაიშმულოვი ალექსანდრე 211
შალიკაშვილები 386
შალიკაშვილი ი. 109
შალიკაშვილი კოკოლა 82
შანიძე ვ. 55
შაორშაძე 388, 389, 392, 393, 431
შარალუკოვი ალექსანდრე 182
შარაშიძე ქრ. 69
შარდენი ჟან 16, 31, 173, 178, 190, 194, 198, 217, 234, 314, 327, 426

შახნაზაროვი გეურქა 360, 362
შაჰ-აბას I 396, 398, 399, 471, 548
შაჰ-აბას II 456
შაჰ-თამაზი 66, 82
შაჰ-სეფი 401, 471
შეიდემანი 368
შენგელია ნ. 82, 121, 124, 126, 129, 133, 217, 253, 276
შეპფი კ. 114
შერვაშიძე მარიამ 337
შველიძე კოკლა 239
შიო მღვიმელი 469, 470
შიუკაშვილი ნ. 229, 232
შიუკაშვილი შიო 138, 338
შიხინაშვილი ბეჟან 325
შკაბიჩი ა.ვ. 169
შტეიმანი ი. 35
შონია კონსტანტინე 185
შუტლეტოვი 23

**ჩ**

ჩაღერელი სერგი 230
ჩაჩანიძე ვანო 244
ჩერნიავსკი ა.ი. 186
ჩერნიაცსკაია გალინა 337
ჩერნიშევსკი 328
ჩერქეზიშვილი ე. 228, 242
ჩერქეზიშვილი ლიზა 141
ჩიტაძე გოლა 166
ჩიტაძე შიო 166
ჩიქუნი ალექსანდრე 483
ჩიხლაძეები 147
ჩიხლაძე სოსო 214
ჩოლოყაშვილი ალექსანდრე 437
ჩოლოყაშვილი ივანე 424
ჩორნი იეჰუდა ჰალევი 61
ჩუბინიშვილი არჩილ 347
ჩუბინაშვილი დ. 178, 532
ჩხეიძე ნინო 141-142
ჩხეიძე სეხნია 114, 116-118, 120, 125-127, 134, 135, 223

**ც**

ცაბაძე 344, 345
ცაგარეიშვილი ე. 34-36, 135, 192, 470
ცაგარელი ავქსენტი 70, 222, 236
ცამციაშვილი აპოლონ დავითის ძე 186
ცერაძე იოსებ 209
ცერცვაძე დავით 238
ცერცვაძე ო. 123
ციმაკურიძე ალექსანდრე 185, 187
ციმაკურიძე საშა 336
ცინცაძე იოსებ ტიმოთი ს ძე 153, 248
ცინცაძე კობა 166
ცინცაძე ქსენია 239
ციცაგი ალექსანდრე 321
ციციანოვი ივანე 324
ციციანოვი პავლე 18, 102-103, 110, 127, 216, 300, 371, 387, 390, 411, 419, 425-427
ციციშვილი ალ. 327
ციციშვილი არჩილ 337
ციციშვილი გიორგი 375
ციციშვილი ელიზბარ 319, 375
ციციშვილი მ. 249
ციციშვილი ნოდარ 109, 400
ციციშვილი სოფიო 237-238
ციხითათრიშვილი ანდრო 271
ცქიტიშვილი გ. 11
ცხვედაძე იოსებ 333
ცხვედაძე ნიკო 455

**ძ**

ძაზარაშვილი ილია სოლომონის ძე 239

**წ**

წერეთელი 386
წერეთელი აკაკი 61, 142, 222, 226, 438
წერეთელი გიორგი 194
წერეთელი გრიგოლ 525
წერეთელი ეკატერინე 237
წერეთელი იოსებ 237
წვენიაშვილი ალექსანდრე 149
წვენიაშვილი ზურაბ 151
წივწივაძე მ. 187
წიკლაური ნიკა 214, 362
წილოსანი ვ. 59
წიწიკაშვილი 78
წმ. ბასილი 392
წმ. გიორგი 197, 198, 201
წმ. ლაზარე 196

**ჭ**

ჭავჭანიძე დავით 467
ჭავჭავაძე ილია 173, 179, 180, 184, 208, 223, 226, 228
ჭიკაიძე დ. 60
ჭილაშვილი ლ. 11, 20-22, 24, 39
ჭიჭინაძე ზაქარია 146, 195, 246, 248, 259, 314, 327, 394, 407, 423, 431, 432, 436, 440, 473, 481-484
ჭიჭინაძე იოსებ 141
ჭრელაშვილი სტ. 327, 337
ჭონქაძე დანიელ 252

**ხ**

ხანთაძე შ. 447, 533
ხანჯიევი 164
ხასაშვილი ალექსი 279, 342
ხატელიშვილი ვ. 460
ხახანაშვილი 237
ხახანაშვილი ალექსანდრე 340, 490, 491
ხახანაშვილი სოლომონ 325
ხახანოვი 163
ხახუტაიშვილი დ. 27
ხახუტაშვილები 147
ხახუტაშვილი ილია 165
ხახუტაშვილი ნიკოლოზ 165
ხერხეულიძე მელანია 237
ხვადაგაძე თამარ 239
ხიზანიშვილი ნიკო 166, 335
ხითარიშვილი ფეშანგი 484
ხითაროვი 65, 82, 162
ხითაროვი ზ. 114
ხითაროვი ნ. 114
ხიმშიაშვილი ვანო 327, 329
ხიმშიევი ივ. 331
ხმიადაშვილი იოსებ 379
ხოსრო მირზა 398, 471, 472
ხოშტარია ალექსი 141
ხოშტარია ანასტასია გიორგის ას. 140, 142, 232
ხოჯაშვილი 122
ხუბუა მ. 199
ხუბულური სანდრო 279, 341, 342
ხუდადოვი მ. 235
ხუდადოვი ნიკო 328
ხუსკივანიძე თეოფილე 193
ხუციშვილი ბართლომე 182
ხუციშვილი ელიოზ 238
ხუციშვილი ესტატე 229, 238
ხუციშვილი მ. 52, 169, 185, 186
ხუციშვილო ნიკო 335
ხუციშვილი სოსო 238
ხრიტოვი კოლა 339

ჯ
ჯაბადოვი ი.ვ. 327
ჯავახიშვილი ალექსანდრე 52, 56-57, 60, 81, 84, 97, 99, 136, 138, 194, 273, 274
ჯავახიშვილი ელ. 237
ჯავახიშვილი ვ. 109
ჯავახიშვილი თ. 52, 141
ჯავახიშვილი ი. 304
ჯავახიშვილი ივ. 33, 43, 44, 46, 51, 59, 61, 62, 64, 98, 249, 260, 264, 266-268, 270, 272, 274, 281-283, 287, 302-304, 389, 438, 472
ჯავახიშვილი ლიზა 235
ჯავახიშვილი ნ. 187
ჯავახიშვილი ქეთევან გიორგის ას. 140
ჯავახიშვილი შაქრო 361
ჯავრიშვილი ნიკოლოზ 171
ჯავროვი თინათინ რევაზის ას. 140
ჯალიაშვილი მ. 38
ჯალილ მამედყული 193
ჯამბაკურ-ორბელიანი 319
ჯამბაკურ-ორბელიანი მარიამ 227
ჯამბურია გ. 271, 375, 377
ჯანაშვილი დიმიტრი 251
ჯანაშვილი მოსე 12, 38
ჯანაშია ნიკო 193
ჯანაშია რ. 23
ჯანდიერი 119
ჯანდიერი გ. 192, 389, 470
ჯანდიერი იოსებ 425
ჯაფარიძე გ. 138
ჯაფარიძე მ. 114
ჯაფარ ფაშა 91
ჯაყელი დარეჯან 239
ჯენკოვსკი 352
ჯიბლაძე 344, 345
ჯიბლაძე რ. 229
ჯიოშვილი ა. 244
ჯაოშვილი ვ. 250, 252
ჯიოშვილი ტატე 279, 341-343
ჯიქია ს. 72, 90, 129, 133, 217, 276
ჯორჯაძე დავით 437
ჯოხაძე სიმონა 214
ჯულაბოვა 175
ჯულაბოვი ლევან 234, 332
ჯურჯალა მედროგე 214
ჯუსტო პრატო 101, 465
ჯუღაშვილი იოსებ 165, 166,167, 227, 342, 343,346, 348, 461, 477-479

ჰ
ჰასან-რუმლუ 65, 68
ჰაჯიბეკოვი უ. 193
ჰოსამ ალ-სალთანე 12

## გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა
აბანოს ქუჩა 40
აბისი 320
ავღანეთი 31
აზერბაიჯანი 379
აკაკის ქუჩა 37
ალაზნისპირეთი 371
ალგეთი 398
ალი 173, 289, 351
ალიმბარაშვილის ქუჩა 40

ალტარა 328
ალჟირი 433
ალჯა 342
ამერიკა 209
ამიერკავკასია 31, 35, 111, 113, 126, 127, 132, 161, 167, 176, 181, 194, 286-289, 294, 318, 376, 379, 413, 476
ამილახვრის ქუჩა 37
ანტონოვის ქუჩა 37
არაგვი 385
არბო199, 466, 488
არდინი 319
არკნეთი 32
არტანუჯი 18, 184
არტილერიის მოედანი 36
ასტრახანი 19, 103
ატენი 147, 192, 219, 308, 347, 368, 469,
ატენის ხეობა 277-280, 304
აფრიკა 433
აშატური 319
აჩაბეთი 321
აწყური 378
ახალგორი 385, 400
ახალდაბა 407-408
ახალი ათონი 52
ახალი იერუსალიმის ქუჩა 55-56
ახალქალაქი 63, 101, 153, 313, 350, 351, 367, 372, 480
ახალი ქუჩა 37
ახალშენი 39, 316
ახალშენის ქუჩა 37, 39
ახალშენის უბანი 38
ახალციხე 101, 113, 118, 120, 153, 276, 280, 290, 376-378, 384, 385, 403, 407, 421, 424, 440, 441, 482

**ბ**

ბათუმი 52, 113, 120, 153, 258, 477
ბათუმის ქუჩა 39
ბაზალეთი 399
ბაიდური 430
ბალვანი 278
ბალკანეთი 376
ბანკის ქუჩა 41
ბარათაშვილის ქუჩა 41
ბარნოვის ქუჩა 40
ბაქო 302, 411, 445, 463
ბაღდადი 65, 480
ბახტრიონის ქუჩა 56
ბებიაანთ ქუჩა 37
ბელიაკოვის ქუჩა 40
ბელევი 283
ბელიე კლუჩი 297
ბელოთი 422
ბერბუკი 127
ბერლინი 462
ბერშუეთი 322
ბესარიონ ჯუღაშვილის ქუჩა 40
ბროწლეთი 305
ბობნევი 278, 322
ბობრშისკი 458
ბოზორპინო 432
ბორჯომი 46, 52, 63, 147, 289, 304, 344, 377, 378, 385
ბორჯომის ქუჩა 39
ბორჯომის ხეობა 132
ბოშური 278, 322
ბუდიონის ქუჩა 40

**გ**

გაბაშვილის ქუჩა 40
გარეთუბანი 26, 30, 38
გარეჯვარი 192
გელათი 52

გერმანია 53, 363, 365
გილანი 49
გიორგის ქუჩა 37
გოგოებაშვილის ქუჩა 41
გომბორი 103
გომი 77
გორი 1, 2, 3...
გორის ციხე 8, 12, 23, 43, 52, 55, 87, 127, 219, 398, 400, 464, 465, 474, 552
გორიჯვარი 77, 147, 200, 201, 219, 238, 394, 550
გორიჯვრის უბანი 40
გორიჯვრის ქუჩა 37
გრომოვის ქუჩა 40
გურამიშვილის ქუჩა 40
გურია 105, 331, 376, 379, 466, 467

**დ**

დავრეშოვის ქუჩა 37
დამასკო 433
დამპალა 25
დარდანელი 376
დაღესტანი 132, 380
დგვრინი 321
დგვრისი 321
დედოფლის წყარო 103
დეილუში 321
დიდების მუზეუმი 36
დიდუბე 439, 453, 455, 459, 468, 470
დიმიტროვის ქუჩა 41
დირბი 347
დისილინა 321
დიცი 321
დოესი 480
დრეი 322
დუშეთი 101, 343, 350, 352, 355-357

**ე**

ეკატერინეს ქუჩა 37
ეკატერინოდარი 192
ევდოშვილის ქუჩა 40
ევროპა 65
ეკატერინე ჯუღაშვილის ქუჩა 41
ელენეს ქუჩა 37
ელექტროფიკაციის ქუჩა 40
ელისაბედის ქუჩა 37
ელისავეტპოლი 128-129
ელსადგურის ქუჩა 40
ელტურა 321
ენგელმანის ქუჩა 37
ენგელსის ქუჩა 40
ენგური 102
ერგნეთი 321
ერევანი 103, 181, 407
ერთაწმინდა 291
ერთობის ქუჩა 15, 37
ერისთავის ქუჩა 37

**ვ**

ვაგზლის ქუჩა 37
ვანო სტურუას ქუჩა 39
ვანური 321
ვარდის უბანი 25
ვარიანი 470
ვაჟა-ფშაველას ქუჩა 37, 40
ვიბორგის ციხე 429
ვილონი 435
ვლადიკავკაზი 128-129, 342
ვოდოპიანოვის ქუჩა 40
ვოროშილოვის ქუჩა 40

**ზ**

ზაოტი 278
ზემო რეხა 192
ზემო ქართლი 385
ზერტი 199

ზნაური 385, 423
ზუგდიდი 488

**თ**

თამარ მეფის ქუჩა 29
თბილისი 11-12, 18, 21, 52, 65, 76-77, 91, 95, 97, 99, 101, 107, 113, 118, 126, 131-132, 146, 152, 155-156, 159, 166, 229, 244, 248, 255, 266, 276, 281, 285, 290, 301, 303, 316, 322, 325, 327, 329, 332, 333, 336, 337, 340, 343, 345, 349, 363, 367, 370, 375, 377, 380, 388, 405, 467, 487, 488
თბილისის ქუჩა 29, 37, 40
თეზი 322
თეთრიწყარო 103
თეირანი 478
თელავი 101, 325, 327, 376
თელათგორი 375
თერგვისი 305
თიანეთი 440
თუმანოვის ქუჩა 37
თურქეთი 65, 294, 374, 376, 377, 547

**ი**

იაპონია 381, 445
იარმარკა 290
იბერია 200
იედი კულე 90
იგოეთი 458
იერუსალიმი 390, 391
იკორთა 381, 428
იმერეთი 102, 103, 210, 292, 307, 316, 371, 376, 393, 394, 402, 418, 423, 424, 426, 427, 486, 548
იმიერკავკასია 65
ინგლისი 367, 375
ინდოეთი 270
ინტერნაციონალის ქუჩა 37
ირანი 97, 209, 294, 371, 402, 404, 441, 451, 474, 476, 405, 412, 471
ისაკის ქუჩა 37
ისპაანი 456, 471
იტალია 334, 465, 491

**კ**

კავთისხევი 350, 375, 425
კავკასია 9, 92, 103, 158, 164, 176, 185, 193, 430, 433
კავშირის ქუჩა 40
კალინინის ქუჩა 40
კამოს ქუჩა 39
კარალეთი 302, 346, 444
კარბი 395
კასპი 348, 395
კახეთი 52, 85, 217, 316, 371, 380, 394, 395, 401, 103, 405, 413, 417, 418, 425
კელთა 342
კეცხოველის ქუჩა 40
კეხვისი 321, 406
კვარხეთი 320
კვერნაკის ქუჩა 39
კიკვიძის ქუჩა 40
კირიონ II-ის ქუჩა 157
კიროვის ქუჩა 15, 40
კლარაცეტკინის ქუჩა 40
კლდიაშვილის ქუჩა 41
კოლექტივის ქუჩა 40
კომინტერნის ქუჩა 40
კომკავშირის ქუჩა 40
კომუნის ქუჩა 40
კონსტანტინოპოლი 65, 546

კოროჩოხაში 319
კრწანისი 415
კუდარო 325

**ლ**

ლაიპციგი 65
ლევიტანა 278
ლენინგრადის ქუჩა 39
ლენინის ქუჩა 40
ლიახვი 11, 15-21, 25-27, 36, 67, 68, 70, 73, 75, 215, 270, 306, 329, 347, 483, 513
ლიახვის ქუჩა 40
ლიახვის ხიდი 62
ლიონი 65
ლიტვინოვის ქუჩა 39-40
ლიხთიმერეთი 391
ლომისი 427
ლომოურის ქუჩა 40
ლუნაჩრსკის ქუჩა 40
ლუქსემბურგის ქუჩა 40

**მ**

მათეს ქუჩა 37
მაკარევი 295
მანგლისი 103
მარაბდელის ქუჩა 40
მარსელი 65
მარქსის ქუჩა 37, 40
მარჯანიშვილის ქუჩა 40
მასაუ 433
მაქსიმ გორკის ქუჩა 40
მაჩაბლის ქუჩა 37
მახარაძის ქუჩა 40
მელიქიშვილის ქუჩა 41
მეორე თუმანოვის ქუჩა 37
მეორე სასაფლაოს ქუჩა 37, 39
მერეთი 329, 332, 347, 487
მესხეთი 440
მეტეხი 217
მეჯვრისხევი 291, 302, 309, 330, 350, 367, 368, 438
მეჯვრისხევის ქუჩა 38-39
მეჯუდა 15-16, 26, 36, 66-67, 131, 203, 383
მთავარანგელოზის ეკლესია 36
მთიულეთი 316, 425, 427
მოკლე ქუჩა 37
მოსკოვი 294
მოსკოვის ქუჩა 39, 65, 295
მტკვარი 7, 9, 11, 14-22, 68, 70, 72, 74-75, 90, 304, 426, 479
მუხრანი 103, 418
მცხეთა 28, 63, 398, 426
მჭადიჯვარი 407
მჭედლების რიგის ქუჩა 29-30

**ნ**

ნაზრანი 343
ნარიმანოვის ქუჩა 39-40
ნახჭევანი 368
ნინოშვილის ქუჩა 37, 41
ნიქოზი 302
ნიჟნი-ნოვგოროდი 65, 290, 430
ნიჩბისი 350, 375
ნოსტე 320, 354

**ო**

ოდესა 19, 302
ოზურგეთი 156, 327, 350, 358
ოკამი 394
ordabundi 368
ორთაშენი 25, 77, 347
ორლოვსკი 95
ორმოცი 278
ორჭობი 414
ორჯონიკიძის ქუჩა 40

ოსეთის უბანი 133
ოსმალეთი 53, 82, 209, 371, 381, 431, 441, 457
ოსტროვსკის ქუჩა 41
ოქონა 435
ოქონის ეკლესია 56, 58
ოქონის ქუჩა 28, 30
ოქროსსოფელი 321
ოქტომბრის ქუჩა 41

**პ**

პეტერბურგი 125, 302, 336, 337, 320, 420, 437, 457, 458, 462
პომპეი 34
პრადა 477
პუშკინის ქუჩა 41

**ჟ**

ჟენევა 488, 491
ჟორდანიას ქუჩა 38

**რ**

რაჭა 325, 403
რაჭა-ლეჩხუმი 197
რევოლუციის ქუჩა 40
რეხა 302, 383
რიყის ქუჩა 38
რობაქიძის ქუჩა 15
რომი 246, 442, 464, 465, 481, 482
როსტოვი 302
რუისი 192, 291, 469
რუისურბნისის ქუჩა 29-31
რუსეთი 19, 52, 53, 65, 92, 103, 110, 120, 125, 282, 288, 308, 314, 322, 326-329, 332, 335, 339, 341, 348, 355, 367, 370, 371, 373-376, 381, 402, 411, 534
რუსთაველის ქუჩა 14, 29, 40, 58
რუსის უბანი 38

**ს**

სააზნაურო 38
საამილახვრო 398
საბუა 321
საბჭოს ქუჩა 39, 40
სათავადაზნაუროს ქუჩა 29, 38
საკანაფო 321
საკონსერვო ქარხნის ქუჩა 38
საკორინთლო 316
სამების ეკლესია 57-58
სამების ქუჩა 30
სამების მოკლე ქუჩა 38
სამეგრელო 102, 200, 376, 463, 467
სამეფო ქუჩა 29, 52, 104, 113, 134, 161, 239, 244
სამთავისი 219, 383, 384
სამთო ქუჩა 38
სამკურნალოს ქუჩა 40
სამურზაყანო 376
სამუხრანბატონო 385
სამცხე 217, 392, 398
სამცხისი 321, 441
სასწავლებლის ქუჩა 38
სასწვრის მოედანი 36
სატიხარი 347
საფრანგეთი 209, 376, 433, 491
საქართველო 11, 13, 100, 103, 105, 107, 110, 127, 143, 158, 161, 183, 215, 220, 243, 265, 282, 286, 287, 314-316, 483
საქაშეთი 306
საღოლაშენი 291
საჩხერე 423
საციციანო 304, 360
საწერეთლო 428

სემინარიის ქუჩა 29
სვანეთი 197, 217
სირია 433, 434
სიღნაღი 91, 101, 129, 276, 292, 325, 376
სკვერის ქუჩა 40
სკრა 308
სობორნაიას ქუჩა 29, 30, 210, 211, 244
სომხეთი 379, 400, 457
სომხით-საბარათიანო 124
სოსიეთი 321
სოხუმი 156, 376
სპარსეთი 31, 465
სტავროპოლი 282
სტალინის ქუჩა 40
სტამბოლი 65, 91, 451
სტახანოვის ქუჩა 40
სტეფანოვი გალუსტ 138
სტურუას ქუჩა 41
სულუხი 25
სულხანოვის ქუჩა 38
სურამი 133, 291, 350, 378, 406, 417, 453
სუფრაჯიანთ უბანი 25
სხვილო 397, 403

**ტ**
ტაშისკარი 28
ტბეთი 321
ტეზერი 302
ტელმანის ქუჩა 40
ტინისხიდი 348
ტინისხიდის ქუჩა 38, 41
ტირძნისი 305
ტრაპეზუნტი, ტრაპიზონი 257
ტუსრები 278
ტყვიავი 245, 327-330

**უ**
ურბნისი 469
უფლისციხე 28, 219, 335, 340
უჯარმა 184

**ფ**
ფინეთი 279, 462
ფლავი 302, 358
ფლავისმანი 302
ფოთი 113, 120, 156, 290, 302, 467
ფრანგების უბანი 38
ფრანგის ქუჩა 28
ფრუნზეს ქუჩა 40
ფშანი 26, 27, 98
ფცა 438

**ქ**
ქარელი 77, 302, 321, 374, 385
ქართლი 18, 32, 85, 179, 217, 300, 390, 391, 395, 400, 402, 403, 405, 407, 413, 414, 423
ქართლის ქუჩა 40
ქარხნის ქუჩა 40
ქვახვრელი 289
ქვიშხეთი 331
ქიზიყი 414, 415, 482
ქლივანა 321
ქსანი 133, 319, 381, 385, 394, 396, 398
ქუდების რიგის ქუჩა 29, 30
ქუთაისი 52, 92, 113, 128, 166, 177, 181, 244, 248, 303, 325, 329, 358, 368, 379, 440, 483
ქურთა 321

**ღ**
ღამბარეული 26, 27, 254
ღაბაროვის ბაღი 14

ღვარები 279, 281, 283, 438
ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი 36, 58

**ყ**

ყაზარმების უბანი 38
ყაზახეთი 446
ყაზბეგის ქუჩა 41
ყარაბაღი 147
ყარსი 53
ყინწვისი 321
ყირიმი 478
ყორნისი 321
ყუბანი 129, 192, 475

**შ**

შავი ზღვა 12
შამქორი 373
შარტავას ქუჩა 56
შაუმიანის ქუჩა 40
შიდა ქართლი 210, 306
შინდისი 301
შიომღვიმე 383, 391
შირვანი 45
შლისენბურგი 336
შმიტის ქუჩა 39, 41
შოთა რუსთაველის ქუჩა 38
შორაპანი 291
შრომის ქუჩა 40
შუსტერი 457

**ჩ**

ჩაპაევის ქუჩა 40
ჩელიუსკინელების ქუჩა 40
ჩიტაძის ქუჩა 40, 56
ჩკალოვის ქუჩა 40
ჩოდრიშვილის ქუჩა 40

**ც**

ცეკავშირის ქუჩა 40
ციხის უბანი 38, 45, 55
ციხის ძირის უბანი 55
ცხაკაიას ქუჩა 40
ცხინვალი 63, 72, 76, 126, 147, 291, 302, 321, 362, 385, 440, 483

**ძ**

ძარწემი 321
ძეგვი 375
ძველი კვირაცხოვლობის ქუჩა 38
ძველი წისქვილის ქუჩა 38
ძნელაძის ქუჩა 41

**წ**

წარბისი 321
წერეთლის ქუჩა 28, 40, 56, 58
წითელარმიელების ქუჩა 38, 40
წითელქალაქი 147
წისქვილის ქუჩა 30, 38
წმ. გიორგის ეკლესია 13
წმ. სტეფანეს ეკლესია 57
წმინდა წყალი 38, 41, 131
წრომი 321, 358
წულუკიძის ქუჩა 40
წუნური 321
წყაროს უბანი 38

**ჭ**

ჭავჭავაძის ქუჩა 38, 40
ჭალა 316, 320, 388, 416, 417, 423
ჭონქაძის ქუჩა 40

**ხ**

ხარაზხანის ქუჩა 38
ხარების საყდრის უბანი 25
ხაშური 63, 344, 350, 354, 368

ხაშურის ქუჩა 40
ხევსურეთი 197
ხეითი 483
ხელთისი 321
ხელთუბანი 309, 355, 444, 457
ხვედურეთი 321
ხიდისთავი 7, 18, 81, 105, 133, 192, 202, 219, 245, 254, 278, 289, 308-309, 333, 335, 336, 350, 444
ხიდისთავის ქუჩა 29, 38
ხოვლე 322, 354
ხოვლის ქუჩა 38
ხურვალეთი 426

ჯ

ჯავა 342, 385
ჯავახეთი 32, 440
ჯავახიშვილის ქუჩა 40
ჯაფარიძის ქუჩა 40
ჯიგრაშენი 26, 28
ჯორჯაძის ქუჩა 38
ჯორჯიაშვილის ქუჩა 41
ჯუღაშვილის ქუჩა 38

ჰ

ჰერკულანუმი 34
ჰოსპიტლის ქუჩა 29, 30